

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის-საქართველოს
ისტორიის მიმართულების დოქტორანტის

დოდო ბერიძის დისერტაცია თემაზე:

„საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნისა
და მოღვაწეობის ისტორია“

(1917 წლის ნოემბერი – 1919 წლის იანვარი)

თემის ხელმძღვანელი: პროფესორი ვახტანგ გურული

ახალციხე 2017

სარჩევი

ანოტაცია.....	3
SUMMARY	4
შესავალი.....	5
თავი I. წყაროებისა და ისტორიოგრაფიის მიმოხილვა.....	9
თავი II. ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან (საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, საქართველოს ეროვნული საბჭო).....	14
თავი III. საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო (1918 წლის 26 მაისი – 1919 წლის 31 იანვარი).....	45
თავი IV. საქართველოს ეროვნული საბჭო – პარლამენტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის სათავეში	92
§1. უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანიზება	92
§2. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზება	111
§3. უმაღლესი სასამართლო ხელისუფლების ორგანიზება.....	124
§4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონი მოქალაქეობის შესახებ	137
§5. ქართული რევულარული ჯარის შექმნა.....	150
§6. განათლების რეფორმა	179
დასკვნა	196
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.....	200
I საარქივო მასალა.....	200
II. სტენოგრაფიული ანგარიშები.....	202
III. გამოქვეყნებული წყაროები	202
IV. სამეცნიერო ლიტერატურა.....	202
V. საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციები.....	205
დოკუმენტები	208

ანოტაცია

სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი “საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნისა და მოღვაწეობის ისტორია” ეძღვნება საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობას 1917 წლის ნოემბრიდან 1919 წლის იანვრამდე.

შესავალში მოცემულია კვლევის მიზნები, თემის აქტუალობა, მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

პირველი თავი ეძღვნება წყაროებისა და ისტორიოგრაფიის მიმოხილვას, სადაც წარმოდგენილი გვაქვს ნაშრომში გამოყენებული საარქივო მასალები, სტენოგრაფიული ანგარიშები, საარქივო დოკუმენტების კრებულები, 1918-1919 წლებში გამოქვეყნებული პრესის მასალები და სხვადასხვა სამეცნიერო კვლევები.

მეორე თავში წარმოდგენილია კვლევა თუ როგორ მომწიფდა პარლამენტის მოწვევის იდეა საქართველოში. ამასთან დაკავშირებით შევისწავლეთ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს შექმნისა და მოღვაწეობის ისტორია, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მუშაობა და ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის მაისამდე.

მესამე თავში ნაჩვენებია, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საკანონმდებლო ორგანოდ იქცა, რომელმაც თავისი მოღვაწეობის ხანმოკლე პერიოდში 100-ზე მეტი კანონის მიღება შეძლო. ამ თავში ძირითადად ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) კანონშემოქმედებით საქმიანობაზე გვაქვს ყურადღება გამახვილებული.

მეოთხე თავი ექვსი პარაგრაფისაგან შედგება, სადაც ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) მოღვაწეობა სხვადასხვა ასპექტით არის წარმოდგენილი. ესაა ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების, უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და უმაღლესი სასამართლო ხელისუფლების ორგანიზებისათვის. ამ თავში ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორცაა: კანონები მოქალაქეობისა და ქართული რევოლუციური ჯარის შექმნის და განათლების რეფორმის შესახებ.

SUMMARY

Doctoral dissertation work “The History of Establishment and Activities of the National Council of Georgia” provides discussion of the activities of the National Council of Georgia from November 1917 to January 1919.

Introduction specifies the research goals, significance of the issue, its scientific novelty and practical significance.

Chapter one is dedicated to overview of the sources and historiography, providing description of the archive materials, stenograph reports, collections of the archive documents. For studying of the subject of our research materials from the press published in 1918-1919 and various scientific studies are of significance.

Chapter two presents the study of the process of development of the parliament formation idea in Georgia. In this respect we have studied the history of establishment and activities of the National Inter-party Council of Georgia, work of the first national assembly of Georgia and activities of the National Council from November 1917 to May 1918.

Chapter three demonstrates that after declaration of independence, the National Council of Georgia became the legislative authority able to adopt over 100 laws in the short period of its work. In this chapter we mainly focus on the lawmaking activities of the National Council (parliament).

Chapter four includes six paragraphs where we discuss various aspects of the National Council activities. These include National Council’s activities for organization of the supreme legislative authority, National Council’s activities for organization of supreme executive authority, National Council’s activities for organization of the judicial authority, law on citizenship of Georgia, activities of the National Council for creation of regular Georgian army and education reform at the National Council.

შესავალი

საქართველოს ეროვნულ საბჭოს, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, ისტორიის შესწავლას მრავალი მონოგრაფია და სტატია მიეძღვნა. ავტორთა შორის შეიძლება დავასახელოთ ლევან თოიძე, აპოლონ სილაგაძე, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ვახტანგ გურული, შოთა ვადაჭკორია, ნონა ჭანტურიას და სხვები. ეროვნული საბჭოს ისტორიას მონოგრაფია მიუძღვნა ნონა ჭანტურიამ. მიუხედავად ზემოაღნიშნულ ავტორთა დეაწლისა, მათ შრომებში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა ყველა ასპექტით, არ არის სრულყოფილი კვლევა, მაგალითად: ეროვნული საბჭოს მოღვაწეობისა უმაღლესი საკანონმდებლო, უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხებში, ქართული რევოლუციური ჯარის შექმნის საქმეში და სხვ.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია ვახვევით, თუ როგორ მომწიფდა საქართველოში იდეა ქართული პარლამენტარიზმისა და იდეა საქართველოში პარლამენტის მოწვევისა. ჩვენ ამ საკითხის კვლევა იმდენად მნიშვნელოვნად მივიჩნით, რომ ნაშრომში ცალკე თავი გამოვყავით სათაურით „ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან“ და პირველწყაროებზე დაყრდნობით შევისწავლეთ ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს შექმნისა და მოღვაწეობის ისტორია, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მუშაობა და მის მიერ არჩეული ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა 1918 წლის მაისამდე.

განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ეროვნული საბჭოს საკანონმდებლო მოღვაწეობაზე 1918 წლის მაისიდან 1919 წლის იანვრამდე, შევისწავლეთ მის მიერ მიღებული ყველა კანონი. ასევე შევისწავლეთ ამ პერიოდში ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა სხვადასხვა მიმართულებით. საფუძვლიანად შევისწავლეთ ეროვნული საბჭოს საქმიანობა უმაღლესი საკანონმდებლო, უმაღლესი აღმასრულებელი და უმაღლესი სასამართლო ხელისუფლების ორგანიზებისათვის. მაქსიმალური სიღრმით გამოვიკვლიეთ „კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“. ძირითადად პირველწყაროებზე დაყრდნობით შევისწავლეთ ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა ქართული რევოლუციური ჯარის შექმნისათვის. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ეროვნული საბჭოს მიერ გაწეულ მუშაობაზე განათლების რეფორმასა და სახელმწიფო სიმბოლიკის შექმნის მიზნით.

საბჭოთა წყობილების არსებობის პირობებში საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელი მასალები გასაიდუმლოებული იყო. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული გვაქვს დღემდე უცნობი საარქივო მასალა, რომელიც ახლებურად წარმოაჩენს პირველი ქართული პარლამენტის ფორმირებისა და მოღვაწეობის ისტორიას ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის განსახდვრის თვალსაზრისით.

თემის აქტუალობა. საკვლევი თემის აქტუალობას განსაზღვრავს ის, რომ პირველი ქართული პარლამენტის (ეროვნული საბჭოს) შექმნისა და მოღვაწეობის სრულყოფილად შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის მეცნიერული შესწავლა. ჩვენი საკვლევი თემა აქტუალურია იმიტაც, რომ 1917-1918 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები დიდ მსგავსებას ამჟღავნებს 1989-1991 წლებსა და შემდეგ პერიოდში დატრიალებულ ისტორიულ ფაქტებთან, პარლამენტარიზმის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრების თანამედროვე ისტორიასთან.

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოსა და საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის შესწავლამ დაგვანახა, რომ მათი გამოცდილება, მიღწევები და ლაფსუსები, გასათვალისწინებელი იქნება თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სპექტრისთვის. პარტიების პროგრამების სხვადასხვაობას, მათ პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებში განსხვავებულ ხედვას ხელი არ შეუშლია იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, პირად ინტერესებზე მაღლა ეროვნული დაეყენებინათ და სამშობლოს საკეთილდღეოდ ერთიანი ფრონტით ებრძოლათ.

კვლევამ დაგვანახა, რომ ეროვნული საბჭოს წევრები უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. იმ შემთხვევაში კი, თუ რაიმე მიზეზით მინდობილ საქმეს თავს ვერ გაართმევდნენ, ითხოვდნენ ეროვნული საბჭოს წევრთა სიიდან ამორიცხვას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეროვნულ საბჭოში აზრის გამოხატვა შეუზღუდავად შეეძლო ეროვნული საბჭოს ყველა წევრს, მმართველი პოლიტიკური პარტია (სოციალ-დემოკრატიული), მიუხედავად უმრავლესობაში ყოფნისა, ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებდა ოპოზიციური პარტიების მოსაზრებებს და შეთანხმებითა თუ პოზიციების დათმობით ახერხებდა ამა თუ იმ კანონის მიღებას.

მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა წყობილების არსებობის პირობებში საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიისათვის შესწავლის მასალები გასაიდუმლოებული იყო. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია დღემდე უცნობი საარქივო მასალა, რომელიც ახლებურად წარმოაჩენს პირველი ქართული პარლამენტის ფორმირებასა და მოღვაწეობის ისტორიას, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის განსაზღვრის თვალსაზრისით:

- ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა სხვადასხვა ასპექტით განვიხილეთ და მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზის საფუძველზე თითოეული საკითხი სიღრმისეულად წარმოვადგინეთ.
- ვაჩვენეთ, თუ როგორ მომწიფდა საქართველოში იდეა ქართული პარლამენტარიზმისა და იდეა საქართველოში პარლამენტის მოწვევისა.
- განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ეროვნული საბჭოს საკანონმდებლო მუშაობაზე 1918 წლის მაისიდან 1919 წლის იანვრამდე და პირველწყაროე-

ბზე დაყრდნობით შევისწავლეთ მის მიერ გამოცემული კანონები.

- ასევე შევისწავლეთ ამ პერიოდში ეროვნული საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით. ხაზგასმით წარმოვადგინეთ პარლამენტის უპირატესი როლი და ადგილი სხვა დემოკრატიულ ინსტიტუტებთან შედარებით.
- საფუძვლიანად შევისწავლეთ ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანიზებისათვის.
- საარქივო და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ვრცლად მიმოვიხილეთ ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზებისათვის.
- საარქივო და სტენოგრაფიული მასალების მოშველიებით ვაჩვენეთ ეროვნული საბჭოს მიერ გაწეულ მუშაობასთან დაკავშირებით, რათა სასამართლო დამოუკიდებელი ინსტიტუტი გამხდარიყო. ვაჩვენეთ ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა სასამართლო ხელისუფლების ორგანიზებისათვის.
- სრულყოფილად გამოვიკვლიეთ „კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“.
- ძირითადად პირველწყაროებზე დაყრდნობით, ვრცლად შევისწავლეთ ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა ქართული რევოლუციური ჯარის შექმნისათვის, რისთვისაც უამრავი საარქივო მასალა გამოვიყენეთ.
- განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ეროვნული საბჭოს მიერ გაწეულ მუშაობაზე განათლების რეფორმასთან დაკავშირებით, პირველწყაროებზე დაყრდნობით და სხვადასხვა მეცნიერთა კვლევების საფუძველზე საინტერესო კვლევა წარმოვადგინეთ.
- ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიშებისა და საგაზეთო სტატიების დახმარებით ვაჩვენეთ ეროვნული საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ სახელმწიფო სიმბოლიკის შექმნასთან დაკავშირებით.
- სადოქტორო სადისერტაციო თემას სიახლეს მატებს ის ზღვა საარქივო მასალა და სტენოგრაფიული ანგარიშები, რომელიც სამეცნიერო ბრუნვაში პირველად შემოვიტანეთ, რომელიც, თავის მხრივ, სიახლეს წარმოადგენს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას განისაზღვრავს:

1. ნაშრომში მოყვანილი ფაქტობრივი მასალა, განზოგადებები და დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს უახლესი ისტორიის სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნისას;
2. ნაშრომში მოყვანილი ფაქტობრივი მასალა, განზოგადებები და დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნეს საუნივერსიტეტო, არჩევითი კურსების შედგენისას;
3. ნაშრომში მოყვანილი ფაქტობრივი მასალა, განზოგადებები და დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნეს ტელე და რადიოგადაცემების მომზადებისას;
4. ნაშრომში მოყვანილი ფაქტობრივი მასალა, განზოგადებები და დასკვნები

შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს ისტორიის, და კონკრეტულად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ისტორიის ფალსიფიკატორთა მხილებისას.

5. ნაშრომში მოყვანილი ფაქტობრივი მასალა, განზოგადებები და დასკვნები გარკვეულ სამსახურს გაუწევს თანამედროვე ქართველ პარლამენტარებს საშინაო და საგარეო პრობლემების გზების ძიებისას.

თავი I.

წყაროებისა და ისტორიოგრაფიის მიმოხილვა

ჩვენი საკვლევი თემის - „საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნისა და მოღვაწეობის ისტორიის“ - შესასწავლად მთავარ წყაროებად გამოყენებულია საქართველოს ეროვნულ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფონდები. ჩვენ მიერ გამოყენებული საარქივო ფონდებიდან გამოვყოფთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის ფონდს - 1836, რომელიც შედგება ანაწერებისაგან, მასში წარმოდგენილია ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიშები, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ოქმები (1917-1918 წწ.), ეროვნული საბჭოს მუდმივი და დროებითი კომისიების სხდომები და მოხსენებები, კანონ-პროექტები და დადგენილებები, დებულებები, უცხოეთის სახელმწიფოებთან დიპლომატიური მოლაპარაკებების ამსახველი დოკუმენტაცია. განსაკუთრებით გამოვყოფთ ამ ფონდში დაცულ ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომის ოქმებს, რომლებშიც ფასდაუდებელი მასალებია წარმოდგენილი ქართული რევოლუციური ჯარის ორგანიზაციის შესასწავლად. ასევე განსაკუთრებული ღირებულების მქონეა ამავე ფონდში დაცული „განმარტებითი წერილი ძირითადი კანონისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ“, „სამხედრო დისციპლინის დებულება“ და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია 1823 ფონდი, რომელშიც წარმოდგენილია ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომის ოქმები და ეროვნულ საბჭოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ჩანაწერები. ჩვენ მიერ შესწავლილია ასევე საქართველოს მთავრობის მმართველობის ფონდი 1861, საგარეო სამინისტროს ფონდი 1864, განათლების სამინისტროს ფონდი 1935.

ჩვენ მიერ მოკვლეულია პარლამენტის ბიბლიოთეკის ხელუხლებელ ფონდში დაცული ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიშები, რომლებიც ჟურნალებად არის აკინძული.

ნაშრომში გამოყენებულია დოკუმენტების კრებულები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921) (50), საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917წ. აპრილი - 1917წ. ნოემბერი) - საარქივო დოკუმენტების კრებული, რომელიც შეადგინა ზაირა გერგედავა-ჭელიძემ (51).

იმდროინდელ დემოკრატიული სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის გამოსარკვევად მნიშვნელოვან პირველ წყაროს წარმოადგენს კ. მიქელაძის „დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა“ (79), როგორც ცნობილია, კ. მიქელაძე თვითონ იღებდა მონაწილეობას საქართველოს ეროვნულ საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში. ასევე თანამედროვე, რეალური ისტორიის შესასწავლად მეტად ღირებულ მასალას წარ-

მოადგენს ეროვნული საბჭოს წევრ გრიგოლ ვეშაპელის „სიტყვები, ნათქვამი პარლამენტში (ეროვნულ საბჭოში)“ (67), რომელშიც მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები კრიტიკული თვალთ არის დანახული და შეფასებული.

ჩვენი საკვლევი საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვანია 1918-1919 წლებში გამოქვეყნებული პრესის მასალები. მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად იმით არის აღსანიშნავი, რომ მასში უმეტესად ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიშები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებულებებია გამოქვეყნებული. ჩვენ მიერ გამოყენებულია შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველო“, „ერთობა“, „სახალხო რესპუბლიკა“ და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყოველკვირეული სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“ (სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული) (121), რომელშიც ჯარის ორგანიზაციასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებებია გამოცემული, თითქმის ყველა ნომერში სტატიის სახით გვხვდება ჯარში გაწეული კულტურულ-განმანათლებლური მუშაობის ანალიზი. ჟურნალში ასევე წარმოდგენილია წერილები სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო საქმესა და ამ ქვეყნების პოლიტიკურ წესწყობილებაზე. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ „რესპუბლიკის ჯარის“ №4-ში დაბეჭდილი ინფორმაცია სათაურით: „საქართველოს პარლამენტის სამხედრო კომისიაში“, რომლითაც ვიგებთ, თუ როგორ მიმდინარეობდა მთავრობისა და პარლამენტის ერთობლივი მუშაობის პროცესი ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური ვითარების დროს. სტატიაში ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „საპარლამენტო კომისიამ შეწყვიტა მუშაობა, შემოსული სამხედრო კანონპროექტების განხილვა გადაიდო“, საჭიროებების შემთხვევაში კი ერთობლივი ღონისძიებები უნდა შემუშავებულიყო.

ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებით გავეცანით სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა მემუარულ ლიტერატურას, ესენია: ნოე ჟორდანიას „ჩემი წარსული“ (85), გრიგოლ ურატაძის „ნამდვილი და ყალბი ისტორია“ (88), ზურაბ ავალიშვილის „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ (54), ვიქტორ ნოზაძის „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“ (82), გიორგი მაზნიაშვილის „მოგონებანი“ (76), ანტ. კვინიტაძის „ჩემი მოგონებები“ (73), ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინის „ჩემი მისია კავკასიაში“ (89) და სხვა.

1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ისტორიის შესწავლასთან დაკავშირებით მრავალ მეცნიერს ჩაუტარებია კვლევა და შეუქმნია მონოგრაფია. რაც შეეხება ჩვენს საკვლევ თემას, ამ მხრივ მნიშვნელოვანია აპოლონ სილაგაძისა და ვახტანგ გურულის ნაშრომი „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა“ (87), რომელსაც ერთვის ძვირფასი საარქივო დოკუმენტები. ასევე მნიშვნელოვანია ვახტანგ გურულის ამ პერიოდისადმი მიძღვნილი სხვა საინტერესო ნაშრომები: „ნოე ჟორდანიას, პოლიტიკური პორტრეტი“ (61), „ქართული სოციალ-დემოკრატიის სათავეებთან“ (59), „ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან“ (60), ვახტანგ გურულისა და მერაბ ვაჩნაძის ერთობლივი

ნაშრომი „ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918) (62), სადაც რამდენიმე პარაგრაფი ჩვენს საკვლევ თემას უკავშირდება, ასეთია, მაგალითად, „ქართული სოციალ-დემოკრატია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში“. ასევე საინტერესოა ვახტანგ გურულისა და ლევან ჯიქიას ნაშრომი „საქართველოს ისტორიული ტერიტორია რუსეთ-ოსმალეთის (თურქეთის) ომებსა და ზავებში (1695-1953) (63), სადაც ნაჩვენებია, თუ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ როგორ მოაგვარა ურთიერთობა უშუალო მეზობლებთან - საბჭოთა რუსეთთან და ოსმალეთთან – ზავის დადების გზით.

ასევე მნიშვნელოვანია ალექსანდრე ბენდიანიშვილის ნაშრომი „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ (55), რომელშიც სათანადოდ არის გაშუქებული საქართველოს პირველი რესპუბლიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკა. ალექსანდრე ბენდიანიშვილი საინტერესოდ აღწერს ეროვნული საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის სხვადასხვა მიმართულებას.

ამ პერიოდის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანია შოთა ვადაჭკორიას ნაშრომები: „პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა“ (66), „საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე) (67).

განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ნონა ჭანტურიას „ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის“ (93), რომელშიც ეროვნულ საბჭოსთან დაკავშირებით საინტერესო კვლევაა წარმოდგენილი.

ჩვენს საკვლევ თემას ეხმიანება და საინტერესო საკითხებს იხილავს ალბერტ აბესაძის სადოქტორო დისერტაცია „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოები“ (52); ზაურ ჯინჯოლიას ნაშრომი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამართალი“, ხელიუსუფლების ორგანოები 1918-1921 წწ.“ (ლექციების კურსი) (99), რომელშიც განხილულია საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების ორგანოების, კერძოდ, საქართველოს ეროვნული საბჭოს ფორმირების წესი და ორგანიზაციული მუშაობის ძირითადი ასპექტები.

საქართველოს საკონსტიტუციო მოწყობის ძირითადი საფუძვლების შესახებ მნიშვნელოვან საკითხებს ვეცნობით დიმიტრი გეგენავას ხელმძღვანელობით შექმნილ ავტორთა კრებულში „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში“ (მეორე გამოცემა) (62). მასში, ჩვენს საკვლევ პერიოდთან დაკავშირებით, სახელმწიფო ინსტიტუციების შექმნაზე საგანგებო ყურადღებაა გამახვილებული.

მნიშვნელოვან კვლევებს წარმოადგენს მალხაზ მაცაბერიძის „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: „შემუშავება და მიღება“ (77), რომელშიც მონაკვეთი: „საკონსტიტუციო საკითხების განხილვა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“ – საინტერესოდ არის წარმოდგენილი; ასევე ამავე ავტორის მონოგრაფია „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან-საქართველოს 1921 წლის 90 წლისთავი“ (78), ბათუმი, 2011. ეს ნაშრომი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ მასში წარმოდგენილ კვლევას თან ერთვის მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტები: ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი

კომიტეტის სხდომის ოქმები და ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიშები.

ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ოთარ ჯანელიძის წიგნი „ნოე რამიშივილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი“ (97), რომელშიც ავტორს საინტერესო კვლევა უწარმოებია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების, სახელმწიფო აპარატის ფორმირების, სამხედრო-თავდაცვით მშენებლობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ.

ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის შესახებ განათლების საკითხში ძალიან ღირებულია ავთანდილ გავაშელიშვილის კვლევა „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა (1918-1921)“ (56) და დოდო ჭუმბურიძის „ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში“ (94), რომელშიც ცალკე საკითხად არის წარმოდგენილი „მთავრობის სახელმწიფო-საგანმანათლებლო პოლიტიკა, განათლების რეფორმა და სასკოლო სისტემა 1918-1921 წლებში“.

ჯარის ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისას უპირველესად საყურადღებოა ვახტანგ გურულის „ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან“ (60), რომელიც ეძღვნება ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის შემუშავების ისტორიას (1917-1918 წწ.). გამოკვლევა ეფუძნება გენერალ-ლეიტენანტ ვასილ გაბაშვილისა და გენერალური შტაბის პოლკოვნიკ გიორგი კვინიტაძის მიერ შედგენილ „ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტს“. ჯარის საკითხის შესწავლისას ასევე მნიშვნელოვანია ნონა ჭანტურიას „ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა ქართული საჯარისო ნაწილების შესაქმნელად 1917 წ“ (144); აღსანიშნავია ასევე გიორგი ანჩაბაძის „სამხედრო ისტორია (ლექციების კურსი) (54), რომელიც 1918-1921 წლებში ქართული ჯარის მოკლე ისტორიას აღწერს; საკვლევ თემასთან დაკავშირებით ღირებული წყაროა რუსუდან დაუშვილისა და შოთა უტილაშვილის ნაშრომი „საქართველო-დასავლეთი: ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან“ (64); გარკვეული ღირებულება გააჩნდა ჩვენთვის ლევან დოლიძის „გენერლები საქართველოდან“ (65); ასევე გავეცანით „საქართველოს სამხედრო ისტორიას (მოკლე კურსი) (86), რომელიც გამოცემულია დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ. მასში საინტერესოდ არის აღწერილი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში გამართული ბრძოლები, ყურადღება გამახვილებულია იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაზე, ბრძოლის გამომწვევ მიზეზებზე, სტრატეგიულ ამოცანებზე, მებრძოლ მხარეებზე, საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ნაშრომში შესწავლილი პრობლემების ცალკეული ასპექტი ასევე განხილულია დიმიტრი შველიძის (141), ნუგზარ ზოსიძის (70), მათა ფართლაძის (139), ვახტანგ ხმაღაძის (95), გურამ შარაძის (91, 92), გიორგი შარაძის (140), ერმილე მესხიას (134) და სხვათა მეცნიერულ გამოკვლევებში.

პირველი რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, საკანონმდებლო

ორგანოების შესახებ და სხვა მრავალ თემაზე არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა ჟურნალ-გაზეთებში: გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნდა ვახტანგ გურულის „პირველი ქართული პარლამენტი (საქართველოს ეროვნული საბჭო)“ (130) და ჟურნალ მეცნიერებათა აკადემიის მაცნეში „პირველი ქართული პარლამენტი (საქართველოს ეროვნული საბჭო)“ (129), კვლევას საარქივო მასალები აქვს დართული; მასვე ეკუთვნის „ქართული ისტორიული მეცნიერების ძველი და ახალი გასაჭირი“ (128) ჟურნალ „საისტორიო ვერტიკალებში“; ასევე მნიშვნელოვანია სხვა მეცნიერების ნაშრომები: ჟურნალ „საისტორიო ვერტიკალებში“ გამოქვეყნებული ლევან თოიძის „ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა“ (132); ალექსანდრე მუჯირის „ასჩვიდმეტი წლის შემდეგ“ ჟურნალ „მნათობში“ (135) გამოიცა; ამავე ჟურნალში დაიბეჭდა პაატა სურგულაძის „ეროვნული საკითხი საქართველოს პარლამენტში“ (137); ჟურნალ „საისტორიო ძიებანში“ გამოქვეყნდა დავით ჩიტაიას „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში აფხაზების საქმეთა უწყების შექმნის ისტორიიდან“ (142), გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა გიორგი შარაძის „რელიკვიები საქართველოს დაუბრუნდა“ (140), შოთა ვადაჭკორიას „საკანონმდებლო ორგანოების შექმნის საკითხი და ქართული სოციალ-დემოკრატია 1918-1921 წლებში“ დაიბეჭდა ჟურნალში „ფილოსოფია, კულტურა, ისტორია“ (131) და სხვა.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნათ ზოგიერთი მკვლევარის განსაკუთრებული კრიტიკული დამოკიდებულების შესახებ ქართული სოციალ - დემოკრატიული პარტიის ლიდერებისა თუ, საერთოდ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმართ. საბჭოური ისტორიოგრაფიიდან მოყოლებული დღემდე მიმდინარეობს გადაჭარბებული, არაარგუმენტირებული კრიტიკა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი პარტიის მისამართით. განსაკუთრებით ეს ტენდენცია აღსანიშნავია ა. კაჭარავას, აღ. დაუშვილის (73), ნ. მუშეკუდიანისა (80) და სხვათა ნააზრევში.

ჩვენ მიერ განხილული საარქივო მასალების, სტენოგრაფიული ანგარიშების, გამოქვეყნებული წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურისა და საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციების შესწავლა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დაწვრილებით შევისწავლეთ „საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნისა და მოღვაწეობის ისტორია“. იმედი გვაქვს, წარმოდგენილი კვლევა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სპეციალისტებისათვის, დაინტერესებული მკითხველი საზოგადოებისა და ფართო აუდიტორიისათვის ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, მნიშვნელოვანი პერიოდის შესასწავლად.

თავი II.

ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან

(საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, საქართველოს ეროვნული საბჭო)

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ შექმნილმა რუსეთის დროებითმა მთავრობამ 1917 წლის მარტში დანიშნა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანო-ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი). 1917 წლის თებერვალ-მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ თბილისში შეიქმნა რევოლუციური ხელისუფლების ორგანო - თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭო (თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას). 1917 წლის აპრილის დამდეგიდან თბილისშივე ფუნქციონირებდა ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრი (თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას) და კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრი (თავმჯდომარე დიმიტრი დონსკოი). ფუნქციონირებას იწყებს ეროვნული ხელისუფლების ორგანოს ჩანასახი- „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“ (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) (გურული, 1998: 8-9).

რუსეთის რევოლუციის შემდეგ ყველგან განსაკუთრებულად დაიძაბა სიტუაცია, ასე იყო საქართველოშიც. მწვავე სოციალური დაპირისპირების განმუხტვის, სამოქალაქო მშვიდობის მიღწევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ყურადღების კონცენტრირება, მთელი ძალების ორგანიზება ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების გადასაჭრელად. აუცილებელი იყო საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და მიმდინარეობების სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრა.

შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა გამაერთიანებელ ორგანოს არ უნდა ჰქონოდა პოლიტიკური ძალაუფლების აღების პრეტენზია. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალი იყო კონფლიქტი რუსეთის დროებით მთავრობასა და კავკასიის არმიასთან, რაც შექმნილ ვითარებაში სრულიად არასასურველი იქნებოდა ქვეყნისათვის. გარეგნულად ინტერპარტიული საბჭო უნდა ყოფილიყო საკონსულტაციო ორგანო და არ უნდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი ცდილობდა ეროვნული ხელისუფლების ორგანიზებას. სინამდვილეში კი ინტერპარტიული საბჭოს მთავარი ამოცანა ეროვნული მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება იყო. ამ ამოცანას საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ კარგად გაართვა თავი (გურული, 1999: 77-78).

ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მოღვაწეობის მნიშვნელობა იმით გამოიხატება, რომ მან გააერთიანა საქართველოს ყველა წამყვანი პოლიტიკური პარტია, იყო ხელისუფლებისათვის მებრძოლი პირველი პოლიტიკური ორგანო. ეროვნული

ინტერპარტიული საბჭოს მიზანი, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, საქართველოს სამართლებრივი და პოლიტიკური მდგომარეობის გარკვევა იყო. საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულმა საბჭომ მოამზადა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა.

1917 წლის აპრილში ჩატარდა ორი ინტერპარტიული შეკრება მენშევიკების, სოციალისტ-ფედერალისტების, ესერებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენელთა მონაწილეობით. საქართველოს პოლიტიკური პარტიების მთავარ საკითხს შეადგენდა ეროვნული საკითხი. ინტერპარტიული კრების ოქმიდან ვგებულობთ, რომ პირველმა კრებამ იმსჯელა ძირითად საკითხზე, ეს იყო ეროვნულ საკითხში შეთანხმება. ეროვნული საკითხი ორად იქნა გაყოფილი: ა. საქართველოს ტერიტორია, ბ. ეროვნული სეიმის კომპეტენცია. ეს უკანასკნელი მეორე კრებისათვის გადაიდო. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრება გაიმართა 1917 წლის 16 აპრილს, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკ. ჩხენკელი. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრებას უნდა განეხილა საკითხი -ეროვნული სეიმის კომპეტენცია. კრების გახსნისას აკაკი ჩხენკელმა აღნიშნა, რომ ეროვნული სეიმის კომპეტენციის საკითხი, კამათის ნაყოფიერების მიზნით შეიძლება სამ ქვესაკითხად გაყოფილიყო: ა. საქართველოს ტერიტორიული ერთეულის კომპეტენცია, ბ. საქართველოს ტერიტორიული ერთეულის დამოკიდებულება ამიერკავკასიის ტერიტორიულ ერთეულებთან. გ) საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიული ერთეულების დამოკიდებულება სრულიად რუსეთის ცენტრთან. პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ, რომ საქართველო დარჩენილიყო რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენლობაში. მაგრამ შეკრების მონაწილეთა შორის დიდი კამათი გამოიწვია იმან, თუ რა სტატუსით უნდა შესულიყო საქართველო რუსეთის შემადგენლობაში (სილაგაძე... 1998: 20).

1917 წლის 3 აგვისტოს მესამე ინტერპარტიული კრებაზე მიიღეს დადგენილება: საერთო ეროვნულ ცენტრს დაერქვას სახელად ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიურო. ამავე კრების დადგენილებით, ეროვნულ ინტერპარტიულ ბიუროში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს და თითოეულ პარტიას უნდა ჰყოლოდა ხუთი წარმომადგენელი. ეროვნულ ბიუროში მონაწილეობის შესაძლებლობის უფლება მიეცათ: „ს. - დემოკრატიული პარტია (საოლქო კომიტეტი. „ალიონი“ ამასთან ერთად). ს.- ფედერალისტები, ნ.-დემოკრატიული პარტია, ს.-რევოლუციონერები და ბოლშევიკები“ (საბჭო, 1999: 23, ასევე ვადაჭკორია, 1998:10).

ქართველი ერის ინტერპარტიული ბიუროს დამფუძნებელი კრება გაიხსნა 1917 წლის 12 აგვისტოს. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანიას. ბიუროში მოწვეული 5 პარტიიდან დამტკიცდა ბიუროს სრული შემადგენლობა - პლენუმი. პარტიებიდან წარმომადგენლები თანაბარი რაოდენობით (ხუთ-ხუთი კაცი) იქნებოდნენ წარმოდგენილნი. ამავე კრებაზე დამტკიცდა: „ქართველი ერის ინტერპარტიულ ბიუროს ჰყავს აღმასრულებელი ორგანო, პრეზიდიუმი, ხუთი კაცისაგან შემდგარი, თითოეულ პარტიისაგან თითო კაცი. პრეზიდიუმის შემადგენლობა მუდმივია.

პრეზიდენტის წევრთა ყველას თითო კაცი ჰყავს“ (საბჭო, 1999: 26, ასევე ვადაჭკორია, 1998: 12). ქართული ინტერპარტიული ბიუროს შემადგენლობა ასეთი იყო: სპირიდონ კელია, გიორგი გვაზავა, გიორგი ჟურული, დავით ვაჩნაძე, გრიგოლ ვეშაპიძე, გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, შალვა მესხიშვილი, იოსებ გედევანიშვილი, გრიგოლ ნათაძე, კონსტანტინე მესხი, ივანე ჩერქეზიშვილი, ანდრია დგებუაძე, დავით კახაური, აკაკი ჩხენკელი, ნოე ჟორდანიას, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ ქარცივაძე და ნოე რამიშვილი (საბჭო, 1999: 28-29, ასევე ვადაჭკორია, 1998: 13).

1917 წლის 12 აგვისტოს გამართულ ინტერპარტიული საბჭოს დამფუძნებელი კრების შესახებ შოთა ვადაჭკორია აღნიშნავს: „კრების დადგენილებით განისაზღვრა ინტერპარტიული ბიუროს უფლება-მოვალეობანი. ამის შესახებ დოკუმენტში ვკითხულობთ: ქართველი ერის ინტერპარტიული ბიურო დაარსებულია ქართველი ხალხის ყველა, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, და კულტურულ-საზოგადოებრივ, საჭიროებათა გასაძღვლად და დასაკმაყოფილებლად. ერის ყველა მთავარ საჭიროებოტო საკითხებს არკვევს და სწვევტს ინტერპარტიული ბიურო. მისი დადგენილებანი სისრულეში მოჰყავს პრეზიდენტს. პრეზიდენტში ...დასმული სადაო კითხვები პრეზიდენტის გადაწყვეტილებით და დასკვნით გადაეცემა პლენუმს განსახილველად. თვით ქართველთა ინტერპარტიულ ბიუროში (პლენუმში) შეთანხმება ნიშნავს საქართველოს ინტერპარტიულ შეთანხმებას. პლენუმის შეთანხმებული დადგენილება ამა თუ იმ საკითხზე ასასრულებელი და სავალდებულოა. ქართველთა ინტერპარტიულ ბიუროს ჰყავს მუდმივი თავმჯდომარე და მდივანი“ (ვადაჭკორია, 1998: 12-13).

1917 წლის 21 აგვისტოს კრებაზე მუდმივ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აკაკი ჩხენკელი, მის მოადგილედ გიორგი ლასხიშვილი, ხაზინადარად – კონსტანტინე მესხი. გადაწყდა პრეზიდენტთან დაარსებულიყო შემდეგი სექციები: საფინანსო, სამხედრო, საშინაო და საგარეო საქმეთა. თითოეული სექციისთვის უნდა ეხელმძღვანელა პრეზიდენტის ამა თუ იმ წევრს. ამავე კრებაზე გადაწყდა, რომ „ქართულ ინტერპარტიულ საინფორმაციო ბიუროს დაერქვას ქართული ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, ხოლო ბიუროს პრეზიდენტს – აღმასრულებელი კომიტეტი. გადიდებულ იქნას პრეზიდენტის შემადგენლობა (თითო პარტიიდან ერთის ნაცვლად ორი კაცი“ (საბჭო, 1999: 37).

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს 28 აგვისტოს სხდომის დღიურიდან ვიგებთ, რომ საბჭოს შემადგენლობა გაიზარდა და თითოეულ პარტიას ხუთის მაგივრად ათი მუდმივი წარმომადგენლის ყოლის უფლება მიეცა. ამავე სხდომაზე განისაზღვრა, რომ საბჭო უნდა მოწვეულიყო კვირაში ერთხელ – ყოველ შაბათს საღამოს 8 საათზე (საბჭო, 1999: 46).

ინტერპარტიული ბიუროსთვის სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით შოთა ვადაჭკორია აღნიშნავს: „საარქივო მასალებიდან ჯერ-ჯერობით გაურკვეველი ხდება ის ძირითადი მიზეზი, რამაც ეროვნული ინტერპარტიული ბიუროსათვის სახელის შეცვლა განაპირობა. სავარაუდებელია, რომ სახელის ეს ცვლილება, პირველ რიგში, პოლიტიკური თვალსაზრისით იყო განპირობებული, ხოლო მეორე მხრივ, ქა-

როული პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა ამ ახალ ორგანოს მეტი უფლებამოსილება მიანიჭეს. იმის გასარკვევად, თუ რა ძირითად მიზანს ისახავდა ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, ამის შესახებ ჩვენს ყურადღებას ორი საარქივო დოკუმენტი იქცევს. პირველ მათგანში, რომელიც ზოგადი ხასიათისაა, ვკითხულობთ: ეროვნული ინტერპარტიული საბჭო მიზნად ისახავს „რევოლუციის დაცვას და ქართველი ხალხის პოლიტიკურ-ეკონომიკურ, კულტურულ-საზოგადოებრივ და ინტერნაციონალურ საჭიროებათა გაძღვლას და დაკმაყოფილებას. საბჭო აერთიანებს ერის ცოცხალ ძალებს და ხელს უწყობს ადგილობრივ ერთა საერთაშორისო თანასწორობის და კავშირის შედგენას დემოკრატიის და თავისუფლების განსამტკიცებლად“ (ვადაჭკორია, 1998: 16). „რაც შეეხება მეორე დოკუმენტს, - აღნიშნავს შოთა ვადაჭკორია, რომელსაც ხელს ა. ჩხენკელი, ნ. ჟორდანიას, ს. მდივანი და შ. ამირეჯიბი აწერენ, მეტ კონკრეტულობას შეიცავს და მუხლობრივად აყალიბებს იმ ძირითად მიზნებს, რომლის შესრულებისათვისაც ეს ორგანო უნდა ყოფილიყო მოწოდებული“. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ეროვნული ინტერპარტიული საბჭო მიზნად ისახავს:

„1. სახელმწიფოებრივ ძალაუფლების გადასვლას მხოლოდ რევოლუციური დემოკრატიის ხელში;

2. კონტრრევოლუციასთან მედგარი ბრძოლას;

3. რესპუბლიკის აღიარება, დადასტურება და დაცვას;

4. დამფუძნებელი კრების საჩქაროდ მოწვევას;

5. ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება, თავისუფალ რუსეთში თავისუფალი ერები. ერთა უფლებების აღიარება და მათთან შეთანხმებით მოქმედება. ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობა. მის მოსამზადებლად და განსახორციელებლად პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა. რევოლუციური მთავრობის შეთანხმებით ეროვნული საკითხი საბოლოოდ გადაიჭრება დამფუძნებელ კრებაზე;

6. წარმომადგენლობის თანხმობითი და ერთიანი გამოსვლა“ (ვადაჭკორია, 1998: 16-17).

წარმოდგენილ დოკუმენტთან დაკავშირებით შოთა ვადაჭკორია აღნიშნავს, რომ: „ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს შედარებით სრულყოფილ პროგრამასთან, რომელშიაც განხორციელებულია პოლიტიკურ პარტიათა მიზნები და ამოცანები. დოკუმენტის მიხედვით საქართველოს მომავალი ბედი რუსეთის დემოკრატიასთან, კერძოდ მის დამფუძნებელ კრებასთანაა დაკავშირებული და იგი ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნის ფარგლებში თავსდება. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ეს თვალსაზრისი ინტერპარტიულ საბჭოში შემავალი ყველა პოლიტიკური პარტიის შეთანხმებიდან გამომდინარეობდა“ (ვადაჭკორია, 1998: 17).

1917 წლის 6 სექტემბრის კრებაზე ინტერპარტიულმა საბჭომ თავისი სამოქმედო გეგმა პროგრამის სახით ჩამოაყალიბა და პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე (1917 წლის 12 სექტემბერი) გასაგზავნად არჩეულ თავის წარმომადგენლებს (ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელს, სიმონ მდივანს, შალვა ამირეჯიბს) რევოლუციური მონაპოვრების დაცვა დაავალა. მუხლობრივად ჩამოყალიბებული ეს დოკუმენტი ნათლად წარმოაჩენს ამ პერიოდის პოლიტიკური ამინდის შემქმნელი პოლი-

ტიკოსების მიერ საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობისადმი დამოკიდებულებას. ამ დამოკიდებულების გასააზრებლად ყურადღების გამახვილება გვმართებს დოკუმენტის მე-5 მუხლზე, რომელშიც საუბარია ეროვნულ-ტერიტორიულ თვითმმართველობაზე დაფუძნებულ ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებაზე, რაც რევოლუციურ მთავრობასთან შეთანხმებით უნდა მომხდარიყო. როგორც ვხედავთ, ერთა თვითგამორკვევას იმდროინდელი პოლიტიკოსები ორ სიბრტყეში ხედავდნენ: პირველი - ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობის პრინციპზე დაფუძნებით, რაც უკვე არის საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობის შეფასება - როგორც „თავისუფალ რუსეთში-თავისუფალი ერი“. ამ ხედვის მეორე სიბრტყე კი სწორედ „ამ თავისუფალი ერის“ თავისუფლების ხარისხის განსაზღვრა იყო, რაც „პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმით რევოლუციურ მთავრობასთან შეთანხმებით“ უნდა მომხდარიყო.

ერთა თვითგამორკვევის უფლება თავის თავში სამართლებრივთან ერთად პოლიტიკური მდგომარეობის განსაზღვრასაც მოიცავს, რაც დოკუმენტის პირველ და მესამე მუხლში ნათლად არის გამოხატული. კერძოდ, განსაზღვრულია სახელმწიფო ძალაუფლების რევოლუციური დემოკრატიის ხელში გადასვლა რესპუბლიკის აღიარება-დადასტურების გზით. საკითხის უფრო სიღრმისეულად გასააზრებლად ყურადღების გამახვილება გვმართებს რესპუბლიკის, როგორც მმართველობის ფორმის, ორ ასპექტზე: პირველი - სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყაროდ რესპუბლიკაში მოიაზრება მხოლოდ ხალხი (1-ლი პუნქტი, „სახელმწიფოებრივ ძალაუფლების გადასვლა მხოლოდ რევოლუციური დემოკრატიის ხელში“, სწორედ ამ ასპექტს ეხმიანება), მეორე - ხელისუფლების სამ შტოდ დანაწილებულ დაფუძნებულ მმართველობაზე (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო), რომელიც, თვითგამორკვევის უფლების არსიდან გამომდინარე, სრულიად ეხმიანება ხალხის უფლებას, განსაზღვროს თავისი პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი (მათ შორის, ჰყავდეს თავის მიერ არჩეული სახელმწიფო ხელისუფლება რესპუბლიკური მმართველობის სახით). მოცემული დოკუმენტი მუხლობრივად სწორედ ამ იდეაზეა დაფუძნებული და დავალების სხვა მუხლები, კონკრეტულად: „კონტრ-რევოლუციასთან მედგარი ბრძოლა“, „დამფუძნებელი კრების საჩქაროდ მოწვევა“ – მის გარშემო ერთიანდება, როგორც დაცვის გარანტი.

ჩვენი აზრის განსამტკიცებლად საჭიროდ მივიჩნევთ იმ პუნქტის დამოწმებას, რომელიც ცოტა მოგვიანებით, 1917 წლის 19 ნოემბერს, ნოე ჟორდანიამ გაახმოვანა საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე მოხსენებაში: „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“. ყრილობაზე ნოე ჟორდანიამ აღნიშნავს: „რუსეთის დამფუძნებელ კრებას ჩვენ მოვთხოვით შექმნას ისეთი ნაციონალური ნორმებისას ქართველი ერისათვის, რომელიც მას მისცემს საშუალებას თავისუფალი კულტურული განვითარებისას. ასეთ ნორმად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე“ (სეცსსა, ფ.1836, საქმე 29:1). შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამ დოკუმენტში აღნიშნული თვალსაზრისი წარმოადგენს 1917

წლის 6 სექტემბრის დოკუმენტის (დავალების) იდეის გაგრძელებას, რამდენადაც ეროვნულ ყრილობის დოკუმენტის ერთ-ერთ პუნქტში ნახსენები საკანონმდებლო ხელისუფლება არის ერთა თვითგამორკვევის უფლებისა და რესპუბლიკანიზმის იურიდიული განმტკიცება და გარანტი. ეროვნულ ყრილობაზე მიღებული რეზოლუციის ის ნაწილი, რომელშიც იკვეთება მისწრაფება, სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებასთან შეთანხმებით შეიქმნას საკანონმდებლო ორგანო, სწორედ რომ პარლამენტარიზმის იდეის ჩანასახს წარმოადგენს, რომელსაც საფუძველი სწორედ ინტერპარტიულ საბჭოში ჩაეყარა.

ამდენად, ეროვნულ ყრილობაზე მიღებული ეს პუნქტი 1917 წლის 6 სექტემბრის დოკუმენტის დაგვირგვინებაა, რამდენადაც, როგორც უკვე აღინიშნა, ერთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელება, რომელიც პოლიტიკურად რესპუბლიკანიზმზე იქნებოდა დაფუძნებული, ლოგიკურად წარმოუდგენელია მმართველობის ამ ფორმისთვის დამახასიათებელი ხელისუფლების შტოების განხორციელება-განმტკიცების გარეშე.

მოვლენების ალტერნატიული განვითარების შემთხვევაში, თუკი დამფუძნებელ კრებასთან კავშირი და დასახული მიზანი, ანუ „საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე“ მოთხოვნა შედგებოდა, საქართველოში პარლამენტარიზმის იდეა ტერიტორიული ავტონომიის ფარგლებში სრულიად რეალისტურად განხორციელდებოდა. თუმცა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ (1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია და 1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვა) ეს არ გახდა შესაძლებელი და პარლამენტარიზმის იდეის მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს კონტექსტში განხორციელება გახდა შესაძლებელი. ზემოთქმულიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ პარლამენტარიზმის იდეის ჩანასახი სწორედ ინტერპარტიულ საბჭოს მოღვაწეობაში უნდა ვეძიოთ (გელაშვილი, 2017ბ: 246).

„ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ თავისი მოღვაწეობის ხანმოკლე პერიოდში საქმიანობა მრავალი მიმართულებით წარმართა. ინტერპარტიული საბჭოს სხდომებზე სხვადასხვა საკითხებზე მიმდინარეობდა მსჯელობა. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა საორგანიზაციო საკითხებს, პოლიტიკური მდგომარეობის განხილვას, ქართული ჯარის შექმნას, საეკლესიო საქმის მდგომარეობას, ქართული უნივერსიტეტის დაარსებას, სასკოლო საკითხის განხილვას და სხვა.

ეროვნული ყრილობის მოწვევამდე ინტერპარტიულმა საბჭომ ქართული საჯარო სო შენაერთების შესაქმნელად შემდეგი ნაბიჯები გადადგა: 1. საკითხი დასვა კავკასიის ჯარის საბჭოში, რისთვისაც მოსალაპარაკებლად გაგზავნა მთელი პრეზიდიუმი და სამხედრო კავშირის წარმომადგენლები; 2. ამ მოლაპარაკების შედეგები აცნობეს ა. ჩხენკელს პეტროგრადში და თხოვნით მიმართეს, რათა არ დაეყოვნებინა და ყველა ზომა მიეღო ქართული პოლკების შესაქმნელად და ქართული ჯარის ნაციონალიზაციის საქმის მოსაგვარებლად; 3. ინტერპარტიულმა საბჭომ 1917 წლის ოქტომბერში მთავრობისაგან ნებართვა მიიღო ქართული ჯარის ნაციონალიზაციისა და ქართველ მხედართა კავშირის კანონიერად ცნობის თაობაზე; 4. რუსეთის

ჯარების სარდლობის ბრძანების საფუძველზე აქ მყოფი სათადარიგო პოლკებიდან ქართველი ჯარისკაცები ქართველ პოლკებში უნდა გადაეყვანათ, რის შედეგადაც რვა ქართული პოლკის შედგენა იყო ნაგარაუდები; 5. ამასთანავე, ჩრდილოეთ კავკასიიდან ერთი ქართული პოლკისათვის საჭირო სპეციალური აღჭურვილობა უნდა ჩამოეტანათ...“ (ჭანტურია, 2006:28-29).

ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს სხდომებზე მსჯელობა საგანმანათლებლო საკითხებსაც შეეხებოდა. 1917 წლის 16 სექტემბერს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში განსახილველი საკითხი უნივერსიტეტის დაარსებას შეეხებოდა. ამავე სხდომაზე აღინიშნა, რომ პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა მოხსენება წაიკითხა ქართული უნივერსიტეტის შესახებ. მან თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა როგორც პროფესორთა და სტუდენტთა რაოდენობაზე, ასევე მომავალი უნივერსიტეტის მატერიალურ მხარეზე. ამავე კრებაზე გადაწყდა, რომ საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს ყოველი დონე უნდა ეხმარა, რათა 1918 წლის იანვრიდან თბილისში ქართული უნივერსიტეტი დაარსებულიყო (საბჭო, 1999: 64).

ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში სასკოლო განათლების საქმეც აქტიურად განიხილებოდა. სხდომის ოქმებიდან ირკვევა, რომ არჩეული ყოფილა სასკოლო საბჭო. სასკოლო საქმეთა გასაძღვლად და ამ სფეროს ნაციონალიზაციისათვის 1917 წლის 23 სექტემბრის სხდომაზე გადაწყდა, არჩეულიყო ოთხი კაცისაგან შემდგარი სასკოლო სექცია, ხოლო ეს ოთხი კაცი თითოეულ პარტიას უნდა დაესახელებინა. სექციის ერთ-ერთ წევრად არჩეული იქნა დიმიტრი უზნაძე. პარტიების მიერ დასახელებულნი იყვნენ: ვ. ბურჯანაძე, ბ. ჩიგოგიძე, დ. კარიჭაშვილი. ამ სექციას დაევალა სასკოლო საბჭოს შედგენა, რომელშიც უნდა შესულიყვნენ წინათ უკვე არჩეული პირები: პ. ქავთარაძე, ვ. ყიფიანი, დ. კარიჭაშვილი (საბჭო, 1999: 75-76).

საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში მუშაობის ნაყოფიერად წარმართვისათვის საჭირო იყო შესაბამისი ფინანსების მოძიება. ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1917 წლის 19 სექტემბრის სხდომის ჟურნალიდან ვიგებთ, რომ საფინანსო კომისიის მომხსენებელმა კონსტანტინე მესხმა ისაუბრა საფინანსო საქმეების, ხარჯთაღრიცხვის შედგენისა და მუდმივი წყაროების გამონახვის საჭიროების შესახებ. ამავე სხდომაზე კომიტეტმა დაამტკიცა კომისიის წევრთა სია: კონსტანტინე მესხი (თავმჯდომარე), იასონ ლორთქიფანიძე, გიორგი ჟურული, პეტრე ქავთარაძე, ალექსანდრე ჯაბადარი (საბჭო, 1999: 69). 1917 წლის 8 ნოემბრის სხდომაზე ფინანსური კომისიის თავმჯდომარის კონსტანტინე მესხის ცნობით, ბაქოს მრეწველთა სახელით ალექსანდრე ხოშტარიას საბჭოს საჭიროებისათვის 25 000 მანეთი გამოუგზავნია (საბჭო, 1999: 109, ასევე გელაშვილი, 2016:189).

ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს სხდომებზე საინტერესოდ წარიმართა მსჯელობა თავადაზნაურთა ქონების შესახებ. ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა წინამძღოლმა თავადმა კონსტანტინე აფხაზმა ამ საკითხის შესახებ 1917 წლის 19 ოქტომბერს პირველად წაიკითხა მოხსენება. მან აღნიშნა, რომ მოსალოდნელია ამ ქონების ლიკვიდაცია და გამოთქვა აზრი, ეროვნული ინტერპარტიული საბჭო ჩარეულიყო ამ

საქმეში. საკითხის განხილვა გაგრძელდა 26 ოქტომბრის სხდომაზე. მომხსენებელმა გააცნო კრებას თავად-აზნაურთა ქონების მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ეს ქონება თვით ქართველი ერის საკუთრებაში უნდა გადასულიყო. ამავე კრებაზე გადაწყდა: სანამ ქართველი ერის საერო- უფლებრივი ორგანო არ არსებობს, ქონება დროებით გადაეცეს იმ ორგანოს, რომელსაც აირჩევს ქართული ეროვნული ყრილობა, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიურ დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან შემდგარი (საბჭო, 1999: 91,96). 1917 წლის 3 ნოემბრის კრებაზე კი მდივანმა პავლე საყვარელიძემ წაიკითხა თავად-აზნაურთა დეკლარაცია ქართველი ერისადმი ქონების გადაცემის შესახებ. გადაწყდა: „მოიწვეს 19 ნოემბერისათვის ეროვნული ყრილობა, მიენდოს გ. გვაზავას, გ. რცხილაძეს და ს. ჯაფარიძეს თავად-აზნაურთა დეკლარაციის ამიერკავკ. საგანგებო კომიტეტის მიერ დამტკიცების საკითხი. აღმასრულებელ კომიტეტს მიენდოს ამ საკითხის დანარჩენ ტექნიკურ მხარეების გაძღოლა“ (საბჭო, 1999: 103).

საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ მოამზადა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. 1917 წლის 8 ნოემბრის სხდომაზე დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს ეროვნული ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით - ტერიტორიულით თუ ეროვნულით (საბჭო, 1999: 108-109). იმავე სხდომის დოკუმენტით „ყრილობის მოწვევისას ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინება აუცილებლობად იყო მიჩნეული“ (ვადაჭკორია, 1998:24).

ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ ეროვნული ყრილობის შემადგენლობის საკითხის გადაწყვეტას არაერთი სხდომა დაუთმო. საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს თხოვნით მიმართავდა სხვადასხვა ორგანიზაცია და დაწესებულება, რათა მათი არჩეული წარმომადგენლები ეროვნულ ყრილობაზე ყოფილიყვნენ დაშვებული. ამასთან დაკავშირებით მაგალითისათვის მოგვყავს საარქივო დოკუმენტები:

1917 წლის 16 ნოემბერს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოს მიმართავს განცხადებით: „ვინაიდან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულება არის საქართველოში, ამიტომ ვთხოვთ ინტერპარტიულ საბჭოს დაუთმოს ჩვენს საზოგადოებას სამი წარმომადგენლის გაგზავნის უფლება ...“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 13:23). განცხადებას ხელს აწერს ექვთიმე თაყაიშვილი.

1917 წლის 16 ნოემბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს ფილიალი საქართველოს ეროვნული ინტერ-პარტიულ საბჭოს მიმართავს: „საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც უნდა მოხდეს 19 ამა თვეს, დასასწრებლად, ბაქოს ქართველობამ ამოირჩია ორი პირი - სვიმონ კვიციანი და შიო ბატურიშვილი იმ იმედით, რომ ორივე სრულის უფლებით იქნებიან დაშვებულნი ყრილობაზე. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ბაქოს ქართველობას, რომელიც რიცხვით შეადგენს 10 000 სულზე მეტს, ჰყავდეს თუ მეტი არა ორი წარმომადგენელი მაინც ...“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 29:1).

1917 წლის 18 ნოემბერს საკათალიკოსო საბჭოს კანცელარია ინტერპარტიულ საბჭოს მიმართავს: „საკათალიკოსო საბჭომ აირჩია საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლად ამა წლის 19 გიორგობისთვის მოწვეულ ეროვნულ კრებაზე დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე“ (სეცესსა, ფ.1936, აღ. 1, საქმე 13:23).

1917 წლის 18 ნოემბერს ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აუწყებს: „19 ნოემბერს საერთო კრებაზე დასასწრებლად მთავარ გამგეობის მიერ არჩეულ იქმნა წარმომადგენლად პართენ აღ. გოთუა“ (სეცესსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 10:5).

ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ გასცა ეროვნული ყრილობის მანდატები. მანვე გადაწვიტა ეროვნულ ყრილობაზე მოწვეული ყოფილიყო ახლად შემდგარი ამიერკავკასიის მთავრობა, სხვადასხვა სახელმწიფოს ელჩები და უცხოელთა ეროვნული საბჭოები. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს 1917 წლის 16 ნოემბრის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა „გაეგზავნოს დაპატიჟების წერილები მთიელების და სომხების, თათრების, უკრაინელების და პოლონელების ეროვნულ საბჭოებს. აგრეთვე უცხოელთა ელჩებს, კათალიკოსს, პროჟევალსკის, კავკასიის შტაბის უფროსს (საბჭო, 1999: 121, ასევე ვადაჭკორია, 1998: 26).

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს აღმასკომის 1917 წლის 16 ნოემბრის სხდომის დადგენილებით გადაწყდა: „ეროვნულმა ყრილობამ უნდა შეადგინოს დროებითი ეროვნული საბჭო, რომელიც მოქმედობს მანამდე, სანამ არჩეულ იქნებიან დამფუძნებელ კრებისთვის ქართველი დეპუტატები, ხოლო ეს დროებითი საბჭო თავის უფლებებს გადასცემს იმ ახლად არჩეულ ორგანოს, რომელიც შესდგება საქართველოს ტერიტორიაზე არჩეულ ქართველ დეპუტატთა რიცხვთაგან შეფარდებით. იმ პროპორციით, რომელიც გადაწყვეტილ იქნება დროებითი ეროვნულ საბჭოს და ამ დეპუტატებისა მიერ“ (საბჭო, 1999:124).

1917 წლის 19 ნოემბერს ოპერის თეატრში საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ მუშაობა დაიწყო. იგი ინტერპარტიული საბჭოს სახელით აკაკი ჩხენკელმა გახსნა. ყრილობის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანიას აირჩიეს. სულ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 329 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 19 დელეგატი სათათბირო ხმით. ორგანიზაციების მიხედვით დელეგატები შემდეგი სახით იყვნენ წარმოდგენილნი: ინტერპარტიული საბჭო და პოლიტიკური პარტიები - 67, კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ცენტრი - 15, ქალაქთა თვითმმართველობები - 33, საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო ადმინისტრაციული კომიტეტის - 39, ქართული ჯარის - 20, კოოპერეტივების - 20, პროფესიონალური კავშირები - მასწავლებელთა კავშირების - 9, ქართული პრესის - 9, კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებების - 35, ვაჭრობა მრეწველობისა და ბანკირების - 26, თავადაზნაურობის - 20, ქართული კოლონიები - 8, საქართველოს ეკლესიის საბჭო - 1, სხვადასხვა დაწესებულებების - 8, ქართველ კათოლიკეთა და ქართველ მაჰმადიანთა - 7, საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა - 3, აფხაზეთის - 2 დელეგატი

(ვადაჭკორია, 1998:27, ასევე გურული, 1999ა:95-96).

ყრილობის შემადგენლობა ვახტანგ გურულმა ასე შეაფასა: საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა განასახიერებდა სრულიად საქართველოს, ყველა კლასსა და სოციალურ ფენას, რომელთაგან უპირატესობა ინტელიგენციას ჰქონდა (გურული, 1999:96). შოთა ვადაჭკორია კი ამასთან დაკავშირებით ამბობს: ეროვნულ ყრილობაზე წარმოდგენილი დელეგატები საქართველოს მოსახლეობის სოციალურ ფენებს მაქსიმალურად ითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე, იგი სავსებით აკმაყოფილებდა ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც ეროვნული ყრილობისადმი შეიძლება დაწესდებოდა (ვადაჭკორია, 1998:28).

ყრილობამ პირველსავე დღეს სამუშაო დღის წესრიგი დაამტკიცა: 1) თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი. 2) მოხსენება თავადაზნაურთა ქონების შესახებ. 3) მიმდინარე კითხვები (ერობა, ჯარის ნაციონალიზაცია, სასურსათო საკითხი საბჭოს არჩევა).

ყრილობის 20 ნოემბრის სხდომაზე შემდეგი სამუშაო სექციები ჩამოყალიბდა: ეროვნული საკითხის, საერობო რეფორმების, ჯარის ნაციონალიზაციის, სკოლისა და უნივერსიტეტის, ადმინისტრაციის, იუსტიციის, საფინანსო, სასურსათო, თავადაზნაურთა ქონებისა.

იმასთან დაკავშირებით, თუ რით იყო გამოწვეული ეროვნული ყრილობის უპირობოდ მოწვევა და ზემოთ ჩამოთვლილ განსახილველ საკითხთა დროულად გადაწყვეტა, ამის შესახებ ამომწურავ პასუხს იმავე ყრილობაზე ნოე ჟორდანიას მიერ წარმოთქმული სიტყვა იძლევა. საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციის გაანალიზებისას მან კონკრეტულად მიუთითა იმ ნგრევით პროცესზე, რომელიც რუსეთისა და ევროპის ქვეყნების ეკონომიკის, პოლიტიკისა და ეროვნული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარეობდა. იგი საფუძვლიან შიშს გამოთქვამდა იმის შესახებ, რომ „აბოლოქრებულ ზღვის ტალღებს“ საქართველოც არ ჩაეტანა „რღვევის მორევში“. „ჩვენ პატარა ერი ვართ, - ამბობდა ნოე ჟორდანია - და ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, რომლის ახლოს გადაჭიმულია დიდი საომარი ფრონტი. ამიტომ გვმართებს დიდი სიფხიზლე, გარდა ამისა, რუსეთში გაჩაღდა სამოქალაქო ომი, დღეს არ არსებობს ც. მთავრობა და რუსეთთან ჩვენი პატარა ქვეყნის კავშირი თითქმის სავსებით მოწყდა. ამნაირათ ერთის მხრით ჩვენს ახლოს დიდი საომარი ფრონტის არსებობა, ხოლო მეორეს მხრით რუსეთთან კავშირის გაწყვეტა გვაგაღებს ჩვენს თავს მივხედოთ, ჩვენს თავს ვუპატრონოთ. ამ ნიადაგზე შეერთდა ჩვენში არსებული პოლიტიკური პარტიები ...ჩვენში არის გადასატრედი ორი კითხვა ...პირველი კითხვა ჩვენი ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფა და მეორე კითხვა - შექმნა იმ საფუძვლის, რომელზედაც აგებული იქნება ჩვენი ხალხის თავისუფალ განვითარების შენობა“ (ვადაჭკორია, 1998:29).

როგორც ვხედავთ, - აღნიშნავს შოთა ვადაჭკორია, - ნოე ჟორდანია ქართველი ხალხის ფიზიკური გადარჩენის ერთ-ერთ გზას ეროვნული სახელმწიფოს შენობის აშენებაში ხედავს, რაც პოლიტიკური პარტიების საერთო ნიადაგზე დგომას უნდა დაფუძნებოდა. ეს დებულება ყრილობის მოწინავე ყველა პოლიტიკური პარტიის

წარმომადგენელთა მიერ იყო გაზიარებული, ამ ფაქტორმა ეროვნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ორგანოს შექმნის დაჩქარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა (ვადაჭკორია:1998:29).

რეზოლუციის პროექტის შემუშავების მიზნით ყრილობამ შექმნა ეროვნულ-პოლიტიკური სექცია, რომელშიც შევიდა ყველა პოლიტიკური ფრაქციის წარმომადგენელი. საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ მოისმინა ნოე ჟორდანიას მოხსენება დღევანდელი მომენტისა და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და მიიღო დადგენილება (სეცსსა, ფ. 1836, ად. 1, საქმე 29:1, ასევე დოკუმენტი 1, ასევე სილაგაძე... 1998:27).

ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებულ პროექტს სექციის სხდომაზე ბევრი ოპონენტი გამოუჩნდა. განსაკუთრებით უარყოფითი რეაქცია გამოიწვია რუსეთთან დამოკიდებულების საკითხმა. რეზოლუციის პროექტის პირველი მუხლის თაობაზე ოპონენტთა გამოსვლების შემდეგ ნოე ჟორდანიამ აღნიშნა: „დღეს ობიექტური პირობები, გარდა პრინციპიალური მოსაზრებისა, ისეთია, რომ ჩვენ ცხადად უნდა ვაღიაროთ რუსული ორიენტაცია. უმთავრესად ყურადსაღებია აქ ის გარემოება, რომ ჩვენს ფრონტზე სდგას ამდენი ჯარი, რომელიც, თუ ჩვენ სხვა გზას დავადექით, უკეთეს შემთხვევაში ხელს აიღებს ფრონტის დაცვაზე ...დილემა ისაა, რომ ორ ფრონტს შუა ვართ: რუსეთისა და კავკასიის (იგულისხმება რუსეთის ჯარები ჩრდილო კავკასიასი - ვ.გ.). მარტო ამიერკავკასიის კომისარიატის დაარსებამ რა გამოიწვია ფრონტზე? - ისა, რომ ჯარებმა ეს ფაქტი გამოყოფად (რუსეთიდან გამოყოფად - ვ.გ.) მიიღეს და განაცხადეს: თუ ასეა, ჩვენ რაღას ვაკეთებთ აქ? თქვენ დაიცავით თქვენი ფრონტიო. საჭირო შეიქმნა დეპეშებითა და შიკრიკებით გაფანტვა ამ ბურუსისა“. ნოე ჟორდანიას ვერც ერთმა ოპონენტმა ვერ უპასუხა კითხვას: პრორუსული ორიენტაციის უარყოფამ კავკასიის ფრონტიდან მოხსნა რომ გამოიწვიოს, რა ძალებით აპირებდნენ ისინი თურქეთის შემოტევის შეჩერებას? მით უმეტეს არავის ჰქონდა პასუხი კითხვაზე: კავკასიის არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის მცდელობის შემთხვევაში, რა ძალით უნდა აღდგომოდნენ წინ საბჭოთა რუსეთს?“ (გურული, 1999ა:83-84).

საქართველოს ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით, კერძოდ, საქართველოში ერობის შემოღების შესახებ ეროვნულმა ყრილობამ სპეციალური რეზოლუცია მიიღო. მასში ვკითხულობთ:

1) დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას საქართველოში სამ საფეხურიანი ერობა: ა. მცირე საერობო ტერიტორიული ერთეული, ადგილობრივი პირობების მიხედვით. ბ. სამაზრო და გ. საგუბერნიო ანუ საოლქო.

2) ერობა აგებული უნდა იქნას საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ, ფარულ და პროპორციონალურ საარჩევნო უფლებებზე.

3) ერობას უნდა მიენიჭოს არამარტო სამეურნეო ფუნქციები, არამედ სახელმწიფო მმართველობის ფუნქციებიც. ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად კერძოდ, თვითდაბეგერისა და სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლება.

4) საერო დაწესებულებათა დადგენილების გასაჩივრება ფორმალური კანონმდებლობის მხრივ შეუძლიან სასამართლოში ყველა მოქალაქეს და იურიდიულ პიროვნებას. უმაღლესი მეთვალყურეობა ფორმალური კანონიერების ფარგლებში მოქმედებისა ეკუთვნის მთავრობის ადგილობრივ კომისარს, რომელიც გაასაჩივრებს სასამართლოში.

5) ერობის დაუყოვნებლივ შემოდებაზე ზრუნვა და მისი განხორციელება... მიენდოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

6) დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები, რათა თბილისის გუბერნიის 7 უდაო მაზრაში დაუყოვნებლივ შემოდებული იქნას ერობა და სადაო მაზრების გამო არ შეჩერდეს არც საგუბერნიო საერო დაწესებულებათა შემოდება თბილისის გუბერნიისაში, არც სამაზრო დაწესებულებათა ახალქალაქის მაზრაში.

ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში საქართველოს ტერიტორიული და შიდა სახელმწიფოებრივი მოწყობის თეორიულად გააზრებული ფორმა უკვე საჭიროება და პრაქტიკაში მის გადატანას. მართლია, ქართველი პოლიტიკოსები დიდ იმედებს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე ამყარებდნენ, მაგრამ მის მოწვევამდეც არ იყვნენ ინერტულნი, მყარ ნიადაგს ამზადებდნენ იმ საკითხთა გადასაწყვეტად, რომლებსაც ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა (ვადაჭკორია, 1998:49-50).

ასევე, იურიდიული სფეროს მოწესრიგებისათვის ეროვნულმა ყრილობამ შეიმუშავა რეზოლუცია და მიანდო ეროვნულ საბჭოს მისი გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება. ერთ-ერთ საარქივო მასალაში ამის შესახებ ვკითხულობთ: „...იურიდიული სექცია საჭიროდ სცნობს, რომ აქ წარმოდგენილი ყველა დებულების დაწერილობითი შემუშავება და განხორციელება ეროვნულმა ყრილობამ უნდა მიანდოს ეროვნულ საბჭოს, რომელიც იმოქმედებს ამიერკავკასიის კომისარიატთან შეთანხმებით“ (სცესსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 149:2).

ქართული საჯარისო ნაწილების შექმნის მიზნით სამხედრო სექციამ მიმართა ეროვნულ ყრილობას, რომ მომავალი ეროვნული საბჭოსათვის დაევალებინა სხვადასხვა დონისძიებათა გატარება (სცესსა, ფ. 1836, აღ.1. საქმე 149:1).

ეროვნული ყრილობის მიერ სასკოლო საკითხთან მიღებული დადგენილებების შესახებ შოთა ვადაჭკორია აღნიშნავს: „მართალია, ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ, სკოლის ნაციონალიზაციის საკითხთან მიმართებაში, ანგარიშგასაწევი დადგენილებები მიიღო, მაგრამ მისი პრაქტიკულად განხორციელება ამიერკავკასიის კომისარიატზე იყო დამოკიდებული, რადგან იმ ეტაპზე იგი უმაღლეს განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა. გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ სკოლების შესახებ მიღებულ რეზოლუციაში მიუთითა: ყრილობა აუცილებლად თვლის, ამიერკავკასიის კომისარიატმა დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს საკანონმდებლო დეკრეტი ა/კ იის ერთა სკოლების სრული ნაციონალიზაციის შესახებ... მოხდეს ა/კ იის ერთა სასკოლო ინტერესების გამიჯვნა. აქედან გამომდინარე, რეზოლუცია აყენებდა საკითხს ორგანიზაციის სახის ორგანოს შექმნის შესახებ:

1) საერთო სახელმწიფოებრივი - იგი უხელმძღვანელებდა ყველა იმ სასწავლებლებს, რომელთა მოსწავლეთა შემადგენლობა ეროვნულად შერეული იყო და მასში ნაციონალიზაციის განხორციელება არ მოხერხდებოდა.

2) ეროვნული ორგანო - ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი ორგანოს სახით სათვეში ჩაუდგებოდა გაქართველებულ კლასებსა და სასწავლებლებს, მთელი ქართული სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმეს“ (ვადაჭკორია, 1998: 78-79).

ეროვნული ყრილობის ფინანსურმა სექციამ, რომელშიც თავი მოიყარა „საქართველოს ენერჯისა და მწარმოებელი ძალის ყველა დარგების წარმომადგენლებმა“, აღნიშნა, რომ „საქართველოს ფინანსიური წარმატება დაავიკრივინებს და გააძლიერებს მის პოლიტიკური პარტიების შეთანხმებას და ამხანაგურ მოქმედებას. რასაც უნდა გვიქადდეს მომავალი ფინანსიური შესაძლებლობა საქართველოსი მხარს გაუმაგრებს მის პოლიტიკურ მდგომარეობას... საბჭოს მოქმედება და გაგლენა ამიერკავკასიის მმართველობაზე და ჩვენი მამულის მომავალზე მით უფრო ძლიერი იქნება, რაც მეტ ფინანსიურ საშუალებას აღმოუჩენს მას ქართველობა. მას ჯერ რასაკვირველია არ ეძლევა უფლება პირდაპირ შეეხოს ჩვენი ქვეყნის ხაზინას და სიმდიდრეს, მაგრამ იმ გეგმების შექმნაც, იმ გზების კვლევაც, იმ ენერჯის კრება, რომელნიც საჭირო არიან ჩვენი არსებობის დასაცავად და თვით არსებობის შესაძენად, თქვენს საბჭოს დიდძალ თანხას მოსთხოვს. საფინანსო სექცია ამ მიზეზით ერთხმად გთხოვთ გააძლიეროთ ქართველი ერის პოლიტიკური წარმომადგენლობა, აღჭურვოთ მომავალი საერო საბჭო უფლებით, კურიბოს ნებაყოფლობითი გადასახადი, იღოს სესხი საქართველოს საქმის დასაცავად“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 149:2, ასევე ვადაჭკორია, 2003:239-240).

თავად-აზნაურთა ქონების ქართველი ერის საკუთრებაში გამოცხადების შესახებ ეროვნული ყრილობის მიერ შედგენილ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „... საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ მოისმინა ქართველი თავად-აზნაურობის წინამძღოლთა მოხსენებანი იმის შესახებ, რომ თავდაზნაურობის დადგენილებით 29 ოქტომბრის და 8 ნოემბრის თარიღებით, მთელი მისი, ორივე გუბერნიის თავდაზნაურობის, კოლექტიური ქონება, ქონებრივი უფლებები და ვალდებულებანი აღიარებულია ქართველი ერის ავლადიდებათ და უნდა გადაეცეს, ვიდრე საქართველოს თვითმმართველობის საჯარო უფლებრივი ორგანო დაარსდებოდეს, საქართველოს ეროვნულ საბჭოს დაევალოს... ჩაებაროს ქართველ თავდაზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოდან მისი, თავდაზნაურობის, როგორც წოდებრივი ორგანიზაციის უძრავი და მოძრავი ქონება, ქონებრივი უფლებები და მიიღოს აგრეთვე მისი ვალდებულებანი, ჩაიბაროს თავდაზნაურობის საკრებულოთაგან საქმეები და არქივები. იკისროს ამ ქონების მოვლა პატრონობა და ვალდებულებათა აღსრულება და მიიღოს ყოველივე საშუალება, რათა თავდაზნაურობის ქონებრივი უფლებანი უკლებლივ და მთლიანად ჩააბაროს მას“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 149:2, ასევე გელაშვილი, 2016:191, ასევე ვადაჭკორია, 1998:65-68).

1917 წლის 22 ნოემბერს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს

ეროვნული საბჭო. რა იყო ის ფუნქცია, რომელიც უნდა შეესრულებინა ეროვნულ საბჭოს? ამ კითხვაზე პასუხს ვპოულობთ ერთ-ერთ საარქივო მასალაში სათაურით „ქართველი ერისათვის“. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ქართველი ერი უნდა გამოსულიყო გაერთიანებული დემოკრატიული და რევოლუციური მოთხოვნებით, მას უნდა შეექმნა ხელმძღვანელი ეროვნული დაწესებულება თავისი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს თაოსნობით მოწვეულმა პირველმა ეროვნულმა ყრილობამ დააარსა ასეთი ხელმძღვანელი პოლიტიკური ორგანო - საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, გაუძღვეს და განახორციელოს საზოგადოებრივ - პოლიტიკური და ეროვნული მოთხოვნები. ეროვნულ საბჭოს უნდა შეესრულებინა ეროვნული ყრილობის მიერ გამოტანილი ყველა დადგენილება ერის საჭირობორტო საკითხების შესახებ: სკოლის, სასამართლოს, ადმინისტრაციის და ჯარის ნაციონალიზაციის, ერობის შემოღება, თავად-ახნაურთა ქონების მიღება და მოვლა, სასურსათო კითხვის მოგვარება, ფინანსური მდგომარეობის გაძლიერება და ხალხის ჯანმრთელობის გაუმჯობესება. ეროვნულ საბჭოს უნდა მოეთხოვა და განეხორციელებინა სრული ეროვნულ-ტერიტორიული საკანონმდებლო თვითმმართველობა სამაჰმადიანო საქართველოს ფართო თვითმმართველობის აღიარებით. ასეთივე თვითმმართველობა უნდა მიენიჭებინა იმ განაპირა ადგილებისათვის, რომელთა მცხოვრებნი მოისურვებდნენ საქართველოს ეროვნულ თვითმმართველ ერთეულში შემოსვლას (სეცსსა, ფ.1823, ად. 2, საქმე 1: 296, ასევე ბენდიანი შვილი, 2001:80-81).

1917 წლის 22 ნოემბერს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო. ეროვნული საბჭოს პერსონალური და პარტიული შემადგენლობის განსაზღვრა მიანდეს ყრილობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას. ნ. ჟორდანიას მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით, ეროვნულ საბჭოში ადგილები ასე უნდა განაწილებულიყო: საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 10 ადგილი, საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია - 1 ადგილი, სოციალისტ-რევოლუციონერთა ქართული ფრაქცია (რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში მყოფი ქართველები) - 6 ადგილი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 9 ადგილი, უპარტიონი - 2 ადგილი, ქართული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „ალიონი“ - 4 ადგილი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტს, რომელსაც მაშინ ორგანიზაციულად ექვემდებარებოდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ნოე ჟორდანიას პროექტით, ეროვნულ საბჭოში 28 ადგილი უნდა ჰქონოდა ე. ი. ქართულ სოციალ-დემოკრატებს იმაზე მეტი ადგილები უნდა რგებოდა, ვიდრე სოციალისტ-ფედერალისტებს, ეროვნულ-დემოკრატებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს ერთად აღებულს. ნოე ჟორდანიამ განსაზღვრა ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობაც. რა თქმა უნდა, ეს მოხდა პოლიტიკურ პარტიებთან და მიმდინარეობებთან კონსულტაციის შემდეგ. შეთანხმებისამებერ, ეროვნული საბჭოს წევრთა პარარელურად უნდა არჩეულიყო საბჭოს წევრობის კანდიდატები. კანდიდატების სიიდან საჭიროების

შემთხვევაში შეივსებოდა ეროვნული საბჭო. წევრობის კანდიდატების პარტიული კვოტა და პერსონალური შემადგენლობაც ნოე ჟორდანიამ განსაზღვრა. ნოე ჟორდანიას პროექტის მიხედვით, საქართველოს ეროვნულ საბჭოში სამაჰმადიანო საქართველოს (აჭარას) უნდა ჰყოლოდა სამი წევრი და სამი კანდიდატი. ორი წევრი უნდა აერჩია სოხუმის ოლქს (აფხაზეთს), ხოლო თითო წევრი-ქართლის (სამაჩაბლოს) ოსებს და ზაქათალის ოლქს (საინგილოს) (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 124: 1-2, ასევე გურული, 1994:3).

1917 წლის 22 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად ეროვნულ საბჭოს შემადგენლობაში არჩეული იქნა 67 წევრი და 65 წევრობის კანდიდატი (სეცსსა, ფ. 1936, აღ. 1, საქმე 124: 5-6-7, ასევე გურული, 1993, 3-4: 149-153, ასევე დოკუმენტი 4).

ამრიგად, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ეროვნულ საბჭოში 67 ადგილიდან 28 მიიღეს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „ალიონი“ ყველა ძირითად საკითხში სოციალ-დემოკრატებს მიჰყვებოდა, მაშინ სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობა ეროვნულ საბჭოში 32 მანდატით იქნება წარმოდგენილი. საერთოდ კი საქართველოს ეროვნულ საბჭოში გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა: სოციალისტური (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ალიონელები) და ეროვნულ-დემოკრატიული (ეროვნულ-დემოკრატები და უპარტიოები). 65 ადგილიდან სოციალისტური ორიენტაციის პარტიებს ეკუთვნოდა 48 ადგილი, ე.ი. მთელი ადგილების 73,8%, ეროვნულ-დემოკრატიული ორიენტაციის მქონეთ-11 ადგილი, ანუ 16,9%. თითქმის იგივე თანაფარდობა არსებობდა ეროვნული საბჭოს წევრების კანდიდატთა შორისაც (გურული, 1994:3).

1917 წლის 26 ნოემბერს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი კრება, რომელიც გახსნა ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა და მოუწოდა ეროვნულ საბჭოს: „დაუყოვნებლივ იქნას არჩეული აღმასრულებელი (პოლიტიკური) ორგანო. კამათს იწვევს საკითხი - ცალ-ცალკე იყოს არჩეული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და პრეზიდიუმი, თუ საკმარისია არჩევა მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოსი, რომელსაც მიენიჭება პრეზიდიუმის ფუნქციებიც. გადაწყდა: რადგან საჭიროა, რომ ეროვნული საბჭო რაც შეიძლება მალე შეუდგეს მუშაობას, ამიტომ ჯერ-ჯერობით აუცილებლად უნდა იქნეს არჩეული პოლიტიკური ორგანო-აღმასრულებელი კომიტეტი- შემდგარი 15 კაცისაგან, ხოლო ეროვნული საბჭოს ორგანიზაციის საკითხი გადაიდო შემდგომსათვის. აღმასრულებელ კომიტეტში კრებამ აირჩია შემდგომი პირნი: სოციალ-დემოკრატებიდან 8 კაცი: ნ. ჟორდანიას, ა. ჩხენკელი, ნ. რამიშვილი, ს. ჯიბლაძე, აღ. ლომთათიძე, ა. ფარნიაშვილი, ჰ.ბ. აბაშიძე, პ. საყვარელიძე („ალიონი“); სოც.-ფედერალისტებიდან 2 კაცი - გ. რცხილაძე და ი. გედევანიშვილი; სოციალ-რევოლუციონერებიდან 2 კაცი - კ. მესხი და ვ. გობეჩია; ნაც.-დემოკრატებიდან 2 კაცი-გ. გვაზავა და გ. ვეშაპელი; სამაჰმადიანო საქართველოდან - 1 კაცი-მ. ბ. აბაშიძე (დროებით)“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 2:3, ასევე გურული, 1994: 3-4).

1917 წლის 28 ნოემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა ეროვნული საბჭოს და კომიტეტის ორგანიზაციის საკითხი. აზ-

როა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დადგინდა: „ეროვნულ საბჭოს, რომელიც შედგება 67 კაციდან, ჰყავს თავისი აღმასრულებელი კომიტეტი 15 კაციდან. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი (იგივე სეკრეტარიატი) არის აგრეთვე პრეზიდიუმი ეროვნულ საბჭოსი. პრეზიდიუმი შედგება 6 კაციდან: ესენი არიან: 1. თავმჯდომარე და 3 ამხანაგი. 2. მდივანი და ხაზინდარი. აღმასრულებელი კომიტეტის აზრით, ადგილები ასე უნდა იქნეს გადანაწილებული: თავმჯდომარედ-ნ. ჟორდანიას, მის ამხანაგებად-ა. ჩხენკელი, გრ. რცხილაძე, გ. ვეშაპელი, მდივანად-პ. საყვარელიძე, ხაზინდარად -კ. მესხი“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 2:5).

გარდა ამისა სხვა და სხვა საქმეების გასაძღოლად შეიქმნა სპეციალური კომისიები: 1. ქონების, 2. სამხედრო, 3. საფინანსო, 4. სამოსამართლო, 5. სასკოლო, 6. სახალხო მეურნეობის, 7. სამაჰმადიანო საქართველოს გამგებლობის და 8. საეროხო. ყველა ამ კომისიებს, გარდა საეროხოის, უნდა დანიშნვოდათ გამგეები აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 2:5).

1917 წლის 3 დეკემბერს გაიმართა აღმასრულებელი საბჭოს სხდომა, რომელმაც გამოიტანა განაჩენი 28 ნოემბრის კრების დადგენილების საფუძველზე - კომისიების გამგეები აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან დაინიშნენ. გამგეებს დაევალოთ განსაკუთრებული კომისიების შედგენა, რომელთაშიც უნდა შესულიყო ყველა ფრაქციიდან თითო წარმომადგენელი. გამგეებს და მათ კომისიებს ნება ეძლეოდათ მოეწვიათ ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები. კომისიები და მისი თავმჯდომარეები ასეთი სახით დამტკიცდა: 1. ქონების საქმეთა-გიორგი გვაზავა, მდივანი ილ. ზურაბიშვილი; 2. სამხედრო - ნოე რამიშვილი, ამხანაგი კ. გვარჯალაძე, მდივანი მის. სვანიძე; 3. საფინანსო-კონსტანტინე მესხი (გამგე), საქმის მწარმოებელი ბ. გამსახურდია; 4. სამოსამართლო და საადმინისტრაციო- გრიგოლ რცხილაძე (გამგე), საქმის მწარმოებელი მ. რცხილაძე; 5. სასკოლო და ხელოვნების - გამგე ალექსანდრე ლომთათიძე, ამხანაგი ვ. ბურჯანაძე, საქმის მწარმოებელი ხარებაშვილი; 6. სახალხო მეურნეობის და სასურსათოსი - გამგე გიორგი ლასხიშვილი, საქმის მწარმოებელი ა. პაპავა; 7. საეროხო და გამიჯვნის - გამგე აკაკი ჩხენკელი; 8. ჯანსაღობის - პავლე საყვარელიძე, თავმჯდომარე ს. ვირსალაძე; 9. სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა - გამგე ა. ჩხენკელი, მდივანი დ. ცერცვაძე 10. საგარეო - ა. ჩხენკელი; 11. სატექნიკო - გამგე მ. საყვარელიძე, თავმჯდომარე გ. ქურდიანი, მდივანი ბ. ჭინჭაძე; 12. ხელოვნების - გამგე ვ. გობეჩია, ამხანაგი შ. დადიანი, მდივანი ლ. შენგელაია - ქიაჩელი; 13. მზრუნველობის - გამგე მ. მაჩაბელი, მდივანი დ. ცერცვაძე (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 2:9, ასევე გურული, 1993, 3-4: 155-156).

საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ითვლებოდა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავდა მოადგილეები (ამხანაგები). აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობას თავმჯდომარესთან და მის ამხანაგებთან (მოადგილეებთან) ერთად წარმართავდა საქმეთა მმართველი და მდივანი. ნოე ჟორდანიას არ ყოფნის შემთხვევაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს თავმჯდომარეობდა მისი ამხანაგი (მოადგილე) გიორგი ლასხიშვილი. ეროვნული საბჭოს საქმეთა მმართველად არჩეული იქნა პავლე საყვარელიძე, მდივანად დავით

ნახუცრიშვილი. ეროვნულ საბჭოს პერიოდულად მართავდა კრებებს, ხოლო აღმასრულებელი კომიტეტი - სხდომებს. აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება საბოლოო ყოფილიყო ეროვნული საბჭოს კრებაზე დამტკიცების გარეშეც, თუმცა უმნიშვნელოვანესი საკითხები ეროვნული საბჭოს კრებაზე წყდებოდა. ეროვნულ საბჭოსთან მუდმივად ფუნქციონირებდა სამანდატო კომისია (თავმჯდომარე რაჟდენ არსენიძე), რომელიც საბჭოს შემადგენლობის შევსება-განახლების საქმეს განაგებდა. ეროვნული საბჭოს მდივნად არჩეულ იქნა ილია ზურაბიშვილი (გურული, 1994:3).

ალექსანდრე ბენდიანიშვილი ეროვნული საბჭოს ფუნქციას ასე აფასებს: „ეროვნულ საბჭოს ფაქტობრივად უნდა შეესრულებინა პარლამენტის ფუნქცია და, ბუნებრივია, საჭირო იყო მუდმივმოქმედი აღმასრულებელი ორგანოს შექმნაც. აღმასრულებელი კომიტეტი აირჩიეს 15 კაცის შემადგენლობით. თავმჯდომარედ დაამტკიცეს ნ. ჟორდანიას, მის ამხანაგებად (მოადგილეებად) - ა. ჩხენკელი, გრ. რცხილაძე, გრ. ვეშაპიძე; მდივნად - პ. საყვარელიძე, ხაზინდარად - კ. მესხი.

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი მიიღო, საიმედო დასაბამი მისცა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესს. ყრილობის მიერ არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ საქართველოს ეროვნული პარლამენტის წინამორბედის როლი და ფუნქცია შეასრულა. პირველად სცადა დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ერისა და ქვეყნის სახელმწიფოებრივი სტრუქტურის, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა (ბენდიანიშვილი, 2001:80).

საქართველოს ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობის შევსება-განახლება თითქმის სისტემატურად მიმდინარეობდა. წევრებისა და კანდიდატების შეცვლა ხდებოდა პოლიტიკურ პარტიათა მოთხოვნების საფუძველზე. პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობის თხოვნას იხილავდა სამანდატო კომისია, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვნიდა ეროვნულ საბჭოს კრებას. იყო შემთხვევები, როდესაც ეროვნული საბჭოს წევრი პირადი სურვილითაც სტოვებდა საბჭოს. ამ შემთხვევაში მის ადგილზე შესაბამისი პოლიტიკური პარტია წარადგენდა ახალ კანდიდატურას (გურული, 1994:3).

1917 წლის 3 დეკემბერს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განიხილეს: „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი, თხოულობს რომ მიხეილ მაჩაბელის მაგივრად, რომელმაც უარი განაცხადა ეროვნულ საბჭოს წევრობაზე დ. ვაჩნაძის სასარგებლოდ, ეროვნულ საბჭომ წევრად მიიღოს დ. ვაჩნაძე, რადგან მთავარი კომიტეტის აზრით დ. ვაჩნაძის მონაწილეობა ეროვნულ საბჭოში აუცილადებლად საჭიროა” (სეცსსა ფ. 1836, აღ.1, საქმე 2:10).

სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის სექციამ 1918 წლის 9 იანვრის სხდომაზე ეროვნული საბჭოს წევრობის კანდიდატებად აირჩია შემდეგი პირნი: მ. ზანდუკელი, ნ. ნ. ჩიგოგიძე, პ. საბაშვილი, ი. ი. ბერეჟიანი, ელ. სანიკიძე-ვოლობუევა (სეცსსა, 1836, აღ.1, საქმე 124:12, ასევე გურული, 1993, 3-4:154).

1918 წლის 2 თებერვალს სოციალისტ-ფედაერალისტთა სარევოლუციო პარტი-

ის მთავარმა კომიტეტმა დაადგინა: „საბჭოს წევრად შედის ამხ. სამსონ პლატონის ძე დადიანი ხოლო ს. დადიანის ნაცვლად კანდიდატის ადგილს იჭერს ამხ. შალვა ნუცუბიძე“ (სცსსა 1836, ად.1, საქმე 124:14, ასევე გურული, 1993, 3-4:155).

1918 წლის 6 თებერვალს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა ეროვნულ საბჭოში წევრობის კანდიდატობის სიას დაუმატა იოსებ მაჭავარიანი და ალექსანდრე ასათიანი (სეცსსა 1836, ად.1, საქმე 124:12).

1918 წლის 2 აპრილს საქათალის რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიის მთავარი კომიტეტი საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიმართავს რომ კომიტეტის მიერ საბჭოში ინიშნება ალექსანდრე ახმეტელი ეროვნული საბჭოს კანდიდატ დომენტი არაშიძის მაგიერ (სეცსსა 1836, ად.1, საქმე 124:15).

1918 წლის 13 აპრილს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიმართავს: „ეროვნულ საბჭოში ჩვენი ფრაქციის კანდიდატის ერთ თავისუფალ ადგილზე კანდიდატად, თანახმად მთავარი კომიტეტის დადგენილებისა, გთხოვთ ჩარიცხოთ პ. ინგოროყვა“ (სეცსსა, 1836, ად. 1, საქმე 124: 17).

საქართველოს ეროვნულ საბჭოს „ალიონის“ ჯგუფი მიმართავს განცხადებით: „ვინაიდან ეროვნულ საბჭოს წევრი ნიკ. ქარცივაძე და კანდიდატი კალ. ქავთარაძე ამჟამად ბრძოლის ველზე იმყოფებიან, გთხოვთ მათ მაგიერ ჩარიცხოთ შალვა შარაშიძე და დავით სულიაშვილი“ (სეცსსა, 1836, ად. 1, საქმე 124: 17).

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული საბჭოს მთავარი კომიტეტი 1918 წლის 3 აპრილს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიმართავს: „თანახმად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის აპრილის 2-ის სხდომის დადგენილებისა გთხოვთ, ამ პარტიის კიდევ ერთ წარმომადგენლად ეროვნულ საბჭოში ჩარიცხოთ ბ-ნ ი. მარგველაშვილი. უკიდურეს შემთხვევაში გთხოვთ კანდიდატთა სიაში მაინც მოახვედროთ (სეცსსა, 1836, ად. 1, საქმე 124: 19).

1918 წლის 11 თებერვალს საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-8 კრებაზე განიხილეს საკითხი ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ. დოკუმენტში აღნიშნულია: „აღმასრულებელმა კომიტეტმა იქონია მსჯელობა ამ საკითხის შესახებ და გადასწყვიტა ჯერ-ჯერობით, ეროვნულ საბჭოს რეორგანიზაცია იმ გზით მოხდეს, რომ მის შემადგენლობას მიემატნენ ამიერკავკასიის დეპუტატები - ე.ი. სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების ქართველი დეპუტატები - ერთი სამად გამრავლებულნი პროპორციის მიხედვით“ (სეცსსა, ფ. 1836, ად.1, საქმე 5: 46-47, ასევე გურული, 1994:3).

ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ ვახტანგ გურული წერს: „ეროვნულ საბჭოს ახლანდელ შემადგენლობას მიემატნენ ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატები. იმ დეპუტატთა მაგიერ, ვინც უკვე ეროვნულ საბჭოს წევრად ირიცხება, მოწვეულ იქნან სათანადო პარტიული კანდიდატები. ამიერკავკასიის პარტიული კანდიდატები. ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატები, ე.ი. ფაქტობრივად ბოლშევიკების მიერ გარეკილი რუსეთის დამფუძნებელი კრების ქართველი დეპუტატები (კ.

ჩხეიძე, ი. წერეთელი და სხვ.). ეროვნულ საბჭოს შექმნა ცხადია ზრდიდა მის ავტორიტეტს“ (გურული, 1994:3).

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ეროვნული საბჭოს შექმნა - განახლება განსაკუთრებული სიფრთხილითა და მკაცრად დადგენილი წესით ხორციელდებოდა. როგორც უკვე აღინიშნა, ეროვნული საბჭოს წევრთა პარალელურად ირჩეოდა საბჭოს წევრობის კანდიდატებიც. სწორედ ამ კანდიდატების სიიდან, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შევსებულიყო ეროვნული საბჭო. ჩვენ მიერ მოკვლეულ საარქივო მასალაში, რომელიც 1918 წლის 8 მაისით არის დათარიღებული, მოცემულია რკინიგზის ქართველ მომსახურეთა კავშირის მიმართვა საქართველოს ეროვნულ საბჭოსადმი, რომელითაც ითხოვს, რომ ნება დაერთოთ ეროვნულ საბჭოში ჰყოლოდა მუდმივი წამომადგენელი ან „მოთათბირე ხმით მაინც“. კავშირი ასახელებს თხოვნის მიზეზს და აღნიშნავს: „ჩვენს წარმომადგენელს ნება მისცეთ მონაწილეობა მიიღოს კონსტიტუციის შემუშავებაში და განსაკუთრებით რკინის გზის გამიჯვნაში და მოწყობაში“ (სეცსსა, 1836, აღ. 1, საქმე 12:86). ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა რკინის გზის ქართველ მომსახურეთა კავშირს უარი განუცხადა შემდეგი მიზეზით: „თქვენი თხოვნა დაკმაყოფილებული ვერ იქნება რადგანაც ეროვნულ საბჭოს წევრნი არჩეულ არიან საქართველოს ეროვნულ პირველ ყრილობის მიერ, რის შეცვლაც ამ პერიოდში შეუძლებელია“ (სეცსსა, 1836, აღ. 1, საქმე 12:86).

ეროვნული საბჭო თავის მოღვაწეობას მრავალი მიმართულებით წარმართავდა. მის მე-3 კრებაზე, რომელიც გაიმართა 1917 წლის 17 დეკემბერს, განიხილებოდა სამაჰმადიანო საქართველოსთან დამოკიდებულების საკითხი. კრებაზე ამ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს „სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა გამგე სექციის“ მოხსენება. მოხსენებელმა საყვარელიძემ კრებას წარუდგინა სექციის მუშაობის პროგრამა. მან აღნიშნა: „სექციამ საჭიროდ დაინახა სამაჰმადიანო საქართველოში მუშაობა აწარმოვოს ასე: პირველი, პოლიტიკური მხარე - სამაჰმადიანო საქართველოს მიენიჭოს საკუთარი თვითმმართველობა შინაურს საქმეებში (რაც ამას მოითხოვს აგრეთვე საქართველოს ეროვნული ყრილობის რეზოლუცია). მხოლოდ, იგი იქნება განუყოფელი ნაწილი მთლიან რესპუბლიკანურ საქართველოში; მეორე მხარე - კულტურული: დაარსება შკოლებისა. სამასწ. სემინარი და სხვა. სკოლის საკითხია ამასთანავე ენის საკითხიც, ამიტომ სექციამ მიიღო შემდეგი წესი: მხარე განაწილდეს რაიონებად: იქ, სადაც ოჯახში დედა-ენა ქართულია - სწავლება იქნება ქართულს ენაზედ, მხოლოდ თათრული ენის სწავლა იქნება სავალდებულო; იქ, სადაც ოჯახში დედა ენა თათრულია, სწავლა იქნება თათრულ ენაზე, მხოლოდ ქართული ენის სწავლა იქნება სავალდებულო. სამაჰმადიანო საქართველოს მცხოვრებთ თვითმმართველობის მინიჭება ეცნობებათ მოწოდებით, რომელიც დაბეჭდილი იქნება ქართულად და თათრულად“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 9: 23, ასევე ჭანტურია, 2006:137-138).

როგორც ვხედავთ, ეროვნულ საბჭოში დიდი სიფრთხილითა და გულისხმიერებით ეკიდებოდნენ სამაჰმადიანო საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩვენი აზრის განსამტკიცებლად დავასახელებთ კიდევ ერთ მაგალითს: როდუ-

საც 1918 წლის 19 თებერვალს ეროვნული საბჭოში ოსმალეთთან ზავის დადების საკითხი იხილებოდა, კრების თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ აღნიშნა: „საჭიროა მოლაპარაკება აჭარლებთან, ქობულეთელებთან. კაცები გავაგზავნოთ, აუუხსნათ, რომ ვიცავთ ბათუმს არა იმიტომ, რომ სხვას ვისმე გადავსცეთ, არამედ იმიტომ, რომ მათთვისვე გვინდა, თვითონ ისინი იყვნენ ბატონ-პატრონნი. ამისთანა მოწოდებით უნდა მივმართოთ” (სეცსსა, ფ.1836, აღ.1. საქმე 5:56).

მნიშვნელოვანია ეროვნული საბჭოს როლი ქართული რეგულარული ჯარის შექმნის საქმეში. ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის შესახებ ქართული რეგულარული ჯარის შექმნასთან დაკავშირებით ვრცლად ცალკე პარაგრაფში გვექნება კვლევა წარმოდგენილი.

ეროვნული საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი მრავალი მიმართულებით წარმართავდა მოღვაწეობას და ყველა თავის გადაწყვეტილებას დიდი სიფრთხილითა პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. როცა ოსმალეთთან ბრძოლის საშიშროება წარმოიშვა და ამასთან დაკავშირებით მობილიზაციის გამომცხადების საჭიროება რეალობად იქცა, ეროვნული საბჭოს წევრები გულდასმით მსჯელობდნენ, თუ როგორ უნდა მიეტანათ ხალხამდე მობილიზაციის საჭიროება ისე, რომ მოწოდება დამაჯერებელი ყოფილიყო. ეროვნული საბჭოს მიმართვა „ქართველი ერისადმი“ უპირველესად მორალურ გავლენაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ქართველ ერს შემდეგი მოწოდებით მიმართავს: ქვეყანას ემუქრება მტრის შემოსევა, სამშობლოს მოელის შინაური საყველთაო დარბევა და განადგურება. ბრძოლის ველი ცარიელდება და ვრჩებით დეტის ანაბარად მტრისა და დაშლილი ჯარის მოლოდინში. თავისუფლების სახელით და ქვეყნის საკეთილდღეოდ ყველა ქართველმა მეომარმა საჩქაროდ თავი უნდა მოიყაროს ქართულ სამხედრო ერთეულებში. ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტი დარწმუნებულია, რომ მთელი ქართველი ერი, საქართველოს ყველა მოქალაქე მხურვალედ გამოეხმაურება მის მოწოდებას (სეცსსა, ფ.1823, აღ2, საქმე 1:296).

ეროვნული საბჭო ცდილობდა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მოეძებნა, სწორედ ამიტომ მოლაპარაკებას წარმართავდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. ჯერ კიდევ 1917 წლის 8 დეკემბერს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შედგა შეხვედრა ანტანტის სახელმწიფოთა (ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის) ელჩებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანი, აკაკი ჩხენკელი, ალექსანდრე ლომთათიძე, პავლე საყვარელიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ ქარცივაძე, გიორგი გვაზავა, გრიგოლ რცხილაძე, ალექსანდრე ფარნიაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, ევგენი გეგეჭკორი. ანტანტის სახელმწიფოთა ელჩებმა ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს განუცხადეს: „ჩვენ ვიცნობთ ერთ მთლიან რუსეთს და მის დროებით მთავრობას, ცალკე ერებს კი - როგორც რუსეთის ნაწილებს. მით უმეტეს, რომ არც ქართველებს და არც სომხებს არა ჰყავთ თავიანთი საკუთარი მთავრობანი; ჩვენ ამიერკავკასიის კომისარიატი ვიცანით მთავრობათ და ურთიერთობა გვაქვს მასთან. ამიერკავკასია უნდა შეუთანხმდეს სამხრეთ-დასავლეთის კავშირს, სადაც შევლენ უკრაინა

და ციმბირიც, მერე რუსეთი აღდგება როგორც ფედერატიული ერთეული“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 2: 15, ასევე გურული 1999ა:85-86).

მიუხედავად ანტანტის სახელმწიფოთა ელჩების ამგვარი დამოკიდებულებისა, ეროვნულ საბჭოს მაინც არ დაუკარგავს იმედი და 1918 წლის 8 მარტს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ევროპასა და უკრაინაში ქვეყნის პოლიტიკური, ფინანსური და ეკონომიური მდგომარეობის საკითხებზე მოლაპარაკებასთან დაკავშირებით გასაგზავნი დელეგაციის წევრები აირჩიეს. ევროპაში გასაგზავნი დელეგაციის წევრებად დასახელდნენ: გრ. გიორგაძე, ვლ. ახმეტელაშვილი, სვიმონ მდივანი, ბარ. პაპავა; უკრაინაში გასაგზავნად კი - ი. კ. მაჭავარიანი, ი. სალაგაია (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 2: 49).

1918 წლის 20 მარტს კი ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება: ევროპაში გასაგზავნი დელეგაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გრ. გიორგაძე, რომელსაც გადაეცა 50 000 მან, ხოლო უკრაინაში წამსვლელთათვის, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვლ. ახმეტელაშვილი, გადაიღო 14 000 მან (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 2:54).

ჩვენ მიერ მოკვლეული გერმანულენოვანი დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ უფლებამოსილება მიანიჭა თავის წევრს, სვიმონ მდივანს, კაიზერული გერმანიის მთავრობასთან ეწარმოებინა მოლაპარაკება პოლიტიკურ, ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით და ხელი მოეწერა ხელშეკრულებებისათვის (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 127: 45, ასევე დოკუმენტი 3). დოკუმენტს, რომელიც 1917 წლის 12 მარტით არის დათარიღებული, ხელს აწერს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას და მდივანი პავლე საყვარელიძე.

მას შემდეგ, რაც 1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთში ბოლშევიკებმა კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება განახორციელეს, ამიერკავკასიაში დაიხვა საკითხი ადგილობრივი ხელისუფლების შექმნის აუცილებლობის შესახებ. 1917 წლის 15 ნოემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი. ამ პერიოდის შემდგომ ამიერკავკასიაში შექმნილ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ვახტანგ გურული ასე აფასებს: 6 იანვარს ბოლშევიკებმა გარეკეს რუსეთის დამფუძნებელი კრება. იმავე იანვრის შუა რიცხვებში კავკასიის ფრონტიდან მოხსნილი რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციის მცდელობა და მისი ჩაშლის შემდეგ საქართველოდან რუსეთის არმიის წასვლა უკვე ნიშნავდა რუსული ორიენტაციის დასასრულს. უცილებელი შეიქნა ახალი პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა. რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შანსები სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. ამიერკავკასიის სეიმის შექმნა აუცილებელი გახდა. 1918 წლის 22 იანვარს თბილისში შეიკრიბნენ რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიიდან არჩეული დეპუტატები. შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი (გურული, 1999:103-104).

ამ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მსჯელობა მიმდინარეობდა როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს კრებებზე, ისე ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე. 1918 წლის 21 იანვარს ეროვნული საბჭოს მე-7 კრებაზე განსახილველი საკითხი ამიერკავკასიის სეიმის დაარსებას შე-

ეხებოდა. კრებაზე მოხსენება წარადგინა ნოე ჟორდანიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ვინაიდან დამფუძნებელი კრება არ შედგა, ამიტომ, ცხადია უნდა მივმართოთ იმისთანა წყობილებას, რომელიც შეგვაძლებინებს ჩვენი ქვეყანა ჩვენვე ვმართოთ. იმის ცდა, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრება შეიკრიბება და რამეს მოგვცემს, უნაყოფოა, რადგან რუსეთში ანარქია დიდხანს გაგრძელდება, რადგან ჩვენშიც შინაური ანარქია თანდათან ვრცელდება, თუ რაიმე წყობილება არ ჩამოვაყალიბეთ და ზომები არ მივიღეთ ამ ანარქიასთან შესაბრძოლებლად, ის გაგვანადგურებსო. კრებაზე საკითხი შეეხო ადგილობრივი მთავრობის - ამიერკავკასიის კომისარიატის რეორგანიზაციის საკითხს. აღინიშნა, რომ რადგან იგი თავისი შემადგენლობით არავის აკმაყოფილებს, საჭიროა მისი სრული რეორგანიზაცია (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 5: 26, ასევე ჭანტურია, 2006: 46-47).

ამავე კრებაზე ნოე ჟორდანიამ საბჭოს წევრებს გააცნო მენშევიკების პროგრამა, რომელშიც ყურადღება გამახვილებული იყო ცენტრალური მთავრობის შედგენაზე. როგორც ნოე ჟორდანიამ აღნიშნავდა, საჭირო იყო სხვადასხვა ერთა ეროვნული ორგანოები ერთ ცენტრალურ ორგანოში გაერთიანებულიყო, ამის შემდეგ კი კავკასია ეროვნულ-ტერიტორიულად უნდა დაყოფილიყო და ყველა ერს უნდა შესძლებოდა თავისი მთავრობა მოეწყო. კრებაზე ტერიტორიული გამიჯვნა შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: ცენტრალური ავტორიტეტული და უფლებამოსილი მთავრობა მთავრად ერების გაყოფას. ჩამოყალიბდებოდა ნაციონალურ - ტერიტორიული ერთეულები. ამ ერთეულებში მცხოვრებ უმცირესობებს გარანტია უნდა მისცემოდათ „კულტურულ-ეროვნული განვითარების არსებობისა“. ამრიგად, თითოეულ ერს თავის ტერიტორიაზე საკუთარი თვითმმართველობა ექნებოდა, ეყოლებოდა მთავრობა და შეიარაღებული ძალა, რომლის საშუალებითაც უნდა დაეცვა შინაური და საერთო წესრიგი სხვა ერებთან შეთანხმებით. ნოე ჟორდანიამ მიიჩნევდა, რომ, როცა ერები ტერიტორიულად გაემიჯნებოდნენ, ამის შემდეგ ახალი არჩევნების შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო ცალ-ცალკე ახალი ორგანოები თითოეული ერისათვის. ნოე ჟორდანიას თქმით, ეს იქნებოდა ამ ერების დამფუძნებელი კრებები. ასეთი შეერთებული ადგილობრივი ცენტრალური და ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობანი შექმნიან ისეთ კონსტიტუციურ წეს-წყობილებას, რომელიც დააკმაყოფილებს ამიერკავკასიაში მოსახლე ერების მოთხოვნებს.

ნოე ჟორდანიამ თავის გამოსვლაში რუსეთთან დამოკიდებულების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ თუ რუსეთში წესრიგი აღდგენილი იქნება და დამფუძნებელი კრება შედგა, მან უნდა დაადასტუროს ამიერკავკასიაში დამყარებული წყობილება. თუ არ დაადასტურა, ეს იქნება რეაქცია, რომელსაც უნდა შებრძოლებოდნენ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 5:28, ასევე ჭანტურია, 2006:48).

1918 წლის 6 იანვარს, რუსეთში ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ, ამიერკავკასიის მთავრობამ გადაწყვიტა დამოუკიდებლად დაეწყო მოლაპარაკება თურქეთთან.

10 (23) თებერვალს შედგა ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომა, რომელზეც

მიღებული იქნა დადგენილება, რომ თურქეთთან მოლაპარაკება ჩატარებულიყო არა თბილისში, არამედ ტრაპიზონში, სადაც ამიერკავკასიის დელეგაცია გაემგზავრებოდა 2 მარტს. დელეგაციებს უნდა ეხელმძღვანელა სეიმის მიერ შემუშავებული გეგმით, რომლის მიხედვით, თურქეთსა და ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის უნდა დარჩენილიყო 1914 წლამდე საზღვარი, ხოლო თურქეთის სახელმწიფოში მცხოვრებ სომხებს მიეღოთ ავტონომია (სვანიძე, 1996:288).

1918 წლის 19 თებერვალს ეროვნული საბჭოს მე-9 კრებაზე „განსახილველი საგანი“ ოსმალეთთან ზავის დადების საკითხს შეეხებოდა. ეროვნული საბჭოს წინაშე მოხსენებით წარსდგა აკაკი ჩხენკელი, რომელმაც აღნიშნა: „როგორც მოგეხსენებათ ამიერკავკასიის კომისარიატმა შეუთვალა ოსმალეთის ჯარის უფროსს მის შეკითხვაზე, რომ იგი, კომისარიატი, თანახმაა ზავის შესახებ ...17 თებერვალს მოხდა არჩევანი დელეგატებისა, რომელნიც იმავე ღამეს უნდა გამგზავრებულიყვნენ. მაგრამ იმავე დღეს, საღამოს 8 სთ-ზედ, ბათუმიდან შეგატყობინეს, რომ მიღებულია რადიო-ტელეგრამა, რომლიდანაც ირკვევა, რომ გერმანიისა და ბოლშევიკების მიერ შეკრულ ზავში მოხსენებულია ამიერკავკასიაც, კარასანი იტყობინებოდა, რომ ზავის საკითხი გადაეწყვიტეთ, რადგანაც გერმანია არ ჩერდება, წინ იწევსო. 21 თებერვლის (ახ. სტილ.) ულტიმატუმით გერმანიამ სხვათა შორის თურმე მოითხოვა - ჩამოეჭრას ამიერკავკასიას სამი ოლქი - ბათუმის, ყარსისა და არდაგანის და გადაეცეს ოსმალეთსო და ეს მოთხოვნა დამყარებულია ამ ოლქების მობინადრე ერთა თვითგამორკვევის უფლებაზე. მაშასადამე, იმავე დროს, როცა ჩვენ აქ გვქონდა მოლაპარაკება ზავის შესახებ, - იქაც, ბრესტ-ლიტოვსკში, უმსჯელიათ და კიდევ გადაუწყვეტიათ. - ამ ცნობის მიღების გამო თავისთავად დაიბადა საკითხი - დელეგაციის წასვლა-წაუსვლელობის შესახებ. ჩვენ გადაეწყვიტეთ, რომ წასვლა შეუძლებელია... ამიერკავკასიის კომისარიატს, რაღა თქმა უნდა, გუშინ წინ ღამვე მსჯელობა ჰქონდა ამ მოულოდნელ ამბის გამო. გადაწყდა, გაეგზავნოს დეპეშა როგორც ბრესტ - ლიტოვსკის სამშვიდობო კონფერენციას, აგრეთვე პეტროგრადისა და სხვა სახელმწიფოთა მთავრობებს იმის შესახებ რომ, - თუ ბრესტ-ლიტოვსკში შეკრული ზავის პირობები ამიერკავკასიის შესახებ მართალია, - იგი პირობები სავალდებულო და მისაღები არ არის ამიერკავკასიისათვის, როგორც მის დაუკითხავად და დაუდასტურებლად მიღებული. ამასთანავე დავადგინეთ შეეკითხოდით ოსმალეთის ჯარების სარდალს - დელეგაციის გაგზავნის შესახებ. დელეგაცია მზად არის გასამგზავრებლად ...სეიმის სამშვიდობო კომისიის მიერ შემუშავებულ საზავო პირობებით განსაზღვრულია, რომ ორივე მხარემ უნდა შეინარჩუნოს ის სახელმწიფო საზღვრები, რომელიც 1914 წლამდე არსებობდა, - ამასთანავე მოთხოვნილება, რომ ოსმალეთის სომხეთს მიენიჭოს ეროვნული პოლიტიკური თვითმმართველობა ოსმალეთის საზღვრებში“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1. საქმე 5:48-49, ასევე ჭანტურია, 2006:51-52).

შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა მდგომარეობამ დღის წესრიგში ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადების საკითხი დააყენა. 1918 წლის 19 თებერვალს ეროვნული საბჭოს კრებაზე ამასთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს შორის ცხარე კამათი გაიმართა. ნოე ჟორდანიამ განაცხადა, რომ ამ რთულ საკითხ-

ში აჩქარებით ნაბიჯის გადადგმა საფროთხილო იყო, რადგან ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთისა. დამოუკიდებლობას ვერ გამოაცხადებდნენ, სანამ ისეთი მოკავშირე არ გამოჩნდებოდა, რომელიც გულწრფელად დაიცავდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას. ეროვნული საბჭოს წევრ იასონ ლორთქიფანიძის გამოთქმულ მოსაზრებას, - დამოუკიდებლობა რომ გამოგვეცხადებინა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავს ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდაო, - ნოე ჟორდანიამ უპასუხა: „ჩვენ, რომ აჩქარებით დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა, მაშინ ორ მტერს შუა ჩავცვივდებოდით - რუსეთისა და ოსმალეთს შუა, ერთი სიტყვით, ორ ცეცხლს შუა მოვექცეოდით“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 5:49-50, ასევე ჭანტურია, 2006:52).

კამათის დასრულების შემდეგ ნოე ჟორდანიამ საკითხი დასვა იმის შესახებ, გადაეწყვიტათ, დაუთმობდნენ თუ არა ოსმალეთს ბოლშევიკური ზავის პირობებით განსაზღვრულ ნაწილებს. თუ არ დაუთმობდნენ, ბათუმი უნდა გაემაგრებინათ და დაეცვათ. სომხები ყარსის და არდაგანის ხაზის გამაგრებას კისრულობენ. ამრიგად, ნებაყოფლობით ბათუმს არ მისცემდნენ და თუ ოსმალეთი არ მოისურვებდა დათმობას, ძალით წაეღო. ეროვნულმა საბჭომ ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „საქართველოს ეროვნული საბჭო საჭიროთ სთვლის მილიტარულ და ფინანსიურ ძალების მობილიზაციას ბათუმის ოლქის დასაცავად, რომელიც ბოლშევიკურმა ზავმა უკანონოდ საქართველოს ტერიტორიას ჩამოჰკლია. როგორც ბათუმის, ისე ყარსის დასაცავად საქართველოს ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის პირდაპირი კონტაქტის დაჭერას ამიერკავკასიის სხვა ერთა საბჭოსთან და ამიერკავკასიის სეიმის მიერ დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებას“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 5:58, ასევე ჭანტურია, 2006:52-53).

ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის უარმა, მონაწილეობა მიეღო ბრესტის საზავო კონფერენციის მუშაობაში, საქმე გაურთულა ოსმალეთს. როგორც ცნობილია, ბრესტის ზავის პირობებმა ოსმალეთის უპირატესობა დაადასტურა, თუმცა საბოლოოდ ბათუმის, ყარსისა და არდაგანის საკითხი გადაწყვეტილი არ იყო. ამ ტერიტორიაზე უფლების მოპოვებისათვის საჭირო იყო ამიერკავკასიაში მცხოვრებ ხალხთა თანხმობა. სწორედ ამ მიზეზით ოსმალეთი იძულებული იყო წარემართა მოლაპარაკება ამიერკავკასიის მთავრობასთან ტრაპიზონში. ოსმალეთს სურდა, რომ ამიერკავკასიაში არსებულ ხელისუფლებასაც დაედანტურებინა ბრესტის ზავით მიღებული ტერიტორიების გადაცემა. ამიერკავკასიის სამართლებრივად მოუგვარებელი მდგომარეობა ერთგვარ უპირატესობას აძლევდა ოსმალეთს, მაგრამ საბოლოოდ მათ მაინც სრულფასოვან საერთაშორისო სუბიექტთან უნდოდათ ხელშეკრულების დადება. აი, როგორ აფასებს გაზეთი „ერთობა“ ტრაპიზონის კონფერენციასთან დაკავშირებულ საკითხებს: „ტრაპიზონისაკენ გაემგზავრნენ ამიერკავკასიის სეიმის მიერ არჩეული სამშვიდობო დელეგაცია და იქ ოსმალეთის წარმომადგენლებთან ერთად შეუდგნენ საბოლოო ზავის ჩამოგდებას. ერთი რამ არის საგულისხმო: ოსმალეთის მთავრობას, ეჭვს გარეშეა, ბოლშევიკების მიერ ბრესტში მირთმეული ნობათი, - ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქების გადაცემა, - ნაღდ თამასუქად არ მიუღია და ეს საკითხი საბოლოოთ გადაწყვეტილათ არ მუხნევია,

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის სეიმმა გადაჭრით უარყო ბოლ-
შევიკების უფლება ასეთი ნობათის მირთმევაზე ...ბათუმს, ყარსსა და არდაგანს ამ-
იერკავკასიის დემოკრატიკ ვერავის ვერ გადასცემს. ვიმეორებთ - ეს ძალიან კარ-
გად იცოდა ოსმალეთის მთავრობამ და ამიტომ იგი დასთანხმდა ამიერკავკასიის
ხალხთან და მის უმაღლეს ორგანოსთან დამოუკიდებელ საზავო მოლაპარაკების
გამართვას“ (ერთობა, 1918:44).

1918 წლის 26 მარტს (8 აპრილს) გაიმართა ეროვნული საბჭოს მე-11 კრება, რო-
მელსაც ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობდა. ტრაპიზონის კონფერენციის მსვლე-
ლობის შესახებ მოხსენება აკაკი ჩხენკელმა გააკეთა, რომელიც აღნიშნავდა, რომ
ოსმალეთის დელეგაცია არ ცნობდა ამიერკავკასიას, როგორც დამოუკიდებელ
სახელმწიფოს, რადგან მისი დამოუკიდებლობა არც ერთ სახელმწიფოსგან არ იყო
აღიარებული და მას განიხილავდნენ, როგორც რუსეთის ნაწილს. ამავე დროს, - აღ-
ნიშნავდა მომხსენებელი - მივიღეთ გადაწყვეტილება, ოსმალეთის დელეგაციისათ-
ვის გადაგვეცა სეიმის რეზოლუცია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ.
ვინაიდან ისინი მაინც გვედავებოდნენ ამ საკითხის გამო, ჩვენ წარუდგინეთ რეზო-
ლუცია სეიმის კომისარიატის მაგიერ სამინისტროს დაარსების შესახებ. მაგრამ
თურქეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას,
თუ საზავო ხელშეკრულების აქტში ცალკე მუხლად იქნებოდა შეტანილი ეს და-
მოუკიდებლობა. აქვე დასძინეს, „ამ ხელშეკრულების დადება არ შეიძლება, ვიდრე
ხელს არ აიღებთ ყარსისა, არდაგანისა და ბათუმის სანჯაყებზეო“ (სეცსსა, ფ.1836,
საქმე 5:76-78).

მოლაპარაკების განახლებისთანავე, - აცნობებდა ეროვნული საბჭოს წევრებს
აკაკი ჩხენკელი, - ოსმალეთს წარუდგინეთ დათმობის მინიმუმი, რომელიც ითვალ-
ისწინებდა ოსმალეთისათვის დაგვეთმო ოლთისის ოლქი, არტაანის სამხრეთი ნაწი-
ლი, სამხრეთ დასავლეთი ნაწილი ყარსის ოლქისა და ყაგიზმანის ოლქის დასავლეთ-
თი ნაწილი. თურქებმა მხოლოდ ვაა შეინარჩუნეს ოლთისიდან ყარსამდე (სეცსსა,
ფ.1836, აღ1, საქმე 5: 78, ასევე ჭანტურია, 2006:53). 24 მარტს ოსმალეთის მთავრობამ
ამიერკავკასიის დელეგაციას წარუდგინა ულტიმატუმი: ეცნოთ ბრესტ-ლიტოვსკის
ზავის პირობები. ამ მოთხოვნაზე ოსმალეთს პასუხი უნდა მიეღო 48 საათის გან-
მავლობაში. შეიქმნა მეტად კრიტიკული მდგომარეობა, - აღნიშნავდა აკაკი ჩხენკე-
ლი. - ამას დაემატა ის გარემოება, რომ იმავე დღეს თბილისიდან შინაგან საქმეთა
სამინისტროს დეპეშა მივიღეთ, რომელიც შეიცავდა ოფიციალურად შემოწმებულ
ბრესტის ზავის მე-4 მუხლს, რომელიც ამიერკავკასიას შეეხებოდა (სეცსსა, ფ.1836,
აღ.1, საქმე 5:79, ასევე ჭანტურია, 2006:53-54).

1918 წლის 26 მარტის (8 აპრილის) აკაკი ჩხენკელის მოხსენებიდან გაირკვა, რომ
ამიერკავკასიის დელეგაციაში სომხები და აზერბაიჯანელები წინააღმდეგი იყვნენ
ოსმალეთისათვის დაეთმოთ ის ტერიტორიები, რომელთა მცხოვრებლებს ბრესტის
ზავი თვითგამორკვევის უფლებას უტოვებდა. ქართველები კი თანახმა იყვნენ დათ-
მობის მაქსიმუმის პირობები მიეღოთ „რადგან თვითგამორკვევის პრინციპს ვერ
დავემყარებოდით, - აღნიშნავს აკაკი ჩხენკელი - ვინაიდან ბათუმში მდგომარეობა

მეტად კრიტიკული იყო, მიუხედავად ჩვენი დელეგაციის მიერ გაწეული მუშაობისა”. აკაკი ჩხენკელი აღნიშნავს, რომ ჰაიდარ ბეგ-აბაშიძე და მემედ ბეგ აბაშიძე პროპაგანდას ეწეოდნენ, რათა ქართველ მაჰმადიანებს არ შეეწყვიტათ კავშირი დედა-სამშობლო საქართველოსთან. მაგრამ მათმა საქმიანობამ შედეგი ვერ გამოიღო (სეცსსა, ფ.1836, აღ.1. საქმე 5:80-84). „და როდესაც გავიგე, აჭარამ ზურგში მახვილი ჩაგვცა, ჩემი ფარ-ხმალი შესუსტდა, როგორ შემეძლო დამეცვა მე თვითგამორკვევის პრინციპი, როდესაც საამისო ნიადაგი ფეხქვეშ გამოგვეცალა?! და რაკი ასეთი მდგომარეობა გველობებოდა წინ, ბათუმის დაცვა შეუძლებელი იყო, რადგანაც ბათუმი მარტო ჩვენ, ქრისტიან ქართველებს, არ გვეკუთვნოდა, – არამედ უპირველესად იმათი, აჭარლების, იყო...“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1. საქმე 5:84).

ასეთი კრიტიკული ვითარების ფონზე 25 მარტს (7 აპრილს) ამიერკავკასიის დელეგაციამ გადაწყვიტა ოსმალეთისათვის შეეთავაზებინა დათმობის მაქსიმუმი. აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი დათმობის მაქსიმუმის პირობები ეროვნული საბჭოს მე-11 კრებაზე განიხილეს, რომელიც გულისხმობდა ყარსისა და არდაგანის ოლქების დათმობას, მხოლოდ ყარსის ოლქიდან იმ ერთი ნაწილის გამოკლებით, რომლის მოსახლეობას სომხები შეადგენდნენ და არდაგანის ოლქიდანაც ნაწილის გამოკლებით. რაც შეეხება ბათუმის ოლქს, აქედან ოსმალეთს რჩებოდა მხოლოდ ართვინის უბანი, ბათუმი და ბათუმის მხარე საქართველოს რჩებოდა (ჭანტურია, 2006: 54-55).

ტრაპიზონის კონფერენციაზე მიღებული ულტიმატუმის ვადა 1918 26 მარტს (8 აპრილს) იწურებოდა. ოსმალეთის მთავრობა მოლაპარაკების საფუძვლად იღებდა ბრესტის ზავს. აქედან გამომდინარე, საჭიროდ თვლიდა მოლაპარაკებაში ჩაერთო მოკავშირეები, ხოლო ამიერკავკასიის მთავრობისაგან მოითხოვდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ასეთ რთულ ვითარებაში (14) აპრილს თბილისიდან ამიერკავკასიის დელეგაციამ მიიღო ამიერკავკასიის სეიმის დადგენილება: „ვინაიდან სამშვიდობო მოლაპარაკებამ ამიერკავკასიასა და ოსმალეთს შორის საზღვრების საკითხზე შეთანხმებას ვერ მიაღწია, ამიერკავკასიის დელეგაციას წინადადება ეძლევა დაბრუნდეს თბილისში“ (ჭანტურია, 2006: 56).

1918 წ. 1(14) აპრილს ტრაპიზონის კონფერენციამ მუშაობა დაასრულა.

1918 წლის 22 აპრილს უადრესად რთულ ვითარებაში შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. სხდომა ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარემ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ გახსნა. დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადება. სხდომის დასასრულს ამიერკავკასიის სეიმმა შემდეგი სახის რეზოლუცია მიიღო:

1. გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად. ამ გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს სხვა სახელმწიფოებს;

2. დაევალოს მთავრობას ამიერკავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუციის შედგენა (ჭანტურია, 2006: 57-58).

ამიერკავკასიის დამოუკიდებელ ფედერაციულ სახელმწიფოს შექმნის დღიდან გადაუჭრელ პრობლემად ექცა საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია. გერმანოფი-

ლური საქართველოს, ანგლოფილური სომხეთისა და თურქოფილური აზერბაიჯანის ერთ სამოკავშირეო სახელმწიფოში არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რაც იმთავითვე ცხადი გახდა. გარდა პოლიტიკური ორიენტაციისა, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს სიმტკიცეს დიდად ვნებდა ტერიტორიის გამოჯვანის საკითხი - ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს ერთმანეთში მწვავე სასაზღვრო დავა ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ შექმნილ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნა ერთადერთ სწორ ნაბიჯს წარმოადგენდა (სილაგაძე... 1998:37-38).

იმ დროს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ალექსანდრე ბენდიანიშვილი ასე აფასებს: ბათუმის საზავო კონფერენცია თუმცა დიდი დაძაბულობით, მაგრამ მაინც გრძელდებოდა. ამიერკავკასიისა და საქართველოში კი შინაპოლიტიკური მდგომარეობა რთულდებოდა. ქართული პოლიტიკური პარტიები მეტ-ნაკლებად კმაყოფილნი იყვნენ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის იურიდიულად გაფორმების გამო. ზოგი მათგანის უკმაყოფილებას კი ის იწვევდა, რომ ჯერ კიდევ არ არსებობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუცია და არ იყო განსაზღვრული ფედერაციის შემადგენელი სამი ძირითადი ერთეულის პოლიტიკური სტატუსი, რეალურად არ არსებობდა ქართული ეროვნული (ავტონომიური) სახელმწიფო (ბენდიანიშვილი, 2001:94)

1918 წლის 9 (22) აპრილს, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სეიმმა აირჩია კომისია ამიერკავკასიის სახელმწიფოს კონსტიტუციის შესამუშავებლად. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 2 მაისის სხდომაზე საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებიდან ამიერკავკასიის საკონსტიტუციო კომისიაში (როგორც უწოდებდნენ, „მთავრობის კომისიაში“) აირჩიეს: გიორგი გვაზავა, პავლე საყვარელიძე, შალვა მესხიშვილი, რაჟდენ არსენიძე, იოსებ გობეჩია (მაცაბერძე, 2008: 28).

გადამწვევტი სიტყვისა და აზრის არენად ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს მიაჩნდათ საქართველოს ეროვნული საბჭო (ბენდიანიშვილი, 2001: 95). საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-14 კრებაზე ეროვნულ-დემოკრატიკულ რევოლუციურ გზაზე დასვა კითხვა, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ეროვნული საბჭოს მიერ კონსტიტუციაზე გაწეულ მუშაობას „მთავრობის კომისიისათვის“. ეროვნული საბჭოს მიერ საკონსტიტუციო საკითხების გარკვევის აუცილებლობა ყველა მონაწილემ უდავოდ მიიჩნია. ეს აღნიშნეს „სამთავრობო კომისიის“ წევრებმაც. სოციალ-დემოკრატიკული სერგო ჯაფარიძის სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა არ ექნებოდა, „მთავრობის კომისიაში უკვე ის აზრი გამოითქვა, რომ იგი იხელმძღვანელებს იმით, რასაც ეროვნული საბჭოები გადასწყვეტენ“. პავლე საყვარელიძის განცხადებით, ეროვნულ საბჭოს გადაწყვეტილებას პრაქტიკულად უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე მთავრობის კომისიის (31-33).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის აზრით, საგარეო პოლიტიკის, სამხედრო, საბაჟო და ფინანსურ საქმეებთან ერთად ცენტრის გამგებლობაში უნდა ყოფილიყო ფუ-

ლადი სისტემა, რკინიგზები, ერთიანი სასწორ-სახომი სისტემა, ფოსტა - ტელეგრაფი, სავექსილო და სავაჭრო ვალდებულებანი, მინიმალური განათლების საქმე, სამოქალაქო და სისხლის სამართალი, შრომის დაცვის კანონმდებლობა. სერგო ჯაფარიძის შეხედულებით, ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანო უნდა ყოფილიყო ერთი წარმომადგენლობითი პალატა, სადაც დეპუტატებს ხალხი აირჩევდა საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების წესით, საკითხები იქ ხმების უმრავლესობით უნდა გადაწყვეტილიყო (მაცაბერიძე, 2008: 35).

14 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-16 კრება. კრებაზე კონსტანტინე აფხაზმა თავის გამოსვლაში განიხილა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის გამომწვევი მიზეზები და აჩვენა, რომ ეს იძულებითი ნაბიჯი იყო. მისი სიტყვით, ჯერ აუცილებელი იყო ამიერკავკასიის ცალკეული პოლიტიკური ერთეულის დაარსება, შემდეგ კი ამ „ცალკე ერთეულების კავშირის შეერთება“. თუმცა, ორატორის სიტყვით, ასეთი კავშირის შექმნა ამიერკავკასიაში იქ მცხოვრები ერების ეკონომიკური და კულტურული უთანასწორობის გამო შეუძლებლად მიანდა და ამიტომ თვლიდა, რომ „ძალად შექმნა ცენტრისა არის დამღუპველი თვითოველ ერისათვის“ (მაცაბერიძე, 2008: 38).

„1918 წლის 16 მაისს დანიშნული ეროვნული კრების წინ მისმა აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა, თუ „რანაირი დასასრული მიეცეს ეროვნული საბჭოს სჯაბაას კონსტიტუციის შესახებ“, გადაწყდა, რომ ეროვნულ საბჭოს არანაირი რეზოლუცია არ გამოეტანა „კონსტიტუციის ფორმის შესახებ“, რათა შემდგომში შესაძლებელი ყოფილიყო „გარემოების დაგვარად მოქცევა“. უნდა აერჩიათ მხოლოდ კომისია, რომელსაც დაევალებოდა „გამოთქმული აზრების მიხედვით“ „საქართველოს პოლიტიკური ფორმის“ შემუშავება“ (მაცაბერიძე, 2008: 39).

აღნიშნული გადაწყვეტილება გამომდინარეობდა იმ დროს არსებული რეალური სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობიდან. ორი დღით ადრე, 1918 წლის 14 მაისს, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელსაც თავმჯდომარეობდა გიორგი ლასხიშვილი. სხდომაზე მოხსენება წარადგინა ეროვნულ - დემოკრატიკული გიორგი გვაზავამ, მისი ინიციატივით განიხილეს გერმანიისადმი გასაგზავნი სათხოვარი „ოთხი მუხლი პირობისა“. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ სასურველად მიიჩნია „ცნობად და სახელმძღვანელოდ“ გაგზავნოდა ბათუმში მყოფ საზავო დელეგაციის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელს სათხოვარი მუხლები (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 2:67, ასევე დაუშვილი..., 2012: 62, ასევე დოკუმენტი 2). როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ეროვნული საბჭოს საგარეო-პოლიტიკური კურსი გერმანოფილურ სტრატეგიას ეფუძნებოდა (დაუშვილი..., 2012: 62).

16 მაისს გამართულ საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-17 კრებაზე კრების თავმჯდომარემ გიორგი ლასხიშვილმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ წამებში შეიქმნა ახალი გარემოებანი. საზავო საქმე ისე მიდის, რომ შეიძლება დაგვჭირდეს საგანგებო ნაბიჯის გადადგმა“ და დამსწრეთ გააცნო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ

მომზადებული გადაწყვეტილების პროექტი. ეროვნულმა საბჭომ ხმების უმრავლესობით დაადგინა შეეწყვიტათ კამათი. თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პოლიტიკურ ვითარებაში ახალმა გარემოებამ იჩინა თავი და ამიტომ, შესაძლებელია, რომ ჩვენი რეზოლუცია სრულიად უნაყოფო გამოდგეს. ნუ შევბორკავთ კომისიას, საშუალება მივცეთ ყველაფერი გაითვალისწინონ და მასში შეიძლება ერთი რამ შეთანხმებული აზრი გამოვიტანოთ კონსტიტუციის შესახებ.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში საკონსტიტუციო საკითხების განხილვის შედეგად გამოიკვეთა წამყვანი პოლიტიკური პარტიების მიერ იმდროინდელი ვითარების შეფასება და საქართველოს მომავლის ჯერ კიდევ განსხვავებული ხედვა. მიზეზი, რის გამოც გაიშალა დისკუსია, ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი მოწყობის ხასიათის გარკვევა იყო. ფრაქციების პოზიციები შემდეგნაირად დაფიქსირდა: სოციალ-დემოკრატები - უნიტარული ფედერალიზმი; სოციალ-ფედერალისტები - ფედერაციისა და კონფედერაციის შერწყმა; სოციალისტ-რევოლუციონერები - კონფედერაცია; ეროვნულ-დემოკრატები - სუვენერული სახელმწიფო.

როგორც ვხედავთ, გამოიკვეთა ორი პოლუსი: სოციალ-დემოკრატებს სურდათ მტკიცე ამიერკავკასიის შექმნა, ეროვნულ-დემოკრატებს კი - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, დანარჩენ პოლიტიკურ ძალთა პოზიცია კი შუალედური ხასიათისა იყო. სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნულ-დემოკრატების პოზიციათა რადიკალური სხვაობა განპირობებული იყო იდეოლოგიური პრიორიტეტების სხვაობით და შესაბამისად, საერთაშორისო სიტუაციისა და ეროვნული პრობლემების სხვადასხვაგვარი ხედვით (მაცაბერიძე, 2008: 40-44).

დაბოლოს, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ეროვნული საბჭოს დაფინანსების საკითხზე. ეროვნული საბჭოს წინაშე არსებული საჭირობორთო საკითხების გადასაჭრელად, უპირველესად, დაფინანსების საკითხის მოგვარება იყო აუცილებელი. სწორედ ამიტომ 1917 წლის 28 ნოემბერს პირველ სხდომაზევე შეიქმნა ქონებისა და საფინანსო სექცია. ამავე წლის 3 დეკემბერს დაინიშნენ აღმასრულებელი კომიტეტიდან სექციის გამგეები. ქონების კომისიის გამგედ დაინიშნა გიორგი გვაზავა, ხოლო საფინანსო კომისიის გამგედ - კონსტანტინე მესხი (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 2:9, ასევე გელაშვილი, 2016:193).

საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-8 კრებაზე, რომელიც გაიმართა 1918 წლის 11 თებერვალს, განიხილეს საკითხი „ერთი მილიონი სესხის“ შესახებ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 3: 76, ასევე გელაშვილი, 2016: 193). 1918 წლის 27 თებერვალს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განიხილეს საკითხი ეროვნული საბჭოს ფინანსური მდგომარეობის გაძლიერების შესახებ. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება: ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მოწვეულ იქნეს მოქალაქეთა დიდი კრება ფინანსური საკითხის განსახილველად და წყაროების მოსაძიებლად (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 2:48, ასევე გელაშვილი, 2016:193).

ეროვნული საბჭოს პირველი ეროვნული ფონდი თავად-აზნაურთა ქონების სახით უკვე ჰქონდა (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 149:2, ასევე გელაშვილი, 2016:

191). მაგრამ ეს არ იყო საკმარისი მის წინაშე არსებული ყველა საჭირობორტო საკითხის გადასაჭრელად. 1918 წლის 13 მარტს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო ის უნუგეშო ფინანსური მდგომარეობა, რომელშიც ეროვნული საბჭო აღმოჩნდა და აღნიშნა, რომ მათი ქვეყნის გაჭირვებული ყოფა მოითხოვდა ყოველი მათგანისაგან, გაეღო თავისი წვლილი, აღმოეჩინა ნივთიერი დახმარება სამშობლოსათვის. მსჯელობის შემდეგ გაირკვა, რომ ჯერჯერობით თბილისის ვაჭრებზე გაწერილი ყოფილა 376. 000 მანეთი, ხოლო „ბათუმის ვაჭრებმა გაიწერეს 5 მილიონი მანეთი“. ამავე სხდომის დადგენილებიდან ვიგებთ, რომ უნდა ჩატარებულიყო საფინანსო სექციის რეორგანიზაცია, სექციის ხელმძღვანელად უნდა დანიშნულიყო კონსტანტინე კანდელაკი, მის თანაშემწეებად კი – იასონ ლორთქიფანიძე და რაჟდენ დათეშიძე. გამოითქვა აზრი, რომ რადგან საჭიროა საბჭოს ჰქონდეს ფონდი, მის ახალ სექციას დაევალოს დაუყოვნებლივ შეკრიბოს ფული. საფინანსო სექციას დაექვემდებაროს როგორც ფინანსური ნაწილი საბჭოსი, აგრეთვე ქონების სექციის ფინანსური მხარეც (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 2: 49, 50, 51).

1918 წლის აღმასრულებელი კომიტეტის 18 მარტის სხდომაზე საფინანსო სექციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კონსტანტინე კანდელაკი, ამხანაგებად – იასონ ლორთქიფანიძე და რაჟდენ დათეშიძე. აღინიშნა, რომ „საფინანსო სექცია უნდა გაუძღვეს საბჭოს საფინანსო საქმეებს. სექციის პრეზიდიუმს მიეცეს უფლება საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით მიიღოს ფული ყოველგვარ საკრედიტო, საზოგადო, მთავრობის, კერძო დაწესებულებათა და პირთაგან. ასეთ შემთხვევაში პრეზიდიუმს შეეძლოს ხელის მოწერა მიანდოს ორ თავის წევრს, ან ერთ წევრს პრეზიდიუმის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრს პ. საყვარელიძესთან ერთად“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 2: 53).

საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 30 მარტის დადგენილებიდან ვგებულობთ, რომ ეროვნული საბჭოს საფინანსო სექციამ პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადო ორგანიზაციათა თანდასწრებით და მონაწილეობით განიხილა საკითხი ფონდის გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებების მიღების შესახებ და ერთობლივად დაადგინეს: „ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მომსახურე პირთ თვიურად მარტიდან დაწყებული დაეჭიროს ხვედრი ჯამაგირიდან არა ნაკლებ 1%-სა. თვითოეულ დაწესებულების გამგეს ან რწმუნებულს მიეცემა ეროვნული საბჭოს ბეჭედ დასმული ფულის შესაკრები ფურცელი. დაწესებულების გამგე შეკრებილ ფულს ჩააბარებს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელს, ვისგანაც ფურცელს მიიღებს“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 10:1, ასევე გელაშვილი, 2016: 197).

ამრიგად, საქართველოს ეროვნული საბჭო დამოუკიდებლობის აღდგენამდე წარმოადგენდა ქართველი ერის ხელმძღვანელ პოლიტიკურ ორგანოს, საქართველოს ეროვნულ საბჭოში სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს განიხილავდნენ და შესაბამის გადაწყვეტილებებსაც იღებდნენ. ეროვნული საბჭოს მიერ არჩეულ აღმასრულებელ კომიტეტს კი საბჭოს გადაწყვეტილებები სისრულეში მოჰყავდა. ეროვნულმა საბჭომ თავისი მოღვაწეობის ხანმოკლე პერიოდში რეალურად არაერ-

თი მნიშვნელოვანი საკითხი მოაგვარა და ამგვარად ხელი შეუწყო სახელმწიფოს გაძლიერებას.

დაბოლოს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე პარლამენტარიზმის სათავეებთან ჩვენ ვხედავთ: ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს, საქართველოს ეროვნულ ყრილობასა და საქართველოს ეროვნულ საბჭოს. მათ მიზანსა და საზრუნავს სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად საქართველოს სამართლებრივი და პოლიტიკური მდგომარეობის გარკვევა წარმოადგენდა. ჩვენი კვლევის საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ ინტერპარტიული საბჭოს თავისი არსებობიდან მოყოლებული საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობის პერიოდის ჩათვლით პარლამენტარიზმის იდეა რუსეთის ტერიტორიის საზღვრებში საქართველოს ავტონომიური ტერიტორიული ერთეულის მოთხოვნით განისაზღვრა. ეროვნული საბჭოს არჩევის შემდეგ პარლამენტარიზმის იდეამ ერთგვარი ცვლილება განიცადა, – განვითარებული მოვლენების გამო ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს – საზღვრებში გადაინაცვლა. ასე რომ, შეიძლება დავასკვნათ:

1. ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს, რომელიც პოლიტიკური პარტიების ნებაყოფლობითი გაერთიანება და ხელისუფლებისათვის მებრძოლი პირველი ეროვნული პოლიტიკური ორგანო იყო. მისი ძირითადი მიზანი იყო ეროვნულ - ტერიტორიულ თვითმმართველობაზე დაფუძნებული ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება რევოლუციურ მთავრობასთან შეთანხმებით. ერთა თვითგამორკვევის უფლება კი პოლიტიკურად რესპუბლიკანიზმზე იქნებოდა დაფუძნებული.

2. ეროვნული ყრილობა, რომელიც არჩევითი ორგანო იყო და თავისი შემადგენლობითა და მოწვევის წესით კანონიერების ჩარჩოებს იცავდა, ტერიტორიული ავტონომიის ფარგლებში აღიარებდა საქართველოში პარლამენტარიზმის იდეის განხორციელების შესაძლებლობას. ამ საკითხთან დაკავშირებით ვახტანგ გურული ეროვნულ ყრილობაზე მიღებული რეზოლუციის შესახებ აღნიშნავს: „საქართველოს უნდა მიენიჭოს ფართო ეროვნული ავტონომია რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენლობაში, რაც ითვალისწინებს თბილისში საქართველოს საკანონმდებლო კრების მოწვევას ადგილობრივი მნიშვნელობის კანონების მიღების უფლებით“ (გურული, 1999:82).

3. რაც შეეხება ეროვნულ საბჭოს, მას შემდეგ, რაც 1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკებმა რუსეთში კანონიერი დამფუძნებელი კრება გარეკეს, პარლამენტის შექმნის იდეამ ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო მომდევნო პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო საქართველოს დამოუკიდებლობის საზღვრებში გადაინაცვლა.

თავი III.

საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო

(1918 წლის 26 მაისი – 1919 წლის 31 იანვარი)

საქართველოს ეროვნული საბჭო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საკანონმდებლო ორგანოდ იქცა, რომელმაც თავისი მოღვაწეობის ხანმოკლე პერიოდში 100-ზე მეტი კანონის მიღება შეძლო. ეროვნული საბჭო კანონშემოქმედებითი მუშაობის პარალელურად დიპლომატიურ მოლაპარაკებებს მართავდა სხვადასხვა სახელმწიფოსთან. საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარეობდა მსჯელობა როგორც საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებზე, ასევე ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაზე. ეროვნული საბჭო ოპერატიულად განიხილავდა მეზობელ სახელმწიფოებთან (ოსმალეთთან, სომხეთთან) დაძაბული ურთიერთობის საკითხებს და იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებებს.

ოსმალეთის გააქტიურებამ დაარწმუნა ქართული პოლიტიკური სპექტრი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება აუცილებელი იყო ქვეყნისათვის. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე ორი დღით ადრე, 1918 წლის 24 მაისს, გაიმართა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო ბათუმის საზავო კონფერენციის მსვლელობის არასახარბიელო მდგომარეობა და სრულყოფილი ინფორმაცია გადასცა ამიერკავკასიის რესპუბლიკის მიმართ ოსმალეთის ამბიციური გეგმების შესახებ.

ნოე ჟორდანიას მოხსენებიდან ირკვევა, რომ ოსმალეთის მთავრობაში სამი მიმდინარეობა ყოფილა: ერთი - ვეხიბ ფაშას ჯგუფი – საზავო მოლაპარაკებების დროს ბრესტის ზავის ხელშეკრულებას ეყრდნობოდა; მეორეს - ტალაათ ბეის მეთაურობით – ამიერკავკასიისათვის სხვა ნაწილების ჩამორთმევა უნდოდა; მესამე ჯგუფი - ენვერ ფაშას მეთაურობით – მოითხოვდა, ოსმალეთს შეერთებოდა მთელი ამიერკავკასია. “ოსმალეთის უკანასკნელი მოთხოვნები, - აღნიშნავს ნოე ჟორდანიას, - არის შემდეგი: სრული შეერთება ხუთი მაზრისა: ახალციხის, ახალქალაქის, გუმბრის, სურმანილისა და შურო დალაგოზისა; ომის მიმდინარეობის პერიოდში რკინიგზების გადაცემა ოსმალების ხელში; „ჯარის სასმელი და ფურაჟი“; აგრეთვე არეულობის ადგილებში თავისი ჯარის ჩაყენება; სულთნის მოხსენიება „სამმართველოებში და სასამართლოებში“; აზერბაიჯანის გადაქცევა ოსმალეთის პროვინციად; „სომხების შტატი, მათის აზრით, სულ არ უნდა იქნეს ამიერკავკასიაში. ახალციხის მაზრაში ოსმალეთს ჰყოლია აგენტები, მათ შორის ცნობილი ომარ ეფენდი; ესენი ეწვევიან პროპაგანდას, რომ ახალციხის მაზრა შეუერთდეს ოსმალეთს... ჩვენ წარუდგინეთ სტატისტიკური ცნობები, რომლითაც ვამტკიცებთ, რომ ახალციხის მაზრაში ასი ათასში ოსმალები არიან 26 ათასი“ (სეცსსა, ფ.1823, ად.2, საქმე 1:38).

შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ნოე ჟორდანიამ

ეროვნულ საბჭოს განუცხადა: „აუცილებელი ხდება დამოუკიდებლობის გამოცხადება, ვინაიდან ეგ ერთად ერთი გზაა, რომელიც შეიძლება დაგვიხსნის გერმანელთა დახმარებით ოსმალთა შემოსევისაგან და ჩვენი ქვეყნის დაპყრობისაგან“ (სეცსსა, ფ. 1823, აღ. 2, საქმე 1: 39). ასევე ნოე ჟორდანიამ აღინიშნა: „გენერალმა ფონ ლოსოვმა გვირჩია ჩვენ, ქართველებს, დაუყოვნებლივ გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობა საქართველოსი, ვთხოვოთ გერმანიას, რომ იგი იყოს საქართველოს მფარველი და ეს იქნება გზა, რომელიც იხსნის საქართველოს ოსმალეთის შემოსევისაგან და დაღუპვისაგან“ (სეცსსა, ფ. 1823, აღ. 2, საქმე 1: 41).

შეკითხვაზე, თუ როგორ და რა პირობებში უნდა მომხდარიყო დამოუკიდებლობის გამოცხადება, ნოე ჟორდანიამ უპასუხა: ჩვენ უნდა გავმართოთ მოლაპარაკება სომხებთან და თათრებთან, რომელთაც აუხსნით ჩვენ მდგომარეობას, თუ რა გვაიძულებს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, აგრეთვე, რომ ეს აქტი არ არის მიმართული არც ერთის მათგანის წინააღმდეგ ... შემდეგ უნდა მოვიწვიოთ სეიმი, რათა თვით სეიმიმა თქვას, რომ ამიერკავკასიის მთლიანობა არ მოხერხდა; ამიტომ სეიმიც გაუქმებულად გამოაცხადებს თავს; ყველაფერი ეს უნდა აუხსნათ ხალხს (სეცსსა, ფ. 1823, აღ. 2, საქმე 1: 39).

ამის შემდეგ, - აღნიშნა ნოე ჟორდანიამ- ეროვნული საბჭო შეიკრიბება და განახორციელებს საქართველოს დამოუკიდებლობას. ამისთვის კი საჭირო იქნება ზოგიერთი რამ ადრევე შემზადდეს, მაგ:- დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი და სხვა. გადაწყდა დაარსდეს სამი კომისია: 1. ერთი კომისია, რომელიც მოელაპარაკება სეიმის ფრაქციებს ან ეროვნულ საბჭოებს; 2. მეორე კომისია, რომელსაც დაევალება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება და კომიტეტში წარმოდგენა დასადასტურებლად; 3. ხოლო მესამე კომისია საფინანსო (სეცსსა, ფ. 1823, აღ. 2, საქმე 1: 39).

ამავე სხდომაზე სოციალ-დემოკრატიმა კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძემ ეროვნულ საბჭოს შემდეგი თვალსაზრისის გათვალისწინება ურჩია: „სეიმის გაუქმებასთან ერთად იურიდიულად გაუქმდება ამიერკავკასიის მთავრობაც, როგორც მისი დაყენებული, მაგრამ რომ არ მოხდეს არევ-დარევა, ფაქტიურად უნდა განაგრძოს მუშაობა იმავე მთავრობამ, სანამ საქართველოს ახალი მთავრობა ჩაიბარებდეს საქმეებს“ (სეცსსა, ფ. 1823, აღ. 2, საქმე 1: 39).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიაში არ შეიძლება არ აღინიშნოს აკაკი ჩხენკელის განსაკუთრებული როლი, რომელმაც კატასტროფისაგან თავის დაღწევის ერთადერთ გზად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება დასახა (სილაგაძე..., 1998: 44).

1918 წლის 26 მაისს, დილით, თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარე ხალილ ბეიმ თავისი ქვეყნის სახელით ამიერკავკასიის რესპუბლიკის დელეგაციას გადასცა ულტიმატუმი, რომელშიც წამოყენებული იყო შემდეგი მოთხოვნები: 1. ახალი საზღვრების დადგენა; 2. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე თურქეთის ჯარის თავისუფლად გადაადგილების უფლება; 3. თურქეთისათვის სამხრეთ ამიერკავკასიაში თავისუფალი მოქმედების უფლების მინიჭება. 26 მაისს, ნაშუადღევს 3 საათზე, შეიკრიბა

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის სეიმის ბოლო სხდომა. სეიმის სხდომაზე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა ირაკლი წერეთელმა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის საკითხს აყენებდა. სეიმმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს დაშლისა და თვით ამიერკავკასიის სეიმის უფლებამოსილების შეწყვეტის გადაწყვეტილება (გურული, 1999 ბ:312).

1918 წლის 26 მაისს, ნაშუადღევს 4 საათსა და 50 წუთზე, თბილისში, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, სადაც მანამდე მუშაობდა ამიერკავკასიის სეიმი, გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა (გურული, 1999 ბ:312).

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შექმნასთან დაკავშირებით ერთ-ერთი პროექტის ავტორი რაჟდენ არსენიძე აღნიშნავს: „25 მაისს 1918 წელს ეროვნულმა საბჭომ, რომელიც საქართველოს ყველა პარტიების, თვითმმართველობების, კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან იყო შექმნილი - დაადგინა, გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებლობა, გააჩინოს საკუთარი მმართველობა, რომ მტერს და მოყვარეს გასცეს პასუხი. ამ მიზნით მან გამოყო საკანონმდებლო კომისია, რომელსაც დაავალა დამოუკიდებლობის აქტის პროექტის დამუშავება“ (სამშობლო, 1990 10-11, 26 მაისი).

ამ მოვლენისთვის წინასწარ შემუშავდა დამოუკიდებლობის აქტის ორი პროექტი. როგორც ირკვევა, ნოე ჟორდანიას, რომელიც კომისიაში საკითხების განხილვის დროს მონაწილეობდა, არ მოსწონებია თავისი პარტიული ამხანაგის რაჟდენ არსენიძის მიერ შედგენილი პროექტი და დაუვალებია გიორგი გვაზავასთვის შეედგინა ახალი პროექტი. გიორგი გვაზავას მიერ შედგენილ დამოუკიდებლობის აქტში ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა დასაბუთებული იყო ისტორიული პრინციპით. აქტით აღიარებული იქნა საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის როლი საქართველოს დამოუკიდებელ განვითარებაში (მუჯირი, 1989: 135-136).

1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნოე ჟორდანიამ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. იგი შვიდ პუნქტს (მუხლს) შეიცავს, რომელსაც წინ უძღვის შესავალი (პრეამბულა):

„1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოსთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანას-

წორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განუზრუნველად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1918: 1, ასევე კრებული, 1990:5-6, ასევე სილაგაძე..., 1998:154-155).

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ერთხმად, ყოველგვარი შესწორების გარეშე, მიიღო და დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ (სილაგაძე..., 1998:154-155).

2001 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გიორგი შარაძემ გამოაქვეყნა მანამდე უცნობი 1918 წლის 26 მაისს მიღებული „დამოუკიდებლობის აქტის“ დედანი 88 ხელმოწერით. დოკუმენტი აღმოჩენილია შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხში, შვეიცარიელი ქართველოლოგის ქალბატონ ლეა ფრულის კერძო კოლექციაში (შარაძე, 2001: 26 მაისი).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით ისტორიკოსთა შორის სხვადასხვა აზრია ჩამოყალიბებული. ნოდარ მუშკუდიანი მიიჩნევს, რომ „დამოუკიდებლობა გარედან თავს მოხვეული იძულებითი ნაბიჯი იყო, განსაკუთრებით ქართული სოციალ-დემოკრატიისათვის, რომელიც მაშინ მმართველი პოლიტიკური ძალა გახდა. გარეგანი ფაქტორების პრიორიტეტია სწორედ ის, რომ თურქეთთან გართულებულმა ურთიერთობამ ეროვნული საბჭოს ლიდერები დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მიიყვანა, ისინი არა მარტო დამოუკიდებლობის იდეისაგან იდგნენ შორს, არამედ პოლიტიკური ავტონომიის მომხრეებსაც ებრძოდნენ და ავტონომიის ცნებაში მარტოდენ კულტურულ შინაარსს მოიაზრებდნენ. ამდენად, სოციალ-დემოკრატიის მიზანი სრულებითაც არ იყო ის შედეგი, რასაც გარემოებათა თანხვედრის მეშვეობით მიადწია“ (მუშკუდიანი, 2002: 12). თავისი აზრის განსამტკიცებლად მკვლევარი დ. პაიჭაძის მოსაზრებას იშველიებს და ამბობს: „მათ მართლაც, რომ „გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნამ“ აფიქრებინათ დამოუკიდებლობა. სწორედ ამიტომ „ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მხოლოდ საგარეო პოლიტიკური გარემოებების და არამც და არამც მმართველი პარტიის მოღვაწეობის შედეგი აღმოჩნდა“ (მუშკუდიანი, 2002:12).

მიგვაჩნია, რომ ზემოთ მოყვანილი თვალსაზრისი გადაჭარბებულია, რადგან იმ პერიოდში შექმნილი საერთაშორისო ვითარება და ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა ქართულ პოლიტიკურ სპექტრს არ აძლევდა აჩქარებით დამოუკიდებლობის გამოცხადების საშუალებას. სრულიად ვეთანხმებით ვახტანგ გურულის მოსაზრებას, როცა ამბობს: „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება დაუყოვნებლივ მხოლოდ ავანტურისტული ნაბიჯი იქნებოდა, რასაც ქართველი

ერისათვის გამოუსწორებელი, დამღუპველი შედეგი მოჰყვებოდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება უნდა მომხდარიყო არა მარტო ქვეყნის ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის იმედად და მასზე დაყრდნობით, არამედ ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების აუცილებელი გათვალისწინებით - დამოუკიდებლობის ძლიერი გარანტი ქვეყნის მხარდაჭერის პირობებში“ (გურული, 1999 ა:78).

სწორედ საერთაშორისო გარემოებებმა განაპირობა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ არა თავსმოხვეულმა, არამედ იმ დროს შექმნილმა სამხედრო-პოლიტიკურმა პირობებმა. ვახტანგ გურული, აანალიზებს რა მსოფლიო ომის პირობებში საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, დასძენს: „1918 წლის მაისის შუა ხანებში უკვე აშკარა გახდა გერმანიისა და საქართველოს ინტერესების თანხვედრა. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის (1918 წლის 3 მარტი) შემდეგ შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში საქართველოს არ შეეძლო თურქეთის აგრესიას წინ აღდგომოდა. თუ გერმანიის სახელმწიფო თავის მოკავშირეს—თურქეთს— დაიყოლიებდა, შეეწყვიტა საქართველოს მიმართ დამპყრობლური პოლიტიკის გატარება, გერმანიას უჩნდებოდა შანსი საქართველოში პოზიციების მოპოვებისა, საქართველო შეიძლებოდა ქცეულიყო მახლობელ აღმოსავლეთში გერმანიის ფორპოსტად. გერმანიის ხელისუფლება, ბუნებრივია, ითვალისწინებდა იმასაც, რომ აზერბაიჯანი თურქოფილურ ორიენტაციას არ შეცვლიდა, სომხეთშიც ძლიერი იყო ანგლოფილური განწყობილება. ან გერმანიას უნდა დაეცვა საქართველოს ინტერესები, ან ხელი უნდა აეღო მახლობელ აღმოსავლეთში სამომავლოდ აქტიური პოლიტიკის წარმოებაზე.

გერმანოფილური პოლიტიკური კურსი წარმატებული გამოდგა. საქართველოს ერთადერთი მოკავშირე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტში-1918 წლის 26 მაისს-გერმანია იყო. გერმანიამვე შეძლო თურქეთის აგრესიის აღკვეთა“ (გურული, 1999 ა:105).

1918 წლის 24 მაისს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ნოე ჟორდანიას ნათქვამი: „ჩვენ უნდა გავმართოთ მოლაპარაკება სომხებთან და თათრებთან, რომელთაც აუხსნით ჩვენ მდგომარეობას, თუ რა გვაიძულებს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, აგრეთვე, რომ ეს აქტი არ არის მიმართული არც ერთის მათგანის წინააღმდეგ“- კარგად გააზრებული დიპლომატიური ჟესტი იყო ამიერკავკასიის ხალხის მიმართ. ქართველი პოლიტიკოსების გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ზოგიერთი არაქართული „პოლიტიკური ჯგუფის“ მიმართ დალატად აღიქმებოდა. საქართველოს პარლამენტის 1918 წლის 26 ოქტომბრის სხდომაზე, როცა იხილებოდა საკითხი სომხებთან დაძაბული ურთიერთობის შესახებ, პარლამენტის წევრი ივანე გომართელი აღნიშნავს შემდეგს: როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, „დაშნაკციუტუნის პარტია“ „...გვეძახოდნენ ჩვენ მოლაღატეებს, როცა სწერდნენ: „სომხის ერი ამ დალატს არ დაივიწყებს, დადგება დრო და სამაგიეროს გადაგიხდით“ (საქ. პარლამენტი, ანგარიში 52, 1918:15).

ამდენად, შექმნილ სიტუაციაში სწორი და კარგად გააზრებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრით გადაწყდა ქართველი პოლიტიკოსების (მმართველი პოლიტიკური ძალის) მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

რევოლუციისა და ომის ქარცეცხლში იშვა დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, აღდგა ქართული სახელმწიფოებრიობა, 1917 წლის ნოემბერში წარმოშობილი ეროვნული საბჭო გარდაიქმნა „საქართველოს პარლამენტად“ (მუჯირი, 1989: 136).

საქართველოს პარლამენტმა, დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა ნორმებისა და პრაქტიკის შესაბამისად, თავის ხელში აიღო საკანონმდებლო ორგანოს ყველა ფუნქცია. დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებისთანავე ჩამოყალიბდა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი დროებითი კოალიციური მთავრობა. მის თავმჯდომარედ აირჩიეს გავლენიანი სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი (ბენდიანიშვილი, 2001: 101-102).

1918 წლი 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ დღიდან დაიწყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა, გაცხოველებული კანონშემოქმედებითი საქმიანობა და სახელმწიფოს ინსტიტუციების შექმნა. საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოთა ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კანონებს საფუძვლად ედო დემოკრატიის, სოციალური სამართლიანობისა და ეროვნული თანასწორობის პრინციპები, იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოებრივი მოწყობის გამოცდილება და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიციები (ხმალაძე, 1997:7-8).

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მიმდინარე მოვლენებს ნონა ჭანტურია ასე აფასებს: „დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მთავრობის უპირველესი საზრუნავი ზავისა და მშვიდობის უზრუნველყოფა იყო. მართალია, 26 მაისს გამოცხადდა დამოუკიდებლობა, მაგრამ იარაღმოდერებული ოსმალეთი გაშიშვლებული ხმლით თავს დაადგა ახალშობილ რესპუბლიკას და 27 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო იგივე ულტიმატუმი, რაც ამიერკავკასიის მთავრობას 26 მაისს წარედგინა.

ასეთ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ნოე რამიშვილი და აკაკი ჩხენკელი დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ ფოთში, რათა გერმანიის დახმარებით თურქეთთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის მიედწიათ. იმ დროისათვის გერმანიის დელეგაცია ფოთში იმყოფებოდა.

1918 წლის 28 მაისს ფოთში გერმანიის იმპერიისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებათა პაკეტს. გერმანიის მიერ საქართველოსთან ხელშეკრულების დადება ნიშნავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-ფაქტოდ აღიარებას, რაც გერმანიის იმპერიამ ოფიციალურად 1918 წ. 10 ივნისს დაადასტურა“ (ჭანტურია, 2006: 93-94).

ფოთში ხელმოწერილი დოკუმენტი ხუთ პუნქტს შეიცავდა და განსაზღვრავდა უმთავრესს: ა) გერმანიის მთავრობა ფაქტობრივად სცნობს საქართველოს მთავ-

რობას და ბ) მყარდება ომის განმავლობაში საქართველოს რკინიგზებზე გერმანიის ზედამხედველობა. მიღწეულ შედეგებს საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა: გერმანიამ საქართველო ცნო, როგორც სუვერენული სახელმწიფო და აღკვეთა მისი ოსმალეთის მხრიდან ოკუპაციის საფრთხე (ჯანელიძე, 2015: 39-40).

„29 მაისს ნოე რამიშვილი თბილისში დაბრუნდა და მოხსენებით წარსდგა ეროვნული საბჭოს წინაშე. საბჭომ კმაყოფილება გამოხატა მიღწეულის გამო და მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია: „მოისმინა რა მთავრობის ცნობა გერმანიასთან მოლაპარაკების შესახებ, საქართველოს ეროვნული საბჭო ადასტურებს მთავრობის ნაბიჯებს, სრულიად დარწმუნებული, რომ მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად“ (ჯანელიძე, 2015:40).

ამ დადგენილების საფუძველზე თურქეთთან საზავო მოლაპარაკების გაგრძელება ნოე რამიშვილმა ითავა. „ბათუმში საზავო მოლაპარაკება 4 ივნისს დასრულდა. ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება თურქეთს, ბათუმის გარდა, აკუთვნებდა მთელ მესხეთს, აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით. აგრეთვე ომის დამთავრებამდე ოსმალეთს შეეძლო ჯარის გასაყვანად ჩვენი რკინიგზებით ესარგებლა და ბოლოს, ოსმალეთი აღიარებდა საქართველოს სუვერენიტეტს და პირობას იძლეოდა, არ ჩაერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში“ (ჭანტურია, 2006: 95).

გერმანიის მიერ საქართველოს დეფაქტო აღიარებას უარყოფითად შეხვდნენ ანტანტის ქვეყნები, განსაკუთრებით კი აშშ და ინგლისი. საქართველო-გერმანიის დაახლოებას უარყოფითად შეხვდა საბჭოთა რუსეთიც, რადგანაც გერმანიის პოზიციების განმტკიცება ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს ამიერკავკასიაში (ჭანტურია, 2006:95-96).

დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების გზაზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას საერთაშორისო აღიარების მოპოვება წარმოადგენდა. საქართველოს მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა, მოეპოვებინა გერმანიისაგან საქართველოს დე-იურედ აღიარება. ამ მიზნით საქართველოს დელეგაცია 1918 წ. ივნის-ნოემბერში ბერლინში იმყოფებოდა. გერმანიის მთავრობა ამ საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელ პირობად რუსეთის თანხმობას მიიჩნევდა. საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს გამო გერმანიის იმპერიასთან ურთიერთობა არ გაამწვავა და დათმობა ამჯობინა. 1918 წლის 27 აგვისტოს საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის ხელმოწერილი (ბრესტის ხელშეკრულების, დ.ბ.) დამატებითი ხელშეკრულების მე-13 მუხლში საქართველოს შესახებ აღნიშნული იყო: „რუსეთი თანახმაა, რომ გერმანიამ ცნოს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანიზმად“. ამ მუხლით რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტობრივად აღიარა. ამ აქტით გაიკაფა გზა ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობისათვის (ჭანტურია, 2006: 96-97).

„საქართველოს მთავრობის მიერ გაგზავნილ ნოტებს თანაგრძნობით შეხვდნენ სხვადასხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები. პარლამენტის 1918 წ. 29 ოქტომბრის

სხდომაზე ნოე რამიშვილმა პარლამენტის წევრებს ფრიად სასიხარულო ამბავი აცნობა: შვეიცარიის, შვეციისა და დანიის მთავრობებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს. იმავდროულად, საქართველოს მთავრობის 1918 წ. 22 ნოემბრის დადგენილებით, აკაკი ჩხენკელი დაინიშნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ევროპის ყველა სახელმწიფოში საქართველოს ინტერესების დასაცავად“ (ჭანტურია, 2006: 97).

„რაც შეეხება საქართველო-გერმანიის ხელშეკრულების პროექტს, 1918 წლის 3 ოქტომბრისათვის იგი მზად იყო, მაგრამ გერმანიაში არსებული პოლიტიკური კრიზისი, მოგვიანებით კი ქვეყანაში დაწყებული რევოლუცია გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველო-გერმანიის ხელშეკრულება არ დადებულა. 1918 წ. 11 ნოემბერს პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. გერმანიის სამხედრო ძალებმა საქართველო დატოვეს. მათ ნაცვლად კი ინგლისელები მოვიდნენ“ (ჭანტურია, 2006: 97-98).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან ორ კვირაში, 1918 წლის 12 ივნისს, მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილმა ეროვნულ საბჭოში წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 26 მაისს, როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ეროვნული საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი პირველი მთავრობა შედგა, რომელსაც მეტად რთულ პირობებში დაეკისრა ქვეყნის მართვა-გამგეობა. ნოე რამიშვილის მოხსენებიდან გამომდინარე, მთავრობის მთავარ მოვალეობას შეადგენდა, „საქართველოს ხალხი“ გამოეყვანა მსოფლიო ომის ქარტეხილებიდან, ხელი შეეწყო რესპუბლიკური წყობილების დამყარებისათვის და განემტკიცებინა რევოლუციით მოპოვებული სოციალური და პოლიტიკური უფლებები (საქართველო, 1918:118).

ნოე რამიშვილის მიერ წარდგენილ მთავრობის დეკლარაციაში აისახა საგარეო სფეროში განხორციელებული ორი მნიშვნელოვანი მოვლენა: 1. გერმანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება და 2. ოსმალეთთან დადებული ზავი. ნოე რამიშვილი აღნიშნავდა, რომ „საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით გერმანიამ გამოგზავნა ჯარი, რომელიც, მთავრობის განკარგულებათა თანახმად, საქართველოს დაეხმარება საზღვრების დაცვის საქმეში (საქართველო, 1918:118, ასევე ჯანელიძე, 2015:62).

ნოე რამიშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობამ მოამზადა ნიადაგი გერმანიის სახელმწიფოსთან საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის უზრუნველსაყოფად. „ნიადაგის მომზადებაში“ იგულისხმებოდა საქართველოს ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი ბერლინში საგარეო საქმეთა მინისტრ აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების მიზნით (ჯანელიძე, 2015:62).

მთავრობის დეკლარაციის თანახმად, 4 ივნისს ბათუმში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოსმალეთთან ხელშეკრულებას (საქართველო, 1918:118). მთავრობა აღიარებდა: „4 ივნისის ხელშეკრულების ზოგიერთი პირობები ქართველ ხალხის გულში სრულიად სამართლიან მწუხარებას გამოი-

წვევს“, თუმცა იქვე იმედს გამოთქვამდა, რომ „ნორჩი რესპუბლიკის ენერგიულ შემოქმედების და დიპლომატიური საქმიანობის (შედეგად) მომავალში ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესები დაცულ იქნება“ (ჯანელიძე, 2015: 63).

„ამგვარი იმედის საფუძველს, – აღნიშნავს ოთარ ჯანელიძე, საქართველოს მთავრობას გერმანიის დაპირება აძლევდა, რომ ხსენებული ზავის პირობები ახლო მომავალში გადაისინჯებოდა. გამოცხადებულიც იყო, რომ ქალაქ კონსტანტინეპოლში შეიკრიბებოდა გერმანიისა და მისი მოკავშირე სახელმწიფოების კონფერენცია. ამ კონფერენციაზე მიწვეული საქართველოს დელეგაცია, რომელიც მთავრობამ ოფიციალურად დაამტკიცა, უკვე ემზადებოდა ოსმალეთში გასამგზავრებად“ (ჯანელიძე, 2015: 62). დეკლარაციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ქალაქ სტამბოლში შეიკრიბებოდა ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს კონფერენცია, რომელზედაც უმთავრესი განსახილველი საკითხი იქნებოდა „საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის გამორკვევა და უზრუნველყოფა“ (საქართველო, 1918:118).

დეკლარაციაში ჩამოყალიბებული იყო მთავრობის შემდეგი სამომავლო გეგმები: დაეცვა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი და დემოკრატიული რესპუბლიკა გარეშე და შინაური საფრთხისაგან; შეედგინა ევროპული წესით გაწვრთნილი ჯარი; ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეებს მინიჭებოდათ ისეთივე პოლიტიკური მოქალაქეობრივი და ეროვნულ-კულტურული უფლებები, რომლითაც ადჭურვილი იქნებოდნენ თვით ქართველი მოქალაქეები; დაჩქარებით შემოეღოთ საეროხო თვითმმართველობა; განესაზღვრა ადმინისტრაციის და თვითმმართველობის ურთიერთობა; ახალ პირობათა მიხედვით გარდაექმნა სასამართლო და სკოლა და დაჩქარებით განეხორციელებინა სავალდებულო პირველდაწყებითი უფასო სწავლა-განათლება; საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად მოეწესრიგებინა ფინანსური მეურნეობა; დეკლარაციით გათვალისწინებული იყო ფულის სისტემის შემუშავება და საკუთარი ფულის მოჭრა; ვიდრე ეს რთული საქმე მოწესრიგდებოდა, მთავრობას ზომები უნდა მიეღო შინაური და საგარეო სესხის ასაღებად (საქართველო, 1918:118).

დეკლარაციის თანახმად, მთავრობას უნდა გადაეჭრა საწარმოო ძალთა განვითარების უზრუნველყოფის საკითხი. ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ხალხის სამსახურში გამოსაყენებლად მთავრობას საჭიროდ მიიჩნდა „ყოველგვარი მადნეულის სახელმწიფო საკუთრებად აღიარება“ და საზღვარგარეთ ნედლეულის გატანაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება. ამ ინიციატივებისათვის სამართლებრივი ბაზის მოსამზადებლად განზრახული იყო ეროვნულ საბჭოში შესაბამისი კანონპროექტების წარდგენა (ჯანელიძე, 2015:66).

საქართველოს მთავრობას უყურადღებოდ არ დარჩენია არც სოციალური პრობლემატიკა. მას „დიდმნიშვნელოვან მორიგ საქმედ“ წარმოედგინა ხალხის სურსათით უზრუნველყოფა და უმუშევრობის შემცირება; გეგმავდა სოციალური კანონმდებლობის განვითარებასა და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და მოსახლეობის დასაქმების მიზნით მთავრობას განზრახული ჰქონდა სარკინიგზო ქსელის გაზრდა, ტყეების „წესიერი

ექსპლუატაცია“, საირიგაციო არხების გაყვანა და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად დეკლარაციაში მიჩნეული იყო ეროვნული საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი „ერთი ძლიერი მთავრობის“ არსებობა. ქვეყანაში აღარ უნდა დარჩენილიყო მთავრობის უფლებით აღჭურვილი რომელიმე სხვა ორგანო (იგულისხმება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები) (ჯანელიძე, 2015: 66, ასევე საქართველო, 1918:118).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ექვს თვეში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ, ეროვნულ საბჭოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებებისა და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ჩააბარა.

ნოე ჟორდანიამ 1918 წელს მიღებულ „დამოუკიდებლობის აქტს“ ისტორიულ აუცილებლობას მიაწერს და აღნიშნავს, რომ ამ აქტით საქართველო გადაურჩა განადგურებას. ამ პროცესში უდიდეს როლს გერმანიის „შეიარაღებულ ძალას“ ანიჭებს, რომლის აქტიური ჩარევის შედეგადაც მიღწეული იქნა „ჩვენი სულისკვეთება და ლტოლვილება“, მოვშორებულიყავით „აზიურ კულტურას და შვესულიყავით ევროპულ კულტურაში“. აქვე მთავრობის თავმჯდომარე აღნიშნავს: „ჩვენ უნდა ვიდგეთ მაგრად ჩვენ ისტორიულ გზაზე და უნდა ვთქვათ გადაჭრით და ხმამაღლა, რომ არ გვინდა არც ქაოსი, არც ბარბაროსობა, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის. მოდიოდეს იგი სამხრეთიდან თუ ჩრთილოეთიდან“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 70: 27).

ნოე ჟორდანიას სიტყვით, ექვსი თვის განმავლობაში „მოპოვებული თავისუფლება კონსტიტუციურ კალაპოტში ჩამოაყალიბეს“, მიაწყვეს ადმინისტრაციული აპარატი, შემოიღეს ერობა, გაატარეს აგრარული რეფორმა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევს იმას, რომ ახლად შექმნილ სახელმწიფოს ჰქონოდა „საკმარისი ქონება“ სახელმწიფოებრივი მეურნეობის დასაწყებად. გატარდა ღონისძიებები ჯარის შესაქმნელად, შემუშავდა ახალი გადასახადების სისტემა, გაიმართა ფოსტა-ტელეგრაფი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამშობლო ენაზე ხალხის სწავლა-განათლების საკითხის მოგვარებას, გატარდა „სასამართლო რეორგანიზაცია“. ყველანაირი ზომები იქნა მიღებული რათა „სახელმწიფო მართლა დამსგავსებოდა სახელმწიფოს“. ბოლოს ნოე ჟორდანიამ აღიშნა: „აი, მოკლედ ის, რასაც ვაკეთებდით ამ 6 თვის განმავლობაში, რის უკანასკნელი სიტყვაც ეკუთვნის დამფუძნებელ კრებას, რომელიც იქნება საქართველოში ამ ახლო ხანაში მოწვეული“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 70:27).

ნოე ჟორდანიამ თავის გამოსვლაში მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა: „მხოლოდ აქ ჩვენ საქართველოში შევკვლით შეგვექმნა ერთნაირი პოლიტიკური თავისუფალი და წესიერი მართვა-გამგეობა... ჩვენ გვსურს უეჭველად ჩვენებური წეს-წყობილება იყოს, როგორც რუსეთში, ისე მოსახლურე მეზობელ ერებში. ჩვენ მოხარულნი ვიქნებით რუსეთის, ნამდვილი რუსეთის აღდგენისა. ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, რომ ჩვენს ირგვლივ მყოფი მოძმე

რესპუბლიკები და ერები იყვნენ უკეთ პირობებში და შექმნან ისეთი წესწყობილება, რომელიც არის აქ ჩვენში ...ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოსთან ყოველთვის გვექნება მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი. მხოლოდ მათთან ჩვენ მოვიტხოვთ ერთ პირობას: როგორც ჩვენ ვცნობთ მათ სახელმწიფოდ, ისე მათ ჩვენი სახელმწიფო იცნონ და უნდა გამართონ მოლაპარაკება ჩვენთან და ჩვენ მათთან, როგორც თანასწორმა თანასწორს“ (სეცსსა, ფ.1836, ად.1, საქმე 70:28-29).

ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო კანონშემოქმედებითი საქმიანობა. ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს საფუძვლად დაედო როგორც იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოებრივი გამოცდილება, ისე საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების ტრადიციები (ხმალაძე, 1997:7-8). საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონები მათი მუხლჩაუხრელი მოღვაწეობისა და სწორი პოლიტიკური ჭვრეტის შედეგი იყო.

ეროვნული საბჭოს მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიის საზღვრების დადგენა. საქართველოს სხვა სახელმწიფოებისაგან ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი პირველად 1917 წ. 10 დეკემბერს ეროვნული საბჭოს მეორე კრებაზე დაისვა (ჭანტურია, 2006:111). 1917 წ. 13 დეკემბერს ეროვნული საბჭოს მესამე კრებაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ გამიჯვნის საკითხის განხილვას დასწრებოდნენ სამხედრო პირები, რომელთაც შესწავლილი ჰქონდათ კავკასია, რათა საქმის განხილვას სტრატეგიული მიმართულება მისცემოდა. ამავე სხდომაზე აკაკი ჩხენკელმა აღნიშნა: „ჩვენ მოვიწვევთ ყველა მცოდნე პირთ სექციაში და იქ გამოვიკვლევთ ყოველ მხრივ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას“ (სეცსსა, ფ.1836, ად.1, საქმე 9:24).

შემდგომში ეროვნულმა საბჭომ დიდი მუშაობა გასწია, მაგრამ საზღვრების საკითხის გადაჭრა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ვერ მოხერხდა. 1918 წლის 11 ივნისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და მთავრობამ შექმნეს სპეციალური კომისია ირაკლი წერეთლის თავმჯდომარეობით, მასში შევიდნენ: გენერალი ილია ოდიშელიძე, პავლე ინგოროყვა, დავით ონიაშვილი. ამ კომისიამ ისტორიულ-გეოგრაფიული პრინციპებზე დაყრდნობით დაადგინა მეზობელ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის საზღვარი (ჭანტურია, 2006:111).

საარქივო დოკუმენტში ვეცნობით პავლე საყვარელიძის მიერ შედგენილ „სახელმწიფო ტერიტორიას“, სადაც მუხლობრივად არის ჩამოყალიბებული შემდეგი პირობები:

„ I. საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიას შეადგენს: ქართლი, კახეთი, ერწო-თიანეთი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, ყაზახ-ბორჩალო, ზაქათალი, იმერეთი რაჭა-ლეჩხუმითურთ, სამეგრელო ოდიშითურთ, სამურზაყანო, სვანეთი, გურია და ავტონომიური აფხაზეთი და ავტონომიური სამუსულმანო საქართველო, რომელშიც შედის: ყოფილი სამცხე საათაბაგო-ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები (მესხეთი და ჯავახეთი), არტაანის ოლქი (კოლ-არტაანი), ოლთისის ოლქი (ძველი ტაო), თორთუმი, ისპირი, ჭახეთი, ბათუმის ოლქი (ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა).

2. საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიის გაცემა, გაყოფა, შემცირება ან გადაცემა შეუძლებელია.

სახელმწიფოებრივი ტერიტორიის გაფართოება ან სადაო დაუსახლებელ საზღვრების შესწორება ხდება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

3. ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმმართველ ერთეულთა საზღვრების შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის გზით“ (სეცსსა, ფ.1823, აღ. 2. საქმე 1: 111).

როცა 1918 წლის 26 მაისს საქართველომ თავისი თავი სახელმწიფოდ გამოაცხადა, მას უნდა შეემუშაებინა საკუთარი მოსახლეობის საერთო განმსაზღვრელი პრინციპი, ძირითადი სტატუსი მოქალაქეობისა. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ეროვნულმა საბჭომ გადადგა 1918 წლის 16 ივლისს “საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობის დებულების მიღებით“ (გელაშვილი-ბერიძე, 2009: 206). 1919 წლის 27 მაისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „კანონი მოქალაქეობისა“, რომელმაც შეავსო და გააფართოვა ქვეშევრდომობის ფარგლები იმ კატეგორიისათვის, რომელიც არ შედიოდა ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულ დებულებაში.

1918 წლის 20 აგვისტოს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ერთობლივად მიიღეს დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა“ (კრებული, 1990: 49). 1918 წლის 20 აგვისტოს დაამტკიცა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციისა“ (კრებული, 1990:53).

საქართველოს პარლამენტმა 1918 წლის 20 აგვისტოს დაამტკიცა ძირითადი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსებისა“ (კრებული, 1990: 55).

რეგულარული ჯარის პარალელურად საქართველოში იქმნებოდა სახალხო გვარდია. 1918 წლის 2 ივლისს საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მიერ მიღებული იქნა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიისა“ (კრებული, 1990:15). სახალხო გვარდია სახელმწიფო სამხედრო ორგანიზაციად გადაიქცა. იგი შედგებოდა მუდმივი ქვეგანაყოფებისა და სარეზერვო ბატალიონებისაგან, რომელსაც გააჩნდა არტილერია, ჯავშანმატარებელი, საინჟინრო ნაწილები და სხვა. სახალხო გვარდია იყო ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის მებრძოლებს, როგორც წესი, არ ევალებოდათ ყაზარმებში ცხოვრება. გვარდიელები უმეტეს დროს თავიანთ სახლებსა და სამოქალაქო სამსახურში ატარებდნენ, სამხედრო მწყობრში დგებოდნენ მხოლოდ წვრონისა ან საომარი მოქმედებების დროს. გვარდიაში სამსახური უსასყიდლო იყო, მაგრამ გვარდიელის მიერ სამსახურის შესრულების დროს მის ოჯახს მთავრობისაგან გარკვეული დახმარება ეძლეოდა. ჯამაგირს იღებდნენ მხოლოდ გვარდიის ოფიცრები და ინსტრუქტორები, ვინაიდან, რიგითი გვარდიელებისაგან განსხვავებით, ეს მათი ძირითადი სამსახური იყო (ანჩაბაძე, 2002:74).

სახალხო გვარდიის ნაწილები, როგორც ზემოთ ითქვა, შედგებოდა მუდმივი და

სარეზერვო ქვეგანაყოფებისაგან. კერძოდ, ქვეითი ჯარი შედგებოდა ერთი სრული საშტატო შემადგენლობის ბატალიონისა და 23 საკადრო ბატალიონისაგან. ომის დროს ყველა ეს ბატალიონი რეზერვისტებით ივსებოდა. კავალერია წარმოდგენილი იყო ერთი ცხენოსანი პოლკით. გვარდიას გააჩნდა აგრეთვე საარტილერიო ბრიგადა და ტექნიკური ნაწილები (ანხაბაძე, 2001:76).

დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობამ ეროვნული საბჭოს წინაშე სასამართლო რეფორმის გატარების საკითხი დააყენა (ჭანტურია, 2006:118). ალექსანდრე ბენდიანიშვილი სამართალწარმოების სფეროში გატარებული ღონისძიებების შესახებ აღნიშნავს: „დიდი ცვლილებები მოხდა სამართალწარმოების სფეროში. იუსტიციის სამინისტრო საკმაოდ აქტიურად საქმიანობდა ახალი ოფიციალური კანონების შესაბამისად ორგანიზებულ სასამართლოთა ხელში მართლმსაჯულების ცენტრალიზაციისათვის. გაუქმდა რევოლუციური ტრიბუნალები, სხვადასხვა საგამომძიებლო კომისიები. სამართლისწარმოების ფუნქცია ჩამოერთვა მუშათა საბჭოებს, სხვა რევოლუციურ ორგანიზაციებს. 1918 წლის 24 სექტემბრის კანონის საფუძველზე განხორციელდა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის რეორგანიზაცია. გატარდა სასამართლოს საგამომძიებლო ნაწილის რეფორმა, რომლის ფარგლებშიც მიიღეს აგრეთვე კანონი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ორგანიზაციების თაობაზე. ცოტა მოგვიანებით, სათანადო კანონის შესაბამისად, შეიქმნა უზენაესი საკასაციო და კანონდამცველი დაწესებულება სენატი. სპეციალურმა კომისიამ სენატორებად შეარჩია: ივანე ზურაბიშვილი, სოლომონ მიქელაძე, ლევან ასათიანი, გიორგი მაღნარაზე, ვასილ დემიდოვი, დიმიტრი კალანდარიშვილი, გრიგოლ გველეხიანი, ვლადიმერ ქუთათელაძე, ნიკოლოზ ქიქოძე, მიხეილ ქორქაშვილი, ნიკოლოზ მაჭავარიანი, იოსებ როინიშვილი. პარლამენტმა ყველა დაამტკიცა თანამდებობაზე. იუსტიციის სამინისტროსთან დაარსდა განსაკუთრებული საკოდიფიკაციო განყოფილება, რომელიც რეგულარულად აქვეყნებდა „ოფიციალური კანონებისა და მთავრობის განკარგულებათა კრებულს“ (ბენდიანიშვილი, 2001:112).

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დიდი ყურადღება მიაქცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ჩამოყალიბებას. ჯერ კიდევ 1917 წლის 26 ნოემბერს საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ მიიღო შემდეგი დადგენილება: 1. დაუყოვნებლივ იქნას შემოღებული საქართველოში სამსაფეხურიანი ერობა (სათემო, სამაზრო და საგუბერნიო თვითმმართველობები). 2. ერობა ჩამოყალიბდეს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი ფარული და პროპორციული საარჩევნო უფლებების საფუძველზე. 3. ერობას მიენიჭოს არა მარტო სამეურნეო ფუნქციები, არამედ იგი გადაიქცეს სახელმწიფოებრივ, მართვა - გამგეობის ადგილობრივ ორგანოდ. ერობის დაუყოვნებლივ შემოღება მიენდოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 149:1).

საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული საბჭო ფორმალურად მაინც ამიერკავკასიის დროებით მთავრობას ექვემდებარებოდა. ამიტომ ეროვნული საბჭოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს სანქცია და კანონის ძალა კო-

მისარიატისაგან უნდა მიეღო. 1917 წლის დეკემბერში კომისარიატმა (დროებითმა მთავრობამ) შეადგინა „დროებითი დებულება ამიერკავკასიის საერობო დაწესებულებათა შესახებ“, რომლის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბებულიყო გუბერნიების, მაზრებისა და თემების თვითმმართველობის ორგანოები. ერობებს უფლება ეძლეოდათ დაედოთ ერთმანეთთან ხელშეკრულება, შეედგინათ კავშირები, მოეწვიათ საერობო ყრილობები. საერობო კრებების არჩევაში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა 20 წლის ასაკს მიღწეულ ყველა მოქალაქეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. უშუალოდ მოსახლეობას უნდა დაესახელებინა თემისა და მაზრის საკრებულოთა ხმოსნები. საგუბერნიო კრების ხმოსნები კი აირჩეოდა მაზრების საერობო კრების ხმოსნთა წრიდან გარკვეული პროპორციით (მაგანი, 2001:127-128).

დებულების მიხედვით, საერობო კრებას (საკრებულოს) ეძლეოდა განმკარგულებელი, საერობო გამგეობას კი – აღმასრულებელი ხელისუფლება შეედგინა. საკრებულოები ირჩევდნენ გამგეობას თავმჯდომარისა და 2-5 წევრის შემადგენლობით. დროებითი დებულების დანართის მიხედვით, საქართველოში უნდა ჩამოყალიბებულიყო თბილისისა და ქუთაისის საგუბერნიო, ბათუმისა და სოხუმის საოლქო და 23 სამაზრო საერობო თვითმმართველობა.

ამიერკავკასიის კომისარიატმა საერობო დებულების პრაქტიკული რეალიზაცია ვერ შეძლო. საქმე ვერც ამიერკავკასიის სეიმმა (პარლამენტმა) წასწია წინ. საერობო რეფორმის გატარება წილად ხვდა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას (მაგანია, 2001:127-128).

1918 წლის 2 აგვისტოს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიდეს ერთობლივი კანონი „საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატებისა“. კანონს ხელს აწერს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი და საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ნოე რამიშვილი (სეცსსა, ფ. 1836, აღ1, საქმე 160:38).

ამ კანონის შესახებ ალექსანდრე ბენდიანიშვილი აღნიშნავს: „1918 წლის 2 აგვისტოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატების შესახებ. ამ კანონის თანახმად, დაინიშნენ თბილისისა და ქუთაისის საგუბერნიო კომისრები და მათი თანაშემწეები, სოხუმის ოლქის კომისარი, 14 სამაზრო და 56 სარაიონო კომისარი. თითქმის ყველა სასოფლო საზოგადოებაში (თემში) შეიქმნა 5-კაციანი მილიცია.“

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ გააკრიტიკა 2 აგვისტოს კანონი, დაიწუნა მის საფუძველზე შექმნილი ბიუროკრატიული აპარატი, განსაკუთრებით მკაცრად დაგმო კომისართა ინსტიტუტი. ვას. წერეთელმა ზედმეტად მიიჩნია საქართველოს დაყოფა გუბერნიებად, ეს ძველი იმპერიული ადმინისტრაციული დაყოფის ნაშთია, ჩვენი პატარა რესპუბლიკისათვის გუბერნატორთა პატარა სატრაპები შეუფერებელიაო. მისი თვალსაზრისით, გუბერნიები უნდა გაუქმებულიყო, შინაგან საქმეთა მინისტრს პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონოდა სამაზრო ხელისუფლებასთან. მანვე კრიტიკულად შეაფასა ადგილობრივი თვითმმართველობის კანონი (პროექტი), მოითხოვა მისი არსებითად გადაშუშავება“ (ბენდიანიშვილი, 2001: 111).

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გუბერნიებსა და მაზრებს პირველი ხუთი თვის განმავლობაში მთავრობის მიერ დანიშნული კომისიები განაგებდნენ, საზოგადოებრივ წესრიგს მათი ხელქვეითი ადგილობრივი მილიციელთა რაზმები იცავდნენ. მაგრამ კომისართა ავტორიტარულმა ხელისუფლებამ ხალხისა და ეროვნული მიმართულების პოლიტიკურ პარტიათა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია“ (ძაგანია, 2001: 128). „პარლამენტისა და მთავრობის უმრავლესობამ მიიღო სამართლიანი კრიტიკა, მყისვე გააუქმა ქვეყნის დაყოფა გუბერნიებად. მალე მოისპო სამაზრო კომისართა ავტორიტარული ხასიათის მქონე თანამდებობა, გატარდა საერობო რეფორმა და თითქმის ყველა მაზრაში ჩამოყალიბდა საერობო თვითმმართველობის ორგანოები“ (ბენდიანიშვილი, 2001:111).

1919 წლის 30 იანვარს საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის მიერ მიღებული იქნა კანონი „საგუბერნიო ადმინისტრაციულ დაწესებულებათა გაუქმებისა და ადმინისტრაციის ინსპექტორის თანამდებობის დაარსებისა“ (კრებული, 1990:225-226, ასევე დოკუმენტი 19).

1918 წლის მეორე ნახევარში ჩატარდა საერობო კრებების არჩევნები. მართალია, ხმების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის ამ განმკარგულებელ ორგანოებში გარკვეული რაოდენობის ხმოსნები გაიყვანეს სოციალისტ-ფედერალისტებმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა და ეროვნულ-დემოკრატებმაც. თითქმის ყველა მაზრაში ჩამოყალიბდა მრავალპარტიული საერობო კრებები და მრავალპარტიული გამგეობები (აღმასრულებელი ორგანოები). ადგილობრივ თვითმმართველობებშიც პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლა საკმაოდ მწვავე ხასიათს ატარებდა (ბენდიანიშვილი, 2001:111-112). „1918 წლის დეკემბრამდე სამაზრო-საერობო საკრებულოთა არჩევნები ძირითადად დამთავრდა. თითქმის ყველგან ჩამოყალიბდა მრავალეროვანი საერობო კრებები და კოალიციური გამგეობები“ (ძაგანია, 2001:129).

საქართველოს ქალაქებმა შეზღუდული თვითმმართველობა XIX ს-ის 70-იან წლებში მიიღეს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ შედეგად მოიტანა ამ თვითმმართველობის ორგანოების დემოკრატიზაცია და უფლება-კომპეტენციის გაფართოება. ბურჟუაზიამ დაკარგა ადგილობრივი მართვა-გამგეობის მონოპოლია. საქალაქო სათათბიროებსა და გამგეობებში წამყვანი პოზიციები დაიკავეს დემოკრატიულმა ელემენტებმა. საქართველოს მუნიციპალიტეტებშიც პოლიტიკური პარტიების ბრძოლის არენად გადაიქცა (ბენდიანიშვილი, 2001:112).

როგორც უკვე აღინიშნა 1919 წლის 30 იანვრის საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის მიერ მიღებული კანონით გაუქმდა სახელმწიფოს გუბერნიებად დაყოფა და დამფუძნებელი კრების დროს ჩამოყალიბდა ერობის მცირე ერთეულები (სათემო საკრებულოები და გამგეობები).

აღსანიშნავია, რომ ავტონომიური მმართველობის საკითხს 1918 წელს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციით (ძირითადი კანონი) იქნა დამტკიცებული. „1918 წლის 11 ივნისს დაიდო ხელშეკრულება აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობას შორის, რომ-

ლის ძალითაც აფხაზეთი ადასტურებდა საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას, ხოლო საქართველოს მთავრობა აფხაზეთის ავტონომიის გარანტიას იძლეოდა“ (ჩიტაია, 2001:189).

საქართველოს მთავრობის 1918 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე დადგინდა: 1. აფხაზეთა სახალხო საბჭო მისი მაშინდელი შემადგენლობით დათხოვნილად გამოცხადებულიყო, ახალი არჩევნები დაინიშნებოდა თანახმად საყოველთაო საარსებო პრინციპებისა. 2. არჩევნების საწარმოებლად დაინიშნებოდა ცენტრალური კომისია, რომელშიც შევიდოდნენ: ვარლამ შერვაშიძე, ისიდორე რამიშვილი, ვასილ ღურჯუა, ექიმი ფაშალიდი, გიორგი შანშიევი. ეს კომისია უფლებამოსილი იყო აერჩია თავმჯდომარე და კოოპტაციის წესით მოეწვია საჭირო პირები. 3. დროებით, ახალი საბჭოს არჩევამდე, სოხუმის ოლქის კომისრად ინიშნებოდა ბენია ჩხიკვიშვილი, ქუთაისის საგუბერნიო კომისარი, რომელსაც დაექვემდებარებოდა სოხუმში მოქმედი ყველა ნაწილი. მისი დანიშნულ ადგილზე მისვლამდე უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო უფლებით აღიჭურვებოდა სოხუმის რაზმის შტაბის უფროსი თუხარელი. 4. აფხაზეთა სახალხო საბჭოს დათხოვნის გამო დასრულებულად უნდა ჩათვლილიყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრ პოლკოვნიკ ჩქოტუას რწმუნებულება და აფხაზეთის საბჭოს წარმომადგენლობა ახალ შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა შეეთავსებინა, აფხაზეთის სახალხო საბჭოს ქონების დაცვა და ახალი საბჭოსთვის მისი გადაცემა უნდა მინდობოდა ახლად დანიშნულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ჩიტაია, 2001:199-200).

1918 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დებულება „აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისა“, რომლის მე-2 მუხლის თანახმად: „აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა არჩევნების უფლება აქვს განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა. აფხაზეთში მცხოვრებს ყოველ მოქალაქეს, რომელსაც საარჩევნო სიების შედგენამდე შესრულებია ოცი წელიწადი და რომელსაც აფხაზეთში ბინადრობა ჰქონია 1914 წლის ივლისის ცხრამეტამდე. შენიშვნა: აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს მეორე მუხლში აღნიშნულ პირთა გარდა ისიც, ვისაც აფხაზეთში ბინადრობა მოუპოვებია 1914 წლის ივლისის 19-ის შემდეგ და აკმაყოფილებს მეორე მუხლის დანარჩენ მოთხოვნილებას, აგრეთვე ისიც, ვინც აფხაზეთში არ ცხოვრობს, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ ითვლება“ (კრებული, 1990: 179-180).

ავტონომიური მმართველობის საკითხს კონსტიტუციაში მე-11 თავი ეძღვნება, რომლის 107-ე მუხლში აღნიშნულია: საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს: აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივ საქმეში ავტონომიური მმართველობა; ხოლო 108-ე მუხლი გვაუწყებს: „წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით“ (კრებული, 1990:476).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დღის წესრიგში დად-

გა მიწის საკითხის მოგვარების აუცილებლობა. ქვეყანაში მოქმედი ესა თუ ის პოლიტიკური პარტია საადგილმამულო საკითხის გადაჭრას განსხვავებულად უდგებოდა. ეროვნულ-დემოკრატიები გლეხობის მიერ მიწის გამოსყიდვას და კერძო საკუთრებაში მის დაკანონებას მოითხოვდნენ, სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ -ფედერალისტები მხარს სოციალიზაციას უჭერდნენ, ბოლშევიკები მიწის ნაციონალიზაციის ღოზუნგს აყენებდნენ, სოციალ-დემოკრატიები კი ჩამართმეული მიწების მუნიციპალიზაციის იდეას იცავდნენ (ჯანელიძე, 2015:59).

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ დღის წესრიგში დაისვა აგრარული ურთიერთობის მოგვარების საკითხი. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით. სწორედ ამისთვის დაარსდა საადგილმამულო კომიტეტები. 1917 წლის 16 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი „სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო და კერძო მიწების კომიტეტზე გადაცემის შესახებ“. დებულება მემამულეებისათვის განსაზღვრული ნორმის ზევით მიწების ჩამართმევას ითვალისწინებდა, მაგრამ მასში არ იყო ნახვენები დასატოვებელი მიწის ნორმა. ამ ხარვეზის არსებობა შეუძლებელს ხდიდა აგრარული რეფორმის პრაქტიკულ განხორციელებას (ჭანტურია, 2006:121-122).

აგრარული საკითხის დაჩქარებით მოწესრიგების აუცილებლობა მთელი პასუხისმგებლობით დაისვა ეროვნული საბჭოს წინაშე. 1918 წლის თებერვლის დასაწყისში განსაკუთრებით გაძლიერდა გლეხთა გამოსვლები გორის მაზრაში, სადაც გლეხებმა მემამულეების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, 1918 წლის 11 თებერვალს ეროვნული საბჭოს მე-8 სხდომამ რეზოლუცია მიიღო, რომლის მიხედვით ეროვნული საბჭო მთავრობას მოუწოდებდა სოფლად ანარქიის მოსასპობად ენერგიული და მტკიცე ნაბიჯები გადაედგა: დაუყოვნებლივ უნდა მიეღოთ საჭირო ზომები, რათა უსასყიდლოდ მიეცათ მშრომელი ხალხისათვის ის ადგილ-მამული, რომელიც მას აღეთქვა ამიერკავკასიის კომისარიატის დეკრეტით; გაეგზავნა სოფლად ხალხი სააგიტაციოდ, რათა დიდი ყურადღება მიექციათ ადგილობრივი შეიარაღებული ძალის შექმნისათვის, რომელიც სასტიკად შეებრძოლებოდა და ალაგმავდა ყოველგვარ შავრაზმულ ანარქიულ გამოსვლას. სოფლად პროპაგანდისტების გაგზავნის სისრულეში მოყვანა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაევადა (ჭანტურია, 2006:123).

1918 წლის 9 თებერვალს შეიკრიბა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელმაც აირჩია აგრარული კომისია. კომისიამ შეიმუშავა და ამიერკავკასიის სეიმს წარუდგინა კანონი „მფლობელებისათვის დასატოვებელი მიწის ნორმის განსაზღვრისა და მიწის რეფორმის განსახორციელებელი ზომების შესახებ“, რომელიც სეიმმა 1917 წლის მარტში დაამტკიცა (ჭანტურია, 2006 :123).

1918 წლის 7 მარტს სეიმის მიერ დამტკიცებული აგრარულ კანონს ალექსანდრე ბენდიანიშვილი ასე აფასებს: „1918 წლის 7 მარტს სეიმმა დაამტკიცა აგრარული კანონი, რომელიც განსაზღვრავდა მიწათმფლობელობის უმაღლეს ნორმას (სხვადასხვა ზონისა და ტიპის მეურნეობისათვის 7, 15, 40 ჰექტარის მოცულობით),

რომლის ზევით ყველას უნდა ჩამორთმეოდა მიწა. მისი ნაკლი ის იყო, რომ არ აწესებდა უმიწაწყლო გლეხებისათვის გადასაცემი ნაკვეთების ოდენობას“ (ბენდინიშვილი, 2001:119).

მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილის დეკლარაციაში, რომელიც მან დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორ კვირაში წარადგინა ეროვნულ საბჭოში, აღნიშნულია, რომ მთავრობა შეუდგება დაწყობული აგრარული რეფორმის განხორციელებას და იბრუნებს ინტენსიური სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის.

ნოე რამიშვილის წარმოდგენილი პროექტი მიწის საკითხთან დაკავშირებით ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მხრიდან კრიტიკის საგანი გახდა. გრიგოლ ვეშაპელი ეროვნულ საბჭოს სხდომებზე თავის გამოსვლებში აღნიშნავდა: აგრარული რეფორმა ეს ის დეკრეტი, რომელიც სიჩქარით დააკანონა ამიერკავკასიის სეიმმა, ეს ის დეკრეტი, რომლითაც უფასოდ ერთმევა მცირე ნორმაზე მეტი მამული მიწისმფლობელს, როგორც ყოფილ თავადს ან აზნაურს, ისე ყოფილ გლეხს. ეს ჩამორთმეული მიწა ებარება საადგილმამულო კომიტეტს, რომელმაც იჯარით უნდა მისცეს ეს მიწები გლეხებს; ამ დეკრეტის შედეგი ჯერ-ჯერობით ის არის, რომ ნორმაზე მეტ მამულში ისპობა ინტენსიური მეურნეობა და სოფლის წოდებათა და კლასთა შორის დვივდება საშინელი შუღლი და მტრობა.

გრიგოლ ვეშაპელი მიუთითებდა, რომ სეიმის მიერ დამტკიცებული კანონი ახლად უნდა იქნეს განხილული საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ და თავის შეხედულებას ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგნაირად აყალიბებდა: გლეხი, მიწის მუშა, არის ბურჟი ეროვნულ სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერებისა. ამიტომ გლეხი უნდა უზრუნველ იქმნას მიწით, ისე, როგორც სამეურნეო იარაღით და ცოდნით. მაგრამ ეს რეფორმა უნდა მოხდეს სახელმწიფო წესით, ისე, რომ არავის არ წაერთვას თავისი საკუთრება. სახელმწიფომ უნდა ჩამოართვას დიდ მემამულეებს ზედმეტი მიწა სამართლიანი ფასის გადახდით და შემდეგ ეს მიწა უნდა მიეყიდოს სრულ საკუთრებად მიწის მუშას. მიწის მფლობელის ნორმა უნდა დაწესდეს საქართველოს ყოველ მხარეში, განსაკუთრებით ადგილობრივი პირობების მიხედვით (ვეშაპელი, 1919:6-9).

მთავრობის მიერ წარდგენილ დეკლარაციაში მიწის საკითხთან დაკავშირებულ პროგრამას ეროვნულ-დემოკრატიული ასე აფასებენ: „დეკლარაცია გვიპირდება რუს-სომეხ-თათარ-ქართველ-მენშევიკთა სეიმის მიერ გამოცემული მიწის დეკრეტის განხორციელებას.

1) ეს დეკრეტი ანგრევს გაუმჯობესებულ სამეურნეო მოსახლეობათ. მაგალითად, ვისაც 10 დესეტინა ვენახი აქვს, სამი დესეტინა ჩამოეჭრება. ამასთანავე სახნავ-სათესიც ჩამოერთმევა, ეს, რასაკვირველია, მოსახლეობის გავერანებას მოასწავებს.

იმავე დროს, სახორბლეულო მოსახლეობის პატრონს, როდესაც თუთხმეტი დესეტინა აქვს, სახორბლეულო წარმოება თუ საბადო წარმოებით შეცვალა, რვა დესეტინა ჩამოერთმევა.

სასაძოვრო სამეურნეო მოსახლეობის პატრონს კი, რომელსაც ორმოცი დე-

სერტინა აქვს, თუ საბაღოს ან სახორბლეულო წარმოებას მიჰყოფს ხელს, პირველ შემთხვევაში ოცდაცამეტი და მეორე შემთხვევაში ოცდახუთი დესეტინა ჩამოერთმევა! მაშასადამე, ეს არასოდეს სახორბლეულო ან საბაღო მეურნეობაზე არ გადავა!

ერთი სიტყვით, ხსენებული მიწის დეკრეტი ყოველგვარ სამეურნეო გაუმჯობესებას ბოლოს მოუდებს.

2) ჩამორთმეული მიწები იჯარით იქნება გაცემული, საიჯარო მიწას კი მოიჯარადე არ გააუმჯობესებს. იმავე დროს იჯარა იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ საადგილმამულო ბანკების ვალებიც გაისტუმროს და საადგილმამულო კომიტეტებიც შეინახოს. ხაზინის სარგებლობაზეც კი ლაპარაკი მეტია.

3) ყოფილ მემამულეებს ჩამორთმეული მიწების ნაცვლად არაფერს მიუზღავენ.

მაშასადამე, აუარებელი მოქალაქე გააკორტდება... სახელმწიფო იმას კი არ უნდა ცდილობდეს, რომ დატაკთა, უსაქმურთა რიცხვი გაამრავლოს, არამედ იმას, რომ თვითოეული მოქალაქე მწარმოებელ, შემოქმედ ძალად გადააქციოს. უეჭველია, რომ ყოფილი მემამულეები, ჩამორთმეული მიწების ფასს თუ მიიღებენ, სასარგებლო მოქალაქეებად, მწარმოებელ ძალად შეიქმნებიან და მით სახელმწიფოს გაცილებით მეტს შეჰმატებენ, ვიდრე რასაც ხაზინა მათ მიუზღავს.

4) მიწები ჯერ მხოლოდ ზოგიერთს ყოფილ თავადსა და აზნაურს ჩამოართვეს, ყოფილ გლეხებისთვის კი ჯერ არ ჩამოერთმევიათ, ეს კი - საშინელ ანარქიას წარმოშობს.

მაშასადამე, ხსენებული მიწის დეკრეტი გაანადგურებს მეურნეობასა და ქმნის ანარქიას, ამის ნიშნებს უკვე ვხედავთ“ (საქართველო, 1918:119).

დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ ჩამოყალიბებულმა საქართველოს ხელისუფლებამ დააჩქარა საადგილმამულო კანონის რეალიზაცია იმით, რომ ეროვნული სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა რუსეთის სახაზინო და საუფლისწულო მიწები, ტყეები. გარდა ამისა, ჩატარდა მსხვილი კერძო მამულების კონფისკაცია. ტყეებისა და ალპური საძოვრების გარდა, სახელმწიფო საადგილმამულო ფონდში გადავიდა 621 ათასი ჰა სახნავ-სათესი და სხვა კულტურული მიწა. ეს ფონდი გამგებლობაში გადასცეს საადგილმამულო კომიტეტებს, რომელთაგანაც გლეხებს იჯარით უნდა აეღოთ თავისთვის საჭირო ნაკვეთები (ბენდიანიშვილი, 2001:119).

მოგვიანებით სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს ეროვნულ-დემოკრატების შეთავაზებულ წინადადებას მიწის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. 1919 წლის 8 იანვარს საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიის სხდომაზე იხილებოდა „მიწათმოქმედების მინისტრის კანონპროექტი სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მამულების მცხოვრებთათვის კერძო საკუთრებად მიცემისა“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 217:21).

არსებული საკითხის განხილვა გაგრძელდა 1919 წლის 10 იანვრის სხდომაზე, რომელზეც კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდნენ სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის

წარმომადგენელი თვედორე დლონტი მოითხოვდა: შემუშავებულიყო კოლექტიური მიწის მფლობელობის ფორმა, გატარებულიყო სოციალიზაციის პრინციპი. მიწათმოქმედების მინისტრმა ნოე ხომერიკმა თვედორე დლონტს შემდეგი პასუხი გასცა: „სოც. ფედერალისტები თეორიულად ლაპარაკის დროს თითქმის მართაღნი არიან, მაგრამ ეს „ობიექტური“ შეხედულება არ არის. ამ კანონის ცხოვრებაში გატარებით ჩვენ მოვუხსობთ საფუძველს პოლიტიკურ რეაქციას. მე შემძლიან უფრო შორს წავიდე და ვთქვა, რომ მე როგორც სოციალისტი სწორედ იმიტომ მომხრე ვარ, რომ ეს მიწები კერძო საკუთრებად გადაეცეთ იმ მოსახრებით, რომ სხვანაირად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების განვითარება შეუძლებელია. იმის შემდეგ, რაც რუსეთში მოხდა და რის მოწამენიც ჩვენა ვართ, ლაპარაკი მიწის სოციალიზაციის შესახებ სრულიად ზედმეტია“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 217:24).

ამავე წლის 10 იანვრის სხდომაზე დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა მიხეილ მაჩაბელმა აღნიშნა, რომ „გლეხი კაცი არ მოითხოვს მიწის სოციალიზაციას, ეს უტოპისტების მოგონილია. მიწები უნდა მიეყიდოს გლეხებს და ისეთ ფასებში, რომ ხაზინაში შემოვიდეს საკმარისად ფული“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 217:24).

1919 წლის 17 იანვარს საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიის სხდომაზე განიხილეს მიწათმოქმედების მინისტრის კანონპროექტი სხვადასხვა მიწის კერძო საკუთრებად აღიარების შესახებ. ამავე სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კანონპროექტის სათაური შეცვლილიყო შემდეგნაირად: „კანონპროექტი ყოფილ სანადელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად აღიარებისა“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 217: 15). აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

1. „ის სანადელო ადგილები, რომლების დამტკიცება ვერ მოასწრეს ყოფილ დროებით ვალდებულმა გლეხებმა და სახელმწიფო „პოსელიანებმა“ 1912 წლ. 20 დეკემბრის კანონის ძალით და რომელებიც მათ სარგებლობაში იყო „უსტავნი დრამატებით“, აღიარებულ იქნეს მათ კერძო საკუთრებად.

2) იმ ნორმის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია ამიერკავკასიის სეიმის 1918 წ. 7 მარტის კანონის 2 მუხლით, აღიარებულ იქნეს კერძო საკუთრებად:

ა) ყოფილ სახაზინო გლეხების ის სახაზინო მიწები, რომლებიც არის მათ კანონიერ სარგებლობაში.

ბ) ყოფილ ხიზანთა მიწები, რომლებიც არის მათ სარგებლობაში სახაზინო უფლებით.

გ) გორის მაზრის მთიან ოსეთის იმ ნაწილის ყოფილ გლეხთა მიწები, რომლებიც არის მათ სარგებლობაში ეგრეთ წოდებული, ვორონცოვის უფლებით“.

დ) ახალციხისა და სხვა ადგილების ყოფილ გლეხთა ის მიწები, რომლებიც არის მათ სარგებლობაში ტაპის (მანყ) უფლებით.

ე) სოხუმის ოლქის სხვა და სხვა ადგილების გლეხთა ის მიწები, რომლებიც მათ ჰქონდათ მიცემული 1870 წლ. 8 ნოემბრის დებულების წესით.

ვ) იმავე სოხუმის ოლქში მცხოვრები პირთა ის მიწები, რომლებიც მათ ჰქონ-

დათ მიცემული 1900 წლ. 1- ლი მაისის კანონით საშვილიშვილო სასარგებლოთ ან სასოფლო მეურნეობის წესდების გასაშენებლად.

3. ამ კანონის პირველ და მეორე მუხლებში აღნიშნული ადგილების მფლობელთ არ გადახდებოთ მიწის ფასი, მხოლოდ დაეკისრებათ დამტკიცების და დაფორტინის ხარჯები.

4. საკუთრების დასამტკიცებელ აქტების მისაღებად ისინი ისარგებლებენ იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია იმათთვის, ვისაც სახელმწიფო ფონდის მიწები მიეყიდება“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 217:15-16).

1919 წლის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა“. აგრარული რეფორმის განხორციელებაში ამ კანონის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ავსებდა იმ ნაკლს, რომელიც ადრე მიღებულ კანონებს გააჩნდათ. კანონით გლეხების საკუთრებად გამოცხადდა მათი საზღვარს მიწები დაწესებული ნორმის ფარგლებში, ასევე კანონი ითვალისწინებდა მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწების უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებზე გაყიდვას. კანონი 21 მუხლისაგან შედგებოდა, რომლის მიხედვით:

„1) სახელმწიფო საადგილმამულო ფონდის მამულები მიეცემა სოფლის მცხოვრებთ კერძო საკუთრებად გარდა იმ გამონაკლისისა, რომელიც ამ კანონის შემდეგ (2) მუხლშია აღნიშნული; 2) გარდა იმ მიწებისა, რომელიც ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წ. 16 დეკემბრის დეკრეტის მე-5 მუხლში და ამიერკავკასიის სემის 1918 წ. 2 მაისის კანონშია ჩამოთვლილი, არ განაწილდება მცხოვრებთა შორის აგრეთვე ის მიწებიც, რომელიც მიწათმოქმედების მინისტრის განკარგულებით გადასახლები-სა და დასახლებისათვის დანიშნული იქნება; 3) მიწა მიეცემა საკუთრებად იმ უმიწაწყლო და მცირედი მიწის მქონე სოფელთ, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომა. ამავე მუხლში დართული შენიშვნით მიწის საკუთრებაში მიღების უფლება, თუ ამ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნის მქონეებს აკმაყოფილებდნენ არ ეკარგებოდათ იმ ქალაქების მცხოვრებლებს, რომლებიც 1917 წლის 1 მარტის შემდეგ გამოცხადდნენ ქალაქელებად, 4) უკეთუ რამდენიმე პირი, რომელთაც უფლება აქვთ ცალ-ცალკე ნორმის მიღებისა, წერილობით განაცხადებენ, რომ მათ სურთ საზოგადო საკუთრებად შეიძინოთ მათი ხვედრი მიწები, ასეთი მათი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნება. კანონის მე-8 და მე-9 მუხლით აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარება მიწათმოქმედების სამინისტროს ევალებოდა. სამინისტროს ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენდა: ა) სამაზრო საერო გამოგება, რომელზედაც გადადიოდა სამაზრო საადგილმამულო გამოგებათა უფლებანი და მოვალეობანი, ბ) სამაზრო საადგილმამულო გამოგება იმ ადგილებში, სადაც საერო გამოგება არ იყო არჩეული და გ) სარაიონო კომისიები. მიწათმოქმედების სამინისტროს გადაწყვეტილებით ყოველი მაზრა იყოფოდა სააგრარო რაიონებად, თითოეულ რაიონში იქმნებოდა სარაიონო კომისია 3-5 პირის შემადგენლობით.

1919 წ. 28 იანვრის კანონით აგრეთვე ნორმის ფარგლებში მესაკუთრედ გამოცხადდნენ სახაზინო გლეხები, ხიზნები, მთიანი ოსეთის გლეხთა ის ნაწილი, რომე-

ლიც სამაჩაბლოს მიწებით სარგებლობდა,ახალციხისა და ახალქალაქის გლეხები და სოხუმის ოლქის ზოგიერთი კატეგორიის გლეხები“ (ჭანტურია,2006: 128-129).

საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ გატარებულ აგრარულ რეფორმას ალექსანდრე ბენდიანიშვილი შემდეგნაირად აფასებს: „მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. საკმაო ფართო ასპარეზი დარჩა კერძო საკუთრებასა და ერთპიროვნულ მეურნეობას. მთავრობას არც მუნიციპალიზაციის პროგრამაზე აუღია მთლიანად ხელი, მეტ-ნაკლები მიწის ნაკვეთები დაისაკუთრეს საერობო და საქალაქო თვითმმართველობებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, კონფისკაციამ მსხვილ რაციონალურად გამართულ მამულების ბაზაზე მთავრობამ შექმნა ეროვნული (სახელმწიფო) მეურნეობები. სახელმწიფო მეურნეობებად გარდაიქმნა, სახელდობრ საუფლისწულო უწყების მამულები (წინანდალი, მუკუხანი, ნაფარეული, მუხრანი, გი-აურარხი, ყარაყალა, ვაჭევი, ჩაქვი), დიდ მთავარ ალექსანდრ რომანოვის ბორჯომის მამული, მისივე მეურნეობები აფხაზეთში-„სინოპი“ და „დიოსკურია“, ფრიდანოვის მამულები მანავსა და სკრაში, მანთაშევისა და არამიანცისა ქვემო ქართლში, ანანოვის მეურნეობა ვარციხეში, სმეცკოისა და იგუშნოვის მამულები სოხუმის ოლქში“ (ბენდიანიშვილი, 2001:122).

„საკმაოდ ბევრი კაპიტალისტური მეურნეობა არსებითად ხელუხლებელი დარჩა. მართალია, ამ მეურნეობათა მფლობელებს ჩამოართვეს ნორმით განსაზღვრულზე მეტი მიწა, მაგრამ ეს ჩამორთმეული სავარგულები გლეხებზე კი არ გაანაწილეს, არამედ დატოვეს დაზარალებულ პირთა, წინანდელ მესაკუთრეთა, იჯარაში. საიჯარო ქირა შედარებით მცირე იყო, ამიტომ თითქმის ყველა მიწათმფლობელი ცდილობდა ნორმის გარდამეტი მიწა საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე თავის მეურნეობის ფარგალში დაეტოვებინა. ცნობილმა კაპიტალისტმა კუჩენბახმა თავისი ყოფილი კერძო მიწები იჯარის საფუძველზე მიიღო და 1918-1920 წლებშიც აგრძელებდა მეურნეობას. საიჯარო ხელშეკრულებათა საფუძველზე მიწების შენახუნება და მეურნეობის დიდი მასშტაბით გაგრძელება მოახერხეს მეძროხეობის ფერმებისა და შვეიცარული ყველის ქარხნების სხვა მეპატრონეებმაც. ამავე გზით მიწები შეინარჩუნეს პ. სარაჯიშვილმა, პ. წულუკიძემ, სულხანიშვილებმა, დემენტიევმა, მუღინმა და სხვ. მემამულეებმა“ (ბენდიანიშვილი, 2001:122-123).

„და მაინც, აგრარული რეფორმის შედეგად მსხვილი ლატიფუნდიები მოიშალა, მიწები შედარებით თანაბრად განაწილდა მესაკუთრეთა შორის. საკუთრების დაწვრილეროთეულება მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის პირობებში ვერ უზრუნველყოფდა კაპიტალისტური მეურნეობის კონცენტრაციას. ამიტომ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ აღმოცენდა ბურჟუაზიული ოპოზიცია.“

ი. ანდრონიკაშვილი მოითხოვდა მიწის ყიდვა-გაყიდვის დაშვებას და ისეთი კანონების დამტკიცებას, რომელნიც შექმნიდნენ პირობებს კერძო ინიციატივის განვითარების, კაპიტალისტური მეურნეობების გამსხვილებისათვის“ (ბენდიანიშვილი, 2001: 123).

მსხვილი მამულების კონფისკაციამ და მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვამ

კიდევ უფრო დიდი უკმაყოფილება ბანკების მფლობელებში გამოიწვია. თავადაზნაურთა მიწების დიდი ნაწილი დაგირავებული იყო ბანკებში და მამულების კონფისკაციის გამო ბანკირები ყოველწლიურ შემოსავალს, სესხის პროცენტს, კარგავდნენ, მეტიც, ისინი თავნის დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ბანკები ილაშქრებდნენ აგრარული რეფორმის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ ზარალის რაიმე ფორმით კონფისკაციას. მთავრობას უარი არ უთქვამს ბანკირთა პრეტენზიებზე, მაგრამ, ფაქტობრივად, მას არ შეეძლო საკრედიტო დაწესებულებათა მოთხოვნების დაკმაყოფილება (ბენდიანიშვილი, 2001:123).

ამრიგად, 1919 წელს გატარებული რეფორმა ბურჟუაზიული და იმპერატორულად დემოკრატიულიც იყო. მან შეძლო მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელების, ბატონყმობის ნაშთების ეკონომიკური საფუძვლების ლიკვიდაცია. მემამულეებისათვის ნორმად დატოვებული 7-15 და 40 დესეტინა მიწა უკვე აღარ იყო საკმარისი გლეხობის ნახევრად ბატონყმური ექსპლუატაციის გაგრძელებისათვის. სამაგიეროდ, რეფორმამ ხელსაყრელი პირობები შექმნა თავისუფალ შრომაზე დამყარებული გლეხური, ფერმერული, კოლპერაციული და სახელმწიფო მეურნეობის განვითარებისათვის (ბენდიანიშვილი, 2001:123).

სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობას მყარი ეკონომიკა და გამართული ფინანსური სისტემა სჭირდებოდა. მიმდინარე მსოფლიო ომმა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება გლობალური ხასიათის მოვლენად აქცია. საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მისი სატრანზიტო როლი და ფუნქცია, მაგრამ ომის გამო ქვეყანას ეს შესაძლებლობა დაეხშო. მეტიც, ის თითქმის ბლოკადაში მოექცა, რამაც უკიდურესად გაართულა ახლად შექმნილი რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ნოე ჟორდანიას სიტყვით, „ჩვენ იმით დავიწყეთ სახელმწიფოს შენება, რომ ჩვენს კასაში არაფერი...იყო. გვექონდა მხოლოდ რამდენიმე მილიონი მანეთის საქონელი, რომელიც დაგვრჩა რუსეთის გამოყოფის შემდეგ. მაშასადამე, პლიუსი იყო, ჩვენთვის ის, რომ ვალი არ გვექონდა, მაგრამ დიდი მინუსი იყო, რომ ...არ გვექონდა სახელმწიფო აპარატი, საკუთარი ტრადიციული სისტემა, არავითარი ფონდი“. ამას ემატებოდა ისიც, რომ რუსეთის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე „არც ერთი თვალსაჩინო ფაბრიკა-ქარხანა არ ჭაჭანებდა“, იყო ძირითადად წვრილი წარმოება და მოძველებული ტექნიკა (ჯანელიძე, 2015:55-56).

აუცილებელი იყო მრეწველობის აღორძინება, საშუალებების გამოძებნა თითქმის ცარიელი სახელმწიფო ხაზინის შესავსებად და ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მწვავედ იდგა ეროვნული ვალუტის შემოდების საკითხიც. მართალია, 1918 წელის ივნისში დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“ და გაჩნდა ერთგვარი წინაპირობა მომავალი ვალუტის კურსის სტაბილურობისათვის, მაგრამ ეს საკმარისი არ ყოფილა. ამიტომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, მიმოქცევაში დაეტოვებინათ მოქმედი ამიერკავკასიის ბონები და აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობებთან შეთანხმებით განეგრძათ მათი ემისია. პარალელურად

დაიწყო სამზადისი ქართული ფულის შემოღებისათვის, გამოცხადდა კონკურსი ეროვნული ფულის ნიშნების შესაქმნელად.

ახლადშექმნილ სახელმწიფოს არ გააჩნდა საკრედიტო სისტემის მართვა-რეგულირების ისეთი მეთაური რგოლი, როგორც ეროვნული ბანკია. მის მოვალეობას თბილისის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება ასრულებდა, რომელიც 1917 წლის ნოემბრიდან ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატის ფინანსთა კომისრის, ხოლო 1918 წლის 26 მაისიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრ გიორგი ჟურულის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა (ჯანელიძე, 2015:56-57).

საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ მუშაობის დაწყებისთანავე გადადგა ნაბიჯი ამ მიმართულებით. კაბინეტის პირველსავე სხდომამ, რომელიც 1918 წლის 27 მაისს გაიმართა, იმსჯელა ბიუჯეტის დროულად შედგენის აუცილებლობაზე, მიიღო დადგენილება საქართველოს ეროვნული ბანკის დაარსების შესახებ და დაამტკიცა ბანკის კანტორის კომისარი.

სახელმწიფო ბანკი საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე პასუხისმგებელი დაწესებულება იყო, რომელსაც თავმჯდომარე და 12 წევრისაგან შემდგარი საბჭო მართავდა. ბანკის მთავარი დანიშნულება ფულის მიმოქცევის გაადვილება, აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობის და სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის მოკლევადიანი სესხის გაცემა, ანაბრების მიღება და თამასუქების განაღდება უნდა ყოფილიყო. ბანკის დაფუძნება გაჭიანურდა მოგვიანებით 1919 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ გამოსცა კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ. ბანკის პირველი თავმჯდომარე ცნობილი ფინანსისტი იასონ ლორთქიფანიძე იყო (ჯანელიძე, 2015:57-58).

საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობის გამო ქვეყნის შემოსავლები მცირე იყო, გასავალი - დიდი. ხარჯს მნიშვნელოვნად ზრდიდა ის გარემოება, რომ იმპერიულ დაწესებულებათა და კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციისათვის საჭირო სახსრების გაღება მოლიანად საქართველოს მოუწია.

ოთარ ჯანელიძე თვლის, რომ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული ქვეყნის განვითარებისთვის საბაზრო-ეკონომიკური კურსი, რისთვისაც კოალიციურ მთავრობას მძაფრად აკრიტიკებდა ოპოზიციური ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ჯანელიძე, 2015:55-58).

შემოსავლების დამატებითი წყაროების ძიებამ საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს ხელისუფლება ზოგიერთ საქონელზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღებამდე მიიყვანა. ერთ-ერთი ასეთი საქონელი ჭიათურის მარგანეცი, როგორც მაშინ უწოდებდნენ შავი ქვა იყო. მოგვიანებით სახელმწიფო მონოპოლია თამბაქოზე, მატყლსა და აბრეშუმის პარკზეც დაწესდა.

მთავრობა გარკვეულ ფარგლებში ახალისებდა კერძო ინიციატივას, საიჯაროდ გადასცემდა ამა თუ იმ ობიექტს ან ცალკეულ კონკრეტულ საქმეს და სხვა, იმავდროულად, ასევე, ზრუნავდა სახელმწიფო, მუნიციპალური და კოოპერატიული გაერთიანებების შექმნაზეც (ჯანელიძე, 2015:58-60).

შეიქმნა ადგილობრივი სააქციო საზოგადოებები „ჭიათურის მრეწველთა სააქციო საზოგადოება“, შავი ქვის საექსპორტო საზოგადოება „ჩემო“. აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. „სერიოზული სასურსათო კრიზისისა და ეკონომიკური პრობლემების შედეგი იყო მთავრობის გადაწყვეტილება, ხელმძღვანელობა გაეწია სახელმწიფო და საზოგადოებრივი სექტორის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა საქმიანობისათვის. ამ ამოცანის განხორციელება უნდა ეტვირთა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოს“ (ვაშაყმაძე, 2014:56).

კერძო ბიზნესი უმთავრესად კომერციაში დასაქმდა, რაც შეეხება წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ინვესტირებას, იგი მხოლოდ ერთეულებმა გაბედეს, მათ შორის იყო ცნობილი ქართველი მეწარმე და ქველმოქმედი აკაკი ხოშტარია. მაგალითად, ნოე რამიშივილის პრემიერობის დროს დაიწყო და 1918 წლის სექტემბერში დასრულდა ხელშეკრულების გაფორმება ხოშტარიასთან და მის კომპანიასთან ლენხუმის მახრის ტერიტორიაზე მდ. რიონის წყლის რესურსების გამოყენების შესახებ (ჯანელიძე, 2015:60, ასევე ბენდიანიშვილი, 2001:227).

საქართველოს პარლამენტი უზენაეს ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა და ყველა მნიშვნელოვანი საკითხი რაც სახელმწიფოში უნდა გადაწყვეტილიყო მის დადასტურებას საჭიროებდა. ეს პირობა სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებსაც შეეხებოდა. ამის ნათელი მაგალითია ჩვენ მიერ მოკვლეული საარქივო მასალა „სახელმწიფო ფინანსები“, რომელიც შედგენილია 1918 წლის 4 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის მიერ (სეცსსა, ფ. 1823, აღ. 2, საქმე: 114, ასევე დოკუმენტი 19). დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პარლამენტის უფლებამოსილების დაცვას (მაცაბერიძე, 2008:81).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნულ საბჭოში ეროვნული უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხი არაერთხელ გახდა მსჯელობის საგანი.

1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში მე-5 მუხლი განამტკიცებს სახელმწიფოს ვალდებულებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და განხორციელების სფეროში (გეგენავა...2014:44). კერძოდ, დამოუკიდებლობის აქტის მე-5 მუხლი აღნიშნავს: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა“ (ახალგაზრდა კომუნისტი, 1989: 25 მაისი). „დამოუკიდებლობის აქტში ცალკე, მე-6 პუნქტი ეძღვნება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცხოვრები ერების უფლებებს. მასში ნათქვამია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას (გეგენავა...2014:44). კონკრეტულად, დამოუკიდებლობის მე-6 მუხლი აღნიშნავს: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს“ (ახალგაზრდა კომუნისტი, 1989: 25 მაისი).

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტის მე-7 მუხლში აღნიშნა, რომ ეროვნული საბჭო შევსებული იქნება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებით. ასეთივე დადგენილება კვლავ მიიღო ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 29 მაისის სხდომაზე, სადაც აღნიშნულია: „საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა უმცირესობების წარმომადგენელი საქართველოს ეროვნულ საბჭოში მიღებულ იქნას ამ ერების მოსახლეობის რაოდენობის პროპორციით. თვით წარმომადგენლების მოწვევა ხსენებულ ერების ნაციონალურ საბჭოებთან ან სხვა ამგვარ დაწესებულებებთან შეთანხმებით მოხდეს“ (ჭანტურია, 2006:131).

კანონ-პროექტი, ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლების შესახებ, ეროვნულ საბჭოში განსახილველად ვერ იქნა შეტანილი, რადგან ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული კანონპროექტი „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობისა“. აქედან გამომდინარე არ იქნებოდა მართებული, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოში, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, წევრებად გამხდარიყვნენ ისინი, ვინც საქართველოს მოქალაქეებად არ ითვლებოდნენ. 1918 წლის 16 ივლისს საქართველოს მოქალაქეობის (ქვეშევრდომობის) დებულების მიღების შემდეგ ეროვნულ საბჭოში კვლავ დადგა ეს საკითხი განხილვის საგნად.

1918 წლის 6 ენკენისთვის (სექტემბერს) ეროვნული საბჭოს 36-ე სხდომაზე მომხსენებელმა, სამანდატო კომისიის წევრმა, სოციალისტ-ფედერალისტმა, შალვა მიქელაძემ აღნიშნა, რომ „დღეს უკვე ეს მოქალაქეობის კანონი მიღებულია და ამგვარად შესაძლებელია ავასრულოთ ის დადგენილება ეროვნული საბჭოსი, რომელიც წინად იყო მიღებული. ამ კანონ-პროექტის ორი უმთავრეს მუხლიდან ერთი ეხება ეროვნულ უმცირესობის რაოდენობას და ამ რაოდენობის მიხედვით ხმის განაწილებას, წარმომადგენელთა განაწილებას ეროვნულ საბჭოში. მეორე კი ეხება თუ რა დაწესებულებიდან და როგორ იქნებიან მოწვეული ეროვნულ საბჭოში წევრები ეროვნულ უმცირესობათაგან. ეროვნული საბჭოს სამანდატო კომისიამ გამოიანგარიშა, რა თქმა უნდა დაახლოებით რიცხვი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობისა. ტერიტორიათ ნავარაუდევო იყო ტფილისის, ქუთაისის გუბერნია და სოხუმის ოლქი. გამოტოვებული იყო მხოლოდ ის ნაწილი ახალქალაქისა და ახალციხის მაზრისა, რომელიც ბათუმის დადგენილების გამო გადავიდა ოსმალეთის ხელში. გამოტოვებული იყო ახალციხის მაზრა და ზაქათალის ოლქი, რომელიც ამჟამად ჩვენ ხელში არ არის... სამანდატო კომისიამ გამოიანგარიშა საერთოდ რიცხვი, ეროვნულ უმცირესობათა საქართველოს ტერიტორიაზე, მხედველობაში მიიღო მათ შორის მხოლოდ ისინი, ვინც ირიცხებიან საქართველოს მოქალაქედ, თანახმად იმ კანონისა, რომელიც მიღებული იყო ეროვნულ საბჭოს მიერ. საქართველოს მოქალაქედ ირიცხებიან ის პირნი, რომელიც მიწერილნი იყვნენ, რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულთან საქართველოს ტერიტორიის 1914 წლიდან 19 ივლსამდის“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1918:63).

ამდენად, ეროვნული საბჭოს სამანდატო კომისია ეროვნული უმცირესობათა რაოდენობის განსაზღვრის დროს ემყარებოდა მხოლოდ საქართველოს მკვიდრ

მცხოვრებლებს. სამანდატო კომისიამ სხდომაზე წარმოადგინა ამ პრინციპის საფუძველზე შემუშავებული სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ერთა რაოდენობა ასე გამოიყურებოდა. სომხები - 200000 ცოტა მეტი, თათრები - 80000; ოსები - 45-50000-მდე, აფხაზები - 90000 მეტი, რუსები - 60-70 ათასამდე; ებრაელები - 30000 მეტი, ბერძნები - 12-15000-მდე; გერმანელები - 80000 ცოტა ნაკლები (საქართველოს რესპუბლიკა, 1918: 65).

ეროვნული საბჭოს სამანდატო კომისიის წინადადებით, ეროვნულ საბჭოში უმცირესობის წარმომადგენლობის საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაწყვეტილიყო. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ერს ეროვნულ საბჭოში თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა. ეროვნულ უმცირესობებს 20000 მცხოვრებიდან ერთი დელეგატის გაგზავნის უფლება ეძლეოდათ. იმავდროულად გამონაკლისს უშვებდნენ იმ ეროვნული უმცირესობების მიმართ, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდნენ. სამანდატო კომისიის გადაწყვეტილებით, ეროვნული საბჭოს წევრს მოეთხოვებოდა ქართული ენის ცოდნა, რადგანაც სხდომაზე წარმოთქმული სიტყვების თარგმნა შეუძლებელი იყო. ასეთი წესის დაშვება ეროვნული საბჭოს მუშაობას შეუძლებელს გახდიდა. სამანდატო კომისიის მონაცემებით საკანონმდებლო ორგანოში ეროვნულ უმცირესობათა რიცხვი 26 კაცით უნდა განსაზღვრულიყო (საქართველოს რესპუბლიკა, 1918:65).

ეროვნული საბჭოს 1918 წლის 36-ე სხდომაზე კანონპროექტის განხილვის დროს ეროვნული უმცირესობების უფლებების მსჯელობისას აღინიშნა, რომ ყოველ ეროვნულ უმცირესობას სრული უფლება ქონდა ეზრუნა თავისი ეროვნული სახის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. კერძოდ, აზრი ასე იყო ჩამოყალიბებული: „ყოველ ეროვნულ უმცირესობას აქვს უფლება, იქონიოს საკუთარი სასწავლებლები, საკუთარი ეკლესიები, საკუთარი კულტურული და საქველმოქმედო დაწესებულებები, საზოგადოებანი და სხვა, სადაც გამეფებული იქნება საკუთარი ეროვნული ენა. ამ უმცირესობათა შორის მოქმედ სასამართლოებში საქმეები უნდა ირჩეოდეს უმცირესობათა ენაზედ, ადმინისტრაციამ უნდა იცოდეს მათი ენა და სხვა... ჩვენში ოსებს, სომხებს, თათრებს, ბერძნებს, რუსებს უნდა ჰქონდეთ სრული თავისუფლება საკუთარ ეროვნულ კულტურულ საქმეებში (საქართველოს რესპუბლიკა, 1918:65). ეროვნული უმცირესობების უფლებებთან ერთად ყურადღება გამახვილებული იყო მათ ვალდებულებებზეც სახელმწიფოს წინაშე. ხაზი გაესვა იმას, რომ ეროვნული უმცირესობები უნდა დამორჩილებოდნენ რესპუბლიკის კანონებს. სახელმწიფოს ქვეშევრდომობა უნდა ელიარებინა ტერიტორიის მკვიდრ მოსახლეობას განურჩევლად ეროვნებისა, რადგან ეს იყო არა ნებაყოფლობის, არამედ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების და სუვერენიტეტის საქმე (საქართველოს რესპუბლიკა, 1918:65).

განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ აფხაზ ერთან დაკავშირებით ეროვნულ საბჭოში. აღინიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნულ უმცირესობათა შორის განსხვავებული ადგილი ეჭირა აფხაზებს, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი სამშობლო, საკუთარი ტერიტორია. სწორედ ამიტომ მათ შეეძლოთ

ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა, რაც ნიშნავდა „საკუთარი ძალდონით საკუთარი სახელმწიფოს მოწესრიგებასა და მისი შინაური საქმეების, შინაური ცხოვრების მეთაურობას“. მითითებული იყო, რომ მცირერიცხოვანი აფხაზი ერი 50000-ს შეადგენდა და აფხაზეში არა მარტო აფხაზები, ქართველები, ბერძნები, სომხები და სხვა გაცილებით მეტი ცხოვრობდნენ. გამოკვეთილი იყო აზრი იმის შესახებ, რომ აფხაზეთი საქართველოს საზღვრებშია და მისი განვითარების ერთადერთი ბუნებრივი გზა საქართველოშია და რომ ეს „ერთადერთი გზა არის აფხაზეთისათვის საკუთარი ეროვნული ცხოვრების გავეროპელებისათვის“, ურომლისოთაც აფხაზების დაღუპვა გარდაუვალი იქნებოდა (საქართველოს რესპუბლიკა, 1918:65).

ეროვნულმა საბჭომ, ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლების შესახებ საბოლოო ტექსტი 1918 წლის 13 სექტემბერს დაამტკიცა (ჭანტურია, 2006:131-133, ასევე კრებული, 1990:62).

შოთა ვადაჭკორია აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი ეთნიკური უმცირესობებისაგან სახელმწიფოსადმი მიმართებაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გაზრდას მოითხოვდა და კონკრეტულად განსაზღვრავდა, სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობათა შორის მოვალეობის ფუნქციას და იმ აუცილებელ მომენტებს რომლის შესრულება თითოეული მათგანის მოთხოვნილებად უნდა ქცეულიყო. აკაკი ჩხენკელის სიტყვით: „უმცირესობამ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ ჩვენი რესპუბლიკა მათი რესპუბლიკაა და რაც ავნებს სახელმწიფოს ავნებს მათაც“ (ვადაჭკორია, 2003:456).

კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა სახელმწიფოსა და ეროვნული უმცირესობების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი პარლამენტის თავმჯდომარის ნიკოლოზ ჩხეიძის სიტყვაში, რომელიც 1918 წლის 1 ოქტომბერს პარლამენტის 43-ე სხდომაზე წარმოთქვა. პარლამენტის თავმჯდომარე მიესალმა იმ ფაქტს, რომ საკანონმდებლო ორგანოს შეუერთდნენ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები. მის შესახებ ნიკოლოზ ჩხეიძემ აღნიშნა: “ნათლად ვხედავთ სოლიდარულ მუშაობის აუცილებელ საჭიროებას ყველა ერთა შორის, რომელნიც ცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე „ყოველი ძალა, რომელიც ჩვენ მოგვემატება და გაგვიადვილებს ჩვენ, ჩვენი საქმის რაიმე ნაწილის შესრულებას, ასეთ ძალებს ჩვენ, რასაკვირველია, მივესალმებით და ვისურვებთ, რომ ეს ძალა შეუერთდება ჩვენ ძალებს და გასწევს ისეთ მუშაობას, რომელიც განამტკიცებს და განამკვიდრებს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და წარმართავს საქმეს ხალხთა ინტერესების დაცვისა და მათ სოლიდარობასაც“ (ერ. საბჭო, ანგარიში 43-ე, 1918:1-2).

ამავე სხდომაზე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელმა დავით დავითხანიანმა სომეხი ერის წარმომადგენლების სახელით ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა: „მართალია, ჩვენ გახლავართ სომხურ ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი, მაგრამ მოვსულვართ აქ არა მარტო ჩვენი ნაციონალ-კულტურულ ინტერესების დასაცავად, არამედ აგრეთვე თქვენთან ერთად უღელში ჩასამბველად და ჩვენი პა-

ტარა, თავისუფალ სამშობლოს - საქართველოს სასარგებლოდ შრომისათვის ...ჩვენი ამომრჩევლები, საქართველოს მოაქლაქეები, რომელნიც სარგებლობენ თავისი პოლიტიკური უფლებით, აგრეთვე აასრულებენ თავის მოვალეობას – როგორც გარეშე, ბრძოლის ველზე, ისე შინ ორგანულ მუშაობის ასპარეზზე“ (ერ. საბჭო, ანგარიში 43-ე, 1918:2).

ამრიგად, ჩვენი კანონმდებლები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ სახელმწიფოში დემოკრატიული პრინციპების გატარებით კანონით განსაზღვრულიყო ეროვნული უმცირესობების როგორც უფლებები, ასევე მოვალეობებიც. მართებულად მივიჩნევთ, პარლამენტის წევრების განსაკუთრებულ დამოკიდებულებას აფხაზ ერთან მიმართებაში, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ აფხაზი ერის სამშობლო საქართველოში იყო და მათი ერთადერთი განვითარების ბუნებრივი გზა მხოლოდ საქართველოსთან დაკავშირებით იყო შესაძლებელი.

სრულიად ვეთანხმებით ლევან თოიძის ჩამოყალიბებულ მოსაზრებას ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით, რომელიც აღნიშნავს: „დამოუკიდებელ საქართველოში თანასწორად იყო უზრუნველყოფილი ყველა მოქალაქის სამოქალაქო თუ პოლიტიკური უფლებები განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ განვითარების თავისუფალი ასპარეზი მისცა მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს, გაუხსნა მათ ეროვნული სკოლები, პატივს სცემდა მათ ენებს. საკანონმდებლო ორგანოებში-საქართველოს ეროვნულ საბჭოში, შემდეგ კი დამფუძნებელ კრებაში არჩეულ იყვნენ საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა წარმომადგენლები - აფხაზები, ოსები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ბერძნები, გერმანელი. საგულისხმოა, რომ თვით 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ხელს აწერდნენ საქართველოში მცხოვრებ ხალხთა წარმომადგენლებიც“ (თოიძე, 1991:25).

მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული უმცირესობებისადმი ასეთი დამოკიდებულებისა, ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ირკვევა, რომ არსებობდნენ ეროვნული უმცირესობების ცალკეული ჯგუფები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოქმედებდნენ და ეროვნებათა შორის შურს აღვივებდნენ (ერ. საბჭო, ანგარიში 43-ე, 1918:2).

აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს აღექსანდრე ბენდიანიშვილი ასე გადმოგვცემს: 1918 წლის 9 თებერვალს აფხაზეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები თბილისში შეხვდნენ ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს. შეხვედრაზე აფხაზთა წარმომადგენლებმა განაცხადეს აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნის შესახებ. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებმა მხარი არ დაუჭირეს აფხაზთა ლიდერების სეპარატისტულ მისწრაფებას. მხარეები შეთანხმდნენ, რომ აფხაზეთი დარჩენილიყო საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სტატუსით, ასევე გადაწყვიტეს ერთად ეზრუნათ იმისათვის, რომ აფხაზეთს დაბრუნებოდა გაგრის რაიონი, რომელიც მეფის მთავრობამ 1904 წელს ჩამოაჭრა სოხუმის ოლქს და სოჭის ოკრუგს მიუერთა.

1918 წლის 8 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთის წარმომადგენლებთან ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობა სცნობდა აფხაზეთში შექმნილ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, მზად იყო მიეცა ამ კუთხის მოსახლეობისათვის ავტონომია, მაგრამ აფხაზეთის სახალხო საბჭოს ლიდერებმა და სხვა სეპარატისტებმა მეტი მოინდომეს. მათ მიზნად დაისახეს თავის უფლება - კომპეტენციის კიდევ უფრო გაფართოება, თითქმის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება. კონფლიქტი მშვიდობიანი მოლაპარაკებით ვერ აღმოიფხვრა, საომარი ოპერაციები გაჩაღდა (ბენდიანიშვილი, 2001: 124-125).

„ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით ყუბანიდან შემოსული კაზაკთა წითელი რაზმი და აფხაზ სეპარატისტთა ძალები დაამარცხა და 1918 წლის ივნისში სოხუმი დაიკავა. 22 ივნისს სახალხო გვარდია შევიდა გაგრაში, 2 ივლისს აღებულ იქნა ადლერი, 6 ივლისს - სოჭი, 26 ივლისს - ტუაფსე. აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენას მტრულად შეხვდა საბჭოთა რუსეთი. რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ (1918 წლის გაზაფხული) ქვეყნის სამხრეთში საბჭოთა ხელისუფლება დაემხო. რეგიონში რეალურ ძალას წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი რუსეთის მოხალისეთა არმია გენერალ ალექსეევის სარდლობით. სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ყუბანის რესპუბლიკა...

1918 წლის ოქტომბრის დამდეგს რუსეთის მოხალისეთა არმიის მხარდაჭერით აფხაზეთში იყო ცდა გადატრიალების მოხდენისა, რომლის მიზანს შეადგენდა საქართველოდან აფხაზეთის ჩამოცილება. აფხაზეთის სახალხო საბჭოში სულ უფრო ძლიერდებოდა ანტიქართული განწყობილება. 1918 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, დაითხოვა აფხაზეთის სახალხო საბჭო და დანიშნა ახალი არჩევნები“ (გურული, 2003: 67).

საქართველოს მთავრობამ მიიღო რა არსებული მდგომარეობა მხედველობაში, გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრები არ იყვნენ არჩეულნი იმ წესით, რომელიც უზრუნველყოფდა სოხუმის ოლქის მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესთა ნამდვილ გამოსატყულებას, 1918 წლის 10 ოქტომბერის სხდომაზე დაადგინა: 1. აფხაზთა სახალხო საბჭო მისი დღევანდელი შემადგენლობით დათხოვნილად ცხადდება, ახალი არჩევნები დაინიშნება თანახმად საყოველთაო საარჩევნო პრინციპებისა. 2. არჩევნების საწარმოებლად ინიშნება ცენტრალური კომისია. 3. დროებით, ახალ საბჭოს არჩევამდე, სოხუმის ოლქის კომისრად ინიშნება ბენია ჩხიკვიშვილი. ქუთაისის საგუბერნიო კომისარი, რომელსაც ექვემდებარება სოხუმში მოქმედი ყველა ნაწილი. მისი დანიშნულ ადგილზე მისვლამდე უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო უფლებით აღჭურვილია სოხუმის რაზმის შტაბის უფროსი თუხარელი. 4. აფხაზთა სახალხო საბჭოს დათხოვნის გამო აფხაზეთის საქმეთა მინისტრს პოლკოვნიკ ჩქოტუას რწმუნებულება დასრულებულად ჩაითვალოს და აფხაზეთის საბჭოს წარმომად-

გენლობა დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს, აფხაზეთის სახალხო საბჭოს ქონების დაცვა და ახალი საბჭოსადმი მათი გადაცემა მიენდოს ახლად დანიშნულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

ამრიგად, საქართველოს მთავრობის 1918 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, აფხაზეთის საქმეთა მინისტრის რწმუნებულება დასრულებულად ჩაითვადა, ხოლო საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობაში აფხაზეთის საქმეთა უწყებამ ადრინდელი სახით თავისი არსებობა შეწყვიტა (ჩიტაია, 2001: 199-200).

არანაკლებ დაძაბული მდგომარეობა იყო საქართველოში მცხოვრებ ოსებთან დაკავშირებით. „1918 წლის გაზაფხულზე მდ. ლიახვის ზემო წელში აგრარული მოძრაობა დაიწყო, რომელსაც ბოლშევიკებმა პოლიტიკური მიმართულება მისცეს, საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ წარმართეს.

„ოსმა აჯანყებულებმა აიღეს ცხინვალი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. კონფლიქტის ზონაში რესპუბლიკის მთავრობამ ჯარი გაეზავნა. კონიაშიღლისა და ჯუდეღის რაზმებმა ცხარე ბრძოლის შემდეგ ცხინვალი აიღეს, მაგრამ ოსთა ანტიქართული მოძრაობა სხვადასხვა ფორმით კიდევ კარგახანს გრძელდებოდა“ (ბენდიანიშვილი, 2001:128).

1918 წლის 8 ივლისს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის სხდომაზე მოისმინეს სამხედრო მინისტრის მოხსენება ანარქიასთან და მემბოხეებთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ. ამავე სხდომაზე მიიღეს შემდეგი დადგენილება: „დაევალოს სამხედრო მინისტრს ზომების მიღება რათა ჯეროვნად მოწყობილი იქნას ჯარის მოქმედების ადგილზე სამხედრო-საველე სასამართლოები, აგრეთვე პროექტის შემუშავება და მთავრობასთან წარმოდგენა საერთოდ ანარქიულ და მემბოხეთა და კერძოდ, ოსების მოძრაობის სამხედრო ძალით ჩაქრობის შესახებ (სეცსსა, ფ.1861, აღ.1, საქმე 3:26).

ოსთა აჯანყების, საერთოდ პროსაბჭოური და სეპარატისტული მოძრაობის მიმართ თავისი აზრი ოპოზიციურმა პარტიებმაც გამოთქვეს. ეროვნულ-დემოკრატებმა მთავრობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მსურველთა მიმართ უფრო მკაცრი ზომების მიღება მოსთხოვა. გერონტი ქიქოძე წერდა: „ჩვენ არ ვიცით სად გადაწყდება ოსების საკითხი-პარლამენტში თუ ბრძოლის ველზე. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ ეს საკითხი საქართველოს შინაური საქმეა. ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი მოელს ჩვენ ისტორიულ ტერიტორიაზე ვრცელდება. ჯავის ხეობის ოსები ისევე შედიან ამ ტერიტორიაში, როგორც სოხუმის ოლქის აფხაზები, ბორჩალოს მაზრის თათრები და ზაქათალის ოლქის ჭარ-დახურელები. სრულიად დამფუძნებელი კრების საქმეა თუ რა უფლებები მიენიჭება ყველა ამ პატარა თემებს საზოგადო სამოქალაქო უფლებებს გარდა, კერძოდ ჯავის ხეობის ოსებს აქვთ თავის ენა, მაგრამ არ აქვთ ლიტერატურა. ამიტომ შეუძლებელია ოსურ კულტურულ და ტერიტორიულ ავტონომიაზე ლაპარაკი“ (ბენდიანიშვილი, 2001:128).

ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე ეროვნულ საბჭოს 1917 წლის 17 დეკემბრის კრებაზე საგარეო საქმეთა სექციის სახელით გამოვი-

და აკაკი ჩხენკელი, რომელმაც ეროვნული საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ გორის მაზრის ოსებს მიეცემათ თვითმმართველობა. 1918 წლის 21 იანვარს კი ეროვნულმა საბჭომ სამხრეთ-ოსეთის საბჭოს წარმომადგენლად დაამტკიცა გიორგი გაგლოვეი. ამით ეროვნულმა საბჭომ აღიარა ოსთა ეროვნული საბჭოს შექმნის ფაქტი (ჭანტურია, 2006:141-142).

სწორედ აქედან გამომდინარე საუბრობს ეროვნული საბჭოს სხდომაზე ეროვნული საბჭოს წევრი რევაზ გაბაშვილი თავის გამოსვლაში: „როდესაც ოსების ეროვნული საბჭო წარმოადგენს არა მარტო კულტურულ ორგანოს, არამედ ნამდვილ პოლიტიკურ ორგანიზაციის როლს კისრულობს, როდესაც ულტიმატუმებს უგზავნის ჩვენს მთავრობას და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ოსების ეროვნული საბჭო ითვისებს ასეთ ძალაუფლებას და ერთგვარ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებელს მოლაპარაკებას აწარმოებს ჩვენ მთავრობასთან, უნდა ვიფიქროთ, რომ სცდილობენ არსებობდეს ოსეთის ტერიტორიული ავტონომია“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1918:63).

ვახტანგ გურული ოსი სეპარატისტების ხელმძღვანელობით წარმოებულ გამოსვლებთან დაკავშირებით აღნიშნავს: „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას ისახავდა მიზნად სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო, რომელიც 1917 წელს შეიქმნა. ოსი სეპარატისტები იმთავითვე დაადგინენ საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან კონფრონტაციის გზას. ისინი რუსეთის დახმარებით აპირებდნენ ისტორიული შიდა ქართლის (ე. წ. სამხრეთ ოსეთის) შეერთებას ჩრდილო ოსეთთან, ე. ი. ფაქტობრივად რუსეთთან. ცხადია ამ გეგმას მხარს უჭერდა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ოსი სეპარატისტები განსაკუთრებით გააქტიურდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. ოს სეპარატისტთა გამოსვლები მათ შორის შეიარაღებული გამოსვლებიც, წარმოებდა ვითომდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით. 1918 წელს საქართველოს სახალხო გვარდიამ და ქართულმა ჯარმა შეძლო ოსთა სეპარატისტული ამბოხების ჩახშობა შიდა ქართლში“ (გურული, 2003:68).

1918 წლის ივნის-ივლისში კვლავ დაიწყო საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები არაგვის ხეობაში. ბოლშევიკებმა და გაბოლშევიკებულმა ელემენტებმა შეძლეს დუშეთის დაკავება. მათ დასახმარებლად ვლადიკავკასიიდან წამოვიდა საშა გეგეჭკორი საკმაოდ დიდი რაზმით. ამ მოვლენებთან დაკავშირებით 1918 წლის 2 ივლისს დავით ვახნაძემ შეკითხვა შეიტანა პარლამენტში. აღნიშნა, რომ „რუსული სამხედრო შტაბი თავისი მრავალრიცხოვანი გენერლებითა და ოფიცრებით, საქართველოს თავისუფლების სამტრო ბანაკად გადაიქცა“. პირველყოვლისა ისინი მიმართავენ პროვოკაციებს, იწვევენ კონფლიქტებს. მიმაჩნია, რომ რუსი სამხედროები მონაწილეობდნენ სამხედრო გზაზე მომხდარ ამბოხებაში (ბენდიანიშვილი, 2001:129).

რუსი სამხედროებისაგან საქართველოს გაწმენდა დაგვიანდა, - აღნიშნავს ალექსანდრე ბენდიანიშვილი, სამაგიეროდ დუშეთის აჯანყების ლიკვიდაცია სწრაფად განხორციელდა. ქართულმა ჯარმა გაწმინდა სამხედრო გზა მტრული ელ-

ემენტებისაგან, საშა გეგეჭკორი და სხვა ბოლშევიკები ქედს გაღმა გადარეკა, საქართველოს საზღვარს გააცილა. 1918 წლის 15 ივლისს ნოე ჟორდანიამ ასეთი დეკლამაცია გაუგზავნა გენერალ კონიაშვილს, ჯუღელსა და დგებუაძეს „ველოცავ სახალხო გვარდიას, ფედერალისტთა პარტიზანულ რაზმსა და რევოლუციური ჯარის ნაწილებს კავკასიონის ქედის გადალახვას და დემოკრატიის მტრებზე ბრწყინვალე გამარჯვებას. გადაეცით ჩვენს ერთგულ ყაზბეგელებს და სხვა მთიელებს ჩვენი ძმური საღამი და მილოცვა“ (ბენდიანიშვილი, 2001:129).

კიდევ უფრო რთულად გვექონდა საქმე სომხეთთან დაკავშირებით. როდესაც საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობა დაიძაბა, საქართველოს პარლამენტის წევრმა შალვა ნუცუბიძემ, პარლამენტის 52-ე სხდომაზე ასეთი საკითხი დასვა: „საქართველოს საზღვრებში ბლომად არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე სომხები. და მაშინ, როდესაც სომხის რესპუბლიკა და მათი მთავრობა, უბრალოდ რომ ვსთქვათ დაშნაკელების პარტია, ცდილობს საქართველოს რესპუბლიკის, საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობას, - აქაური სომხები რას ფიქრობენ? მინდა ეს გავიგო. საჭიროა, რომ ეს ვიცოდეთ (ერ. საბჭო, ანგარიში 52-ე, 1918:16).

მანვე აღნიშნა, რომ „ჩვენ არაერთხელ დავემტკიცეთ ჩვენ მეზობელ ერს, სომხებს, რომ ჩვენ ქართველები მზადა ვართ მისი უმწეო და უბედურ მდგომარეობაში მონაწილეობა მივიღოთ... სომხები, რომელნიც გამოქცეულნი არიან თავის სამშობლოდან აქ, საქართველოში პოულობენ ადგილს, სადაც უზრუნველყოფილნი არიან ...ის ერი, რომელმაც ვერ შეძლო ბორჩალოს მაზრა ოსმალეთის ურდოებიდან დაეცალა და საქმეში მონაწილეობა მიეღო, ის ერი დღეს გამოდის და იმ ძალების წინააღმდეგ იბრძვის, - რომელიც ოსმალეთის ურდოებისაგან იცავდა ბორჩალოს მაზრის ქართველებს, და მაზრაში დასახლებულ სომხებს“ (ერ. საბჭო, ანგარიში 52-ე, 1918:10-11).

საქართველოსა და სომხეთს შორის განვითარებულ მოვლენებს ვახტანგ გურული ასე აფასებს: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთლიანობის ხელყოფა სცადა სომხეთის რესპუბლიკამ. მოლაპარაკება საზღვრების თაობაზე საქართველოსა და სომხეთს შორის დაიწყო 1918 წლის 18 ოქტომბერს. სომხეთი საქართველოსაგან მოითხოვდა ძირძველი ქართული ტერიტორიების დათმობას როგორც სამხრეთ საქართველოში (ჯავახეთი), ისე ქართლისა (თბილისი, გორი) და აჭარაში (ბათუმი). საქართველოს დელეგაციამ დამაჯერებლად უარყო სომხეთის მოთხოვნები. სომხეთმა დრო იხელთა და როგორც კი მუდროსის ზავის თანახმად თურქეთის ჯარებმა ლორეს რაიონი დატოვეს, იქ სომხეთის ჯარი შეიჭრა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა იარაღის ძალით დაეცვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. 1918 წლის ნოემბრის ბოლოს საქართველოსა და სომხეთს შორის შეიარაღებული შეჯახება მოხდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ცდებს, მშვიდობიანი გზით გადაეჭრა სასაზღვრო კონფლიქტი, შედეგი არ მოჰყოლია. 1918 წლის 9 დეკემბერს სომხეთის ჯარები ბორჩალოს მაზრაში შეიჭრნენ. ქართულმა ჯარმა და საახლხო გვარდიამ ბრძოლით დაიხია მდინარე ხრამამდე. სომხეთის მთავრობა საქართვე-

ლოს მთავრობისაგან ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდა ტერიტორიის დაცლას თბილისითურთ, ვიდრე გორამდე. 1918 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მოიწონა მთავრობის პოზიცია სომხეთის აგრესიის სამხედრო საშუალებით აღკვეთის შესახებ. 1918 წლის 20 დეკემბერს ქართული რეგულარული ჯარი და სახალხო გვარდია შეტევაზე გადავიდა. სომხეთის ჯარმა დიდი დანაკარგებით უკან დაიხია. სომხეთი დიდი სამხედრო და პოლიტიკური კატასტროფისაგან ინგლისმა იხსნა“ (გურული, 2003: 70).

ბოლოს, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ვიქტორ ნოზაძის გამოხატული აზრი, რომელიც 1918 წლის ჟურნალში „რესპუბლიკის ჯარში“ დააფიქსირა. ჟურნალში ის წერს: „ექვს თვეზე მეტია რაც არსებობს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა და არ ყოფილა არც ერთი უბრალო მცირე შემთხვევა-ც კი, რომ საქართველოს პოლიტიკა თავის დემოკრატიულ გზიდან გადახრილიყო. საქართველოს მთელი ენერჯია სწორედ იმაზე იხარჯება, რომ ეს პოლიტიკა სავსებით განხორციელდეს და განმტკიცდეს და ყველას მოვალეობაა, წმინდა ვალდებულებაა ამ დემოკრატიულ გზაზე მსვლელობაში საქართველოს მთავრობას მხარში უდგეს და მასთან ერთად ისწრაფოდეს. ამგვარათ, საქართველოს ხალხს კეთილდღეობა მიანიჭოს. საქართველოს პოლიტიკის გზა ერთად ერთი სწორი და მისაღები გზაა და მხოლოდ ამ გზით გამოიჭედება ქართველი ხალხის და მასთან თანამცხოვრებ ყველა ერის ბედნიერება. და თუ ვინმემ არ მოისურვა ჩვენი ცნობა, თუ ვინმე წინ გადაგვედობა და ჩვენი დაღუპვა მოისურვა, - მთელი საქართველო, როგორც ერთი კაცი, ვეხზე უნდა აღსდგეს თავის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად. საქართველოს ხალხს სხვისი არაფერი უნდა, მაგრამ მას უფლება აქვს დაიცვას და მის დაცვასაც თავი შესწიროს“ (რესპუბლიკის ჯარი, 1918, 5:6).

საქართველოს ხელისუფლებას არა მარტო სხვა ერების წარმომადგენლებთან უხდებოდა ბრძოლა. მტკივნეული იყო როცა გარეშე ძალა ქართველებს ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყობდა და ხშირად სასურველ შედეგსაც აღწევდა.

1918 წლის 30 ოქტომბერს მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალეთმა ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენელ გენერალ კალთროპთან მუდროსის დროებითი საზავო ხელშეკრულება დასდო. ხელშეკრულების ძალით ოსმალეთმა საქართველო დატოვა. დამარცხებულმა ოსმალეთმა საქართველოს მთავრობას აცნობა, რომ იგი ტოვებდა მის მიერ დაკავებულ ადგილებს (ბენდიანიშვილი, 2001:131). „ინგლისელების მოსვლამდე, როდესაც ოსმალეთი საბოლოოდ დამარცხდა საქართველოს მთავრობა შეუთანხმდა ოსმალეთის მთავრობას იმის შესახებ, რომ ახალციხის და ახალქალაქის მაზრები დაცლილ იქნებოდნენ ერთი თვის განმავლობაში - 4 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე 1918 წ. და დაცლისთანავე იქ შევიდოდნენ ქართული ჯარები. გენერალი მაყაშვილი იქმნა დანიშნული ამ მაზრების გენერალ-გუბერნატორად და მასვე დაევალა 4 დეკემბერს ქართული ჯარის ნაწილები შეეყვანა ამ მხარეში“ (შარაძე, 2005:334).

„მესხეთის ტრაგედიის ერთერთი მიზეზი ისიც იყო, რომ აქ სულ უფრო აქტიურობდა პანთურქული და პანისლამური იდეოლოგია, რომელიც საქართველოს წი-

ნაადმდეგ რაზმავდა არა მარტო იქ მცხოვრებ უცხო ტომის ხალხს, არამედ მაჰმადიან ქართველებსაც“... (ივანიძე, 2002:52-53).

საქართველოს სიძულვილით აღვსილმა ბეგებმა სასწრაფოდ შექმნეს ყარსში ე.წ. „სამხრეთ-კავკასიის მთავრობა“. ამ საქმის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო სერგერ ბეგ ათაბაგი ქობლიანელი ჯაყელი. ამ ახლად შექმნილ „სახელმწიფოში“ უნდა გაერთიანებულიყო ყარსის არტაანისა და ბათუმის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები (ივანიძე, 2002:53).

სერგერ ბეგმა პარიზის საზავო კონფერენციას გაუგზავნა მემორანდუმი, რომელიც გვიჩვენებს თუ რა პოლიტიკას მისდევდა მის მიერ შექმნილი ანტიქართული მოძრაობა და საით სურდა წაეყვანა მას მესხეთი. მემორანდუმში აღნიშნულია „ეროვნული ყრილობა თელის, რომ „სამხრეთ-დასავლეთ სახელმწიფოში“ უნდა შედიოდეს მთელი ბათუმის ოლქი, ყარსის ოლქი, ახალციხე-ახალქალაქის მაზრები, რომ ისინი დროებით აცხადებენ რესპუბლიკას, თორემ ბათუმი, ყარსი და არტაანის მხარე თუ ახლავე შეურიგდებიან ოსმალეთს ამის წინააღმდეგი არ ვართო... ამრიგად, სერგერ ბეგის მოძრაობა დაკავშირებული იყო ოსმალეთის პოლიტიკასთან, ხოლო ოსმალეთს სურდა მთელი მესხეთის შეერთება. დიდ ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ მას დარჩა კავკასიაში ერთგული აგენტები, რომლებიც მის პოლიტიკას განაგრძობდნენ, შექმნილ მძიმე და რთულ ვითარებაში საქართველოს ებრძოდნენ მესხეთისათვის ხან იარაღით, ხან დიპლომატიით“ (ივანიძე, 2002:56-57).

საქართველოს მთავრობა კი თავის მხრივ ყველაფერს ცდილობდა აშკარად გამოეხატა თავისი პრინციპული დამოკიდებულება ახალციხის დაცვისა და მის განთავისუფლებისათვის. საქართველოს მთავრობას არ მორიდებია ემხილა ინგლისის სახელმწიფოც კი, რომელიც თავის ქმედებებით გამოეხატავდა მხარდაჭერას სერგერ-ბეგის ე.წ. „მთავრობისადმი“. ამიერკავკასიაში ინგლისელების ჯარების უფროსი უოკკერი შეკითხვია მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას, თუ როგორი იქნებოდა საქართველოს შემდგომი პოლიტიკა ახალციხის მაზრაში. ნოე ჟორდანიას უპასუხია: ჩვენ მოვსპობთ შეიარაღებულ ბანდებს და გავაძევეთ არასასურველ ელემენტებსო (ნოზაძე, 1989:50-51).

საქართველომ მიიღო ზომები, დაიკავა მესხეთი მთლიანად, სადაც კი ინგლისური ოკუპაცია არ არსებობდა და ბათუმში 1919 წლის 31 აგვისტოს შემდგარ მაჰმადიანთა ყრილობის დადგენილების თანახმად, 1919 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა გამოაცხადა და მიანიჭა „სამუსულმანო საქართველოს“ ავტონომია. თავისთავად, აღნიშნავს გურამ შარაძე, ავტონომიის გამოცხადებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამით ერთგვარად საფუძველი ეცლებოდა იმ დემაგოგიურ ქადაგებას, რომელიც მიმართული იყო ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ (შარაძე, 2005:341-342).

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულ კანონთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილი უკავია კანონს საქართველოს სახელმწიფო ენისა.

1918 წლის 13 სექტემბერს მიღებულ კანონში, „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“, არ იყო მითითებული რო-

მელ ენაზე უნდა ესაუბრაო ეროვნულ უმცირესობებს საკანონმდებლო ორგანოში. სწორედ ამიტომ ეროვნული საბჭოს წევრმა დავით ჩიქოვანმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს მიმართა წინადადებით: „უმცირეს ეროვნებათა საქართველოს პარლამენტში წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ კანონპროექტში გარკვეული არ არის თუ რომელ ენაზე უნდა ილაპარაკონ, ამიტომ მე ვსვამ საკითხს ეროვნულ საბჭოს წინაშე და ამასთან წინადადებას ვაძლევ მიღებულ იქნეს შემდეგი დადგენილება: საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა საქართველოს პარლამენტში წარმომადგენელთათვის სავალდებულოა ლაპარაკი ქართულ ენაზე” (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 47:1).

რპრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება დავით ჩიქოვანის წინადადება წარდგენილი ყოფილიყო ეროვნულ საბჭოსათვის საკონსტიტუციო კომისიაში გადასაცემად.

საკონსტიტუციო კომისიამ 1918 წლის 21 სექტემბერის სხდომაზე შემდეგი დებულება მიიღო:

„1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

შენიშვნა: ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება ცალკე კანონით განისაზღვრება.

2. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყველანაირი საქმის წარმოება და კამათი ხდება ქართულ ენაზედ.

3. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას დედაენაზედ.

შენიშვნა: წესი ენის სარგებლობისა და თარგმნისა განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყველანაირი საქმის წარმოება რეგლამენტით, რომელსაც იმუშავებს საბჭო” (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 47:6).

1918 წლის 27 სექტემბერს ეროვნული საბჭოს სხდომის ჟურნალიდან ვკითხულობთ: „განსახილველია კანონპროექტი საქართველოს სახელმწიფო ენისა. მომხსენებელია საკონსტიტუციო კომისიის წევრი რაჟდენ არსენიძე, რომელიც საბჭოს ურდგენს სიტყვიერ მოხსენებას და აღნუსხავს კანონპროექტის ძირითად საფუძველს” (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 47:8).

კანონის განხილვაში მონაწილეობდნენ: იოსებ ბარათაშვილი (სოც-ფედერალისტი), ივანე ჩერქეზიშვილი (სოც-რევოლუციონერი), პავლე საყვარელიძე (ალიონელი), სპირიდონ კედია (ეროვნულ-დემოკრატი), ირაკლი წერეთელი (სოც-დემოკრატი), რაჟდენ არსენიძე (სოც-დემოკრატი) (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 47: 8). ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ეროვნული საბჭო გადავიდა მუხლობრივ განხილვაზე. I და II მუხლები საბჭომ უცვლელად მიიღო, ხოლო მესამე მუხლის შესახებ გაიმართა კამათი. რპავლე საყვარელიძემ შეიტანა წინადადება, რომ მე-3 მუხლს დამატებოდა შემდეგი სიტყვები - “სახელმწიფო ენის უცოდინარობის გამო”. წინადადება მიიღეს ხმათა უმრავლესობით. ხოლო ჩერქეზიშვილმა შეიტანა წინადადება, რომ მესამე მუხლში სიტყვა “შეუძლიან” ნაცვლად ყოფილიყო „უფლება აქვს”. ეს წინადადება უარყვეს. ეხლოდ მე-3 მუხლი, რომლის მომხრე იყო 31, წინააღმდეგი 22 კაცი, მიიღეს. ამის

შემდეგ თავმჯდომარემ კენჭი უყარა მთელ კანონპროექტს, რომელიც ხმათა უმრავლესობით მიიღეს და გადასცეს სარედაქციო კომისიას საბოლოო შესასწორებლად” (ჭანტურია, 2006:150).

კანონის თანახმად, რომელიც ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 1 ოქტომბერს მიიღო, საქართველოს სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოცხადდა, კამათი და საქმის წარმოება საქართველოს პარლამენტში ქართულ ენაზე უნდა წარმართულიყო. ამ აგე კანონით უმცირესობის წარმომადგენლებს უფლება მიეცათ სახელმწიფო ენის არცოდნის შემთხვევაში სიტყვა წამოეთქვათ თავიანთ მშობლიურ ენაზე. კანონი შემდეგი სამი მუსლისაგან შედგება:

1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

შენიშვნა. ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება სხვადასხვა დაწესებულებაში ცალკე კანონით განისაზღვრება.

2. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

3. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლიან სიტყვა წარმოთქვას დედაენით.

შენიშვნა: წესი ენის ხმარებისა და თარგმნისა განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც საბჭო შეიმუშავებს (კრებული, 1990:80-81).

კანონის მიღებიდან ერთ კვირაში სარეგლამენტო კომისიის უმცირესობამ და სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ პარლამენტში განსახილველ საკითხად რეგლამენტის დამატების სახით წარადგინა ენის ხმარების ისეთი წესი, რომელიც უკვე მიღებულ ძირითად კანონს ეწინააღმდეგებოდა. სარეგლამენტო კომისიის უმცირესობის მიერ წარდგენილი პროექტის მე-2 მუხლი აღნიშნავდა: “ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც ქართული ენა არ იცის შეუძლიან სიტყვა წარმოთქვას გარდა თავისი დედა ენისა, უმცირესობის ენაზე, რომელიც პრეზიდენტის ერთმა წევრმა მაინც იცის” (გელაშვილი, 2010:19, ასევე ერ. საბჭო, სხდომა 57-ე, 1918:5).

პარლამენტს წარუდგინა თავისი პროექტი სარეგლამენტო კომისიის უმრავლესობამაც, რომელიც 5 მუხლისაგან შედგებოდა:

„1. საქართველოს პარლამენტში კამათი წარმოებს ქართულ ენაზე.

2. ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლის მიერ დედა-ენაზე წარმოთქმული სიტყვის შინაარსს მთარგმნელი აცნობს პარლამენტს, თუ ორატორი წინდაწინვე თვითონ წარმოადგენს თარგმანს, იგი წაკითხულ იქნება სავსებით სიტყვის წარმოთქმის შემდეგ.

3. ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლის მიერ დედა-ენაზე წარმოთქმული სიტყვა სხვა უმცირესობის ენაზე არ ითარგმნება.

4. ყველა წერილობითი განცხადებანი წარმოთქმულ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

5. სახელმწიფო ენაზე წარმოთქმული სიტყვა უმცირესობის ენაზე არ ითარგმნება” (ეროვნული საბჭო, სხდომა 45-ე, ანგარიში: 5).

სარეგლამენტო კომისიის უმცირესობისა და უმრავლესობის მიერ შედგენილი პროექტები ეროვნულ საბჭოს განსახილველად წარუდგინა სოციალ-ფედერალისტმა არჩილ ჯაჯანაშვილმა. უმან პარლამენტს შემდეგი სიტყვებით მიმართა: “ჩვენ ვფიქრობთ, ვიმედოვნებთ, რომ საბჭო გამოსთქვამს თავის აზრს ამის შესახებ და არ ჩააყენებს სარეგლამენტო კომისიას ისეთ პირობებში, რომ იგი იძულებული გახდეს კანონი დაარღვიოს და ამით ძირიან ფესვიანად შეარყიოს პრესტიჟი ამ დაწესებულებისა, რომელიც ვაღიარებთ მტკიცედ დაიცვას თავის მიერ მიღებული კანონები და რომლის შესრულებას იგი სთხოვს საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს” (ერ. საბჭო, სხდომა 45-ე, 1918:5).

კანონპროექტის განხილვა სარეგლამენტო კომისიის როგორც უმცირესობამ ისე უმრავლესობამ ორი თვალსაზრისით წარმართა: „პრინციპიალური” და „პრაქტიკული” თვალსაზრისით. პრინციპიალური თვალსაზრისი გულისხმობდა ეროვნული უმცირესობების უფლებების გათვალისწინებას, ხოლო პრაქტიკული-შემუშავებული წესით პარლამენტის გაადვილებულ მუშაობას.

სარეგლამენტო კომისიის უმცირესობის პროექტის დასაცავად ეროვნულ საბჭოში მოხსენებით გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატები რევაზ არსენიძე და ირაკლი წერეთელი. მათ ხაზი გაუსვეს კანონპროექტის პრაქტიკულ თვალსაზრისს და აღნიშნეს, რომ პარლამენტის გაადვილებული მუშაობისათვის საჭიროა ერთი უმცირესობის ენა შეიცვალოს მეორე უმცირესობის იმ ენით, რომელიც პრეზიდენტისათვის გასაგები იქნება (ერ. საბჭო, სხდომა 47-ე, 1918:3-4).

ეროვნული საბჭოს წევრი, რადიკალ-დემოკრატი, დავით ჩიქოვანი დაუპირისპირდა სარეგლამენტო კომისიის უმცირესობის მიერ შემუშავებულ პროექტს და მიუთითა, რომ სარეგლამენტო წესის გაატარებით ეროვნულ საბჭოში მკვიდრდებოდა რუსული ენა და ამასთანავე აღნიშნა: „სარეგლამენტო კომისიას რა უფლება ჰქონდა გადაეწყვიტა ძირითადი კანონი? ამ კომისიას მხოლოდ დაევადა, რომ მხოლოდ ტექნიკური სამუშაო შეესრულებინა, მათ ჰქონდათ დავალებული, რომ მოეწესრიგებინათ ასე თუ ისე ენის ხმარების წესი, თუ რა რიგად იქნებოდა აქ თარგმანი, რომელიც გააგებინებს პარლამენტის წევრებს ეროვნული საბჭოს უმცირესობის წარმომადგენლების ლაპარაკს” (ერ. საბჭო, სხდომა 47-ე, 1918:).

ეროვნულმა საბჭოს წევრმა, შალვა ქარუმიძემ (დამ. ნაც. დემ) გააკრიტიკა რა სარეგლამენტო კომისიის უმცირესობის პროექტი და მისი დამცველი სოციალ-დემოკრატიული პარტია, თავისი მოსაზრება ასე ჩამოაყალიბა: „აქ არის საკითხი თუ როგორი ტემპით განდევნის ქართული ენა რუსულ ენას ყველა ჩვენ საზოგადო პოზიციებიდან... ჩვენი ერის კულტურა, სახელმწიფო, სულიერი და ყოველგვარი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა უნდა მოხდეს იმისდამიუხედავად - რამდენად წავა და ამოიშლება ჩვენი ცხოვრებიდან რუსული ენა“ (ერ. საბჭო, სხდომა 47-ე, 1918:11).

წინააღმდეგობის მიუხედავად საკითხი ხმების უმრავლესობით გადაწყდა.

ეროვნულმა საბჭომ მიიღო სარეგლამენტო კომისიის უმცირესობის მიერ წარმოდგენილი პროექტი. ამას ადასტურებს ეროვნული საბჭოს 47-ე სხდომაზე პარ-

ლამენტის თავჯდომარის ნათქვამი: „ჩვენ მაინც მივიღებთ ამ კანონს უბრალოდ ჩვენ გვინდოდა ერთად გაგვეტანა და ერთიანი აზრი ყოფილიყო“ (ერ. საბჭო, სხდომა 47-ე, 1918:14)...

1918 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „წესების ხმარებისა“, სადაც დეპუტატებს ვინც ქართული ენა არ იცოდა შეეძლოთ სიტყვა წარმოეთქვათ „გარდა თავისი დედა-ენისა“ იმ უმცირესობის ენაზე, რომელიც პრეზიდენტის ერთ წევრს მაინც ეცოდინებოდა.

ამრიგად, 1918 წლის 15 ოქტომბრის კანონის რეგლამენტის დამატებით ერთი უმცირესობის ენა (დედა ენა) შეცვლილი იქნა მეორე უმცირესობის ენით (რუსული ენით). აი, როგორ აფასებს ამ ფაქტს ეროვნული საბჭოს წევრი, ალიონელი, პეტრე ქავთარაძე „რეგლამენტის მუხლით კანონის შეცვლა შეუძლებელია, და მერე ისიც ძირითადი კანონის შეცვლა, ჩვენ მიგვაჩნია ამ კანონის დარღვევად. ამ გზით კანონის დარღვევა არის ჩვენი ერის, საქართველოს რესპუბლიკის და ჩვენი პარლამენტის ინტერესების და ღირსების შეზღავანა. აქ პარლამენტში ეს კანონ-პროექტი რეგლამენტის მუხლის შეცვლით, ქართულ სახელმწიფოებრივ ენას ათანასწორებს რუსულ ენასთან (საქ. პარლ. სხდომა 57-ე, 1918: 76) (გელაშვილი, 2010: 19-20).

ყოველი სახელმწიფოებრივი უფლების მატარებელი ერი ცდილობს შექმნას თავისი სულიერი განწყობილების გამომხატველი სიმბოლიკა. ამ მხრივ არც საქართველო ყოფილა გამონაკლისი, საქართველოს პარლამენტმა შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკა. 1918 წლის 10 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო „კანონი საქართველოს რესპუბლიკის დროშის შესახებ“. საქართველოს ეროვნული საბჭოს 43-ე სხდომაზე, რომელიც გაიმართა 1 ოქტომბერს აღნიშნულია, რომ „10 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული დროშა. ამ კანონს წინ უძღოდა ხელოვნების კომისიის მუშაობა, ამ კომისიამ მოიწვია მოქანდაკე ნიკოლაძე, რომელმაც წარუდგინა ხელოვნების კომისიას პროექტი დროშის შესახებ. ეს პროექტი მოიწონა ხელოვნების კომისიამ და დაამტკიცა ეროვნულმა საბჭომ (ერ. საბჭო, სხდომა 43, 1918:7). ამავე სხდომაზე დამტკიცდა შემდეგი: „მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდან მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს საქართველოს დროშის პროექტის შედგენისათვის გასამრჯელოდ სამი ათასი (3000) მან.“ (ერ. საბჭო, სხდომა 43, 1918:7).

„კანონი საქართველოს რესპუბლიკის დროშის შესახებ“ ორი მუხლისაგან შედგება:

1. საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა სამფეროვანი: წითელის (შვინდის ფერის), შავის და თეთრის ფერისა.
2. დროშას შეადგენს: თეთრი ბუნი თავში ბირთვითა და შუბის წვერით, ალამი წითელი (შვინდის ელფერისა) შავი და თეთრი თანასწორი ზოლებით ზემო კუთხეში ბუნთან; შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალამის განის ნახევარს და სიგრძის ორ მეხუდეთს (კრებული, 1990: 62).

ხოლო 1918 წლის 27 დეკემბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სამხედრო დროშის შესახებ, რომელიც ორი მუხლისაგან შედგება:

„1. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო დროშა შესდგება კვადრატული ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის დერბი გვირგვინში; ალამს შემოვლებული აქვს შვინდისფერი არშია, გარშემორტყმული ვერცხლის ზოლით; ალამს აქვს სამი შვინდისფერი კუნწები, ვერცხლის ზოლ შემოვლებული. დროშის ბუნი შვინდისფერი, მოაქრილ-ლახვრიანი, რომელზედაც ცალმეტად ჩამოშვებულია ორი ოქროს ფოჩი.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე188: 9). კანონს ხელს აწერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას.

ეროვნულმა საბჭომ 20 სექტემბერს დააკანონა საქართველოს გერბად თეთრი გიორგი შვიდი მნათობით, ხოლო 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გერბის აღწერილობა.

1918 წლის 17 სექტემბერს, ეროვნული საბჭოს 39-ე სხდომაზე, საინტერესოდ წარიმართა მსჯელობა საქართველოს რესპუბლიკის გერბის მიღებასთან დაკავშირებით. კანონპროექტი ეროვნულ საბჭოში ხელოვნების კომისიის თავმჯდომარემ, დამოუკიდებელი ეროვნული დემოკრატიული პარტიის წევრმა კონსტანტინე მაყაშივილმა წარადგინა. მისი თქმით, მთავრობას მოუწვევია მცოდნე პირები, მხატვრები, პროფესორები, რომელთაც დაუდგენიათ, რომ საქართველოს გერბზე უნდა ყოფილიყო გამოსახული თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. მთავრობის უმრავლესობის წინადადებით კი დამოუკიდებელ საქართველოს გერბზე გამოსახული უნდა ყოფილიყო განმათავისუფლებელი ამირანი. გამოცხადებული კონკურსი ჩაიშალა, - აღნიშნა მომხსენებელმა, - რადგან მხატვრების უმრავლესობა არ დაეთანხმა განმათავისუფლებელი ამირანის გერბზე გამოსახვას. მათ კონკურსში მონაწილეობა არ მიიღეს. ამის შემდეგ გერბის საკითხი გადავიდა კომისიაში. 5 აგვისტოს შედგა ეს კრება, რომელსაც დაესწრენ ფინანსთა და განათლების მინისტრები. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ხოშტარია, ექვთიმე თაყაიშვილი, პროფ. ჯავახიშვილი და კომისიის წევრები: არსენიძე, აბაკელია, ამირეჯიბი, შარაშიძე და სხვები. კრებაზე პროფ. ჯავახიშვილის მოხსენების შემდეგ ერთხმად დაადგინეს, რომ ქართულ გერბზე გამოსახული ყოფილიყო თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. მიღებული გადაწყვეტილება ეცნოთ ფრაქციებსა და მთავრობას. ამ საკითხმა ახრთა სხვადასხვაობა გამოიწვია (ერ. საბჭო, სხდომა 39-ე, 1918:30).

კონსტანტინე მაყაშივილმა ეროვნულ საბჭოს გააცნო ხელოვნების კომისიაში გერბთან დაკავშირებული მიღებული თვალსაზრისი და აღნიშნა: „კომისიის აზრით, უნდა იყოს გამოსახული თეთრი გიორგი და აგრეთვე შვიდი მნათობი, რომელიც გამოსახული იყო დროშაზე და სხვა ძველ სახელმწიფო რეგალიებზე, 7 მნათობი და მთვარე 7 მთვარე თემების და სამმართველოების, გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლო, თავის თავად, ლამაზია. გვეონია, რომ ამას ექნება ერთგვარი პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგანაც ერთი ამ მნათობთა შორის, მთვარე ნიშნავს შეერთებულ საქრისტიანო და სამაჰმადიანო საქართველოს. სიმბოლოა იგი შეერთების“ (ერ. საბჭო, სხდომა 39-ე, 1918:30).

კონსტანტინე მაყაშვილის მოხსენების შემდეგ კანონპროექტის შესახებ გაიმართა ზოგადი ხასიათის მსჯელობა. მსჯელობაში მონაწილეობა მიიღო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა ირაკლი წერეთელმა, რომელმაც სოციალ დემოკრატიული ფრაქციის უმრავლესობის სახელით განაცხადა შემდეგი: „სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში არ არსებობს ამ გერბის შესახებ სრული ერთსულოვნება და, რადგანაც ფრაქცია არ სთვლის გერბის საკითხს დიდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხად, ამიტომ მან გადაწყვიტა მისცეს თავის წევრებს თავისუფალი ხმის უფლება თავის აზრის გამოსათქმელად“ (ერ. საბჭო, სხდომა 39-ე, 1918: 34).

ირაკლი წერეთელმა, თავის გამოსვლაში, შემდეგნაირად დაასაბუთა თავის მოსაზრება: „ჩვენ ვფიქრობთ სახელმწიფოს ემბლემაში, სახელმწიფოს ღერბში გამოიხატოს ხალხის დღევანდელი ნამდვილი მდგომარეობა და ხალხის სულის სწრაფვა... ჩვენი ხალხი ვერ იტყვის, რომ მას ეხლა ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდეს და ყველა მტერი მოგერიებული იყოს იმ დროს, როცა სახელმწიფოს აშენებს... აი, ამიტომ ჩვენ მომხრე ვართ იმისა, რომ სავსებით გამოხატული იყოს სულიერი მისწრაფება ჩვენი ხალხისა, მისი ობიექტური მდგომარეობა - იმ დროს, როცა შენდება ჩვენი სახელმწიფო“ (ერ. საბჭო, სხდომა 39-ე, 1918:35-37).

მსჯელობაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ეროვნული საბჭოს წევრებმა: ეროვნულ დემოკრატმა გრიგოლ ვეშაპელმა და სოციალისტ-ფედერალისტმა აკაკი ფალავამ. გრიგოლ ვეშაპელმა თავისი მოსაზრება, დასმულ საკითხთან დაკავშირებით, შემდეგნაირად გამოხატა: ამირანი არის სიმბოლო მიჯაჭვული გმირისა, ამირანი არის მიჯაჭვული, რომელიც იტანჯება. პროფესორი ხახანაშვილის გამოკვლევით ამირანი არის გადაქართულებული სპარსული მითოლოგიური არი-მანი - „ბოროტი სული“. საქართველოს სახელმწიფოს „ტრადიციული ღერბი“, რომელიც გიორგია ეს რუსეთის ძირითად კანონებშიც იყო დაწერილი, იქ სადაც „რუსეთის იმპერიის შემადგენელ სამეფოთა ღერბებია“ აღწერილი და ეს მარტო რუსეთში კი არა ევროპაშიც იციან, სადაც საქართველოს სახელი „გიორგიათ“-თ ითარგმნება. თუ ვინმე მოინდომებს ჩვენი ქვეყნის გერბის შეტყობას, მას პირდაპირ იურიდიულ დოკუმენტებში შეუძლია ამის ამოკითხვა (ერ. საბჭო, სხდომა 39-ე, 1918:40-41).

გრიგოლ ვეშაპელის შემდეგ სიტყვით გამოსულმა აკაკი ფალავამ სრულყოფილად დაასაბუთა თავისი მოსაზრება და აღნიშნა: ირაკლი წერეთელს ამირანი უნდა იმისთვის, რომ ის დღევანდელ მდგომარეობას გამოხატავს. მაგრამ ეს ხანა წარმავალია. ჩვენი სურვილი არ არის, რომ მუდამ ამ ყოფაში დავრჩეთ. ჩვენი სურვილია განვთავისუფლდეთ ასეთი მდგომარეობიდან და როდესაც ეს დრო დადგება ეს ემბლემა დაკარგავს თავის აზრს. „ღერბის ემბლემა“ არის და უნდა იყოს მარადიული. ვინაიდან ეს ემბლემა ჩვენ ხალხს, ჩვენ ერს ძველი დროიდან, საუკუნეებიდან მოსდევს, ამიტომ ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ და განვაგრძოთ მომავალშიც. აქ არის იდეა სიკეთის ბრძოლა ბოროტებასთან და ეს იდეა მუდამ დარჩება, ვიდრე არსებობს კაცობრიობა. შემდეგში, როდესაც თავისუფლება დამკვიდრდება, ეს აზრი ეს ემბლემა მაინც დარჩება, ვინაიდან ჩვენი ცხოვრება არის ბრძოლა მომავლისათვის. „ჩვენ მოვახდინეთ რევოლუცია, ესე იგი გარდავქმენით ცხოვრება: იგივე უნდა მოვახდი-

ნათ ამ ემბლემის საკითხში. ჩვენ გვინდა გარდავქმნათ იგივე გიორგი: საქრისტიანო ხანაში გიორგის გაუკეთეს ჯვარი, მარავანდები და სხვა ატრიბუტები. დღეს სხვა ხანაში ვართ, სხვა იდეები სხვა დრო არი, ჩვენ მას სათანადო გამოსახულებას ვაძლევთ. ძირითადად გიორგი რჩება სპეტაკ მებრძოლ რაინდად სიმართლისა და სიკეთისთვის“ (ერ. საბჭო, სხდომა 39, 1918:42).

ესთეტიკური თვალსაზრისითაც გაცილებით უკეთესი იქნებოდა, - აღნიშნავს აკაკი ფაღავა, - რადგან ისტორიული ტრადიციის მიხედვით თეთრი გიორგის გამოსახულება მჭიდროდ არის ქართველ ერთან, ქართველ ხალხთან, და თითონ ქართველ დემოკრატიასთან ფსიქოლოგიურად დაკავშირებული. „ჩვენი პირობების წყალობით, რომელშიც ვარსებობთ, ისტორიულის, გეოგრაფიულის, რიცხვით ჩვენი სიცოცხლის და სხვა და სხვა პირობების გამო ჩვენ ვიყავით, ვართ და მომავალშიც მებრძოლ ერთად დავრჩებით. ჩვენ განსაკუთრებული ბრძოლა გვჭირდება. ჩვენს ისტორიაში არ გვაქვს არც ერთი ისეთი დიდი ხანა, როდესაც ბრძოლიდან დასვენებული ვყოფილიყავით. ჩვენ პატარა ერი ვიყავით, ყველა გვებრძოდა და მუდამ მტრის მოგერიება გვჭირდებოდა. უეჭველია დღესაც და მომავალშიც დაგვჭირდება და უკეთეს ემბლემას ბრძოლისას ჩვენ ვერ წარმოვიგენთ გარდა თეთრი გიორგისა. ყველა ამ მოსაზრების გამო სოციალ-დემოკრატების ფრაქციისა მხარს ვუჭერთ თეთრი გიორგის გამოსახულებას, შვიდი მნათობით, როგორც ემბლემას განახლებულ საქართველოსი, დამოუკიდებელ რესპუბლიკისა“ (ერ. საბჭო, სხდომა 39, 1918:42).

საბოლოო სიტყვა მომხსენებელმა კონსტანტინე მაყაშვილმა წარმოთქვა, რომელმაც აღნიშნა: განთავისუფლებული ამირანი ხალხის წარმოდგენაში არ არსებობს, არსებობს მხოლოდ მიჯაჭვული ამირანი... რაც შეეხება მიჯაჭვულ ამირანს წარმოდგინეთ ჩვენი მხედარი მიდის წინ ომში, მიეჩქარება და დროშაზე მიჯაჭვული ამირანია გამოხატული რა ნდობას და რა სიმხნევებს მისცემს ეს მიჯაჭვული ამირანი მხედარს (ერ. საბჭო, სხდომა 39, 1918:42).

მსჯელობის შემდეგ საბჭო კანონპროექტის მუხლობრივ განხილვაზე გადავიდა. საბჭოს წინადადებით საკითხი ფეხზე ადგომით გადაწყვიტეს. ხმების დათვლის შემდეგ 33 ხმით წინააღმდეგ 17-ის წინააღმდეგ მიიღეს „თეთრი გიორგის გამოსახულება გერბზე“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 215:5).

1918 წლის 20 სექტემბერს მიიღეს „კანონი საქართველოს რესპუბლიკის გერბისა“, რომელიც ორი მუხლისაგან შედგება:

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას აქვს თავისი სახელმწიფოებრივი გერბი.

2. გერბად არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობითა“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 214:8) არქივში დაცულ ამ დოკუმენტს ხელს აწერს: საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას და კანცელარიის გამგის ამხანაგი ილია ზურაბიშვილი.

ხელოვნების კომისიამ მიიღო დადგენილება 1918 წლის 4 ოქტომბერს კონკურ-

სის პირობების შესახებ, სადაც ხაზგასმული იყო, რომ გერბი უნდა შესრულებულიყო ქართული სტილით და ზოგადად დაცული უნდა ყოფილიყო ჰერალდიკის კანონები. ჟიური „პარლამენტის ხელოვნების კომისიისაგან, ლიტერატორთ, ისტორიკოსების და ხელოვანთა საზოგადოების წარმომადგენლებისაგან“ უნდა შემდგარიყო (სეცსსა, ფ.1836, აღ. 1, საქმე 214:11).

იყო შემთხვევები, როცა ეროვნულ საბჭოში, კანონების მიღებისას, სოციალ დემოკრატიული ფრაქცია ითვალისწინებდა ოპოზიციურ აზრს. ასე იყო გერბთან დაკავშირებითაც. სოციალ დემოკრატებმა თავის ფრაქციის წევრებს სრული თავისუფლება მიანიჭეს თავისუფალი აზრის გამოსათქმელად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის ამგვარ გადაწყვეტაზე დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის ჩართულობამ და დიდმა ინტერესმა.

სერიოზული სამუშაოები ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჰიმნის შესაქმნელად. 1918 წლის 1 ივნისს მხედართა კავშირის 200 წევრიანი გუნდის შესრულებითა და ნ. ქართველიშვილის ლოტბარობით გაიმართა ჰიმნის კონკურსი (მასზე სამი ჰიმნი თვით ნ. ქართველიშვილის იყო). დროებითი აღიარება მოიპოვა კ. ფოცხვერაშვილის ჰიმნმა „დიდება“, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა (ჭანტურია, 2006:121).

1919 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ სტატიაში „დიდება“ გამომცემულია ჰიმნის წარმოშობის ისტორია. სტატიაში ვკითხულობთ, რომ ეროვნული ჰიმნი არის გამოხატულება მთელი ერის, სახელმწიფოს მისწრაფებისა. სტატიის ავტორი გვაცნობებს, რომ საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე „უკვე ქაღალდზე დაიწერა ქართველი ხალხის საჰიმნო ამოძახილებიდან შეზავებული ქართული ეროვნული ჰიმნის მუსიკა, შესაფერი სიტყვიერი თარგმანით“. ეს ჰიმნი შესრულდა ამიერ-კავკასიის გამომცხადების დღეს და იქ დამსწრე ფართო მასამ მიიღო, როგორც აღფრთოვანებული საგალობელი. ამავე ჰიმნით მიეგება ჩვენი ერი საქართველოს განთავისუფლებას, იგი დიდი ზეიმით შესრულდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების დღეს 1918 წლის 26 მაისს. ერთი თვის შემდეგ 26 ივნისს საქართველოს მთავრობამ დასახელებული საგალობელი ქართულ ეროვნულ ჰიმნად აღიარა, როდესაც იგი მთავრობის ბრძანებით შესრულებული იქნა „შიდ სახელმწიფოთა“ წარმომადგენლების წინაშე, სხვა ერთა ჰიმნის თანასწორ (საქართველოს რესპუბლიკა, 1919: 114).

სტატიის ავტორი საუბრობს ქართული ეროვნული ჰიმნის ღირსებაზე და ჩამოთვლის იმ მოთხოვნებიებს, რაც მრავალი გამოჩენილი მუსიკოსთა აზრით „დიდებას“ აკმაყოფილებს: „ჰიმნის რითმი, მელოდია და ჰარმონია ბუნებრივად, მარტივად და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული... ეროვნულ ჰიმნს უნდა ჰქონდეს საღი პლასტიკა და უმთავრესად სამუსიკო ექსპრესია, ურომლისოდაც იგი იღებს უბრალო სიმღერის სახეს. ჰიმნის კილო არ უნდა იყოს პროვინციულური მიმოხერისა, არამედ მისი სამუსიკო შემადგენლობა და საზოგადო წყობილება უნდა გამოხატავდეს ეროვნულ მუსიკის დამახასიათებელ თვისებებს ... ეროვნული ჰიმნი თავის მუსიკაში მთავარ ეროვნულ ჰანგების თვისებებს, ხოლო საერთო სახით უცხო ერებისათვისაც საკმაო გასაგებიც უნდა იყოს, მას უსათუოდ უნდა ჰქონდეს

საერაშორისო ხასიათიც“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1919:114).

პრესაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს მთავრობა ამ ჰიმნით ხვდებოდა ევროპის სხვა და სხვა წარმომადგენლებს „ყოველ კერძო თუ ოფიციალურ შემთხვევაში“.

ამრიგად, სახელმწიფოს სიმბოლიკის შემუშავება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმე იყო ეროვნული საბჭოს წევრებისათვის, რომლებმაც ღირსეულად გაართვეს თავი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს 45-ე სხდომაზე, რომელიც გაიმართა 1918 წლის 8 ოქტომბერს განიხილეს „კანონპროექტი იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დაარსების შესახებ“. კანონპროექტის მომხსენებელმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა, მელიტონ რუსიამ განმარტება გააკეთა საკოდიფიკაციო განყოფილების დაარსების აუცილებლობის შესახებ და აღნიშნა: გარდამავალ პირობებში პარლამენტს უხდებოდა საჭიროების მიხედვით სხვადასხვა დარგში კანონების მიღება. საჭირო იყო ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც შეკრიბავდა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს და დაბეჭდავდა ერთ ბროშურაში - „საქართველოს რესპუბლიკაში“ (ერ. საბჭო, სხდომა 45-ე, 1918:3).

მომხსენებელის თვალსაზრისით წესრიგში მოყვანილი კანონები უნდა გამოექვეყნებინა იუსტიციის სამინისტროს და მასთან დაარსებულ საკოდიფიკაციო განყოფილებას, რომელსაც მიზნად ექნება კანონების „შეთანხმება მოგროვება, მოწესრიგება და გამოქვეყნება“ (ერ. საბჭო, სხდომა 45-ე, 1918:3). მელიტონ რუსიამ კრებას აუხსნა, რომ „ეს მხოლოდ გამოქვეყნებაა უკვე გამოქვეყნებულ და ძალაში შესული კანონებისა“. ამ პროცესში კი მხოლოდ საჭირო იქნება შეგროვებული მასალების „დარგის მიხედვით დალაგება“. მაგ: სისხლის სამართლის კანონის თავის დარგში მოთავსება და ასე შემდეგ. მისი თქმით საკოდიფიკაციო განყოფილება იარსებებდა დროებით, სანამ არ შეიქმნებოდა „უმაღლესი სასამართლო რესპუბლიკასი, უმაღლესი საკასაციო დაწესებულება“, რომელსაც ექნება „სახეში უკვე წესრიგში მოყვანილ მასალების შეერთება“ (ერ. საბჭო, სხდომა 45-ე, 1918:5).

კანონპროექტთან დაკავშირებით, სიტყვით გამოსულმა იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა, გრიგოლ გველესიანმა, წარმოდგენილი სახით კანონის მიღების საჭიროება შემდეგნაირად განმარტა: რადგან დროებით რუსული კანონები იქნა მიღებული, ამ რუსულ კანონმდებლობას ესაჭიროება გარდაქმნა და ზოგიერთი ცვლილების შეტანა... გარდა ამისა, საჭიროა ისიც, რომ კანონები ისტამბებოდეს ოფიციალურ გამოცემებში, კანონების და მთავრობის განკარგულების კრებულში (ერ. საბჭო, სხდომა 45-ე, 1918:8).

1918 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო შემდეგი კანონები: 1) „კანონთა გამოქვეყნებისა“ და 2) „იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დაარსებისა“ (კრებული, 1990: 82-83). ამ კანონების თანახმად, პარლამენტის მიერ მიღებული ყოველი კანონი, ეგზავნებოდა მთავრობას, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა გამოექვეყნებინა „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში“. კანონი ძალაში შედიოდა მხოლოდ მაშინ, თუ იგი ამ კრებულში

იქნებოდა გამოქვეყნებული.

კრებულის გამოცემა მინდობილი ქონდა იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებულ საკოდიფიკაციო განყოფილებას, რომელსაც ხელმძღვანელობდა იუსტიციის მინისტრი. „კრებული“ გამოცემისთანავე სახელმძღვანელოდ ეგზავნებოდა სახელმწიფო და სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებს.

1918 წლის 11 ოქტომბრის კანონის თანახმად „კრებულში“ მოთავსებული კანონები ძალაში შედიოდა მათი გამოქვეყნებიდან შვიდი დღის შემდეგ, თუ თვით კანონშივე არ იყო აღნიშნული დრო კანონის ძალაში შესვლისა. აღსანიშნავია, რომ „კრებულის“ დაარსებამდე კანონები მთავრობის ოფიციალურ ორგანოში „საქართველოს რესპუბლიკაში“ იბეჭდებოდა.

დამოუკიდებლობის აქტით ეროვნული საბჭო მიჩნეული იყო იმ საკანონმდებლო ორგანოდ, რომელსაც მოელი ძალაუფლება ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრებისათვის უნდა გადაეცა. მართალია, ეროვნული საბჭო და პარლამენტი ყველა პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებას წარმოადგენდა, მაგრამ ეს ორგანოები არ იყო საყოველთაო და არჩევნების საფუძველზე შექმნილი. აქედან გამომდინარე, თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ დაუჭირა მხარი ხალხის ნების გამომხატველი საკანონმდებლო ორგანოს შექმნას და ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულების განხილვას პარლამენტში რამდენიმე სხდომა დაეთმო (ჭანტურია, 2006:106).

დამფუძნებელი კრების დებულების მიიღებამდე, 1919 წლის 31 იანვარს, საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველი საგანი იყო „მთავრობის წინადადება - პარლამენტის მოქმედების შეჩერების შესახებ. ცნობა: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1919 წლის იანვრის 30-ს სხდომის ჟურნალის ამონაწერი შემდეგი შინაარსისა. 1. -პარლამენტის მოქმედება შეჩერებულ იქნეს 31-ს იანვრიდან. 2. „-პარლამენტი ჰკარგავს თავის უფლებებს დღიდან დამფუძნებელი კრების წევრთა არჩევისა“ (სეცსსა, ფ.1836, ად.1, საქმე 403:3). ამავე სხდომაზე მიიღეს შემდეგი დადგენილება: „პარლამენტის მოქმედების შეჩერების გადაწყვეტა მხოლოდ და მარტოდენ პარლამენტის უფლებებს შეადგენს. ინიციატივა ამ წინადადების შეტანისა პრეზიდიუმს ეკუთვნის. ამის გამო წინადადება მთავრობისა მიუღებელი უნდა დარჩეს. მხოლოდ რადგანაც დამფუძნებელი კრების არჩევნების ვადა (თებერვლის 14) მოახლოვებულია და ფრაქციათა შეთანხმებით პარლამენტის მოქმედების შეჩერება საჭიროა წინასწარი საარჩევნო მუშაობისათვის, - პრეზიდიუმი ადგენს: წარუდგინოს პარლამენტს წინადადება შემდეგი დადგენილების მიღების შესახებ: 1. „პარლამენტის მოქმედება შეჩერებულ იქნეს ამა იანვრის 31-დან. 2. „პარლამენტი დათხოვნილად ითვლება დღიდან დამფუძნებელი კრების შეკრებისა“ (სეცსსა, ფ.1836, ად.1, საქმე 403:3).

1919 წლის 31 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს პარლამენტის მოქმედების შეჩერების შესახებ“, რომელიც სამი მუხლისაგან შედგება:

„1. პარლამენტის მოქმედება შეჩერებულ იქნეს ამა იანვრის 31-დან.

2. პარლამენტი დათხოვნილად ითვლება დღიდან დამფუძნებელი კრების შეკრებისა.

3. დამფუძნებელ კრებას მოიწვევს პარლამენტის პრეზიდიუმი და პარლამენტის ცენტრალური დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისია“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 403:5).

1918 წლის 22 ნოემბერს რესპუბლიკის პარლამენტმა დაამტკიცა „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“, რომელიც ათი თავისა და ას ცხრამეტი მუხლისაგან შედგებოდა. იგი ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას. პროპორციულ-წარმომადგენლობითი წესით არჩევნების ჩატარება ევალებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, მისადმი დაქვემდებარებულ საქალაქო, სამაზრო და სასოფლო საზოგადოებათა კომისიებს. დებულების თანახმად, საარჩევნო კომისიაში უნდა შესულიყვნენ იმ პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წევრები, რომელნიც წარმოადგენდნენ დეპუტატობის კანდიდატთა სიებს (ბენდიანიშვილი, 2001:136, ასევე ჯანელიძე, 1990:16).

საქართველოს პარლამენტის 1918 წლის 22 ნოემბრის სხდომამ აირჩია დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია. დამფუძნებელი კრების წევრთა არჩევნების დღის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით სპეციალურად იმსჯელა საქართველოს პარლამენტის 1919 წლის 3 იანვრის სხდომამ და შემდეგი დადგენილება მიიღო: საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების პირველ დღედ დაინიშნოს 14 თებერვალი. ეს დადგენილება პარლამენტის სხდომამ 10 იანვარს უცვლელად მიიღო (ჭანტურია, 2006:107).

ეროვნული საბჭო მრავალპარტიულ საკანონმდებლო ორგანო იყო, რომელშიც წამყვან ძალას სოციალ-დემოკრატიულ პარტია წარმოადგენდა. სწორედ იმიტომ, რომ ეროვნულ საბჭოში ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ, კანონების მიღებისას მათი აზრი გადამწყვეტი იყო. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი ოპოზიციური აზრსაც ითვალისწინებდნენ.

ამ თვალსაზრისს ავითარებს დოღო ჭუმბურიძე, როცა ამბობს: „სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ბოლომდე შეინარჩუნა წამყვანი პოზიციები საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ პრინციპული ბრძოლით დიდი გავლენა მოახდინა მმართველ პარტიაზე. სოციალ-დემოკრატებმა შეცვალეს თავიანთი სამოქმედო პროგრამა, მათ შექმნეს მყარი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, ცდილობდნენ სოციალური ანტაგონიზმის, ვიწრო-პარტიული დაპირისპირებისა და კლასობრივი ბრძოლის შესუსტებას, ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციას, ყველა კლასის ჩამბას საერთო-სახალხო სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში...“

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მე-8 ყრილობამ 1918 წელს 14-19 ნოემბერს გააფორმა ამ პარტიის დამოუკიდებულება და ამიერიდან იგი მთლიანად გაემიჯნა რუსეთის იმავე სახელწოდების პარტიას, თავის მიზნად ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა დაისახა და ამდენად, ბუნებრივად ჩათვალა

წინანდელი პოზიციის დათმობა. ამავე დროს, შეიცვალა წინანდელი შემადგენლობაც თვით ამ პარტიის შიგნით ოპოზიციურად განწყობილი „ალიონისტთა“ ჯგუფი 1919 წელს იანვარში კვლავ დაბრუნდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგენლობაში, რაკიდა ეს უკანასკნელი ეროვნულ ნიადაგზე დადგა. ეროვნულ-დემოკრატიულ რადიკალური ოპოზიციის გარდა, საინტერესოა სოციალისტ-რევოლუციონერთა, სოციალისტ-ფედერალისტთა და სხვა პარტიების დამოკიდებულებაც მმართველი პარტიისადმი. ეს დამოკიდებულებაც განიცდის სახეცვლილებას, იგი ლოიალური ხდება. თუმცა ჯანსაღი კრიტიკის ატმოსფერო კვლავ არსებობს, ოპოზიციონერები ძირითადად მხარს უჭერენ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. შემდგომში სოციალისტ-ფედერალისტთა შორის ორი მიმართულება გაჩნდა-რადიკალური ზომიერების მომხრენი და ზომიერები, ასევე დაიშალა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც, რამაც მთავრობის ოპოზიციის მდგომარეობაში ეს ძალები გახლიჩა, ამიტომ სახელისუფლებო პარტიაც და აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ორგანოები, რომლებშიც უმრავლესობა ამ პარტიას ეჭირა, ადვილად ახერხებდნენ იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის მოგებას. საზოგადოებრივი აზრის ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ პარტიათა შორის ბრძოლა ზიანს აყენებდა საერთო-სახალხო, ეროვნულ ინტერესებს, თუმცა ზოგიერთი ასეთ ბრძოლას ქვეყნის აღორძინების აუცილებელ პირობად თვლიდა. როგორც ნოე უორდანიამ აღნიშნა, საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ მხოლოდ მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა. ქართული ეროვნული სახელმწიფოს მყარი, კონსტიტუციური შენობის აგება და პერსპექტიული სამომავლო პროგრამების ჩამოყალიბება კი დამფუძნებელი კრების ფუნქციას შეადგენდა (ჭუმბურიძე, 2003: 246-247).

თავი IV.

საქართველოს ეროვნული საბჭო – პარლამენტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის სათავეში

§1. უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანიზება

1917 წლის 19 ნოემბერს საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული საბჭო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ქართველი ერის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა. 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით კი ეროვნული საბჭო საკანონმდებლო ორგანოდ იქნა გამოცხადებული, რომელსაც მოელი ძალაუფლება ხალხის მიერ არჩეულ დამფუძნებელი კრებისათვის უნდა გადაეცა. ეროვნული საბჭო პირველი ხელისუფლების ორგანო იყო დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1918 წლის 8 ოქტომბრის დებულებით, საქართველოს ეროვნულ საბჭოს ეწოდა საქართველოს პარლამენტი.

1918 წლის 25 მაისს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე დაისვა საკითხი ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ. მიიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ა) აღმასრულებელი კომიტეტი უქმდება; ბ) საბჭო ირჩევს თავის ახალ პრეზიდენტს მეორე კრებაზე; გ) არჩეულ იქნას სამანდატო კომისია, რომელსაც დაევალოს საბჭოს რეორგანიზაციის საკითხის განხილვა, წევრთა და კანდიდატთა სიის გადასინჯვა“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1. საქმე 49: 3, ასევე გურული, 1993, 3-4:166).

1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით საქართველოს ეროვნულ საბჭოს ქვეყნის პარლამენტის ფუნქცია დაეკისრა (გურული, 1994 3: 4). ამავე დღეს, 26 მაისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველ სხდომაზე აირჩიეს სამანდატო კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია ეროვნული საბჭოს წევრებისა და კანდიდატების ვინაობა. სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით დასახელდა: „თევდორე კიკვიძე, რაჟდენ არსენიძე, შალვა მიქელაძე, იასონ ლორთქიფანიძე, გიზო ანჯაფარიძე, კალენიკე ქავთარაძე, გიორგი გვაზავა“ (ახალგაზრდა კომუნისტი, 1989: 25 მაისი).

ეროვნულ საბჭოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა სამანდატო კომისიას წარუდგინეს სიები. 1918 წლის 27 მაისს ეროვნული საბჭოს სამანდატო კომისიას თავისი კანდიდატები წარუდგინა სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა „ალიონმა“, 28 მაისს – რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა (სოციალისტ-რევოლუციონერთა ქართულმა ფრაქციამ), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა, 29 მაისს სიები წარადგინეს: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა (ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა), საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო

პარტიამ, საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულმა გლეხთა პარტიამ (გურული, 1994, 3:5).

1918 წლის 29 მაისს ეროვნული საბჭოს მეორე სხდომაზე სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებით გამოვიდა რაუდენ არსენიძე. სხდომამ ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით განიხილა სამანდატო კომისიის მიერ წარმოდგენილი სამი წინადადება და შესაბამისი რეზოლუციებიც მიიღო.

„პირველი წინადადებით ეროვნული საბჭოს წევრებად დამტკიცდა წევრთა ის რაოდენობა, რომელიც ამ ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩია, აგრეთვე ამიერკავკასიის სეიმის ქართველი დეპუტატები, რომლებიც ეროვნულ საბჭოს 1918 წლის 11 თებერვლის დადგენილების თანახმად აირჩიეს, სულ 88 წევრი.

მეორე წინადადებით ეროვნული საბჭოს წევრთა რიცხვი გაიზარდა ას ოცამდე და ეს გაზრდა ფრაქციების მიხედვით სათანადო პროპორციით გადანაწილდა. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას - 17; სოციალისტ-ფედერალისტებს - 5; ეროვნულ-დემოკრატებს - 5; სოციალისტ-რევოლუციონერებს - 3; ალიონელთა ჯგუფს - 1; ხოლო რადიკალ-დემოკრატებს 1 წევრი დაემატა. იქვე რაუდენ არსენიძემ განაცხადა, რომ მას ეროვნულ საბჭოს წევრთა სიაში რაფიელ ივანიცკის შეყვანა დაავიწყდა. აქედან გამომდინარე, ეროვნულ საბჭოს წევრთა რიცხვი სულ 121 კაცით განისაზღვრა.

მესამე წინადადებით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი საქართველოს ეროვნულ საბჭოში მოსახლეობის რაოდენობის პროპორციის მიხედვით უნდა მიეღოთ. ხოლო თვით წარმომადგენლების მოწვევა ამ ერების ნაციონალურ საბჭოებთან შეთანხმებით განხორციელდებოდა.

1918 წლის 29 მაისს მიღებული დადგენილებით ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გაუქმდა. იმავე სხდომაზე განიხილეს პრეზიდენტის არჩევის საკითხი, რომლის შემადგენლობა 5 კაცით განისაზღვრა: თავმჯდომარე, მისი ორი ამხანაგი (მოადგილე), მდივანი და მდივნის ამხანაგი, თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ნიკოლოზ ჩხეიძე“ (ჭანტურია, 2006:81-82)

ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ვახტანგ გურული აღნიშნავს: “1918 წლის 30 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. საბჭოს სხდომაზე მოისმინეს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის რაუდენ არსენიძის მოხსენება საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, საქართველოს ეროვნული საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულიყო 121 კაცით. დაწესდა პარტიული კვოტაც. ეროვნული საბჭოს სხდომაზე საგანგებოდ იმსჯელეს ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლების შესახებ და მიიღეს შემდეგი დადგენილება: „საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა უმცირესობების წარმომადგენელნი საქართველოს ეროვნულ საბჭოში მიღებულ იქნან ამ ერების მოსახლეობის რაოდენობის პროპორციის მიხედვით. თვით წარმომადგენლების მოწვევა ხსენებულ ერების ნაციონალურ საბჭოსთან ან სხვა ამგვარ დაწესებულებებთან შეთანხმებით მოხდეს“ (გურული, 1994 3:5).

1918 წლის 30 მაისს დამტკიცდა საქართველოს ეროვნული საბჭოს შემადგენლობა, რომელმაც უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა 1 ივნისს. ეროვნულ საბჭოში ყველაზე მეტი - 68 ადგილი - მიიღეს სოციალ-დემოკრატებმა. სოციალისტ-ფედერალისტებმა მიიღეს 16 ადგილი, ეროვნულ დემოკრატებმა - 15, სოციალისტ-რევოლუციონერებმა - 12 ადგილი, ალიონელებმა - 5 ადგილი, რადიკალ-დემოკრატებმა - 2 ადგილი, უპარტიოებმა - 2 ადგილი, საინგილომ 1 ადგილი (გურული, 1993, 3-4:164-166, ასევე დოკუმენტი 5).

„ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც 1918 წლის 30 მაისს დამტკიცდა, არ იყო სამაჰმადიანო საქართველოს წარმომადგენელი. 1918 წლის 26 ივლისს მემედ-ბეგ აბაშიძემ ეროვნული საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს მიმართა განცხადებით: „მე ვითვლებოდი წინანდელი ეროვნულ საბჭოს წევრად მაჰმადიან ქართველების მხრივ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ წევრთა სიაში არა ვარ შეტანილი, ამიტომ გთხოვთ აღმიძრათ შეამდგომლობა საბჭოს წინაშე, რომ აღდგენილ იქნას ჩემი უფლება და კვლავ ვირიცხებოდე საბჭოს წევრად“ (სეცსსა ფ. 1836, აღ. 1 საქმე 123: 38). ამავე წლის 6 აგვისტოს ეროვნული საბჭოს ჟურნალის ამონაწერიდან ჩანს, რომ ეროვნულმა საბჭომ განიხილა სამანდატო კომისიის მოხსენება მემედ-ბეგ აბაშიძის საბჭოს წევრად აღდგენის შესახებ და ამასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება: საბჭო უკამათოდ იღებს კომისიის წინადადებას და მემედ-ბეგ აბაშიძეს ამტკიცებს საბჭოს წევრად“ (სეცსსა ფ. 1836, აღ. 1, საქმე 123:39).

„ეროვნული საბჭოს 121 წევრიდან ქართველი იყო 116, სომეხი-3, ოსი - 2, უმაღლესი განათლება ჰქონდა 74 კაცს, დანარჩენს 47 კაცს ჰქონდა არასრული უმაღლესი, საშუალო, დაწყებითი და შინაური განათლება. უმაღლესი განათლების მქონე ეროვნული საბჭოს 74 წევრიდან ჟურნალისტი იყო 21, იურისტი - 18, მასწავლებელი - 10, ექიმი - 7, სამხედრო მოსამსახურე - 3, ინჟინერი - 2. საბჭოს სამი წევრი პროფესორი იყო. ეროვნული საბჭოს წევრთა შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო გრიგოლ ვეშაპელი (26 წლის), ხოლო უხუცესი - სილიბისტრო ჯიბლაძე (60 წლის)“ (გურული, 1993, 3-4: 145).

ეროვნული საბჭოს შემადგენლობას ვახტანგ გურული ასე აფასებს: საქართველოს ეროვნულ საბჭოში წარმოდგენილი იყვნენ პოლიტიკური პარტიებისა და მიმდინარეობების ლიდერები და სხვა გამორჩენილი მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები.

ეროვნული საბჭოს წევრთა ერთ ნაწილს (ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ეგეენი გეგეჭკორი, იესე ბარათაშვილი) რუსეთის სახელმწიფო სათათბიროებში მოღვაწეობის გამოცდილებაც გააჩნდათ, რასაც, ცხადია, პარლამენტარიზმის ტრადიციების არმქონე ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (გურული, 1994 3:5).

საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ნოე ჟორდანია დარჩა. მას შემდეგ, რაც ნოე ჟორდანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გახდა (1918 წლის 24 ივნისი), ცვლილება განიცადა საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობამ. საქართველოს ეროვნუ-

ლი საბჭოს თავმჯდომარე გახდა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი ასე გამოიყურება: „თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე, თავმჯდომარის ამხანაგები: იესე ბარათაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მდივანი-დავით ონიაშვილი, მდივნის ამხანაგი - იოსებ აბაკელია“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 123: 18, ასევე გურუ-ლი, 1994, 3:5).

1918 წლის 30 მაისს ძირითადად დამთავრდა საქართველოს ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობის ფორმირება. თუმცა ცალკეული ცვლილებები, რომლებიც 1 ივნისს დაიწყო, მომდევნო თვეებშიც გრძელდებოდა. ეროვნული საბჭოს ზოგიერთი წევრი საბჭოდან გასვლის მიზეზს ოფიციალურ დოკუმენტში არ მიუ-თითებდა. მაგრამ იყვნენ პირები, რომლებიც მიღებული გადაწყვეტილების მოტივირე-ბას ახდენდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ერთ-ერთი წევრის, გრიგოლ ნათაძის, განცხადება, რომელიც საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს თხოვნით მიმართავს: „რადგანაც შეუძლებლობის გამო არ შემოძლიან სათანადო მუშაობა გაწარმოო და პირნათლად ვემსახურო კანონმდე-ბლობის და მშენებლობის სფეროში დემოკრატიას, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ ჩემი ადგილი დავეუთმო სხვას, ვინც უფრო განახლებული ძალით შეძლებს მუშაობას და გთხოვთ, საბჭოს წევრთა სიიდან ამომრიცხოთ (გურული, 1993, 3-4:145).

ეროვნული საბჭოს წევრთა შემადგენლობის ცვლილებებთან დაკავშირებით მოგვყავს კიდევ რამდენიმე საარქივო მასალა:

1918 წლის 30 ივლისს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთა-ვარი კომიტეტი საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს მიმართავს განცხა-დებით, რომ მიხეილ მაჩაბლისა და დავით ვაჩნაძის ნაცვლად ეროვნულ საბჭოს წევ-რებად ჩარიცხონ იოსებ დადიანი და ვასილ ბერულაშვილი (გურული, 1993, 3-4:170).

1918 წლის 27 დეკემბერის საარქივო დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერს პარ-ლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, არის მოთხოვნა ზორი ზორიანის პარლამენტის წევრობიდან განთავისუფლების შესახებ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 123:106).

1918 წლის 27 დეკემბრის ეროვნული საბჭოს სხდომის ჟურნალის ამონაწერ-იდან ვეცნობით სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის განცხადებას: „პარლამენტის წევრის ალექსანდრე მაისურაძის მაგიერ კანდიდატთა სიიდან პარლამენტში ადგ-ილს იჭერს ნიკიფორე იმნაიშვილი“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 123:105).

1919 წლის 14 იანვარს საქართველოს პარლამენტის 81-ე კრების ამონაწერში მოცემულია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისადმი სოციალისტ-ფედერ-ალისტთა ფრაქციის წევრ სამსონ ფირცხალავას მიმართვა: „ვინაიდან საქართვე-ლოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ფედერალურ საბჭოს დადგენილებით პარლამენტის წევრი ა. წერეთელი გამორიცხულია სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან, ამიტომ დღეიდან არ ითვლება სოციალისტ-ფედერალისტთა საპარლა-მენტო ფრაქციის წევრად“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 119:11).

ამავე 81-ე კრების ამონაწერში ვკითხულობთ ასევე ნიკო ნიკოლაძის შემდეგ განცხადებას: „რადგან პარიზს მივდივარ, პარლამენტის წევრობაზე უარს ვამბობ“

(სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 119: 11).

ეროვნული საბჭოდან წევრთა გასვლის შედეგად საერთო რაოდენობა რომ უცვლელი დარჩენილიყო და იმავე დროს პარტიათა წარმომადგენლობის შეფარდება რომ არ დარღვეულიყო, 1918 წლის 4 ივლისს ეროვნული საბჭოს სამანდატო კომისიამ ყველა პარტიას მოსთხოვა საბჭოს წევრების კანდიდატთა სია, საიდანაც ავტომატურად მოხდებოდა საბჭოს წევრთა შერჩევა (გურული, 1993, 3-4: 145-146).

1918 წლის ივლისში საქართველოს უპარტიოთა ფრაქცია გარდაიქმნა „დამოუკიდებელ ფრაქციად“ (კონსტანტინე აფხაზი, კონსტანტინე მაყაშიელი) (გურული, 1993 3-4: 146). ამავე წლის სექტემბერში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარი განხეთქილების შედეგად ეროვნულ საბჭოში შეიქმნა კიდევ ერთი ფრაქცია- „დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია“ (გრიგოლ ვეშაპელი, რევაზ გაბაშიელი, დავით ვაჩნაძე, მიხეილ მაჩაბელი, ვასილ წერეთელი, შალვა ქარუმიძე) (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1. საქმე 123: 45, ასევე გურული, 1993 3-4: 146).

განხეთქილებამ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მნიშვნელოვნად განამტკიცა ეროვნულ საბჭოში სოციალისტური ორიენტაციის ფრაქციების (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალისტ-ფედერალისტები, ალიონელები) პოზიციები. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა (ფრაქციათა) შორის ბრძოლის სიმწვავეს აძლიერებდა უპარტიოთა ფრაქციის სიმცირე (2 კაცი). საერთოდ კი სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც ეროვნულ საბჭოში 121 ადგილიდან 68 ეკუთვნოდათ, სოციალისტური ორიენტაციის ფრაქციების გარეშე შეეძლოთ ნებისმიერი გადაწყვეტილების ბლოკირება, ხოლო სოციალისტური ორიენტაციის ფრაქციებთან ერთად (101 ხმა) ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება (გურული, 1993, 3-4: 146).

1918 წლის 13 სექტემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მიერ მიღებული იქნა კანონი „ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“, რომლის საფუძველზეც ეროვნულ უმცირესობებს ეროვნულ საბჭოში 26 წარმომადგენლის ყოლის უფლება მიეცათ. კანონის პირველ მუხელში ვკითხულობთ: „მიეცეს უფლება საქართველოს ეროვნულ საბჭოში 26 წარმომადგენლის არჩევისა იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზედ მოსახლეობს და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შესდგება, - სახელდობრ: სამხეებს-10; თათრებს-4; აფხაზებს-3; რუსებს-2; ოსებს-2; ქართველ ისრაელებს-2; ებრაელებს-1; ბერძნებს-1; გერმანელებს-1. ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლები უნდა გამოგზავნონ ამ ერების ეროვნულმა საბჭოებმა, რომელნიც არჩეულნი არიან საქართველოს მოქალაქეების მიერ და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებენ.

შენიშვნა: სადაც ასეთი საბჭო არ არსებობს, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის გამოგზავნის უფლება მიეცეს ასეთ ერის წარმომადგენლებს, რომელნიც არჩეულნი არიან სხვა და სხვა დემოკრატიულ დაწესებულებაში საქართველოს რესპუბლიკაში” (კრებული, 1990:62-63).

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ეროვნულ საბჭოს განცხადებ-

ით მიმართავდნენ თავიანთი წარმომადგენლების საბჭოს წევრებად დამტკიცების შესახებ. ეროვნულ საბჭოში აღნიშნული საკითხის განიხილვის შემდეგ სათანადო დადგენილებები გამოჰქონდათ. ამასთან დაკავშირებით მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

1918 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმმა სხდომაზე განიხილა „ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს“ ამონაწერი საქართველოში მოსახლე რუსთა ორი წარმომადგენლის საქართველოს პარლამენტის წევრებად არჩევის შესახებ. ამავე სხდომაზე მიიღეს დადგენილება: „არჩევანი კანონიერად არ ჩაითვლება, ვინაიდან ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს, - ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის კანონით - უფლება არ ჰქონდა მოეხდინა ეს არჩევნები“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 123: 81).

1918 წლის 24 ოქტომბერს იგივე საკითხი განიხილა საქართველოს პარლამენტის სამანდატო კომისიამ და მიიღო დადგენილება: არჩევნები უკანონოდ იყოს ცნობილი, რადგან ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ არ ისარგებლა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონით (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 123: 82). 1918 წლის 29 ოქტომბერს პარლამენტის კრებამ სამანდატო კომისიის დადგენილება დაადასტურა (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 123: 82).

1918 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს „ებრაელთა ეროვნულ საბჭოს მონაწერი, რომ საქართველოში მოსახლე ებრაელთაგან საქართველოს პარლამენტის წევრებად არჩეულნი არიან: კაკიტელაშვილი, შტრეიხერი, ბააზოვი“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 123: 66). ამავე სხდომაზე მიიღეს დადგენილება: “ებრაელთა ეროვნულ საბჭოს მიერ მოხდენილი არჩევნები კანონიერი არ არის, რადგანაც ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის კანონით ქართველ ისრაელებს 2 წარმომადგენლის არჩევის უფლება აქვთ, ხოლო ებრაელებს-ერთისა. ამ შემთხვევაში კი, ებრაელთა ეროვნულმა საბჭომ მოახდინა ერთიანი არჩევანი 3-ვე წარმომადგენლისა“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 123: 66).

1918 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის სამანდატო კომისიამ ებრაელთა ყრილობის დადგენილება სამი წევრის არჩევის შესახებ უკანონოდ ცნო (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 123: 67). ამავე წლის 29 ოქტომბერს ეროვნული საბჭოს კრებამ სამანდატო კომისიის ეს დადგენილება დაადასტურა (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 123: 68).

1918 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმის ამონაწერიდან ირკვევა, რომ განიხილეს სამანდატო კომისიის დადგენილება: „ქართველ ისრაელების წარმომადგენლების: ბუზიაშვილისა და დავარაშვილის“ პარლამენტის წევრებად კანონიერების შესახებ. ამავე წლის ეროვნული საბჭოს 29 ოქტომბრის კრებაზე სამანდატო კომისიის დადგენილება დადასტურებული იქნა (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 123: 68).

1918 წლის 4 ნოემბერს ეროვნული საბჭოს სამანდატო კომისიამ გამართა მსჯელობა სომეხთა დეპუტატების მანდატების დამტკიცების შესახებ და მიიღო დადგენილება: „დამტკიცებულ იქნეს მანდატები სომეხთა შემდეგი დეპუტატებისა: 1.

დოლუხანოვისა, 2. აბარხუდაროვისა, 3. დავითხანიანისა, 4. ზორიანისა, 5. დანდუროვისა, 6. ავეტისიანისა, 7. თუმანოვისა“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 123: 101).

საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმის 1918 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე განსახილველი საკითხი იყო: სამანდატო კომისიის მოხსენება სომეხთა, თათართა და ელინელთა ეროვნულ საბჭოების მიერ არჩეულ პარლამენტის წევრთა მანდატების განხილვის შესახებ. ამავე სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რომ არსებული საკითხი შეტანილი ყოფილიყო საქართველოს პარლამენტის კრების დღის წესრიგში. 1918 წლის 3 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმის სხდომის ჟურნალიდან კი ვკითხულობთ შემდეგ ცნობას: საქართველოს პარლამენტმა 3 დეკემბრის კრებაზე დაამტკიცა სამანდატო კომისიის დადგენილებანი აღნიშნულ დეპუტატების შესახებ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 123: 100).

საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-3 კრებაზე, რომელიც გაიმართა 1918 წლის 1 ივნისს, დღის წესრიგში განსახილველი საკითხი ეროვნული საბჭოს კომისიების არჩევა იყო (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 42: 10). კომისიების არჩევასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოში“ ვკითხულობთ: „1 ივნისს საბჭომ ამოირჩია სხვა და სხვა კომისიების წევრები ფრაქციათა შორის წინასწარ შეთანხმების თანახმად“ (საქართველო, 1918:108). ამავე გაზეთიდან ვიგებთ, რომ 1 ივნისს ეროვნულ საბჭოს აურჩევია: საბიუჯეტო კომისია, სამხედრო კომისია, იურიდიული კომისია, აგრარული კომისია, მუშათა კომისია, სარეგლამენტო კომისია (საქართველო, 1918: 108).

1918 წლის 11 ივნისის ეროვნული საბჭოს კრებაზე აირჩიეს შემდეგი კომისიები: სახალხო განათლების კომისია, გზათა კომისია, სახალხო ჯანმრთელობის კომისია, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის კომისიები. კომისიების არჩევის შემდეგ ამავე კრებაზე ეროვნული საბჭოს წევრმა რაფიელ ინგილომ აღნიშნა, რომ უნდა: „ავირჩიოთ ყველა ის კომისიები, რომლებიც იქნებიან საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრების ყველა დარგების გამომხატველნი“ და დააყენა საეკლესიო კომისიის არჩევის საკითხი შემდეგი არგუმენტით: „იურიდიულად ჩვენ ვაღდებულნი ვართ ავირჩიოთ საეკლესიო კომისია, ვინაიდან ჯერ ფაქტიურად ეკლესია სახელმწიფოდან არ გამოყოფილა“. მეტი კონკრეტულობისათვის მან აღნიშნა, რომ ხსენებული კომისიის არჩევა განსაკუთრებით საჭიროა მას შემდეგ, რაც „იმ ხელშეკრულებაში, რომელიც ჩვენ დავდეთ (იგულისხმება 1904 წლის 4 ივნისის ბათუმის ხელშეკრულება— დ.ბ.), ოსმალებმა შეიტანეს ერთი პუნქტი, რომელიც შეეხება საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიანთა სარწმუნოებასა და ზნე-ჩვეულებათ. ჩვენ უნდა მზრუნველობა ვიქონიოთ იმ ქართველ მცხოვრებლების შესახებ, რომელიც ხელშეკრულებით ჩვენ ჩამოგვმორდნენ და ოსმალების საზღვრებში მოექცნენ“ (საქართველო, 1918: 116).

ჩვენ მიერ მოკვლეულ ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 1918 წლის 27 ივლისით, დასახელებულია ეროვნული საბჭოს 20 კომისია. ეს კომისიებია: სამანდატო, სამეურნეო-საგამგეო, საბიუჯეტო-საგამგეო, სამხედრო, იურიდიული, აგრარული, მუშათა საკითხის, სარეგლამენტო, საზავო, დამფუძნებელი კრების საარჩევნო, საკონსტიტუციო, სახალხო განათლების, გზათა, სახალხო ჯან-

მრთელობის, ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის, ხელოვნების, სარწმუნოების, საგარეო საქმეთა, სარედაქციო, საბიბლიოთეკო კომისიები (სეცსსა, ფ.1836, ად.1, საქმე 127:34-35, ასევე დოკუმენტი 6).

ეროვნული საბჭოს კომისიების შემადგენლობაში ცვლილებები შემდგომ პერიოდშიც შეჰქონდათ. ეროვნული უმცირესობები სურვილს გამოთქვამდნენ, რომ მათ წარმომადგენლებსაც ჰქონოდათ ადგილები საპარლამენტო კომისიებში. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ეროვნულ საბჭოში არსებული საკითხი დიდი სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით განიხილებოდა. საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმის 1918 წლის 22 ოქტომბრის სხდომის ჟურნალში ვკითხულობთ საქართველოს პარლამენტის „დაშნაკცუთუნის“ ფრაქციის განცხადებას: მათ წარმომადგენლებს დაეთმოთ ადგილი „ზოგიერთ საპარლამენტო კომისიების წევრისა“. ამავე სხდომაზე მიიღეს დაგენილება: „განცხადების ასლი დაეგზავნოთ ფრაქციებს, რომლებსაც ეთხოვოთ - ახრი ამ წინადადების შესახებ ეცნობოს პრეზიდიუმს“ (სეცსსა, 1836, ად.1, საქმე 127: 86).

საპარლამენტო ფრაქციების საკითხის განხილვის შემდეგ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს მიეცათ უფლება ემუშავათ ზოგიერთ საპარლამენტო კომისიაში.

თავიანთი ფუნქციების უფრო ეფექტურად შესასრულებლად პარლამენტში შექმნილი იყო და მოქმედებდა მუდმივი და დროებითი კომისიები. კომისიათა რაოდენობას და მათ შემადგენლობას განსაზღვრავდა საბჭო. კომისიის შემადგენლობაში არჩეულად ითვლებოდნენ ის წევრები, რომლებიც მიიღებდნენ ხმების ნახევარზე მეტს. თუ ასეთი წესით კომისიის სრული შემადგენლობა არჩეული ვერ იქნებოდა, მაშინ ინიშნებოდა მეორე დამატებითი არჩევნები, ამ შემთხვევაში არჩეულად ჩაითვლებოდა ის, ვინც სხვასთან შედარებით მეტ ხმას მიიღებდა. მართებულად შენიშნავს ზაურ ჯინჯოლია, რომ: „რეგლამენტში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, ხმების ნახევარზე მეტის ათვლა საიდან წარმოებდა, სხდომაზე დამსწრე დეპუტატთაგან, ეროვნული საბჭოს სიითი შემადგენლობიდან, თუ საერთო შემადგენლობიდან“ (ჯინჯოლია, 1997: 10).

ეროვნული საბჭოს მიერ არჩეული მუდმივი კომისიები იყო: 1. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, რომელსაც ევალებოდა წინასწარი განხილვა იმ საქმეებისა, რომლებიც საფინანსო კანონმდებლობას შეეხებოდა, აგრეთვე უწყებათა ხარჯთა-ღრცხვისა და შემოსავალ-გასავლის პროექტთა და ყველა იმ ხარჯების განხილვა, რომელიც სახელმწიფო ხაზინას უნდა გაეღო. 2. სარედაქციო კომისია, რომელსაც ევალებოდა ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონპროექტის საბოლოო ტექსტის შემუშავება. 3. საბიბლიოთეკო, რომელიც განაგებდა ეროვნული საბჭოს ბიბლიოთეკას. 4. სამეურნეო-საგამგეო, რომელიც განაგებდა საბჭოს მეურნეობის საქმეებს. ეროვნულ საბჭოს შეეძლო, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, სხვა მუდმივი კომისიებიც აერჩია (ჯინჯოლია, 1997: 10).

მუდმივი კომისიების არჩევნები იმართებოდა ყოველი წლის სესიის დასაწყისში. მუდმივ კომისიას თავისი ფუნქციის შესრულება შეეძლო ახალი შემადგენ-

ლობის არჩევამდე. ხოლო დროებითი კომისია გაუქმებულად ჩაითვლებოდა იმ დროიდან, როცა საბოლოოდ გადაჭრიდა იმ საკითხს, რომელმაც ამ კომისიის არჩევა გამოიწვია.

კომისიის პირველ სხდომას იწვევდა საბჭოს მდივანი, საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით, კომისიის არჩევიდან არაუგვიანეს სამი დღისა. კომისიის პირველ სხდომას ხსნიდა მისი უხუცესი წევრი. პირველი სხდომა კანონიერად ჩაითვლებოდა, თუ მას დაესწრებოდა კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. შემდეგ კი – თუ დაესწრებოდა კომისიის შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა. ის კომისია, რომელიც დადგენილი წესით სამჯერ მოწვევის შემდეგაც კი არ შეიკრიბებოდა, გაუქმებულად ითვლებოდა და ახალი არჩევნები ინიშნებოდა. კომისია პირველ სხდომაზე ფარული კენჭისყრით ირჩევდა თავისი შემადგენლობიდან თავმჯდომარეს და მდივანს, საჭიროების შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილესაც. არ შეიძლებოდა ერთდროულად ერთი და იგივე პიროვნება ყოფილიყო ორი კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი (კრებული, 1990: 21).

მუდმივ კომისიებს შეეძლოთ თავიანთი შემადგენლობიდან აერჩიათ ქვეკომისიები (მცირე კომისიები), კომისიის წევრებად არჩევა შეიძლებოდა მხოლოდ საბჭოს წევრებისა, მაგრამ მათ უფლება ჰქონდათ კომისიაში სამუშაოდ მიეწვიათ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები (მცოდნე პირები). საბჭოს წევრებს შეეძლოთ დასწრებოდნენ კომისიის სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით. კომისიას უფლება ჰქონდა მოესმინა მთავრობის წევრთა ან სხვა თანამდებობის პირთა სიტყვიერი განმარტებები, ან განეხილა რაიმე საბუთები და ქაღალდები. ამის შესახებ კომისია აცნობებდა სათანადო პირებსა და დაწესებულებებს და ისინი ვალდებული იყვნენ დაეკმაყოფილებინათ კომისიათა მოთხოვნები. მთავრობის წევრებს უფლება ჰქონდათ, თუ მოისურვებდნენ, თავის მხრივ წარედგინათ კომისიისათვის თავიანთი განმარტებანი, ან გადაეცათ საჭირო მასალები. კომისიებს ევალდებოდათ მათთვის გადაცემულ საკითხებზე მოემზადებინათ არა მარტო მოხსენება, არამედ წარმოედგინათ დასკვნა საბჭოს დადგენილებათა პროექტის სახით (ჯინჯოლია, 1997: 11).

ჩვენ მიერ მოკვლეულ ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ვეცნობით საინტერესო მასალას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იქნა მინიჭებული კონკრეტული მოვალეობა სამხედრო კომისიაზე არჩეულ მცირე კომისიაში. 1918 წლის „ენკენისთვის“ (სექტემბერი) სამხედრო კომისია მიმართავს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს: „მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი: ამა თვის 25-ს სამხედრო კომისიის სხდომაზე არჩეულ იქმნა მცირე კომისია (აფხაზი, ვაჩნაძე, ნინიძე, გობეჩია, მდივანი). აღნიშნული კომისიის მოვალეობას შეადგენს შესწავლა ჯარის მდგომარეობისა საერთოდ და ჯარის ახალ გაწვევულების შევსება. გაუწყებთ რა ამას, უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ კომისიას შესაფერი მოწმობა“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 127: 61).

ეროვნულ საბჭოში საკანონმდებლო საქმის განხილვა იმართებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ეს საქმე განხილული იქნებოდა მუდმივ კომისიაში, სადაც წარმოადგენდნენ მოხსენებას და დასკვნას ამ საკითხზე (ჯინჯოლია, 1997: 11). ასე რომ, ეროვნულ საბჭოში კანონპროექტების განხილვასა და სხვადასხვა საკითხზე

მსჯელობას უსწრებდა ამ საკითხის წინასწარი შესწავლა შესაბამის კომისიებში, მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცემოდა იგი პარლამენტის კრებას დასამტკიცებლად.

ეროვნული საბჭოს კომისიების მუშაობის პროცესებთან დაკავშირებით ზოგიერთ შემთხვევაში შენიშვნებიც გამოითქმებოდა: საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე საკონსტიტუციო კომისიას მიუთითებს: „ყოველნაირი კანონ-პროექტი, დადგენილება თუ სხვა მონაწერი, ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმში გამოგზავნილი კომისიის მიერ, უეჭველად ხელმოწერილი უნდა იყოს თავმჯდომარისა და მდივნისაგან. განსაკუთრებით კი ეს წესი აუცილებლად დაცული უნდა იქნას კანონპროექტის შესახებ. ამასთანავე, მოსამართ ქაღალდებში უნდა იყოს აღნიშნული, ვინ დანიშნა კომისიამ კანონპროექტის მომხსენებლად“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 201:22).

ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიას შემდეგი მითითებით მიმართავს: „ამა თუ იმ კანონპროექტის ან სხვა საკანონმდებლო აქტის ადვილად შეგნებისა და შეთვისებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ დართული ჰქონდეს კომისიის წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელშიაც აღნუსხული უნდა იყოს ძირითადი დებულებანი საკანონმდებლო აქტებისა, დასაბუთება მისი საჭიროებისა. ემოკლე მიმოხილვა არსებული კანონებისა და წესებისა“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 201: 124).

ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი კომისიებს თხოვნით მიმართავს: „ამიერიდან ყოველ კანონპროექტს თუ სხვა საკანონმდებლო აქტს უეჭველად თან დაურთონ წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელიც კანონპროექტთან ერთად სექციებს გაეგზავნებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეზიდიუმი იძულებული იქნება, ასეთი კანონპროექტი კომისიას უკან დაუბრუნდეს“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 201 :124).

საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს მიმართავს: „კანონპროექტის კომისიაში განხილვის დროს საჭიროა კრებას ესწრებოდეს იმ უწყების წარმომადგენელი, საიდანაც ეს კანონპროექტია გადმოცემული ან რომელსაც იგი შეეხება, რათა, ერთის მხრით, უწყებამ იცოდეს რა მდგომარეობაშია კანონპროექტის განხილვა და მეორეს მხრით, კომისიას საშუალება ჰქონდეს მიიღოს კრებაზევე საჭიროებისამებრ, - ესა თუ ის განმარტება უწყების წარმომადგენლისაგან. ამიტომ გთხოვთ შეატყობინოთ ხოლმე ყოველთვის სათანადო უწყებას, რომ ამა და ამ კრებაზე კომისიაში განხილული იქნება ესა თუ ის კანონპროექტი და საჭიროა სხდომას უწყების წარმომადგენელი დაესწროს (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1. საქმე 201: 53).

საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ზოგჯერ საპარლამენტო კომისიებში კანონპროექტებს დაგვიანებითაც იხილავდნენ ხოლმე. 1918 წლის 8 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სხდომაზე განიხილა საპარლამენტო კომისიების ნელი მუშაობის გამო „კანონპროექტი პირდაპირ ეროვნულ საბჭოში მთავრობის მიერ წარდგენის შესახებ“. ამავე სხდომაზე მიიღო დადგენილება: „ეთხოვოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს მიიღოს ზომები, რომ საბჭოს სათანადო კომისიებში დაჩქარებით განიხილონ მთავრობის მიერ წარდგენილი

კანონ - პროექტები და თუ კომისიები დააგვიანებენ, ეს კანონ-პროექტები საბჭოს სხდომის დღიურ წესრიგში შეიტანოს, თუნდაც კომისიებს თავისი აზრი არ ქონდეთ გამოსვლილი“ (სეცსსა, ფ. 1861, აღ. 3, საქმე 3: 26).

„1918 წლის 21 ივნისს ეროვნული საბჭოს სხდომამ იმსჯელა საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის მიმდინარეობის შესახებ. სხდომაზე სიტყვით გამოსულმა რაჟდენ არსენიძემ ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმისა და კომისიების თავმჯდომარეთა შეერთებული კრების გადაწყვეტილება წარმოადგინა. საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის მიმდინარეობის შესახებ სხდომამ გადაწყვეტილება მცირე შესწორებით შემდეგი სახით მიიღო: „ეროვნული საბჭოს სხდომები გაიმართება კვირაში ორჯერ, სამშაბათს და პარასკევს, დილის თერთმეტი საათიდან - ნაშუადღევს 3 საათამდე. 1918 წლის 2 ივლისს ეროვნული საბჭოს სხდომამ ეროვნულ საბჭოს წევრთა საქმიანობის ანაზღაურების შესახებ იმსჯელა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, საბჭოს წევრს დღიურად 30 მანეთი ენიშნებოდა.“ ეროვნულმა საბჭომ აღნიშნული გადაწყვეტილება 1918 წლის 5 ივლისს დაამტკიცა (ჭანტურია, 2006:86-87).

„საქართველოს პარლამენტმა, დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა ნორმებისა და პრაქტიკის შესაბამისად, თავის ხელში აიღო საკანონმდებლო ორგანოს ყველა ფუნქცია“ (ბენდიანიშვილი, 2001:101).

პარლამენტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ორგანო იყო და როგორც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, კონტროლი უნდა გაეწია აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობისათვის, „რაც საპარლამენტო რეჟიმების ერთ-ერთი ფუნდამენტური ელემენტია“ (გეგენავა..., 2014:51). სწორედ ამიტომ ეროვნულმა საბჭომ შექმნა მთავრობის საკონტროლო ორგანო. სახელმწიფო კონტროლიორის დაარსებას ეროვნულ საბჭოში არც მთავრობა ეწინააღმდეგებოდა. ამის შესახებ ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ: „აღიარებულ იქნას, რომ მთავრობა წინააღმდეგი არ იქნება, თუ ეროვნული საბჭო საპარლამენტო კომისიას აირჩევს მმართველობის მოხელეთა მოქმედების თვალ-ყურის სადევნათ და საკონტროლოდ“ (სეცსსა, ფ. 1861, აღ. 3, საქმე 3:89).

როგორც ცნობილია, 1918 წლის 26 მაისის დადგენილებით, ქვეყანაში მთავრობის საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანო ცალკე უნდა შექმნილიყო. ეროვნული საბჭოს 1918 წლის 28 ივნისის დადგენილებით, ჩამოყალიბდა კიდევ ასეთი ორგანო. კანონში სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის შესახებ ვკითხულობთ:

„მუხლი I. დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკაში თანამდებობა სახელმწიფო კონტროლიორისა.

სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს ეროვნული საბჭო, იგი არ შედის მინისტრთა კაბინეტში და პასუხისმგებელია მხოლოდ ეროვნული საბჭოს წინაშე.

მუხლი 2. უთანხმოებას რესპუბლიკის კონტროლიორსა და მთავრობას შორის არჩევს და სწვევს ეროვნული საბჭო.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კანონების მუხლები, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ამიერიდან გაუქმებულია. იმავე სხ-

დომაზე სახელმწიფო კონტროლიორის თანამებობაზე ერთხმად აირჩიეს სოციალისტ-ფედერალისტი ფილიპე გოგინაიშვილი“ (ჭანტურია,2006:87).

აღნიშნულ ორგანოსთან დაკავშირებით ალბერტ აბესაძე აღნიშნავს, რომ მის თავმჯდომარესა და წევრებს ირჩევდა ეროვნული საბჭო. აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო კონტროლიორის, როგორც მმართველობის სისტემის, განსაკუთრებული სტატუსის თანამდებობის პირის ინსტიტუტის შემოღება ერთ-ერთი პირველი საკანონმდებლო აქტი იყო, რომელიც მიიღო საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის 28 ივნისს. სახელმწიფო კონტროლიორი არ შედიოდა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში და იგი პასუხისმგებელი იყო მხოლოდ ეროვნული საბჭოს წინაშე. თავისი სამართლებრივი სტატუსით იგი გათანაბრებული იყო მინისტრთან და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობდა რესპუბლიკის პარლამენტში სახალხო კონტროლის უწყების საკითხების განხილვისას. უთანხმოებას, რაც შეიძლება წარმოშობილიყო რესპუბლიკის კონტროლიორსა და მთავრობას შორის იხილავდა და წყვეტდა ეროვნული საბჭო. არსებითად ეს იყო პარლამენტის სპეციალური კონტროლის ორგანო, რომელზე დაყრდნობითაც უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება აკონტროლებდა მთავრობის ცენტრალური და ადგილობრივი უწყებების საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობას“ (აბესაძე,1995:67-68).

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ეროვნული საბჭოს წევრების ნაწილს სახელმწიფო მოხელეებიც შეადგენდნენ. 1918 წლის 20 ივლისის საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალიდან ვგებულობთ, რომ მომსახენებელ გერონტი ქიქოძის აზრით, „პარლამენტის (საბჭოს) წევრი შეუძლებელია იმავე დროს იყოს სახელმწიფოს დაწესებულების მოხელეც. საბჭოს წევრი რომ თავისუფალი იყოს თავის მოქმედებაში, საჭიროა იგი იყოს მთავრობისაგან დამოუკიდებელი. ამიტომ სახელმწიფო სამსახურში მყოფს მოხელეს ან სამხედრო პირს უფლება არ უნდა ჰქონდეს საბჭოს წევრად ყოფნისა“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 201:39).

ეროვნულმა საბჭომ ყურადღება მიაქცია ამ ფაქტს და საკონსტიტუციო კომისიას მიანდო შედგენა კანონპროექტისა: „საბჭოს წევრის თანამდებობის მოხელეობის შეუთავსებლობისა“. ჩვენი პარლამენტარები, პარლამენტარული წესწყობილებიდან გამომდინარე, იზიარებდნენ იმ აზრს, რომ მთავრობა პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო პარლამენტის წინაშე, როგორც იურიდიულად, ისე პოლიტიკურად. ასევე აღიარებდნენ, რომ პარლამენტი, როგორც მაკონტროლებელი ორგანო, ვერ შეასრულებდა ამ უმაღლეს საკონტროლო ფუნქციებს, თუ მისი წევრები მთავრობაზე იქნებოდნენ დამოკიდებულნი „ჯამაგირისა და ცხოვრების კარიერის მხრივ - ნდობისა და უნდობლობის გამოცხადებაში“, მინისტრის ხელქვეითი ისე თავისუფლად ვერ იმოქმედებდა, როგორც დამოუკიდებელი დეპუტატი“ (საქართველო, 1918:161).

კონსტიტუციის არქონის პირობებში, არსებული მდგომარეობით, როცა ეროვნული საბჭოს წყალობით პირველი საკონსტიტუციო ტრადიციები იქმნებოდა, მისმა წევრებმა ანგარიში გაუწიეს ყველაზე მთავარს - არ დაეშვათ უკუღმართი ტრადიციების გამოისობით თავიდანვე შებღალულიყო „ქართველი ერის უფლებრივი შემეც-

ნება“. საბჭოს წევრებს კარგად ესმოდათ, რომ როცა იქმნებოდა ორგანული კანონი, არსებული ეროვნული საბჭოს შემადგენლობის ფიქსაციაც ერთ-ერთი ასეთი საკონსტიტუციო პრეცედენტი იქნებოდა. ამდენად, ჩვენი კანონმდებლები ეყრდნობოდნენ კონსტიტუციური ქვეყნების ნორმებს, სადაც მიღებული იყო, რომ არ შეიძლებოდა ერთი და იგივე პირი დეპუტატიც ყოფილიყო და ამასთან ერთად რომელიმე უწყებაში მოხელის ფუნქციაც შეესრულებინა. ისინი იზიარებდნენ იმ აზრს, რომ ევროპულ ქვეყნებში სწორედ ამის მიხედვით განისაზღვრებოდა მოხელის პასიური საარჩევნო უფლება: „მათ უფლება აქვთ აირჩიონ, მაგრამ უფლება არ აქვთ არჩეულ იქმნან“ (საქართველო, 1918:161).

არსებული რეალობიდან გამომდინარე, შემუშავებული იქნა დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს გერონტი ქიქოძე და საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე სამსონ დადიანი. დოკუმენტში ვკითხულობთ:

„1. ეროვნულ საბჭოს წევრად არ შეიძლება იყოს თანამდებობის პირი, რომელიც სახელმწიფო, სამოქალაქო ან სამხედრო სამსახურში ითვლება და ჯამაგირს ხაზინის თანხიდან იღებს. შენიშვნა: სამსახურში მყოფ პირს, რომელიც უკვე ეროვნულ საბჭოში ირიცხება, შეუძლია წევრად დარჩეს, თუ თხუთმეტი დღის განმავლობაში განაცხადებს, რომ უარი თქვა სახელმწიფო სამსახურზე.

2. პირველ მუხლში აღნიშნული განსაზღვრა არ ვრცელდება შემდეგ თანამდებობებზე: მინისტრებსა, მათ თანაშემწეებსა, სახელმწიფო კონტროლიორსა, ელჩებსა და უნივერსიტეტის კორპორაციის მიერ არჩეულ პროფესორებზე.

3. კანონი ძალაში შედის ეროვნული საბჭოს მიერ მიღებისა“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 57:16).

1918 წლის 1 აგვისტოს, საქართველოს მთავრობის სხდომაზე მიიღეს დადგენილება: „ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის მიერ გამოგზავნილი 31 ივლისის 1918 წლის კანონპროექტი ეროვნული საბჭოს წევრის თანამდებობის და მოხელეობის შეუთავსებლობისა, შემუშავებული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის მიერ მიღებულ იქმნას“ (სეცსსა, ფ. 1861, აღ. 3, საქმე 3:63)

ეროვნული საბჭოს ნორმალური მუშაობისათვის საჭირო იყო რეგლამენტის შემუშავება. 1918 წლის 1 ივნისს ეროვნული საბჭოს მე-3 სხდომაზე დაასახელეს სარეგლამენტო კომისია, რომელშიც შევიდნენ: რაჟდენ არსენიძე, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე მესხი, არჩილ ჯაჯანაშვილი, გრიგოლ ვეშაპელი. სხდომაზე იმსჯელეს „დროებითი რეგლამენტის“ შესახებ. ამასთან დაკავშირებით ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძემ გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ვიდრე კომისია სათანადო რეგლამენტს შეიმუშავებდა, საბჭოს მიერ დროებით სახელმძღვანელოდ ამიერკავკასიის ყოფილი სეიმის რეგლამენტი (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 42: 11).

1918 წლის 5 ივლისს საქართველოს ეროვნულ საბჭომ მიიღო ეროვნული საბჭოს რეგლამენტი, რომლითაც განსაზღვრა ეროვნული საბჭოს ორგანიზაციული მუშაობის ფორმები. დადგინდა ისეთი საკითხების გადაწყვეტის წესი, როგორცაა: საბჭოს გახსნა და საბჭოს წევრთა რწმუნებულების შემოწმება, საბჭოს თანამ-

დებობის პირთა არჩევნები, საბჭოს კომისიების შექმნა, საკანონმდებლო საქმეთა განხილვის წესი, შემოსავალ-გასავლის განხილვის წესი, მსჯელობის წესი, კითხვის დასმა, კენჭისყრის წესი, საბჭოს წევრთა პირადი მდგომარეობა, საბჭოს პრეზიდიუმი, რეგლამენტის გადასინჯვის წესი (ჯინჯოლია, 1997: 8, ასევე კრებული 1990: 18-42).

რეგლამენტის თანახმად, ეროვნული საბჭოს პირველ სხდომას ხსნიდა მისი უხუცესი წევრი, რომელიც საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის არჩევამდე ასრულებდა თავმჯდომარისა და მდივნის მოვალეობას. ეროვნული საბჭოს უხუცესი წევრი იყო სილიბისტრო ჯიბლაძე (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქ. 123: 14). როგორც ჩანს, ეს წესი საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1921 წწ.) უცვლელად მოქმედებდა. შემდეგშიც დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გახსნა უხუცესმა დეპუტატმა სილიბისტრო ჯიბლაძემ (საქართველოს რესპუბლიკა, 1919: 58). როგორც რეგლამენტიდან ირკვევა, ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა უნდა გაეხსნა, მართლაც, უხუცეს წევრს, რადგან წლოვანების გარკვევა ევალეობდა საბჭოს კანცელარიას, საბჭოს მიერ წარდგენილი ცნობების თანახმად (ჯინჯოლია, 1997: 8).

ეროვნულ საბჭოს, უპირველესად, უნდა გაერკვია საბჭოს წევრთა რწმუნებულება (უფლებამოსილება), აერჩია თავმჯდომარე და მდივანი. ამ საკითხების გარკვევამდე საბჭოს არ შეეძლო სხვა საკითხებს შეხებოდა.

ეროვნული საბჭო წევრთა რწმუნების შესამოწმებლად თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით ირჩევდა სამანდატო კომისიას. კომისია თავის მოხსენებას საზოგადო კრებას წარუდგენდა წევრთა რწმუნების ცნობის ან ზოგიერთ წევრთა მიმართ არჩევნების გაუქმების შესახებ. სამანდატო კომისიას ზოგიერთ წევრთა არჩევნების შესახებ საზოგადო კრებისათვის წერილობითი მოხსენება უნდა წარედგინა. ამ შემთხვევაში წერილობითი მოხსენება დაეზავნებოდა საბჭოს წევრებსა და მთავრობის სათანადო წევრებს. მისი განხილვა საზოგადო კრებაზე უნდა მოხდარიყო სამი დღის შემდეგ. ეს ვადა შეიძლება შემცირებული ყოფილიყო მხოლოდ საბჭოს დადგენილებით (ჯინჯოლია, 1997: 8-9).

ეროვნული საბჭო არჩეული წევრების უფლებამოსილების დამტკიცების შემდეგ თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრის საფუძველზე ირჩევდა საბჭოს თანამდებობის პირებს: თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ორ ამხანაგს (მოადგილეს), მდივანს და მდივნის ამხანაგს. ამ თანამდებობის კანდიდატებს ასახელებდნენ ბარათებით. კენჭი ეყრებოდა იმ კანდიდატებს, რომლებიც თანამდებობის დაკავების თანხმობას განაცხადებდნენ. არჩეულად ითვლებოდა ის, ვინც საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტ ხმას მიიღებდა. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებდა ხმების საჭირო რაოდენობას, ტარდებოდა ახალი არჩევნები. თუ მეორე არჩევნების დროსაც კანდიდატები ვერ დააგროვებდნენ ხმების საჭირო რაოდენობას, არჩეულად ჩაითვლებოდა ის, ვინც სხვებთან შედარებით მეტ ხმას მიიღებდა. თავმჯდომარე და მისი ორი მოადგილე, მდივანი და მისი მოადგილე ირჩეოდა ერთი წლის ვადით. თუ რომელიმე თანამდებობის პირი ვადაზე ადრე გათავისუფლდებოდა, საბჭო ნიშნავდა ახალ არჩევნებს, მაგრამ თანამდებობაზე პირი ირჩეოდა არა ერთი წლით, არამედ დარჩენილი ვადით (ჯინჯოლია, 1997: 9).

პარლამენტს ორი მთავარი ფუნქცია ჰქონდა - კანონმდებლობითი და კონტროლი (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 294: 2). ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება იყო მისი საკანონმდებლო საქმიანობა. საბჭო კანონპროექტს განხილავდა მუდმივ კომისიაში მისი განხილვისა და კომისიის მიერ სათანადო დასკვნის წარდგენის შემდეგ.

საბჭოზე კანონი მიიღებოდა ორი წაკითხვით, მოსმენით. მაშასადამე, სხდომაზე შემოტანილი ყველა კანონპროექტი უნდა განხილულიყო ორჯერ. პირველი მოსმენა იწყებოდა კანონპროექტის ზოგადი დებულებების განხილვით, რის შემდეგაც საბჭოს უნდა გადაეწყვიტა კანონპროექტის მუხლობრივი განხილვის საკითხი. თუ საბჭო მუხლობრივ განხილვაზე უარს იტყვდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ კანონი უარყოფილი იყო. კანონპროექტის მეორე მოსმენის (განხილვის) მიზანი იყო ცალკე-ცალკე მუხლების განხილვა. კანონპროექტის მეორე განხილვის დროს შესაძლებელი იყო წერილობით ყოფილიყო შეტანილი შესწორებები და დამატებები.

კანონის მიღება ხდებოდა ღია (ახილვით) კენჭისყრით, ხელის აწევით. თუ კენჭისყრის შედეგები გაურკვეველი იყო, თავმჯდომარეს თავისი ინიციატივით ან საბჭოს წევრის განცხადებით, რომელსაც მხარს უჭერდა საბჭოს არანაკლებ 15 წევრისა, შეეძლო ხმის მიცემა ჩაეტარებინა კარებში გასვლით. ამ შემთხვევაში მომხრენი ერთ კარში გადიოდნენ, მოწინააღმდეგენი მეორეში. საერთოდ, კენჭისყრის დროს ხმებს თვლიდნენ ქვესტორი და მისი თანაშემწეები თავმჯდომარის მეთვალყურეობით. საბჭოს წევრს შეიძლება მოეთხოვა სახელობითი კინჭისყრის ჩატარება. თუ საბჭო გადაწყვეტდა სახელობით კენჭისყრას, იგი უნდა ჩატარებულიყო ბარათებით, რომლებშიც აღნიშნული უნდა ყოფილიყო ხმის მიმცემის გვარი და სახელი. რეგლამენტი ითვალისწინებდა ფარული ხმის მიცემის შესაძლებლობასაც, რითაც უნდა მომხდარიყო თანამდებობის პირთა არჩევნები. არჩევნების შედეგების გაუქმება ან დამტკიცება და საბჭოს წევრის სასარგებლოდ ხარჯის გაღების საკითხის გადაწყვეტა (ჯინჯოლია, 1997: 11- 12).

პარლამენტის მთავარი ფუნქციასთან დაკავშირებით კი, როგორც რადიკალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი დავით ჩიქოვანი აღნიშნავს, პარლამენტარიზმის ყველა ქვეყანაში იგი გამოიხატება 3 (სამი) სახის კონტროლით... სახელდობრ: „კითხვა, შეკითხვა და საპარლამენტო ანკეტა“ (სეცსსა ფ. 1836, აღ.1, საქმე 294: 2).

მომხსენებლის მიერ განსახილველი წინადადების დასრულების შემდეგ იწყებოდა კამათი. კამათის დასრულების შემდეგ თავმჯდომარე განსახილველ წინადადებასთან დაკავშირებით ნიშნავდა კენჭისყრას. ყოველივე ამის შემდეგ საბჭოს ყოველ წევრს შეეძლო კითხვის დასმა. თავისი მოსაზრების გამოსახატავად მას ხუთი წუთი ეძლეოდა. დასმულ კითხვას პასუხი გაეცემოდა სიტყვებით: „პო“ ან „არა“ (კრებული, 1990: 35).

შეკითხვა, როგორც კონტროლის ერთ-ერთი სახე, პარლამენტში არ ყოფილა ბოლომდე მოწესრიგებული. ამ აზრს ავითარებს რადიკალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთი წევრი დავით ჩიქოვანი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისადმი

მოხსენებაში, რომელიც თარიღდება 1918 წლის 10 დეკემბრით, ავტორი აღნიშნავს, რომ შეკითხვის მოუწესრიგებლობა გამოიხატება შემდეგში: „...შემოდის შეკითხვა, მოექცევა დღის წესრიგის ბოლოში, მეორე დღეს, როდესაც წინა სხდომაზე დარჩენილ კითხვებს ახალ კითხვებს დაუმატებენ – შემოტანილი შეკითხვა კიდევ ბოლოში მოექცევა და ასე, ამგვარად გრძელდება დიდხანს და იმდენად, რომ გადის ორი-სამი და ხან ოთხი კვირაც. ხშირად ასეთი გარემოება შეკითხვას მნიშვნელობას უკარგავს და ამ ბოლო დროს მართლაც ბევრი შეკითხვები იქნა მოხსნილი დაგვიანებისა გამო. საზოგადოდ, ასეთ არანორმალურ პირობაში ჩავარდნილი შეკითხვა მეტად ასუსტებს პარლამენტის კონტროლის ფუნქციას...“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 294: 3).

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, – აღნიშნავს დავით ჩიქოვანი, რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის საპარლამენტო ფრაქციას შემოაქვს შემდეგი საკანონმდებლო წინადადება: „საპარლამენტო შეკითხვებისათვის დაწესდეს რომელიმე საგანგებო დღე“ ან „შეკითხვები განხილულ იქნენ იმ რიგზედ, რომელზედაც იგინი შემოსულნი არიან“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 294: 3).

საბჭოს წევრს უფლება ჰქონდა, რომ შეკითხვით მიემართა აგრეთვე მთავრობისადმი. საბჭოს წევრის მიერ დასმულ შეკითხვაზე მთავრობა ვაძღვებელი იყო პასუხი გაეცა დაუყოვნებლივ ან ერთ-ერთ მორიგ სხდომაზე, მაგრამ არაუგვიანეს ერთი კვირისა. თუ შემკითხველს მიაჩნდა, რომ მისი შეკითხვა სასწრაფო პასუხს მოითხოვდა და ამას საბჭოც დაადასტურებდა, მთავრობას პასუხი უნდა გაეცა არაუგვიანეს სამი დღისა (ჯინჯოლია, 1997: 13).

კონტროლის მესამე სახე – „საპარლამენტო ანკეტა“ – გულისხმობდა საპარლამენტო კომისიის არჩევას მთავრობის მოქმედების შესასწავლად და გამოსაკვლევეად, რათა პარლამენტი დარწმუნებულიყო იმაში, მოსაწონი იყო თუ დასაგმობი მთავრობის მოქმედება (საქართველოს რესპუბლიკა, 1918: 16).

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ეროვნული საბჭოს მიერ საფინანსო-საბიუჯეტო, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, შემოსავალ-გასავლის განხილვის წესს.

მთავრობის მიერ შემოტანილი კანონპროექტი შემოსავალ-გასავლის შესახებ, აგრეთვე უწყებათა ხარჯთაღრიცხვა და საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შემოტანილი ხარჯთაღრიცხვა დასკვნისათვის უნდა გადასცემოდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას. საბიუჯეტო კომისიის მოხსენებას საბჭო განიხილავდა არაუადრეს ერთი კვირისა, მას შემდეგ, რაც საბჭოს წევრებს დაურიგდებოდა კომისიის მოხსენება და დასკვნა. პირველი მოსმენით იხილებოდა ხარჯთაღრიცხვის პროექტის ძირითადი საფუძვლები, ხოლო მეორე მოსმენით განიხილებოდა შემოსავალ-გასავლის თითოეული მუხლი (ჯინჯოლია, 1997:12-13).

როდესაც შემოსავალ-გასავლის ყველა მუხლის კენჭისყრა დამთავრდებოდა, საბიუჯეტო კომისია საბჭოს წარუდგენდა შემოსავალ-გასავლის შესწორებულ პროექტს, რომელიც შედგენილი იყო საბჭოს მიერ შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების თანახმად. საბჭოს წევრებს შეეძლოთ მოეთხოვათ, რომ წარმოდგენილ კანონპროექტში გარკვეული ცვლილებები და დამატებები შეეტანათ. ამ

მიზნით წარმოდგენილი შესწორებები ეროვნული საბჭოს კრებაზე განსახილველად გადაიღდა საბიუჯეტო კომისიის დასკვნის გადაცემის შემდეგ. დადგენილების გამოტანის წინ სიტყვა ეძლეოდა მხოლოდ შესწორებების ავტორს და საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელს (კრებული, 1990:26-27).

ეროვნული საბჭოს ორგანიზაციული მუშაობისათვის მნიშვნელოვანი იყო ისეთი საკითხების გადაწყვეტის წესი, როგორებიცაა სხდომის დანიშვნა, გახსნა, შეწყვეტა და დახურვა.

ეროვნული საბჭო აწესებდა კრების მოწვევის დღეებსა და საათებს, ემაგრებოდა თავმჯდომარე სასწრაფო სხდომას ნიშნავდა, ეროვნულ საბჭოს წევრებს წინასწარ უწყებებით მოწვევის მიზეზს აცნობებდა.

სხდომის დაწყებამდე საბჭოს შენობაში ორი წუთით ადრე ირეკებოდა ზარი. თუ ნახევარი საათის განმავლობაში საბჭოს ორმოც წევრზე ნაკლები შეგროვდებოდა, საბჭოს თავმჯდომარე სხდომას არ ატარებდა. სხდომა იხურებოდა ან დანიშნულ დროს, ან განსახილველად დასმული ყველა საკითხის წარმოდგენის შემდეგ. დროზე ადრე სხდომის დახურვა შეიძლებოდა მხოლოდ საბჭოს დადგენილებით. საბჭოს აგრეთვე შეეძლო დანიშნული ვადის შემდეგაც განეგრძო სხდომა (კრებული, 1997:28).

ეროვნული საბჭოს რეგლამენტში შედიოდა აგრეთვე საქმეთა განხილვის წესი. სხდომის გახსნისთანავე თავმჯდომარე კრებას მოახსენებდა ყველა შემოსულ საქმეს. ამის გარდა, კრებას წარუდგენდა მოქალაქეთა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციებიდან შემოტანილ განცხადებებს, რეზოლუციებს და სხვას. საბჭოში ყველანაირი წინადადება შედიოდა წერილობით. სანამ განსახილველად დასმული საკითხი არ გადაწყდებოდა, კრებაზე სხვა საკითხების წამოყენება არ შეიძლებოდა.

თუ მთავრობის წევრი საბჭოში შეიტანდა ისეთ განცხადებას, რომელიც საბჭოში დასმულ საკითხს არ შეეხებოდა, ამ შემთხვევაში თავმჯდომარე წინადადებით მიმართავდა საბჭოს, განეხილა იგი, თუ ეს განხილვა შემდეგი სხდომისათვის გადაედო. სხდომის დახურვის წინ თავმჯდომარე კრებას მოახსენებდა იმ დღეს შეტანილი ყველა საქმის შესახებ და წარუდგენდა კრებას შემდეგი სხდომის წესრიგის დასამტკიცებლად (კრებული, 1990: 29-31).

ეროვნული საბჭოს ნორმალური მუშაობისათვის დიდი ყურადღება ექცეოდა ეროვნულ საბჭოში მსჯელობის წესს. სხდომას ყოველთვის თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა. თავმჯდომარის ნებართვის გარეშე საბჭოს წევრებს სიტყვის თქმა ეკრძალებოდათ. თუ თავმჯდომარე საბჭოს წევრს შენიშნავს მისცემდა, მას არ შეეძლო სიტყვის შებრუნება. თავმჯდომარე ორატორებს, წარდგენილი განცხადების თანახმად, რიგში ჩადგომით აძლევდა სიტყვას. მთავრობის წევრებს სიტყვის თქმა ურიგოდ შეეძლოთ, თუ ერთისა და იმავე საკითხის შესახებ სიტყვას ითხოვდა საბჭოს რამდენიმე წევრი, ამ შემთხვევაში სიტყვას აძლევდნენ იმას, ვინც პირველად წარუდგენდა თავმჯდომარეს განცხადებას. თუ თავმჯდომარეს სურვილი ჰქონდა, ელაპარაკა განსახილველი საკითხის შესახებ, რიგში უნდა ჩაწერილიყო,

მაგრამ ამ შემთხვევაში თავმჯდომარეობას თავისი სიტყვის წარმოთქმის დროს სხვას უთმობდა. სიტყვებს ორატორები ტრიბუნიდან ამბობდნენ. თუ ორატორი საკითხს გადაუხევედა, თავმჯდომარეს უფლება ჰქონდა მიეცა მისთვის წინადადება, დაბრუნებოდა საკითხს, მაგრამ თუ იგი არ დაემორჩილებოდა ან შეურაცხყოფელ, უკმეს ან საზოგადოდ, საბჭოს ღირსების შეუფერებელ სიტყვას მიმართავდა, თავმჯდომარეს შეეძლო მოეთხოვა წესრიგის დაცვა, ჩამეორთმია სიტყვა ან საბჭოსათვის მიეთხოვა ასეთი წევრის სხდომიდან დათხოვნა (ჯინჯოლია, 1997:9).

თუ დარბაზში ხმაური ან უწესრიგობა დაიწყებოდა და თავმჯდომარე მის შეჩერებას ვერ მოახერხებდა, მაშინ იგი თავის ადგილს ტოვებდა და სხდომა ნახევარი საათით წყდებოდა. თუ შემდეგაც იგივე განმეორდებოდა, თავმჯდომარე სხდომას დახურულად აცხადებდა (კრებული, 1990: 31-33).

ეროვნული საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული იყო ეროვნული საბჭოს წევრების უფლებები და მოვალეობები. საბჭოს წევრს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო საბჭოს ყოველგვარ საქმიანობაში, ყოფილიყო არჩეული საბჭოს კომისიებში ან თანამდებობებზე, გამოეთქვა თავისი აზრი საბჭოს მიერ განსახილველ ამა თუ იმ საკითხზე და სხვ. საბჭოს წევრს უფლება ჰქონდა შეკითხვით მიემართა მთავრობისათვის (ჯინჯოლია, 1997: 13).

საბჭოს წევრის ძირითადი მოვალეობა იყო სხდომაზე დასწრება. საბჭოს წევრები, სანამ სესია დაიწყებოდა, საბჭოს კანცელარიას წარუდგენდნენ მისამართს და სხვა საჭირო ცნობებს. საბჭოს წევრს მისი დროებითი გათავისუფლების შესახებ წერილობით უნდა მიემართა საბჭოს თავმჯდომარისათვის, სადაც აღნიშნული იყო, რა ვადით ითხოვდა გათავისუფლებას. ერთ თვეზე მეტი ვადით გათავისუფლების საკითხს წყვეტდა თვით საბჭო. ამისთვის თავმჯდომარის სახელზე წარდგენილი უნდა ყოფილიყო წერილობითი განცხადება, რომელიც საბჭოს პრეზიდიუმის დასკვნასთან ერთად საზოგადო კრებაზე განიხილებოდა გადასაწყვეტად.

სხდომაზე დაუსწრებლობის საპატიო მიზეზად ითვლებოდა: 1. საბჭოს წევრის ავადმყოფობა; 2. სიკვდილი ან მძიმე ავადმყოფობა მისი ოჯახის წევრისა; 3. სამუშაო, რომელიც საბჭოს მუშაობასთან იყო დაკავშირებული და 4. ისეთი პირადი საქმეები, რომელთა გადადება შეუძლებელი იყო. საბჭოს წევრს, რომელიც არასაპატიო მიზეზით გააცდენდა სხდომას, ყოველი გაცდენილი სხდომისათვის ექვეითებოდა თვიური ხელფასის ერთი ოცდამეათედი ნაწილი. საბჭოს წევრი, რომელიც ერთი თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრებოდა სხდომებს, საბჭოს წევრობიდან გარიცხულად ითვლებოდა. ამ შემთხვევაში მის ადგილს მორიგი კანდიდატი დაიჭერდა (კრებული, 1990: 39-41, ასევე ჯინჯოლია, 1997: 13-14).

ეროვნულ საბჭოს ჰყავდა პრეზიდიუმი, რომელიც წარმართავდა საბჭოს მოქმედი კომისიების მუშაობას. საბჭოს პრეზიდიუმს შეადგენდა: საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები (ამხანაგები), საბჭოს მდივანი და მდივნის მოადგილე (ამხანაგი).

პრეზიდიუმის მუშაობა გამოიხატებოდა სხდომების ჩატარებაში, რომლებსაც იწვევდა საბჭოს თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან პრეზიდიუმის ორი წევ-

რის მოთხოვნით. სხდომა უფლებამოსილი იყო, თუ მას დაესწრებოდა არანაკლებ ორი წევრისა.

პრეზიდიუმის მოვალეობას წარმოადგენდა თვალყური ედევნებინა საბჭოს მუშაობისათვის, კერძოდ: ა. მოეხსენებინა საბჭოსთვის მოსახრება მისი მუშაობის შესახებ და წარედგინა დასამტკიცებლად დღის წესრიგი; ბ. მიეცა დასკვნა რეგლამენტში აღნიშნულ საკითხზე; გ. განესაზღვრა, თუ რა მიმართულება მიეცემოდა საბჭოს სხდომაზე შემოსულ ქაღალდებს; დ. განეხილა საბჭოს წევრთა დროებითი გათავისუფლებისა და სხდომების გამცდენ წევრთა საკითხები; ე. განეგო საბჭოს კანცელარიის მომსახურეთა მიღების, გათავისუფლებისა და სხვა საკითხები.

პრეზიდიუმს შემუშავებული ჰქონდა საბჭოს ის შინაგანი წესრიგი, რომელიც განსაზღვრული არ იყო რეგლამენტით ან საბჭოს გადაწყვეტილებით. პრეზიდიუმს შეეძლო გაეუქმებინა საბჭოს ნებისმიერი ორგანოს ისეთი დადგენილება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კანონს, რეგლამენტს, საბჭოს დადგენილებას (კრებული, 1990: 41-42).

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ორგანიზატორული მუშაობის წარმართვის მიზნით განსაზღვრა მოქმედების წესი, შეიმუშავა რეგლამენტი. რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა საკითხი ხელს უწყობდა ეროვნული საბჭოს, რომ მას ნორმალურად მუშაობის შესაძლებლობები ჰქონოდა და დაემყარებინა შინაგანი წესრიგი.

ამრიგად, ეროვნულმა საბჭომ დიდი მუშაობა გასწია უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანიზების მიზნით. საქართველოს ისტორიაში რპირველ მრავალპარტიულ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შეყვანილნი იყვნენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებიც, რაც მის როლსა და დანიშნულებას კიდევ უფრო მეტად ზრდიდა. განსაკუთრებით აქტუალური იყო, ის რომ ეროვნულ საბჭოში - საქართველოს პარლამენტში - კანონშემოქმედებით საქმიანობაში მამაკაცთა გვერდით ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. 1918 წლის 27 ოქტომბრის მონაცემით, ეროვნული საბჭოს სიაში წარმოდგენილი იყო: ჩხეიძე მარიამი, ნაფიცი ვეჯილი, სოციალისტ-რევოლუციის პარტიის წევრი; სოლოლაშვილი ოლღა, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ტორაშელიძე მინადორა, ექიმი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საზგასახმელია ისიც, რომ ეროვნულმა საბჭომ ყურადღება მიაქცია საბჭოს შემადგენლობის საკითხს, გაასწორა ხარვეზი და აკრძალა ერთისა და იმავე პირის პარლამენტის წევრობა და მოხელედ ყოფნა.

§2. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზება

1918 წლის 26 მაისის აქტით, საქართველო დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო გახდა. დამოუკიდებლობის აქტის მე-2 მუხლში აღნიშნულია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა (საქართველოს რესპუბლიკა, 1918:1). ნოე ჟორდანიამ საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მნიშვნელობა ეროვნული საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე შემდეგნაირად განმარტა: „საქართველო უნდა დარჩეს დემოკრატიულ სახელმწიფოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ ის საყოველთაო საარჩევნო სისტემას უნდა დაეყრდნოს. საქართველო უნდა გადაიქცეს უფლებრივ სახელმწიფოდ: ეს იმას ნიშნავს, რომ აღმასრულებელი, მოსამართლე და კანონმდებელი ძალა ნათლად უნდა გაიმიჯნოს და როგორც პირველი, ისე მეორე უკანასკნელს უნდა დაექვემდებაროს” (საქართველო, 1918:176).

ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაცია მოიცავს როგორც მთავრობის შიგნით ინსტიტუციურ ორგანიზაციას, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციურ თუ ინსტიტუციურ გამიჯვნას ხელისუფლების სხვა შტოებისაგან, საჭიროდ მივიჩნევთ, ორგანიზაციის საკითხი განვიხილოთ 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, ამავე კონსტიტუციით დადგენილი მმართველობის ფორმის - „პარლამენტარიზმის მმართველობის“ ჭრილში. ჩვენი შემდგომი მსჯელობა დაემყარება კონსტიტუციონალიზმის უმთავრეს „ძალაუფლების გამიჯვნის თეორიას“, რომელიც თავის მხრივ სამ პრინციპზეა დამყარებული (ფუნქციური გამიჯვნა, ინსტიტუციური გამიჯვნა, შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმები). ამგვარი მიდგომა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მის ისტორიულ-პოლიტიკურ სარჩულებთან ერთად ნათლად გვისახავს იმ პერიოდის მთავრობის ორგანიზაციის რეალურ მოტივებს, მიზნებს და მდგომარეობას (გელაშვილი, 2017ბ:75).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ, 1918 წლის 25 მაისისათვის, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ასეთი შემადგენლობით მუშაობდა: ნოე ჟორდანი, გიორგი ლასხიშვილი, პავლე საყვარელიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ნოე ხომერიკი, ალექსანდრე ლომთათიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, შალვა მესხიშვილი, კონსტანტინე მესხი, ნოე რამიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი ჟურული, ალექსანდრე ასათიანი, იოსებ მაჭავარიანი, დავით (დათა) ვაჩნაძე, გიორგი გვაზავა, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგეჭკორი, ნიკოლოზ (კარლო ჩხეიძე), ვლადიმერ გობეჩია (გურული, 1993:144).

1918 წლის 25 მაისს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე დაისვა საკითხი ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ. მიღებული იქნა დადგენილება:

ა) აღმასრულებელი კომიტეტი უქმდება; ბ) საბჭო ირჩევს თავის ახალ პრეზიდენტს მეორე კრებაზე; გ) არჩეულ იქნეს სამანდატო კომისია, რომელსაც დაევალოს საბჭოს რეორგანიზაციის საკითხის განხილვა, წევრთა და კანდიდატთა სიის გა-

დასინჯვა”(სეცსსა,ფ. 1836,ად.1. საქმე 46: 3,ასევე გურული,1993:145).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მთავრობის ორგანიზაციასთან დაკავშირებით შემდეგი დებულებები იქნა მიღებული:

ა) დაარსდეს 8 სამინისტრო,საკონტროლო ორგანო დაარსდეს ცალკე;

ბ) უქმდება სასურსათო და მზრუნველობის სამინისტროები;

გ) შეერთებულია: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მიწათმოქმედების და შრომის სამინისტროები.

სამინისტროები და მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა შემდეგი სახით იქნა წარმოდგენილი:

1. თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა - ნოე რამიშვილი.

2. საგარეო - აკაკი ჩხენკელი.

3. სამხედრო - გრიგოლ გიორგაძე.

4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის - გიორგი ჟურული.

5. განათლების - გიორგი ლასხიშვილი.

6. მიწათმოქმედებისა და შრომის - ნოე ხომერიკი.

7. იუსტიციის - შალვა მესხიშვილი.

8. გზათა - ივანე ლორთქიფანიძე (სეცსსა,ფ.1823,ად.2,საქმე 1:31).

ამდენად, დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებისთანავე ჩამოყალიბდა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი დროებითი კოალიციური მთავრობა. მთავრობის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე რამიშვილი, რომელმაც შეითავსა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი. კოალიციურ მთავრობაში, უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს (ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, გრიგოლ გიორგაძე, ნოე ხომერიკი) ეკუთვნოდა, სოციალისტ-ფედერალისტთა პატრიიდან მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შევიდნენ გიორგი ლასხიშვილი და შალვა მესხიშვილი,ეროვნულ-დემოკრატებიდან გიორგი ჟურული, ხოლო სოციალისტ-რევოლუციონერებიდან - ივანე ლორთქიფანიძე (ბენდიანიშვილი,2001:101; ასევე ჯანელიძე,2015:14).

მაშინდელ მთავრობის შემადგენლობას ოთარ ჯანელიძე ასე აფასებს: „მართალია, მთავრობაში სოციალ-დემოკრატები ჭარბობდნენ, ყველა საკვანძო სამინისტროს ისინი განაგებდნენ, მაგრამ მინისტრთა დარგში ცალკეულ უწყებებს ქვეყნის სხვა პოლიტიკური პარტიათა წარმომადგენლებიც უძღვებოდნენ, რაც სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში მათ ფართო მონაწილეობას უზრუნველყოფდა“ (ჯანელიძე,2015:14).

1918 წლის 11 ივნისს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობაში კიდევ ერთი სამინისტრო და აფხაზეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობა დასახელდა. ამის შესახებ დავით ჩიტაია ნაშრომში „საქართველოს დემოკრატიულ მთავრობაში აფხაზეთის საქმეთა უწყების შექმნის ისტორიიდან“, აღნიშნავს: 1918 წლის 11 ივნისს ეროვნულმა საბჭომ ჩამოაყალიბა საკონსტიტუციო კომისია (თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე), რომელსაც დაევადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება, სადაც სამართლიანად გაფორმდა

ქვეყნის ეროვნულ - სახელმწიფოებრივი წყობილების საბოლოო ფორმა. ჯერ კიდევ 1918 წლის 11 ივნისს დაიდო ხელშეკრულება აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობას შორის, რომლის ძალითაც აფხაზეთი ადასტურებდა საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას, ხოლო საქართველოს მთავრობა აფხაზეთის ავტონომიის გარანტიას იძლეოდა. აფხაზეთს ენიჭებოდა სრული შინაგანი ავტონომია. ხელშეკრულება ითვალისწინებდა აფხაზთა სახალხო საბჭოსათვის საქართველოს მთავრობის მხრიდან სამხედრო - ეკონომიკური დახმარების გაწევას.

1918 წლის 11 ივნისს, საქართველოს მთავრობასა და აფხაზთა სახალხო საბჭოს შორის დადებული ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად, შემოდებულ იქნა აფხაზეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობა. აფხაზეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე კანდიდატი უნდა წარედგინა და ფარული კენჭისყრით უნდა აერჩია აფხაზეთის სახალხო საბჭოს. აფხაზეთის მინისტრი იყო აფხაზეთის ოფიციალური წარმომადგენელი ცენტრში-თბილისში. იგი იყო დამაკავშირებელი რგოლი აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს მთავრობას შორის. იმ პერიოდის დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ყველა მიმართვა, გადაწყვეტილება, დადგენილება, რომელიც იღებდა აფხაზთა სახალხო საბჭო და აგზავნიდა თბილისში-საქართველოს მთავრობაში, პირველად ეგზავნებოდა აფხაზეთის საქმეთა მინისტრს. აფხაზეთის საქმეთა მინისტრი იყო პოლკოვნიკი რ. ჩქოტუა (ჩიტაია, 2001, 4:190-191).

ოთარ ჯანელიძე საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერის ხელმძღვანელობით უმაღლესი ხელისუფლების ორგანიზაციის შექმნის საკითხის შეფასებისას წერს: „ახლად შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ აქცენტი მცირერიცხოვანი, მაგრამ მობილური სახელმწიფო აპარატის ფორმირებაზე აიღო. მთავრობის საქმეთა მმართველად დაინიშნა სერგო ჯაფარიძე, ხოლო მოადგილედ მ. მღვდლიშვილი, რომლებმაც პრემიერ რამიშვილთან ერთად დიდი ძალისხმევა მოახმარეს მოკლე დროში სათანადო კანცელარიისა და ადმინისტრაციის შექმნას. პავლე სარჯველაძის სიტყვით: ნოე რამიშვილის „პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი შემოქმედების ნიჭის, უნარის გამოვლინება იხატებოდა ნორჩი რესპუბლიკის აპარატის მკვიდრად ჩამოყალიბებაში“. რაჟდენ არსენიძეც იმავეს ადასტურებს, როცა წერს: „ნოე რამიშვილი იყო დიდი სახელმწიფოებრივი შემოქმედების ადამიანი, რომელიც მაგარი ხელით, დიდი ორგანიზატორული ნიჭით უყრიდა მკვიდრ და მყარ საფუძველს საქართველოს დემოკრატიულ აპარატს, დემოკრატიული სულით გაუღენთილს“ (ჯანელიძე, 2015:35).

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილმა მოკლე დროში ეროვნულ საბჭოს გადადგომის თხოვნით მიმართა. 1918 წლის 24 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი მიმართავს საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძეს: „საქართველოს რესპუბლიკის პირველ მთავრობას დაეკისრა მეტად მძიმე მოვალეობა - მოსპოს ჩვენს სახელმწიფოს ფარგლებში ანარქია და ადადგინოს სრული წესიერება რევოლუციის მონაპოვართა საბოლოო გასამტკიცებლად.

ამ მოვალეობის ასასრულებლად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მთავრობის გარშემო ყველა საზოგადოებრივ და რევოლუციონურ რეალურ ძალთა გაერთიანება, რომ პარლამენტს საშუალება მიეცეს ეს მიზანი დაჩქარებით განახორციელოს თავისი ასეთი დადგენილება ახალი მთავრობის დაუყოვნებლივ შესადგენად” (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 51:11, ასევე ჯანელიძე, 2015:72).

1918 წლის 24 ივნისს გაიმართა ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: თავმჯდომარის ამხანაგი იესე ბარათაშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი; მდივანი დავით ონიაშვილი და მდივნის ამხანაგი იოსებ აბაკელია. სხდომაზე განიხილეს საკითხი: „მთავრობის თავმჯდომარის წერილი ამა წლის 24 ივნისის თარიღით და № 7034-ით რამიშვილის განცხადება, რომ მთავრობამ დაადგინა სამსახურიდან გადადგეს” (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე: 51:2).

იმავე დღეს, ნაშუადღევს 2 საათსა და 15 წუთზე, საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-12 საგანგებო კრება დაიწყო. კრებას თავმჯდომარეობდა იესე ბარათაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ დღის წესრიგი შეიცავს მხოლოდ ერთ საგანს - მთავრობის განცხადებას სამსახურიდან გადადგომის შესახებ. დასმულ საკითხზე გაიმართა მსჯელობა. მსჯელობის დამთავრების შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ირაკლი წერეთელმა ეროვნულ საბჭოს წარუდგინა შემდეგი შინაარსის წინადადება: „მოისმინა რა მთავრობის განცხადება - მისი გადადგომის შესახებ, ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის მიანდოს საბჭოს წევრს ნოე ჟორდანიას ახალი მთავრობის შედგენა და ანიჭებს მას საგანგებო უფლებებს მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლად და გასაერთიანებლად” (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 51:3, ასევე ჯანელიძე, 2015:72).

იმავე დღეს, 1918 წლის 24 ივნისს, საღამოს 9 საათსა და 20 წუთზე, დაიწყო ეროვნული საბჭოს მე-13 კრება. ახალი მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ, ეროვნულ საბჭოს განუცხადა მთავრობის მომავალი მოქმედების გეგმის შესახებ და აღნიშნა, რომ „ახალ მთავრობის შემადგენლობაში დარჩნენ ყველა ის მინისტრები, რომლებიც გადადგომილ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შევიდნენ. რაც შეეხება მინისტრთა ამხანაგების შემადგენლობის საკითხს, ამის შესახებ ხვალ გაირკვევა” (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 51:5).

ამავე კრებაზე, კენჭი ეყარა შემდეგ წინადადებას: „მოისმინა რა მთავრობის განცხადება, ეროვნული საბჭო უცხადებს მთავრობას სრულ ნდობას და აღუთქვამს მას სრულ დახმარებას წამოყენებულ გეგმის განსახორციელებლად” (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 51:5).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე, რომელიც გაიმართა იმავე დღეს, 1918 წლის 24 ივნისს, მინისტრთა ამხანაგების დანიშვნის შესახებ, მიიღეს შემდეგი დადგენილება: „დაინიშნოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის, რომელიც ამავე დროს დროებით ასრულებს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას, ამხანაგად გ. მახარაძე; საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ჩხენკელის, რომლის თანამდებობას დროებით ასრულებს ნ. რამიშვილი, კ. გვარჯალაძე და ზ. ავალიშვილი; მიწათმოქმედების და შრომის მინისტრის ნ. ხომერიკის ამხ-

ანაგად პ. გელეიშვილი მიწათ მოქმედების უწყებისა და გ. ერაძე – შრომის უწყებაში, იუსტიციის მინისტრის შ. მესხიშვილის ამხანაგად გრ. გველესიანი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის გ. ჟურულის ამხანაგად კ. კანდელაკი და გ. ნიკოლაძე; გზათა მინისტრის ი. ლორთქიფანიძის ამხანაგად ი. მაღანია და პ. საბაშვილი; სამხედრო მინისტრის გ. გიორგაძის თანაშემწედ გენ. ოდიშელიძე, რომელიც იმავე დროს იქმნეს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდალად” (სეცსსა, ფ.1861, აღ. 3, საქმე 3:8-9).

როგორც წარმოდგენილი საარქივო მასალიდან დასტურდება, შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილის (რომელიც იმავე დროს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებდა) მოადგილედ გერასიმე მახარაძე დანიშნეს; საგარეო სამინისტროში მოადგილეობად დასახელდნენ: კონსტანტინე გვარჯალაძე და ზურაბ ავალიშვილი; მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრის, ნოე ხომერიკის, მოადგილეობად დასახელდნენ: მიწათმოქმედების უწყებაში - პეტრე გელეიშვილი და შრომის უწყებაში გიორგი ერაძე; იუსტიციის მინისტრ შალვა მესხიშვილის ამხანაგად დასახელდა გრიგოლ გველესიანი; ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის გიორგი ჟურულის ამხანაგად კონსტანტინე კანდელაკი და გ. ნიკოლაძე; გზათა მინისტრ ივანე ლორთქიფანიძის ამხანაგად ი. მაღანია და პ. საბაშვილი; სამხედრო მინისტრის გრიგოლ გიორგაძის თანაშემწედ გენერალი ილია ოდიშელიძე (რომელიც იმავე დროს იყო საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდალი).

ცვლილება მალევე განხორციელდა გიორგი კვინიტაძესთან დაკავშირებით. 1918 წლის 25 ივნისის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის დადგინილებაში ვკითხულობთ, რომ გენერალი გიორგი კვინიტაძე განთავისუფლებულ იქნა სამხედრო მინისტრის ამხანაგისა და საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სარდლის თანამდებობიდან და დაინიშნა სამხედრო საბჭოს წევრად. სამხედრო მინისტრის ამხანაგის, გენერალ გიორგი კვინიტაძის, ნაცვლად დაადგინეს: „სამხედრო მინისტრის ამხანაგისა საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სარდლის თანამდებობის დროებით ასრულება დაევალოს გენერალურ შტაბის უფროსს გენერალ მაიორს ანდრონიკაშვილს” (სეცსსა, ფ. 1861, აღ. 3, საქმე 3:10).

ამ ცვლილებასთან დაკავშირებით ოთარ ჯანელიძე შემდეგ ინფორმაციას გვაძლევს: „სამხედრო მინისტრის მოადგილე და რესპუბლიკის ჯარის მთავარ-სარდალი გიორგი კვინიტაძე ჯერ გენერალ ილია ოდიშელიძით შეცვალეს, თუმცა ეს გადაწყვეტილება მეორე დღეს გაუქმდა და ორივე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გენერალი ანდრონიკაშვილი დაინიშნა. სამხედრო მინისტრის მოადგილეობა ნოე ჟორდანიას ვალიკო ჯუღელისათვის შეუთავაზებია, მაგრამ ამ უკანასკნელს უარი უთქვამს: „გვარდიასთან განშორება არ მინდაო“ (ჯანელიძე, 2015:73).

მოგვიანებით, 1918 წლის შემოდგომაზე, საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი აკაკი ჩხენკელის ნაცვლად მიიღო ევგენი გეგეჭკორმა (სოციალ-დემოკრატი). მთავრობის დადგენილებით იმავე წლის 22 ნოემბერს აკაკი ჩხენკელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა“ (ჯანელ-

იძე, 2015:73).

საქართველოს პარლამენტის 57-ე სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ, მთავრობის წევრის ამ ცვლილებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რადგან ერთი მინისტრი არის ბერლინში, ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით ორი უწყება ჩაგვებარებინა ერთი მინისტრისათვის - საგარეო სამინისტროს მართავა დაევალა შინაგან საქმეთა მინისტრს; „მე ვთხოვე ვეგენი გეგეჰკორს შემოსულიყო ეხლა, როგორც მინისტრი უპორტფელო და მიელო თავის თავზე საგარეო საქმეები. ის დამეთანხმა, და დღეს ჩვენ მთავრობაში ითვლება ვეგენი გეგეჰკორი, როგორც მინისტრი უპორტფელო და მმართველი საგარეო საქმეებისა... ჩვენ ვთვლით საჭიროთ, რომ თვით საგარეო მინისტრი იყოს აქ, მაგრამ ვინაიდან იქიდან, ბერლინიდან ჩხენკელის ჩამოსვლა არ შეიძლება, ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, - ჩხენკელი დავტოვოთ იქ, როგორც საგარეო მინისტრად და ელჩად, მხოლოდ გეგეჰკორი დავტოვოთ აქ, როგორც საგარეო მინისტრად და უპორტფელოთ, დროებით“ (საქ. პარლ. სხდომა 57, 1918:43-44).

საარქივო დოკუმენტიდან დასტურდება, რომ იყო შემთხვევა, როცა მთავრობის წევრი თავისი სურვილით, განცხადების საფუძველზე, ითხოვდა თანამდებობიდან გადადგომას. საქართველოს ეროვნული საბჭოს სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციის სხდომის ოქმიდან ვიგებთ, რომ 1918 წლის 20 ოქტომბერს ამ საკითხთან დაკავშირებით შეიკრიბა საგანგებო შეერთებული კრება „ფრაქციისა და მთავარი კომიტეტისა“. კრებას დაესწრნენ: ერასტი ტოროტაძე, ალექსანდრე წერეთელი, სამსონ დადიანი, შალვა მიქელაძე და სამსონ ფირცხალავა. მთავარი კომიტეტიდან - ქრისტეფორე რაჭველიშვილი, მთავრობიდან გიორგი ლასხიშვილი, ალ. მდივანი, გ. გველესიანი. კრებაზე განსახილველი საკითხი იყო: „გ. ლასხიშვილის განცხადება განთავისუფლებისა განათლების მინისტრის თანამდებობიდან“. დოკუმენტში გადადგომის მიზეზად დასახელებულია შემდეგი: „ვინაიდან ამდენი ხნის მუშაობის შედეგად იგი სრულიად დაიდალა, დაავადმყოფდა და არავითარი ფიზიკური საშუალება არა აქვს განაგრძოს სამინისტროში მუშაობა, მით უმეტეს, არსებულ პირობებში, როცა ყოველ წვრილმანისთვის დიდი ბრძოლაა საჭირო, როგორც პარლამენტში, ისე განათლების კომისიაში და მთავრობაში, ამას უნდა დაემატოს ფინანსური დიდი კრიზისი, როცა მთავრობა განათლების სამინისტროსთვის თითქმის არას იძლევა“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 45:66).

ამავე სხდომაზე გიორგი ლასხიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით მიიღეს შემდეგი დადგენილება: „ვთხოვთ დარჩეს თავის ადგილას, ხოლო თანამშრომელ თანაშემწეთა გამოძებნის საქმეში დაეხმაროს მათ ფრაქციის საგანგებო კომისია 3 კაცისაგან (გ. რცხილაძე, ოს. ბარათაშვილი, და სვ. მდივანი). ფრაქცია ადგენს: ცხოვრების გაძვირების გამო საბჭომ დაადგინოს- მინისტრებს მიცენ თვიურად 3000 მან. ამხან. 2500 შ“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 45:66).

„საგულისხმოა, რომ მთავრობამ, არსებული ვითარებისა და რესპუბლიკის შესაძლებლობების გათვალისწინებით, ოპტიმალურად განსაზღვრა მინისტრებისა და მათი მოადგილეების სახელფასო განაკვეთი. მინისტრებს თვეში 1500 მანეთი, ხოლო

მოადგილეებს 1350 მანეთი დაენიშნათ. პარალელურად, განისაზღვრა „წარმომადგენლობით ხარჯებიც: პრემიერსა და ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს ამ მიზნით წლიურად 15-15 ათასი მანეთი, ხოლო სამხედრო და საგარეო საქმეთა მინისტრებს – 10-10 ათასი მანეთი გამოეყოთ“ (ჯანელიძე, 2015: 36).

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოს რესპუბლიკას თავისი კონსტიტუცია არ გააჩნდა, სახელმწიფო მშენებლობის პროცესში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები თანდათანობით დებულობდნენ ისეთ იურიდიულ ნორმებს, რომლებითაც სახელმწიფოს ორგანოებს შორის ფუნქციების დანაწილება მკვიდრდებოდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აღმასრულებელი სტრუქტურების მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს და მათ მიერ მოქალაქის და სახელმწიფოს დემოკრატიული ურთიერთობების მოწესრიგებას. საქართველოს მთავრობა თავის ნებას უმორჩილებდა ხალხის ნებას, რომელიც პარლამენტის მიერ იყო განსაზღვრული (აბესაძე 1995:60-61).

კ. მიქელაძე იმდროინდელი საქართველოს კოალიციურ, გუნდურ პრინციპზე შექმნილ მთავრობას დადებითად აფასებს და ამახვილებს ყურადღებას შემდეგ მნიშვნელოვან არგუმენტზე: „მოელი მთავრობის შემადგენლობა აწარმოებს შინაგან და საგარეო პოლიტიკას, ეჭვს გარეშეა, რომ მთავრობის პოლიტიკური ნაბიჯები უნდა მომდინარეობდეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ ნაჩვენებ კალაპოტში“ (მიქელაძე, 1918:45).

დადებითად აფასებს ამ ფაქტს ალბერტ აბესაძე, როცა წერს: „ამ წესით დაკომპლექტებულმა საქართველოს მთავრობამ, რაც იურიდიულად 1921 წლის კონსტიტუციით გაფორმდა, ძირითადად გაამართლა თავისი დანიშნულება. მან უნარიანად მოკიდა ხელი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა იყო კაბინეტურ პრინციპზე აგებული საქართველოს უმაღლესი კოლეგიალური მმართველობის ორგანო, რომელსაც სათავეში ედგა ერთი წლის ვადით პარლამენტის არჩეული მთავრობის თავმჯდომარე. კონსტიტუციის 67-ე მუხლის მიხედვით, ერთი და იგივე პირი ამ პოსტზე ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული. მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავდა ერთი მოადგილე, რომელიც მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობებს ასრულებდა. მთავრობის დანარჩენ წევრებს მინისტრები წარმოადგენდნენ, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავდა მთავრობის თავმჯდომარე. თვითოეული მათგანი დამოუკიდებლად სწევებდა მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს და პარლამენტის წინაშე აგებდა პასუხს დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის. საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის დასახული კურსის წარმართვას მთავრობა ანხორციელებდა საკითხების კოლეგიური განხილვისა და გადაწყვეტის გზით“... (აბესაძე, 1995:61-62, ასევე კრებული, 1990:468-470).

კ. მიქელაძე პარლამენტარული წყობილების პირობებში პარლამენტისა და ხელისუფლების ურთიერთამოკიდებულების საკითხს შემდეგნაირად განმარტავს: “მთავრობის წევრები არჩეულნი პარლამენტის წევრთა შორის წარმოადგენენ ნამდვილ გარანტიას იმისას, რომ მთავრობის პოლიტიკას ექნება ერთსახეობა. პარლა-

მენტარული მთავრობა ინარჩუნებს ორგანიულ კავშირს თვით პარლამენტთან; ეს კი უზრუნველყოფს მთავრობის მოქმედებას სახელმწიფოებრივ ორგანოთა შორის უთანხმოებისაგან და წინააღმდეგობისაგან, რასაც შეიძლება ადგილი აქვს სახელმწიფოს სხვა გვარ ფორმით არსებობის პირობებში. პარლამენტარულ მთავრობის უპირატესობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მისი წევრთა მოღვაწეობა დამყარებული, არის სოლიდარულ პასუხისმგებლობის პრინციპზე” (მიქელაძე, 1918:45).

1918 წლის 22 ივნისს საკონსტიტუციო კომისიის მესამე კრებაზე, საკონსტიტუციო კომისიის წევრმა ნოე ჟორდანიამ პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება შემდეგნაირად განმარტა: „პარლამენტი იყოს მატარებელი საკანონმდებლო და იმავე დროს აღმასრულებელი ფუნქციებისა: მინისტრები დანიშნულები პარლამენტის მიერ, როგორც მოხელენი პასუხს აგებენ მხოლოდ კანონის წინაშე, გარდა მინისტრ-თავმჯდომარისა, საგარეო და საშინაოსი, - რომელნიც პოლიტიკურადაც პასუხისმგებელი არიან. პალატა თვითონ ნიშნავს მინისტრებს და არა ერთს ანდობს კაბინეტის შედგენას, ამით მოისპობა სამინისტროს კრიზისების შესაძლებლობა” (სეცესა, ფ.1836, აღ.1, საქმე 201:10).

1918 წლის პრესაში კი ვკითხულობთ: „პარლამენტი არა მარტო პოლიტიკური ტრიბუნაა, არამედ უზენაესი საკონტროლო და საკანონმდებლო დაწესებულებაა, სადაც პარლამენტარული წესწყობილებაა განხორციელებული, მთავრობა პასუხისმგებელია არა მარტო იურიდიულად. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი მინისტრი პასუხს აგებს, როგორც თავისი მოქმედების კანონიერებისა, ისე თავისი მოქმედების მიზანშეწონილებისათვის. პარლამენტი უნდობლობას უცხადებს ისეთ მინისტრს, რომელიც რაიმე დანაშაულს სჩადის” (საქართველო, 1918:161).

„საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში” მინისტრების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი შემდეგნაირად არის განმარტებული: კონსტიტუციაში უპირატესობა მიენიჭა მთავრობის წევრების ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. ამგვარი გადაწყვეტილების ძირითადი მოტივი, ერთი მხრივ, ის იყო, რომ მთავრობის მთლიანი გადაყენების შემთხვევაში პოლიტიკურ კრიზისებს არ მიეღო ხანგრძლივი ხასიათი და ქვეყანა არ დარჩენილიყო უმთავრობოდ... აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შემოღებით უზრუნველყოფილ იქნა მთავრობის დარჩენა ხელისუფლებაში, ვინაიდან ერთი მინისტრის ცუდ საქციელს არ უნდა გამოეწვია მთლიანად კაბინეტისთვის უნდობლობის გამოცხადება“ (გეგენავა, ..., 2014:50).

განხორციელდა თუ არა სახელისუფლებო შტოების უფლებათა გამიჯვნა 1921 წლის კონსტიტუციით? - ამ საკითხთან დაკავშირებით „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში” ვკითხულობთ: „ამ პერიოდში უფლებამოსილებათა გამიჯვნა არ ყოფილა მიღებული, ვინაიდან მთავრობის თავმჯდომარე ითავსებდა სახელმწიფოს მეთაურის გარკვეულ ფუნქციას, ხელისუფლების სისტემაში დომინირებდა პარლამენტი, მთავრობას ირჩევდა საკანონმდებლო ხელისუფლება და იგი სწორედ პარლამენტის წინაშე იყო პასუხისმგებელი... კანონმდებლობა ეკუთვნოდა პარლამენტს, ხოლო უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება - მთავრობას. მაგრამ პარლამენტი მაინც ინარჩუნებს დომინირებულ მდგომარეობას და ძალაუფლებაც

კონცენტრაციას მისი ხელისუფლებაში. მთავრობა პარლამენტს ემორჩილება და მისგან გამომდინარეობს” (გეგენავა...,2014:48-49).

კონსტიტუციის თანახმად, მინისტრის პოსტზე შეიძლება დანიშნულიყო საქართველოს ყოველი სრულუფლებიანი მოქალაქე, რომელსაც უფლება ჰქონდა პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა მიეღო. კონსტიტუციის 69-ე მუხლის საფუძველზე მთავრობის წევრს აეკრძალა სხვა თანამდებობის შეთავსება. გამონაკლისს წარმოადგენდა ის, რომ მთავრობის წევრი შეიძლება ასევე ყოფილიყო პარლამენტის წევრიც, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ხმოსანი.

კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი იყო როგორც მთავრობის თავმჯდომარე, ისე მისი თითოეული წევრი. კონსტიტუცია ავალებდა მთავრობის თავმჯდომარეს, დამორჩილებოდა პარლამენტის დადგენილებას და გაეტარებინა იგი ცხოვრებაში. ამისათვის მას უფლება ეძლეოდა, თუ ვითარება მოითხოვდა, პარლამენტის თანხმობის გარეშე შეეცვალა არა მარტო ცალკეული მინისტრი, არამედ გარდაექმნა მთელი კაბინეტი. კონსტიტუციის თანახმად, მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის თითოეული წევრი უნდა გადაამდგარიყო, როცა იგი პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაკარგავდა ამ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ნდობას. კონსტიტუციის დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხს აგებდნენ ჩვეულებრივი სასამართლოს წესით. ერთადერთი დამატებითი გარანტია, რომელიც ასეთ შემთხვევაში მათთვის იყო გათვალისწინებული, იმაში მდგომარეობდა, რომ მთავრობის წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მხოლოდ საქართველოს პარლამენტს შეეძლო, ხოლო მათი ასამართლებდნენ საერთო წესის მიხედვით (აბესაძე, 1995:62-63, ასევე კრებული, 1990:470-471).

ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში კანონიერებისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას ემსახურებოდა აგრეთვე მთავრობის, როგორც კოლექტიური ორგანოსა და მისი თავმჯდომარის კომპეტენციების გამიჯვნა, რაც ეფუძნებოდა მართვა-გამგეობის დემოკრატიულ პრინციპებს.

კონსტიტუციის 72-ე მუხლში მთავრობის „საერთო უფლება და მთავალეობა“ ასეა განსაზღვრული: ა) მთავრობას ჰქონდა უფლება კანონის დადგენილი წესით „რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა“; ბ) მთავრობას თვალყური უნდა ედევნებინა ქვეყანაში კონსტიტუციისა და სხვა კანონების აღსრულებისათვის; გ) მას უფლება ჰქონდა საკანონმდებლო ინიციატივისა წარედგენა პარლამენტის წინაშე თავისი კანონპროექტები, აგრეთვე იძლეოდა დასკვნას იმ კანონპროექტების შესახებ, რომლებიც პარლამენტისა ან ხალხის ინიციატივით იყო განსახილველად შესული; დ) მთავრობის მთავალეობა იყო რესპუბლიკის საგარეო ინტერესების დაცვა და ე) უზრუნველყოფა საქართველოს რესპუბლიკის გარეშე განსაცდელებისა და დაცვა მისი დამოუკიდებლობისა; ვ) ზრუნვა ქვეყნის შინაგანი წესრიგისა და უშიშროების დაცვისათვის.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ საჭიროება მოითხოვდა, მთავრობას უფლება ჰქონდა თავის დადგენილებით გამოეყვანა შეიარაღებული ძალა განსაზღვრული

ვადით - 21 დღით. მეტი დროის საჭიროების შემთხვევაში კი პარლამენტისაგან უნდა მიეღო ნებართვა (კრებული, 1990:469-470). მთავრობის ამ უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით 1918 წლის 7 აგვისტოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისია ჯარის დებულების განხილვისას შემდეგ მუხლს იღებს: „განსაკუთრებულ შემთხვევაში მთავრობას შეუძლია პარლამენტის დაუკითხავად გამოიწვიოს საჭირო რიცხვი ჯარისა წესიერების აღსადგენად არა უმეტეს სამასი კაცი. მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში აცნობებს პარლამენტს ამ ზომის დასადასტურებლად“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 46:10).

ხ) მთავრობას ფართო რწმუნებანი ენიჭებოდა ეკონომიკის მართვის სფეროშიც. სამინისტროებზე დაყრდნობით იგი განაგებდა ქვეყნის ფინანსებს, უშვებდა საკუთარი ფულის ნიშნებს და ყოველწლიურად უდგებდა პარლამენტს საქართველოს ბიუჯეტს დასამტკიცებლად (აბესაძე, 1995:63-64).

თ) მთავრობა ვალდებული იყო დროგამოშვებით ანგარიში ჩაეხარებინა პარლამენტისათვის თავის გაწეულ მუშაობასთან დაკავშირებით. წელიწადში ერთხელ მაინც უნდა წარედგინა მოხსენება საქართველოს შინაგანი და საგარეო მდგომარეობის შესახებ. პარლამენტის მოთხოვნის შემთხვევაში მთავრობას უნდა წარედგინა მოხსენება და

ი) შეესრულებინა ყველივე, რასაც მას კანონი და პარლამენტი ავალებდა (კრებული, 1990:470).

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ფუნქციებს დათმობილი ჰქონდა კონსტიტუციის 70-ე მუხლი. ძირითადად იგი მოიცავდა საგარეო ურთიერთობებისა და ქვეყნის შიგნით მმართველობითი სისტემების კონტროლის სფეროს.

იმის აუცილებლობამ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში სხვა სახელმწიფოთა წინაშე ქვეყანას თავისი წარმომადგენლობა ჰქონოდა, განაპირობა ის, რომ მთავრობის თავმჯდომარეს დაეკისრა რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის ფუნქცია. იგი ნიშნავდა ელჩებს სხვა სახელმწიფოებში. მასთან ხდებოდა აგრეთვე სხვა სახელმწიფოების ელჩების აკრედიტირება (აბესაძე, 1995:64).

რაც შეეხება მთავრობის თავმჯდომარის ფუნქციებს საშინაო მმართველობის სფეროში, იგი ძირითადად შემოიფარგლებოდა მმართველობის ამა თუ იმ დარგში რევიზიების ჩატარებით, რისთვისაც აქტიურად იყო გამოყენებული სახელმწიფო კონტროლიორის ინსტიტუტი. ასე მაგალითად, 1919 წლის 30 იანვარს კანონით მთავრობასა და მის თავმჯდომარეს უფლება მიეცა დაენიშნა საგანგებო რევიზია მმართველობის სხვადასხვა დარგის, ადგილების და თანამდებობის პირთა მოქმედების შესასწავლად“ (აბესაძე, 1995:64-65).

როგორც აღმასრულებელ-განმკარგულებელი ხელისუფლების მეთაურს, მთავრობის თავმჯდომარეს უფლება ჰქონდა გამოეცა ბრძანებები და განკარგულებები. აღნიშნული ადმინისტრაციული აქტების მიზანი იყო პარლამენტის მიერ მიღებული კანონებისა და სხვა დავალებების ცხოვრებაში გატარება და მათი შესრულების ორგანიზაციის ხელმძღვანელობა (აბესაძე, 1995:65).

ამავე 70-ე მუხლით მთავრობის თავმჯდომარის უფლება შემდეგნაირად კონკრეტდებოდა: „თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული უფლება იმის გარდა, რაც ამ კონსტიტუციით არის მისდა მიკუთვნებული“ (კრებული, 1990: 469).

რაც შეეხება რესპუბლიკის მეურნეობის ცალკეული დარგების მართვას, მას დარგობრივი და ფუნქციონალური მმართველობის სხვადასხვა ორგანო ასრულებდა. დარგობრივი სამინისტროებიდან ფუნქციონირებდნენ ფინანსთა, ვაჭრობა-მრეწველობის, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და ზოგიერთი სხვა სამინისტროები, რომლებიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში არსებული თავიანთი სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით ახორციელებდნენ მათთვის მინდობილი დარგების მმართველობას. ასე მაგალითად, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს დამტკიცებული დებულებით: „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის შესახებ“,- სამხედრო მინისტრი იყო თავისი უწყების ყოველი დარგის ხელმძღვანელი და თავისი მოქმედებით პირდაპირ ექვემდებარებოდა საქართველოს მთავრობას (აბესაძე, 1995: 65-66).

მინისტრს შეეძლო სათათბირო ხმის უფლებით დასწრებოდა პარლამენტისა და მისი კომისიების სხდომებს. თავის მხრივ, პარლამენტი და მისი ყველა ორგანო ვალდებული იყო საჭიროების შემთხვევაში მოესმინა მინისტრისათვის. პარლამენტის კენჭისყრაში მხოლოდ ის მინისტრი მონაწილეობდა, რომელიც ამავდროულად პარლამენტის დეპუტატიც იყო (აბესაძე, 1995:66).

როგორც აღინიშნა, მთავრობას უფლება ჰქონდა საკანონმდებლო ინიციატივისა, ანუ პარლამენტის წინაშე თავისი კანონპროექტების წარდგენისა, მაგრამ მისი დავალებით პარლამენტის კომისიებში კანონპროექტების შედგენა დაუშვებელი იყო. მაღხაზ მაცაბერიძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზე ი. ჩერქეზიშვილმა წარადგინა მთავრობის დავალებით შემუშავებული კანონპროექტი მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის შესახებ, მაგრამ კომისიამ უარი განაცხადა მის მიღებაზე შემდეგი მიზეზით: „კომისიას არ შეუძლიან მთავრობის დავალებით კანონპროექტები შეადგინოს,- კომისია ადგენს კანონპროექტებს მხოლოდ ეროვნული საბჭოს დავალებით და ჩვენებით“ (მაცაბერიძე, 2008:60-61).

„სხვა დარგობრივი სამინისტროებიდან მნიშვნელოვანი ფუნქციები ეკისრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. დამნაშავეობასთან ბრძოლის გარდა, აღნიშნულ სამინისტროს ევალებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ქვეყნის უშიშროებაზე ზრუნვა...“

1919 წლის 21 ნოემბერს ანარქიასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეცა უფლება აეკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი პარტიის არსებობა, რომელიც წარმოადგენდა უცხოეთის პარტიის ნაწილს და ემორჩილებოდა გარეშე სახელმწიფოებში მყოფი მთავარი პარტიულ ორგანოების ხელმძღვანელებს. სამინისტროს უფლება ეძლეოდა საქართველოს ტერიტორიული

ფარგლებიდან გაეძევებინა ან დაეპატიმრებინა 1 წლამდე ვადით ყველა ის პირი, რომელიც ზიანს მიაყენებდა საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს, ან სიტყვით, ან წერილობით შეეცდებოდა მისი მთლიანობის დარღვევას. საჭიროების შემთხვევაში კანონი ითვალისწინებდა ამ ვადის კიდევ ერთი წლით გაგრძელებას“ (აბესაძე, 1995:66-67).

ამრიგად, ჩვენი შეხედულებით, 1921 წლის კონსტიტუციაში მთავრობის წევრების უფლებამოსილებების მხრივ თვალშისაცემია შემდეგი მომენტი: „მთავრობის წევრს არ შეუძლია იმავე დროს რაიმე თანამდებობა ეჭიროს ან რაიმე პროფესიას მისდევდეს, მას შეუძლია მხოლოდ იყვეს პარლამენტის წევრი და თვითმმართველობის ხმოსანი“. აღნიშნული დანაწესი მთავრობის წევრს უფლებას აძლევდა ყოფილიყო პარლამენტის წევრი, რაც საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას ნიშნავს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ინსტიტუციური გამოიჯვინის პრინციპისთვის აუცილებელია, ხელისუფლების შტოს კონკრეტული ორგანო წარმოადგენდეს, რაც არსებითად, არა მარტო ორგანოს არსებობაში გამოიხატება, არამედ ორგანოს წევრების სხვადასხვაობას ნიშნავს. შესაბამისად წარმოგვიდგება მთავრობა, რომელიც ანგარიშვალდებულია იმ პარლამენტის წინაშე, რომლის წევრებიც ამავე მთავრობის წარმომადგენლები არიან.

თუმცა იმდროინდელი მოღვაწე კ. მიქელაძე პარლამენტარული მმართველობის პროცესში პარლამენტისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს დადებითად აფასებს და მიიხნევს, რომ მთავრობის წევრები, რომლებიც არიან არჩეულნი პარლამენტის წევრთა შორის, ქმნიან იმის გარანტიას, რომ ისინი ერთნაირი ინტერესებით იმოქმედებენ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. „პარლამენტარული მთავრობა“ ინარჩუნებს ორგანულ კავშირს თვით პარლამენტთან, ეს კი სახელმწიფო ორგანოთა შორის წინააღმდეგობას გამორიცხავს.

საერთაშორისო ვითარება თუ ქვეყნის შიდა მდგომარეობა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზების თვალსაზრისით გამოიხატა იმაში, თუ რა ფუნქციურ და უფლებრივ სტატუსს ფლობდა იგი. კ. მიქელაძის აღნიშვნა რომ გამოვიყენოთ: „საქართველომ მძიმე გარდამავალ ხანაში თავისი წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის საშუალებით შეძლო ეწარმოებია სწრაფი და საღი ეროვნული პოლიტიკა, რაც იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ნორმალურ პირობებში მისი პასუხისმგებელი მთავრობა შესძლებს უფრო მეტ ნაყოფიერ საქმიანობას საგარეო პოლიტიკაში...“ (მიქელაძე, 1918:45-46).

შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლება ორგანიზაციის თვალსაზრისით წარმოადგენდა პარლამენტის მიერ გაცემული მითითებების შემსრულებელ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის მიმართულებების მქონე ორგანოს. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს რაეღონ არსენიძის მოსაზრება - საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე, რომელიც „რესპუბლიკის ჯარის“ დებულების განხილვას ეძღვნებოდა, დაისვა საკითხი აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციების განსაზღვრის შესახებ: „თუ მთავრობა პასუხისმგებელი იქნება საბჭოს წინაშე, მაშინ მთავრობასვე უნდა ჰქონდეს ჯარის განკარგულების უფლება. საბჭო პასუხს ვერ მოსთხოვს მთავრო-

ბას,თუ უკანასკნელს თავის განკარგულებაში არა ჰყავს ჯარი“ (სეცსსა,ფ.1836,ად.1,საქმე 46:8). ამავე სხდომაზე მსჯელობისას,თუ რა უფლებები უნდა გადასცემოდა მთავრობას ჯართან მიმართების მხრივ,პასუხი იყო შემდეგი: „უნდა ვიცოდეთ,რომ ყველა უფლებები ეკუთვნის საბჭოს,პარლამენტს,იმის გარდა,რასაც თვითონ გადასცემს მთავრობას“ (სეცსსა,ფ.1836,ად.1,საქმე 46:8).

§3. უმაღლესი სასამართლო ხელისუფლების ორგანიზება

1917 წლის 19 ნოემბერს მოწვეულ საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის 20 ნოემბერის სხდომაზე ორგანიზაციული მუშაობის მიზნით ჩამოყალიბდა სხვადასხვა სამუშაო სექცია. იურიდიულ სექციას ხელმძღვანელობდა შალვა მესხიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე სასამართლო რეფორმის საჭიროების იდეა სწორედ ეროვნულ ყრილობაზე გაჩნდა. შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში, როცა უკვე არსებობდა ამიერკავკასიაში დროებითი ხელისუფლება „ამიერკავკასიის კომისარიატის“ სახით, საქართველოს ეროვნული ყრილობის იურიდიული სექცია ვერ შეიმუშაებდა საკანონმდებლო აქტებს, ამიტომაც ეს უკანასკნელი გამოთქვამდა მხოლოდ ზოგადი ხასიათის პრინციპულ მოსაზრებებს.

ეროვნული ყრილობის იურიდიული სექციის მუშაობის მთავარი მიზანი იყო, საქართველოში სასამართლო ნაწილის ნაციონალიზაციისა და სასამართლო წყობილების რეორგანიზაციის, ამასთანავე, „ამ საკითხთან დაკავშირებით უსაჭიროესი რეფორმების“ გატარება. საარქივო დოკუმენტში მოცემულ თემასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: “სექციამ განსაზღვრა საგანი თავისი მუშაობისა, ერთის მხრით, სასამართლოს ნაწილის ნაციონალიზაციით და მეორეს მხრით კი, არსებულ სასამართლო წყობილების რეორგანიზაციით, ზოგი ინსტიტუტის გაუქმებით და ზოგის ახლად შექმნით (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1 საქმე 149:2).

ამ მოსაზრების თანახმად, საქართველოს ეროვნული ყრილობის იურიდიულმა სექციამ საჭიროდ მიიჩნია შემდეგი დადგენილებების მიღება: „ა) დაუყოვნებლივ უნდა გაუქმებულ იქნას ინსტიტუტი სასოფლო სასამართლოსი და საერთოდ, საგანგებო საგლეხო კანონმდებლობა, ვითარცა ნაშთი ძველი წყობილებისა და მის წოდებრივ არსის გამოხატვისა; ბ) აგრეთვე გაუქმებულ უნდა იქნას სამიჯნო სასამართლოც და სამიჯნო საქმეთა წარმოება უნდა გადაეცეს საერთო სამოქალაქო სასამართლოს; გ) ინსტიტუტი მომრიგებელ მოსამართლეთა, რომელთაც ირჩევს ქალაქისა და ერობის თვითმმართველობა, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა ხსენებულ ინსტიტუტისათვის იქნება მეორე ინსტანციით; დ) საოლქო სასამართლოსი და სასამართლო პალატის წყობილება უნდა შეიცვალოს ამ სახით: საოლქო სასამართლო ქვემდებარე საქმეების პირველ ინსტანციად უნდა დარჩეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებისათვის უნდა დაწესებულ იქნას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი; სასამართლოს პალატა უნდა აირჩეს სააპელაციო ინსტანციით საოლქო სასამართლოში განხილულ სამოქალაქო საქმეებისთვის; ე) ყველა ხარისხის სასამართლოებისათვის უნდა დაწესებულ იქნას საქართველოში ერთი საკასაციო ინსტანცია—სენატი, ანუ საკასაციო სასამართლო; ვ) უნდა გადასინჯულ იქნას დებულებანი ნაფიც ვეჟილთა წოდებრივ ორგანიზაციისა და კერძო ვეჟილთა ინსტიტუტის შესახებ; ზ) უნდა გაუქმებულ იქნას არსებული თანამდებობა მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწის ფუნქციებით და დაწესებულ იქნას დამოუკიდებელ გამომძიებელთა ინსტიტუტი; თ) საქართველოს ტერიტორიაზე სასამართლო ყველა ინსტანციაში უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე, მაგრამ ეროვნულ უმცირესობათა

ცნების უფლება დაცულ უნდა იქნას საგანგებო კანონით; ი) ვიდრე შეიქმნებოდეს ახალი კანონები, მოსამართლე უნდა სარგებლობდეს აწ არსებული კანონით“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1 საქმე 149:2).

ეროვნული ყრილობის იურიდიული სექციის მიერ მიღებული სასამართლო ნაწილის ეს დადგენილებები აუცილებელი პირობა იყო ერის ცხოვრების ახალ საფუძველზე ჩამოსაყალიბებლად. იურიდიული სექცია საჭიროდ მიიჩნევდა, რომ აქ წარმოდგენილი ყოველი დადგენილება ეროვნულ საბჭოს უნდა განეხორციელებინა ამიერკავკასიის კომისარიატთან შეთანხმებით.

სახელმწიფოს წინსვლა და კეთილდღეობა დამოკიდებული იყო უპირველესად მართლსაჯულების მოწყობაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა იუსტიციის სამინისტრო შალვა ალექსი-მესხიშვილის ხელმძღვანელობით. საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-3 სხდომაზე აირჩიეს იურიდიული კომისია 9 კაცის შემადგენლობით. ეროვნული საბჭოს 1918 წლის 27 ივლისის მონაცემით, ამავე საბჭოს იურიდიული კომისიის წევრები გახდნენ: გიორგი ანჯაფარიძე, რაჟდენ არსენიძე, კირილე ნინიძე, გრიგოლ რცხილაძე, რაფიელ ივანიცკი, მელიტონ რუსია, ივანე გობეჩია, იესე ბარათაშვილი, იოსებ მაჭავარიანი (სეცსსა, ფ.1836, აღ. 1, საქმე 127:34).

ჩვენს კანონმდებლებს კარგად ესმოდათ, რომ სასამართლო რეფორმის განხორციელებისათვის საჭირო იყო საკანონმდებლო აქტების შექმნა. იმ დროს მოღვაწე ქართული სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მცოდნე პირი კ. მიქელაძე, რომელიც მონაწილეობას იღებდა ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში სასამართლო რეფორმის საჭიროების შესახებ აღნიშნავს: „არც ერთი მხარე სახელმწიფო ცხოვრებისა არ საჭიროებს ისეთ განახლებას და გადაკეთებას, როგორც თხოულობს დემოკრატიის პრინციპზე აღმოცენებული მართლმსაჯულება და სასამართლოს წარმოება“ (მიქელაძე, 1918:58).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება 1918 წლის 20 სექტემბერის გადაწყვეტილების საფუძველზე დროებით საგანგებო სასამართლოს შემოღებით დაიწყო. ხოლო 1919 წლის 29 ივლისის კანონით, როგორც უმაღლესი სასამართლო ინსტანცია, დაფუძნდა უზენაესი სასამართლო – სენატი (ჯავახიშვილი, 2013:123).

საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 სექტემბერს მიღებულ იქნა „დებულება რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოსი“. დებულება ვრცელდებოდა შემდეგ ტერიტორიაზე: თბილისის გუბერნიის, ზაქათალის ოლქის, ქუთაისის გუბერნიისათვის და „სოხუმის ოლქისა და ომით დაჭერილი ადგილებისათვის (იმ საქმეთა განსახილველად, რომელიც განისჯება 1918 წ. ივლისის 5-ს კანონით, დაარსდეს რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლო ქვემოთ აღნიშნულ საფუძველით“ (კრებული, 1990: 67).

დასახელებული დებულების პირველ ნაწილში ვკითხულობთ, რომ რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი ამხანაგისა

და 5 წევრისაგან. სასამართლოსთან არის ბრალმდებელი და მისი ამხანაგი. აქვე აღნიშნულია, რომ დროებით საგანგებო სასამართლოს მდივნისა და კანცელარიის მოვალეობას შეასრულებენ ოლქის სასამართლოს მდივანი და მოხელენი. დასახელებულ თანამდებობის პირებს ნიშნავდა საქართველოს მთავრობა. სასამართლოს თავმჯდომარე და მისი ამხანაგი უნდა ყოფილიყვნენ უმაღლესი იურიდიული განათლებით.

საქმის განსახილველად სასამართლოს სხდომა შედგება თავმჯდომარისა და მისი ამხანაგისა, ბრალმდებელის ან მისი ამხანაგისა, სასამართლოს ორი წევრისა და მდივნისა ან მისი თანაშემწისაგან. საქმის განხილვა საჯარო იყო. ყოველ საკითხს სასამართლო გადაწყვეტდა ხმათა უმეტესობით.

რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს გადაწყვეტილების გასახივრება შეიძლებოდა მხოლოდ საკასაციო წესით. საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს დაარსებამდე საკასაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოს პალატაში, რომელიც ვალდებულია გაარჩიოს საქმე პალატაში მისი შესვლიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა. ამავე ნაწილში განმარტებულია, რომ სიკვდილის დასჯა უნდა განხორციელებულიყო სამხედრო სასამართლოს საქმის წარმოების წესდების მიხედვით (კრებული, 1990:67-69).

კრებულის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ ამ კანონის მიღების დღიდან უნდა გაუქმებულიყო რევოლუციური ტრიბუნალები და მათ წარმოებაში მყოფი საქმეები უნდა გადასცემოდა შესაბამის სასამართლოებს.

ამ დებულებას უფლებამოსილება ეძლეოდა მთავრობის ორგანოს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებისთანავე. იქვე მითითებულია, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების დღიდან დებულება საგანგებო სასამართლოს შესახებ უნდა გაუქმებულიყო (კრებული, 1990:71).

ჩვენ მიერ მოკვლეულ ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში, 1918 წლის 26 სექტემბრის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ჟურნალში, საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების დანიშვნის შესახებ ვეცნობით შემდეგ დადგენილებას: „დაინიშნოს საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე ნაფიცი ვეჩილი ივ. ჯაფარიძე, მის ამხანაგად თბილისის საოლქო სასამართლოს წევრი კარასიოვი, ბრალმდებლად – იმავე საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი ვასილინი და ამხანაგად მეღხისედეკ კანდელაკი“ (სეცსსა, ფ.1835, აღ.1, საქმე 34:32).

1918 წლის 28 სექტემბერს კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრმა, შალვა ალექსი-მესხიშვილმა, დაასახელა საგანგებო სასამართლოს წევრებად: სილიბისტრო ჯიბლაძე, ზაქარია ჩიჩუა, ილია ბადრიძე, დავით ტატიშვილი და ქრისტეფორე რაჭველიშვილი (სეცსსა, ფ.1835, აღ.1, საქმე 34:35).

იუსტიციის მინისტრმა შალვა ალექსი-მესხიშვილმა 1918 წლის 21 ნოემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე ქუთაისის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარედ დაასახელა იოსებ სიდავა, რომელიც იყო

ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი. სხვა თანამდებობები განაწილდა ასე:

ა) ქუთაისის სასამართლოს წევრს, მაჭავარიანს, დაევალა ქუთაისის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგის მოვალეობა, ნიკურაძე, სანებლიძე, ფანცხავა და კაპანაძე დასახელდნენ წევრებად. ბრალმდებლის ამხანაგს - ვიქტორ მათვეევს დროებით დაევალა თავმჯდომარის ამხანაგის ბრალმდებლის მოვალეობა. ბრალმდებლის ამხანაგად ასევე დასახელდა გედეონ გაბუნია;

ბ) დაინიშნოს იმავე საგანგებო სასამართლოს წევრებათ იაკობ სპირიდონის ძე ფანცხავა და შალვა იოსების ძე სანებლიძე და ბრალმდებლის ამხანაგად – გედეონ გაბუნია;

გ) თანახმად მთავრობის 14 ნოემბრის დადგენილებისა, იმავე საგანგებო სასამართლოს წევრებად დაინიშნონ კიდევ: ყოფილი სამტრედიის რევოლუციონურ ტრიბუნალის თავმჯდომარე მიტროფანე ჯანელიძე და წევრები – ევგენი ძიძიგური და ბესარიონ ფარცვანია, ბრალმდებელი პეტრე წულაია. ამ უკანასკნელთა სხვათა შორის დაევალება ქუთაისის საგანგებო სასამართლოს სესიის სახით გაარჩიონ სამტრედიის რაიონის საქმეები” (სეცსსა, ფ.1835, აღ.1, საქმე 34:235).

საქართველოს ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიშიდან ვკითხულობთ, რომ ეროვნული საბჭოს მე-40 სხდომაზე განიხილებოდა კანონპროექტი მოძრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის შესახებ. კანონპროექტის შესახებ მომხსენებელი ეროვნული საბჭოს იურიდიული კომისიის წევრი რაფიელ ივანიცკი იყო. ემომხსენებელმა აღნიშნა, რომ: „კანონპროექტი, რომელიც წარმოადგინა იურიდიულმა კომისიამ, დაფუძნებულია 1912 წლის 15 თიბათვის რუსეთში გამოცემულ ნოველლაზე. ეს კანონი საფუძველია ჩვენ მიერ შემოტანილ კანონ-პროექტისა. ჩვენ ეს კანონი მივიღეთ იმ ცვლილებებითა და დამატებით, რაიც გამოწვეულია ჩვენი სახელმწიფოს კონსტიტუციიდან, თუმცა იგი ჯერ დაუწერელია, თუ გნებავთ, ქართველი ხალხის მისწრაფებიდან...ოთხი ძირითადი ცვლილება შეიტანა სამინისტრომ და იურიდიულმა კომისიამ კანონში. ძირველი ის არის, რომ ჩვენ კანონში სრულიად მოსპობილია ცენზი, რომელსაც მოითხოვდა რუსეთის კანონი. შემდეგ ამისა ჩვენ ვანიჭებთ პასიურ უფლებას ქალებს, მოსამართლეთ შეიძლება არჩეულ იქმნეს დედაკაციც. მაშასადამე, საქართველოს მოქალაქენი შეიძლება არჩეულნი იყვნენ მსაჯულებად. სავალდებულო ოფიციალურ ენათ აღიარებულია ქართული ენა. და უკანასკნელი ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ ჩვენი კანონით სასოფლო სასამართლო “волосной судь” სრულიად გაუქმებულია (ერ.საბჭო, სხდომა 40, 1918:15-16)

მოძიებული მასალიდან ზუსტად იკვეთება, როგორ მიმდინარეობს სასამართლოს ნაწილის ნაციონალიზაცია დემოკრატიულ საწყისებზე. აღნიშნული პროცესი თავის თავში მოისაზრებს მეფის ხელისუფლების სასამართლო გადმონაშთის და კონკრეტულად „1912 წლის 15 თიბათვის რუსეთში გამოცემულ ნოველლაზე“-ის იმგვარ რეფორმას, მორგებას, ახლად შექნილ რესპუბლიკაზე როგორსაც მოითხოვდა იმდროინდელი პოლიტიკური იდეოლოგია „ხალხის მისწრაფებიდან...“ გამომდინარე. რამეთუ ზემოთ მოყვანილ დოკუმენტში ხაზგასმული „ოთხი ძირითადი

ცვლილება“ სწორედ ის მთავარი ნიშანია, რომელიც, საბოლოო ჯამში, შედეგობრივად არსებით განსხვავებას გვაძლევს სასამართლო სისტემის მოწყობის თვასაზრის-ით. კონკრეტულად საუბარია დემოკრატიულ პრინციპებზე გადასვლის საკითხ-ზე. მაგალითად, ეროვნული ყრილობის დებულებით რომ განვმარტოთ, რომელიც სასოფლო სასამართლო “ВОЛОСНОЙ СУДЬ” გაუქმებას ეხება: „დაუყოვნებლივ უნდა გაუქმებულ იქნას ინსტიტუტი სასოფლო სასამართლოსი ვითარცა ნაშთი ძველი წყობილებისა და მისი წოდებრივი არსის გამოხატვისა“.

სასამართლოში ცვლილებების გატარებას სხვა მეთოდებითაც ცდილობდნენ, მაგალითად, ძველი შტატების შემცირებით, რის საჭიროებას და მნიშვნელობასაც რაფიელ ივანცკი შემდეგნაირად განმარტავს:

„შემადგენლობა სასამართლოსი და ყველა იმ ორგანიზაციებისა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას შერჩა ხელში თავისუფლების გა-მოცხადების შემდეგ, სრულიად არ შეეფერებოდა ჩვენს მდგომარეობას, ჩვენ პოლი-ტიკურ ინტერესებს და მისწრაფებებს. ჩვენ შეგვჩნა აუარებელი ხალხი ძველი ბი-უროკრატიისა, რომელნიც, ერთის მხრივ, სრულიად ვერ შეეგუებინან დემოკრატიულ რესპუბლიკის წესწყობილებას და მეორე მხრივ, რომელთა ეროვნული და პოლიტი-კური გრძნობა სწორედ სასამართლოში არამც თუ სათანადო სიმაღლეზე არ იდგა, არამედ ეს სასამართლოს ორგანიზაციები დიდი საბოტაჟსაც უცხადებდნენ ჩვენს ახალსა და ნორჩ სახელმწიფოს. ამისთანა ძნელსა და რთულ პირობებში მოუხ-და მუშაობა იუსტიციის სამინისტროს... ყველა ის ცენტრალური დაწესებულებანი, რომელნიც იყვნენ მთელ ამიერკავკასიაში და ხშირად ჩრდილოეთ კავკასიაში ეს დაწესებულებანი უკვე მოსპობილი არიან იმ ნაწილში, რომელნიც ჩვენთვის ზედმე-ტი იყო. მოხდა მათი ლიკვიდაცია, და შტატების შემცირება (ერ.საბჭო, სხდომა 40, 1918:16-17)

როგორც ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ჩანს, ეროვნუ-ლი საბჭო იუსტიციის სამინისტროსთან ერთად თანდათან ხვეწდა სასამართ-ლოს სისტემას, გარდაქმნიდა მას შესაფერი კანონპროექტებით: კანონპროექტი მომ-რიგებელ მოსამართლეს შესახებ, კანონპროექტი გამომძიებელ ნაწილის შესახებ და კანონპროექტი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ.

მთელს სასამართლოს სისტემას საძირკვლად ჩაეყარა კანონი „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის კანონპროექტისა“. საქართველოს ეროვნული საბჭო-სა და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 24 სექტემბრის კანონი „მომრიგებ-ელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა“ ორი თავისაგან შედგება: 1. საზოგადო წესი და 2. წესი მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნებისა და დანიშვნისა.

კანონში მითითებულია, რომ: „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შე-მოდებულ იქნას 1912 წლის 15 ივნისის კანონი ადგილობრივ სასამართლოს გარ-დაქმნისა და შემდეგის დამატებით და ცვლილებით“ (კრებული, 1990:71).

კანონში ვკითხულობთ, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობა უნდა დაწესდეს როგორც ქალაქებში, ისე მაზრებში (ოლქებში). საჭიროების მიხედვით შეიძლება რამდენიმე მოსახლურე მაზრა შეერთებულიყო ერთ სამომრიგებლო

ოლქად. ქალაქი თბილისი ცალკე სამომრიგებლო ოლქს შეადგენდა. სამომრიგებლო უბანს განაგებდა უბნის მოსამართლე. სამომრიგებლო ოლქის მუშაობას წარმართავდა მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, რომელიც უმაღლეს სამომრიგებლო ინსტანციას წარმოადგენდა. შემომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა შედგებოდა თავმჯდომარისა და სამომრიგებლო ოლქის საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთაგან. შემომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას სამი წლის ვადით ამოირჩევენ (კრებული, 1990:72-73).

რაც შეეხება კანონის მეორე თავს - „წესი მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნებისა და დანიშვნისა“ – აღნიშნულია, რომ საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებს აირჩევს: თბილისში - ქალაქის საბჭო; დანარჩენ სამომრიგებლო ოლქებში - მაზრის (ოლქის) საერო კრება; ერობის შემოღებამდე მომრიგებელ მოსამართლეს ნიშნავდა იუსტიციის მინისტრი; ერობის შემოღების შემდეგ ამ პირთა უფლება გაუქმებულად ჩაითვლებოდა იმ დღიდან, როცა არჩეული მოსამართლენი ასრულებას შეუდგებოდნენ.

საუბნო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ორივე სქესის იმ მოქალაქეებისაგან, ვისაც ოცახუთი წელი აქვს შესრულებული, ვისაც უმაღლესი ან საშუალო განათლება აქვს მიღებული, ვინც, გარდა ქართული ენისა, იცის ის ენა, რომელზეც სამომრიგებლო უბნის უმრავლესობა ან მნიშვნელოვანი უმცირესობა (არა-ნაკლებ 20%-სა) ლაპარაკობს.

მნიშვნელოვანია კანონის მე-16 მუხლი, რომელიც სასამართლოში ქართულ ენაზე საქმის წარმოებას გულისხმობს. კანონის ეს მუხლი გვეუბნება: „როგორც საუბნო მომრიგებელ მოსამართლესთან, ისე მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე საქმე ქართულად სწარმოებდეს“ (კრებული, 1990:75).

ეროვნული უმცირესობების ინტერესების დაცვას გამოხატავს კანონის მე-18 მუხლი, რომელშიც აღნიშნულია: „იმ ოლქში, ან უბანში, სადაც არაქართველი ერის ნაწილი რესპუბლიკის მოქალაქეთა მნიშვნელოვან უმცირესობას (20%-ზე არა ნაკლებს) შეადგენს, ყოველგვარი ქაღალდის შეტანა მომრიგებელ სასამართლოში და სიტყვიერი განმარტების მიცემა შეიძლება უმცირესობის ენაზე“ (კრებული, 1990: 75).

ამ ორი მუხლით (მე-16 და მე-17) კანონში დაცული იყო როგორც სახელმწიფოებრივი, ისე უმცირესობათა ინტერესები: სახელმწიფოს ინტერესებს გამოხატავდა ის, რომ სახელმწიფო ენად ცნობილი იქნა ქართული ენა – სასამართლო საქმის წარმოება ქართულ ენაზე ხდებოდა; უმცირესობებს კი საშუალება ჰქონდათ თავიანთი აზრი გამოეხატათ არა მარტო ზეპირად, არამედ წერილობით.

მოსამართლეთა ინსტიტუტის შესაქმნელად რესპუბლიკის მასშტაბით ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 24 სექტემბერს მიღებული კანონი, - „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა“, აწესებდა შესაბამის შტატებს, რომელთა ხარჯთაღრიცხვა 1. 972,200 მანეთით იყო განსაზღვრული (კრებული, 1990:80).

მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შტატები და მათი ანაზღაურება საქართველოს დემოკრატიული აქტების კრებულში ასეთი სახით არის მოცემული:

1. მომრიგებელ ყრილობათა თავმჯდომარე, რიცხვით 11, თვითოეულს თვეში-750 მან.
2. უბნის მომრიგებელი მოსამართლენი ქალაქებში: თბილისში 22, ქუთაისში 5, ფოთსა და სოხუმში ორ-ორი, სულ- 31, თვითოეულს თვეში-700 მან.
3. უბნის მომრიგებელი მოსამართლენი მაზრებში და სოფლებში რიცხვით 89, თვითოეულს თვეში-650 მან.
4. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის მდივანი, რიცხვით-11, თვითოეულს თვეში-500 მან.
5. მათი თანაშემწენი, რიცხვით-12, თვითოეულს თვეში-400 მან.
6. თარჯიმანები, რიცხვით-12, თვითოეულს-375 მან.
7. ბოქაულები, რიცხვით-11, თვითოეულს-500 მან.
8. მომრიგებელ სასამართ. მდივანი, რიცხვით-120, თვითოეულს-400 მან.
9. თარჯიმანები, რიცხვით-120, თვითოეულს 350 მან.
10. ბოქაულები ქალაქებში: თბილისში 22, ქუთაისში 5, ფოთში 2 და სოხუმში 1, რიცხვით 30, თვითოეულს-500 მან.
11. ბოქაულები დანარჩენ ადგილებში, რიცხვით 89, თვითოეულს 450-მან (კრებუ-ლი, 1990: 78).

„მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის“ კანონის გაგრძელებას წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ 1919 წლის 30 იანვარს მიღებული დროებითი კანონი - „მომრიგებელ სამოსამართლო დაწესებულებათა ქვემდებარების გაფართოებისა“. იგი კონკრეტულად განსაზღვრავდა: 1) ამა თუ იმ დამნაშავეს სასჯელის ვადებს, 2) თუ რა ექვემდებარებოდა სამოქალაქო საქმეთა წარმოებასა და მომრიგებელ მოსამართლეებს, მიუთითებდა მათ ფუნქციებზე (საქ. პარლამენტი, სხდომა 63, 1918:45).

ჩვენ მიერ მოკვლეული იქნა საარქივო დოკუმენტი: „დროებითი კანონი მომრიგებელ სასამართლოს დაწესებულებათა ქვემდებარების გაფართოებისა“, რომელიც მიღებულია საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ. მასში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ:

1. იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი დროებით კანონისა მიღებულ იქნას იმ ცვლილებით, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა კომპეტენცია კიდევ უფრო გაფართოვდეს შემდეგნაირად:

ა) მომრიგებელი მოსამართლეები არჩევენ ყველა სამოქალაქო საქმეებს, როცა საჩივრის ფასი არ აღემატება ათი ათას მანეთს და

ბ) სისხლის სამართლის საქმეებს, ადრულს ქურდობისა, მატყუარობისა (მოშენიხესტვო), მითვისებისა და გაფლანგვის გამოს, როცა ნაქურდალის მატყუარობით მიღებულის, მითვისებულ და გაფლანგვით სხვისი ქონების ღირებულების არ აღემატება სამი ათას მან.

გ) მიენიჭოს მომრიგებელ მოსამართლეებს უფლება სისხლის სამართლის ყველა იმ საქმეებზე, რომელთა გარჩევა მათ ეკუთვნით, გაუდიდონ დამნაშავეთ კანონში აღნიშნული სასჯელი, - სატუსალოში დაპატიმრება ორ წლამდე.

2. პროექტი დაუბრუნდეს იუსტიციის მინისტრს შესასწორებლად ამ ცვლილებათა მიხედვით და

3. შემდგომ ასე შემუშავებული წარედგინოს ეროვნულ საბჭოს (სეცსსა, ფ. 1835, აღ.1, საქმე 34: 46).

სასამართლო რეფორმირებისას კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო გამომძიებლის, როგორც ინსტიტუტის, ცალკე გამოყოფა. გამომდინარე იქიდან, რომ რეალურად გამომძიებლის მოვალეობას კისრულობდნენ მომრიგებელი მოსამართლე და მისი თანაშემწე, რომლებიც, თავის მხრივ, პროკურორზე იყვნენ დამოკიდებული, საქმის წარმოებისას აშკარა იყო ინტერესთა კონფლიქტი.

1918 წლის 6 ოქტომბერს, ეროვნული საბჭოს 36-ე სხდომაზე, იურიდიული კომისიის წევრი რევაზ არსენიძე აღნიშნავს: რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ეროვნულ საბჭოში, იურიდიულ კომისიაში, განიხილებოდა „საგამომძიებლო ნაწილის შეცვლის კანონპროექტი“, მაგრამ შეჩერდა საფინანსო კომისიაში მისი შეუთავსებლობის გამო. რევაზ არსენიძემ იმავე სხდომაზე დააყენა საკითხი გამომძიებელთა ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობისა შემდეგ არგუმენტზე დაყრდნობით: „ჩვენში გამომძიებელი არ გვყავდა, ვინაიდან არ შეიძლება ვუწოდოთ გამომძიებლის სახელი იმათ, ვინც იქამდინ იყვნენ ამ თანამდებობაზე, ესენი იყვნენ მხოლოდ მოხელეები, ჩვენში გამომძიებლობის მაგივრად მის მოვალეობას კისრულობდნენ მომრიგებელი მოსამართლე და თანაშემწე... ეს თანაშემწე არის უბრალო მოხელე დამოკიდებული პროკურორზე და სხვა ადმინისტრაციულ პირებზე და ამიტომ იძულებულია მათ კარნახს დაუქვემდებაროს თავისი მუშაობა, მაშინ, როდესაც მთელი ძარღვი და არსებითი მნიშვნელობა სასამართლოსი არის გამოძიება, გამოძიება უნდა იყოს სწორე მოქალაქეობრივ ნიადაგზე დამყარებული, გამომძიებელს ვერ უნდა დაატანოს ძალა ვერც ადმინისტრაციამ, ვერც მთავრობამ, ვერც ამა თუ იმ პირმა, მაღალმა თუ დაბალმა. ეს კი შეიძლება მაშინ, როცა გამომძიებელი დამოუკიდებელია და ამას ხელს ვერავინ წამოჰკრავს და ვერც გადააყენებს“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1918: 6 ოქტომბერი).

რევაზ არსენიძის მიერ წარმოდგენილი „საგამომძიებლო ნაწილის შეცვლის კანონპროექტი“ შემდეგი მუხლებისგან შედგება:

1. თანამდებობა მომრიგებელ მოსამართლეების თანაშემწეებისა, რომელნიც საქართველოში საგამომძიებლო უბნებს განაგებენ, - გაუქმებულია. ის პირნი, რომელთაც აქამდე ეს თანამდებობა ჰქონდათ, თუ ახალს თანამდებობაზე არ იქნენ დანიშნულნი, რჩებიან შტატს გარეშე, საერთო წესის მიხედვით.

2. სისხლის საქმეთა წინასწარ გამოძიების საწარმოებლად არსდება თანამდებობა სასამართლოს გამომძიებლისა იმ საფუძველთა დაცვით, რომელიც აღნიშნულია სასამართლოს დაწესებულებათა დებულებაში.

3. სასამართლო გამომძიებელთა რიცხვი აღნიშნულია ამასთანავე დართულ ცალკე ნუსხით.

4. დანიშნა საგამომძიებლო უბნების საზღვრებისა აგრეთვე თვით სასამართლოს საზოგადო კრებას, რომელიც დადგენილება ეგზავნება დასამტკიცებლად იუს-

ტიციის მინისტრს.

5. ოლქის სასამართლოსთან არსებული თანამდებობა - საგანგებო საქმეთა გამომძიებლისა რჩება თბილისში 2 გამომძიებელი, ქუთაისსა და სოხუმში – თითო.

6. სასამართლოს გამომძიებელთან ინიშნება საქმის მწარმოებელი იგივე თარჯიმანი და გზირი, ამათი რიცხვი ცალკე ნუსხაშია განსაზღვრული.

7. თარჯიმანი თავისი სამსახურის მდგომარეობით სასამართლოს მდივნის თანაშემწის სწორება.

8. საგამომძიებლო ნაწილის ხარჯისათვის იუსტიციის სამინისტროს გაეხსნას კრედიტი 414. 000 მანეთი.

9. საერობო და ქალაქის თვითმმართველობებს უფლება ეძლევათ ადგილობრივ პირობათა მიხედვით მიემატოს იმ თანხას, რომელიც დანიშნული აქვს სასამართლოს გამომძიებელს გზის ხარჯად და ბინის დასაქირავებლად (საქართველოს რესპუბლიკა, 1918: 6 ოქტომბერი).

ჩვენ მიერ მოკვლეულ საარქივო დოკუმენტში ვეცნობით კანონპროექტს „ტფილისის სასამართლო პალატასთან უდიდეს საქმეთა გამომძიებლის თანამდებობის დაარსების შესახებ“. კანონპროექტის განმარტებაში ვკითხულობთ, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულ კანონში დაწესებულია საგანგებო საქმეთა გამომძიებლის ოთხი თანამდებობა: ორი თბილისის ოლქის სასამართლოსთან და თითო – ქუთაისის და სოხუმის ოლქის სასამართლოებთან. ხსენებული კანონით არ არის გათვალისწინებული თანამდებობა უდიდეს საქმეთა გამომძიებლისა, რომელსაც დაევალება უფრო მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიება მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე. კანონპროექტის განმარტებისას, იუსტიციის მინისტრი შალვა ალექსი-მესხიშვილი მიუთითებს, რომ ამ „თანამდებობის დაარსება ფრიად საჭიროა, ოთხი საგანგებო საქმეთა გამომძიებელი საქართველოს მთელს ტერიტორიას ვერ უძღვება... ვთხოვ პარლამენტს დააკანონოს ხსენებული თანამდებობა ამასთან წარმოდგენილი კანონპროექტის მიღებით.

ჟუდიდეს საქმეთა გამომძიებლის თანამდებობა უნდა გაუთანასწორდეს, სამინისტროს აზრით, საგანგებო საქმეთა გამომძიებელთა მდგომარეობას.

ჟუდიდეს საქმეთა გამომძიებლის თანამდებობა შემოღებულ უნდა იქნას 1918 წლის სექტემბრის 10-დან, ესე იგი დღიდან ეროვნულ საბჭოს მიერ სასამართლოს გამომძიებელთა ინსტიტუტის გარდაქმნის კანონის მიღებისა (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1. საქმე 429:34).

იუსტიციის მინისტრის შალვა ალექსი-მესხიშვილის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი დოკუმენტში შემდეგი მუხლებისგან შედგება: „1. დაარსდეს 1918 წ. სექტემბრის 10-დან ტფილისის სასამართლო პალატასთან თანამდებობა უდიდეს საქმეთა გამომძიებლისა. 2. დამტკიცდეს ამასთან დართული შტატი უდიდეს საქმეთა გამომძიებლის და მისის კანცელარიისა. 3. გაეხსნას იუსტიციის მინისტრს ხსენებული შტატის შესანახად 1918 წ. სექტემბრის 10-დან 1919 წ. იანვრის 1-ლს 5667 მან. 21 კაპ. კრედიტი“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1. საქმე 429:34).

1919 წლის 17 იანვარს საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს

მთავრობის მიერ მიღებული იქნა „დებულება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსი“. დებულებაში მითითებულია, რომ ნაფიცი მსაჯული შეიძლება ამორჩეული ყოვილიყო ორივე სქესის, 25 წლის და მასზე უფროსი, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც ეცოდინებოდა ქართული ენა და წერა-კითხვა რომელიმე სხვა ენაზე. ასევე ისინი, ვისაც ერთ წელიწადზე არა ნაკლები ჰქონდა ნაცხოვრები იმ მაზრასა და ქალაქში, სადაც იმართებოდა არჩევნები.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესისათვის დადგენილი იყო ის გარემოებები, რომელთა ობიექტური არსებობის შემთხვევაში პირი ნაფიც მსაჯულად არ შეირჩეოდა. ვისაც სხვადასხვა გარემოებით დანაშაული ჰქონდა ჩადენილი და სასამართლოს დადგენილებით „უდანაშაულოდ არ იყო ცნობილი“. ასევე დებულებაში ჩამოთვლილია რიგი პროფესია, რომლად ყოფნის შემთხვევაში პირს უფლება ერთმეოდა ყოვილიყო ნაფიცი მსაჯული (კრებული, 1990:207-208).

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებიდან ირკვევა, რომ საქართველოში კანონმდებელმა დაამკვიდრა ე.წ. შერეული მოდელი, რადგან ნაფიცი მსაჯულები დამნაშავეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, სასჯელის დადებისა და ყველა სხვა შედეგის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ თავმჯდომარესთან (მოსამართლესთან) ერთად (პაპუაშვილი, 2013:108).

დებულებაში საკმაოდ ზუსტად არის მოწესრიგებული ნაფიც მსაჯულთა შერჩევის საკითხები, თუმცა თითქმის არაფერია ნათქვამი მსაჯულების მიერ ვერდიქტის მიღების წესებთან დაკავშირებით, ვერ ვხვდებით ვერდიქტის ფორმებსაც (პაპუაშვილი, 2013:108).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების განხილვისათვის, - აღნიშნავს გიორგი პაპუაშვილი, - კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობა. ამ ინსტიტუტის შემოღება საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო და უზრუნველყოფდა საზოგადოების მონაწილეობას და ჩართულობას მართლმსაჯულების განხორციელებაში, აღსანიშნავია, რომ სასამართლო მოწყობისა და ორგანიზაციის, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ კონსტიტუციის მიღებამდე, კერძოდ, სახელმწიფო საბჭოსა და შემდგომში დამფუძნებელი კრების მიერ 1918-1921 წლებში (პაპუაშვილი, 2013:109).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ეროვნული საბჭოს მიერ სასამართლოს რეფორმასთან დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებებს აღექსნანდრე ბენდიანიშვილი ასე აფასებს: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ცვლილებები მოხდა სამართალწარმოების სფეროში. „იუსტიციის სამინისტრო საკმაოდ აქტიურად საქმიანობდა ოფიციალური ახალი კანონის შესაბამისად ორგანიზებულ სასამართლოთა ხელში მართლმსაჯულების ცენტრალიზაციისათვის. გაუქმდა რევოლუციური ტრიბუნალები, სხვადასხვა საგამომძიებლო კომისიები. სამართლის წარმოების ფუნქცია ჩამოერთვა მუშათა საბჭოებს, სხვა რევოლუციურ ორგანიზაციებს. 1918 წლის 24 სექტემბრის კანონის საფუძველზე განხორციელდა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის რეორგა-

ნიზაცია. გატარდა სასამართლოს საგამომძიებლო ნაწილის რეფორმა. მიღებულ იქნა აგრეთვე კანონი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ორგანიზაციების თაობაზე. ცოტა მოგვიანებით შეიქმნა უზენაესი საკასაციო და კანონდამცველი დაწესებულება სენატი“ (ბენდიანიშვილი,2001:112).

სასამართლო რეფორმის კვლევისას გვერდს ვერ ავუვლით გ. ნანეიშვილის მიერ შედგენილ სასამართლო დებულებას, რომელიც განსახილველად წარედგინა საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიას.

პროექტის მიხედვით, უნდა დაარსებულიყო პირველი ინსტანციის სასამართლო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლო. მთელი საქართველოს რესპუბლიკისათვის არსდებოდა მხოლოდ ერთი საკასაციო სასამართლო. კომისიამ ასეთი მუხლის შეტანა კონსტიტუციისათვის გაუმართლებელ დეტალიზაციად მიიჩნია და ამიტომ იგი შემდეგნაირად შეცვალა: სასამართლოს ორგანიზაციას, ფორმებს, კომპეტენციას და იურისდიქციას საზღვრავს ცალკე კანონი. კამათი გამოიწვია დებულების იმ მუხლმა, რომელიც აცხადებდა დროებითი ან განსაკუთრებული სასამართლოების დაარსების აკრძალვას. გ. ნანეიშვილი ამ მუხლის აუცილებლობას ხსნიდა მოქალაქეთა უფლებების დაცვის საჭიროებით, მაგრამ რაჟდენ არსენიძემ და პავლე საყვარელიძემ, მიუთითეს რა სახელმწიფოს განსაკუთრებულ მდგომარეობაზე, აღნიშნეს დროებითი სასამართლოების მოწყობის აუცილებლობა. საბოლოოდ კი მიიღეს შემდეგი მუხლი: „საუწყებო და განსაკუთრებული სასამართლოების დაწესება აკრძალულია, პარლამენტს უფლება აქვს დააარსოს ჯარისთვის სამხედრო სასამართლო“ (მაცაბერიძე,2008:76-77).

„დებულებაში ხაზგასმული იყო, რომ სასამართლოს განაჩენის გაუქმება ან შეცვლა არ შეეძლო საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ორგანოებს. კომისიის თითქმის ყველა წევრი იმ აზრის იყო, რომ შეწყალების უფლება მთავრობის კი არა, პარლამენტის ხელთ ყოფილიყო. სასამართლოს სხდომები საჯარო იქნებოდა, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თვით სასამართლოს დადგენილებით, „როდესაც ამას მოითხოვს ზნეობა და საზოგადო სიმშვიდის დაცვა, სხდომა შეიძლება იქნეს დახურული“ (მაცაბერიძე,2008:77).

გ. ნანეიშვილის დაუნიშნული მოთხოვნით, როგორც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა, კომისიამ ცალკე დატოვა დებულებაში მუხლი, რომელიც სისხლის სამართლის პოლიტიკური და აგრეთვე ბეჭდვითი დანაშაულისათვის აწესებდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს.

„სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად დებულებაში გათვალისწინებული იყო მთელი რიგი გარანტიები მოსამართლეებისათვის: მოსამართლე იმ მოქმედებისათვის, რომელიც მან აასრულა როგორც მსაჯულმა, საკასაციო სასამართლოს ნებადაურთველად ვერ იქნებოდა პასუხისგებაში მიცემული; მოსამართლის გადაყენება თანამდებობიდან შესაძლებელი იყო მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით, გადაყვანა შეიძლებოდა მხოლოდ მისსივე თანხმობით. როგორც გ. ნანეიშვილი აღნიშნავდა, „მოსამართლეს გარანტია უნდა ჰქონდეს, რომ რიგიანად და გულიანად შრომა შეძლოს“ (მაცაბერიძე,2008:77).

კომისიამ, სერგო ჯაფარიძის წინადადებით, დებულების პროექტს დაუმატა მუხლი, რომლის ძალითაც მოსამართლეს უფლება არ ჰქონდა „სხვა რაიმე ჯამაგირიანი ადგილი“ დაეკავებინა. ცალკე კანონით უნდა განსაზღვრულიყო მოსამართლის თანამდებობის მიღების წესი და პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსაჯული” (მაცაბერიძე, 2008:77).

საბოლოოდ, გ. ნანეიშვილის მიერ შედგენილი „სასამართლო დებულება“ შემდეგი მუხლებისაგან ჩამოყალიბდა:

„1. სასამართლოს ორგანიზაციას, ფორმებს, კომპეტენციას და იურისდიქციას საზღვრავს ცალკე კანონი.

2. საგანგებო ან განსაკუთრებულ სასამართლოების დაწესება აკრძალულია. რეპრესიული უფლება აქვს დააარსოს ჯარისათვის სამხედრო სასამართლო.

3. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მართლმსაჯულება სწარმოებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.

4. სასამართლოს განაჩენი არ შეიძლება იქნეს გაუქმებული ან შეცვლილი საკანონმდებლო ან საადმინისტრაციო ორგანოების მიერ.

5. სასამართლოს სხდომები საჯაროთ სწარმოებს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს ზნეობისა და საზოგადო სიმშვიდის დაცვა, სხდომა შეიძლება იქნეს დახურული თვით სასამართლოს დადგენილებით.

6. სასამართლოს განაჩენი უნდა იქნეს წაკითხული სასამართლოს საჯარო სხდომაზე და დასაბუთებული. მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი არ იწერება დასაბუთებულად.

7. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არსდება მძიმე სისხლის სამართლის პოლიტიკურის და აგრეთვე ყოველ ბეჭდვითი დანაშაულობისათვის.

8. მსაჯული, იმ მოქმედებისათვის, რომელიც მან აასრულა, როგორც მსაჯულმა, საკასაციო სასამართლოს ნებადაურთველად ვერ იქნება პასუხისგებაში მიცემული.

9. მსაჯულის დათხოვნა ან დროებით გადაყენება თანამდებობიდან მის სურვილის წინააღმდეგ აკრძალულია, თუ ამის შესახებ არ იქნება სასამართლოს სათანადო დადგენილება.

10. მოსამართლის თანამდებობის მისაღები წესი, და აგრეთვე პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსაჯული, აღნიშნულია კანონში.

11. მოსამართლეს უფლება არა აქვს დაიკავოს სხვა რაიმე ჯამაგირიანი ადგილი“ (სეცსსა, ფ. 1823, აღ. 2, საქმე 1: 115).

ამრიგად, ეროვნულმა საბჭომ შეძლო, ეროვნული ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებების - სასამართლო ნაწილის ნაციონალიზაციისა (სასამართლოს ეროვნულ ნიადაგზე მოწყობა - უცხო კანონმდებლობიდან გათავისუფლება და თანდათან ეროვნულის შემუშავება) და არსებული სასამართლო წყობილების რეორგანიზაციის (ზოგი ინსტიტუტების გაუქმებით და ზოგის ახლად შექმნით), ცხლვრებაში გატარება. შეძლო სახელმწიფოში მართლმსაჯულების მოწყობა და მოახერხა სასამართლო ისეთი დაწესებულება გამხდარიყო, სადაც ხალხი თავის უფლებებს დაიცავდა.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ განახორციელა ისეთი სასამართლო რეფორმა, რომელიც აუცილებელი იყო დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის და მისი ღირებულება მნიშვნელოვანი იმდენად, რამდენადაც სამართლიანი სასამართლო, დემოკრატიულ საწყისებზე დამყარებული, სახელმწიფოებრიობის აუცილებელი ელემენტი და ერთგვარი ნიშანია.

შეიძლება თუ არა, რომ მაშინდელი რეფორმების შედეგად ჩამოყალიბებულ სასამართლოს ეწოდოს სამართლიანი სასამართლო? ამ კითხვაზე პასუხი ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შექმნა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში („ოლქში ან უბანში“) სასამართლო წესით მშობლიურ ენაზე უფლებების დაცვის შესაძლებლობა, გამომძიებლის ინსტიტუტის გამოცალკევება და ორივე სქესის წარმომადგენლისათვის მოსამართლედ არჩევის თანაბარი უფლების მინიჭებაა. დყოველივე ეს კი იმ დროის, მსოფლიო სამართლებრივ-უფლებრივი სიტუაციიდან გამომდინარე, როდესაც დემოკრატია ახლად იკრებდა ძალას, უდავოდ უადრესად პროგრესული და წინგადადგმული ნაბიჯი იყო. შესაბამისად, შეგვიადლია დავასკვნათ, რომ სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციამ დასახულ მიზანს ნამდვილად მიაღწია.

§4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონი მოქალაქეობის შესახებ

დემოკრატიულმა საქართველომ თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში მეტად საინტერესო საკანონმდებლო მემკვიდრეობა დაგვიტოვა. გაოცებას იწვევს 1918-1921 წლებში მიღებული საკანონმდებლო აქტების სიმრავლე, მათი მაღალი სამართლებრივი კულტურის დონე, პრობლემატიკის ფართო სპექტრი, პოლიტიკური და ეროვნული ხედვა. დამოუკიდებელ საქართველოში სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობა მიმდინარეობდა იმდროინდელი ცივილიზებული ქვეყნების აზროვნების დონეზე (კრებული, 1990: 2). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კანონს მოქალაქეობის შესახებ. კანონით დადგინდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: მოქალაქეობის მიღებისა და მოქალაქეობის დაკარგვის წესები, მოქალაქის უფლება-მოვალეობა და სახელმწიფოს ვალდებულება საკუთარი მოქალაქისადმი. ამ კანონითვე აიკრძალა ორი სახელმწიფოს მოქალაქეობა.

კანონის მიღების აუცილებლობა დამფუძნებელი კრების მე-14 სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშში ასე არის განმარტებული: „ხალხი აუცილებელია სახელმწიფოსთვის, ეს თავისთავად ცხადია, სახელმწიფო ემყარება ხალხს, ისე როგორც ტერიტორიას. ასე რომ, უხალხოდ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სახელმწიფო. ხალხი კი - ეს შემკრებლობაა მოქალაქეთა, ანუ ქვეშევრდომთა. ხალხი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არის კრებული ქვეშევრდომებისა, კრებული მოქალაქეებისა, ამიტომ მოქალაქეობის საკითხი არის ერთი უდიდესი საკითხი-განი“ (დამ. კრება, მე-14 სხდომა, 1919: 14).

1918 წლის 26 მაისს, როცა საქართველომ თავისი თავი სახელმწიფოდ გამოაცხადა, საჭირო გახდა შეემუშავებინა საკუთარი მოსახლეობის საერთო განმსაზღვრელი პრინციპი, ძირითადი სტატუსი მოქალაქეობისა.

პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ეროვნულმა საბჭომ გადადგა 1918 წლის 16 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობის დებულების მიღებით (აქტების კრებული, 1990: 46).

საქართველოს მოქალაქეობა ერთ-ერთი პირველი საკითხი იყო, რომლის დამუშავებაც მოუხდა საკონსტიტუციო კომისიას. ეროვნული საბჭო ჩქარობდა შესაბამისი კანონის მიღებას. 1918 წლის 26 ივნისს საკონსტიტუციო კომისიამ განიხილა ივანე ჩერქეზიშვილის მიერ წარმოდგენილი მოხსენება ამ საკითხზე და უკანვე დაუბრუნა ავტორს „საბოლოოდ შესამუშავებლად“. 29 ივნისს სხდომაზე უკვე რევაზ არსენიძემ წარმოადგინა მოხსენება საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. უმის მიერ შეთავაზებული „დებულება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობისა“ მოიწონეს და ავტორს დაუბრუნეს საბოლოოდ შესამუშავებლად“. მომდევნო, 30 ივნისის, სხდომაზე კომისიამ მიიღო რევაზ არსენიძის წარმოდგენილი მოქალაქეობის დებულების პროექტის ექვსივე მუხლი და გადასცა ეროვნულ საბჭოს განსახილველად“ (მაცაბერძე, 2008: 71).

ამ დებულების პროექტი შემდეგი მუხლებისგან შედგება:

„1) ყველა ბინადარი მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიისა არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე.

შენიშვნა: ბინადარი მცხოვრები ეწოდება იმას, ვინც ამ ტერიტორიაზე არსებულ რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე არის მიწერილი.

2) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს მოქალაქე სხვა რომელიმე სახელმწიფოში.

3) საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქენი არიან აღჭურვილნი პოლიტიკური უფლებით.

4) უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომს, რომელიც მოისურვებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მოპოვებას, შეუძლია შეამდგომლობა ადმრას ამისთვის მთავრობის წინაშე, თუ მას ორ წელიწადზე არა ნაკლები უცხოვრია ხანგამოშვებულად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

5) წინა (4) მუხლში აღნიშნული ვადა შეიძლება შემცირებულ იქნეს:

ა) იმისათვის, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ე.ი. 1918 წლის 26 მაისამდე, 5 წელიწადს მაინც განუწყვეტლივ ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე და ნაყოფიერ შრომას ეწეოდა და

ბ) ვისაც სამეცნიერო შრომით ან სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობით, ან სხვა მხრივ თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის საქართველოს რესპუბლიკის წინაშე.

6) შეამდგომლობა მოქალაქეთ მიღების შესახებ უნდა წარედგინოს იმ ადგილობრივ მმართველობას, რომლის საზღვრებშიც ცხოვრობდა შეამდგომლობის აღმძვრელი:

ადგილობრივი მმართველობა იხილავს აღძრულ შეამდგომლობას, თავის დასკვნითურთ რესპუბლიკის მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებლად“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 80: 5).

კომისიის მხრიდან მოხსენების გაკეთება დებულების ავტორ რევაზ არსენიძეს დაევადა. 6 ივლისის სხდომაზე კვლავ გაიმართა მსჯელობა აღნიშნული დებულების შესახებ. გრიგოლ ვეშაპელის წინადადებით, სიტყვა „ბინადარი“ შეიცვალა „მკვიდრობით“ (მაცაბერიძე: 2008: 72, ასევე სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 80: 17).

რევაზ არსენიძემ თავის მოხსენებაში მიუთითა საკითხის გადაწყვეტის სირთულეზე - საქართველოს დამოუკიდებლობა ისეთ პირობებში გამოცხადდა, როდესაც „არა თუ მოქალაქეობა თვით საზღვრებიც კი რესპუბლიკისა დაახლოებითაც არ იყო აღნიშნული“. ოპირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდნენ სხვა რეგიონებიდან შემოსული ლტოლვილები. ყველა მათგანის მოქალაქედ გამოცხადება არ იქნებოდა მიზანშეწონილი. საჭირო იყო, - აღნიშნა მომხსენებელმა, - „ერთი მხრით, არ წაგვერთმია მოქალაქეობა იმათთვის, ვისაც ეს სამართლიანად ეკუთვნის და, მეორე მხრით, არ მოგვეხვია იგი თავზე ვისმესთვის ძალაუნებურად“ (მაცაბერიძე, 2008:72, ასევე სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 80:15).

1918 წლის 16 ივლისს კი საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო „დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა (ქვეშევრდომობისა)“, რომელიც ოთხი მუხლისაგან შედგება. დებულებაში, იუსტიციის მინისტრის შალვა მესხიშვილის შესწორებით, პირველი მუხლის შენიშვნას დაემატა შემდეგი სიტყვები: „მიწერილი იყო 1914 წლის 19 ივლისამდე“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 80:12).

დებულება, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე და საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

1. „ყოველი მკვიდრი, მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკის, არის საქართველოს მოქალაქე.

შენიშვნა: მკვიდრი ეწოდება იმას, ვინც მიწერილია რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე (ძვ. სტ.).

2. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს მოქალაქედ სხვა სახელმწიფოსი.

3. საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქენი არიან აღჭურვილნი პოლიტიკურის უფლებით (აქტიური და პასიური უფლება პარლამენტისა და ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებისათვის და სხვა).

შენიშვნა: მთავრობას უფლება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევაში, დროებით, სანამ დაწესებულებათა გარდაქმნა დამთავრდებოდეს, მოიწვიოს თანამდებობაზე უცხო ქვეყნის მოქალაქე.

4. პირობა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომის მიღებისა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ და აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისა განსაზღვრული იქნება ცალკე კანონით“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 80: 12).

საქართველოს მთავრობის მოამბეში – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, 1918 წლის 13 ნოემბრის ნომერში, გამოქვეყნებულია „კანონპროექტი საქართველოს მოქალაქეობის (ქვეშევრდომობის) მოპოვებისა და დაკარგვის შესახებ“. კანონპროექტით, „იმ მკვიდრთ გარდა“, რომლებიც წარმოდგენილი იყო 1918 წლის 16 ივლისის დებულებაში, მოქალაქეობის მიღებისათვის სხვა მუხლებიც არის გათვალისწინებული. ამავე კანონპროექტით საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვასთან დაკავშირებით რამდენიმე პირობაა წარმოდგენილი (საქართველო რესპუბლიკა, 1918: № 90, ასევე დოკუმენტი №7).

საქართველოს მოქალაქეობის დებულების პროექტი შეიმუშავა იუსტიციის სამინისტრომაც. აღნიშნული პროექტიც განიხილა საკონსტიტუციო კომისიამ 1918 წლის 10 ივლისის სხდომაზე და თავისი შენიშვნები გამოთქვა (მაცაბერიძე, 2008: 72). იუსტიციის სამინისტროს დამატებითი კანონპროექტი, „ქვეშევრდომობისა საქართველოში, მისი მოპოვებისა და დაკარგვისა“, საქართველოს მთავრობის მოამბეში – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1918 წლის 16 ნოემბრის ნომერშია წარმოდგენილი (საქართველოს რესპუბლიკა, 1918: № 93, ასევე დოკუმენტი N8).

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს ეროვნულ საბჭოს და

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 16 ივლისს მიღებული დებულების „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა (ქვეშევრდომობისა)“ საფუძველზე 1919 წლის 27 მაისს მიიღო „კანონი მოქალაქეობისა“ (აქტების კრებული, 1990: 270). ეს კანონი იმავე პირობებს ეხება, რომელსაც ეხებოდა პირველი დებულება ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული. ამ კანონმა შეავსო და გააფართოვა ქვეშევრდომების ფარგლები იმ კატეგორიისათვის, რომელიც არ შედიოდა პირველი დებულების ფარგლებში.

რას ემყარება დებულება, რომელიც მიიღო ეროვნულმა საბჭომ? ეს დებულება აღნიშნავს, რომ: „ყოველი მკვიდრი მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკისა არის საქართველოს მოქალაქე“. ის არის დებულების პირველი და მთავარი მუხლი, ხოლო ვინაიდან აქ აღნიშნული არ არის, ვინ იგულისხმება მკვიდრად, მუხლს დართული აქვს შენიშვნა, რომელიც შემდეგს განსაზღვრავს: „მკვიდრი ეწოდება იმას, ვინც მიწერილია რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის 19 ივლისამდე“. ამნაირად, მოქალაქეობის საფუძველია მცხოვრებთა მკვიდრობა, ხოლო უკანასკნელი დაკავშირებულია რესპუბლიკის ტერიტორიასთან, რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე მიწერასთან..... უნდა ითქვას, რომ ტერიტორიალურ-ადმინისტრაციულ ერთეულზე მიწერა, რომელიც გულისხმობს მკვიდრ მოსახლეს, არ ნიშნავს ამა თუ იმ საპოლიციო თუ სამილიციო ნაწილში გაწერას, რომელიც მაჩვენებელია მხოლოდ დროებით ბინადრობის. ეს განსაკუთრებით დაცული იყო ომამდე, სანამ მშვიდობიანი ცხოვრება არ დაირღვა“ - აცხადებს საქართველოს მთავრობის მოამბე - გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (გელაშვილი-ბერიძე, 2008, №2:51).

ამ დებულების შინაარსის კიდევ უფრო სრულყოფილ განმარტებას გვაძლევს დამფუძნებელი კრების წევრი პავლე საყვარელიძე, რომელიც აღნიშნავს: „დებულება აღიარებს, რომ მკვიდრი არის ის, ვინც მიწერილია ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის 19 ივლისამდე. აი, ეს არის ძირითადი მხარე, არსება ძველი დებულებისა. ამით ჩვენ ერთი დაკვრით გამოვარკვიეთ მთელი კატეგორია ნამდვილი მოქალაქეებისა, რომელსაც დამყარებულია სახელმწიფო... ძველმა მცხოვრები კი არ არის საქართველოს მოქალაქე, არამედ ის მკვიდრი მცხოვრები, რომელიც განსაზღვრულ დრომდე მიწერილი იყო ადმინისტრაციულ ერთეულზე ...ჩვენ ტერიტორიაზე, რომელსაც ეწოდება საქართველოს რესპუბლიკა იყო გადმოსახლებული მრავალი ისეთი ელემენტი, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა, არც სოციალური და არც კულტურული, არც ეკონომიკური, არ იყო დაკავშირებული ჩვენს ტერიტორიასთან. ამიტომ აღინიშნა ეს დატა. ეს იყო არსება პირველი დებულებისა, რომელიც მიიღო ეროვნულმა საბჭომ“ (დამფ. კრება, მე-14 სხდომა, 1919: 3-4).

ამ კანონის გარეშე კიდევ დარჩნენ ისეთი ელემენტები, რომლებიც პირველ დებულებას არ აკმაყოფილებდა, ამიტომ შემდგომ კანონმდებლობას უნდა შეეგესო და გაეფართოებინა ქვეშევრდომობის ფარგლები იმ კატეგორიისათვის, რომლებიც არ შედიოდნენ პირველი დებულების ფარგლებში. საარქივო მასალა გვაძლევს

იმის საშუალებას, რომ გავარკვიოთ, ჩვენი კანონმდებლები როგორ განარჩევენ მკვიდრებს არამკვიდრებისაგან და რა წესით, რა კრიტერიუმით მოხდა ამ კანონის გაფართოება. საკონსტიტუციო კომისიის მოხსენებაში ვკითხულობთ: „პრობლემის სიძნელე იმაში მდგომარეობდა რომ ერთი მხრით არ წავგვერთვინა მოქალაქეობა იმათთვის, ვისაც ეს სამართლიანად ეკუთვნის და მეორე მხრით არ მოგვეხვია იგი თავზე ვინმესთვის ძალაუწიებურად ...ერთი ყველასათვის აშკარა იყო, სახელდობრ ის, რომ ადგილობრივი მკვიდრნი ე.ი. ის, ვინც ძველთაგანვე საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ახალ აღორძინებულ საქართველოს მოქალაქენი არიან. ასეთია ქართველები, ნაწილი სომხების, მუსულმანების და ზოგი მთიული ტომები. ემაგრამ ამას გარდა ასი წლის რუსეთის მფლობელობის დროს ცხოვრების ვითარებამ მრავალი ხალხი შემოაკედლა ამ ტერიტორიას და ადგილობრივ მცხოვრებლებად გადააქცია. აქ აქვთ ოჯახი, სახლ-კარი, მეურნეობა, ამის გარეშე კი არაფერი გააჩნიათ. ეს ქვეყანა გადუქცევიათ სამშობლოდ ...ამრიგად, საკითხი ასე დადგა: ერთი მხრივ, დაკმაყოფილება ყველა ადგილობრივ მცხოვრებთა კანონიერი მისწრაფებისა - ითვლებოდნენ იმ ქვეყნის მოქალაქედ, რომელთაც შეეზარდნენ, რომელიც მათ ერთადერთ სამშობლოდ გახდომიათ. მეორე მხრივ, გამოძებნა ისეთი თვალსაჩინო ნიშნობრივი თვისებისა, რომელიც გაადვილებდა მოქალაქეთა გარჩევას არა მოქალაქეთაგან. ასეთ ნიშნად ჩვენ მივიჩნიეთ ადმინისტრაციული საზომი, რომლითაც ესა თუ ის პირი ითვლებოდა რუსეთის რესპუბლიკაში ამა თუ იმ გუბერნიის მაზრის და საზოგადოების მცხოვრებად. ეს არის მიწერა იმ ადმინისტრაციულ ერთეულზე“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 80: 2-3).

დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კანონის მე-2 მუხლში მოქალაქეობის მიღების ადმინისტრაციული საზომი არის გათვალისწინებული: „ყოფილ რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, მაგრამ 1914 წლის იანვრის 1-დან განუწყვეტლივ სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა, მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ მე-4 მუხლში აღნიშნულ წესით“ (კრებული, 1990: 271).

ამ მუხლით არის განმარტებული მოქალაქეობის მიღების წესი. ამით ეს მუხლი აძლევს საშუალებას იმ პირებს, რომლებიც პირველი დებულების ძალით არ შედიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის სფეროში. ასეთ პირობებს ეს მუხლი აძლევს შესაძლებლობას გახდნენ საქართველოს მოქალაქენი, თუ ისინი 1914 წლის 1 იანვრიდან განუწყვეტლივ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ 3 თვის განმავლობაში განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა, მიღებული იქნება საქართველოს მოქალაქედ მე-4 მუხლში აღნიშნული წესით, რომელიც ამბობს: განაცხადება წარედგინება ადგილობრივ-მომრიგებელ მოსამართლეს, რომელიც მისცემს მოხონვლს მოქალაქეობის მოწმობას, რომ ის მოქალაქეა, თუ ეს მოქალაქე თავის თხოვნაში აღნიშნავს სწორედ იმ პირობებს, რომელიც კანონის მე-2 მუხლშია აღნიშნული“ (დამფ. კრება,

მე-16 სხდომა, 1919: 10).

ამ კანონის მე-3 მუხლი ადგენს: „მე-4 მუხლში აღნიშნული წესითვე მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ სამ პირობას: ა) აქვს რაიმე უძრავი ქონება საქართველოს რესპუბლიკაში ან თავის საქირაო შრომით ირჩენს თავს; ბ) არა ნაკლებ სამი წლისა სცხოვრობს განუწყვეტლივ საქართველოს ტერიტორიაზე და გ) სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის მიღებისა განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა“ (კრებული, 1990: 271).

ამ მუხლში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია უძრავ ქონებაზე. ამის შესახებ რაჟდენ არსენიძე საქართველოს მოქალაქეობის კანონპროექტის განხილვის დროს ამბობს: „ე.ი. თუ ვინმე წინათ ჩამოთვლილ პირობებს არ აკმაყოფილებს, მაგრამ ქონება შეუძენია, სახლი, კარი, მამული თუ სხვა, ის იოლად ვერ მოშორდება ამ ქონებას. ის ასე, დაფუძნებულია აქ. ემას აქვს სრული უფლება მოქალაქეობა მიიღოს პირდაპირ და უდაოდ, მოქალაქის უფლებით აღიჭურვოს და მოვალეობაც აასრულოს - ეს არის მთავარი დერძი კანონპროექტისა“ (დამფ. კრება, მე-16 სხდომა, 1919: 10).

ამ კანონის მეორე და მესამე მუხლი, როგორც ვხედავთ მოქალაქეობის მიღებისათვის ერთგვარ შეზღუდვას აწესებდა. ძველა სახელმწიფოს ქვეშევრდომს კი არ აძლევდა საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლებას, არამედ „ყოფილი რუსეთის ყოველ ქვეშევრდომს“. რატომ ყოფილი რუსეთის ყოველი ქვეშევრდომი? ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს გვაძლევს კანონპროექტის განხილვის დროს დამფუძნებელი კრების წევრი პავლე საყვარელიძე: „ჩვენ დაგვარგეთ ერთი საკუნის წინ ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენ ვიყავით დიდი ხნის განმავლობაში მიკრული დიდ რუსეთთან, რომელიც ამ რევოლუციის დროს დაიშალა. ჩვენ მას გამოვეყავით, ამიტომ ჩვენ ვგულისხმობთ და ვლაპარაკობთ ყოფილ რუსეთის ქვეშევრდომებზე. არის სახელმწიფოები: ოსმალეთი, სპარსეთი, სადაც არიან ქართველები. ამ ქართველებს ჩვენ არ ვეხებით. ეს ამ სახელმწიფოების მიმართ არა ეთიური მოპყრობა იქნებოდა, არსებითად რომ იგივე გვეთქვა, რაც ყოფილ რუსეთის. ისინი არ დარღვეულან ისე, როგორც რუსეთი, რუსეთი კი სრულიად დაიშალა-ამაშია განსხვავება“ (დამფ. კრება, მე-16 სხდომა, 1919: 10-11).

ამ საკითხს კიდევ უფრო მეტ კონკრეტიკას სძენს დამფუძნებელი კრების წევრი რაჟდენ არსენიძე, რომელიც ამბობს: „...იმ უცხოელებს, რომელნიც გერმანიის, ავსტრიის, ინგლისის და სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომები არიან ეს მუხლი არ ეხებათ. ძველივე რუსეთის ქვეშევრდომებს ეხებათ. ყოველივე რუსეთის ქვეშევრდომს, ვინც იყო წინათ რუსეთში, იყო ის რუსი, ქართველი, სომეხი თუ მუსულმანი, ეს ეხება ყველას განურჩევლად“ (დამფ. კრება, მე-14 სხდომა, 1919: 14).

რაც შეეხება კანონის მეხუთე მუხლს განკუთვნილი იყო მხოლოდ ქართველებსათვის. ამ მუხლში ვკითხულობთ შემდეგს: „ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი ქართველი ჩარიცხულ იქნება საქართველოს მოქალაქედ ზემოაღნიშნულ (1,2,3 მუხ.) პირობის გარეშეც უკეთეს ეს სამი თვის განმავლობაში დღი-

დან ამ კანონის გამოქვეყნებისა განუცხადებს ამის სურვილს: საქართველოში მცხოვრები: ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეს, ხოლო უცხო სახელმწიფოში მცხოვრები - მახლობელ კონსულს. ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან მისცენ მოხონებს საქართველოს მოქალაქეობის მოწმობა” (კრებული, 1990: 271).

კანონის მეხუთე მუხლი ერთგვარ უპირატესობას ანიჭებდა ქართველებს. ამ მუხლის შინაარსს არ ეთანხმებოდა სოციალისტ - რევოლუციონერი, ინტერნაციონალური სოციალიზმის მომხრე, ივანე გობეჩია, რომელმაც თავისი მოსაზრება ასე გამოხატა: მართალია, საქართველოში ქართველი ერი მცხოვრებთა უდიდეს ნაწილს შეადგენს, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თანასწორად უნდა იცავდეს, როგორც უმრავლესობის ერის, აგრეთვე პატარა ერების ინტერესებს, თუკი ისინი მოისურვებენ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ცხოვრებას. ეს მუხლი ქმნის აშკარა პრივილეგიას ქართველთათვის. „პრივილეგია იმაში მდგომარეობს, რომ მეხუთე მუხლის ძალით, თუ რომელიმე პირი არასოდეს არ ყოფილა მიწერილი საქართველოს ტერიტორიაში, რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე, თუ მას არასოდეს არ უცხოვრია საქართველოში და არც უძრავი ქონება არ აქვს საქართველოში, ის მაინც ჩაირიცხება საქართველოს მოქალაქედ, მხოლოდ იმიტომ რომ ის ქართველია. ასეთი უფლებით ამ კანონის ძალით ვერ ისარგებლებს უცხო ერის შვილი, თუ გინდ ის ეხლა საქართველოში ცხოვრობდეს (დამფ. კრება, მე-14 სხდომა, 1919: 24).

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, - აღნიშნავს ივანე გობეჩია, - სადაც გაბატონებული არიან სოციალისტები, არ უნდა არსებობდეს პრივილეგიები რომელიმე ერთი ერისათვის. წარმოდგენილი კანონ-პროექტი კი აწესებს ასეთ პრივილეგიებს. აი, სწორედ ამიტომ მე მოვითხოვე, რომ ის უფლება, რომლითაც მეხუთე მუხლის ძალით სარგებლობს ყოველი ქართველი, გავრცელებულიყო საქართველოში მოსახლე სხვა ერების წარმომადგენლებზეც (დამფ. კრება, მე-14 სხდომა, 1919: 24).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა პავლე საყვარელიძემ განმარტა თუ რატომ აძლევდა ქართველებს ეს მუხლი ერთგვარ უპირატესობას: „აქ არის ერთი უპირატესობა ქართველების შესახებ... ტერიტორიალურია ჩვენი რესპუბლიკა... ჩვენი რესპუბლიკა უმთავრესად ქართველებზე ემყარება... დიდი უმრავლესობა ქართველი ერია და ჩვენი რესპუბლიკა უმთავრესად ქართველებს ემყარება. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ საქართველოში ერთი პროცენტი არ აღმოჩნდეს ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ, უცხოელებში კი შეიძლება ბევრი აღმოჩნდეს, ამიტომ არის ყველა ქართველი ნაგულისხმევი ჩვენს მიერ რესპუბლიკის მოქალაქედ, თუ ის მოისურვებს თავის სამშობლოს მოქალაქეობას, ეს უბრალო ამბავია“ (დამფ. კრება, მე-16 სხდომა, 1919: 10).

ამრიგად, კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ პირველ ნაწილში უშვებს მოქალაქედ გახდომის სამ კატეგორიას: „ერთი კატეგორია ის, რომელიც 1914 წლამდე სამი წელიწადი უნდა ეცხოვრა, მეორე კატეგორიას შეიძლება შემდგომ ეცხოვრა, მაგრამ აქ ცოტათი გაძნელებულია მიღების პირობები. მესამე კატეგორია შეეხება ქართველებს, რომელთაც სურთ ჩვენი მოქალაქეობა, მაგრამ

პირველი მუხლის ძალით არ არიან მიწერილნი“ (დამფ. კრება მე-14 სხდომა, 1919: 18).

კანონის მეორე ნაწილში მოცემულია საქართველოს მოქალაქეობის შექმნისა და დაკარგვის წესები. კანონის მე-6 მუხლი მიუთითებს სისხლის, შთამომავლობის პრინციპზე, რომელიც უშვებს მოქალაქეობის შექმნას დაბადებით: „საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება აგრეთვე: ა) შვილი საქართველოს მოქალაქისა, დაბადებული საქართველოს ტერიტორიაზე ან მის გარეთ“ (კრებული, 1990: 272). სტენოგრაფიულ ანგარიშში გამახვილებულია ყურადღება, რომ ეს მუხლი განკუთვნილი იყო საქართველოს მოქალაქისთვის განურჩევლად ეროვნებისა. მასში ვკითხულობთ: „შობილი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე მამისაგან, როგორც საქართველოსი ისე საქართველოს გარეთ არის საქართველოს მოქალაქე, ეს არის სისხლის, ანუ შთამომავლობის პრინციპი. ჩვენი მოქალაქის შვილი, სადაც უნდა დაიბადოს, აგრეთვე ცოლი ან ქვრივი საქართველოს მოქალაქისა არის ჩვენი მოქალაქე. შემდეგ ქორწინების გარეშე დაბადებული საქართველოს მოქალაქისაგან არის ჩვენი მოქალაქე. დედა თუ არის საქართველოს მოქალაქე, მისი შვილი, ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე შობილი არის ჩვენი საქართველოს მოქალაქე ...თუ საქართველოს მოქალაქე ქალი გათხოვდა უცხოეთში, მაგრამ ქმარი გარდაიცვალა და ის დაბრუნდა ისევ სამშობლოში, მონდომა დაბრუნებისას აღდგენა თავისი პირვანდელი მოქალაქეობისა. აგრეთვე: ჩვენი მოქალაქე უცხოეთში გათხოვილი ქალის მისი უწლოვანო შვილები, განქორწინების თუ დაქვრივების შემდეგ, ჩვენ მოქალაქედ ჩაირიცხებიან“ (დამფ. კრება, მე-14 სხდომა, 1919: 18).

მე-7 მუხლში კი მოცემულია საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვების პირობა: „მოქალაქე უცხო ქვეშევრდომი ან უქვეშევრდომი, თუ იმას უცხოვრია ჩვენს ტერიტორიაზე განუწყვეტილად, აღძრავს შუამდგომლობას, რომ მიიღოს ქვეშევრდომობა საქართველოში. ამ შუამდგომლობის შემდეგ გადის ორი წელიწადი და მას მიენიჭება საქართველოს მოქალაქეობა, თუ იგი მავნე პირი არ არის სახელმწიფოსათვის, საზოგადოებისთვის“ (დამფ. კრება, მე-14 სხდომა, 1919: 19).

ამ მუხლის კიდევ უფრო ზუსტ განმარტებას გვაძლევს საარქივო მასალა რომელშიც აღნიშნულია, რომ „უცხო მოქალაქისათვის“ საჭირო იყო ორი წელიწადი ეცხოვრა საქართველოში მოქალაქეობის უფლების მისაცემად. შუამდგომლობის აღძვრის ამ პერიოდში რესპუბლიკის მთავრობა შეძლებდა მოქალაქეობის მაძიებელი გაეცნო, როგორც კეთილი და სასარგებლო წევრი. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე მთავრობა უარს ამბობდა იმ შემთხვევაში თუ დაინახავდა, რომ ის სისხლის სამართლის და არა პოლიტიკური თვალსაზრისით, „მავნე ელემენტს“ წარმოადგენდა საზოგადოებისათვის. ამის შესახებ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ვინაიდან ჩვენ გვწამს, რომ პოლიტიკური რწმენისათვის დევნას არ ექნება ადგილი თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოში (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 80: 3).

„უცხო მოქალაქის“ ჩვენს მოქალაქედ გადაქცევა ანუ ნატურალიზაცია, მნიშვნელოვნად გაადვილებული იყო უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის. ამით

კიდევ უფრო ნათლად არის დადასტურებული ის გარემოება, რომ ჩვენი კანონმდებლები ეროვნულ სახელმწიფოს ქმნიდნენ და სახელმწიფოს მშენებლობისას ძირითადი ორიენტაცია ქართველ ერზე ჰქონდათ აღებული. კანონის მიღების დროს განსაკუთრებულ შეღავათებს ეროვნებით ქართველს ანიჭებდნენ. დამფუძნებელი კრების წევრი პავლე საყვარელიძე მე-16 სხდომაზე კანონპროექტის განხილვის დროს აცხადებს: „თუ ეროვნული სახელმწიფო დაარსდება, აქ ერთი ერი იქნება უმთავრესად გაბატონებული“ (დამფ. კრება, მე-16 სხდომა, 1919: 7). ეს თვალსაზრისი კარგად არის ასახული კანონის მე-7 მუხლის მე-2 შენიშვნაში, სადაც ნათქვამია, რომ „ვადის მოუთხოვნელად შეიძლება უცხოეთში მცხოვრები მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ ყოველი უცხო ქვეყნის ქვეშევრდომი ქართველი“ (კრებული, 1990: 273).

ამ საკითხს კიდევ უფრო მეტ კონკრეტიკას სძენს დამფუძნებელი კრების წევრი პავლე საყვარელიძე როცა ამბობს: „ასეთებისათვის ჩვენ ერთგვარ გამონაკლისს ვაკეთებთ. როცა ასეთი ქართველი მოისურვებს საქართველოს ქვეშევრდომობას, ჩვენ შეიძლება არ მივიღოთ ნატურალიზაციის ყველა პირობა. ვადის აღუნიშვნელად შეგვიძლიან მივიღოთ, თუ განაცხადებს, რომ მას სურს საქართველოს მოქალაქეობა. სპარსეთში ან რომელიმე სახელმწიფოში არის ქართველი ქვეშევრდომი ამ უცხო სახელმწიფოსი, მან გამოაცხადა - მინდა საქართველოს ქვეშევრდომობაო, ჩვენ ვაცხადებთ რომ შეიძლება ასეთი ქართველისთვის ვადა არ მივიღოთ მხედველობაში“ (დამფ. კრება, მე-16 სხდომა, 1919:7).

ეს კანონი განსაკუთრებულ პრივილეგიას ანიჭებდა ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოპოვებისათვის ისეთ პირებს, რომელთაც რაიმე დვაწლი მიუძღვოდა ჩვენი ახლად შექმნილი სახელმწიფოს წინაშე. ასეთი დვაწლით მოსილ პირს - უცხოელს, შეეძლო ვადის მოუთხოვნელად ან შემცირებით მოქალაქეობის შექმნა. ამ საკითხზე დამფუძნებელი კრების წევრი რაჟდენ არსენიძე შემდეგ განმარტებას აკეთებს: „პრინციპი მოქალაქეობის ის კი არ არის, რომ ყველამ, ვინც კი შემოვა ჩვენს სახელმწიფოში, გახდეს ჩვენს მოქალაქედ, არა. აქ არის ერთი პრინციპი მიზანშეწონილობისა. რევოლუციონურ ხანაში, რევოლუციონურ ბრძოლაში ვინც კი გაგვიწევს არსებით დახმარებას, შეგვიძლიან დაუყოვნებლივ მივიღოთ მოქალაქედ და დიდის პატივისცემით აღვჭურვოთ. ამის მუხლი ამ კანონპროექტშიაც არის: „ყოველი უცხო ქვეშევრდომი, რომელსაც რაიმე თვალსაჩინო დვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის წინაშე რაიმე მეცნიერული შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივ მოღვაწეობით, თუ სხვა მხრივ, შეიძლება ამ ვადის მოუთხოვნელად იქმნეს მიღებული საქართველოს მოქალაქედ“ (დამფ. კრება, მე-16 სხდომა, 1919: 8).

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით აიკრძალა ორი სახელმწიფოს მოქალაქეობა. მოქალაქეობის კანონის მეორე ნაწილის მე-8 მუხლის თანახმად: საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეეძლო ყოფილიყო იმავე დროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქე (კრებული 1990: 273).

საქართველოს დამფუძნებელი კრების მე-14 სხდომის ოქმიდან ირკვევა, თუ რატომ იყო აკრძალული ორი სახელმწიფოს მოქალაქეობა. ამავე სხდომაზე მომხსენებელი პავლე საყვარელიძე აღნიშნავს: „ის მოქალაქე, რომელიც სხვა სახელმწი-

ფოს მოქალაქე არის, ჩვენი ქვეშევრდომი ვერ იქნება. ჩვენ ის გვანტერესებს, რომ უცხო ქვეშევრდომი არ იყოს ჩვენი ქვეშევრდომი. ეს დაბადებს დიდ უხერხულობას, დიდ საშიშროებას, შეიძლება სახელმწიფოური საიდუმლოება წაიღონ აქედან, შეიძლება ჩვენი უფლებით ისარგებლოს და არავითარი მოვალეობა არ შეასრულოს... მოქალაქეს შეუძლია იბოროტმოქმედოს, როგორც ერთ ისე მეორე სახელმწიფოში. ის მოვალეობას გაუძეობს როგორც ერთგან, ისე მეორეგან, ხოლო უფლებით კი ისარგებლებს, ან შეუძლიან ისარგებლოს. ამიტომ, ჩვენი კანონმდებლობა აღიარებს, რომ ორი მოქალაქეობა დასაშვებია არ არის“ (დამფ. კრება, მე-14 სხდომა, 1919: 20).

კანონის მეორე ნაწილის მე-9 მუხლი მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს ანიჭებდა პოლიტიკური უფლებას. ამის შესახებ კანონში ვკითხულობთ: „საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქე არის აღჭურვილი პოლიტიკური უფლებით“ (კრებული, 1990: 273). საარქივო მასალა გვაძლევს კონკრეტულ ინფორმაციას ამ მუხლის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „მუხლი 9 შეიცავს განმარტებას იმისას, რომ უცხოებს არ აქვს საარჩევნო და სხვა პოლიტიკური უფლებები. ე. ი. არ შეუძლიან თვითმმართველობის, პარლამენტის და სხვა წარმომადგენლობითი დაწესებულებების არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა ან იყოს მმართველობის რომელიმე ფუნქციის ამსრულებელი. ეს შეადგენს მოქალაქის განსაკუთრებულ პრივილეგიას რესპუბლიკაში. სამოქალაქო და პირადი უფლებანი კი, თავისთავად ცხადია, ყველა უცხოელისთვის უზრუნველყოფილი იქნება ისე, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1. საქმე 80: 4).

მოქალაქეობის კანონის ძირითად შინაარსს შეადგენს მოქალაქის უფლება-მოვალეობის განსაზღვრა. ჩვენს კანონმდებლები ამის შესახებ ამბობდნენ: „თვით შინაარსი მოქალაქეობისა შეიცავს ერთის მხრივ უფლებას, უფლებათა მთელ რიგს, მეორეს მხრივ მოვალეობათა მთელ რიგს ამავე მოქალაქისას. მოქალაქე არის აღჭურვილი განსაზღვრული უფლებებით და მოქალაქეს აქვს განსაზღვრული მოვალეობა სახელმწიფოს მიმართ (დამფ. კრება, მე-14 სხდომა, 1919: 14).

ჩვენ მიერ მოკვლეულ რუსულენოვან საარქივო დოკუმენტებში არის საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს მოქალაქეები მხოლოდ უფლებებით სარგებლობდნენ და სახელმწიფოსაგან დაკისრებულ მოვალეობებზე უარს აცხადებდნენ. დოკუმენტში ვკითხულობთ: ბორჩალოს მაზრაში, წალკის რაიონის ბერძნებმა, რომლებიც 30000 სულ მოსახლეს შეადგენდა, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მობილიზაციის დროს არამც თუ ერთი მოხალისე არ გამოიყვანეს, არამედ ერთი ცხენიც კი არ გაიმეტეს (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 414:9)

მოქალაქეობის კანონში გათვალისწინებულია მოქალაქის უფლება მოვალეობასთან ერთად სახელმწიფოს ინტერესები საკუთარი მოქალაქისადმი. სწორედ ამიტომ ეს კანონი განსაკუთრებით სიფრთხილით ადგენს მოქალაქეობის მიღების წესებს და ერთგვარ შეზღუდვებსაც აწესებს. აღნიშნულთან დაკავშირებით კარგ მაგალითს წარმოადგენს შალვა მესხიშვილის სიტყვები, რომელიც ამბობს: „თუ თქვენ დააკვირდებით დიდ სახელმწიფოების პრაქტიკას და პატარა ერების

კანონებს ქვეშევდრომობის შესახებ, თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ რაც უფრო დიდია სახელმწიფო მით უფრო ნაკლებ ემინია ქვეშევდრომობის კანონის გაფართოებისა, იმიტომ, რომ დიდი სახელმწიფო ადვილად მოინელებს შემოსულ ელემენტებს. რაც უფრო პატარაა სახელმწიფო უფრო მეტი სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს ამ ქვეშევდრომობის კანონს, იმიტომ, რომ ქვეშევდრომობის კანონს მოვალეობასთან ერთად, იმ უცხოელებისათვის, რომელნიც ქვეშევდრომობაში შემოდიან - ძალიან ბევრი უფლაბაც აქვს. მაგალითად თუ გინდ აგრარული საკითხი... ვინც კი სცხოვრობენ საქართველოში და მოინდომებს საქართველოს ქვეშევდრომობას, ყველა იმას, რომ მიეცეს ეს უფლება... რა მდგომარეობაში იქნება თუ გინდ აგრარულ საკითხი, როდესაც მიწა იმდენად მცირე არის, რომ არ ყოფნის თვით მკვიდრ ქვეშევდრომს, რომელნიც აქ ცხოვრობენ“ (დამფ. კრება, მე-18 სხდომა, ანგარიში, 1919: 4).

საკანონმდებლო ორგანოში ითხოვდნენ, რომ სახელმწიფოსაგან თავისი მოქალაქის ინტერესები ქვეყნის გარეთაც უნდა ყოფილიყო დაცული. ამასთან დაკავშირებით გრიგოლ გიორგაძე აღნიშნავს: „მოქალაქე სახელმწიფომ ყველგან უნდა დაიცვას, საქართველოს მოქალაქე თუ სხვა სახელმწიფოში მიდის, იქაც უნდა დავიცვათ ეს მოქალაქე, მისი ინტერესები. იქ უცხოეთში უნდა შეიქმნას მთელი ორგანიზაცია, რომელიც მათ, მოქალაქეთა ინტერესებს დაიცავს... მოქალაქეობა უბრალო სიტყვა კი არ არის, ეს მდგომარეობა ბევრ მოვალეობას აკისრებს სახელმწიფოს“ (დამფ. კრება, მე-18 სხდომა, ანგარიში, 1919: 7).

საქართველოს მოქალაქეობის კანონის შესახებ კადეტების ორგანო „ნაროდნაია სვობოდა“ წერდა: ამ კანონს ახასიათებს პიროვნების ყველა უფლების შელახვა. ეს კანონი მთლად შეურაცხოფს მე-19 საუკუნის კულტურულ მონაპოვართ“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1918: №5). დამფუძნებელ კრებაზე შალვა მესხიშვილმა აღნიშნა: „არც ერთ კანონს, მიღებულს საქართველოს პარლამენტის მიერ არ გამოუწვევია ისეთი აურზაური იმ საზოგადოებრივ წრეებში, რომელნიც არსებითად ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყვნენ, როგორც კანონ-პროექტს ქვეშევდრომობის შესახებ“ (დამფ. კრება, მე-16 სხდომა, 1919:3).

1918 წლის პრესაში კი ვკითხულობთ შემდეგს: კანონი საქართველოს მოქალაქეობისა ეყრდნობა ისეთ პირებს, ისეთ ქვეშევდრომებს „რომლებიც ერთგული იქნება თავისი ქვეყნის და მთელი თავისი არსებით დაემორჩილება ყოველ კანონს, თუნდაც უკანონობას“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1918: №90).

რაც შეეხება მოქალაქეობის დაკარგვის წესს, ამ კანონში მოკლედ არის აღნიშნული. კანონის მე-10 მუხლში მოქალაქეობის დაკარგვის წესი სამ პუნქტად არის დაყოფილი: „საქართველოს მოქალაქეობას ჰკარგავს: ა. ვინც უცხო სახელმწიფოს ქვეშევდრომობას მიიღებს ნატურალიზაციის წესით; ბ. ვინც უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობას მიიღებს, საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად; გ. ვინც უცხო ქვეშევდრომს მისთხოვდება და არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქედ დარჩენის სურვილს“ (კრებული, 1990: 273).

საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის პირველი წესის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობას კარგავდა ის პირი, ვინც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეო-

ბას იღებდა ნატურალიზაციის წესით. ამ წესის მოკლე განმარტებას გვაძლევს კანონპროექტის განხილვის დროს დამფუძნებელი კრების წევრი პავლე საყვარელიძე: „უპირველეს ყოვლისა ჰკარგავს ჩვენს საქართველოს მოქალაქეობას ის, ვინც ნატურალიზაციის წესით მოიპოვებს მოქალაქეობას უცხო სახელმწიფოში. მაგალითად, თუ ჩვენმა მოქალაქემ მოიპოვა, ვთქვათ საფრანგეთში, ან აზერბაიჯანში, ან სომხეთში მოქალაქეობა, ის ამით ჰკარგავს ჩვენს მოქალაქეობას“ (დამფ. კრება, მე-14 სხდომა, 1919:19).

მოქალაქეობის დაკარგვის მეორე წესის თანახმად, მოქალაქეობას კარგავდა ის პირი, რომელიც საქართველოს მთავრობის ნებადართულად სხვა სახელმწიფოს სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობას მიიღებდა. ასევე მოქალაქეობას კარგავდა ის პირი, „ვინც საზღვარგარეთიდან საქართველოში არ ბრუნდებოდა სამხედრო ბეგარის მოსახდელად“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1918: №90).

როგორც სტენოგრაფიული ანგარიშიდან ჩანს, მოქალაქეობის საკითხი მჭიდროდ იყო დაკავშირებული „სამხედრო ბეგარის“ საკითხთან. სამხედრო ვალდებულების აუცილებლობაზე საუბრობს დამფუძნებელი კრების წევრი რაჟდენ არსენიძე, როცა ამბობს: „თუ სამხედრო ბეგარას არ გადაიხდის კაცი, იმას არ შეუძლიან მიატოვოს სახელმწიფო და სხვის მოქალაქედ გახდეს. ის არის მოვალე სახელმწიფოს წინაშე და თუ ბეგარას არ გადაიხდის არ შეუძლიან სახელმწიფოდან წავიდეს“ (დამფ. კრება, მე-14 სხდომა, 1919: 31).

მესამე წესი მოქალაქეობის დაკარგვისა ეხება საქართველოს იმ მოქალაქე ქალს, რომელიც უცხოეთში ან უცხოელზე თხოვდებოდა. რაჟდენ არსენიძე ამასთან დაკავშირებით ამბობს: „ამ კანონპროექტით ქალი კარგავს პირვანდელ მოქალაქეობას. მიყვება ქმარს, მიდის, ეთვისება სხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ წყობილებას. ქალი დაკავშირებულია მემკვიდრეობის უფლებით და საოჯახო უფლებით უცხოეთის მოქალაქე ქმართან. აი, ამიტომ საერთო მოვლენაა, რომ ქალი დებულებას ქმრის მოქალაქეობას“ (დამფ. კრება, მე-16 სხდომა, 1919:11). მაგრამ ამავე წესის თანახმად ქალს შეეძლო გამოეთქვა საქართველოს მოქალაქედ დარჩენის სურვილი, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს განაცხადი იმ სახელმწიფოს კანონს არ შეეჯახებოდა, სადაც ის თხოვდებოდა. ამის შესახებ პავლე საყვარელიძე აღნიშნავს: „თუ უცხო სახელმწიფოს კანონის ძალით ქალს შეუძლია იყოს უცხოელ მოქალაქის ცოლი და იმავე დროს იყოს ჩვენი მოქალაქე, თავისთავად ცხადია კონფლიქტი აღარ იქნება“ (დამფ. კრება, მე-14 სხდომა, ანგარიში, 1919:20). ამავე კანონით ქალს შეეძლო აღედგინა ჩვენი მოქალაქეობა იმ შემთხვევაში თუ იგი დაქვრივდებოდა ან განქორწინდებოდა. ამ შემთხვევაში მის შვილებსაც შეეძლოთ საქართველოს მოქალაქეობის მიღება: „უკეთუ ისინი ერთი წლის განმავლობაში და სრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადებდნენ, რომ მათ სურთ მამის მოქალაქეობაში დარჩენა“ (დამფ. კრება, მე-16 სხდომა, 1919:11).

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონში მოქალაქეობის შესახებ გატარებულია დემოკრატიული პრინციპები, სადაც გათვალისწინებულია ერთი მხრივ პიროვნება და მისი უფლებები, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს

ინტერესები. ახლადშექმნილ სახელმწიფოში ამ კანონის მიღებით დამყარდა იურიდიული ურთიერთობა სახელმწიფოს და პიროვნებას შორის, დადგინდა საქართველოს ქვეშევრდომი მოსახლეობა, რომლის ძალით სახელმწიფოს ჩამოაცილეს ისეთი არასასურველი ელემენტები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მას შემოქმედებით მუშაობაში.

§5. ქართული რეგულარული ჯარის შექმნა

ქართული რეგულარული ჯარის შექმნის იდეა საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში დაიბადა. ქართული ჯარის შექმნის საჭიროების საკითხი პირველ ქართულ ეროვნულ ყრილობაზეც დაისვა. ეროვნული ყრილობის მიერ არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ დიდი მუშაობა გაწია რეგულარული ქართული ჯარის შექმნის მიზნით. ეროვნულმა საბჭომ შეძლო თეორიულთან ერთად პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, შეძლო თავის მოღვაწეობის პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ქართული ჯარის მშენებლობის საქმეს.

ვახტანგ გურული წერს: „რეგულარული ქართული ჯარის შექმნის იდეა საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში დაიბადა. ცხადია, ინტერპარტიულ საბჭოს არ შეეძლო სათავეში ჩადგომოდა ქართული ჯარის შექმნის საქმეს. ეს აუცილებლად გამოიწვევდა კონფლიქტს რუსეთის დროებით მთავრობასთან და კერძოდ, მის წარმომადგენელთან ამიერკავკასიაში-ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან (ოზაკომთან), ასევე რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობასთან. სწორედ ამიტომ ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს ინიციატივითა და მხარდაჭერით ქართული რეგულარული ჯარის შექმნა დაეგადა „ქართველ სამხედრო კავშირს“, როგორც ქართველ სამხედროთა ნებაყოფლობით გაერთიანებას“ (გურული, 1998:9).

როგორც ინტერპარტიული კრების ოქმებიდან ირკვევა ინტერპარტიულ საბჭოში, ხშირად განიხილებოდა „სამხედრო საქმე“. ამ საკითხისადმი ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს წევრების დიდი ინტერესი ეროვნული ჯარის შექმნის აუცილებლობაზე მიუთითებს. ინტერპარტიულ კრებებზე მსჯელობის საგანი იყო: „ქართულ პოლკების შედგენა, ქართველ ჯარისკაცთა ერთად თავის მოყრა, დეზერტითა ორგანიზაცია ქართულ ერთეულებში“ (საბჭო, 1999:30-31).

კრების მონაწილეები თვლიდნენ, რომ ამ ღონისძიებების გადასატარებლად საჭირო იყო საკითხის დასმა ადგილობრივ სამხედრო ცენტრში, დეპუტაციის გაგზავნა მოსალაპარაკებლად კავკასიის ჯარის უფროსთან გენერალ პრევეალსკისთან და პეტროგრადში დროებით მთავრობასთან.

1917 წლის 4 სექტემბერის კრებაზე გამოიკვეთა ის როლი და მნიშვნელობა, რაც ქართულ ჯარს სამომავლოდ უნდა შეესრულებინა. კრების ოქმიდან ვკითხულობთ: „საქართველოს პარტიები მოწადინებული არიან საკუთარი ჯარი გაიხიონ და ეს ჯარი მათ უნდათ არა მეზობელ ერებზე თავდასხმისათვის. არამედ და მხოლოდ თავდასაცავად და თავიანთ ქვეყნის საზღვრების დასაცავად“ (საბჭო, 1999:51).

1917 წლის 19 ოქტომბრის ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომაზე სამხედრო კავშირის წარმომადგენელმა, იოსებ გედევანიშვილმა, კრებას აცნობა მთავრობის ნებართვა ქართულ ჯარის ნაციონალიზაციისა და ქართველ მხედართა კავშირის კანონიერების შესახებ (საბჭო, 1999: 90-91). 1917 წლის 26 ოქტომბერის სხდომაზე კი მანვე განაცხადა: „კავკასიის სამხედრო ოლქის ცენტრს უკვე ბრძანება გაუცია - კავკასიაში მყოფ სათადარიგო პოლკებიდან ქართველი ჯა-

რისკაცები განზრახულ ქართულ პოლკებში გამოუშვან“ (საბჭო, 1999:95).

ვახტანგ გურული ინტერპარტიული საბჭოს მიერ გაწეულ საქმიანობას ქართული საჯარისო ნაწილების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით აღნიშნავს: ინტერპარტიულმა საბჭომ, ეროვნული ყრილობის მოწვევამდე ქართული საჯარისო შენაერთების შესაქმნელად მრავალმხრივი მუშაობა გაწია. ინტერპარტიული საბჭო ვერ გაატარებდა პრაქტიკულ ღონისძიებას, დროებითი მთავრობის ნებართვის გარეშე. დროებითი მთავრობისგან ნებართვა 1917 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში იქნა მიღებული. გარდა ამისა ქართული კორპუსის ფორმირებისათვის არახელსაყრელ პირობებს ქმნიდა თბილისში სომხური, აზერბაიჯანული და რუსთა ეროვნული საბჭოს კორპუსების ფორმირების პროცესი. „ქართული რევოლუციური ჯარის შექმნას განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობას უწევდა ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო, რომელიც თვითონ გამალებით ადგენდა რუსულ ეროვნულ კორპუსს (ძირითადად ოფიცრებისაგან), რათა რუსეთის კავკასიის არმიის გახრწნის პირობებში თვითონ დაეცვა რუსი ეროვნების მოსახლეობის ინტერესები. ქართულ კორპუსთან თავიდანვე კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ სომხური და აზერბაიჯანული კორპუსები, რომლებიც ცდილობდნენ თბილისსა და საქართველოს სხვა ადგილებში დიდი რაოდენობით მიეტაცებინათ სამხედრო ყაზარმები. იარაღის საწყობები და შენობები“ (გურული, 1998: 9-10).

ინტერპარტიულ საბჭოში დაწყებული ქართული რევოლუციური ჯარის შექმნის იდეა ქართული ეროვნული ყრილობის მიერ არჩეულ ეროვნულ საბჭოში განხორციელდა. 1917 წლის 19 ნოემბერს მოწვეულმა სააქროველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ქართული ჯარის შექმნის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარება დაავალა. ეროვნულ ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ქართული ჯარი, როგორც ნაწილი რუსეთის რევოლუციონურ ჯარისა ემორჩილება იმ სამხედრო წესდებას და ცალკე განკარგულებათ, რომელნიც რევოლუციის პროცესში გამოსცა დროებით მთავრობამ. სარევოლუციო ორგანიზაციების მოწყობა ქართული ჯარის ერთეულებში ხდება იმ წესით, რომელიც შემუშავა კავკასიის ჯარის ყრილობამ და ოლქის საარმიო საბჭომ 9 ივნისს 1917 წ. ყოველი იმ შესწორებით, რომელიც შემდეგ ამისა მიიღო იმავე საოლქო საარმიო საბჭომ. რაც შეეხება ქართული ეროვნული ერთეულების გამგებლობა-მოსმარებას, ეს საქმე სავსებით ქართულ ეროვნულ საბჭოს კომპეტენციას უნდა შეადგენდეს; ეროვნულივე საბჭო ირჩევს ქართული ჯარის უფროსთა შემადგენლობას და უდგენს დასამტკიცებლად სათანადო მთავრობას. ეროვნულ საბჭოსთან არსდება სამხედრო საქმეების გამძღოლი ორგანო, რომლის ფუნქციებს განსაზღვრავს ქართული ეროვნული საბჭო...

იმის შესახებ თუ როგორ შეივსოს ნებადართული ქართული კორპუსი, სექციამ შემდეგი დაადგინა: ვინაიდან ქართულ სამხედრო ერთეულების შედგენასა და დაუყოვნებლივ შევსებას მოითხოვს დღევანდელი მომენტი, სამხედრო სექცია მიმართავს ეროვნულ ყრილობას, რათა მან მომავალ ეროვნულ საბჭოს დაავალოს შემდეგი ღონისძიებათა მიღება:

1. ეროვნულმა საბჭომ იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, რათა ყოველ მსურველ ქართველ ჯარისკაცს ნება მიეცეს ქართულ ერთეულებში გადმორიცხვისა.

2. ეროვნულმა საბჭომ მიმართოს ქართველ ერს ამ დიად მომენტში მიიღოს მონაწილეობა ქართულ ერთეულების შევსებაში და თავის ნებით ჩაეწერონ ისინი, ვისაც სამხედრო სამსახური შეუძლია.

3. ეროვნულმა საბჭომ დაადგინოს ქართველი დეზერტირები განსაზღვრულ დროს გამოცხადნენ ქართულ ერთეულებში სამხედრო ბეგარის მოსახდელათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნულმა საბჭომ მიიღოს შესაფერი ღონისძიებანი“ (სცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 149:1).

ეროვნული საბჭო შექმნისთანავე (1917 წლის 22 ნოემბერი) შეუდგა ეროვნული ყრილობის მიერ მიცემულ დავალების შესრულებას. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1917 წლის 28 ნოემბრის სხდომის ჟურნალში ვკითხულობთ, რომ სხვადასხვა საქმეების გასაძლიერად შეიქმნა სპეციალური კომისიები. მათ შორის შეიქმნა სამხედრო კომისია, რომელსაც უნდა დანიშნოდა გამგე აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან (სცსსა, ფ.1836, აღ. 1, საქმე 2:5).

1917 წლის 3 დეკემბერს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე სამხედრო კომისიის გამგედ დაინიშნა ნოე რამიშვილი, წევრები: ვალერი გობეჩია, არჩილ საყვარელიძე, დავით ვაჩნაძე, ნიკოლოზ ქარცივაძე (სცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 2:9). ამავე სხდომაზე აღექსანდრე ლომთათიძემ დასვა საკითხი მე-5 ქართული პოლკის მდგომარეობის შესახებ, რომელმაც ისაუბრა პოლკში გამეფებული უწესრიგობისა და პოლკის ცხოვრების უნუგეშო მდგომარეობის შესახებ. სხდომამ სამხედრო კომისიის გამგეს ნოე რამიშვილს მიანდო მე-5 ქართულ პოლკში მდგომარეობის გამოსწორება, არასასურველი ელემენტებისაგან განთავისუფლება და პოლკში წესრიგის დამყარება (სცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 2:10).

1917 წლის 6 დეკემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შეხვდა სომხების ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებს. სხდომაზე იმს-ჯელეს, შემდგარიყო ქართველ-სომეხთა ეროვნული ჯარი, თითო კორპუსამდე. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ამ საკითხის დასმის აუცილებლობა გამოწვეული ყოფილა რუსის ჯარის მიერ ფრონტების დაცლის გამო. ამიტომ თავდაცვის მიზნით ეს ფრონტი ეროვნული ჯარებით უნდა გამაგრებულიყო. ამავე სხდომაზე გადაწყდა: „1. რაც შეიძლება მეტხანს დარჩნენ რუსის ჯარი კავკასიის ფრონტზე, 2. გამხ-რწნელი ელემენტები არ იქმნენ დაშვებული ფრონტებზე სააგიტაციოდ, 3. დაშუ-რებული იქმნას ეროვნულ კორპუსების შედგენა, 4. მოეწყოს სახალხო მილიცია სოფლად და მაზრებშიც, 5. წვრილ ეროვნებათ მიემართოთ წინადადებით, რომ ჩვენთან შეთანხმებით იმოქმედონ და საკუთარი ჯარიც შეადგინონ დასახმარებლად (ბერძნები, რუსები და სხვები) (სცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 2:11-12).

1917 წლის 7 დეკემბერს ეროვნული საბჭოს სხდომაზე კვლავ განიხილებოდა საკითხი - ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ. აკაკი ჩხენკელმა კრებას მოახსენა, რომ კომისარიატში მიღებული ყოფილა აქაური სამხედრო შტაბისგან

ცნობა, სადაც ნაჩვენებია იყო ერთი მხრივ ჯარის დემობილიზაციის საჭიროება „რადგან ფრონტის ჯარი უვარგისია“ და მეორე მხრივ ზომების მიღების საჭიროება რათა აცილებულიყო დარბევა შინ მიმავალი ჯარისაგან. ამავე სხდომაზე ცნობილი გახდა სამხედრო სექციის გადაწყვეტილება - „მოხალისეთა ჯარის შედგენისა და სახალხო მილიციის დაწესების შესახებ. სხდომაზე სამხედრო სექციამ გამოთქვა აზრი ქართული ჯარის ნაწილები სამხედრო გზის დასაკავებლად შემდეგ ქალაქებში გაეგზავნათ: ბათუმში, სოხუმში ახალციხეში, ლაგოდეხში და დუშეთში. სხდომამ გადაწყვიტა, ამ წინადადების შესახებ შესაბამისი განკარგულებები და ზომები ყოფილიყო მიღებული (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 2:13).

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 8 დეკემბრის სხდომაზე ანტანტის (სახელმწიფოთა) ელჩებთან ერთად იმსჯელეს ფრონტის დაცვასა და მობილიზაციის საჭიროების შესახებ. უცხოელი ელჩების აზრით, ფრონტი უნდა დაეცვათ ძირითადად ქართველებსა და სომხებს, მთავარსარდალი კავკასიისა და მოკავშირეთა ჯარებისა ერთი უნდა ყოფილიყო. ამ მთავარსარდალზე იქნებოდა დამოკიდებული ფრონტზე ჯარების განაწილების საქმე. ელჩების აზრით მობილიზაცია უნდა მომხდარიყო ნაწილ-ნაწილ რაიონებად: ჯერ ქართველებისა და სომხებისა და შემდეგ თათრებისა. ეროვნულმა საბჭოს წევრებმა შეხვედრისას აღნიშნეს: „ჩვენ რომ ოსმალის წინა უდგეთ, განმარტოებული ხომ არ დავრჩებით ან მოკავშირენი რაგვარ დახმარებას გაგვიწვევენ... მობილიზაციას ჩვენ ვერ მოვახდენთ, შემოვიღებთ სახალხო მილიციას, რომლისთვისაც მაინც იარაღი გვჭირია...“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1.საქმე 2:14-15).

ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შეხვედრას ანტანტის ელჩებთან ვახტანგ გურული ასე აფასებს: „ანტანტა ქართული რევოლუციური ჯარის შექმნას აჩქარებდა, მაგრამ შეიარაღების მოწოდებას არ აპირებდა. მით უმეტეს, შექმნილ სამხედრო - პოლიტიკურ სიტუაციაში ძნელი იყო გერმანიის დაინტერესება ქართული რევოლუციური ჯარის პრობლემით-თურქეთი გერმანიის ჯარის მოკავშირე იყო და, ცხადია, ეცდებოდა ქართული ჯარისათვის გერმანიას არ მიეწოდებინა შეიარაღება. ქართველი პოლიტიკოსებისათვის ცნობილი იყო, თუ როგორ აშკარა მტრული პოზიცია დაიკავა თურქეთმა გერმანიის დახმარებით თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონის შექმნისას. ჯერ-ჯერობით საქართველო თავის თავის იმედად უნდა ყოფილიყო“ (გურული, 1998: 12).

1917 წლის 9 დეკემბერს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ისევ გაგრძელდა მსჯელობა საერთაშორისო მდგომარეობაზე, ჯარების ნაციონალიზაციისა და ეროვნული ჯარების მობილიზაციის შესახებ. სხდომას ესწრებოდნენ: ნოე უორდანიას, კოტე მესხის, ნოე რამიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, პავლე საყვარელიძე და „სომხების ეროვნული საბჭოს“ პრეზიდენტი. სხდომაზე „ჯარების ნაციონალიზაცია“ მიღებული იქნა, „ეროვნული ჯარების მობილიზაცია“ კი - უარყოფილი (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 2 : 16).

1917 წლის 10 დეკემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს კრებაზე, სამხედრო სექციის წევრმა, დავით ვაჩნაძემ მოხსენება წარადგინა. მომხსენებელმა საბჭოს

გააცნო დაწვრილებითი ცნობები სექციის მუშაობის შესახებ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ როცა სამხედრო სექციამ ჩაიბარა ქართული ჯარის საქმე იმ დროს შედგენილი ყოფილა მხოლოდ ორი პოლკი. მე-3 და მე-5 ქართული პოლკების შედგენა კი ნელი ტემპით მიმდინარეობდა. სექციამ გადაწყვიტა ქართული ჯარის შედგენის დაჩქარების მიზნით შეემუშავებინა ზომები: წესიერების აღდგენა ჯარში, კულტურულ-განმანათლებლური მუშაობის დაწყება და სახალხო მილიციის პროექტის შემუშავება, რომელიც, მუდმივი საფუძველი იქნებოდა საქართველოს მომავალი ჯარისა. მისი აზრით ჯარის ნაწილების შევსების შეფერხება გამოწვეული იყო უწინარესად ფრონტებზე, ქართულ ჯარში, საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის არქონის გამო და აღნიშნა, რომ სწორედ ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით ფრონტზე იგზავნება მოწოდება. მომხსენებელმა სხვა დამაბრკოლებელი არგუმენტებიც მიიჩნია ქართველი ჯარისკაცების ფრონტიდან საქართველოში დაბრუნების მიზეზად და დასძინა: „როგორც ჩანს ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ელობებათ ქართველ ჯარისკაცებს წამოსასვლელად. ჩვენთვის დემობილიზაცია არ არის სასურველი. ამ კითხვის მოგვარება დავალებული აქვს შტაბის ნაწილს. ვეცადნეთ რომ ჩვენი ჯარების გადმოსვლას დასავლელი ფრონტიდან მიეცეს წესიერი ხასიათი. 1 ბათალიონი გაიგზავნა ბათუმში, 1 ბათალიონი ახალციხეში მიდის, იქ გაიშლება პოლკებად; გამოიგზავნება ქუთაისიდან ზუგდიდში იმ რაიონის (სამეგრელო-სოხუმის) დასაცავად. სამხედრო გზა ამ დღეებში გადადის ქართული ჯარის ხელში... მოწყობილობის მხრივ კი ბევრი რამ აკლია ჩვენს ჯარს, მეტადრე იარაღი. ამას ყველას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. მალე ბევრი ნაწილების ქონება განთავისუფლდება ან ჩვენს ხელში უნდა გადმოვიდეს, ამ საქმესაც პატრონი გაუჩინა სექციამ“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 2:6-7, ასევე გურული, 1998: 12-13).

დავით ვაჩნაძის მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოსულმა იოსებ გედევანიშვილმა შემდეგი ცნობები დაამატა: „კორპუსის შედგენა ფერხდებოდა იმით, რომ ხალხი ნელა მოდის ნაწილების შესავსებად. მთავრობაც, უფროსებიც გვისრულებენ ყოველივე მოთხოვნილებებს, მაგრამ ქვეით ერთეულებში არ ასრულებენ განკარგულებებს, მეტადრე დაბალი აფიცრები. ქართველი ჯარისკაცები ტერორის ქვეშ ჰყავთ, რადგან ნაწილების დაშლა აფიცრების უადგილოდ დარჩენას მოასწავებს და მათი ინტერესი ეწინააღმდეგება ჯარის ნაციონალიზაციას. იარაღი მიღებული გვაქვს. მთავარსარდალმა გასცა ბრძანება ქართველი ჯარის კაცების საქართველოში გადმოყვანის შესახებ. სპარსეთიდან ცხენოსანთა პოლკი მალე უნდა ჩამოვიდეს და დაიჭერს ავლაბარში ნიჟეგოროდის პოლკის ყაზარმებს. ზემგორის ქონება უნდა გადმოეცეს ეროვნულ ერთეულებს, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ავტომობილები და ველოსიპედები. შეგვიძლიან მივიღოთ ძალით, მაგრამ არასასურველს შედეგს მოიტანს. ქუთაისის რუსის ჯარის ქონება ჩვენ ჯარს უნდა გადაეცეს, მაგრამ სალდათები ქონებას არ იძლევიან, ჩვენია და თან უნდა წავიღოთო“ (გურული, 1998: 13).

ამ პერიოდში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მკვლევარი ალექსანდრე ბენდიანიშვილი აღნიშნავს: „ეროვნული საბჭოს წევრები,

გრძნობდნენ, რომ რუსეთის მთავრობა, გენერალიტეტი, ოფიცრობა ფაქტობრივად საბოტაჟს უწევდნენ ეროვნული ნაწილების ფორმირების საქმეს, მაგრამ უკან დახევას არ აპირებდნენ, ენერგიულად საქმიანობდნენ ქართული ეროვნული არმიისათვის მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელად“ (ბენდიანიშვილი, 2001: 82).

საარქივო დოკუმენტში, „სრულიად საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს რუსეთის ფრონტების ქართველ მხედართა კომიტეტის მოხსენება“, ვეცნობით ინფორმაციას ეროვნული საბჭოსა და რუსეთის ფრონტის ქართველ მხედართა კომიტეტის ერთობლივ თანამშრომლობის შესახებ. მათი ძირითადი მიზანი ქართველი მხედრების სამშობლოში დაბრუნება იყო. დოკუმენტში ვკითხულობთ:

1917 წლის 25 ოქტომბერს „28-ე კორპუსის ქართველ მხედართა კომიტეტმა“ მოიწვია ქართველ მხედართა დელეგატთა ფრონტის ყრილობა. ყრილობის მიერ არჩეული ფრონტის ქართველ მხედართა კომიტეტი შეუდგა ზრუნვას მთელი რუსეთის ფრონტების ქართველ მხედართა დელეგატთა ყრილობის მოწვევისათვის. საბოლოოდ გადაწყდა ყრილობა მოსკოვში მოეწვიათ. ფრონტის კომიტეტმა პოზიციებზე დაეზავნა ხალხი ფრონტების, არმიების, კორპუსების თუ დივიზიის შტაბებში, რათა მათ ყველა ნაწილისათვის ეცნობებინათ ყრილობის მოწვევის დღე და ადგილი. რუსეთის ფრონტების ქართველ მხედართა დელეგატთა ყრილობა 18 დეკემბერს გაიხსნა და 28 დეკემბრამდე გაგრძელდა. ყრილობამ, რომელსაც 91 დელეგატი დაესწრო, აირჩია კომიტეტი 30 კაცისაგან შემდგარი. კომიტეტს დაევალა რაც შეიძლება მოკლე დროში, ლეგალურად თუ არა ლეგალურად გამოეზავნათ ქართველი მხედრები რუსეთის ფრონტებიდან და მიემგებებინათ ისინი განსაცდელში მყოფ სამშობლოსთვის. კომიტეტმა ყრილობის დელეგატებს ილიკო დარჩიას მიერ მოსკოვში ჩამოტანილი ეროვნული საბჭოს მოწოდება გაატანა და მისცა განკარგულება, თუ როგორ უნდა ემსახურებინათ თავიანთ ნაწილებში. კომიტეტს თავისი 15 წევრიც კი გაუგზავნია სააგიტაციოდ.

ქართველი მხედრების თავმოყრა უნდა მოეხდინათ ზოგი ჩრდილოეთის ქართულ პოლკში, ზოგი მოსკოვში და ზოგიც ოდესაში მეორმოცე სათადარიგო პოლკში და თუ ისინი დასახელებულ ადგილებში არ მოინდომებდნენ გაეზავნათ, მაშინ წინდაწინ დამზადებული დოკუმენტებით პირდაპირ საქართველოსკენ გამოისტუმრებდნენ. მოხსენებაში ვკითხულობთ: „ერთი თვის მუშაობის შემდეგ პოზიციებზე თითქმის აღარავინ დარჩა ჩვენი თანამემამულეთაგანი. ამნაირად თითქმის კომიტეტმა შეასრულა ყრილობის დავალება... ფრონტებიდან კი გამოისტუმრა ქართ. მხედარნი, მაგრამ რუსეთის დიდი ქალაქები აივსო ქართველი მხედრებით, რომლებიც შეუერთდნენ იქ მყოფ ქართველებს და დაიწყეს მათთან ან სპეკულიანტობა ან ცარცვა გლეჯა რისთვისაც არა ერთი და ორი ახალგაზრდა ძაღლინით სავსე ქართველი გამოასალმეს წუთი სოფელს. მოსკოვში ერთ დღეს ოთხი (4) ქართველი მოკლეს“ (სეცსსა, ფ.1823, ად.2, საქმე 1: 100).

ქართული ჯარის შექმნის დასაწყისისათვის განვითარებული მოვლენების შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა საარქივო მასალა „განმარტებითი წერილი ძირითადი კანონისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ“,

სადაც ვკითხულობთ: 1917 წელს, გიორგობას, კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის ნებართვით დაწვებულ იქნა შედგენა ქართული არმიის კორპუსისა, როგორც კავკასიის ფრონტის ჯარების შემადგენელის ნაწილისა.

ამ დღიდან დაიწყო შედგენა მხოლოდ ორი ქვეითი და ერთი ცხენოსანი დივიზიისა, მაგრამ როდესაც იანვრის თვეში გამოირკვა საქართველოს დიდი მნიშვნელობა ახალციხე არტაანის მიმართულებისა, გადაწყვეტილი იქნა, იმავე დროს დაწვებულიყო შედგენა ქართველთა მესამე ქვეითი დივიზიისაც.

იმ დროს არა სახარბიელო გარემოებიდან გამომდინარე ფერხდებოდა ქართული კორპუსის, როგორც სამხედრო საბრძოლო ნაწილის ჩამოყალიბება. სამხედრო პოლკებში მიმდინარეობდა სხვადასხვა რყევები. ვრცელდებოდა ბოლშევიკური აზრები, რასაც ემატებოდა ჯარისკაცთა დეზერტირობა, რომელთაც შინ მიჰქონდათ ყველაფერი რაც მათთვის დიდი სიძნელით იყო შექმნილი (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 183: 9).

1917 წლის დასასრულისათვის ქართული რეგულარული ჯარის შექმნის საქმეს ვახტანგ გურული ასე აფასებს: ქართული რეგულარული ჯარის შექმნის მიზნით გაწეული გარკვეული მუშაობის მიუხედავად, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, შეიარაღებული ძალების მშენებლობის ტემპი და ხარისხი აშკარად არ იყო დამაკმაყოფილებელი. 1917 წლის 21 დეკემბერს ქართული რეგულარული ჯარის შექმნის საკითხი განიხილა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა. ნოე ჟორდანიას წინადადებით კომიტეტმა გამართა მსჯელობა ომის და ზავის შესახებ. ომის მდგომარეობის შესახებ მოახსენეს შტაბის უფროსმა გედევანიშვილმა და შემდეგ სამხედრო სექციის გამგემ რამიშვილმა, რომელთაც დახატეს არასასურველი მდგომარეობა ჯერ ფრონტისა, მისი ჯარისა, სურსათის მიწოდებისა და შემდეგ ქართული პოლკებისა, სადაც ჯარი ძალიან ნაკლებად მოდის ჩასაწერად. დასკვნა ასეთი იყო: ან ზავი უნდა მოხდეს ძალიან მალე, ან დავიცვათ მხოლოდ ჩვენი მახლობელი ფრონტი. გამოირკვა ის, რომ საჭიროა ამ მოკლე ხანში შეკრულ იქნეს მოპირდაპირესთან საბრძოლო ზავი, რადგანაც ყოველად შეუძლებელი ხდება მრავალ მოსაზრებათა გამო ომის წარმოება. გადაწდა: „ვინაიდან ჩვენი ჯარი მომზადებული არ არის საომრად და არც გვსურს ვისმე ვეომოდ, ამიტომ ჩვენი ჯარი არ გაიგზავნოს ძველი პოზიციების დასაცავად“ (გურული, 1998: 13-14).

რეგულარული ქართული ჯარის შედგენას ხელი შეუწყო უპირველესად მობილიზაციის გამოცხადების საჭიროებამ. ეროვნული საბჭოს სხდომებზე განიხილებოდა სამობილიზაციო პროექტები. 1917 წლის 26 დეკემბერს სამხედრო სექციის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს განსახილველ საკითხად წარუდგინა სამობილიზაციო პროექტები და აუხსნა საბჭოს მობილიზაციის გატარების აუცილებლობა. ნოე რამიშვილმა აღნიშნა, რომ ერთად ერთი საშუალება რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად და ქართველი ერის ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად ძლიერი ჯარის შედგენა იყო საჭირო. ამისთვის კი მობილიზაციის გამოცხადება აუცილებელ საჭიროებად დაასახელა. (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 3:1-2).

სამობილიზაციოდ წარდგინა ორი პროექტი. პირველი პროექტით ჯარში 19 წლიანები უნდა ყოფილიყო გაწვეული და მათთვის ყველანაირი შეღავათი უქმნებოდა. ეს პროექტი საქართველოში მცხოვრებ ყველა ერზე ვრცელდებოდა გარდა რელიგიით „მუსულმანებისა“. სამხედრო ბეგარა მათზე არ იყო გათვალისწინებული (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 3:1-2).

ეროვნული საბჭოს წევრები მოითხოვდნენ, რომ „ქართველი მუსულმანები“ სამხედრო ბეგარისაგან არ უნდა გათავისუფლებულიყვნენ. საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-4 კრებაზე ეროვნული საბჭოს წევრმა პავლე საყვარელიძემ ქართველი მაჰმადიანების შესახებ განაცხადა: „საჭიროა განხილულ იქნას საკითხი ქართველ მაჰმადიანების შესახებ. როცა ომი გამოცხადდა, იმათგან დრუჟინები იყო შედგენილი. მე მაქვს ცნობა, რომ აჭარაში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ქართველ მაჰმადიანთა შორის მუსულმანთა წარმომადგენელნი ხალხსა ჰკრეფდნენ, ფულს აძლევდნენ და განჯაში მიჰყავდათ რაზმებში ჩასარიცხად. ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ სხვამ არ ისარგებლოს ქართველ მაჰმადიანებით, როგორც სამხედრო მატერიალით. ეს საკითხი პასუხს თხოულობს (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 3: 12).

მეორე სამობილიზაციო პროექტი ითვალისწინებდა 32 წლის ასაკის და მათზე უფრო ახალგაზრდების ჯარში გაწვევას.

ნოე რამიშვილის მოსაზრებით კორპუსის შედგენა შესაძლებელი იქნებოდა 19 წლიანების გაწვევით, ყველა დეზერტირების უკანვე დაბრუნებით და აგრეთვე იმ სამხედრო სამსახურს ვალდებულ პირთა მოწოდებით, რომელნიც სახელმწიფო თავდაცვის სხვა და სხვა დაწესებულებაში მსახურობდნენ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 3:2).

1917 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე გაირკვა, რომ სომხების ეროვნულ საბჭოს საქართველოს ეროვნული საბჭოსათვის მიუმართავს წინადადებით ერთობლივი ძალით მოეხდინათ მობილიზაცია. სომხების ეროვნული საბჭოს სურვილი თურქების შემოტევებისაგან ერძინჯანის და კიდევ უფრო შორეული ფრონტის ხაზის დაცვა ყოფილა (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 3:2-3).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავდაპირველად 1917 წლის 6 დეკემბერს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მოხდა შეთანხმება სომხების ეროვნულ საბჭოსთან და გადაწყდა „დაშურებულ იქმნას ეროვნულ კორპუსების შედგენა“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 2:12). ხოლო 1917 წლის 21 დეკემბერს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, როცა გამოირკვა ფრონტზე ქართული კორპუსის შედგენის არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ გადაწყდა: „ვინაიდან ჩვენი ჯარი მომზადებული არ არის საომრად და არც გვსურს ვეომოთ, ამიტომ ჩვენი ჯარი არ გაიგზავნოს ძველი პოზიციების დასაცავად“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 2:24, ასევე გურული, 1998:14).

ეროვნულ საბჭოს სხდომაზე ნოე რამიშვილი თავის გამოსვლაში ამ გადაწყვეტილების შესახებ ამბობს: „ჩვენ დრწმუნებული ვიყავით და ვართ, რომ სამის წლის განმავლობაში ომისაგან მოქანცული ხალხი-უდრტინველად ვერ აიტანდა ახალს სამხედრო ბეგარას, განსაკუთრებით თუ შორეულ ადგილების დაცვას

მოკიდებდით ხელს, როგორც სომხები თხოულობდნენ, ე. ი ლაზეთ-ტრაპეზუნდის ხაზისას. აი ამ მოსაზრებით ჩვენ უარი ვუთხარით სომხებს მათ წინადადებაზე“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 3:3, ასევე ჭანტურია, 2004:138-139).

შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ქართველ პოლიტიკოსებს მიღებული გადაწყვეტილება შეაცვლევინა. ნოე რამიშვილი ამის შესახებ ამბობს: „მაგრამ თანდათან მდგომარეობა იცვალა გამოირკვა რომ ომის ფრონტი იცვლება. გარდა ამისა თვით შინ უკანასკნელ დროს ისეთი გარემოება შეიქმნა, მაგალითად განჯის ამბები, ბლშევიკების მოქმედება, რომ ჯარის გაძლიერება აუცილებელი ხდება დროებით მაინც. თუ ჩვენი ხალხი ტრაპეზუნდის და ლაზეთის დაცვისათვის არ გაემართება - არა მგონია, - გულგრილად დარჩეს ვინცოთაა მტერი ბათუმისკენ გამოილაშქრებს, ან ქუთაისში შემოსვლას დაგვეშუქება. - ამისთანა საფრთხე კი ასე თუ ისე საფიქრებელია. - მაშასადამე საჭირო ხდება მობილიზაცია. ამასთანავე ხალხს უნდა შეეუმსუბუქოთ ახალი ტვირთის გაწევა. ამიტომ განზრახულია -ჯარი ადგილობრივ მაზრებში შესდგეს, მაგალითად თელავში, რაჭაში, გურიაში და სხვაგან. მხოლოდ შემდეგში დისლოკაცია შეიცვალოს რაზმების აქა-იქ გადაყვან-გადმოყვანით. ამრიგად - ახალი ტვირთი ხალხისათვის არ იქნება მეტის მეტად საგრძნობი“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 3: 3, ასევე ჭანტურია 2004:139).

საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-IV სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ მობილიზაციით ჯარში გაწვეულთა რიცხვი 19 წლის ასაკის 12 000 კაცი უნდა შეგროვილიყო, ამდენივე უნდა გაეწვიათ 32 წლიანების კატეგორიაც. სრული კორპუსის შესადგენად საჭირო ყოფილა 27 000 კაცის გაწვევა. ჯარის შესანახი ხარჯი მთავრობას უნდა გაეღო.

ეროვნული საბჭოს წევრები მსჯელობდნენ, თუ როგორ უნდა მოხერხებულიყო ხალხში მობილიზაციის სასაჭიროების ცნობის მიტანა. აღნიშნეს რომ მობილიზაციის საქმის დაყოფნება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ამის ჩაშლით ეროვნული საბჭოს სახელი და პრესტიჟი დაეცემოდა, ამიტომ ეროვნული საბჭოს მოქმედება მორალურ გავლენაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. თუ საკითხი კარგად იქნებოდა განმარტებული ორ მილიონიან საქართველოს ერთი კორპუსის შედგენა არ უნდა გაძნელებოდა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-4 კრებაზე დაისვა საკითხი, რომ პროექტი მობილიზაციის შესახებ დროებით მოხსნილიყო, რათა ხალხში საჭირო პროპაგანდა მომზადებულიყო. მობილიზაციის პროექტებთან დაკავშირებით ეროვნული საბჭოს წევრმა ნიკოლოზ ქარცივაძემ განაცხადა: „უმჯობესია პროექტები დროებით მოხსნათ, ჯერ პარტიულ ორგანიზაციებში გავატაროთ და მერე, როდესაც ხალხში ნიადაგი მომზადებული იქნება მათ მისაღებად, - მივიღოთ განსახორციელებლად. დროის განსაზღვრა მომზადებისათვის შეუძლებელია და საჭიროც არ არის, რადგან ყოველი ჩვენგანი გრძნობს, რომ დაყოფნა ერთი წუთითაც არ შეიძლება“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 3:16).

ეროვნული საბჭოს მე-4 კრებაზე გამოითქვა მოსაზრება სახალხო მილიციის დაარსების შესახებ. ეროვნული საბჭოს წევრების ნაწილი მიიჩნევდა, რომ სახ-

აღსო მილიციის შედგენა არავითარ ხარჯს არ გამოიწვევდა, რადგანაც მილიციის რაზმები ადგილზე იქნებოდნენ დაბანაკებული და მეცადინეობის შემდეგ სახლში დაბრუნდებოდნენ. მილიციელთა მოქმედება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებთან უნდა შეეთანხმებინათ. მხოლოდ ინსტრუქტორების შესანახი ხარჯი იყო საჭირო, რომელსაც (ადგილობრივი) საბჭო გაიღებდა (ჭანტურია, 2006: 45).

სახალხო მილიციის შედგენას არ დეთანხმა ეროვნული საბჭოს წევრი ექვთიმე თაყაიშვილი და აღნიშნა: „...დიდი განსაცდელის წინაშე ვდგავართ. საჭიროა დაუყოვნებლივ სამხედრო ძალის შედგენა. ეს იმას როდი მოასწავებს რომ ვისმეს ბრძოლას ვუპირებთ - ეს მხოლოდ თავის დაცვის სურვილია და სხვა არაფერი“ (სეცსსა, აღ1, საქმე 3:18). სამხედრო სექციის წევრმა, დავით ვაჩნაძემ, კი აღნიშნა რომ სახალხო მილიციის წინასწარი დაარსება ძირშივე ჩაჰკლავს კორპუსის შედგენის საქმეს „როცა სახალხო მილიციის დაარსებას შევუდგებითყველა ისე გაიგებს, რომ კორპუსი საჭირო აღარ არის და იმის მაგივრობას მილიცია გასწევს... სანამ კორპუსი არ გეყოლებათ მილიციის განხორციელება, როგორც ნამდვილ სამხედრო ძალისა შეუძლებელია ...წინასწარი დაარსება მილიციისა ძირშივე ჩაჰკლავს კორპუსის შედგენის საქმეს. აქამდისაც ძლივს ვაჩერებდით ჯარში მყოფთ. ახლა ხომ არავითარი იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ფრონტებიდან დაბრუნებული ჯარისკაცნი ახლოს მოგვეკარებიან, ყველანი სოფლად წავლენ და იქ მილიციაში ჩაირიცხებიან. - ჩემის აზრით, უწინარეს ყოვლისა კორპუსი უნდა შესდგეს და მილიციაში მხოლოდ დამატებითი ძალები ჩაირიცხოს...“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 3: 20).

1917 წლის 30 დეკემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მე-V სხდომაზე ხელახლა დააყენა განსახილველ საკითხად ორი სამობილიზაციო პროექტი. სამობილიზაციო პროექტები წარადგინა სამხედრო სექციის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა, რომელმაც აღნიშნა: „მობილიზაცია იქმნება მოკლე ვადიანი იმ მოსაზრებით, რომ ხალხს საშუალება მივცეთ მუდმივ ჯარის ყოლისაგან გადავიდეს სახალხო მილიციის წესზე. როგორც მოგეხსენებათ, სახალხო მილიციაში ჩაირიცხებიან -18 წლიდან მოყოლებული - 40-50 წლამდე იმათ გარეშე, ვინც რეგულარულ ჯარში არ მსახურებს. მაგრამ, სანამ სახალხო მილიციას შევადგენდეთ ჯარის ყოლა აუცილებელი ხდება, რათა დავიცვათ რევოლუციის მონაპოვარი და შინაური წესრიგი. რაც დღე გადის - ანარქია თან და თან უფრო ვრცელდება და ჩვენს ქვეყანასაც ედება. ამ დღეებში განჯის ამბებმა იჩინა თავი და ჩვენთვისაც საფრთხეს ამზადებს. ეროვნულმა საბჭომ უკვე რამდენჯერმე გამოსთქვა ის აზრი, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ამის გაგრძელება. უკიდურეს შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით დავიცვათ ჩვენი ქვეყნის საზღვრები-საჭიროა, რაც შეიძლება მაღე ჩამოვარდეს ზავი. ასეთი დადგენილება მიიღეს სამხედრო სექციამ და აღმასრულებელმა კომიტეტმა... ამრიგად, ჩვენ დავადგინეთ მოწვეულნი იქმნენ ექვსის თვით როგორც 19 წლიანები, აგრეთვე ვინც უკვე მსახურობდა ჯარში, ე. ი. ისინი ვინც გაწვეულნი იყვნენ, მაგრამ რამე მიზეზით ან არ გამოცხადნენ ჯარში, ან გამოცხადნენ, მაგრამ შემდეგ ჯარიდან

გაიქცნენ.-ჩვენ ვფიქრობთ, ამით საკმაოდ ძალას შეგვკრებთ, რომელიც შეძლებს დაიცვას შინაური წესრიგი და გარედან მოსალოდნელი საფრთხე“ (სცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 3:31-32, ასევე ჭანტურია, 2004:141).

სამხედრო სექციის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ჯარში ნამსახურებ გამოცდილ პირებზე, მათზე ვინც სამი წლის განმავლობაში მსახურობდა. ეს კატეგორია მხოლოდ დასვენების ვადის გასვლამდე უნდა დარჩენილიყვნენ სახლში. ასევე დიდი ყურადღება ექცეოდა არტილერიისტების გაწვევას ჯარში (სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 3:32).

1917 წლის 30 დეკემბრის ეროვნული საბჭოს სხდომაზე დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი კატეგორიის ადამიანებს ექნებოდათ შეღავათები ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით. ერთადერთი ფაქტორი, რომელიც წვევამდელს ჯარისაგან იხსნიდა, მხოლოდ ავადმყოფობა იყო, მაგრამ არა ყველანაირი. ამიტომ პროექტის სათანადო მუხლსა და შენიშვნას იმ ავადმყოფთა ნუსხას დაურთავდნენ, რომლებიც ჯარში გასაწვევთა კატეგორიას შეღავათს აძლევდა. ეროვნულ კრებაზე განიხილეს, აგრეთვე, სასულიერო პირების სამხედრო ბეგარისადმი დამოკიდებულების საკითხი. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მათ მიმართ სამხედრო ბეგარა განხორციელდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჯარში სამსახურის სურვილს გამოთქვამდნენ (ჭანტურია, 2004 23:142-143).

ეროვნულ საბჭოში აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მობილიზაციის დაწყების თარიღად 15 იანვარი დასახელდა და გადაწყდა: „საბჭო იღებს მოწვევის ვადათ-15 იანვარს“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 3:12). ამავე კრებაზე დაკონკრეტდა მიზანი მობილიზაციის საჭიროებისა და დასახელდა მისი მოქმედების, განხორციელების ტერიტორია. კრების თავმჯდომარე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ჩვენ ჩვენის ქვეყნის საზღვრებს არ გავცილდებით - ჩვენ მობილიზაციას მოვახდენთ შინაურ წესრიგის დასაცავად და გარედან მტრის შემოსევისაგან ქვეყნის დასაფარავად. - ჩვენ ჩვენს მოწოდებაში ვიტყვით ამის შესახებ“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 3:41).

საარქივო მასალაში არ არის აღნიშნული თუ სად უნდა განხორციელებულიყო მობილიზაცია, სად უნდა ყოფილიყო მისი მოქმედების საზღვრები, არ არის დაკონკრეტებული რომელი ტერიტორია იგულისხმებოდა „ჩვენი ქვეყნის საზღვრებში“. ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია 1918 წლის 1 მარტს ამიერკავკასიის სეიმის დადგენილება, რის საფუძველზეც ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო ის სახელმწიფო საზღვრები, რომელიც არსებობდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომის გამოცხადების დროს, 1914 წელს (ნოზაძე, 1989: 17). ეს კი გულისხმობს 1878 წლის 1(13) ივლისის ხელშეკრულების (ბერლინის ტრაქტატი) პირობებს, რომელსაც ხელი მოაწერა შვიდმა ქვეყანამ: რუსეთმა ინგლისმა საფრანგეთმა, ავსტრია-უნგრეთმა, გერმანიამ, იტალიამ და ოსმალეთმა (გურული, 20015: 28). ამდენად, 1917 წლის 30 დეკემბერს ეროვნული საბჭოს სხდომაზე დასახელებული „ჩვენი ქვეყნის საზღვრები“, სადაც უნდა განხორციელებულიყო მობილიზაცია ბერლინის ხელშეკრულების პირობებს უნდა გულისხმობდეს.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-V კრებაზე კამათის საგანი გახდა თუ

ვის უნდა გამოეცხადებინა მობილიზაცია - კომისარიატს თუ ეროვნულ საბჭოს. სამხედრო სექციის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა ეროვნული საბჭოს უფლება მობილიზაციასთან დაკავშირებით დააზუსტა და აღნიშნა, რომ ეროვნულ საბჭოს შეუძლია მხოლოდ ცალკე მოწოდება გამოსცეს, სადაც ხაზგასმით იქნება აღნიშნული: მობილიზაციას ვახდენთ ჩვენის ფიზიკური არსებობის დასაცავად და რევოლუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად (სეცსსა, ფ.1836, აღ1, საქმე 3: 38-41). 1918 წლის 2 იანვარს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ჟურნალიდან ირკვევა, რომ მოწოდების შედგენა მობილიზაციასთან დაკავშირებით დაევალია ნოე ჟორდანიას (სეცსსა, ფ.1836 აღ1. საქმე 2:29).

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელით „ქართველი ერისადმი“ გამოქვეყნებული მოწოდებაში ნათქვამია: „ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტი დარწმუნებულია, რომ მთელი ქართველი ერი, საქართველოს ყველა მოქალაქე, განსაკუთრებით კი ერის ბურჟო-დემოკრატია მხურვალედ გამოეხმაურება მის მოწოდებას, ერთსულოვნად აღუთქვამს სრულ ნდობას და აღმოუჩენს ზნეობრივ და ნიეთიერ დახმარებას დიდი საქმის განხორციელებაში...დადგა დიდი წამი, როდესაც ყოველმა თქვენგანმა პირნათლად უნდა შეასრულოს თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა სამშობლოს და რევოლუციის წინაშე. დადგა დრო როცა ყველა თქვენგანი იარაღით ხელში დარაჯათ უნდა დაუდგეს სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას ...დაიცვას ჩვენი პატარა ქვეყანა გარეშე შემოსევის და შინაური არევისაგან...“ (სეცსსა, ფ.1823, აღ2, საქმე 1:296).

ეროვნული საბჭოს მოწოდება რუსეთის ფრონტების ქართველ მხედართა კომიტეტსაც გაეგზავნა, რომელმაც თავის მხრივ მუშაობა გაწია ეს მოწოდება ფრონტებზე ქართველ მხედრების ნაწილებში გავრცელებულიყო (სეცსსა, ფ.1823, აღ2, საქმე 1:100).

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მიაღებინა გადაწყვეტილება, რომ გამოცხადებული მობილიზაცია დაუყოვნებლივ განხორციელებულიყო. 1918 წლის 27 თებერვალს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე აღექსანდრე დგებუაძემ განიხილა საკითხი ბათუმის მდგომარეობის შესახებ. გამოიჩინა, რომ ოსმალეთისაგან ბათუმს მოელოდა საშიშროება, ამიტომ საჭირო იყო ბათუმში ჯარის გაგზავნა. ამავე სხდომაზე იმსჯელეს დასავლეთ საქართველოში აგიტაცია გაწეულიყო სამშობლოს თავისუფლებისა და რევოლუციის დასაცავად, შეედგინათ მოხალისეთა რაზმები, განეხორციელებინათ უკვე გამოცხადებული მობილიზაცია 19-დან 25 წლამდე. ასევე გადაწყდა: გამოცხადებული მობილიზაცია უნდა განხორციელებულიყო დაუყოვნებლივ. შემდგარიყო მოხალისეთა რაზმები, რომლებიც გაიგზავნებოდნენ ქალაქ ბათუმში. ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად უნდა გაგზავნილიყო ყველა პარტიიდან წარმომადგენლები ეროვნული საბჭოს სახელით: ა. ჭუმბაძე, მ. საყვარელიძე, რ. ჩიხლაძე, აღ. ლომთათიძე, კ. ჭუმბურიძე, ბ. საღაყაია, კ. ქეთარაძე, ნ. რამიშვილი, მიხ. ციციქიშვილი, ლ. შენგელია, დ. სულიაშვილი (სეცსსა, ფ.1836, აღ 1, საქმე 2: 47).

ეროვნული საბჭო ქართული ჯარის შექმნის ხელშესაწყობად დაფინანსების საკითხსაც შეძლებისდაგვარად აწესრიგებდა. ჩვენ მიერ მოკვლეულ საარქივო დოკუმენტებში ამასთან დაკავშირებით არაერთი მასალაა წარმოდგენილი. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 11 იანვრის სხდომაზე განსახილველ საკითხად წარმოდგენილი იყო: სამხედრო სექციის მოწერილობა 1917 წლის 27 დეკემბრის თარიღით, სადაც იგი ითხოვდა შტაბის მოსაწყობად 13 000 მანეთს. ამავე კრებაზე განიხილეს ასევე სამხედრო სექციის მოწერილობა 1918 წლის 7 იანვრის თარიღით, სადაც ითხოვდა 20 000 მანეთს ერთდროულად დახმარების მიზნით. აღმასრულებელმა კომიტეტმა ორივე თხოვნა დააკმაყოფილა (სეცსსა, ფ. 1836, საქმე 2 : 33-34).

1918 წლის 17 მარტს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა სამხედრო სექციის გამგის ნოე რამიშვილის წინადადება მობილიზაციისათვის საჭირო 2 000 მანეთის საჭიროების შესახებ. დადგინდა: „მობილიზაციისათვის საჭირო 2 000 მან. გადაიდოს ეროვნული საბჭოს თანხიდან, რომელიც გადაეცეს ეროვნული საბჭოს წევრს ვლად. ჯიბლაძეს დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 2:53).

1918 წლის 9 მაისს კი ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა თავდაცვის კომისიის მოთხოვნა, რომ პოლკოვნიკ კარგარეთელს სამხედრო საბჭოებისათვის 20 000 მანეთი გადაეცემოდა. დადგინდა „დაევალოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ. ლასხიშვილს მოელაპარაკოს სამხედრო მინისტრს ამის თაობაზე, რომ მთავრობამ მისცეს ეს ფული“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 2: 62).

ეროვნული საბჭო ფინანსურად უზრუნველყოფდა ასევე ფრონტიდან ქართველ მებრძოლების დაბრუნების საქმესაც. 1918 წლის 7 იანვარს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განიხილეს „სამხედრო კომისარის ვაჩეიშვილის ტელეგრამა კიევიდან იქაური ამბების შესახებ, სადაც იგი თხოულობს 20 ათას მანეთს ჯარის გადმოყვანის შესახებ და უკრაინასთან პირობების შეკვრის თაობაზე“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 2:31). ამავე სხდომაზე გადაწყდა: „ეცნობოს ვაჩეიშვილს, რომ დროებით ისეხოს 20 ათასი მანეთი იქვე, მისი მოწერილობის თანახმად, ფული 20 იანვრამდის გაეგზავნება ტექნიკურ დაბრკოლებათა აცილების შემდეგ...“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 2:31).

საქართველოს ეროვნული საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი და სამხედრო სექცია აანალიზებდა შექმნილ კრიტიკულ სიტუაციას, რის საფუძველზეც 1917 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: ქართული რევულუციური ჯარის შექმნისათვის აუცილებელი იყო ახალი სამხედრო დოქტრინის, ახალი კონცეფციის შემუშავება. სწორედ ახალი დოქტრინის საფუძველზე უნდა შემუშავებულიყო ქართული რევულუციური ჯარის რეორგანიზაციის პროექტი. ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტის შემუშავებელი კომისიის თავმჯდომარედ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დანიშნა გენერალ-ლეიტენანტი ვასილ გაბაშვილი, მდივნად პორუჩიკი სოლომონ ზაღდასტანიშვილი. კომისიაში შევიდნენ ქართველი გენერლები და უფროსი ოფი-

ცრები. კომისიის წევრი იყო გენერალური შტაბის პოლკოვნიკი გიორგი კვინიტაძე (გურული, 1998: 16).

1917 წლის 27 თებერვალს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა ვასილ გაბაშვილისა და გიორგი კვინიტაძის მიერ შემუშავებული „ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი“. 1917 წლის 17 მარტს ვასილ გაბაშვილმა და გიორგი კვინიტაძემ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარუდგინეს პროექტის საბოლოო ვარიანტი. „ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი“ შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: 1. ჯარის ფორმირების ძირითადი დებულებანი; 2. ქართული ჯარის ორგანიზაცია; 3. ჯარის დაკომპლექტება; 4. ოფიცერთა შემადგენლობა; 5. წესდებათა გდამუშავება; 6. შეიარაღება, სურსათი, აღჭურვილობა და დაბინავება; 7. ჩაცმულობა; 8. დასვენა (გურული, 1998:16-17). ამათგან ყურადღებას გავაძახვილებთ პროექტის პირველ და მეორე ნაწილზე:

ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტის“ პირველ განყოფილებაში ჯარის ფორმირების ძირითადი დებულებანი ქართული სამხედრო დოქტრინის ზოგადი პრინციპებია განსაზღვრული (გურული, 1998: 17-19). ვასილ გაბაშვილი და გიორგი კვინიტაძე აცალიბებდნენ რა ქართული ჯარის ფორმირების ძირითად პრინციპებს, მათი მოსაზრებით ქართული რევულარული ჯარი უნდა შექმნილიყო შემდეგი დებულების დაცვით:

I. ჯარის მშენებლობის, ორგანიზაციის, დაკომპლექტების, მომარაგებისა და სხვა საქმეში ჩამბული უნდა იქნას ისეთი ადამიანები, რომლებიც სავსებით კომპეტენტურნი არიან ამ საკითხების გადაწყვეტაში. ამ დებულების სრულყოფისთვის, რამდენიმე პუნქტის სახით ის აუცილებელი პირობებია მოცემული, რომელიც ამ პირველ დებულების შესრულებისთვის იყო საჭირო. ამ პუნქტებიდან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან უნდა შექმნილიყო სამხედრო საბჭო რომლის გამგებლობაში თავს მოიყრიდა ყველა ის საკითხები, რაც შეეხებოდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. ხაზგასმული იყო ის, რომ თუ კი სამხედრო საბჭოს პროექტს, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაიწუნებდა განსახილველად ეროვნულ საბჭოში გადადიოდა. ამის შემდეგ ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტი შეიძენდა კანონის ძალას და ბრძანების ფორმით გამოცხადდებოდა ქართულ ჯარში. II. არმია უნდა იდგეს ყოველგვარი პოლიტიკური და პარტიული აგიტაციის მიღმა, პარტიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ პოლიტიკურ და პარტიულ ორგანიზაციას. III. მეთაურის ძალაუფლების სრულად აღდგენა. IV. სამხედრო ნაწილებში დაარსდეს ჯარისკაცთა ღირსების სასამართლოები. V. არმიაში მოისპოს ყოველგვარი არჩევითი კომიტეტები. VI. გამოქვეყნდეს ეროვნული საბჭოს დადგენილება, პროექტისადმი თანდართული „სამხედრო მოსამსახურეთა უფლება-თა და მოვალეობათა დამტკიცების შესახებ“ (გურული, 1998: 19-20).

ვახტანგ გურულმა „ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტის“ პირველი განყოფილება - „ჯარის ფორმირების ძირითადი დებულებანი“ - ასე შეაფასა: „სავსებით შეესაბამებოდა ცივილიზებული ქვეყნების შეიარაღებული ძალების

ფორმირების პრინციპებს. ეს დებულებანი მიმართული იყო იქითკენ, რომ მოლი-
ანად ამოეძირკვათ 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდგომ რუსე-
თის ჯარის კვალობაზე ქართულ კორპუსში დამკვიდრებული, დაკანონებული თუ
დაუკანონებელი წესები, რომელთა ერთობლიობა საბოლოო ჯამში ხრწნიდა ჯარს,
აქცევდა მას ბრძოლის უუნარო და ამავე დროს საკუთარი ქვეყნისათვის საშიშ
სოციალურ ორგანიზმად“ (გურული, 1998: 21).

„ქართული ჯარის რეორგანიზაციის“ მეორე განყოფილება - „ქართული ჯარის
ორგანიზაცია“ - ქართული სამხედრო დოქტრინის შემადგენელ ნაწილს წარმოად-
გენს, რომელშიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მოცემულია შემდეგი:
„საქართველოს არმიის ან კორპუსის სარდლად დანიშნულ პიროვნებას უნდა დაე-
მორჩილოს საქართველოს მთელი შეიარაღებული ძალები, კერძოდ: არმია (საველე
ჯარი), ბათუმის ციხე-სიმაგრე, ფლოტი, სასახლვრო ჯარები, სანაპირო დაცვის ჯარი
და სათადარიგო ნაწილები. სარდალი უშუალოდ ემორჩილება საქართველოს უმა-
ღლეს ხელისუფლებას“. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა შედგებოდეს
რეგულარული (მუდმივი) ჯარისაგან და რეზერვისაგან“.

პროექტში საქართველოს საველე არმიის შემადგენლობა იყო განსაზღვრული.
პროექტი შექმნილი სამხედრო პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საქართვე-
ლოს სამხრეთის საზღვრების დაცვის მიზნით ითვალისწინებდა ორი მიმართულებით
ჯარების განლაგებას: პირველი. ბათუმი – ტრაპეზუნდი - ზღვის სანაპირო; მეორე.
ხალციხე – არდაგანი - ოლთისი.

ვახტანგ გურული ქართული სამხედრო დოქტრინის პირველი დოკუმენტის -
„ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტს“ ასე აფასებს: „გენერალ-ლეიტენანტ
ვასილ გაბაშვილისა და გენერალური შტაბის პოლკოვნიკის მიერ შედგენილი
„ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი ქართული სამხედრო ხელოვნების
უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტია. პროექტის განხორციელების შემთხვევაში,
რაც საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდსა და შესაბამის მატერიალურ უზრუნველყო-
ფას ითხოვდა, საქართველოს ეყოლებოდა ბრძოლისუნარიანი რეგულარული ჯარი,
რომელიც შესძლებდა ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას“ (გურული, 1998:
20-25).

შექმნილმა საერთაშორისო მდგომარეობამ, ამიერკავკასიის ფრონტის აშკარა
განხეთქილებამ და ჯარის არარსებობამ საქართველო ახალ გზაზე დააყენა. ამ-
იერკავკასიის სეიმის მიერ დამტკიცებული ჯარების ორგანიზაცია ამიერკავ-კა-
სიის მასტაბით იყო შემუშავებული, რომელიც იყო შემდგარი ომის წარმოების
გარემოებების მიხედვით (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1. საქმე 193: 6).

განმარტებით წერილში „ძირითადი კანონისათვის საქართველოს შეიარაღების
ძალების შესახებ“, აღნიშნულია თუ როგორ ხდებოდა ძველი რუსული მმართვე-
ლობიდან ახალი, შესაფერისი, ჯარის მმართველობისა და მოწყობის ფორმების
შექმნა. დოკუმენტში ამის შესახებ ვკითხულობთ: „კორპუსმა, როგორც სატაქტიკო
ერთეულმა, რომელიც სხვა კორპუსებთან ერთად-ამიერკავკასიის ჯარების შემად-
გენლობაში შედიოდა, დაჰკარგა თავის მნიშვნელობა, კორპუსის კომანდირის თა-

ნამდებობა გაუქმებულ იქმნა და ჯარები დაექვემდებარენ მთავრობისაგან ცალკე დანიშნულ სარდალს, რომელიც მასთანვე სამხედრო მინისტრის თანაშემწედ იყო. უმაღლესი მმართველობა მემკვიდრეობით დარჩა. რუსული და კორპუსის შტაბი გადაკეთებულ იქმნა საქართველოს რესპუბლიკის საველე შტაბად, ამავე დროს მთელი კრება-მოწყობა და სპეციალად ტექნიკური ნაწილი გამოყოფილ იქნენ და გადაეცნენ განსაკუთრებულ ინსპექტორებს სპეციალობის მიხედვით და კვება-მოწყობის უფროსს... ეხლა, როდესაც უმეტესი ნაწილი საქმეებისას, რომელნიც მიღებულნი არიან კავკასიის რუსის ჯარის სამმართველოსაგან, ცოცხლად ლიკვიდაცია უკეთდება და ჩვენ შევუდევით ჩვენის ახლის მმართველობის შექმნას, შესაძლებელი შეიქმნა შემუშავებულ იქმნას სახელმწიფოს ცხოვრებისათვის უფრო შესაფერი ჯარის მმართველობის და მოწყობის ფორმები“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 183:9).

ეროვნული საბჭოს მიერ გაწეულ მუშაობას რეგულარული არმიის ჩამოყალიბების შესახებ აღექსანდრე ბენდიანიშვილი ასე აფასებს: ქართული ეროვნული კორპუსის და სხვა საჯარისო ერთეულების შექმნისათვის საკმაოდ ნაყოფიერად საქმიანობდა ეროვნული საბჭო, მასთან არსებული სამხედრო კომისია. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნული არმიის შექმნის საქმე უფრო მკვიდრ (სამართლებრივ) საფუძველზე დადგა. ახალშობილი რესპუბლიკის შინაპოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა თავიდანვე დიდი სირთულით ხასიათდებოდა და მისი უშიშროების დაცვისათვის, რა თქმა უნდა, არ კმაროდა მოხალისეთაგან დაკომპლექტებული სახალხო გვარდია. გადაუდებელ აუცილებლად გამოცხადდა რეგულარული არმიის ჩამოყალიბება, საერთოდ სამხედრო საქმის მაღალ დონეზე დაყენება (ბენდიანიშვილი, 2001:114).

მას შემდეგ, როდესაც ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ ოფიციალურად დაადასტურა გერმანიის ფაქტორზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკური კურსი (1917 წლის 14 მაისი), გერმანიას საშუალება მიეცა საქართველოსთვის მხარდაჭერა და თანადგომა ღიად გამოეხატა. „1918 წლის 8 ივნისს ფოთში ჩამოვიდა პირველი გერმანული სამხედრო ქვეგანაყოფი, სულ 1080 ჯარისკაცი და ოფიცერი-გერმანულ ბატალიონებს ქართველები დიდი ზეიმით შეხვდნენ. 11 ივლისს ჩატარდა გერმანულ-ქართული ჯარების აღლუმი. ბატალიონებს მოჰყვა გერმანელთა სამხედრო მისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გენერლები - ფონ კრესენშტაინი, ფონ ლოსოვი, კაპიტანი ეგვაგენ კრიგერი, გრაფი შულენბურგი და დოქტორი დენვერი. მალე საქართველოში მყოფ გერმანელ სამხედროებს დაემატა 1100 ჯარისკაცი, რომელიც ახალ სარდალს ფონ ჰოლცს ჩამოჰყვნენ. აგვისტოში გერმანული ჯარის რაოდენობამ 5 000 კაცს გადააჭარბა. მათი ზრდის პროცესი კვლავ გაგრძელდა და სექტემბრის შუა რიცხვებში უკვე 19 ათას კაცს შეადგენდა. გერმანიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა რესპუბლიკის სამხედრო ორგანიზაციის საქმეში. ამასთან, მათ მხარი უნდა დაეჭირათ ადგილობრივი მთავრობისათვის და გაენეიტრალებინათ თურქეთ-რუსეთის კავკასიური ინტერესები. გენერალ კრესენშტაინს ივნისში დამატებით გადაეცა 222-ე საველე ჰოსპიტალი, 201-

ე სატვირთო ავტოკოლონა და 28-ე ავიარაზმი. მრავალრიცხოვანი იყო გერმანული დელეგაციაც. სხვადასხვა რანგის ოფიცრებისა და სპეციალისტების რიცხვი 150-ს აღწევდა“ (დაუშვილი...,2012:62-70).

საქართველოს გერმანია ეხმარებოდა ჯარის მშენებლობის საქმეში. საქართველო ჯარის შესაქმნელად საჭიროებდა როგორც გამოცდილ მრჩეველს, ისე ტექნიკურ საშუალებებს, რის უზრუნველყოფაც გერმანიას შეეძლო. ერთად გაწეული მუშაობის შედეგად შეიქმნა სამი ძირითადი კანონპროექტი სამხედრო საქმეების შესახებ: 1. ჯარის მოწყობის კანონი, 2. შევსების კანონი და 3. უმაღლესი მმართველობის კანონი (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 183:10).

საქართველოსა და გერმანიის მიერ ერთობლივად შემუშავებულ ჯარის მმართველობის ორგანიზაციის პროექტთან დაკავშირებით, სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე ასეთ ცნობას გვაწვდის: „როდესაც ჩვენი საქართველო გამოცალკევდა, საჭირო გახდა ჩვენი თავისი კანონპროექტი შეგვედგინა რესპუბლიკის ჯარის საორგანიზაციოდ... გერმანელების გენერალი ფონ კრესი ჩემ უთხოვნელად დამპირდა პროექტს სამხედრო მმართველობის ორგანიზაციისას. მე რასაკვირველია მადლობა ვუთხარი და აი, კიდევ მოგვივიდა მათი პროექტი. ჩვენმა შტაბმა ამითაც ისარგებლა და უკანასკნელად შეიმუშავა თავისი სქემა, რომელიც მე წარვადგინე მთავრობასთან განსახილველად და დასამტკიცებლად“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 193:6).

ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომის ოქმებიდან ირკვევა, რომ კანონპროექტის განხილვა ხდებოდა როგორც ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის კრებაზე, ასევე მთავრობისა და სამხედრო კომისიის წევრების ერთობლივ სხდომებზეც. მთავრობასთან შეერთებულ კრებაზე უკანასკნელად შემუშავებული კანონპროექტი ისევ სამხედრო კომისიას უბრუნდებოდა. საჭიროების შემთხვევაში სამხედრო კომისიას თავის მხრივ შესწორებები შეჰქონდა, რის შემდეგაც უკვე ეროვნულ საბჭოს გადაეცემოდა განსახილველად (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 193: 6-11).

რეგულარული არმიის საჭიროება ძირითადი მოტივი იყო, რითაც ხელმძღვანელობდა სამხედრო კომისია. საერთაშორისო მდგომარეობიდან გამომდინარე, მაშინ როდესაც მიმდინარეობდა მსოფლიო ომი, გასათვალისწინებელი იყო მთელი რიგი გარემოებანი. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა არ იძლეოდა საშუალებას მშვიდობიანად ცხოვრებისა (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 183: 10). ეროვნული საბჭოს 17 ივლისის სამხედრო კომისიის სხდომაზე გენ. გედევანიშვილმა ამის შესახებ აღნიშნა: „შეხედეთ ჩვენს საზღვრებს და მეზობლებს - ლეკები, თათრები, ქისტები, ოსები და სხვა. ესენი ხომ ყოველთვის მოსვენებას არ მოგვცემენ, თუ მათ ახლო არ დავაყენეთ მუდმივი ჯარის ნაწილები“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 193:10).

საარქივო მასალებში არ იმალება ის ფაქტი, რომ იყვნენ „ის პირნი“, რომლებიც უპირატესობას რეგულარულ ჯარის შექმნაზე უფრო მეტად „მილიციონურ სისტემას“ ანიჭებდნენ. ამავე, 17 ივლისის სხდომაზე, სამხედრო კომისიის წევრმა, დავით ვაჩნაძემ, ყურადღება გაამახვილა სხვა გარემოებებთან ერთად ქვეყნის შიგნით არსებულ პროცესებზე და კომისიას დაანახა რეგულარული ჯარის უპირატესობა მილიციონურ სისტემაზე. დავით ვაჩნაძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს:

„საზოგადოთ ის პირნი, რომლებიც არიან კრებებზე წინააღმდეგნი საქართველოში რევოლუციურულ ჯარისა და მომხრენი მილიციონურ სისტემისა, ყოველთვის მიგვი-
თითებენ ხოლმე შვეიცარიის მაგალითზე ...საქართველო და შვეიცარია სულ სხვა-
დასხვა პირობებში არიან, მაგალითი ჩვენთვის სავსებით უსაფუძვლოა. ერთი, რომ
შვეიცარიის მცხოვრებნი ეტნოგრაფიული შემადგენლობის მიუხედავად ყველანი
გამსჭვალულნი არიან თავის სახელმწიფო ინტერესებით... საქართველოს კი ისეთი
ქვეშევრდომნი ჰყავს, რომ ძალიან საეჭვოა, რომ ისინი ფიქრობდნენ საქართველოს
ბედ-იღბალზე მაგ. ბორჩალოელები, ოსები, ზაქათალის თათრები, აჭარლები, ახალ-
ციხის სომხები და სხვა. მეორეც შვეიცარიის დაცვა იკისრა მთელმა ევროპამ და
ჯერაც არავის დაურღვევია მისი ნეიტრალიტეტი რასაც არა აქვს ადგილი ჩვენ
მდგომარეობაში. მესამეც ის, რომ ჩვენ სამშობლოს არა აქვს შეიარაღებული და
შენებული სიმაგრეები (ციხეები), საზღვრების კარები ყოველ მხრივ გახსნილია და
შვეიცარიაში კი ყოველ კანტონს ტექნიკურათ შემუშავებული და გამაგრებული
ადგილები აქვს. მეოთხეც - ჯერ ჩვენ არ ვიცით რას წარმოადგენს მილიცია, რო-
გორც მეომარი ელემენტი. მას ჯერჯერობით არავითარი სამხედრო ისტორია არა
აქვს, და ჩვენ რომ ამას იდეალათ ვსთვლით, ეს აჩქარებული აზრია. კიდევ სხვა და
სხვა კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზების გამო საქართველომ
დაუყოვნებლივ უნდა შექმნას რევოლუციური ჯარი, რამდენიც კი მას ძალუძს
(სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 193: 10).

ამავე სხდომაზე მსჯელობისა და აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კომი-
სიამ ერთხმად დაადგინა, რომ სამხედრო კომისიისა და მთავრობის კომისიის
შეერთებულ კრებებზე ყოველი დონე ეხმარათ, რომ რევოლუციური ჯარის საჭ-
იროება მთავრობისათვის თვალნათლივ აეხსნათ. პროექტის ის მუხლი, რომელშიც
ხარჯის რაოდენობაზე იყო საუბარი კამათი გამოიწვია და კომისიის უმრავლესო-
ბამ გამოთქვა აზრი: შედგეს შტაბის კანონპროექტის თანახმად 2 დივიზია (ოთხ-
ოთხი პოლკით თითო) ერთი მოსაზღვრე, ერთი ცხენოსანი დივიზია და შესაფერი
არტილერია და ტექნიკური სპეციალური ნაწილები (სეცსსა, ფ.1936, აღ.1, საქმე193:10).

განმარტებით წერილში „ძირითადი კანონისათვის საქართველოს შეიარაღე-
ბის ძალების შესახებ“ აღნიშნულია, რომ პროექტის ავტორები თავდაპირველად
ფიქრობდნენ სამი ქვეითი დივიზიის შექმნას, თუმცა არასაკმარისი ფინანსური
მდგომარეობის გამო ორზე შეთანხმდნენ. მათი აზრით ორი ქვეითი დივიზია, ერთი
ცხენოსანი ბრიგადა ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი და სათანადოდ
გაწვრთნილი საკმარის კადრად შეიქმნებოდა, რომლის გარშემო თავს მოიყრიდა
საჭიროების დროს „მთელი შეჭურვილი ხალხი, შემძლები საერთო რიცხვით 200 000
ჯარისკაცის გამოყვანისა“. წერილში განმარტებულია, რომ ქვეყნის მცხოვრებთა
რაოდენობა და ფინანსური მდგომარეობა განსაზღვრავდა მუდმივი ჯარის რაოდე-
ნობას. იმავე წერილიდან ვგებულობთ, რომ საზღვრების დასაცავად საველე ჯარ-
ების გარდა განზრახული ყოფილა ერთი სანაპირო სამპოლკიანი ბრიგადის ყოფი-
ლა. ჯარების რაოდენობის შემოკლების გამო კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება
მიაქცია შეიარაღებული ძალების განწყობაზე, ბრძოლის ტექნიკური საშუალებით

აღჭურვაზე - განსაკუთრებით არტილერიით. რადგან ადამიანის ფიზიკური რესურსი არ იძლეოდა საშუალებას წარმატებული სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ცოცხალი ძალის ნაცვლად სამხედრო ტექნიკა. გამნარტებით წერილში ნაჩვენებია, რომ „ჯარების გაშლის დროს 35 200 ათასის შემადგენლობამდე ჩვენ უნდა გვეყვანდეს და გვეკონდეს ამ ჯარისათვის მშვიდობიანს დროს მომზადებული ტექნიკები და ტექნიკური საშუალებები. უნდა მხედველობაში გვეკონდეს ის გარემოებაც, რომ ძლიერებით ერთი ტყვიის მფრქვეველი ენაცვლება 50, ერთი ზარბაზანი ას (100) მებრძოლსა და დანაშაული იქნებოდა, რომ არ გამოგვეყენებინა შესაძლებლობა ათასობით ადამიანის სიცოცხლიდ დაცვისა“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 183:10).

საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 20 ივლისის სამხედრო კომისიის სხდომაზე წაკითხული იქნა მთავრობასთან შეერთებულ კრებაზე საბოლოოდ შემუშავებული საქართველოს მუდმივი ლაშქრის ორგანიზაციის კანონპროექტი. კრებას ესწრებოდნენ სამხედრო კომისიის წევრები: კონსტანტინე აფხაზი, ალექსანდრე ლომთათიძე, დავით ვაჩნაძე. კრებაზე მოწვეული იყო გენერალი ზაქარია ყიფშიძე, ალექსანდრე გედევანიშვილი, გიორგი ყაზბეგი. პოლკოვნიკი ზაქარიაზე, ვასილ კარგარეთელი, იოსებ გედევანიშვილი, ექიმი მგელაძე (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 193:11).

„1918 წლის 20 აგვისტოს დამტკიცდა სპეციალური კანონი „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავდა მუდმივი ჯარის სტრუქტურას, ცალკეულ სახეობათა შემადგენლობას. დასახელებული კანონის პირველი მუხლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის რეგულარულ ჯარში შედიოდა ორი ქვეითი დივიზია, სანაპირო ჯარი, ერთი საკავალერიო ბრიგადა, ერთი საარტილერიო ბრიგადა, მესანგრეთა ერთი ბატალიონი, ერთი საავტომობილო ასეული, ჯავსნოსანი მატარებლის ერთი ასეული, ერთი საავიაციო გუნდი. საქართველოს საზღვრების დაცვისათვის შეიქმნა არმიის განსაკუთრებული ნაწილი - „სანაპირო ჯარი“, რომლის სათავეში იდგა „განსაკუთრებული უფროსი“. დივიზიის ქვედანაყოფი იყო-სამი ქვეითი პოლკი, ცხენოსანთა ესკადრონი, საარტილერიო და მესანგრეთა ასეულები, საბარგო ქარავანი და ექიმ-სანიტართა ჯგუფი. კავალერიის შემადგენელი სამი პოლკი, სათადარიგო ესკადრონი და სამთო-საარტილერიო დივიზიონი.

კანონი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა დივიზიის, ცხენოსანთა ბრიგადის, პოლკის და სხვა შედარებით მსხვილ საჯარისო ერთეულთა უფროსებს. თითქმის ყველა მათგანთან არსებობდა „ჯარის მართვა-გამგეობისათვის საჭირო შტაბი“. დასახელებული კანონის სათანადო მუხლის შესაბამისად შეიქმნა „იუნკერთა მსამზადებელი სასწავლებელი“ (ბენდიანიშვილი, 2001:116).

სამხედრო სამინისტროს შტაბისა და გერმანელების მიერ ერთად გაწეული მუშაობის შედეგად შექმნილ სამ ძირითად კანონპროექტთაგან მნიშვნელოვანია შევსების კანონი ანუ „დებულება სამხედრო ბეგარისა და საქართველოს მუდმივი ჯარის შევსების შესახებ“. 1918 წლის 24 ივლისის ეროვნული საბჭოს სამხედრო

კომისიის სხდომაზე ყურადღება გაამახვილეს რამდენიმე ძირითად საკითხზე, მათ შორის აღიძრა საკითხი თუ რა მიზეზით არიან განთავისუფლებულნი სამხედრო ბეგარისაგან „მუსულმანები“. გამოითქვა აზრი, რომ საკითხის ასე დასმა ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა თათრებზე, რადგან ამით გამოიხატებოდა მათდამი უნდობლობა. ამიტომ კომისიამ დაადგინა, პირველი მუხლიდან ამოიშალოს „გარდა მუსულმანებისა“ და მუხლს მიემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა: მთავრობას აქვს უფლება ზოგიერთი კატეგორია საქართველოს მოქალაქეებისა გაანთავისუფლოს სამხედრო ბეგარისაგან. დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ სამხედრო ბეგარიდგან განთავისუფლება მოქალაქეებმა გადაიხადონ ეს ბეგარა ფულით. ეს წინადადება კომისიამ არ გაითვალისწინა (სეცსსა, ფ. 1836, აღ1, საქმე 193: 12).

კომისიამ ყურადღება გაამახვილა კანონპროექტის მე-7 მუხლზე, სადაც შეტანილი იქნა შემდეგი: სამხედრო სამსახურის პირნი, რომლებიც ირიცხებიან მუდმივ ჯარში სათადარიგო ხარისხში და ლაშქარში და როდესაც ისინი იმყოფებიან ირადის ქვეშ უნდა იდგნენ პოლიტიკის გარეშე.

მე-10 მუხლი კი შეცვლილ იქნა შემდეგი რედაქციით: ახალგაზრდების ჯარში გაწვევა იქნება ყოველ წელს 1 ნოემბერში. გაწვეული იქნება ყველა, ვისაც შემდეგ იანვრის პირველადე შეუსრულდება 20 წელი. ახალგაზრდების გაწვევის წესრიგი და მათი სამედიცინო შემოწმება აღნუსხულია „სამხედრო ბეგარის უსტავში“.

მე-12 მუხლის რედაქცია აღნიშნავს: „ის პირნი, რომლებიც ირიცხებიან სათადარიგო და ლაშქრის ხარისხის ჯარში, განსაკუთრებულ ანგარიშის და სამხედრო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. სათადარიგო ხარისხის მემარნი უნდა გამოწვეულ იყვნენ განმეორებით სავარჯიშოთ ყოველი სამი წლის შემდეგ სამი კვირის ვადით, ლაშქარი კი - მარტო ერთხელ იმავე ვადით. განმეორებით სავარჯიშოთ გამოწვევის დრო - ინიშნება ყოველ წლივ სამხედრო მინისტრის განკარგულებით. იმ პირთ, რომლებიც, სავარჯიშოთ გამოწვეულ იქნებიან რაიმე სახელმწიფო და საზოგადო სამსახურიდან, ადგილი ენახებათ“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ1, საქმე 193:12).

1918 წლის 7 აგვისტოს ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები ალექსანდრე ლომთათიძე, კოსტანტინე აუხაზი, დავით ვაჩნაძე, გობეჩია; გენერლები-ალექსანდრე გედევანიშვილი, გიორგი ყაზბეგი, კირილე ქუთათელაძე, ზაქარია ყიფშიძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, დავით (ტიტე) ართმელიძე; პოლკოვნიკები - ზაქარიაძე, ჭავჭავაძე, კარგარეთელი, იოსებ გედევანიშვილი, მაჩაბელი, გურამიშვილი, თაყაიშვილი; ექიმები-სასანიტარო მკვლავი და საბეთალო-ფარეიშვილი.

პოლკოვნიკმა გედევანიშვილმა კრებას გააცნო სამხედრო სამინისტროში შემუშავებული დამატებითი კანონპროექტი, რაც ჯარში დაკანონებულ გაწვევის თარიღს - 1 ნოემბერს გამოუწვევია. იქმნებოდა საშიშროება, - აღნიშნავს გედევანიშვილი, რომ სამხედრო სამსახურში მომსახურე პირები დაკანონებულ თარიღამდე, 1 ნოემბრამდე, შეიძლებოდა სახლში დაბრუნებულიყვნენ, რაც თავის მხრივ დიდი საფრთხე იქნებოდა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობისათვის. სწორედ ამიტომ საჭირო იყო, რომ ვინც იმ პერიოდისთვის იმყოფებოდნენ პოლკებში, უნდა

დარჩენილიყვნენ 1 ნოემბრამდე სამხედრო სამსახურში.

ჯარის მოწყობის პროექტით გათვალისწინებული ჯარში გასაწვევი, 1898-1899 წლიანების რაოდენობა 35 000-ს ითვალისწინებდა. ირკვევა, რომ მხოლოდ 1898-1899 წლებში დაბადებულები განსაზღვრული რაოდენობის შევსებას ვერ დააკმაყოფილებდა. სწორედ ამიტომ საჭიროდ ჩათვალეს ჯარში გაეწვიათ 1895-97 წლებში დაბადებულნიც. როგორც სხდომის ოქმიდან ირკვევა ძირითად კანონებში ამასთან დაკავშირებით არ იყო აღნიშნული.

დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ 20 და 21 წლის ახალგაზრდების სტატისტიკური მონაცემები ცნობილი არ ყოფილა. ცნობილი ყოფილა მხოლოდ 1913 წელს გაწვეულთა რიცხვი, რომელიც 26 000 კაცს შეადგენდა. ამ შემადგენლობაში შედიოდა სოხუმის, ბათუმის, ზაქათალის ოლქები და ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. 20 და 21 წლის ახალგაზრდების სტატისტიკური ცნობების უქონლობა ხელს უშლიდათ რათა გაერკვიათ 35 000 კაციანი არმიის შესავსებად კიდევ რომელი წლიანების დამატება იქნებოდა საჭირო. ამავე სხდომაზე არმიის ინტენდანტმა კომისიას მოახსენა, რომ „საინტენდანტოს საწყობიდან სურსათი და ჩაცმა-დახურვა ეძლევა 30 000 კაცს, გერმანელების და სახალხო გვარდიის გარდა. ამ რიცხვიდგან 18 000 კაცი ითვლება სამხედრო ნაწილებში და 12 000 - კი სხვადასხვა დაწესებულებებშია, როგორც ნაშთები - პოლონელთა ლეგიონებისა, პორუჩიკ ფოფხადისა და სხვა ვილაციის რაზმისა, მანგლისის მცხოვრებნი, რომლებიც უკვე გაუქმებული არიან“ კომისიამ დაადგინა, რომ მხედველობაში მიეღოთ ეს მონაცემები. ასევე საჭიროდ სცნო ამ კანონების ძირითად კანონებთან ერთად გამოქვეყნება და შეუდგამის განხილვას (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 179:7).

განხილული საკითხის შესახებ საქართველოს გენერალური შტაბის სამმართველოს 1918 წლის 8 აგვისტოს დათარიღებულ საარქივო მასალაში კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას ვგებულობთ. დოკუმენტში „სამხედრო კომისიის მიერ წარმოდგენილი განმარტებული წერილი კანონისათვის 1898 და 1899 წლებში დაბადებულთა ნამდვილ სამსახურში დატოვების და გაწვევის შესახებ“, განმარტებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების ძირითად დებულების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად ჯარში გაწვევის თარიღი 1 ნოემბერია. რადგან კანონპროექტის მე-8 მუხლის თანახმად ნამდვილი სამსახურის ვადა დაწესებულია 2 წელი, მაშასადამე ჯარში იმჟამად უნდა ყოფილიყო 1896-1897 წლიანების კონტიგენტი. 1 ნოემბერს გაწვეული იქნებოდა 1898 წლის დაბადებულთა კონტიგენტი, 1896 წელს დაბადებულ ჯარისკაცებს კი შესაძლებლობა მიეცემოდათ ჯარის მოვალეობიდან განთავისუფლებისა (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 179:6, ასევე დოკუმენტი 11).

„საქართველოს რესპუბლიკის წესწყობილის ჯარის მოწყობის კანონის“ პროექტით, საქართველოს რესპუბლიკის მშვიდობიანობის პერიოდში, გათვალისწინებულია 35000 ჯარის კაცის კონტიგენტი ე. ი. ყოველწლიურად 17 500 კაცი. სხვადასხვა გარემოების გამო ვერ ხერხდებოდა 35000 კაცის - კონტიგენტის შევსება, ამიტომ საჭირო გახდა ჯარში სამი წლის კონტიგენტი გაეწვიათ. აი, რა ცნობას

გაწვედის ამის შესახებ იგივე განმარტებითი წერილი „იმ ცნობების მიხედვით რომელიც მოგვეპოვება, ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიების, სოხუმის და ზაქათალის ოლქებთან ერთად მიუციათ 1913 წ. 25000 ახალ ჯარის კაცი. 1913 წლის შემდეგ გაწვევის სტატისტიკა მეტად დაუდევრად უწარმოებიათ და ამიტომ 1914 წ.-1919 წლების ახალჯარისკაცთა კონტიგენტების გამოთვლა შეუძლებელია. მაგრამ ეხლანდელის გარემოების გამო აღნიშნული ტერიტორიისთვის უნდა გამოირიცხოს ახალქალაქის, ახალციხისა და ბორჩალოს მაზრები და ზაქათალის ოლქი და აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიის დანარჩენის მაზრების ზოგიერთი ადგილები, უნდა დავასკვნათ, რომ ზემოთ ნახვენები რიცხვი უნდა შემცირებულ იქმნას 50 % მაინც. მაშასადამე ყოველწლიურ კონტიგენტი უნდა ვიგულოთ არა უმეტეს 10-12 ათასისა. ამ ნაირად ჯრის შესავსებლად, ზემოდ ნახვენების ანგარიშის მიხედვით, საჭიროა გაწვეულ იქმნას ჯარში სამი წლის კონტიგენტი ე. ი. 1896-1898 წლებში დაბადებულნი (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 179:6).

ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმში, 1918 წლის 12 აგვისტოს, განსახილველი საკითხი იყო: „სამხედრო კომისიის მიერ წარმოდგენილი, მისგან უკვე განხილული კანონპროექტინ - ნამდვილ სამხედრო სამსახურში დატოვების და გაწვევის შესახებ იმ პირობა, რომელნიც დაბადებულან 1896 - 1899 წ. წ. (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 179:9). ამავე სხდომაზე მიიღეს დადგენილება: „კანონპროექტის ასლი სასწრაფოდ გაეგზავნოს ფრაქციებს და თვით კანონ-პროექტი წარედგინოს ეროვნულ საბჭოს განსახილველად ხვალინდელ, აგვისტოს 13 კრებაზე“ (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 179:9). საქართველოს პარლამენტმა, 29-ე კრებაზე, რომელიც გაიმართა 1918 წლის 13 აგვისტოს, კანონპროექტი უცვლელად მიიღო (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 179: 10).

კანონი „ნამდვილ სამხედრო სამსახურში დატოვებისა და ჯარში გაწვევის იმ პირობა, რომელნიც დაბადებულან 1896-1899 წლებში“, 1918 წლის 20 აგვისტოს ეროვნული საბჭოს დადგენილებით 6 მუხლისაგან შედგებოდა, კანონი არეგულირებდა ამ წლებში დაბადებულთა ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 179:15, ასევე დოკუმენტი 12).

ამ კანონის სისრულეში მოსაყვანად განკარგულების მოხდენა დაეკისრა სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს. კანონს ხელს აწერს საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას.

საქართველოს პარლამენტმა 1918 წლის 20 აგვისტოს დაამტკიცა ძირითადი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსებისა“. დებულება 12 მუხლისაგან შედგება, რომელშიც გაწერილია სხვადასხვა სავალდებულო შესასრულებელი პირობები (აქტების კრებული, 1990: 55-57, ასევე დოკუმენტი 13).

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, შეიქმნა მინისტროთა კაბინეტი, მაგრამ მას რამდენიმე თვე საკანონმდებლო ბაზა არ გააჩნდა.

1918 წლის 20 აგვისტოს საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს

რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული იქნა დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა“. დებულების თანახმად ომიანობის დროს მოქმედი შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელად ინიშნებოდა მთავარსარდალი, რომელიც ემორჩილებოდა პირდაპირ მთავრობის თავმჯდომარეს, მაგრამ „ომის ოპერატიულ საქმეებში „მთავარსარდალს ჰქონდა სრული თავისუფლება, თუმცა თავის მოქმედების შესახებ მოხსენება უნდა წარედგინა პრემიერისათვის. თავდაცვის საქმის საერთო ხელმძღვანელობა ევალებოდა სამხედრო სამინისტროს, რომლის შემადგენლობაში ფუნქციონირებდა ექვსი განყოფილება - საერთო, პირადი შემადგენლობის, გენერალური შტაბის, საადმინისტრაციო, სამხედრო სამინისტრო და სამხედრო საბეთალო. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გენერალური შტაბი. მას ჰქონდა ექვსი სექცია-საოპერაციო, საორგანიზაციო, საარტილერიო, საინჟინრო-სატექნიკო, სამხედრო-სახლვაო და სამხედრო-საისტორიო. პირველ სექციას ხელმძღვანელობდა უშუალოდ შტაბის უფროსი, რომლის ფუნქციებში შედიოდა ჯარის ორგანიზაცია, მობილიზაცია, სახლვერებისა და ტერიტორიების დაცვა, დაზვერვა, კავშირგაბმულობა, ჯარის წრთვნა და აღლუმების მოწყობა (ბენდიანიშვილი, 2001:114-115).

იმ პერიოდის ქართულ პრესაში აქტიურად იბეჭდებოდა სამხედრო თემასთან დაკავშირებული სტატიები. 1918 წლის გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთ ნომერში სამხედრო მმართველობის კანონპროექტთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „სამხედრო მინისტრის მოხსენებით დროებითი სამხედრო უწყების დაარსების შესახებ მთავრობამ მიიღო პროექტი, რომლის მიხედვითაც სამხედრო მმართველობის სათავეში მინისტრი იდგება. მმართველობას დაექვემდებარებიან შემდეგი დაწესებულებანი და პირნი: სამხედრო მინისტრი, მისი ამხ., სამინისტრო და კანცელარია; მინისტრის ამხანაგი იმავე დროს მთავარსარდალი იქნება. ჯარის მმართველობა ორ კატეგორიად იყოფა: 1) საველე შტაბი და 2) მთავარი შტაბი. საველე შტაბს ევალება ჯარის გაწვრთნა, თანამდებობაზე დანიშვნა და სამხედრო ხარისხის მიცემა. მასთან იქნება სურსათის და იარაღის მიმწოდებელ დაწესებულების უფროსის კანცელარია ინფანტერია, არტილერია, საინჟინრო და საინდენდანტო. საველე შტაბი მშვიდობიან დროს ისე შესდგება, რომ მუდამ მზად იქნება ომისთვის. მთავარი შტაბი აკადემიური დაწესებულებაა. მას დაკისრებული ექნება ზურგის ფუნქციების შესრულება, სახელმწიფოს დაცვა, მობილიზაცია, ტოპოგრაფია, კანონპროექტების შემუშავება“ (საქართველო, 1918:108).

ჩვენი კანონმდებლები, უმაღლესი მმართველობის კანონპროექტის შექმნის დროს, სარგებლობდნენ როგორც გერმანელების ასევე საქართველოს შტაბის მიერ შემუშავებული სამხედრო მმართველობის სქემებით. საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის 12 ივლისის სხდომაზე მიღებულ იქნა პროექტი სამხედრო მმართველობის შესახებ. სხდომაზე აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ ერთხმად მიიღებულ იქნა შემდეგი განყოფილებები:

„1. განყოფილება. „Общий Отдел“ მიღებულ იქმნა საქართველოს შტაბის წარმოდგენილ პროექტის თანახმ.

2. განყოფილება. „Личный Состав“ მიღებულ იქმნა გერმანელების პროექტის თანახმად.

3. განყოფილება. „Отдель Генерального Штаба“ ეს საკითხი გახსნილად დარჩა 2 წევრი მომხრე 2 თავი შეიკავა.

4. განყოფილება. „Отдель административный“ გახსნილი დარჩა.

5. განყოფილება. „Отдель Санитарный“ მიღებულ იქმნა გერმანელების პროექტის თანახმად, ცალკე მედიკური და ცალკე ვეტერინარული.

6. განყოფილება „Пенсионный Отдель“ მიღებულია შტაბის პროექტის თანახმად.

7. განყოფილება. „Юридическое“ – შტაბის პროექტის თანახმად (სეცსსა, ფ.1836, აღ. 1. საქმე 193: 8).

განმარტებით წერილში „ძირითადი კანონისათვის საქართველოს შეიარაღების ძალების შესახებ“ ვკითხულობთ: ამ პროექტით მიიღწევა სამხედრო საქმის ერთიანობისთვის საჭირო ცენტრალიზაცია. დეცენტრალიზაციის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა რუსეთის ჯარი, სადაც არსებობდა მთელი რიგი ავტონომიური დაწესებულებები. მაგრამ ეს გამართლებული იყო რამდენადმე მის შეიარაღებულ ძალთა სიდიდის გამო. ჩვენს პატარა სახელმწიფოში ეს სისტემა გაუმართლებელი იქნებოდა. კანონპროექტში მთელი მმართველობა სამხედრო საქმის ყველა დარგში გაერთიანებულია, რაც შესაძლებელს ხდის სამხედრო მინისტრისათვის ინფორმაციას იოლად დებულობდეს ყველა საქმეზე. კანონპროექტის თავისებურება ისაა, რომ მშვიდობიანობის დროს ჯარის სარდლის თანამდებობა არ არსებობდა (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 183: 11).

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1918 წლის 7 აგვისტოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიას არსებული კანონპროექტების საფუძველზე მიუღია დებულება „რესპუბლიკის ჯარისა“, რომელიც 9 მუხლისაგან შედგება (სეცსსა, ფ.1823, აღ.2, საქმე 1, ასევე დოკუმენტი 14).

„რესპუბლიკის ჯარის“ დებულების განხილვის პროცესში, საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე, კამათი გაიმართა, დებულების პირველ მუხლთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სააქროველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „ყველა მოქალაქის“ ვალდებულებას სამხედრო ბეგარის მოხდის თაობაზე. საკონსტიტუციო კომისიის წევრმა რევაზ არსენიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა მოქალაქემ ეროვნების და სარწმუნოების განურჩევლად ვალდებულია მოიხადოს სამხედრო ბეგარა კანონით განსაზღვრულ ვადაში. საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე გ. ნანეიშვილი საკითხს შემდეგნაირად აყენებდა: ვინც სარგებლობს ყველა უფლებით, მოვალეა აასრულოს ყველა მოვალეობაც. შედავითით შესაძლებლობას ვაძლევთ „ბევრს აქ ქვეშევრდომთაგან გასვლისას, რითაც დაირღვევა 1 % გაყვანის მუხლი“, ომიანობის დროს კანონის ეს ნაკლი ცუდ გავლენას იქონიებს ჩვენ საომარ მდგომარეობაზე. რევაზ არსენიძემ აღნიშნა, რომ „ყველა მოქალაქე ეროვნების და სარწმუნოების განურჩევლად ვალდებულია მოახდინოს სამხედრო ბეგარა კანონით განსაზღვრულ ვადაში“. მაჰმადიანებმაც ისე უნდა მოიხადონ ბეგარა, როგორც დანარჩენებმაც, ეს სასარგებლო იქნება მათთვისაც. ბოლოს რევაზ არსენიძემ დასძინა,

რომ პირველი მუხლი შესწორდეს შემდეგნაირად: „ყოველი მოქალაქე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა ვალდებულია მოიხადოს სამხედრო ბეგარა თანახმად სამხედრო კანონებისა. შემდეგ კამათი გამოიწვია იმ კითხვამ შეეძლო თუ არა მოქალაქეს ჯარში წაუსვლელად მოეხადა სამხედრო ბეგარა, მაგალითად, ფულის გადახდით. სხდომაზე აღინიშნა, რომ ბეგარა უნდა მოეხადა პირადად. ამიტომ შემოადინიშნულ რედაქციაში ჩაიწერა სიტყვა - „პირადად“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 46: 7).

რაც შეეხება მეორე მუხლს, ამ მუხლში ყველაფრის აღნუსხვა არ მოხერხდა და შეიცვალა შემდეგნაირად: „ყოველი მოქალაქე, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, 20-დან 45 წლამდე ჯარის რომელიმე ნაწილში ითვლება“. საკონსტიტუციო სხდომაზე განსაკუთრებით აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია დებულების მე-4 და მე-5 მუხლებმა, სადაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციები უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. გამოითქვა წინადადება, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციები შემდეგნაირად გადანაწილებულიყო: მთავარსარდლის დანიშვნა თუ ციხე-სიმაგრის აშენება მთავრობის, კერძოდ, სამხედრო მინისტრის უფლებას უნდა შეადგენდეს. საბჭოს უფლება კი ამა თუ იმ ციხე-სიმაგრის აშენების ნებართვის გაცემა ან უარყოფა, მისი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება ან უარყოფა უნდა ყოფილიყო. კითხვაზე, თუ რა უფლებები უნდა მიკუთვნებოდა ეროვნულ საბჭოს, რევაზ არსენიძის მოსაზრებით პარლამენტს ყველა უფლებები ექნებოდა გარდა იმისა, რასაც თვითონ საბჭო გადასცემდა მთავრობას, მთავარსარდლის და სხვა თანამდებობის პირთა დანიშვნა უნდა გადასცემოდა მთავრობას. 1918 წლის 7 აგვისტოს სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიამ განაგრძო განხილვა „რესპუბლიკის ჯარის“ დებულებისა და პარლამენტისა და მთავრობის ფუნქციები მე-4 და მე-5 მუხლებით განსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ დებულების მე-4 მუხლით ხალხის წარმომადგენლების ორგანო – პარლამენტი – ჯარის უზენაეს ორგანოდ გამოცხადდა (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 46:8-10).

ეროვნული საბჭოს მიერ რეგულარული ჯარისათვის მიღებული კანონები შედეგზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული. სრულყოფილად რომ განხორციელებულიყო ქართული ჯარის მშენებლობის საქმე, მას უნდა ეზრუნა ყველა ის დამაბრკოლებელი გარემოებები დროულად აღეკვეთა, რომელიც ხელს შეუშლიდა დასახული მიზნის მიღწევას. სწორედ ამას ისახავდა მიზნად ეროვნული საბჭოს მიერ საგანგებო სამხედრო სასამართლოს შემოღებისა და „ზოგიერთა სამხედრო დანაშაულობის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ კანონ-პროექტის შემუშავება (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 193: 37-38, ასევე დოკუმენტი 15). კანონ-პროექტში, რომელსაც ხელს აწერს გენ. გედევანიშვილი, დასაწყისში მითითებულია, რომ დროებით უნდა გაძლიერებულიყო იმ ზოგიერთი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა, რომელიც სამხედრო წესდების მიხედვით იყო გათვალისწინებული.

თუ რას ითვალისწინებდა ეს კანონპროექტი, დეტალურად არის განმარტებული საარქივო მასალაში - „საგანგებო სამხედრო სასამართლოს შემოღებისა და ზოგიერთ სამხედრო ბოროტმოქმედებათათვის პასუხისმგებლობის გადიდების

განმარტებითი წერილი“. წერილში აღნიშნულია, რომ საგანგებო სამხედრო სასამართლოს შემოღების მიზეზი იყო ის, რომ იმ დროს არსებული ზოგიერთი გარემოება ხელს უშლიდა საქართველოს არმიის შედგენას და საიმედო მტკიცე დისციპლინის მქონე ჯარის შექმნას. წერილის მიხედვით, ისეთი გარემოების, როგორცაა დეზერტირობა, წინააღმდეგ ბრძოლა გაძნელებულია, სწორედ ამიტომ საჭირო გამხდარა მიემართათ განსაკუთრებული ზომებისათვის. საქართველოს რესპუბლიკის ჯარების არსებულ სამხედრო და პოლკების სასამართლოებს დასახელებულ დანაშაულებებთან არ შეეძლოთ ბრძოლა. აუცილებელი გამხდარა ისეთი სასამართლოების შემოღება, რომლებიც საგანგებო შემთხვევებში პროცესუალური ფორმალობის შეუსრულებლად მოკლე დროში გაარჩევდნენ მძიმე ხასიათის სამხედრო ბოროტმოქმედების საქმეებს და უფლება ექნებოდათ დამნაშავისათვის მშვიდობიანობის დროსაც კი მიესაჯათ ისეთი სასჯელი, რომელიც ომიანობის დროს გამოიყენებოდა. განმარტებითი წერილის მიხედვით, დასახელებულ სასამართლოებს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში უნდა გაერჩიათ ასეთი საქმეები, როცა ბოროტმოქმედების დანაშაული იმდენად თვალსაჩინო იქნებოდა, რომ საჭიროც აღარ იქნებოდა წინასწარი გამოძიება. ასეთი უნდა ყოფილიყო, წარმოდგენილი პროექტით, „საგანგებო სამხედრო სასამართლოები“. ამასთან ერთად, საჭირო იყო: 1. „სამხედრო დროის კანონებისამებრ“ გადიდებულიყო პასუხისმგებლობა ამ პერიოდში გახშირებული ბოროტმოქმედებებისათვის: სამსახურიდან გაქცევა, მოდარაჯის ქურდობა და ზოგადად, „დარაჯთა ხარისხოსნების მიერ დასაცავად ჩაბარებულ სახაზინო ნივთებისა“. 2. ასევე საჭირო იყო, სამხედრო მინისტრს მისცემოდა უფლება სამხედრო წესდების 91 მუხლის ძალით აღედგინა რუსეთის დროებითი მთავრობის 1917 წლის 12 მკათათვის დადგენილებით გათვალისწინებული პირობები, რომელიც აღადგენდა სიკვდილით სასჯელს ზოგიერთი სამხედრო ბოროტმოქმედებისათვის და რომელიც გათვალისწინებული იყო „სამხედრო წესდებაში სასჯელთა შესახებ ს.დ.კ.1869 წ. XXII წიგნი, გამოცემა 4“ (სეცსსა, ფ.1836, აღ1. საქმე 189:2).

აქ მოტანილ ცნობას კიდევ უფრო მეტ კონკრეტიკას სძენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 5 ივლისის კანონი „სიკვდილით დასჯისა ზოგიერთ უმძიმეს ბოროტმოქმედებისათვის“, რომელშიც აღნიშნულია, რომ სიკვდილით დაისჯება ის, „ვინც იმ დროს, როდესაც საქართველოს ომი ექნება სხვა სახელმწიფოსთან, ჩაიდენს სამხედრო მოქმედების ასპარეზზე რომელსამე იმ ბოროტმოქმედებათაგანს, რომელიც აღნიშნულია რუსეთის დროებითი მთავრობის 1917 წ. 12 ივლისის დადგენილებაში („დროებითი მთავრობის უწყება“, 1917 წ. 103) (აქტების კრებული, 1990:44).

ჯარის მოწესრიგების საქმეში დიდი ყურადღება დაეთმო კანონმდებლების მიერ ჯარის დისციპლინარული წესრიგის შექმნას. 1918 წლის 17 აგვისტოს ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომაზე წაიკითხეს დისციპლინარული წესრიგის პროექტი. კომისია შეუდგა ამ პროექტის უკანასკნელი ვარიანტის შედგენას და სამი დღის განმავლობაში სამხედრო კომისიისათვის წარდგენას. კომისიაში აირ-

ჩიეს თავმჯდომარე - პოლკ. როინიშვილი, წევრები - პოლკ. ჭავჭავაძე, კარგარეთელი, ბალგაია, მაჩაბელი და ჩიჭავაძე (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 193: 22).

1918 წლის 2 ენკენისთვის ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომაზე გადაწვდა დისციპლინალური წესდების მიხედვის მიღება (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 193:31). საარქივო მასალაში „განმარტებითი ბარათი სადისციპლინო წესდების“ ვკითხულობთ, რომ პარლამენტის სამხედრო კომისიისა და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ მიღებული იქნა სადისციპლინო წესდება, მაგრამ თვით პარლამენტს ვერ მოუსწრია მისი მიღება. განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ სადისციპლინო წესდება დამყარებულია შემდეგ მთავარ პრინციპებზე: 1) უფროსებს ენიჭებათ დისციპლინალური უფლება თანამდებობების მიხედვით, უფროს ჯარისკაცთა და გუნდის ოფიცრებს არა აქვთ ასეთი უფლება. მათ ევალებათ მხოლოდ მოახსენონ ჯარისკაცის დისციპლინალური სასჯელის დადებისათვის გუნდის უფროს-უმცროსობის მიხედვით. ეს ერთნაირი გარანტიაა მისი, რომ სასჯელის დადების საქმე მხოლოდ უფრო გამოცდილ და პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა ხელში იქნება. 2) განსაკუთრებული კომისიის დაარსებით, რომელსაც ევალება თვალყურის გდება სადისციპლინო სასჯელთ მინიჭების საქმეში და გარჩევა დასჯილთა საჩივრებისა, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს სამართლიანობის დაცვას და, მეორეს მხრივ, მოაწესრიგებს საზოგადოთ ამ საქმეს და მოსპობს თვითნებობას. ყველა უფროსი ვალდებული იქნება მეტი სიფრთხილით და მეტი სამართლიანობით ისარგებლოს მინიჭებული დისციპლინალური უფლებით. ყველა ერთეულში დაცული იქნება ერთნაირი წესრიგი (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 455:1, ასევე დოკუმენტი №17).

სადისციპლინო წესდება შედგება ექვსი თავისაგან: 1) საზოგადო დებულება; 2) დისციპლინალური დანაშაული და სასჯელი; 3) უფროსთა დისციპლინალური უფლებანი; 4) დისციპლინალურ სასჯელთა მინიჭება განსაკუთრებულ შემთხვევებში; 5) დასჯის შურნალი; 6) საჩივარი (სეცსსა, ფ.1836, აღ.1, საქმე 455: 2-16, ასევე დოკუმენტი 16).

მიუხედავად საქართველოს მძიმე სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისა, ეროვნული საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი და სამხედრო სექცია ძალას არ იშურებდნენ ქართული რეგულარული ჯარის სიძლიერისათვის. მათ მიერ გატარებული ყველა ღონისძიება სამხედრო მშენებლობისათვის იყო განპირობებული.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უზენაეს ხელმძღვანელად გამოცხადდა საქართველოს პარლამენტი და მისი არსებობის მანძილზე სამხედრო მშენებლობის ხელშესაწყობად ჩატარდა არაერთი ღონისძიება. გატარდა სამხედრო მმართველობის რეორგანიზაცია, სამხედრო მინისტრის თანაშემწე (მოადგილე) იმავე დროს იყო მთავარსარდალი; ეროვნული საბჭოს მიღებული კანონით: „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის შესახებ“ – განისაზღვრა ქვეყნის შეიარაღებული ჯარის სტრუქტურა და შემადგენლობა, გამოცხადდა ქართული ჯარის ახალი შტატები; შეიქმნა საგანგებო სამხედრო სასამართლოები; ეროვნული საბჭოს არსებობის პერიოდში დაარსდა

ქართული არმიის სამხედრო სკოლა, რომელიც ამზადებდა ოფიცრებს ქვეითა მსროლელი ჯარის, საარტილერიო, კავალერიისა და საინჟინრო ტექნიკური ქვედანაყოფებისათვის. სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 2 წლით. მისაღები კონტიგენტის ასაკი იყო 18-25 წელი, აუცილებელი პირობა კი - საშუალო განათლება. სკოლის პირველ უფროსად დაინიშნა გენერალი ანდრია ბენაშვილი, მის თანაშემწედ - ალექსანდრე ჩხეიძე. შემდეგ ანდრია ბენაშვილი გადაიყვანეს ტოპოგრაფიულ განყოფილების უფროსად და მის ნაცვლად დაინიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე (დოლიძე, 2003: 226-227).

ლევან დოლიძის კვლევით, ქართულ არმიაში 1918-21 წლებში მსახურობდა 60-ზე მეტი გენერალი და 1500-მდე ოფიცერი. სამხედრო წოდებები ქართულ ჯარში გადმოღებული იყო გერმანულიდან: ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი, მაიორი, პოლკოვნიკი, გენერალი. რეგულარულ არმიას საფუძვლად დაედო არმიის ორგანიზაციის გერმანული სისტემა. თავიდან მასში შედიოდნენ: ორი ქვეითი დივიზია, სანაპირო ჯარი, კავალერიის ბრიგადა, არტილერიის ბრიგადა, გამნადმველთა ბატალიონი, ტექნიკური ბატალიონი, საავტომობილო ასეული და საავიაციო გუნდი.

სასაზღვრო დაცვა შედიოდა რეგულარული არმიის შემადგენლობაში, იგი შედგებოდა შტაბისა და 7 პოლკისაგან: 1-ლი სოხუმის, მე-2 ფოთის, მე-3 ახალციხის, მე-4 შულავერის, მე-6 დარიალის, მე-7 ბათუმის. თითოეული პოლკი შედგებოდა 437 ჯარისკაცისა და 24 ოფიცრისაგან. პოლკზე მიმაგრებული იყო 58 ცხენი.

ფლოტის შემადგენლობაში ირიცხებოდა ერთი კონტრნაღმშიდი „პატარა კახი“, ოთხი გამანადგურებელი (ხის კორპუსით), ოთხი ნაღმოსანი კატერი და 10 გემი. ფლოტს სათავეში ედგა სარდალი თავისი შტაბით (დოლიძე, 2003: 240).

საინტერესოა საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული დაზვერვის მონაცემი, რომელიც აღწერს საქართველოს არმიის შემადგენლობას მშვიდობიანობის დროს. ამასთან დაკავშირებით გიორგი ანჩაბაძის „სამხედრო ისტორიაში“ ვკითხულობთ: „საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული დაზვერვის მონაცემებით, საქართველოს არმია მშვიდობიან დროს შედგებოდა: სამი ქვეითი ბრიგადის (თითოში 4 ქვეითი ბატალიონი, 1 მსუბუქი არტილერიის დივიზიონი და მეტყვიამფრქვევეთა ბატალიონი); ერთი ცალკეული ცხენოსანი ბრიგადისა (2 ცხენოსანი პოლკი და 1 მსუბუქი არტილერიის დივიზიონი) და ცალკეული ქართულ-მუსლიმანური დივიზიონისაგან. საარმიო არტილერია ითვლიდა ხუთ მსუბუქ და ერთ მძიმე არტილერიის დივიზიონს. მათგან ოთხი მსუბუქი არტილერიის დივიზიონი, როგორც აღინიშნა, ცხენოსანი და ქვეითი ბრიგადის შემადგენლობაში იყო, ხოლო ერთი მსუბუქი და მძიმე დივიზიონები კი უშუალოდ ემორჩილებოდნენ სამხედრო სამინისტროს.

რეგულარულ არმიას ჰყავდა აგრეთვე საინჟინრო-ტექნიკური ჯარები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა: მესანგრეთა ბატალიონი; რადიო-ტელეგრაფის ასეული; ავტოჯავშნოსანი რაზმი; სატანკო დივიზიონი; საავტომობილო ასეული; 6 ჯავშანმატარებელი და საავიაციო გუნდი.

გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს ემორჩილებოდა აგრეთვე სანაპირო ჯარი, შემდგარი 7 პოლკისაგან (თითოში 354 ან 461 კაცი, მათგან 24 ოფიცერი)

და ორი საყარაულო ბატალიონი.

ომის შემთხვევაში რეზერვისტების გაწვევით ხდებოდა ბრიგადების დივიზიებით, ხოლო ბატალიონების პოლკებად გადაქცევა (გაშლა). პოლკის საშტატო შემადგენლობა იყო 2225 ჯარისკაცი და ოფიცერი.

საქართველოს საზღვაო ფლოტში შედიოდა კონტრნაღმოსანი „პატარა კახი“, 4 ხის კორპუსიანი გამანადგურებელი, 4 ნაღმოსანი კატარღა და 10 სხვადასხვა დანიშნულების ხომალდი. გარდა ამისა სანაპირო ჯარს 22 ორთქლის კატარღა ჰყავდა“ (ანჩაბაძე, 2002:75-76).

ამრიგად, ეროვნული საბჭო და მასთან არსებული სამხედრო კომისია ღონეს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ შეექმნათ ის საკანონმდებლო ბაზა ქართული რეგულარული ჯარის ჩამოყალიბებისათვის. ჩატარდა სამხედრო მმართველობის რეორგანიზაცია, მიღებული იქნა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ“, რითაც განისაზღვრა შეიარაღებული ჯარების სტრუქტურა და შემადგენლობა, გამოცხადდა ქართული ჯარის ახალი შტატები, შეიქმნა საგანგებო სამხედრო სასამართლოები. ჯარების რაოდენობის შემოკლების გამო ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შეიარაღებული ძალების განწყობაზე, ბრძოლის ტექნიკური საშუალებით აღჭურვაზე. ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული დებულება სამხედრო ბეგარის შესახებ ვრცელდებოდა „საქართველოს ყოველ“ მოქალაქეზე „მაჰმადიან მოქალაქეების“ გარდა. ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიამ განიხილა ეს საკითხი და მიიჩნია, რომ ყოველმა მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ვალდებულია “მოახდინოს სამხედრო ბეგარა კანონით განსაზღვრულ ვადაში“. საკონსტიტუციო კომისიამ დებულების პირველი მუხლი გაასწორა შემდეგი სახით: ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა კანონის თანახმად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უზენაეს ხელმძღვანელად გამოცხადდა.

§6. განათლების რეფორმა

სახალხო განათლების სამინისტრო თავისი მუშაობის ამოცანად ისახავდა საქართველოში ახალი სკოლების გახსნას, მოსახლეობაში სწავლა-განათლების პროპაგანდას, სკოლების ახალი კადრებით უზრუნველყოფას, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მატერიალურ უზრუნველყოფას, არაქართველთა სწავლების საკითხების მოგვარებას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მუზეუმი, თბილისის ფიზიკური ობსერვატორია, საქართველოს სამეცნიერო არქივი, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, გამომცემლობები, სკოლები, გიმნაზიები და სხვ.) მოწყობისა და მუშაობის უზრუნველყოფას, ახალგაზრდა ქართველი სტუდენტების საზღვარგარეთ მივლინებას, პროფტექნიკური, საზღვაო, სახელოსნო და უსინათლოთა სასწავლებლების გახსნას, სასწავლო პროგრამების შემუშავებას და ა.შ. (სეცსსა, ფ. 1935, აღ.1. საქმე 28:1).

განათლების სამინისტროდან წამოსული ყველა ინიციატივა, დაკავშირებული განათლების რეფორმასთან, ეროვნულ საბჭოში კანონების მიღებით უნდა დასრულებულიყო.

„1918 წლის 25-26 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა კანონპროექტი სახალხო განათლების შესახებ. დოკუმენტი დარგის მოღიან რეორგანიზაციას ითვალისწინებდა... 1918 წლის ოქტომბრის დასაწყისში შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით შედგა საგანგებო თათბირი განათლების რეფორმის აუცილებლობაზე - განხილული იქნა საკითხი სასკოლო და მოზარდი (40 წლამდე) ასაკის ადამიანებისათვის საყოველთაო და სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ. გადაწყდა, ყველგან გაეხსნათ სკოლები და გარდა ამისა, მოეწყო „ბუნდოვანი სურათები, სახალხო კითხვები და საკვირაო სკოლები“, სოფლებში უნდა გახსნილიყო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, რაც ხალხის განათლების დონეს გაზრდიდა“ (ჭუმბურიძე, 2003: 344-345).

განათლების სამინისტროში შედგა დებულება საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ. დებულება მოიწონა მთავრობამ და 1918 წლის 3 ივლისს დასამტკიცებლად წარუდგინა ეროვნულ საბჭოს (ჭუმბურიძე, 2003: 345).

1918 წლის 11 ივნისს საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-11 სხდომაზე განათლების საკითხების მოწესრიგების მიზნით ეროვნული საბჭოში სახალხო განათლების კომისია აირჩიეს. მასში შევიდნენ: სოციალ-დემოკრატები - ლეო ნათაძე, თევდორე კიკვიძე, იასონ ცინცაძე; ალიონის ჯგუფიდან - კალენიკე ქავთარაძე; სოციალისტ-რევოლუციონერებიდან - გრიგოლ ნათაძე; სოციალისტ-ფედერალისტებიდან - დიმიტრი უხნაძე; ნაციონალ-დემოკრატთაგან - შალვა ქარუმიძე (საქართველო, 1918: 116).

1918 წლის 3 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული საბჭოს 35-ე სხდომაზე დაამტკიცეს საბოლოო ტექსტი „განათლების სამინისტროს ორგანიზაციისა და შტატების კანონისა“. კანონპროექტის პირველი მუხლით განათლების სამინისტროს შემადგენლობაში შედიოდნენ: მინისტრი, მისი ამხანაგი, სამინისტრო საბჭო,

კანცელარია თავისი შტატით, სამინისტროს სამი განყოფილება: ა) განყოფილება უმაღლესი და საშუალო სკოლების, ბ) განყოფილება სახალხო სკოლების, გ) საპროფესიო სკოლების. კანონპროექტის მეორე მუხლი აღნიშნავს: მინისტრი არის მთავარი გამგე განათლების სამინისტროსი და მას ევალება ზედამხედველობა და მთავარი ხელმძღვანელობა ყველანაირი სკოლებისა - კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. კანონპროექტის მესამე მუხლში კი აღნიშნულია, რომ მინისტრის ამხანაგი არის უახლოესი თანაშემწე მინისტრისა და ასრულებს მის თანამდებობას მინისტრის სხვაგან ყოფნის ან ავადმყოფობის დროს.

სამინისტროს საბჭოს შეადგენდნენ: მინისტრი (თავმჯდომარე), მინისტრის ამხანაგი, კანცელარიის დირექტორი, თითო წარმომადგენელი: უნივერსიტეტისა, საქალაქო და საეროხო თვითმმართველობათა კავშირისა, მასწავლებელთა კავშირისა და ასევე ის სპეციალისტები, რომელთა მოწვევასაც საჭიროდ დაინახავდა მინისტრი (საქართველოს რესპუბლიკა, 1918: 59).

განათლების სისტემის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის განათლების სამინისტროსთან დაარსდა „მეცნიერული კომიტეტი“ - სასწავლო კომიტეტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოაზრობის სხდომის ჟურნალში მოცემულია პროექტი „სახელმწიფო განათლების სამინისტროსთან არსებულ მეცნიერულ კომიტეტის წესდებისა“. წესდება 7 პარაგრაფისაგან შედგება, რომელშიც აღნიშნულია, რომ სასწავლო კომიტეტი იმყოფება სახალხო განათლების სამინისტროსთან და მისი დანიშნულებას შეადგენს: განათლების სამინისტროს დავალებით პედაგოგიური საკითხებისა და სწავლა-განათლებასთან დაკავშირებული პროექტების განხილვა, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და პროგრამების შედგენა, ასევე იმ წიგნების, თხზულებისა და პერიოდული გამოცემების შედგენა, რომელთა გავრცელებაც განზრახულია სკოლებში. მეცნიერული კომიტეტის ფუნქციებში შედიოდა აგრეთვე „სამეცნიერო საზოგადოებათა დაარსების პროექტების განხილვა“. სასწავლო კომიტეტს უფლება ჰქონდა, მინისტრის წინადადების თანახმად, საუკეთესო სახელმძღვანელოების შესადგენად კონკურსი დაენიშნა.

წესდების მე-4 პარაგრაფში ვეცნობით სასწავლო კომიტეტის მუშაობის პროცესის შესახებ. ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც იყო „სასწავლებელთა შინაგანი მოწყობა და მართვა-გამგეობა, სწავლა-აღზრდის საქმე“ და სხვა, სასწავლო კომიტეტი წინასწარ თათბირის შემდეგ განათლების სამინისტროში განიხილავდა.

წესდებაში განხილულია სასწავლო კომიტეტის ორგანიზაციული მოწყობის საკითხები, რომლის მიხედვით ის ორ სექციად იყოფოდა: ჰუმანიტარულ და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო სექციებად. ამ ორი სექციის საერთო საკითხების განხილვა ერთად მიმდინარეობდა. განათლების მინისტრი სასწავლო კომიტეტის წევრებს ორი წლის ვადით ნიშნავდა, კომიტეტი შედგებოდა პრეზიდიუმისა და პლენუმისაგან. პრეზიდიუმში შედიოდა: „პლენუმისა და ერთ-ერთი სექციის თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, რომელიც იმავე დროს მეორე სექციის თავმჯდომარეა. პლენუმისა და ერთერთ სექციის მდივანი და მდივნის თანაშემწე, რომელიც მეორე სექციის მდივანია“ (სეცსსა, ფ.1935, აღ1, საქმე 10:1). პრეზიდიუმსაც განათლების

მინისტრი ნიშნავდა. წესდების შენიშვნაში აღნიშნულია, რომ კომიტეტი, თავმჯდომარისა და მდივნის გარდა, 16 წევრისაგან შედგებოდა. კომიტეტში შედიოდნენ მეცნიერების შემდეგი დარგების წარმომადგენლები: 1. საზოგადო და საქართველოს ისტორიისა - 3 წევრი; 2. ქართული, უცხო ენებისა და ლიტერატურისა - 3 წევრი; 3. საბუნებისმეტყველო დარგებისა - 3 წევრი; 4. მათემატიკისა - 2 წევრი; 5. ფიზიკისა და ქიმიისა - 3 წევრი; 6. ფილოსოფიის - 1 წევრი; 7. სპეციალური და ტექნიკური საგნებისა - 2 წევრი.

წესდების ბოლო მე-8 პარაგრაფი კომიტეტს უფლებას აძლევდა საჭიროების მიხედვით კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობისათვის სათათბირო ხმით მოეწვიათ სხვა წარმომადგენლები: მეცნიერები და პედაგოგები (სეცსსა, ფ.1935, აღ1, საქმე 10).

საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-17 კრებაზე, რომელიც გაიმართა 1918 წლის 5 ივლისს, განიხილეს სახალხო განათლების მინისტრის კანონპროექტი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სასწავლებლებისთვის „სწავლა-აღზრდის ერთგვარ პრინციპის დამყარების და სკოლების მართვა-გამგეობის მოღიანობის დაცვის შესახებ“ (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 42:45).

საქართველოში დაიწყო საყოველთაო-სახალხო განათლების გავრცელება. 1920 წლის 7 ოქტომბერს გამოცემულ ცირკულარში, რომელიც განათლების სამინისტრომ სკოლებს დაუგზავნა, ეწერა, რომ რვაწლიან სკოლებში უნდა ყოფილიყო უფასო სწავლება. ამ პროგრამის განხორციელება 1918-19 სასწავლო წელსვე დაიწყო და ზოგიერთ 4-წლიან დაწყებით სასწავლებელში განხორციელდა. პროცესის დასრულება განზრახული იყო 1923-24 სასწ. წლისათვის (ჭუმბურიძე, 2003:347).

1918 წლის 24 აგვისტოს სახალხო განათლების სამინისტროს სხდომაზე განსახილველი საკითხი იყო სახალხო სკოლების რეორგანიზაცია, დაბალი საფეხურის ტიპის სკოლასთან დაკავშირებით მიიღეს შემდეგი დადგენილება: „სახალხო დაბალი სკოლა დროებით რჩება იმ სახითვე, როგორც არსებობს: 3-სა, 4-სა და 5-ს ვადის“ (სეცსსა, ფ.1935, აღ.1, საქმე 31:5).

მეორე საფეხურზე უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში უფასო სწავლების შემოღება თანდათანობით დროის გარკვეულ მონაკვეთში უნდა განხორციელებულიყო. ამისათვის სკოლებს ეკრძალებოდათ შტატების გაზრდა, სამეურნეო ხარჯები უნდა გაეწიათ არსებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, და თუ გაზრდიდნენ, იგი უნდა დაეფარათ საქალაქო მმართველობისა და ერობების ადგილობრივი თანხებით. დასკვნაში ეწერა: „ხელმძღვანელობს რა ყველა ამ დებულებითა და მოსაზრებით, განათლების სამინისტრო შეუძლებლად სცნობს უმაღლეს დაწყ. სასწავლებლებში არსებული სასწავლო გადასახადის რაოდენობის გადიდებას... მომავალში ეს გადასახადი უნდა შემცირდეს მინიმუმამდე, რათა შემდეგში სრულიად გაუქმდეს იგი, და ამნაირად, ამ საფეხურზეც განხორციელდეს უფასო სწავლებული სწავლება“ (ჭუმბურიძე, 2003:348).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1918 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე, პირველ დაწყებით სასწავლებელთა გახსნის, „უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთა“ გახსნისა და ზოგიერთის უკვე არსებულის სახაზინო ხარჯზე

მიღების შესახებ მოწონებულ იქნა და დაადგინეს, რომ კანონპროექტი ეროვნულ საბჭოს გადაცემოდა განსახილველად (სეცსსა, ფ.1935, აღ.1, საქმე 34: 41).

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის 1918 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე საშუალო სკოლების დროებითი დებულების შეცვლის შესახებ გადაწყდა შემდეგი: სანამ საშუალო სკოლების ორგანიზაციისა და მართვა-გამგეობის ძირითადი დებულებები იქნებოდა შემუშავებული და პარლამენტში წარდგენილი, მანამდე განათლების მინისტრს მიენიჭა საშუალო სკოლების მართვა-გამგეობის შესახებ „დროებითი დებულების (12 სექტ. 1917 წ.) შეცვლის უფლება ინსტრუქციის წესით“ (სეცსსა, ფ.1935, აღ.1, საქმე 34:59).

1918 წლის სექტემბრისათვის მთელ საქართველოში არსებობდა ვაჟთა 24 და ქაღთა 21 გიმნაზია, ერთი სამასწავლებლო ინსტრუქტი და 4 საოსტატო სემინარია, 3 რეალური და 3 კომერციული სასწავლებელი. ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის გამო ეს სკოლები ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა. ამიტომ საშუალო სკოლებში დაწესდა სწავლის გადასახადი 500 მანეთი. 1918 წელს ბიუჯეტიდან დაფინანსებამ შეადგინა 9,1 მლნ მანეთი. პედაგოგიური სასწავლებლებისა და დაწყებითი სკოლების ხარჯები, 3,3 მლნ მანეთი, მთლიანად სახელმწიფომ გაიღო.

„ზემოთ დასახელებული სახალხო განათლების უწყებაში არსებული საშუალო სკოლების გვერდით საქართველოში საკმაოდ ბევრი იყო კერძო გიმნაზიები, რეალური და კომერციული სასწავლებლები. 1919 წელს დაფიქსირებული ერთი სტატისტიკური ცნობის მიხედვით, საქართველოში მოქმედებდა ვაჟთა და ქაღთა კერძო გიმნაზიები - 26, რეალური სასწავლებელი - 3, საკომერციო სასწავლებელი - 2, საბუღალტრო კურსები - 6, სავაჭრო სკოლა - 8“ (ბენდიანიშვილი, 2001:262).

ჩვენ მიერ მოკვლეულ საარქივო მასალაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ჟურნალში, რომელიც 1918 წლის 9 აგვისტოთი თარიღდება, კანონპროექტი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სკოლების ერთ საფუძველზე მოწყობისა“ შემდეგი სამი მუხლისაგან შედგება:

„1. სახელმწიფო თავისი ხარჯით ინახავს მის ტერიტორიაზე მობინადრე სხვა და სხვა ერთათვის სკოლების განსახდვრულ რიცხვს, რომელშიაც სწავლება მშობლიურ ენაზე უნდა სწარმოებდეს.

2. ქართულ სახელმწიფო სკოლებში დედაენაზე სწავლება ყველა კლასში შემოდებულ უნდა იქმნას 1918-19 სასწავლო წლის დასაწყისიდან.

შენიშვნა: იმ სკოლებში, სადაც ყველა კლასში ქართულ ენაზე სწავლების ამ თავითვე შემოდება სხვა და სხვა დაბრკოლებათა გამო შეუძლებელი აღმოჩნდა, განათლების სამინისტროს ვვალება მეორე მუხლში აღნიშნული კანონის სავსებით განხორციელება დაასრულოს არა უგვიანეს ორი წლისა.

3. ეროვნულ უმცირესობათა სახელმწიფო სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლებისა და საზოგადოთ სკოლის ეროვნულ საფუძველზე მოწყობის საქმეს აწარმოებს თითოეული ერის სათანადო დაწესებულება განათლების მინისტრთან შეთანხმებით“ (სეცსსა, ფ.1935, აღ.1, საქმე 34:134).

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული მთავრობისა და ეროვნული საბჭოს მიერ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლების ნაციონალიზებას ანუ გაეროვნებას, სკოლების ტიპის შეცვლას. მთავრობის სხდომებზე იხილებოდა საკითხები სხვადასხვა სასწავლებლების გაეროვნებისა და სახელმწიფო სასწავლებლებად გამოცხადების შესახებ, ეროვნული საბჭო კი იღებდა შესაბამის კანონებს.

„პირველი წლის განმავლობაში დამთავრდა საშუალო სასწავლებელთა გაეროვნება, ხოლო დაბალი სკოლების გაეროვნება დაიწყო 1918 წლის შემოდგომაზე და ისიც ინტენსიურად მიმდინარეობდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პედაგოგიურ სასწავლებლებს, გაეროვნულდა თბილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის, ხონისა და სოხუმის საოსტატო სემინარიები. სამინისტრომ ამ მიზნით მიიღო თავის გამგებლობაში და ბოღობის მონასტერთან არსებული ქალთა სამასწავლებლო სკოლა“ (გავაშელიშვილი, 2004:82).

„1918 წლის 13 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნების შესახებ. აღნიშნული კანონით ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის, ხონის და სოხუმის სემინარიები ქართულ სახელმწიფო სკოლებად გამოცხადდა“ (ჭანტურია, 2006:156).

მანამდე, 1918 წლის 16 ივლისს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კრებაზე დაადგინეს „განათლების საზოგადოების თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის“ სახელმწიფო სასწავლებლად გამოცხადებისა და მოელი სასკოლო მოწყობილობებით, ბიბლიოთეკით, მუზეუმით მთავრობის გამგებლობაში გადასვლის შესახებ (სეცსსა, ფ. 1861, აღ.1, საქმე 3:44).

1918 წლის 12 აგვისტოს კი განათლების სამინისტროს საბჭოს სხდომის ჟურნალში ვკითხულობთ შემდეგ დადგენილებას: „1. საჭიროა სასწავლებლების გაეროვნება. 2. ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია გამოცხადდეს სახელმწიფო გიმნაზიად და მოხდეს მისი სრული გაეროვნება, მოსამზადებელ კლასიდან მერვე კლასიანად“ (სეცსსა, ფ.1935, აღ.1, საქმე 31:2). საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 29 ოქტომბრის სხდომაზე ყოფილ თავად-აზნაურთა ქონებათა მართვა-გამგეობის მომწესრიგებელი კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა განათლების მინისტრი (სეცსსა, ფ.1935, აღ.1, საქმე 34:82).

1918 წლის 20 სექტემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს 40-ე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშიდან ვკითხულობთ, რომ ეროვნულ საბჭოში მიმდინარეობდა „განხილვა კანონ პროექტისა წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლის სახელმწიფო სკოლად გამოცხადების შესახებ“. ამავე სხდომაზე დაადგინეს „1. მუხლი. წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლა გამოცხადებულ იქნეს სახელმწიფო სკოლად; 2. მუხლი. გადაიდვას სახელმწიფო ხაზინიდან ხსენებულ სკოლის მიმდინარე წლის ხარჯების დასაფარავად ოცდა თოთხმეტი ათასი მანეთი“ (ერ. საბჭი, სხდომა 40, 1918:12-13)

1918 წლის 22 აგვისტოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის დადგენილებიდან ვარკვევთ, რომ განათლების მინისტრს დაევალა თბილისის გიმნაზიებში ნაციონალიზაციის საკითხი გადაეწყვიტა შემდეგნაირად:

„მოხდინოს ნაციონალიზაცია ტფილისის გიმნაზიებში, ქართველ მოწაფეთათვის პირველ ოთხ კლასებში და დანარჩენებისთვის შეძლებისდაგვარად“ (სეცსსა, ფ.1861, ად.3, საქმე 3:88).

განათლების სამინისტრომ დიდი ყურადღება მიაქცია საქართველოს იმ კუთხეს, სადაც უფრო მეტად დაინახა ახალი სკოლების გახსნის საჭიროება. 1918წ. 19 ნოემბერს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში პირველდაწყებითი სასწავლებლის გახსნის შესახებ ვკითხულობთ:

1. გაიხსნას ტფილისის გუბერნიაში 37 ახალი პირველდაწყებითი სკოლა.

2. გაიხსნას ახალი კომპლექტი 13 მრავალრიცხოვან სასოფლო სკოლაში.

3. განათლების სამინისტროს მიეცეს კრედიტი ახალი სკოლების და კომპლექტების შესანახად თანახმად ამ კანონთან დართული ხარჯთაღრიცხვისა-121. 440 მანეთი (ჭანტურია, 2006:156).

კანონი მხოლოდ თბილისის გუბერნიისთვის იყო გათვალისწინებული. ამასთან დაკავშირებით ეროვნული საბჭოს სხდომაზე კანონპროექტის ირგვლივ მომხსენებელი ნოე ცინცაძე აღნიშნავს: „აღმოსავლეთ საქართველო, სწავლა-განათლების მხრივ, მეტად ჩამორჩენილია დასავლეთ საქართველოსთან შედარებით“. ამავე სხდომაზე ეროვნული საბჭოს წევრი აკაკი ფაღავა უფრო აკონკრეტებს ამის მიზეზს და აღნიშნავს, რომ ქუთაისის გუბერნიაში არის 833 სახალხო სკოლა, თბილისის გუბერნიაში - 470, ხოლო სახალხო მასწავლებლების რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში 1736-ს, ხოლო თბილისის გუბერნიაში 790-ს უდრის. აკაკი ფაღავა დასძენს, რომ: „აი ყოველივე ეს გვაიძულებს ჩვენ და განათლების სამინისტროს, უპირველეს ყოვლისა თავისი ყურადღება მიაქციოს ტფილისის გუბერნიას... განათლების სამინისტრომ სწორედ მიაქცია ყურადღება ისეთ მაზრებს, როგორც არიან დუშეთის, თიანეთის, გორის მაზრები, ბორჯომის ხეობა“ (ერ. საბჭო, სხდომა მე-60, 1918:24-25). აღმოსავლეთ საქართველოში პირველდაწყებითი სკოლების გახსნას ალექსანდრე ბენდიანიშვილი ასე აფასებს: „1919 წელს დასავლეთ საქართველოში ერთი სკოლა მოდიოდა დაახლოებით 1000 მცხოვრებზე, აღმოსავლეთ საქართველოში კი 2500 მცხოვრებზე. ამ დისპროპორციის აღმოფხვრის მიზნით მთავრობამ შეადგინა გეგმა, რომლიც ითვალისწინებდა ახალი სკოლების გახსნას 37 სოფელში“ (ბენდიანიშვილი, 2001: 262-263).

დიდი ყურადღება მიექცა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთათვის სწავლა-განათლების საქმის მოწესრიგებას, ახალი სკოლების გახსნას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლებაზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის 28 სექტემბერს მიიღო დადგენილება არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სავალდებულო სწავლების შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ: „1. არა-ქართულ საშუალო და პირველ დაწყებით უმაღლეს სკოლებში ქართული ენა იქნეს სავალდებულო პირველ ოთხ კლასში; - ხედა კლასებში კი მსურველთათვის. 2. საქართველოს ისტორია იმავე სკოლებში უნდა იყოს სავალ-

დებულო, მაგრამ ვინაიდან მოწაფეთ ჯერჯერობით ქართული არ იცინა მისი სწავლება დროებით მოეწეოს რუსულ ენაზე“ (სეცსსა, ფ. 1935, აღ.1, საქმე 34:35).

1918 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრომ სათანადო განკარგულების გასაცემად თბილისის ქალაქის გამგეობას აცნობა: „თანახმად მთავრობის დადგენილებისა, ქალაქის ყველა არა ქართულ სკოლაში სავალდებულოა სახელმწიფო (ქართული) ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლება“ (სეცსსა, ფ.1935, აღ.1, საქმე 11:5).

1918 წლის 29 ოქტომბერს სახალხო განათლების სამინისტროს სხდომაზე განსახილველი საკითხი იყო „საშუალო სკოლის შესახებ არა ქართველთათვის“. სხდომაზე დაადგინეს, რომ განათლების სამინისტროს უნდა შეემუშავებინა სქემა თბილისში ქართულ გიმნაზიების დაარსების შესახებ. მასვე დაევალა ცალკე რუსთა და სომეხთათვის გიმნაზიების დაარსების შესახებ გეგმის შედგენა. უპირატესობა ამ გიმნაზიებში, მოსწავლეების მიღების დროს, „საქართველოს ქვეშევრდომთა შვილებს“ უნდა მისცემოდათ (სეცსსა, ფ.1935, აღ.1, საქმე 34:125).

ძველი სისტემის ნაშთი ის იყო, რომ 1917-1918 სასწავლო წელს ყველა ეროვნების ბავშვები ერთად სწავლობდნენ. განათლების მინისტრმა მთავრობისაგან მოითხოვა დაეკანონებინა ქართული, სომხური და რუსული გიმნაზიების ცალ-ცალკე არსებობა. მომდევნო სასწავლო წლისათვის თბილისში უნდა შექმნილიყო სამი ქართული, ერთი სომხური, ერთი რუსული და ერთიც შერეული-რუსულ-სომხური გიმნაზია. ასეთივე რეორგანიზაცია ხდებოდა ქალთა გიმნაზიებში (ბენდიანი შვილი, 2001:261-262).

1919 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა თუ როგორ „მოხდა განაწილება თბილისის სასწავლებლებში შემდეგი პროპორციით „ვაჟთა სასწავლებელნი - I, II, V (სანახევროდ), VII, VIII ქართველთათვის; III, IV (სანახევროდ) და V (სანახევროდ) სომეხთათვის; IV (სანახევროდ) და VI რუსთათვის.

ქალთა სასწავლებელნი - I, II, VI (სანახევროდ), VII და საეპარქიო ქართველ-თათვის; III, IV (სანახევროდ) და VI (სანახევროდ) და V რუსთათვის.

ამგვარადვე განაწილებულია უმაღლეს დაწეებითი და დაბალი სკოლებიც. ამნაირადვე განკუთვნილია არა რუსთათვის კლასები პროვინციის გიმნაზიებთან გორში, ქუთაისში და ფოთში.

სოხუმის საოსტატო სემინარიასთან დაარსებულია პარალელური კლასები აფხაზთათვის, ხოლო ოსთათვის ჯერჯერობით უმაღლეს დაწეებითი სკოლა ჯავაში“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1919:114).

„პარლამენტმა 1918 წლის 19 ნოემბერს გამოსცა კანონი, რომლის ძალით, სხვადასხვა უწყებაში არსებული სასწავლებლები, გარდა სამეურნეო სკოლებისა, გადმოვიდა განათლების სამინისტროს უწყებაში“ (გავაშელი შვილი, 2003:83).

კანონის მიღებამდე, 1918 წლის 7 ნოემბერს, საქართველოს ეროვნული საბჭოს 57-ე სხდომაზე იხილებოდა „კანონპროექტი სხვა და სხვა უწყების სკოლების განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლის შესახებ“. კანონპროექტის მომხსენებელმა, ნოე ცინცაძემ, სამეურნეო სკოლების მიწათმოქმედების სამინისტროს უწყების ხელში დარჩენის შესახებ შემდეგი არგუმენტით ახსნა: „მიწათმოქმედების

სამინისტრო ანხორციელებს აგრარულ რეფორმას. აგრარულ რეფორმის სასურველ დასაგვირგვინებლად აუცილებლად საჭირო არის, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, ეგრეთ წოდებულ სამაგალითო საცდელ მინდვრებს და სამეურნეო ცოდნა-განვითარებას, ესე იგი უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება სამეურნეო სკოლების ასე თუ ისე მოწესრიგებას. ეს სამეურნეო, აგრონომიული სკოლები უნდა შეადგენდნენ ერთ მთლიან რამეს, რომელიც უნდა იყოს აუცილებლად უწყების განკარგულებაში. ეს უწყება, თავისთავად ცხადია, იქნება მიწათმოქმედების სამინისტრო (ერ. საბჭო, სხდომა 57-ე, 1918:25).

ამ კანონპროექტის განხილვა 1918 წლის 12 ნოემბერს ეროვნული საბჭოს მე-60 სხდომაზე გაგრძელდა და მიიღეს დადგენილება: „1. ყველა უწყების სკოლები, განურჩევლად ტიპისა და ხარისხისა, გარდა სამეურნეო სკოლებისა, გადადის სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში. 2. არსებული სამეურნეო სკოლები, ან რომელიმე მომავალში იქნებიან დაარსებულნი, - ექვემდებარებიან მიწათმოქმედების სამინისტროს“ (ერ. საბჭო, სხდომა 60-ე, 1918:23).

ყოფილი სასულიერო სასწავლებლები თბილისში, გორში, ოზურგეთში, სენაკსა და თელავში გადაკეთდა საეროდ, ამათგან ზოგიერთი შეუერთდა ადგილობრივ გიმნაზიებს (გორი, ოზურგეთი, თელავი), ზოგიც დამოუკიდებელ საშუალო სკოლად გადაიქცა, მაგალითად, თბილისის მერვე გიმნაზია - სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიისაგან და სენაკის ვაჟთა გიმნაზია (გავაშელიშვილი, 2003:83).

საქართველოს განათლების სამინისტრო აქტიურად განიხილავდა „დროებით საქართველოს მოწყვეტილ კუთხეებში“ სკოლების დაარსების საკითხს. 1919 წლის 2 იანვარს განათლების სამინისტრომ მიიღო დადგენილება ქ. ახალციხეში ადგილობრივ პირობების გამოსარკვევად სამინისტროს წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ (სეცსსა, ფ.1835, აღ.1, საქმე28:4). ასევე მიღებული იქნა დადგენილება „მუსულმან მასწავლებელთათვის“ გახსნილიყო კურსები. (სეცსსა, ფ.1935, აღ.1.საქმე 28:3). უნდა აღინიშნოს, რომ 1919 წლის 6 მარტიდან ქალაქ ბათუმში გაიხსნა ქართული გიმნაზია, რომლისთვისაც გადაიღო 100.000 მანეთი (საქართველოს რესპუბლიკა, 1919:114).

ეროვნული საბჭო ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე ცდილობდა მაჰმადიანი ქართველი მასწავლებლებისათვის 4-თვიანი კურსების მოწყობას. შედგა კურსზე სასწავლო საგნების სიაც: ა) ქართული ენა და ლიტერატურა, ბ) საქართველოს ისტორია-გეოგრაფია, გ) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, დ) საგნობრივი გაკვეთილები (საუბარი), ე) ბუნების მეტყველება, ვ) სახელმწიფო უფლება, ხ) სანიმუშო პრაქტიკული ვარჯიშობა, თ) პედაგოგიკა და მეთოდოლოგია. ეროვნულმა საბჭომ ამ მიზნის განხორციელებისათვის ეროვნული საბჭოს სამაჰმადიანო სექციას 22.800 მანეთიც კი გამოუყო (სეცსსა, ფ.1836, აღ1, საქმე 7:15). საარქივო მასალიდან დასტურდება, რომ ეროვნული საბჭოს მიერ დაარსებულ სასწავლებელში მუსლიმი პედაგოგები არ გამოცხადებულან, რაც სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული (სეცსსა, ფ. 1836, აღ.1, საქმე 7:16).

რაც შეეხება რესპუბლიკის სხვა ადგილებს, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს 1918 წლის 21 დეკემბრის ბრძანებით, გიმნაზია

გაიხსნა ქალაქ ოჩამჩირეში, 1919-1920 წლებში სოხუმსა და გუდაუთაში სხვადასხვა ტიპის სასწავლებლები გაიხსნა; განათლების სამინისტროს წარმოდგენილი ჰქონდა მთავრობაში მოხსენება, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა ოსთათვის პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებლის გახსნას. ეს წინადადება მთავრობამ მოიწონა და მისი ხარჯთაღრიცხვა პარლამენტს წარუდგინა. 1918 წლის 21 დეკემბერს მთავარგამგე გ. ნათაძე მიმართავს ოსეთის პირველი პროგიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეს, რომ მიმდინარე სამოსწავლო წელს გაიხსნება პირველდაწყებითი სასწავლებელი, როგორც კი ამას პარლამენტი დაადასტურებს და სათანადო თანხმობაც მიეცემა. მომავალ წელს კი ეს სასწავლებელი შეიძლება გიმნაზიად გადაკეთდეს; განათლების სამინისტროს კანონპროექტით, საინგილოს სკოლებისათვის 1918 წლის 1 აპრილიდან 1918 წლის 31 დეკემბრამდე სახელმწიფო ხაზინიდან უნდა გადადებულყო 20.250 მან. 1919 წლის 6 თებერვალს მთავრობამ გამოყო კიდევ ეს თანხა; 1918 წლის 24 ნოემბრის მთავრობის სხდომის გადაწყვეტილებით განათლების მინისტრს გაეხსნა ათმილიონიანი ფონდიდან 100 000 მანეთის კრედიტი სოჭის ოლქის სახალხო სკოლების შენახვისათვის (გავაშელიშვილი, 2003:100-116).

საქართველოს პარლამენტმა ყურადღება მიაქცია მასწავლებელთა „ნივთიერ მდგომარეობის“ გაუმჯობესების საქმესაც. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვკითხულობთ, რომ განათლების სამინისტროს კანონპროექტის თანახმად, საქართველოს პარლამენტმა 1918 წლის 18 ოქტომბერს გამოსცა კანონი, რომელითაც „დაბალ სკოლათა“ მასწავლებლებს, ნაცვლად 210 მანეთისა, დაენიშნათ ყოველ თვე 400 მანეთი. ვინაიდან არც ეს ჯილდო უზრუნველყოფდა მასწავლებელს, - ვკითხულობთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, - სამინისტრომ შეიმუშავა და უკვე წარუდგინა მთავრობას კანონ-პროექტი სახალხო მასწავლებელთათვის „5 წლიან დამატებათა“ დანიშვნის შესახებ. 1918 წლის ნოემბერში განათლების სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი უმაღლეს დაწყებითისა და საშუალო სკოლის მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. 1919 წლის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო აღნიშნული კანონი, რომლის მიხედვით მასწავლებელთა მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა (საქართველოს რესპუბლიკა, 1919:114).

ასეთივე ყურადღება ექცეოდა სტუდენტთა ცოდნის ამაღლებას. 1918 წლის 28 სექტემბრის საქართველოს დემოკრატიული მთავრობის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა განათლების მინისტრი და მოითხოვა ქართველ სტუდენტების გერმანიაში გამგზავრება. ამავე სხდომაზე მიიღეს დადგენილება: გერმანიაში 150 ქართველი სტუდენტის გაგზავნისა და უმაღლესი სწავლის მიღებისათვის დაჩქარებულიყო საგარეო საქმეთა სამინისტროს მოლაპარაკება გერმანიის წარმომადგენელთან (სეცსსა, ფ. 1935, აღ.1, საქმე 34:35).

1918 წლის 3 დეკემბრის სხდომის უურნალიდან ვიგებთ, რომ დაისვა საკითხი „პროფესიონალური განათლების შესახებ“ და მიიღეს შემდეგი დადგენილება: 1) ეცნობოს ერობებს გამოიმუშაონ ადგილობრივი სასურველი საპროფესიო სკოლების

ტიპი და საერთოდ, საპროფესიო განათლების მოწყობის შესახებ გამოიმუშაონ მოსახრებანი. ამავე სხდომაზე 2) შემუშავდეს მოხსენება მოხარდი თაობის უცხოეთში გასაგზავნად, რათა მათ შეძლონ დაბალი, საშუალო და უმაღლესი პროფესიონალური ცოდნის შექმნა (სეცსსა, ფ.1935, აღ.1, საქმე 28:3).

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ გატარებულ განათლების რეფორმასთან დაკავშირებით სრულიად ვეთანხმებით ალექსანდრე ბენდიანიშვილის შეფასებას, რომელიც წერს: „ფაქტია, რომ საერო განათლების სკოლა, განათლების სისტემა წინ მიდიოდა, ემსახურებოდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ინტერესებს. ამასვე ვერ ვიტყვით სასულიერო სემინარებისა და სასწავლებლებზე. სამწუხაროდ, ეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკა არაეროვნული აღმოჩნდა ავტოკეფალურ ეკლესიასთან ურთიერთობის სფეროში. ხელყვეს საეკლესიო ქონება, დაიწყო სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაცია, მათი გადაკეთება საერო და პროფესიულ სკოლებად. საღვთო სჯული, როგორც საგანი, გაუქმდა“ (ბენდიანიშვილი, 2001:265).

ასეთივე შეფასებას აკეთებს დოდო ჭუმბურიძე, რომელიც ამბობს: სამწუხაროდ, არაეროვნული აღმოჩნდა დემოკრატიული მთავრობის დამოკიდებულება ქართული ეკლესიისადმი, რამაც განსაზღვრა საეკლესიო სკოლების ბედიც: დაიწყო ამ ტიპის სასწავლებლების რეორგანიზაცია, მათი გადაკეთება საერო და პროფესიულ სკოლებად. 1918 წლის 25-26 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა კანონპროექტი სახალხო განათლების შესახებ. სასულიერო სკოლების რეორგანიზაცია, საეკლესიო ქონების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება და საღვთო სჯულის სავალდებულო სწავლების გაუქმებაც ამ კანონპროექტით განისაზღვრა (ჭუმბურიძე, 2003: 352).

1918 წ. 19 ნოემბერს განათლების კომისიამ საქართველოს პარლამენტში განსახილველ საკითხად წარადგინა კანონპროექტი „საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების“ შესახებ. კანონპროექტით, ყველა ტიპის სკოლიდან იდევნებოდა საღვთო სჯულის სწავლება. კერძოდ, კანონპროექტში წარმოდგენილი იყო შემდეგი ძირითადი მუხლები: ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლაში გაუქმდეს საღვთო სჯულის სწავლება და საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა. ამ კანონპროექტით უწესდებოდა ჯილდო შტატ-გარეშე დარჩენილ საღვთო სჯულის პედაგოგებს. მე-5 და მე-6 მუხლი უშვებდა „კომპრომისს მუსულმანებისათვის“, რაც ითვალისწინებდა „შარიათის“ სწავლებას „მუსულმანთა სკოლებში“. კანონპროექტის მომხსენებელი ლეო ნათაძე ამ კომპრომისს პოლიტიკური თვალსაზრისით ხსნიდა და ამბობდა: „ჭარა და ქართველი მუსულმანებით დასახლებული რაიონები ადრე თუ გვიან უნდა შემოუერთდნენ ჩვენ ქვეყანას. ძალიან გვეშინიან, რომ მთელი ის აგიტაცია, რომელიც ქართველ მუსულმანებს აშორებს ქართველ ქრისტიანებთან, რომელიც ერთნაირ უფროსკრულს აჩენს მათ შორის, ეს აგიტაცია დამყარებულია იმაზე, რომ ქართველებს უნდათ ქართველ მუსულმანებს წაართვან და მოსპონ სარწმუნოება, ექნებოდათ რაიმე საბუთი აგიტატორებს ეთქვათ, რომ წინეთ ასწავლიდნენ სამღვთო სჯულს და ახლა კი არ

ასწავლიან. მუსულმანთა სარწმუნოებას მოელის საფროსხე, თუ შეუერთდებით (ერ. საბჭო, სხდომა 62-ე, 1918:18).

ამ კანონპროექტმა პარლამენტში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია: განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატები ეწინააღმდეგებოდნენ კანონპროექტს, თუმცა ისინიც თვლიდნენ, რომ საჭირო იყო რეფორმა სკოლაში და მათ შორის სჯულის სწავლების საკითხშიც. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ განათლების კომისიამ ამ კანონპროექტი საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ პარლამენტში წარადგინა განათლების სამინისტროს გვერდის ავლით. განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი, ეწინააღმდეგებოდა რა დაჩქარებული წესით ამ კანონპროექტის განხილვას, ამბობდა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ წლევეანდელ სამოსწავლო წელს ჩვენ პედაგოგიურ მუშაობაში ვერ მოვასწრებთ მოვახდინოთ ისეთი რადიკალური ცვლილებები, რომლებიც საჭიროა სკოლების გადაკეთებისა და პროგრამების გადალახვისათვის, საქმე გადავდეთ მომავალ წლამდის. ამ რიცხვში გახლავთ საღვთო სჯული... ჩვენ გვქონდა შემდეგი მოსაზრება, ჩვენ საჭიროდ ვთვლიდით, რომ სამღვთო სჯულის ადგილი დაეჭირა სხვა რაიმე საგანს-საეკლესიო ისტორიას, შეიძლება ეთიკას უფროს კლასებში. არ გვინდოდა, რომ ცარიელი ადგილი დარჩენილიყო ამ სამღვთო სჯულის ადგილას (ერ. საბჭო, სხდომა 62-ე, 1918:23).

განსაკუთრებით ცხარე დებატები გამოიწვია კანონპროექტის მე-5 და მე-6 მუხლებმა, პარლამენტართა უმრავლესობა ამ მუხლების ამოღებას სხვადასხვა მიზეზით მოითხოვდა. სოციალ-დემოკრატი სოლომონ დოლიძე, მოითხოვდა რა ყველა ტიპის სკოლიდან საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებას, კანონპროექტის ამ ნაწილის შესახებ ამბობდა: „ჩვენ ვსაბოტო საღვთო სჯულის სწავლებას და ამავე დროს ვტოვებთ რაღაც შარიათის სწავლას მუსულმანთა სასწავლებლებში“ (ერ. საბჭო, სხდომა 62-ე, 1918:19). პარლამენტის წევრი კოტე აფხაზი კი აღნიშნავდა: „თუ ხაზინა ჩვენი სახელმწიფო მართლმადიდებლებისათვის და ქრისტიანულ სარწმუნოებისათვის არ გამოიღებს ფულს, რათ უნდა ვაკადროთ ჩვენ ეს მუსულმანებს. თუ კი ქრისტიანული მშობლები, რომლებიც მოისურვებენ თავის ხარჯზე მიიღონ ეს და მოისურვებენ სამხთო სჯული ასწავლონ სკოლაში, რატომ მუსულმანებს არ შეუძლიან მიიღონ ეს თავიანთ ხარჯზე. ეს რა ქველმოქმედებაა, რა გაბოძება?“ (ერ. საბჭო, სხდომა 62-ე, 1918: 21). პარლამენტის წევრმა რევაზ გაბაშვილმა კი მეტი კონკრეტიკისათვის განაცხადა: „რა მდგომარეობაში ჩავარდებიან მშობლები, ქრისტიანული საზოგადოება საქართველოში, რომელიც დაინახავს აშკარად, რომ მაჰმადიანებს ჩვენი დღევანდელი მთავრობა, სოციალისტური მთავრობა, უწევს დახმარებას და მფარველობას და იმავე დროს კი სდევნის ქრისტიანობას“ (ერ. საბჭო, სხდომა 62-ე, 1918:36).

ამრიგად, „სამღვთო სჯულის“, როგორც სავალდებულო სასწავლო საგნის სკოლის პროგრამიდან ამოღება, ჩვენი აზრით, შეიძლება ასე შეფასდეს: 1) არ იყო მართებული ამ კანონის დაჩქარებული წესით მიღება, რადგან მის ნაცვლად სხვა შესაბამისი საგნის (რაზედაც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული) სწავლება გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო; 2) კანონი სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეებს

არათანაბარ პირობებში ამყოფებდა. თუმცა გასათვალისწინებელია იმდროინდელი რეალური პოლიტიკური მდგომარეობა. გამომდინარე იქიდან, რომ უცხო ძალები აგიტაციას ეწეოდნენ ქართველ მუსლიმ მოსახლეობაში, რომ თუ ისინი საქართველოს ერთიან სივრცეში დაბრუნდებოდნენ და „სამუსლიმანო საქართველო“ ერთიან საქართველოს სახელმწიფოს შეუერთდებოდა, მაშინ ისინი დაკარგავდნენ თავიანთ სარწმუნოებას. აქედან გამომდინარე, ის კომპრომისი, რომელიც, მოცემული კანონით, მუსლიმი ქართველი მოსწავლეებისთვის იყო გათვალისწინებული „შარიათის“ სწავლების სახით, სრულიად მისაღებად მიგვაჩნია. ამ კანონის მიღებით კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, თუ როგორ ზრუნავდა „მუსულმან ქართველებზე“ ჩვენი ხელისუფლება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნულმა საბჭომ ამ მხრივ არაერთხელ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ის შემთხვევა, რომ ბათუმში ეროვნული საბჭოს მიერ გახსნილ 4-თვიან კურსზე მუსლიმი პედაგოგები არ გამოცხადნენ, სწორედ უცხო ძალის აგიტაცია-პროპაგანდის შედეგი უნდა ყოფილიყო. მათ საპირისპიროდ კი ეროვნულ საბჭოში ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო იმისათვის, რომ „სამაჰმადიანო საქართველო“ ერთიან ქართულ სივრცეში დაბრუნებულიყო. ყველასათვის ცხადია, რომ ეროვნული საბჭოს წევრი მემედ აბაშიძე, რომელიც ამავე დროს ეროვნული საბჭოს „სამაჰმადიანო საქართველოს გამგებლობის“ კომისიის წევრიც იყო, ხელმძღვანელობდა რა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებით, დაუღალავად იღვწოდა „სამაჰმადიანო საქართველოს დედამშობლოსთან“ დასაბრუნებლად და უნერგავდა თავისიანებს, რომ: „აჭარლები თუმცა სარწმუნოებით მაჰმადიანია, მაგრამ ეროვნებით ქართველები არიან, საქართველოს დვიძლი შვილები“ (გუგუნავა, 1997:148).

განათლების დონის ამაღლების მიზნით გადაწყდა წიგნთსაცავ-სამკითხველოების გახსნაც. 1918 წლის 5 ოქტომბერს მთავრობის სხდომაზე „საქართველოს ტერიტორიაზე წიგნთსაცავ სამკითხველოების“ გახსნის შესახებ მიიღეს დადგენილება და შინაგან საქმეთა მინისტრს წიგნთსაცავ სამკითხველოების გახსნისთვის ათმილიონიანი ფონდიდან ორმოცდაათი ათასი მანეთის კრედიტი გამოუყვეს (სეცსსა, ფ.1935, აღ.1, საქმე 34:48). ამ მიმართულებით ზრუნვა ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ეროვნულ საბჭოში საბიბლიოთეკო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ექვთიმე თაყაიშვილი. საბიბლიოთეკო კომისიაში შევიდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, არჩილ ჯაჯანაშვილი და ოლღა სოლოღაშვილი (სეცსსა, ფ. 1836, დ.1, საქმე 127:35).

საქართველოს ეროვნულ საბჭოში ასევე აქტიურად განიხილებოდა საკითხი უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო დაწესებულებებებთან დაკავშირებით.

1918 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის განათლების კომისიას თავის სხდომაზე უმსჯელია განათლების მინისტრის მიერ წარმოდგენილი ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის დებულების შესახებ და მიუღია დადგენილება: აღნიშნული დებულება დაუბრუნდეს განათლების სამინისტროს და ეთხოვოს, რომ შემდგენისათვის მან წარმოუდგინოს კომისიას ხელახლა გადაამუშავებული და

დასაბუთებული შტატები და აგრეთვე დამატებითი ცნობები მუზეუმის მდგომარეობის შესახებ (გუგუნავა, 1997:174).

ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის დებულებაში ვკითხულობთ, რომ ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმი არის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულება. მიზანი ამ დაწესებულებისა არის: 1. კვლევა-ძიება, შესწავლა და შემუშავება პედაგოგიური საკითხისა და მასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დისციპლინათა, პედაგოგიური იდეების გავრცელება და პოპულარიზაცია მასწავლებელთა, მშობელთა და იმ პირთა შორის, რომელთაც აინტერესებთ პედაგოგიური საკითხები და აგრეთვე ხელის შეწყობა სკოლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამეცნიერო და საპედაგოგიო მიზნების განხორციელებისათვის. მუზეუმი შედგება შემდეგი განყოფილებებისა და დაწესებულებებისაგან:

ა) განყოფილებანი: პედაგოგიური განყოფილება, საბუნებისმეტყველო სამათემატიკო, ჰუმანიტარული განყოფილება.

ბ) დაწესებულებანი: 1. ბიბლიოთეკა და სამკითხველო, 2. გამომცემლობის ბიურო, 3. მეცნიერული და პედაგოგიური საკითხების შესახებ დემონსტრაციებისა, ფასიანი და უფასო ლექციების მომწყობი კომისია, 4. ლაბორატორიები საბუნებისმეტყველო და პედაგოგიურ განყოფილებებთან, 5. საფოტოგრაფიო კაბინეტი, 6. სამეცნიერო და სასკოლო კინემატოგრაფი, 7. სასწავლო სახელმძღვანელოთა სახელოსნო, 8. ფიზიკურ და ტექნიკურ შრომის სახელოსნო, პედაგოგიური კლუბი (გუგუნავა, 1997:168-169).

1919 წლის 24 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე მიიღეს დადგენილება: „კანონ-პროექტი პედაგოგიური მუზეუმის დაარსებისა და დროებითი შტატების შესანახად“ წარედგინოს დამფუძნებელ კრებას (გუგუნავა, 1997:167).

ჩვენ მიერ მოკვლეულ საარქივო მასალაში სათაურით - „ეროვნულ საბჭოს“, სახალხო განათლების მინისტრი ქართული უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას შემდეგნაირად აღწერს: „მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს დედა ქალაქში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. იგი ჯერ კიდევ წარსული წლის შემოდგომაზე უნდა დაფუძნებულიყო, მაგრამ ვინაიდან რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროში წარდგენილისა და მთავრობის მიერ მოწონებულის უნივერსიტეტის „ძირითად დებულებათა“ გამოგზავნა „ბოლშევიკურ“ რევოლუციის გამო შეფერხდა, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის წესდება ამიერ-კავკასიას წარედგინა და უკანასკნელმაც დაამტკიცა იგი წარსულის 1917 წლის 2 დეკემბერს. 1918 წლის 26 იანვარს უნივერსიტეტი გაიხსნა ...გახსნილი იყო სიბრძნისმეტყველების მხოლოდ ფილოლოგიური კათედრები“ (სეცსსა, ფ.1935, აღ.1, საქმე 13:12, ასევე დოკუმენტი N9).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (1918-1998 წწ.) საიუბილეო კრებულში ვეცნობით 1918 წლის პირველ სემესტრის ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიუმის, მეცნიერ ხელმძღვანელთა და ლექტორების შემადგენლობას: გახსნისას უნივერსიტეტში 369 სტუდენტი იყო. მას 7 პროფესორი, 5 პროფესორის მოადგ-

ილე, 2 მეცნიერ ხელმძღვანელი და 3 ლექტორი ჰყავდა (საიუბილეო კრებული, თბ., 1998:17-18, ასევე დოკუმენტი 10).

ზემოთ დასახელებულ დოკუმენტში - „ეროვნულ საბჭოს“ განათლების მინისტრი, გიორგი ლასხიშვილი, ეროვნულ საბჭოს ქართული უნივერსიტეტის პერსპექტივების შესაძლებლობაზე მიუთითებდა. დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლობას მიუძღრთავს განათლების სამინისტროსთვის და წარუდგენია უნივერსიტეტის სასწავლო გეგმა, საიდანაც ჩანს, რომ „მომავალ შემესტრიდან (1918 წ. ენკენისთვიდან)“ უნივერსიტეტში დაიწყებოდა აფხაზურის, ოსურის ლეკურის, ებრაულ-აისორულის და ასირიულ ენების შესწავლა. აქვეა აღნიშნული ის საგნები, რომელიც ისწავლებოდა წლის პირველ შემესტრში. სხვა ჩვეულებრივ საგნების გარდა ისწავლებოდა ქართულ სამართლის ისტორია და სიძველეთ-მეცნიერებაც. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით მომავალში გათვალისწინებული იყო შემდეგი საგნების სწავლება: ქართულ ეპიგრაფიკისა, პალეოგრაფიკისა, საქართველოს ეროვნულ ისტორიის, საქართველოს და ამიერკავკასიის თანამედროვე ეროვნულ ვითარებისა და მიწათმფლობელობის შესახებაც. ჩვეულებრივ სალექციო საგნების გარდა, განზრახული ყოფილა აგრეთვე ქართულ-სპარსულისა, ბერძნულ-ქართულისა, სომხურ-ქართულისა, თურქულქართული მწერლობის და ისტორიის შესწავლა (სეცსსა, ფ.1935, აღ.1, საქმე 13:12).

ამავე დოკუმენტით დასტურდება ის ფაქტუალტეტების ჩამონათვალი, რომელიც მომავალში უნდა გახსნილიყო. ესენია: იურიდიული ფაკულტეტი, რომელშიც რომაელ სამართლის დოგმისა და ისტორიის ლექციების გარდა, შემოღებული უნდა ყოფილიყო ბიზანტიურ სამართლის ისტორიისა და ქართულ და კავკასიის მთიულთა ადათების შესახებ ლექციები; საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე დიდი ყურადღება უნდა მიქცეოდა საქართველოსა და მახლობელ აღმოსავლეთის ბუნების ყოველმხრივ შესწავლას. სამკურნალო ფაკულტეტზე საქართველოს, კავკასიის და მახლობელ აღმოსავლეთის მკვიდრთა ჯანმრთელობა და ავადმყოფობა - სნეულებათა, სამხრეთისა და ევროპულ ქვეყნებისათვის დამახასიათებელ სენთა გამოკვლევა უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევა-ძიების მუდმივი საგანი უნდა ყოფილიყო. ასევე იგეგმებოდა „ფილოსოფიურ ფაკულტეტის გარდა სამატემატიკო საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტების“ გახსნა.

ასევე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მცირე ბიუჯეტის გამო გათვალისწინებული იყო რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანება. ამასთან დაკავშირებით, განათლების მინისტრი აღნიშნავს: „ვინაიდან ჩვენს რესპუბლიკას პირველ ხანებში შედარებით პატარა ბიუჯეტი ექნება და რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის შენახვას ვერ მოახერხებს, ამიტომ, სამინისტროს აზრით, ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო და უმაღლესი ტექნიკური ცოდნის შექმნა უნივერსიტეტთან შესაფერ განყოფილებათა თანდათანობითი დაარსებით შეიძლება“ (სეცსსა, ფ.1935, აღ.1, საქმე13:12). ერთი სიტყვით, - აღნიშნავს მინისტრი, - ჩვენს უნივერსიტეტს, სხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით, ჩვენი ქვეყნის ობიექტური პირობებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება,

მას განსაკუთრებული ღირსება ექნება. მეტი დამაჯერებლობისათვის კი ეროვნულ საბჭოს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „განათლების სამინისტროც ხაზგასმით აღნიშნავს ჩვენის მაღალი სკოლის სამეცნიერო დაწესებულებათა შორის ამ თავისებურ პოზიციას: სამეცნიერო ძიებისა და ცოდნის გავრცელების გარდა, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ენებისა, ისტორიისა, ადამიანისა და ბუნების შესწავლა, ამ დარგებში ქართველების მიერ თაოსნობის გამოჩენა - ჩვენი ქვეყნის მომავალ სახელმწიფოებრივ საკულტურო და ეკონომიურ აღორძინებას შეურყევ-ელ საფუძველს შეუქმნის და ერსაც მეზობლებთან მეგობრულ კავშირსა და ურთიერთობას განუმტკიცებს“ (სეცსსა, ფ.1935, ად.1, საქმე 13:12).

ამავე დოკუმენტში განათლების მინისტრი ეროვნულ საბჭოს სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ შემდეგ განმარტებას იძლევა: უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, მთავრობის ორგანოებს- სახალხო განათლების მინისტრს და სახელმწიფო კონტროლიორს - საზოგადო მეთვალყურეობა და კონტროლი აქვს მიკუთვნებული, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო კი სამეცნიერო-სამოსწავლო და შინაურ მართვა-გამგეობის სფეროში დამოუკიდებელი იქნებოდა. ამის გარდა, უნივერსიტეტი მოვალე უნდა ყოფილიყო ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვა დასამტკიცებლად წარედგინა მთავრობისა და ეროვნული საბჭოსთვის. მაშასადამე, ამ უნივერსიტეტს, - აღნიშნავს განათლების მინისტრი, - „ავტონომია აქვს, მაგრამ თავისუფალ უნივერსიტეტათვე ჩაითვლება. ასეთი წესი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მართლაც უფრო შეეფერება: ამ გზით სამეცნიერო და სამოსწავლო სფეროში და შინაურ მართვა-გამგეობაში უნივერსიტეტს ავტონომია ექნება ხარჯთ-აღრიცხვისა და ანგარიშების მხრივ. აგრეთვე საზოგადო მეთვალყურეობის მხრივ - კი ჩვენს მთავრობას სრული საშუალება ექნება უნივერსიტეტის ორგანოების მოქმედების კანონიერებას თვალ-ყური ადევნოს, თავისუფალ უნივერსიტეტების მსგავსი სრული დამოუკიდებლობა იმიტომ არა აქვს ჩვენ უნივერსიტეტს, რომ მას სახელმწიფო შეინახავს და ამის გამო მთავრობის საზოგადო კონტროლი აუცილებელია“ (სეცსსა, ფ.1935, ად.1, საქმე 13:12).

ბოლოს, განათლების მინისტრი ეროვნულ საბჭოს მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „ამ გვარია ჩვენი უმაღლესი სკოლის დღევანდელი ვითარება და მისი მომავალი სამოქმედო გეგმა. ცხადია, რომ უნივერსიტეტი მართო თავის კერძო საშუალებათა დახმარებით ვერ შესძლებს ისეთის რთულის, თვით ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით და პოლიტიკურის მდგომარეობით შექმნილის მიზნების განხორციელებას და პროფესორთა საბჭოც შუამდგომლობს გადააკეთდეს იგი მთავრობის უნივერსიტეტად სახელმწიფო ხაზინიდან დახმარებით.“

ვიღებ რა მხედველობაში ზემოხსენებულს, აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ რაკი ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი რესპუბლიკაა და მაშასადამე, მაღალი სკოლაც სახელმწიფო უნდა იქმნეს, მხარს ვუჭერ პროფესორთა საბჭოს შუამდგომლობას და ვთხოვ: ა) რომ აწ ცნობილ იქმნას ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად და დაერქვას მას, „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ვინაიდან ეს სახელი საქართველოში უპირველესად მას ეკუთვნის; ბ) მიეცეს

ხოლმე ტფილისის უნივერსიტეტს სახელმწიფო ხაზინიდან დახმარების თანახმად ყოველწლიურ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვისა; ვ) უნივერსიტეტის უზენაესი მეთვალყურეობის უფლება სახალხო განათლების მინისტრს მიენიჭოს; დ) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალოს მომავალ სამოსწავლო წლის განმავლობაში წარმოუდგინოს სამინისტროს და ეროვნულ საბჭოს დასამტკიცებლად „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულებანი“ (სეცსსა, ფ.1935, ად.1, საქმე 13:12-13).

1918 წლის 3 აგვისტოს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის სხდომაზე მოისმინეს მოხსენება „ქართულ უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ“ და მიიღეს შემდეგი დადგენილება: „სახალხო განათლების სამინისტროსთან დაარსებულ სამთა კომისიის ამა 2 აგვისტოს დადგენილება ქართულ უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ, დამტკიცებულ იქმნას თანახმად ამისა: ცნობილ იქმნეს ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად და დაერქვას მას ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (სეცსსა, ფ.1861, ად.3, საქმე 3:67).

„კანონპროექტი ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ“ შემდეგი მუხლებისგან შედგება:

ა) ცნობილ იქმნას ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად და დაერქვას მას „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ბ) ყოველწლიურ სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვაში შეტანილ უნდა იქმნას განსაზღვრული თანხა უნივერსიტეტის შესანახად.

შენიშვნა: ამა 1918 წელს მიეცეს ტფილისის უნივერსიტეტს თანახმად წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვისა 331. 300 მანეთი.

გ) დამტკიცებულ იქმნას დროებითი ძირითადი დებულებანი უნივერსიტეტისა“ (სეცსსა, ფ.1935, ად.1, საქმე 13:14).

1918 წლის 3 სექტემბერს კი ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადებისა“, რომელშიც ხარჯთაღრიცხვა 334. 300 მანეთით არის განსაზღვრული. იმავე დღეს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულებაც (კრებული, 1990:57-61).

„ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებით, - წერს ალექსანდრე ბენდიანიშვილი, - გვირგვინი დაედგა პირველი რესპუბლიკის სწავლა-განათლების სისტემას და იმავდროულად შეიქმნა ქართული მეცნიერების განვითარების მძლავრი კერა. განსაკუთრებით მაღალ საფეხურზე დადგა საქართველოს ისტორია, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევა, გამრავლდა და გაუმჯობესდა ქართული ენისა და ლიტერატურისადმი მიძღვნილი ნაშრომები. წინ წავიდა იურისპრუდენცია, სოციოლოგია, ფილოსოფია. ქართველმა მეცნიერებმა დაიწყეს თავისი წვლილის შეტანა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მათემატიკაში. ამ სამწლეულში უნივერსიტეტთან ერთად მეცნიერების განვითარებაში თავიანთი წვლილი შეჰქონდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, თბილისის მუზეუმს,

დარგობრივ სამეცნიერო საზოგადოებებს, რომლებიც ადრე შეიქმნა და ამ პერიოდშიც აგრძელებდა საქმიანობას“ (ბენდიანიშვილი, 2001:270).

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თავიანთი მოღვაწეობის ხანმოკლე პერიოდში, მიუხედავად სხვადასხვა ხელისშემშლელი გარემოებისა, შეძლო განათლების რეფორმის განხორციელება. გატარდა მთელი რიგი ღონისძიებებისა: მიიღეს კანონი „განათლების სამინისტროს ორგანიზაციის შტატებისა“, დაარსდა განათლების სამინისტროსთან სასწავლო კომიტეტი, რომელიც განიხილავდა და აწესრიგებდა სწავლა-განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. განახორციელეს ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიც არის: საქართველოში ახალი სკოლების გახსნა, სწავლების ერთ საფუძველზე მოწყობა, არაქართველთათვის (ეროვნული უმცირესობებისათვის) სკოლების მოწესრიგება, სასწავლებელთა განათლების სამინისტროს უწყებაში გაერთიანება, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფა, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა და გამომცემლობების გახსნა, ქართველ სტუდენტების საზღვარგარეთ გაგზავნა და სხვა.

დასკვნა

ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) მოღვაწეობის მრავალმხრივი შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

1. პარლამენტის მოწვევის იდეას საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენამდე ჩაეყარა საფუძველი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე პარლამენტარიზმის სათავეებთან ჩვენ ვხედავთ: საქართველოს ინტერპარტიულ კრებებს, ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს, საქართველოს ეროვნულ ყრილობასა და საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომელთა მთავარ მიზანსა და საზრუნავს, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, საქართველოს სამართლებრივი და პოლიტიკური მდგომარეობის გარკვევა წარმოადგენდა. ინტერპარტიული საბჭოდან მოყოლებული საქართველოს ეროვნული ყრილობის ჩათვლით პარლამენტარიზმის იდეა რუსეთის ტერიტორიის საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული ავტონომიით განისაზღვრა. ეროვნული საბჭოს არჩევის შემდეგ პარლამენტარიზმის იდეამ ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის საზღვრებში გადაინაცვლა. მსჯელობის შედეგად კი ვასკვნით:

ა) ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს, რომელიც პოლიტიკური პარტიების ნებაყოფლობითი გაერთიანება და ხელისუფლებისათვის მებრძოლი პირველი ეროვნული პოლიტიკური ორგანო იყო, პრაქტიკულად ჰქონდა სამთავრობო უფლებები. მისი ძირითადი მიზანი იყო ეროვნულ ტერიტორიულ თვითმმართველობაზე დაფუძნებული ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება რუსეთის დროებით მთავრობასთან შეთანხმებით. ერთა თვითგამორკვევის უფლება კი პოლიტიკურად რესპუბლიკური წყობილების პრინციპებზე იქნებოდა დაფუძნებული.

ბ) ეროვნული ყრილობა, რომელიც არჩევითი ორგანო იყო და თავისი შემადგენლობითა და მოწვევის წესით კანონიერების ჩარჩოებში იყო მოქცეული, აღიარებდა საქართველოში ტერიტორიული ავტონომიის ფარგლებში პარლამენტარიზმის იდეის განხორციელებას.

გ) რაც შეეხება ეროვნულ საბჭოს, მას შემდეგ, რაც 1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკებმა რუსეთში დამფუძნებელი კრება გარეკეს, პარლამენტის შექმნის იდეამ ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო საქართველოს დამოუკიდებლობის საზღვრებში გადაინაცვლა.

2. საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს თაოსნობით 1917 წლის 19 ნოემბერს მოწვეულმა პირველმა ეროვნულმა ყრილობამ დააარსა ქართველი ერის ხელმძღვანელი პოლიტიკური ორგანო - საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელსაც დაავალა გამორკვევა, გაძღოლა და განახორციელება საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეროვნული მოთხოვნილებებისა. ეროვნულ საბჭოს ასევე დაევალა ეროვნული ყრილობის მიერ გამოტანილი ყველა დადგენილების შესრულება: სკოლის, სასამართლოს, ადმინისტრაციისა და ჯარის ნაციონალიზაციის, ერობის შემოღება, თავად-აზნაურთა ქონების მიღება და მოვლა, სასურსათო საკითხის მოგვარება, ფინანსური მდგომარეობის გაძლიერება, ხალხის ჯანმრთელობის გაუმჯობესება და

სხვა.

3. 1917 წლის 22 ნოემბერს საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული საბჭო წარმოადგენდა ქართველი ერის ხელმძღვანელ პოლიტიკურ ორგანოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით ეროვნული საბჭო საკანონმდებლო ორგანოდ გამოცხადდა.

4. ეროვნული საბჭოს შემადგენლობა (121 კაცი) ეროვნული საბჭოს შემადგენლობა პარტიათა შორის დადებული შეთანხმებით მიღებული სადეპუტატო სიის მიხედვით განისაზღვრა, რომელსაც საფუძვლად ედო რუსეთის დამფუძნებელ კრებაში ქართული პარტიების მიერ გაყვანილი დეპუტატების რაოდენობა. 1918 წლის 13 სექტემბრის კანონის: „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“ – საფუძველზე ეროვნული საბჭოს ამ შემადგენლობას ეროვნულ უმცირესობათა 26 წარმომადგენელი დაემატა. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1918 წლის 8 ოქტომბრის დებულებით საქართველოს ეროვნულ საბჭოს ეწოდა საქართველოს პარლამენტი.

5. საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა გერმანიის აქტიური მხარდაჭერით. ეროვნულმა საბჭომ საგარეო პოლიტიკური კურსი გერმანიის სახელმწიფოსაკენ მიმართა, რომლის დახმარებით საქართველომ საერთაშორისო აღიარებას მიაღწია.

6. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დიდი მუშაობა გასწია დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნისათვის, უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანიზებისათვის:

ა) ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) კომპეტენციაში შედიოდა საკანონმდებლო საქმიანობა, აღმასრულებელი ხელისუფლების საერთო კონტროლი, ბიუჯეტის დამტკიცება, ომის გამოცხადება და სხვა. ეროვნულმა საბჭომ დიდი მუშაობა გასწია უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანიზაციის მიზნით. საქართველოს ისტორიაში პირველ მრავალპარტიულ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი იყვნენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებიც. ეროვნულ საბჭოში- საქართველოს პარლამენტში – კანონშემოქმედებით საქმიანობაში მამაკაცთა გვერდით ქალებიც მონაწილეობდნენ.

ბ) დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებისთანავე ჩამოყალიბდა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი დროებითი კოალიციური მთავრობა -მინისტრთა კაბინეტი. კოალიციურ მთავრობაში უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნოდა.

გ) საქართველოს ეროვნულმა საბჭომ განახორციელა სასამართლო რეფორმა, რომელიც აუცილებელი და მნიშვნელოვანი იყო დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის იმდენად, რამდენადაც დემოკრატიულ საწყისებზე დამყარებული სამართლიანი სასამართლო სახელმწიფოს აუცილებელი ელემენტი და ერთგვარი ნიშაა. მაშინდელი რეფორმების შედეგად ჩამოყალიბდა სამართლიანი

სასამართლო. ამის დასტურია: ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შექმნა, ეონიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში („ოლქში ან უბანში“) სასამართლო წესით მშობლიურ ენაზე უფლებების დაცვის შესაძლებლობა, გამომძიებლის ინსტიტუტის გამოცალკევება და ორივე სქესის წარმომადგენლისთვის მოსამართლედ არჩევის თანაბარი უფლების მინიჭება. ფოველივე ეს იმ დროის მსოფლიო სამართლებრივ-უფლებრივი სიტუაციიდან გამომდინარე, როდესაც დემოკრატია ახლად იკრებდა ძალას, უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციამ დასახულ მიზანს ნამდვილად მიაღწია.

7. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოაცხადებისთანავე, დღის წესრიგში დადგა საზღვრების საკითხის მოგვარება. ეროვნულ საბჭოში შექმნილმა საზღვრების დამდგენმა კომისიამ, ეს საკითხი ისტორიულ და გეოგრაფიულ პრინციპებზე დაყრდნობით გადაწყვიტა.

8. საჭირო იყო საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის საქართველოს მოქალაქეობის სტატუსის განსაზღვრა. ამ მიზნით ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 16 ივლისს შეიმუშავა „დებულება საქართველოს მოქალაქეობისა“, მოგვიანებით კი საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „კანონი საქართველოს მოქალაქეობისა“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონში მოქალაქეობის შესახებ ჩამოყალიბებულია დემოკრატიული პრინციპები, რომელთა მეშვეობით გათვალისწინებულია, ერთი მხრივ, პიროვნება და მისი უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს ინტერესები. ახლად შექმნილ სახელმწიფოში ამ კანონის მიღებით დამყარდა იურიდიული ურთიერთობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის, დადგინდა საქართველოს ქვეშევრდომი მოსახლეობა, რომლის ძალით სახელმწიფოს ჩამოაცილეს ისეთი არასასურველი ელემენტები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მას შემოქმედებით მუშაობაში.

9. ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულ კანონთა შორის მნიშვნელოვანია კანონი ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ.

10. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ეროვნული უმცირესობების შესახებ მიღებული კანონით განსაზღვრა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური უფლებები.

11. ეროვნულმა საბჭომ საკანონმდებლო ბაზის შექმნით ხელი შეუწყო ქართული რეგულარული ჯარის ჩამოყალიბებას. საქართველოს ეროვნული საბჭო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უზენაეს ხელმძღვანელად გამოცხადდა.

12. ეროვნულმა საბჭომ შექმნა ადმინისტრაციული ორგანოები: სამაზრო ერობები, საქალაქო და სასოფლო თვითმმართველობები.

13. ეროვნული საბჭოს მიერ გატარებული აგრარული რეფორმით მიწის გარკვეული ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, ყურადღება მიექცა კერძო საკუთრებისა და ერთპიროვნული მეურნეობის დამკვიდრებას, დაკანონდა მუნიციპალიზაციის საკუთრება - მიწის ნაკვეთები გადაეცა საერო და საქა-

ლაცო თვითმმართველობებს.

14. საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონების საფუძველზე, მიუხედავად სხვადასხვა ხელისშემშლელი გარემოებისა, სახელმწიფოში მოხერხდა განათლების რეფორმის განხორციელება.

15. ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა სახელმწიფო სიმბოლიკა.

16. ეროვნულმა საბჭომ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით უდიდესი როლი შეასრულა იმ პერიოდის საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში.

II. სტენოგრაფიული ანგარიშები

40. ერ. საბჭო, სხდომა 39-ე, 1918: ეროვნული საბჭო, სტენოგრაფიული ანგარიში, სხდომა 39-ე, ტფ., 1918.
41. ერ. საბჭო, სხდომა 40-ე, 1918: ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიში, 40-ე სხდომა, ტფ., 1918.
42. ერ. საბჭო, სხდომა 43-ე, 1918: ეროვნული საბჭო, სტენოგრაფიული ანგარიში, სხდომა 43-ე, ტფ., 1918.
43. ერ. საბჭო, სხდომა 45-ე, 1918: ეროვნული საბჭო, სტენოგრაფიული ანგარიში, სხდომა 45-ე, ტფ., 1918.
44. ერ. საბჭო, სხდომა 47-ე, 1918: ეროვნული საბჭო, სტენოგრაფიული ანგარიში, სხდომა 47-ე, ტფ., 1918.
45. საქ. პარლამენტი, სხდომა 52-ე, 1918: საქართველოს პარლამენტი, სტენოგრაფიული ანგარიში, სხდომა 52-ე, ტფ., 1918.
46. საქ. პარლამენტი, სხდომა 57-ე, 1918: საქართველოს პარლამენტი, სტენოგრაფიული ანგარიში, სხდომა 57-ე, ტფ., 1918.
47. საქ. პარლამენტი, სხდომა 60-ე, 1918: საქართველოს პარლამენტი, სტენოგრაფიული ანგარიში, სხდომა 60-ე, ტფ., 1918.
48. საქ. პარლამენტი, სხდომა 62-ე, 1918: საქართველოს პარლამენტი, სტენოგრაფიული ანგარიში, 62-ე სხდომა, ტფ., 1918.
49. ს.დ.კ.ს. სხდომა მე-14, 1919: საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიში, სხდომა მე-14, ტფ., 1919.
50. ს.დ.კ.ს. სხდომა მე-16, 1919: საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიში, სხდომა მე-16, ტფ., 1919.

III. გამოქვეყნებული წყაროები

51. კრებული, 1990: საქართველოს დემოკრატიული სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), რედაქტორი ვ. შარაშენიძე, თბ., 1990.
52. საბჭო, 1999: საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917 წ. აპრილი-1917 წ. ნოემბერი), შეადგინა ზ. გერგუდავა-ჭელიძემ, რედაქტორი ვ. გურული, თბ., 1999.

IV. სამეცნიერო ლიტერატურა

52. აბესაძე, 1995: აბესაძე ა., საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოები (დისერტაცია), თბ., 1995.
53. ავალიშვილი, 1990: ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990.
54. ანჩაბაძე, 2002: ანჩაბაძე გ., სამხედრო ისტორია (ლექციების კურსი), თბ., 2002.
55. ბენდიანიშვილი, 2001: ბენდიანიშვილი ა., საქართველოს პირველი რესპუბლიკა

- (1918-1921), თბ., 2001.
56. გავაშეღიშვილი, 2004: გავაშეღიშვილი ა., საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა (1918-1921), თბ., 2004.
 57. გეგენავა...2014: გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი (მეორე გამოცემა), თბ., 2014.
 58. გუგუნავა, 1997: გუგუნავა ნ., მეძედ აბაშიძე, განმანათლებელი, აჭარა, 1997.
 59. გურული, 1996: გურული ვ., ქართული სოციალ-დემოკრატიის სათავეებთან, თბ., 1996.
 60. გურული, 1998: გურული ვ., ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან (1917-1918), თბ., 1998;
 61. გურული, 1999ა: გურული ვ., ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტი, 1869-1953, თბ., 1999.
 62. გურული..., 1999ბ: გურული ვ., ვახქვე მ., ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბ., 1999.
 63. გურული..., 2015: გურული ვ., ჯიქია ლ., საქართველოს ისტორიული ტერიტორია რუსეთ-ოსმალეთის (თურქეთის) ომებსა და ზავებში (1695-1953), თბ., 2015.
 64. დაოშვილი. 2012: დაოშვილი რ., უტიაშვილი შ., საქართველო-დასავლეთი, ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 2012.
 65. დოლიძე, 2003: დოლიძე ლ., გენერლები საქართველოდან (1918-1921), თბ., 2003.
 66. ვადაჭკორია, 1998: ვადაჭკორია შ., პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, თბ., 1998.
 67. ვადაჭკორია, 2003: ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე, წიგნი I), თბ., 2003.
 68. ვაშაყმაძე, 2014: ვაშაყმაძე ნ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წლებში) და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა, თბ., 2014.
 69. ვეშაპელი, 1919: ვეშაპელი გ., სიტყვები, ნათქვამი პარლამენტში (ეროვნულ საბჭოში), თბ., 1919.
 70. ზოსიძე, 1995: ზოსიძე ნ., პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათუმი, 1995.
 71. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1918-1998 წ. წ. (საიუბილეო კრებული), თბ., 1998.
 72. ივანიძე. 2002: ივანიძე გ., ივანიძე მ., „ბრძოლა მესხეთისათვის“ 1917-1921, თბ., 2002.
 73. კაჭარავა..., 2012: კაჭარავა ა., დაუშვილი ა., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის 1918-1921. თბილისი-ატლანტა, 2012.
 74. კვინიტაძე, 1998: კვინიტაძე გ., ჩემი მოგონებები, 1, თბ., 1998.
 75. ლორთქიფანიძე, 1995: ლორთქიფანიძე გ., ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995.
 76. მაზნიაშვილი, 1990: მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, ბათუმი, 1990.
 77. მაცაბერძე, 2008: მაცაბერძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება, თბ., 2008.
 78. მაცაბერძე, 2011: მაცაბერძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის

- შემუშავება და მიღება, ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან-საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011.
79. მიქელაძე, 1918: მიქელაძე კ., დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, თბ., 1918.
 80. მუშკუდიანი, 2002: მუშკუდიანი ნ., საქართველო გერმანიის კავკასიურ პოლიტიკაში 1918 წლის მაისი-ივნისი და გენერალ ფონ კრესის მისია, აბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002.
 81. ნიკოლეიშვილი, 1998: ნიკოლეიშვილი ა., კულტურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918წ. მაისი-1921 წ. თებერვალი), თბ., 1998.
 82. ნოზაძე, 1989: ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.
 83. პაპუაშვილი, 2013: პაპუაშვილი გ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, ბათუმი 2013.
 84. პაპაშვილი, 2013: პაპაშვილი თ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასამართლო სისტემა- ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, I ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში, (მოხსენებების კრებული), აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბ., 2013.
 85. ჟორდანი, 1990, ჟორდანი ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990.
 86. „საქართველოს სამხედრო ისტორიის (მოკლე კურსი), საქართველოს სამხედრო ისტორია (მოკლე კურსი), II ნაწილი, თბ., 2013.
 87. სილაგაძე...1998: სილაგაძე ა., გურული ვ., საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918, თბ., 1998.
 88. ურატაძე, 1958: ურატაძე გ., ნამდვილი და ყალბი ისტორია, პარიზი, 1958.
 89. ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002.
 90. ქანთარია, 2013: ქანთარია ბ., ხელისუფლების განაწილების დოქტრინა და საქართველოს პირველი კონსტიტუცია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, I ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში (მოხსენებების კრებული), აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბ., 2013.
 91. შარაძე, 2001: შარაძე გ., ისტორიული რელიკვიების დაბრუნება 1918-1921, თბ., 2001.
 92. შარაძე, 2005: შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტომი VIII, თბ., 2005.
 93. ჭანტურია, 2006: ჭანტურია ნ., ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, თბ., 2006.
 94. ჭუმბურიძე, 2003: ჭუმბურიძე დ., ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში (1918-1921) წლები, თბ., 2003.
 95. ხმალაძე, 1997: ხმალაძე ვ., ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში:

- წარსული, თანამედროვეობა, ტენდენცია. გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა. თბ., 1997.
96. ჯანელიძე, 1990: ჯანელიძე ო., 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1990.
97. ჯანელიძე, 2015: ჯანელიძე ო., ნოე რამიშვილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი, თბ., 2015.
98. ჯავახიშვილი, 2013: ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო კონტროლის ელემენტები საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, I ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში (მოხსენებების კრებული), აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბ., 2013.
99. ჯინჯოლია, 1997: ჯინჯოლია ზ., საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამართალი: ხელისუფლების ორგანოები 1918-1921 წწ. თბ., 1997.

V. საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციები

100. ახალგაზრდა კომუნისტი, 1989: გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, თბილისი 1989, 25 მაისი.
101. ერთობა, 1918: გაზ. „ერთობა“, თბ., 1918, 44.
102. საქართველო, 1918: გაზ. „საქართველო“, თბილისი, 1918, 59.
103. საქართველო, 1918: გაზ. „საქართველო“, თბილისი, 1918, 108.
104. საქართველო, 1918: გაზ. „საქართველო“, თბილისი, 1918, 116.
105. საქართველო, 1918: გაზ. „საქართველო“, თბილისი, 1918, 118.
106. საქართველო, 1918: გაზ. „საქართველო“, თბილისი, 1918, 119.
107. საქართველო, 1918: გაზ. „საქართველო“, თბილისი, 1918, 161.
108. საქართველო, 1918: გაზ. „საქართველო“, თბილისი, 1918, 184.
109. საქართველოს რესპუბლიკა, 1918: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1918, 1.
110. საქართველოს რესპუბლიკა, 1918: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1918, №2.
111. საქართველოს რესპუბლიკა, 1918: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1918, 6.
112. საქართველოს რესპუბლიკა, 1918: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1918, 15.
113. საქართველოს რესპუბლიკა, 1918: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1918, 58.
114. საქართველოს რესპუბლიკა, 1918: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1918, 63.
115. საქართველოს რესპუბლიკა, 1918: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1918, 65.
116. საქართველოს რესპუბლიკა, 1918: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1918, 93.

117. საქართველოს რესპუბლიკა, 1918: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1918, 118.
118. საქართველოს რესპუბლიკა, 1918: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1918, 119.
119. საქართველოს რესპუბლიკა, 1918: გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, თბილისი, 1918, 184.
120. საქართველოს რესპუბლიკა, 1919: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1919, 114.
121. რესპუბლიკის ჯარი, 1918: სამხედრო ჟურნალი, „რესპუბლიკის ჯარი“, ტფილისი 1918, 5.
122. გელაშვილი, 2008: გელაშვილი-ბერიძე დ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონი მოქალაქეობის შესახებ (მოქალაქეობის მიღების წესები), ჟურნალი „გულანი“, ახალციხე 2008, 2.
123. გელაშვილი, 2009: გელაშვილი-ბერიძე დ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონი მოქალაქეობის შესახებ, აკადემიკოს სერგი ჯიქიას დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, თბ., 2009.
124. გელაშვილი, 2010: გელაშვილი დ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონი საქართველოს სახელმწიფო ენისა, უნივერსიტეტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ახალციხე, 2010.
125. გელაშვილი, 2016: გელაშვილი-ბერიძე, ეროვნული საბჭოს დაფინანსების საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე (1917 წლის ნოემბერი-1918 წლის მაისი), ჟურნალი „გულანი“, ახალციხე, 2016, 20.
126. გელაშვილი, 2017, გელაშვილი-ბერიძე დ., ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზებისათვის, „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები“, თბ., 2017.
127. გელაშვილი, 2017ბ: გელაშვილი-ბერიძე დ., ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან, სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“ 17, ქუთაისი 2017.
128. გურული, 1991: გურული ვ., ქართული ისტორიული მეცნიერების ძველი და ახალი გასაჭირი, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, 1, თბ., 1991.
129. გურული, 1993: გურული ვ., პირველი ქართული პარლამენტი (საქართველოს ეროვნული საბჭო), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1993, 3-4.
130. გურული, 1994: გურული ვ., პირველი ქართული პარლამენტი (საქართველოს ეროვნული საბჭო), გაზ. „ერთობა“, 3 (1224), 28-30 აპრილი, შენიშვნა: 1994 წლის „ერთობაში“ ჩართულია გაზეთი „კარიბჭე“.
131. ვადაჭკორია, 2000: ვადაჭკორია შ., საკანონმდებლო ორგანოების შექმნის საკითხი და ქართული სოციალ-დემოკრატია 1918-1921 წლებში, ჟურნალი „ფილოსოფია, კულტურა, ისტორია“, თბ., 2000.
132. თოიძე, 1991: თოიძე ლ., ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა - საქართვე-

- ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, 1, თბ., 1991.
133. მანველიშვილი, 1990: მანველიშვილი აღ., საქართველოს დამოუკიდებლობა, გაზ. „სამშობლო“, 10-11, თბილისი, 1990 26 მაისი.
 134. მესხია, 2003: მესხია ე., ბათუმის საკითხი საქართველო-გერმანიის ურთიერ-ობაში 1918 წელს, ჟურნალი „კლიო“ (საისტორიო აღმანახი), თბ., 2003.
 135. მუჯირი, 1989: მუჯირი ა., ას ჩვიდმეტი წლის შემდეგ, ჟურნალი „მნათობი“ 6, 7, თბ., 1989.
 136. სვანიძე, 1996: სვანიძე მ., ბრესტის ზავი და საქართველო, ქართული დიპლომატია (წელიწდეული), თბ., 1996.
 137. სურგულაძე, 1991: სურგულაძე პ., ეროვნული საკითხი საქართველოს პარლამენტში, (1918-1920 წწ.), ჟურნალი „მნათობი“, 4, 1991.
 138. სურგულაძე, 2001: სურგულაძე პ., პირველი რესპუბლიკის დაბადება, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 129, თბ., 2001.
 139. ფართლაძე, 2003: ფართლაძე მ., განათლების რეფორმის კრიტიკა ქართულ ოპოზიციურ პრესაში (1918-1921 წწ.), ჟურნალი „კლიო“ (საისტორიო აღმანახი), 18, თბ., 2003.
 140. შარაძე, 2001: შარაძე გ., რელიკვიები საქართველოს დაუბრუნდა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბ., 2001, 26 მაისი.
 141. შველიძე, 2013: შველიძე დ., რატომ სოციალ-დემოკრატები? პირველი მთავრობის ანატომია, ჟურნ. „ისტორიანი“, 5 მაისი, თბ., 2013.
 142. ჩიტაია, 2001: ჩიტაია დ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში აფხაზეთის საქმეთა უწყების შექმნის ისტორიიდან, ჟურნალი „საისტორიო ძიებანი“, 4.
 143. ძაგანია, 2001: ძაგანია ბ., საეროხო თვითმმართველობის ადგილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ სისტემაში, ჟურნალი „კლიო“ (საისტორიო აღმანახი), თბ., 2001.
 144. ჭანტურია, 2003: ჭანტურია ნ., ტრაპიზონის კონფერენციის საკითხი ეროვნულ საბჭოს სხდომებზე, ჟურნალი „საისტორიო ძიებანი“, თბ., 2003, 6.
 145. ჭანტურია, 2004: ჭანტურია ნ., ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა ქართული საჯარისო ნაწილების შესაქმნელად 1917, ჟურნალი „საისტორიო აღმანახი“, თბ., 2004, 23.

დოკუმენტები

დოკუმენტი №1

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია
(1917 წლის 19 ნოემბერი)

მოისმინა ნოე ჟორდანიას მოხსენება დღევანდელი მომენტისა და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და დაადგინა:

1. ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე.

2. ქართველმა დემოკრატებმა დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა თავისი სვებედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატებს და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს.

3. რუსეთის შუაგულში გაჩაღებული სამოქალაქო ომის მეოხებით დღეს არ არსებობს ერთი ცენტრალური რევოლუციური მთავრობა, აღიარებული მთელი რევოლუციონური რუსეთის მიერ. ამ გარემოებამ აიძულა მთელი განაპირა ქვეყნები და მათ შორის ამიერკავკასიაც თავისი შინაური საქმეები თავისავე ძალ-ღონით მოაგვარონ და შესაფერი დაწესებულებანი შექმნან. ამიტომ ყრილობა მხარს უჭერს ამიერ-კავკასიის ახლად შემდგარ მმართველობის დროებით ორგანოს, ამიერკავკასიის კომისარიატს. ეს კომისარიატი პასუხისმგებელი უნდა იყოს ამიერკავკასიის სეიმის წინაშე, რომელიც განზრახულია შესდგეს დროებით რუსეთის დამფუძნებელ კრების წევრთა არჩევნებში გამორკვეულ პროპორციის მიხედვით პარტიათა კანდიდატებისაგან.

4. ყრილობა საჭიროთ სცნობს შესდგეს, როგორც დროებითი დაწესებულება, საქართველოს დროებითი საბჭო ნაციონალურ კითხვათა და საჭიროებათა გასარკვევათ, გასაძღვლათ და ცხოვრებაში გასატარებლათ, საბჭოს შესადგენად ყრილობა ირჩევს 60 წევრს. საბჭოს წევრები თავის ადგილს უთმობენ ამიერკავკასიის სეიმის ქართველ დეპუტატებს, როდესაც არჩევნების დასრულებით ამიერკავკასიის საარჩევნო ოლქში მათი ვინაობა გამოირკვევა. რიცხვი დეპუტატებისა გამრავლებულ იქნება საარჩევნო პროპორციის მიხედვით. პარტიათა შეთანხმებით საბჭოს წევრებათ შეიძლება მიღებულ იქნას აგრეთვე ისეთი პირები, რომელნიც დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიებში შეტანილი არ ყოფილან.

5. ამ ადგილობრივ ძალთა თავის მოყრა არ კმარა ყველა მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ, განსაკუთრებით ისეთი საჭიროებათა, როგორცაა მაგ. კავკასიის ფრონტის შენახვა, კითხვა ომის და ზავისა, სასურსათო ფინანსებისა და სხვა. ჩვენი ძირითადი ინტერესები მითხსოვენ დაუყოვნებლივ შესდგეს რუსეთის სარევოლუციო მთავრობა და მოწვეული იქნას დამფუძნებელი კრება.

6. ყრილობა საჭიროთ სთვლის განხორციელებულ იქნას საქართველოში ისეთი ნორმები, რომელნიც მას საშუალებას მისცემენ თავისუფალ განვითარები-

სათვის და ავალებს დამფუძნებელ კრების ქართველ დეპუტატებს მოითხოვონ რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე ამ ნორმების მიღება და დადასტურება. ასეთ ნორმად მიგვაჩნია ყრილობას საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე. ტერიტორიის საზღვრები გაიმიჯნებიან დაინტერესებულ მოსახლურე ერებთან შეთანხმებით. საქართველოში მოქცეული ნაციონალური უმცირესობანი მიიღებენ სრულ უფლებრივ გარანტიას კულტურული განვითარებისას. ყრილობა საჭიროთ აღიარებს ამ მთავარ კითხვაში მოხდეს შეთანხმება ამიერკავკასიის ერთა შორის.

7. თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდა და დამფუძნებელი კრების მოწვევა ახლო მომავალში ვერ მოხერხდება, უნდა იქმნას მოწვეული ადგილობრივი დამფუძნებელი კრებები, როგორც ამიერკავკასიის, ისე ცალ-ცალკე ერების, რომელნიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ნაციონალურ წყობილებას, როგორც თითოეულ ეროვნულ-ტერიტორიალურ ერთეულებში, ისე მთელ ამიერ კავკასიაში.

8. საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის ზრუნვა ევალება საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 29, ფურცელი 1, მანქანაზე ნაბეჭდი (გამოქვეყნებულია : აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენა. 1917-1918. თბილისი, 1998, გვ.73-75 ; ვახტანგ გურული. ნოე ჟორდანიანი. პოლიტიკური პორტრეტი. 1869-1953. თბ., 1999, გვ. 202-204).

დოკუმენტი №2

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილება (სათხოვარი „ოთხი მუხლი პირობისა“) ბათუმში, საზავო კონფერენციაზე, გერმანიის დელეგაციისათვის წარსადგენად.

(14 მაისი 1918 წელი)

1. ეცნობოს გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს გენერალ ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს სურვილი და თხოვნაა, ყოველნაირად ხელი შეუწყოს გერმანიამ საქართველოს საერთაშორისო და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხების, რაც შეიძლება, უმტკივნეულოდ გადაწყვეტას.

2. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, მიიღოს სათანადო ღონისძიება, რომ გერმანიის ჯარმა განაგრძოს სვლა ჩრდილო კავკასიაში, რათა იმდენად დაუახლოვდეს საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი იყოს მასთან კონტაქტის დაჭერა და საქართველო უზრუნველყოფილი იქნას გარედან მოსალოდნელ რაიმე საფრთხისაგან.

3. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფთ ქართველ სამხედრო ტყვეებს, რაც შეიძლება მალე სამშობლოში სამხედრო წესით დარაზმულად დაბრუნებას.

4. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ვიდრე ეს საქმე მოხერხდებოდეს, დასტოვოს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეები და მიანდოს გერმანიის ოფიცერთა მათი სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას შეეძლოს, საჭირო შემთხვევაში გამოიყენოს ეს ჯარი შინაურ წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად.

საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 67, მანქანაზე ნაბეჭდი. გამოქვეყნებულია: აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენა. 1917-1918. თბილისი, 1998, გვ. 113-114 ; ვახტანგ გურული. ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტი. 1869-1953. თბ., 1999, გვ. 214-215).

დოკუმენტი №3

უფლებამოსილება

საქართველოს ეროვნული საბჭო
15(?) /12 სერს 1918 წ.

№ 687

ქ. თფილისი

ფრეილინის ქუჩა № 11

ტელეფონი № 9-18

Nationalrat Georgiens

თფილის

VOLLMACHT

Der Georgische Nationalrat bevollmächtigt seinen Mitglied Herrn Simeon Mdivani mit Kaiserlich Deutscher Regierung über die politischen finanziellen und oekonomischen Fragen Unterhandlungen zu führen und Vorverträge zu zeichnen.

Vorsitz der Georgischen Nationalrates -N. Jordania

Sekretär _ P. Sakwarelidze

საქართველოს ეროვნული საბჭო
ტიფლისი

საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი
1836, აღწერა 1, საქმე 127, ფურცელი 45. მანქანაზე ნაბეჭდი

დოკუმენტი №4

საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებისა და კანდიდატების სია, დამტკიცებული
საქართველოს I ეროვნული ყრილობის მიერ
(1917 წლის 22 ნოემბერი)
საბჭოს წევრთა შემადგენლობა

წევრები

სოციალ-დემოკრატები

1. ნოე ჟორდანიძე, 2. აკაკი ჩხენკელი, 3. სილიბისტრო ჯიბლაძე, 4. ვეგენი გეგეჭკორი, 5. ნოე რამიშვილი, 6. ალექსანდრე ლომთათიძე, 7. ვლადიმერ (ვალიკო) ჯუღელი, 8. დავით ონიაშვილი, 9. ჰაიდარ აბაშიძე, 10. კონსტანტინე გვარჯალაძე, 11. სანდრო მაისურაძე, 12. ანდრია ჭიაბერაშვილი, 13. გერასიმე მახარაძე, 14. პეტრე გელეიშვილი, 15. რაჟდენ არსენიძე, 16. ბენია ჩხიკვიშვილი, 17. ნიკოლოზ ელიავა, 18. მინადორა ტროშელიძე, 19. კოსტანტინე საბახტარიშვილი, 20. სიმონ ჯაფარიძე, 21. გრიშა ურატაძე, 22. ალექსანდრე ფარნიევი, 23. გრიგოლ გიორგაძე, 24. ვეტროპი როგავა, 25. მიხეილ კლიმიაშვილი, 26. ვიქტორ თევზაია, 27. ერმილე სირბილაძე, 28. ნოე ხომერიკი.

სოციალისტ-ფედერალისტები

1. გიორგი ლასხიშვილი, 2. გრიგოლ რცხილაძე, 3. შალვა მესხიშვილი, 4. იოსებ გედევანიშვილი, 5. სამსონ ფირცხალავა, 6. დიმიტრი (დიტო) უზნაძე, 7. იესე ბარათაშვილი, 8. იასონ ბაქრაძე, 9. სვიმონ (სოსიკო) მღივანი, 10. ალექსანდრე წერეთელი.

ნაციონალ-დემოკრატები

1. ნიკოლოზ ნიკოლაძე, 2. გერონტი ქიქოძე, 3. იოსებ დადიანი, 4. გიორგი ჟურული, 5. გიორგი გვაზავა, 6. შალვა ამირეჯიბი, 7. დავით ვახნაძე, 8. სპირიდონ კელია, 9. გრიგოლ ვეშაპელი.

სოციალისტ-რევოლუციონერები

• კონსტანტინე მესხი, 2. ვლადიმერ გობეჩია, 3. გრიგოლ ნათაძე, 4. ივანე ჩერქეზიშვილი, 5. იოსებ გობეჩია, 6. ივანე გობეჩია, 7. ივანე ლორთქიფანიძე.

ალიონელები

• პეტრე ქავთარაძე, 2. ივანე გომართელი, 3. ნიკოლოზ ქარცივაძე, 4. პავლე საყვარელიძე

რადიკალ-დემოკრატები

დავით ჩიქოვანი

უპარტიონი

- კონსტანტინე აფხაზი, 2. კონსტანტინე მაყაშივილი.

სამაჰმადიანო საქართველოდან

1. ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი
2. მემედ-ბეგ აბაშიძე
3. რეჯედ- ბეგ ნიჟარაძე

ზაქათალის ოლქიდან

რაფიელ ივანიცკი

სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოდან

გიორგი გაგლოევი.

სათათბირო ხმით, გაჭარ-მრეწველთა:

ნიკოლოზ წვერავა, ვასილ შერგელაშვილი, იოსებ გველესიანი; ჯანმრთელო-ბის სექცია: ალექსანდრე ლორთქიფანიძე, სპირიდონ ვირსალაძე; ტექნიკის სექცია-გრიგოლ ქურდიანი.

კანდიდატები

სოციალ-დემოკრატები

1. ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, 2. ირაკლი წერეთელი, 3. სერგო ჯაფარიძე, 4. ბიქტორ ჟღენტი, 5. ნიკოლოზ მაჭარაძე, 6. ვარ. წულუკიძე, 7. ნოე ცინცაძე, 8. ვლ. ახმეტელაშვილი, 9. კონსტანტინე ჯაფარიძე, 10. ფილ. ლორია, 11. ილია ბადრიძე, 12. დავით შარაშიძე, 13. ვიქტ. ნინიძე, 14. ილია ფირცხელაიშვილი, 15. ვასილ ცაბაძე, 16. კიტა ჩხენკელი, 17. გოგიტა ფაღავა, 18. პორფილე ჭირქვაძე, 19. გიორგი აფხაზავა, 20. ნიკო იობაშვილი, 21. ალექსანდრე ბადრიძე, 22. ილია გოგელია, 23. თევდორე კიკვაძე, 24. არს. მამულაიშვილი, 25. პავლე წულაია, 26. გიზო ანჯაფარიძე, 27. კარპე მოდებაძე, 28. ალექსანდრე ჯაფარიძე, 29. ვლადიმერ ქუთათელაძე, 30. გიორგი ცინცაძე, 31. იუნუს წულუკიძე.

სოციალისტ- ფედერალისტები

1. სამსონ დადიანი, 2. თედო დლონტი, 3. მიხეილ საყვარელიძე, 4. სიმონ მაჭავარიანი, 5. შალვა მიქელაძე, 6. ერასტი ტაროტაძე, 7. ალექსანდრე მდივანი, 8. გრიგოლ გველესიანი, 9. იაკობ ფანცხავა

ეროვნულ-დემოკრატები

- ექვთიმე თაყაიშვილი, 2. შალვა ქარუმიძე, 3. იასონ ლორთქიფანიძე, 4. ვასილ წერეთელი, 5. დიმიტრი ჯავახიშვილი, 6. რევაზ გაბაშვილი

„ალიონის“ ჯგუფი

1. კალენიკე ქავთარაძე, 2. ლეო შენგელია, 3. ივანე ჯაფარიძე, 4. ვარლამ ბურჯანაძე

უპარტიო

- გრიგოლ რობაქიძე, 2. ფილიპე გოგიჩაიშვილი

რადიკალ-დემოკრატები

დომენტი არაშიძე

სამაჰმადიანო საქართველო

1. ჰასან-ეფენდი ლორთქიფანიძე, 2. ისაკი-ეფენდი ხალვაში, 3. სულეიმან ეფენდი ტაბახიძე

სათათბირო ხმით

ნიკოლოზ წვერავა, ვასილ შერგელაშვილი, იოსებ გველესიანი (ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლები); ალექსანდრე ლორთქიფანიძე, სპირიდონ ვირსალაძე (ჯანმრთელობის სექცია; გრიგოლ ქურდიანი (ტექნიკის სექციის წარმომადგენელი).

საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 124, ფურცლები 5-7. მანქანაზე ნაბეჭდი გამოქვეყნებულია: აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. თბილისი, 1998, გვ. 86-91 ; ვახტანგ გურული. ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტი. 1869-1953. თბ., 1999, გვ. 197-201).

დოკუმენტი №5

(1918 წლის 30 მაისი)

საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრთა სია

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია

1) ჟორდანიას ნოე, 2) წერეთელი ირაკლი, 3) ჩხეიძე ნიკოლოზი, 4) გეგეჭკორი ეგეგნი, 5) რამიშვილი ნოე, 6) რამიშვილი ისიდორე, 7) ჩხენკელი აკაკი, 8) ჯიბლაძე ვლადიმერ, 9) გიორგაძე გრიგოლ, 10) ლომთათიძე ალექსანდრე, 11) მახარაძე გერასიმე, 12) არსენიძე რაჟდენ, 13) თევზაია ბიქტორ, 14) ჯიბლაძე სილიბისტრო, 15) ხომერიკი ნოე, 16) ერაძე გიორგი, 17) ანდრონიკაშვილი კონსტანტინე, 18) ონიაშვილი დავით, 19) ანჯაფარიძე გიორგი, 20) ჩიხლაძე რაფიელ, 21) აბაშიძე ჰეიდარ, 22) გაგლოვი გიორგი, 23) ჯუღელი ვლადიმერ, 24) ასმეტელაშვილი ვლადიმერ, 25) გვარჯალაძე კონსტანტინე, 26) მაისურაძე ალექსანდრე, 27) ჭიაბრიშვილი ანდრია, 28) გელეიშვილი პეტრე, 29) კანდელაკი კონსტანტინე, 30) ელიავა ნიკოლოზ, 31) ტორთაშვილი მინადორა, 32) ცინცაძე გიორგი, 33) ჯაფარიძე სერგო, 34) სალუქვაძე ანანია, 35) სალაყაია იოსებ, 36) კლიმაშვილი მიხეილ, 37) ნინიძე კირილე, 38) ფარნიევი ალექსანდრე, 39) თოფურაძე დიომიდე, 40) დგებუაძე ალექსანდრე, 41) ნათაძე ლეო, 42) მამულაიშვილი არსენ, 43) ცინცაძე ნოე, 44) მგელაძე ვლასა, 45) წულაძე ვასილ, 46) რუსია მელიტონ, 47) მაჭარაძე ნიკოლოზ, 48) ლომია ფილიპე, 49) ჟღენტი ბიქტორ, 50) ბადრიძე ილია, 51) შარაშიძე დავით, 52) ნინიძე ბიქტორ, 53) ცაბაძე ვასილ, 54) იობაშვილი ნიკოლოზ, 55) გოგელია ელია, 56) კიკვაძე თევდორე, 57) საბახტარიშვილი კონსტანტინე, 58) ურატაძე გრიგოლ, 59) წულუკიძე იუნუს, 60) თევზაძე სარდიონ, 61) მარუაშვილი იოსებ, 62) დოლიძე სოლომონ, 63) სადალაშვილი გიორგი, 64) ელიაძე სტეფანე, 65) მიკირტუმოვი ბაგრატ, 66) ცინცაძე გრიგოლ, 67) ვარდლიანცი მიკირტიჩ, 68) სოლოლაშვილი ოლღა.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია

1) რცხილაძე გრიგოლ, 2) ბარათაშვილი იესე, 3) ფირცხალავა სამსონ, 4) მდივანი სამსონ, 5) ბაქრაძე იასონ, 6) წერეთელი ალექსანდრე, 7) უზნაძე დიმიტრი, 8) დადიანი სამსონ, 9) გედევანიშვილი იოსებ, 10) ლლონტი თევდორე, 11) მიქელაძე შალვა, 12) ნუცუბიძე შალვა, 13) ჯაჯანიშვილი არჩილ, 14) ტორთაძე ერასტი, 15) ფაღავა აკაკი, 16) კაუჭიშვილი მიხეილ.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია

1. ნიკოლაძე ნიკოლოზ, 2) ქიქოძე გერონტი, 3) გვაზავა გიორგი, 4) ამირეჯიბი შალვა, 5) ვაჩნაძე დავით, 6) კედია სპირიდონ, 7) ვეშაპელი გრიგოლ, 8) თაყაიშვილი ექვთიმე, 9) ქარუმიძე შალვა, 10) ლორთქიფანიძე იასონ, 11) წერეთელი ვასილ, 12) ჯავახიშვილი დიმიტრი, 13) გაბაშვილი რევაზ, 14) მაჩაბელი მიხეილ, 15) მაჭარაშვილი იოსებ.

სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია

1) მესხი კონსტანტინე, 2) ნათაძე გრიგოლ, 3) გობეჩია ვლადიმერ, 4) ჩერქეზიშვილი ივანე, 5) გობეჩია იოსებ, 6) გობეჩია ივანე, 7) აბაკელია იოსებ, 8) ჯავრიშვილი კონსტანტინე, 9) შენგელაია ლეო, 10) ფაჩუაშვილი მიხეილ, 11) კაკაბაძე ილია, 12) ვარაზიშვილი ივანე.

ალიონის ჯგუფი

1.საყვარელიძე პავლე, 2) ქავთარაძე პეტრე, 3) გომართელი ივანე, 4) ქავთარაძე კალენიკე, 5) შარაშიძე შალვა“

რადიკალ-დემოკრატიული ფრაქცია

1.ჩიქოვანი დავითი, 2. ახმეტელი ალექსანდრე

უპარტიოთა ფრაქცია

1.აფხაზი კონსტანტინე 2. მაყაშვილი კონსტანტინე

საინგილოს წარმომადგენლები

ივანიცკი რაფიელ

საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 123, ფურცლები 8-10. მანქანაზე ნაბეჭდი გამოქვეყნებულია : ვახტანგ გურული. ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტი. 1869-1953. თბ., 1999, გვ. 237-241).

დოკუმენტი №6

(1918 წლის 27 ივლისი)
ეროვნული საბჭოს კომისიები

- სამანდატო კომისია: არსენიძე რაჟდენ, კიკვიძე თევდორე, ანჯაფარიძე გიორგი, ქავთარაძე კალენიკ, ჩერქეზიშვილი ივანე, მიქელაძე შალვა, გვაზავა გიორგი, ლორთქიფანიძე იასონ.
- სამეურნეო საგამგეო კომისია: წულაძე ვასილი, ბადრიძე ილია, ცინცაძე ნოე, ჭიაბერაშვილი ანდრია, გობეჩია იოსებ, ქარუმიძე შალვა, ლლონტი თევდორე.
- საბიუჯეტო-საგამგეო კომისია: გეგეჭკორი ევგენი, ელიავა ნიკოლოზ, თოფურაძე დიომიდე, ჭიაბერაშვილი ანდრია, მდივანი სვიმონ, კაკაბაძე ილია, ლორთქიფანიძე იასონ, ქიქოძე გერონტი, ვარაზაშვილი, ქავთარაძე პეტრე, ასათიანი ალექსანდრე, საბახტარიშვილი კონსტანტინე, ცინცაძე, შარაშიძე, ქარცივაძე, ნიკოლაძე.
- სამხედრო კომისია: ლომთათიძე ალექსანდრე, გეგეჭკორი ევგენი, ჯუღელი ვლადიმერ, საბახტარიშვილი კონსტანტინე, გობეჩია იოსები, გედევანიშვილი იოსები, მდივანი სვიმონი, ვაჩნაძე დავითი, აფხაზი კონსტანტინე.
- იურიდიული კომისია: ანჯაფარიძე გიორგი, არსენიძე რაჟდენ, ნინიძე კირილე, რცხილაძე გრიგოლ, ივანიცკი რაფიელ, რუსია მდივანი, გობეჩია ივანე, ბარათაშვილი იესე, მაჭავარიანი იოსებ, ივანიცკი რაფიელ.
- აგრარული კომისია: ნინიძე კირილე, ლლონტი თევდორე, ჩიხლაძე რაფიელ, მაჩაბელი მიხეილ, ჯავახიშვილი კონსტანტინე, ლლონტი თევდორე, პაპავა აკაკი, ჩიქოვანი დავითი, ცაბაძე ვასილი.
- მუშათა საკითხისა: ბადრიძე ილია, ფარნიევი ალექსანდრე, რუსია მელიტონ, ტოროშელიძე მინადორა, ბარბაქაძე, ტოროტაძე ერასტი, გაბაშვილი რევაზ.
- სარეგლამენტო კომისია: არსენიძე რაჟდენ, ჯაჯანაშვილი არჩილ, ანდრონიკაშვილი კონსტანტინე, ვეშაპელი გრიგოლ.
- საზავო კომისია: ჟორდანიანი ნოე, გეგეჭკორი ივანე, რუსია მელიტონ, გობეჩია, ბარათაშვილი იესე, ფირცხალავა სამსონ, ვეშაპელი გრიგოლ, ქიქოძე გერონტი, ჩიქოვანი დავით.
- დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია: ლომთათიძე ალექსანდრე, წერეთელი ირაკლი, ჯიბლაძე სილიბისტრო, კლიმიაშვილი მიხეილ, გობეჩია ივანე, წერეთელი ალექსანდრე, ნუცუბიძე შალვა, ვეშაპელი გრიგოლი, ახმეტელი ალექსანდრე.
- საკონსტიტუციო კომისია: ჯაფარიძე სერგი, არსენიძე რაჟდენ, საყვარელიძე პავლე, ჟორდანიანი ნოე, ჩერქეზიშვილი ივანე, რცხილაძე გრიგოლ, დადიანი სიმონ, მაყაშვილი კონსტანტინე, ქიქოძე გერონტი.
- სახალხო-განათლების კომისია: ნათაძე ლეო, ცინცაძე ნოე, კიკვიძე თევდორე, ქავთარაძე კალენიკ, ფაჩუაშვილი მიხეილი, უზნაძე დიმიტრი, ქარუმიძე შალვა.
- გზათა კომისია: სალაყაია იოსებ, გაგლოევი გიორგი, გობეჩია იოსებ, ყაოხიშვილი მიხეილ, გაბაშვილი რევაზ.

- სახალხო ჯანმრთელობის კომისია: დოლიძე სიმონ, გომართელი ივანე, აბაკელია იოსებ, მიქელაძე შალვა, წერეთელი ვასილ.
- ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისია: რუსია მელიტონ, ლომთათიძე ალექსანდრე, კლიმიაშვილი მიხეილ, საბახტარიშვილი კონსტანტინე, ჩიგოგიძე ნიკოლოზი, ფირცხალავა სამსონ, მდივანი სვიმონ, წერეთელი ვასილ.
- ხელოვნების კომისია: მამულაშვილი არსენ, არსენიძე რაჟდენ, მგელაძე ვასილი, შარაშიძე შალვა, ფაღავა აკაკი, ამირეჯიბი შალვა, ახმეტელი ალექსანდრე, მაყაშვილი კონსტანტინე, აბაკელია იოსები.
- სარწმუნოების კომისია: მარუაშვილი იოსებ, კლიმიაშვილი მიხეილ, წერეთელი ალექსანდრე, ივანიცკი რაფიელ, მაჩაბელი მიხეილ.
- საგარეო საქმეთა კომისია: საბახტარიშვილი კონსტანტინე, მამულაშვილი არსენ, ონიაშვილი დავით, გაგლოევი გიორგი, ჯაჯანაშვილი არსენ, ამირეჯიბი შალვა, გობეჩია იოსებ.
- სარედაქციო კომისია: არსენიძე რაჟდენ, რუსია მელიტონ, ფირცხალავა სამსონ, ვეშაპელი გრიგოლ, ნათაძე გრიგოლ.
- საბიბლიოთეკო კომისია: ჯაჯანაშვილი არჩილ, თაყაიშვილი ექვთიმე, სოლოღაშვილი ოლღა.

საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 127, ფურცლები 34-35. მანქანაზე ნაბეჭდი

დოკუმენტი №7

კანონპროექტი საქართველოს მოქალაქეობის (ქვეშევრდომობის) მოპოვებისა და დაკარგვის შესახებ.

1. იმ მკვიდრთ გარდა, რომელნიც მოხსენებულნი არიან საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 16 ივლისის კანონში (საქართველოს რესპუბლიკა, 1918: №1) საქართველოს მოქალაქეებად აღიარებულ იქნენ:

ა) ყოველი ქართველი, სადაც და რამდენ ხანსაც არ უნდა სცხოვრობდეს, უკეთუ ის ექვსი თვის განმავლობაში წერილობით უარს არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობაზე.

ბ) უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი ქალი, რომელიც ცოლად წაჰყვება საქართველოს მოქალაქეს.

გ) ყოველი უცხო ტომის პირი, რომელიც განუწყვეტლივ ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე არა ნაკლებ სამი წლისა 1914 წლის 14 ივლისამდე, უკეთუ ის ორი თვის განმავლობაში განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული ვადები იწყება დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა „საქართველოს რესპუბლიკაში“. განცხადება და საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების ხანგრძლივობის დასამტკიცებელი საბუთი უნდა წარედგინოს ქალაქებში-ქალაქის, გამგეობაში-მაზრის კომისარს. ქალაქის გამგეობა და კომისარი აძლევენ მოხონვლთ შესაფერ მოწმობას.

2) დანარჩენ უცხოელთ შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება მხოლოდ ნატურალიზაციის წესით.

3) ნატურალიზაციის მსურველი ასრულებს შემდეგ პირობებს:

ა) აძლევს ადგილობრივ ქალაქის გამგეობას ან მაზრის კომისარს იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობს, განცხადებას, რომ მას სურს საქართველოს მოქალაქეობა.

ბ) ქალაქის გამგეობა ან მაზრის კომისარი აძლევს მას მოწმობას ასეთი განცხადების შეტანის შესახებ.

გ) ამ მოწმობის მიღების დღიდან მან უნდა იცხოვროს საქართველოში არა ნაკლებ ხუთი წლისა.

დ) ამ ვადის გასვლის შემდეგ მოქალაქეობის მოპოვების მსურველი აძლევს ამის შესახებ თხოვნას შინაგან საქმეთა მინისტრს და თან ადგენს (აძლევს): ქალაქის გამგეობის ან მაზრის კომისარის მოწმობას, რომ იგი ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე არანაკლებ ხუთი წლისა დღიდან ზემოთ აღნიშნული მოწმობის მიცემისა და აგრეთვე თავის წინანდელი სამშობლოს მთავრობის მოწმობას, რომ მას მოხდილი აქვს სამხედრო ბეგარა ან განთავისუფლებულია ამ ბეგარისაგან, უკეთუ საქართველოს დადებული აქვს იმ სახელმწიფოსთან, რომლის ქვეშევრდომიც მოხონვლი იყო, ხელშეკრულება სამხედრო ბეგარის მოუხდელ პირობა გაცემის შესახებ.

შენიშვნა: ამ მუხლში ნატურალიზაციისათვის დადებული ხუთი წლის ვადა შეიძლება შეუმცირდეს ან სულ არ მოეთხოვოს მათ, ვისაც სამეცნიერო შრომით, ან სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობით, ან სხვა მხრივ თვალ-საჩინო ღვაწლი მიუძღვის საქართველოს წინაშე.

4) შინაგან საქმეთა მინისტრი უდგენს საქართველოს მთავრობას, რომელიც ან აკმაყოფილებს მოხოვნელის შუამდგომლობას ან უყურადღებოდ სტოვეებს, თუნდაც ყველა ფორმალური პირობები შესრულებული ჰქონდეს.

5) საქართველო მოქალაქე ქალს, რომელიც უცხო ქვეყნის ქვეშევრდომს ცოლად მიჰყვება და შემდეგ დაქვრივდება ან მას კანონიერი წესით გაეყრება, ნება ეძლევა აღიდგინოს საქართველოს მოქალაქეობა. ამ მიზნით მან უნდა მისცეს განცხადება ქალაქის გამგეობას ან მაზრის კომისარს იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობს და იღებს მისგან შესაფერ მოწმობას მოქალაქეობის აღდგენის შესახებ. აგრეთვე ამ ქალის შვილებს შეუძლიათ ასეთივე წესით მოიპოვონ საქართველოს მოქალაქეობა, თუ ისინი ამას ითხოვენ ერთი წლის განმავლობაში დღიდან სრულწლოვანების შესრულებისა. შემდეგ კი მათი ცნობა მოქალაქეებად შეიძლება მხოლოდ საზოგადო წესით.

6) ყოველი პირი, რომელსაც მთავრობა თავის დადგენილებით მიანიჭებს საქართველოს მოქალაქეობას, სდებს შემდეგ ფიცს: „მე ესა და ეს პირი, ვფიცავ, რომ ვიქნები საქართველოს ერთგული ქვეშევრდომი, პირნათლად დავიცავ მის კონსტიტუციას და ყველა სხვა კანონებს და სინდისიერად ავასრულებ ყოველივე მოვალეობას საქართველოს მოქალაქისა“. ეს ფიცი მიიღება ქალაქებში ქალაქის თავის წინაშე და მაზრებში კომისარის წინაშე თავის სარწმუნოებისა მიხედვით. ვინც თავის სარწმუნოებისა ან რწმენის გამო არ იზიარებს, საჭირო აღთქმას სდებს და ხელს აწერს აღთქმის ფურცელს.

7) საქართველოს მოქალაქეობას კარგავენ:

ა) ვინც უცხო ქვეშევრდომი გახდება სხვა სახელმწიფოში ნატურალიზაციით.

ბ) ვინც უცხო სახელმწიფოს ჯარში ჩაირიცხება ან რაიმე სახელმწიფო თანამდებობას მიიღებს საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად.

გ) ვინც (ქალი) უცხო ქვეშევრდომს ცოლად გაჰყვება.

დ) ვინც საზღვარგარეთიდან საქართველოში არ დაბრუნდება სამხედრო ბეგარის მოსახდელათ.

8. საქართველოს მოქალაქეს, უცხო ტომის შთამომავალს, უფლება ყოველთვის, როცა მოისურვებს უარი სთქვას საქართველოს ქვეშევრდომობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ვალდებულია სამუდამოდ დასტოვოს საქართველოს საზღვრები სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც საქართველოს მთავრობა მოხოვნელს, გაანთავისუფლებს ქვეშევრდომობისაგან.

გაზეთი “საქართველო რესპუბლიკა“, 1918 წელი, № 90.

დოკუმენტი №8

იუსტიციის სამინისტროს დამატებითი კანონ-პროექტი „ქვეშევრდომობისა საქართველოში, მისი მოპოვებისა და დაკარგვისა“.

1) იმ პირთა გარდა, რომელნიც მოხსენებულნი არიან ქვეშევრდომობის კანონში, საქართველოს ქვეშევრდომად ირიცხებიან აგრეთვე:

ა) ყველა ქართველნი მათი საცხოვრებელი ადგილისა და დროის დამოუკიდებლათ, უკეთუ იგინი ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოცემებისა განაცხადებენ, რომ მათ არ სურთ ირიცხებოდნენ საქართველოს ქვეშევრდომებად.

ბ) მათი ცოლ-შვილი.

2) ზემოთ აღნუშნულ პირთა გარდა, ყოველს უცხო ქვეყნის ქვეშევრდომს შეუძლიან მიიღოს საქართველოს ქვეშევრდომობა. ქვეშევრდომობის ამგვარ მიღებას ეწოდება ნატურალიზაცია.

3) ნატურალიზაცია უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებისა შესაძლებელია საქართველოში ქვემოთ აღნიშნულ პირობათა დაცვით:

ა) საჭიროა, რომ აღნიშნულნი პირნი ბინადრობდნენ და სცხოვრობდნენ საქართველოში არა ნაკლებ სამი წლისა კანონის ძალაში შესვლის დღიდან.

ბ) უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი, რომელიც საქართველოს ქვეშევრდომობის მიღების სურვილს აცხადებს, იმ შემთხვევაში, თუ მის სახელმწიფოსთან დადებულია ხელშეკრულება იმ პირთა გაცემისა, რომელნიც მოვალენი არიან სამხედრო ბეგარა მოიხადონ, უნდა წარმოადგინოს თავის სახელმწიფოს მიერ მიცემული მოწმობა შესახებ იმისა, რომ მოხდელი აქვს ან განთავისუფლებულია სამხედრო ბეგარისაგან და

გ) საჭიროა ამ პირმა მიიღოს მთავრობის (მინისტრთა საბჭოს) ნებართვა საქართველოს ქვეშევრდომობის მიღებაზე.

4) უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი, რომელსაც ჰსურს საქართველოს ქვეშევრდომობა მიიღოს, ამის თაობაზე მიჰმართავს თხოვნით საქართველოს მთავრობას (მინისტრთა საბჭოს) და წარუდგენს ამასთანავე კომისარს მოწმობას იმის დასამტკიცებლად, რომ იგი სამი წლის განმავლობაში სცხოვრობდა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში და აგრეთვე შესაფერის მოწმობას, უცხო სახელმწიფოს მთავრობის მიერ მიცემულს, რომელიც აღნიშნულია ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში. მთავრობას აქვს უფლება ან დართოს ნება ნატურალიზაციისა ან უარყოს იგი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომის მიერ დაცული იქნება ყველა ფორმარული მოთხოვნილება კანონისა.

5) უცხო ქვეყნის ქვეშევრდომთ, რომელნიც საქართველოს რაიმე თვალსაჩინო სამსახურს გაუწევენ ან ცნობილნი იქნებიან თავის ნიჭით, ან მოიხვეჭენ სახელს თავისი ნაწარმოებით სამეცნიერო, ლიტერატურულ ან ხელოვნების დარგში ან ვინც ქართულ საზოგადოებრივ ხასიათის სასარგებლო საქმისათვის დიდ თანხ-

ას გაიღებს, ყველა ამათ შეუძლიათ მოიპოვონ საქართველოს ქვეშევრდომობა მთავრობის ნებართვით ზემოაღნიშნული მოთხოვნების (3 წლის განმავლობაში საქართველოს საზღვრებში ცხოვრება) შესრულებლად.

6) უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი, რომელმაც ნატურალიზაციით მიიღო საქართველოს მოქალაქეობა იძენს საქართველოს ქვეშევრდომთა ყველა უფლებებს იმ დღიდან, რა დღიდანაც მთავრობა მისი ნატურალიზაციის შესახებ დადგენილებას მიიღებს.

7) უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი ქალი საქართველოს მოქალაქეობის ყველა უფლებებს იძენს ქართველ ქვეშევრდომზე გათხოვებით.

8) საქართველოს ყოველ ქვეშევრდომს, რომელიც საქართველოს საზღვრებს დასტოვებს, უფლება აქვს საქართველოს ქვეშევრდომობა მოიხსნას, უკეთუ მას: „ა) მოხდელი აქვს სამხედრო ბეგარა, თუ ამ უკანასკნელისაგან იგი განთავისუფლებული არ არის, და ბ) შესრულებული აქვს დანარჩენი ყოველგვარი თავისი მოვალეობანი საქართველოს რესპუბლიკის მიმართ.

9) საქართველოს ქვეშევრდომობა ისპობა:

ა) უცხო სახელმწიფოში ნატურალიზაციით,

ბ) მიღება უცხო სახელმწიფოს მთავრობისაგან საქართველოს მთავრობის ნებადართულად სახელმწიფო თანამდებობისა და

გ) საქართველოს ქვეშევრდომ ქალის უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომ კაცზე გათხოვებით.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918წელი, № 93.

დოკუმენტი №9

სახალხო განათლების მინისტრი
საქართველოს ეროვნ. საბჭოს

მიმდინარე წლის ინავარში საქართველოს დედა ქალაქში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. იგი ჯერ კიდევ წასული წლის შემოდგომაზე უნდა დაფუძნებულიყო, მაგრამ ვინაიდან რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროში წარდგენილისა და მთავრობის მიერ მოწონებულის უნივერსიტეტის „ძირითად დებულებათა“ გამოგზავნა „ბოლშევიკურ“ რევოლუციის გამო შეფერხდა, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის წესდება ამიერ-კავკასიის კომისარიატს წარედგინა და უკანასკნელმაც დაამტკიცა იგი წარსულის 1917 წლის 2 დეკემბერს. 1918 წ. 26 იანვარს უნივერსიტეტი გაიხსნა კიდევ, რაც ქართველმა ერმა დიდის სიხარულით და ზეიმით იდღესასწაულა. ქართულ უნივერსიტეტს იგივე სამეცნიერო მიზანი აქვს დასახული, როგორც საზოგადოდ ყველა ხალხისა და ქვეყნის უმაღლეს სკოლას, მაგრამ ამასთანავე იგი განსაკუთრებულს, უპირატეს ყურადღებას საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის წარსულისა და აწმყოს, ადამიანისა და ბუნების ყოველმხრივ შესწავლას აპყრობს, ამისდა მიხედვით უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაც, შედარებით სხვა მაღალი სკოლის პროგრამებთან, უფრო ვრცელია და შევსებული ისეთის საგნებით, რომელთაც ამ სახით ადგილი არა აქვს სხვა უნივერსიტეტებში. განსაკუთრებით ფართოდ დაყენებულია საქართველოსა და ქართულის შესახებ სხვა და სხვა მეცნიერების შესწავლა.

წრეულს გახსნილი იყო სიბრძნის მეტყველობის მხოლოდ ფილოლოგიური კათედრები. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმიდან სჩანს, რომ მომავალ სემესტრიდან (1918 წ. ენკენისთვიდან), ჩვენ უნივერსიტეტში დაიწყება აფხაზურის, ოსურის, ლეკურის, ებრაელ-აისორულის და ასირიულ ენების შესწავლა. პირველ სემესტრში, სხვა ჩვეულებრივ საგნების გარდა, ისწავლებოდა ქართულ სამართლის ისტორია და სიძველეთ-მეცნიერებაც. იგივე სასწავლო გეგმა გვიჩვენებს, რომ მომავალში მოეწყობა ლექციები: ქართულ ეპიგრაფიკისა, პოლეოგრაფიისა, საქართველოს ეროვნულ ისტორიის, საქართველოს და ამიერ-კავკასიის თანამედროვე ეროვნულ ვითარებისა და მიწათ მფლობელობის შესახებაც; ჩვეულებრივ სალექციო საგნების გარდა განზრახულია აგრეთვე ქართულ-სპარსულისა, ბერძნულ ქართულისა, სომხურ-ქართულისა, თურქულ-ქართულისა მწერლობის და ისტორიის შესწავლა.

იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც, მომავალში უნდა გაიხსნას, ჩვეულებრივ რომაელ სამართლის დოგმისა და ისტორიის ლექციების გარდა, შემოდებულ იქნება ბიზანტიურ სამართლის ისტორიისა, მაჰმადიანურ სამართლის ისტორიისა და ქართულ და კავკასიის მთიულთა ადათების შესახები ლექციები.

საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე განსაკუთრებული ყურადღება საქართველოსა და მახლობელ აღმოსავლეთის ბუნების ყოველმხრივ შესწავლას მიექცევა.

ამგვარადვე სამკურნალო ფაკულტეტზედაც საქართველოს, კავკასიის და მახლობელ აღმოსავლეთის მკვიდრთა ჯანმრთელობა და ავადმყოფობა-სნეულებათა, სამხრეთისა და ევროპულ ქვეყნებისათვის დამახასიათებელ სენტო გამოკვლევა უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევა-ძიების მუდმივი საგანი იქნება.

ვინაიდან ჩვენს რესპუბლიკას პირველ ხანებში შედარებით პატარა ბიუჯეტი ექნება და რამოდენიმე უმაღლესი სასწავლებლის შენახვას ვერ მოახერხებს. ამიტომ, სამინისტროს აზრით, ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო და უმაღლესი ტექნიკური ცოდნის შექმნა უნივერსიტეტთან შესაფერ განყოფილებათა თანდათანობითი დაარსებით შეიძლება. ერთი სიტყვით, ჩვენს უნივერსიტეტს, სხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით, ჩვენის ქვეყნის ობიექტურ პირობათაგან გამომდინარე, განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება, მას განსაკუთრებული ღირსება ექნება.

განათლების სამინისტროც ხაზგასმით აღნიშნავს ჩვენის მაღალი სკოლის სამეცნიერო დაწესებულებათა შორის ამ თავისებურ პოზიციას: სამეცნიერო ძიებისა და ცოდნის გავრცელების გარდა, კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ენებისა, ისტორიისა, ადამიანისა და ბუნების შესწავლა, ამ დარგებში ქართველების მიერ თაოსნობის გამოჩენა – ჩვენი ქვეყნის მომავალ სახელმწიფოებრივ საკულტურო და ეკონომიკურ აღორძინებას შეურყეველ საფუძველს შეუქმნის და ერსაც მეზობლებთან მეგობრულ კავშირსა და ურთიერთობას განუმტკიცებს.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია წესდების ძირითადი დებულებანი. მთელი წესდება შემუშავებული და დასამტკიცებლად წარდგენილი იქნება შემოდგომის სემესტრში, როდესაც ფილოსოფიულ ფაკულტეტის გარდა გახსნილ იქნება სამათემატიკო, საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები და როდესაც, მაშასადამე, წესდების საბოლოო შედგენაში და განხილვაში სამისავე ფაკულტეტის წარმომადგენლებს საშუალება ექმნებათ მონაწილეობა მიიღონ. ამის გამო აწ წარმოდგენილი წესდება დროებითია და მხოლოდ ძირითად დებულებებს შეიცავს. დედა-მიწის ზურგზე უნივერსიტეტის სამგვარი წესდება არსებობს. წესდებანი უნივერსიტეტის მთავრობისგან ერთგვარ სრულს დამოუკიდებლობაზეა აგებული: სახელმწიფოს არავითარი უფლება არა აქვს უნივერსიტეტის საქმეებში ჩაერიოს. უნივერსიტეტი მთავრობას არაფერში ანგარიშს არ აძლევს. ამგვარი წესდება აქვს თავისუფალ უნივერსიტეტებს, რომელნიც თავიანთ თავს ინახავენ. მათ საკუთარი დიდი სათაუნოცა და ქონებაცა აქვთ, უმეტეს შემთხვევაში მილიარდერების მიერ შეწირული. ამ გვარი უნივერსიტეტები განსაკუთრებით ამერიკაშია გავრცელებული და აგრეთვე ინგლისში. ეს უნივერსიტეტები ან შტატების, ან კერძო საზოგადოებათა და კერძო პირთა მიერ არიან ხოლმე დაარსებულნი. მეორე და მესამე გვარ უნივერსიტეტებს ცოტად თუ ბევრად სახელმწიფოსთან დამოკიდებულება აქვთ. მეორე ეს დამოკიდებულება ან უფრო მჭიდროა, ან უფრო სუსტი და სახელმწიფოს გავლენა განსაკუთრებით იმით გამოიხატება, რომ უნივერსიტეტის საბჭოს მიერ არჩეულ სამკანდიდატისაგან თვით მინისტრი ირჩევს რექტორს; დეკანებს და თანამდებობის სხვა პირთ კი უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიუმი ირჩევს, - ასეა გერმანია-

ში, ზოგან საფრანგეთში, ან ამ უკანასკნელთაც მთავრობავე პნიშნავს. ამას გარდა მთავრობავე ამტკიცებს ყოველწლიურს სავარაუდო ხარჯთაღრიცხვასაც. შეიძლება უფრო სუსტი დამოკიდებულებაც არსებობდეს, როდესაც მთავრობას მხოლოდ საზოგადო მეთვალყურეობისა და კონტროლის უფლება აქვს, რომ მას საშუალება ჰქონდეს დარწმუნდეს, ასრულებულია თუ არა კანონი და წესდება, წარმოდგენილ ანგარიშებიც წესიერად არის შედგენილი და დასაბუთებული თუ არა?

ჩვენი უნივერსიტეტის წესდებაში მთავრობის ორგანოებს, სახალხო განათლების მინისტრს და სახელმწიფო კონტროლიორს საზოგადო მეთვალყურეობა და კონტროლი აქვს მიკუთვნილი, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო კი სამეცნიერო-სამოსწავლო და შინაურ მართვა-გამგეობის სფეროში დამოუკიდებელია. ამას გარდა, უნივერსიტეტი მოვალეა ყოველწლიური ხარჯთ-აღრიცხვა დასამტკიცებლად წარმოუდგინოს მთავრობას და ეროვნულ საბჭოს. მაშასადამე, ამ უნივერსიტეტს ავტონომია აქვს, მაგრამ თავისუფალ უნივერსიტეტათვე ჩაითვლება. ასეთი წესი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მართლაც უფრო შეეფერება: ამ გზით სამეცნიერო და სამოსწავლო სფეროში და შინაურ მართვა-გამგეობაში უნივერსიტეტს ავტონომია ექნება ხარჯთ-აღრიცხვისა და ანგარიშების მხრივ. აგრეთვე საზოგადო მეთვალყურეობის მხრივ კი ჩვენს მთავრობას სრული საშუალება ექნება უნივერსიტეტის ორგანოების მოქმედების კანონიერებას თვალ-ყური ადევნოს, თავისუფალ უნივერსიტეტების მსგავსი სრული დამოუკიდებლობა იმიტომ არა აქვს ჩვენს უნივერსიტეტს, რომ მას სახელმწიფო შეინახავს და ამის გამო მთავრობის საზოგადო კონტროლი აუცილებელიცაა.

მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო მუშაობა ეკისრება ჩვენს მაღალ სკოლას, მაგრამ უნივერსიტეტის ძირითად დებულებათა მე-11 §-ის მიხედვით არჩეულ პროფესორთა კოლეგიის (პროფესორს უეჭველად დოქტორის ანუ მოძღვართ მოძღვარის სამეცნიერო ხარისხი უნდა ჰქონდეს) შემადგენლობა საკმაო გარანტიას იძლევა, რომ ზემოთ დასახული უნივერსიტეტის სასწავლო გეგმა შედარებით პირნათლად იქნება შესრულებული.

განსაკუთრებით უნდა აღნიშნული იყოს, რომ ქართულ უნივერსიტეტში ერთი სამეცნიერო ხარისხია მიღებული, დოქტორის ხარისხი, - ისევე, როგორც გერმანიაში, შვეიცარიაში და სხვაგან უცხოეთში. ამ მხრივ განსხვავებაა რუსეთთან, სადაც ორი ხარისხი არსებობს, მაგრამ ამ გვარივე მიმართულება იყო უკანასკნელ დროს რუსეთშიაც, სადაც ცხადად ამტკიცებს პროფესორთა (პეტერ-ბურგის უნივერსიტეტის) საბჭოს მიერ 1905 წ. შედგენილი წესდების ძირითადი დებულებანი, რომლის “проектъ главныхъ положеній устава университета, выработанный Совтомъ Императорскаго С.-Петербургскаго Университета“-ში მხოლოდ ერთი სამეცნიერო ხარისხი იხსენიება, რაც წინანდელის და ეხლანდელის მაგისტრობის ხარისხს უდრის. მე-73 §-ში მაგ. ნათქვამია: “никто не можетъ быть профессоромъ, не имья степени доктора одного изъ російскихъ университетовъ.

Примчаніе лица удостоенныя степени магистра по уставамъ 1863 и 1884 г. г. приравниваются по правамъ, по настоящему уставу. къ докторамъ”.

§ 65-იც ცხადათ ჰყოფს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიანდა მხოლოდ ერთი (დოქტორის) სამეცნიერო ხარისხი. ეს აზრი ერთი სამეცნიერო ხარისხის შესახებ თუმცა რუსეთის უნივერსიტეტების საზოგადო წესდების იმ პროექტში, რომელიც სამინისტროს მიერ 1905 წ. ყველა უნივერსიტეტების წარმომადგენელთა შეკითხვით შედგენილი იყო, მთლად მიღებული არ არის და იქ ნათქვამია: «удерживаются и впредь дв ученыя степени магистра и доктора по разрядамъ наукъ кои соотвѣтствуютъ факультетскимъ кафедрамъ, съ распространениемъ означенныхъ двухъ степеней и на медицинскій факультетъ, гд досел существовалъ лишь одна ученая степень (доктора медицины)» (Объяснительная записка къ. проекту общего устава Императорскихъ Россійскихъ университетовъ СПб. 1905 г. 28). მაგრამ ამასთანავე წინანდელი წესი არც აქ არის უცვლელად დატოვებული და პროფესორობის მიღებისთვის მხოლოდ ერთს, სახელდობრ პირველს, სამეცნიერო ხარისხს აქვს მნიშვნელობა. იქ ნათქვამია: - Условія замещенія преподавательскихъ должностей изменяются въ томъ смысле, что какъ штатнымъ доцентомъ, такъ и экстраординарнымъ профессоромъ можетъ быть лицо, имеющее степень магистра, и лишь для полученія высшего оклада, присвоеннаго должности ординарнаго профессора, требуется высшая ученная степень-доктора» (იქვე 28 IX) ეს აზრი მეორე ადგილას უფრო მკაფიოდ არის გამოთქმული და იქ შემდეგ დაბეჭდილი: «согласно проекту нового устава, для занятія профессорской должности, не требуется непременно докторскій степени, какъ нынеж магистръ, туюю ученный, заявившій себе хотя бы одной дельной сомостоятельной работщй, можетъ. такимъ образомъ, получить сразу известное матеріальное обозначеніе въ качестве штатнаго доцента, а затемя и видное положеніе въ качестве экстраординарнаго профессора (съ повышеннымъ противъ настоящей нормы окладомъ)» მაშასადამე, მეორე სამეცნიერო დოქტორის ხარისხს მხოლოდ მომეტებულ ჯამაგირის მისაღებად აქვს მნიშვნელობა, რაკი ქართ. უნივერსიტეტში პროფესორები ექსტრაორდინირებად და ორდინირებად არ განიყოფიან და ჯამაგირიც მხოლოდ ნამსახურობის და წლოვანების მიხედვით ემატებათ. ამიტომ ქართ. უნივერსიტეტის წესდებაში მიღებული დებულება – ერთ (დოქტორობის) სამეცნიერო ხარისხის შესახებ – უცხოეთის (მათ შორის რუსეთის) უნივერსიტეტების საზოგადო წესდებისა და საუნივერსიტეტო მოღვაწეთა არსებითს მისწრაფებას მშვენივრად უდგება. მომავალ სემესტრში, საფილოსოფიო ფაკულტეტის გაფართოვების გარდა, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტებიც იხსნება.

მომავალ საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო განყოფილებისათვის განზრახულია: ქიმიისთვის – დამსახურებული პროფ. პ. გ. მელიქიშვილი და დოცენტი იას. მოსეშვილი (ოდესის უნივ.) ასისტენტად მიხ. შალამბერიძე (დოქ. ლეოპცივის უნივ.) და ქ. მოსეშვილი (ოდეს. ქალთა უმაღლ. კურსები) ბოტანიკაში – პროფ. ქურდიანი (ახალ ალექს. სამეურნეო ინსტ.) ანატომიაში – დოცენტი დ. ნათიშვილი (ხარკ. უნივ.) და კახიანი ოდეს. უნივ.) მიკროსკოპიულ ანატომიაში ანუ ჰისტოლოგიაში – შალვა კრინიციკი (ვარშ. უნივ.) ფიზიოლოგიაში – დოცენტი ბერძენიშვილი (ოდეს. უნ.) და დოც. მოსეშვილი (ხარ. უნივ.) მექანიკაში მუსხელიშვილი (მაგისტ. პეტრ. უნივ.) ვარსკვლავთ-მრიცხველობაში და გეოდეზიაში – პრ. ამდრ. ბენაშვი-

ლი (პეტრ. ტეხნ. ინსტ. და უმაღლესი საარტ. აკადემია). ამათ გარდა, სამკურნალო ფაკულტეტებისათვის: ფარმაკოლოგიაში – დოც. მოსეშვილი და პროფ. ჭეიშვილი (ხარკ. უნივ.). ფარმაციაში – ქუთათელაძე (ოდეს. უნ. საფ. ინსტ.). ბაქტერიოლოგიაში – ს. ამირეჯიბი (ხარკ. უნივ.) პედიატრიაში – პროფ ს. გოგიტიძე (ოდეს. უნივ.) რადიოლოგიასა და რენტგენოსკოპიაში – დოც. გაბრ. ღამბარაშვილი (მოსკ. უნ.) და სხვანი.

გარდა ამისა, სამინისტროს აქვს ცნობა, რომ მეცნიერების სხვა დარგებისათვისაც არიან ქართველები დატოვებული რუსეთის უნივერსიტეტში. დროებით კი ზოგი საგნისთვის უცხო მეცნიერთა მოწვევა შეიძლება იმ პირობით, რომ ან ქართული შეისწავლონ ან განსაზღვრულ დროში ქართველი მოწაფეები მოამზადონ.

ამ გვარია ჩვენი უმაღლესი სკოლის დღევანდელი ვითარება და მისი მომავალი სამოქმედო გეგმა. ცხადია, რომ უნივერსიტეტი მარტო თავის კერძო საშუალებათა დახმარებით ვერ შესძლებს ასეთის რთულის, თვით ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით და პოლიტიკურის მდგომარეობით შექმნილის მიზნების განხორციელებას და პროფესორთა საბჭოც შუამდგომლობს გადაკეთდეს იგი მთავრობის უნივერსიტეტად სახელმწიფო ხაზინიდან დახმარებით.

ვიღებ რა მხედველობაში ზემოხსენებულს, აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ რაკი ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი რესპუბლიკაა და, მაშასადამე, მაღალი სკოლაც სახელმწიფო უნდა იქმნეს, მხარს ვუჭერ პროფესორთა საბჭოს შუამდგომლობას და ვითხოვ, ა. რომ აწ ცნობილ იქმნას ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად, დარჩეს და დაერქვას მას „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ვინაიდან ეს სახელი საქართველოში უპირველესად მას ეკუთვნის; ბ) მიეცეს ხოლმე ტფილისის უნივერსიტეტს სახელმწიფო ხაზინიდან დახმარების თანახმად ყოველწლიურ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვისა; გ) უნივერსიტეტის უზენაესი მეთვალყურეობის უფლება სახალხო განათლების მინისტრს მიენიჭოს. დ) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალოს მომავალ სამოსწავლო წლის განმავლობაში წარმოუდგინოს სამინისტროს და ეროვნულ საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე 13, ფურცლები 12-13. მანქანაზე ნაბეჭდი

დოკუმენტი №10

ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიუმისა, მეცნიერ ხელმძღვანელთა შემადგენლობა 1918 წ. პირველ სემესტრში

უნივერსიტეტის რექტორი: დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი (ქიმიის დოქტორი).

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი: პროფ. ივ. ჯავახიშვილი (ქართული ფილოლოგიის მაგისტროსი პეტერბურგის უნივერსიტეტისა).

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივანი: პროფ. იოს. ყიფშიძე (ქართული ფილოლოგიის მაგისტროსი პეტერბურგის უნივერსიტეტისა).

პროფ. ანდ. ბენაშვილი (გეოდეზიისა და ვარსკვლავთმრიცხველობის პროფესორი პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და სამხედრო-საინჟინრო აკადემიისა. ლექციების კითხვას დაიწყო, როდესაც სამათემატიკო განყოფილება გაიხსნება).

პროფ. კორნ. კეკელიძე (საეკლესიო ისტორია და მწერლობა, ღვთისმეტყველების მაგისტროსი).

პროფ. დ. უზნაძე (ფსიქოლოგია და პედაგოგიკა. ფილოსოფიის დოქტორი ჰალეს უნივერსიტეტისა).

პროფ. ფ. გოგინაიშვილი (პოლიტიკური ეკონომია და სტატისტიკა. ფილოსოფიის დოქტორი ლაიფციგის უნივერსიტეტისა).

პროფესორის მოადგილე ანდ. რაზმაძე (უმაღლესი მატემატიკის მაგისტრანტი, მოსკოვის უნივერსიტეტის პრივ. - დოცენტი).

პროფესორის მოადგილე სვ. ავალიანი (ისტორიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივ. - დოცენტი).

პროფესორის მოადგილე შ. ნუცუბიძე (ფილოსოფიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერს.).

პროფესორის მოადგილე გ. ახლედანი (საზოგადო და შედარებითი ინდო-ევროპული ენათმეცნიერება, ენათმეცნიერების მაგისტრანტი, ხარკოვის უნივერს.).

პროფესორის მოადგილე აკ. შანიძე (ენათმეცნიერება, ქართული ფილოლოგიის მაგისტრანტი, პეტერბურგის უნივერს.).

მეცნიერი ხელმძღვანელი ე. თაყაიშვილი (ქართული სიძველეთმეცნიერება, ანუ არქეოლოგია).

მეცნიერი ხელმძღვანელი იუს. აბულაძე (სპარსული ენა). ლექტორი ელ. ორბელიანისა (ფრანგული ენა).

ლექტორი არტ. ლაისტი (გერმანული ენა).

ლექტორი ილ. ყიფშიძე (გერმანული ენა).

ლექტორი ვანდა დამბაშიძისა (ინგლისური ენა) (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1918-1998 წ წ).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1918-1998 წ წ.

(საიუბილეო კრებული), თბილისი, 1998 წელი.

დოკუმენტი №11

საქართველოს რესპუბლიკის
ჯარის გენერალური შტაბის
ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო
8 მარიაშობის თვეს 1918 წ.

განმარტებითი წერილი კანონისათვის
1898-1899 წლებში დაბადებულთა ნამდვილ სამსახურში დატოვებისა
და გაწვევის შესახებ

სამხედრო ბეგარის და საქართველოს რესპუბლიკის წესგაწყობილი ჯარის შევსების ძირითადის დებულების პროექტის მე II მუხლის თანახმად, ყოველწლიური გაწვევა ახალჯარის კაცთა ხდება I გიორგობის თვეს და გაიწვევიან ის ახალგაზრდები, რომელნიც I იანვარს მომდევნო წლისა 20 წლისანი იქნებიან.

იმავე კანონპროექტის 8 მუხლის თანახმად, ნამდვილის სამსახურის ვადა დაწესებულია ორი წელიწადი და მაშასადამე ჯარში ეხლა შეიძლება იყვნენ მხოლოდ ორი წლის კონტიგენტები, ე.ი. დაბადებულნი 1896 და 1897 წლებში.

1898 წლს დაბადებულთა კონტიგენტი შეიძლება მოწვეულ იქნას მხოლოდ I გიორგობის თვეს ამ წლისა და მაშინ გახდება შესაძლებელი დათხოვნილ იქმნენ 1896 წელს დაბადებული ჯარისკაცები. რესპუბლიკის ჯარის მშვიდობიანის დროის შტატებამდე დასაყვანად იმ შემადგენილობით, რომელიც გათვალისწინებულია „საქართველოს რესპუბლიკის წესწყობილის ჯარის მოწყობის კანონის“ პროექტით საჭიროა მრავალის რიცხვით 35000 კაცი, ე.ი. ყოველწლიურად 17500 კაცის კონტიგენტი.

იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მოგვეპოვება ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიების, სოხუმის და ზაქათალის ოლქებთან ერთად მიუციად 1913 წ. 25.000 ახალჯარის კაცი. 1913 წლის შემდეგ გაწვევის სტატისტიკა მეტად დაუდევრად უწარმოებიათ და ამიტომ 1914წ.-1919 წლების ახალჯარის კაცთა კონტიგენტების გამოთვლა შეუძლებელია. მაგრამ ეხლანდელის გარემოების გამო აღნიშნულის ტერიტორიისათვის, უნდა გამოირიცხოს ახალქალაქის, ახალციხის და ბორჩალოს მაზრები და ზაქათალის ოლქი და აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიის დანარჩენის მაზრების ზოგიერთი ადგილები. უნდა დავასკვნად, რომ ზემოდ ნაჩვენები რიცხვი უნდა შემცირებულ იქნას 50% მაინც. მაშასადამე, ყოველწლიური კონტიგენტი უნდა ვიგულოდ არა უმეტეს 10-12 ათასისა.

ამ ნაირად ჯარის შესავსებლად, ზემოდნაჩვენების ანგარიშის მიხედვით, საჭიროა გაწვეულ იქმნას ჯარში სამი წლის კონტიგენტი ე.ი. 1896-1898 წლებში დაბადებულნი.

მოხსენებულის გამო ეროვნულ საბჭოს წარედგინება პროექტი.

საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 179, ფურცელი 6. მანქანაზე ნაბეჭდი

დოკუმენტი №12

კ ა ნ ო ნ ი

ნამდვილ სამხედრო სამსახურში დატოვებისა და ჯარში გაწვევის იმ პირობა, რომელიც დაბადებულან 1896-1899 წლებში.

არმიის შესავსებლად მშვიდობიანობის დროს შტატამდე და გასაუქმებლად საქართველოს ტერიტორიაზე დღემდის მომქმედის ყოველგვარის კანონისა და მთავრობის განკარგულებისა ეროვნულმა საბჭომ დაადგინა:

მუხ. I.

ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1896 და 1897 წლებში და იმყოფება ეხლა რესპუბლიკის ჯარში, დატოვებულ იქნეს ნამდვილ სამსახურში განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

მუხლი 2.

ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1898 წელს და ჯარში მსახურობს, უნდა დარჩეს ჯარში ნამდვილის სამსახურის სავალდებულო ვადის შესრულებამდე. ეს ვადა ჩაეთვლება დღიდგან ჯარში ნამდვილად შესვლისა.

მუხლი 3.

ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1899 წ. და დღეს ჯარში მსახურობს, უნდა დარჩეს ჯარში ნამდვილის სამსახურის ვადის შესრულებამდე. ეს ვადა ჩაეთვლება დღიდგან ჯარში ნამდვილად შესვლისა.

მუხლი 4.

რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, I-ლსა და მე-2 მუხლში აღნიშნულის ასაკისა, თუ რაიმე მიზეზით ეხლა ჯარში არ იმყოფება, დაუყოვნებლივ უნდა გაწვეულ იქნეს ნამდვილს სამხედრო სამსახურში.

მუხლი 5.

რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, I და 2 მუხლში ნაჩვენების ასაკისა, მოვალეა არ მოუცადოს განსაკუთრებულს მოწვევას და თვით გამოცხადდეს არა უგვიანეს ამ წლის სექტემბრის 10-სა სათანადო სამხედრო უფროსთან ჯარის ნაწილებში ჩასარიცხად. ვინც ამ დღეისათვის არ გამოცხადდება, ჩაითვლება დეზერტირად და შეპყრობილი გადაეცემა სამხედრო სასამართლოს.

მუხლი 6.

ვინც 1895 წლამდე, ან 1895 წელში დაბადებულა და ეხლა ჯარში მსახურობს, დათხოვნილი იქნება სათადარიგოდ სამხედრო მინისტრის განკარგულებით, იმის კვალობაზედ, როგორც კი გამოცხადდებიან ისინი, რომელნიც გაწვეულ იქნებიან ამ კანონის 4 მუხლის თანახმად, ხოლო არა უგვიანეს ოქტომბრის პირველისა.

ამ კანონის სისრულეში მოსაყვანად განკარგულების მოხდენა დაეკისროს სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს

1819 წ. აგვისტოს 20.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს
თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. უორდანიას

საქართველოს ეროვნულ საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული 1918 წლის 20 აგვისტოს

საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 179, ფურცელი 15. მანქანაზე ნაბეჭდი

დოკუმენტი №13

ძირითადი დებულება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსებისა

მიღებულია საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტო

საქართველოს პარლამენტმა 1918 წლის 20 აგვისტოს დაამტკიცა ძირითადი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსებისა“.

1. სამხედრო ბეგარა რესპუბლიკაში საყოველთაოა და საპირადო ყოველი მოქალაქისათვის (ქვეშევრდომისათვის). შენიშვნა: ეს მუხლი კანონისა არ შეეხება მაჰმადიან მოქალაქეებს; 2) რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ოციდან ორმოცდახუთ წლამდე მოვალეა პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა; 3) ვისაც სამხედრო ბეგარა ეხება, მაგრამ ჯარში სამსახურის შესრულება არ შეეძლება, გაწვეული იქნება არმიაში და შეასრულებს ისეთ მოვალეობას რომელიც შეეფერება მის ფიზიკურ მდგომარეობას, ცოდნასა და გამოცდილებას; 4) საქართველოს შეიარაღებული ძალა შედგება მუდმივი ჯარისა და ლაშქრისაგან; 5) არმია არის მუდმივი და სათადარიგო. მუდმივი არმია მუდამ მზადყოფნაშია ომის სამსახურისათვის. სათადარიგო ჯარის დანიშნულებაა საჭიროების შემთხვევაში შეავსოს და გააძლიეროს მუდმივი არმია მობილიზაციის დროს. 6) ლაშქრის გაწვევა საკანონმდებლო დაწესებულების მიერ მოხდება მაშინ, როცა სახელმწიფოს საფრთხე მოელის და ამ შემთხვევაში ლაშქარში შეიძლება გაწვეულ იქნეს ქუდზე კაცი, ჩვიდმეტიდან ორმოცდაათ წლამდე; 7) ჯარი პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს; 8) სამხედრო სამსახურის საერთო ვადა 25 წელიწადია: ნამდვილ სამსახურში 2 წელიწადი, სათადარიგოში 15 წელიწადი და ლაშქარში 8 წელიწადი; 9) ვინც მოიხადა ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვალდებულება და შეუძლია განაგრძოს ჯარში მომსახურება განსაკუთრებული წესდების დაცვით; 10). სამხედრო ბეგარის გადადების უფლება აქვს: კონტიგენტის შევსების გამო დარჩენილ სამხედრო ბეგარის ასაკის ახალგაზრდას, რომელიც არ ყოფილა მიღებული ნამდვილ სამსახურში; ისეთ ავადმყოფობაში მყოფები, რომლებიც სამუდამოდ არ არიან განთავისუფლებულნი სამხედრო სამსახურისგან და საშუალო სკოლის მოსწავლეს სწავლის დასრულებამდე, 22 წლამდე, ბეგარის გადადება შეუძლია; 11) სამხედრო ბეგარისთვის გაწვევა მოხდება ყოველ წელს 15 ნოემბერს. გაწვეულნი იქნებიან ახალგაზრდები, რომელთაც შემდეგი წლის 1 იანვარს შესრულებათ 20 წელი. ჯარში გაწვევის წესი და საექიმო შემოწმება აღნიშნულია სამხედრო ბეგარის წესდებაში; 12) სათადარიგო და სალაშქრო სამსახურში მყოფნი აღინუსხებიან და ექვემდებარებიან სამხედრო კონტროლს. ასეთი პირები ყოველ წელს სამი კვირის ვადით გაივლიან შეკრებას სამხედრო ვარჯიშისა და წვრთნისათვის.

საქართველოს სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი 1990 წელი, გვ. 49-53.

დოკუმენტი №14

საკონსტიტუციო კომისიის დებულება „რესპუბლიკის ჯარისა“

1. ყოველივე მოქალაქე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა, თანახმად სამხედრო კანონებისა.
2. ყოველივე მოქალაქე, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, 20- დან 45 წლამდე რომელიმე ნაწილში ითვლება.
3. მუდმივი ჯარი მშვიდობიანობის დროს შედგება რესპუბლიკის მცხოვრებთა არაუმეტეს 1 %-სგან.
4. სამხედრო ძალის უზენაესი ორგანო არის პარლამენტი, რომელიც ახორციელებს თავის უფლებას მთავრობის საშუალებით.
5. განსაკუთრებულს შემთხვევაში მთავრობას შეუძლია პარლამენტის დაუკითხავათ გამოიწვიოს საჭირო რიცხვი ჯარისა არაუმეტეს სამასი კაცისა წესიერების აღსადგენად, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში აცნობებს პარლამენტს ამ ზომის დასადასტურებლად.
6. საქართველოს ტერიტორიაზე ვერ იმოქმედებს უცხო სახელმწიფოს ჯარი ვერც დაქირავებული, ვერც მოწვეული; ვერც დაიჭერს რესპუბლიკის მიწა-წყალს და ვერც გაივლის მასზე, თუ არა რესპუბლიკის კანონების მიხედვით.
7. ჯარის ნაწილების წყობილება, გადაჯგუფება და ყოველივე წესები სამხედრო ძალთა შესახებ განისაზღვრება ამისთვის გამოცემულ კანონებით.
8. ჯარი სახელმწიფო ფიცსა სდებს (აღთქმას სდებს) დემოკრატიულ რესპუბლიკის ერთგულებისა.
9. ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველ წლივ ადასტურებს პარლამენტი. კანონი მოქმედებს ერთს წელიწადს.

საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1823, აღწერა 2, საქმე 1. მანქანაზე ნაბეჭდი

დოკუმენტი №15

კ ა ნ ო ნ – პ რ ო ე ქ ტ ი

ზოგიერთა სამხედრო დანაშაულთათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

დროებით გაძლიერებულ იქნას პასუხისმგებლობა ზოგიერთა დანაშაულთათვის, რომელნიც გათვალისწინებულნი არიან სასჯელთა სამხედრო წესდებაში (სამ. დადგ. კრებული 1869 წ. XXII წიგ. გამოც. 4), სახელდობრ:

- მუხ. 160 მოდარაჯე ჯარისკაცი, ყარაულის უფროსი, აგრეთვე ყარაულობის მეუფროსენი, დამნაშავენი მოპარვაში, მათთვის შესანახად მინდობილის ქონების განადგურებასა და გაფუჭებაში ისჯებიან მშვიდობიანს დროში მდგომარეობის ყოველისავე უფლების ჩამორთმევით და საკატორგო სამუშაოზე გაგზავნით, ვადით 12-ითგან 20 წლამდე; ომიანობის დროს კი მდგომარეობის ყოველისავე უფლების ჩამორთმევით და სიკვდილით ან უვადოდ საკატორგო სამუშაოზე გაგზავნით. ამავე საფუძვლით განისაზღვრება სასჯელები, მაგრამ შემსუბუქებით ერთის, ორის ან სამის ხარისხით, როდესაც ეს დანაშაული ჩადენილია ყარაულის შემადგენლობის ერთ-ერთის სხვა წევრისაგან.

- იმ მოქმედებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია 232 მუხლის 2 ნაწილში (სამხ. დადგენ. კრებ. 1869 წ. XXII წიგ. გამოც. 4), ე. ი. შეუესებელის გაფლანგვისათვის ან მითვისებისათვის სამსახურით მინდობილის სახაზინო ან კერძო ქონებისა ან ფულისა, დამნაშავენი ისჯებიან:

როდესაც წადებულის, მითვისებულის ან გაფლანგულის ღირებულება არ აღემატება ხუთასს მანეთს, ყველა განსაკუთრებულის პირადად ან მდგომარეობით მიკუთვნებულის უფლებების და უპირატესობების ჩამორთმევით და გამასწორებელ სატურადო განყოფილებებში მიცემით სასისხლო და გამასწორებელის სასჯელების კრებულის 31 მუხლის 1, 2, 3 ან 4 ხარისხით, ხოლო როდესაც წადებულის მითვისებულის ან გაფლანგულის ღირებულება აღემატება ხუთასს მანეთს, მდგომარეობის ყველა უფლების ჩამორთმევით და საკატორგო სამუშაოზე გაგზავნით 4-ითგან 8 წლამდე. განსაკუთრებულს შემთხვევებში 12-ითგან 20 წლამდე, ხოლო ომიანობის დროს მდგომარეობის ყველა უფლებების ჩამორთმევით და სიკვდილით.

- იმ მოქმედებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია 161I მუხლში (სამხ. დადგენ. კრებული 1869 წ. XXII წიგ. გამოც. 4), ე. ი. მოპარვისათვის, განძრახ ქონების განადგურებისა და გაფუჭებისათვის, დამნაშავე ჯარისკაცები, ამ ქონების მცველნი დარაჯის წესით და აგრეთვე მორიგენი, მედლეურნი და სხვა თანამდებობის პირნი, რომელთაც მინდობილი აქვთ თვალყურის ჭერა ქონებაზე, ისჯებიან ყველა განსაკუთრებულის პირადად და მდგომარეობით მითვისებულის უფლებების და უპირატესობების ჩამორთმევით და გამასწორებელს სატურადო განყოფილებებში მიცემით I წლითგან 3 წლამდე ან და ზოგიერთი სამსახურით შექნილის უფლებების და უპირატესობების ჩამორთმევით და სადისციპლინო ნაწილებში მიცემით 2-ითგან 3 წლამდე.

- ჯარისკაცები, დამნაშავენი მათთვის სახმარებლად მიცემულის სახაზინო ტანსაცმლისა და ამუნიციის გაფლანგვაში, ე. ი. ისეთ მოქმედებაში, რომელიც გათვალისწინებულია მე-162 მუხლში სამხედრო დადგენ. კრებ. 1869 წ. წიგნი XXII, გამოცემა 4, დაისჯებიან:

პირველ-ხელ ყველა განსაკუთრებულის პირადად და მდგომარეობით მითვისებულის უფლებებისა და უპირატესობების ჩამორთმევით და გამასწორებელს სატუსაღო განყოფილებებში მიცემით ერთითგან ერთ ნახევარს წლამდის ან და სადისციპლინო ნაწილებში მიცემით 1-3 წლ.

მეორე-ხელ ყველა განსაკუთრებულის პირადად და მდგომარეობით მითვისებულის უფლებებისა და უპირატესობების ჩამორთმევით და გამასწორებელს სატუსაღო განყოფილებებში მიცემით 4-5 წლამდის.

მესამე-ხელ ყველა მდგომარეობის უფლებების ჩამორთმევით და საკატორგო სამუშაოებზე გაგზავნით 4-8 წლამდის.

- ასევე დაისჯებიან, მხოლოდ სასჯელის ერთის ან ორის ხარისხით გადიდებით, დამნაშავენი მათთვის სახმარებლად მიცემულის სახაზინო ცივის იარაღის, პატრონების, სასროლის მასალების ან ცხენის გაფლანგვაში, რაიცა გათვალისწინებულია მე-163 მუხლში სამხედრო დადგენილებათა კრებულისა 1869 წ. XXII წ. გამოცემა 4.

- სამხედრო მოსამსახურენი, დამნაშავენი სახაზინო ნივთების არა საპატიო მიზეზით მიტოვებაში, გაფლანგვაში, გაბნევაში და მოტაცებაში, მაგ. სასროლის იარაღისა ან პატრონებისა და სხ. ე. ი. ისეთ მოქმედებაში, რომელიც გათვალისწინებულია მე-163I მუხლში სამხედრო დადგენილებათა კრებულისა 1869 წ. XXII წიგ. გამოცემა 4. დაისჯებიან:

ყველა მდგომარეობის უფლებების ჩამორთმევით და საკატორგო სამუშაოებზე გაგზავნით 4-12 წლამდის.

- ჯარისკაცები, მათთვის სახმარებლად მიცემულის სახაზინო ამუნიციის და ტანისამოსის განზრახ გაფუჭებაში, ე.ი. ისეთ მოქმედებაში, რომელიც გათვალისწინებულია მე-164 მუხლში სამხედრო დადგენილებათა კრებულისა 1869 წ. XXII წიგ. გამოცემა 4, დაისჯებიან:

ზოგიერთს სამსახურით მინიჭებულის უფლებების და უპირატესობების ჩამორთმევით და სადისციპლინო ნაწილებში მიცემით 1-3 წლ., ხოლო დამნაშავენი განზრახ იარაღის პატრონების ან ცხენის წახდენაში ყველა განსაკუთრებულის პირადად და მდგომარეობით მითვისებულის უფლებებისა და უპირატესობების ჩამორთმევით და გამასწორებელს სატუსაღო განყოფილებებში მიცემით 1-3 წლამდე.

- სამსახურის მოვალეობის ასრულებისთვის თავის მორიდებისათვის და აგრეთვე არა ერთგობითის სამსახურის შეუსრულებლობისა და ცდომისათვის, რომელიც წარმოსდგებიან დაუდევრობისაგან, ე. ი. იმისთანა მოქმედებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია 124 მუხლში სამხ. დადგ. კრებულისა 1869 წ. XXII წიგ. გამოცემა 4; დამნაშავენი დაისჯებიან მთავარ-სახმილავში ჯდომით ერთის თვითგან სამს თვემდე ან მარტოდ დამწყვედევით სამხედრო საპყრობილეში

ერთის თვითგან ორს თვემდე, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში ციხეში დამწყვდევეთ სამხედრო საპყრობი-ლეში ორის თვითგან ან ორის კვირითგან ოთხს თვემდე.

- ეს კანონი ძალაში შევიდეს გამოქვეყნების დღითგან ექვსის თვის ვადით, ისე კი რომ დანაშაულობითის საქმეებისთვის, რომელნიც ჩადენილია ამ კანონის ძალაში შესვლამდე, მაგრამ არ არიან საბოლოოდ გადაწყვეტილნი, გამოყენებულ იქნას ძველი კანონი.

საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 193, ფურცლები 37-38. მანქანაზე ნაბეჭდი

დოკუმენტი №16

სადისციპლინო წესდება

თავი I.

საზოგადო დებულება

- სამხედრო დისციპლინა ავალებს ყველა სამხედრო პირს სამხედრო კანონებში აღნიშნულ წესების მტკიცე და სწორ დაცვას, სამსახურის მოვალეობათა კეთილ სინდისიერად ასრულებას, უფროსთა ბრძანების მტკიცედ და სისწორით შესრულებას და უფროსების მიმართ შესაფერ პატივისცემას.
- ბრძანების შედეგის პასუხის მგებლობა ეკისრება მბრძანებელს და არა აღმასრულებელს, თუ უკანასკნელმა სისწორით შეასრულა ბრძანება. მხოლოდ აშკარა უკანონო ბრძანების აღმსრულებელი პასუხს აგებს შედეგში.
- თუ აღმასრულებელი შეიცნობს ბრძანების აშკარა უკანონობას, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეს მბრძანებელს ან და მის უახლოეს უფროსს და თუ ბრძანება მაინც განმეორებულ იქმნა, უყოყმანოდ ასრულებს მას.
- ყველა უფროსი ვალდებულია დაიცვას ჯარის ნაწილში და ხელქვეითთა შორის სამხედრო დისციპლინა და წესიერება. ამასთანავე ერთად მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს: ხელქვეითთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა, ზრუნვა მათი კეთილდღეობისათვის, გაზიარება მათი გაჭირვებისა, მათთვის რჩევა და ხელმძღვანელობა. ხედმეტი სიმკაცრე, თუ ამას სამსახურის სარგებლობა არ მოითხოვს, დაშვებულ არ უნდა იქმნას.

უფროსი ვალდებულია ყველა ოფიცერს და ჯარის კაცს შეაგნებინოს და გაადვიდოს მათში მხედრობის მაღალი მნიშვნელობა და სამსახურით დაკისრებული მოვალეობათა აღსრულების აუცილებლობა.

- სამხედრო დისციპლინის დარღვევის ან და აშკარა ურჩობის შემთხვევაში უფროსი ვალდებულია ყოველი ზომა იხმაროს წესიერების აღდგენისათვის; უკიდურეს შემთხვევაში იგი ვალდებულია ძალას მიმართოს და იარაღით ადადგინოს წესიერება. ყველა სამხედრო პირი, მიუხედავად თანამდებობისა და სახელწოდებისა, ვალდებულია დაეხმაროს წესიერების აღმდგენელს. ამ მუხლში აღნიშნულ ზომების მიღება და საქმის გარემოება წესიერების აღმდგენელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თავის უფროსს.
- ეს წესდება იხმარება ყველა მწყობრივ და უმწყობრივო ჯარის ნაწილებში და გუნდებში თანამდებობათა შეფარდების დაცვით.
- დისციპლინარული უფლებანი სამხედრო უწყების პირთა, როგორც მწყობრის ისე უმწყობრივობის, ამ წესდებაში პირდაპირ არ აღნიშნულთა (ნაჩვენებთა), განისაზღვრება ამ წესდებასთან შეხამებით შესაფერ კანონმდებლობაში ნაგულისხმევ პირების უფლებათა მიხედვით.

თავი II.
დისციპლინარული დანაშაული და სასჯელი

- დისციპლინარული სასჯელი დაედება დამნაშავეს უფროსის უფლებით ისეთი მცირე დანაშაულისათვის, რომელიც არღვევს სამხედრო დისციპლინას ან საზოგადოებრივ წესიერებას და მყუდროებას, დამნაშავე კი ამისთვის სამართალში მიცემული არ იქნება.
 - დისციპლინარულ სასჯელთა დადება ეკუთვნის მხოლოდ იმ უფროსებს, რომელთა განკარგულებაში დამნაშავენი იმყოფებიან, ან რომელსაც სამსახურის წესით ექვემდებარებიან, გინდაც დროებით.
 - დისციპლინარულ სასჯელთა მინიჭების უფლება, რომელიც ეკუთვნის მცირე თანამდებობის უფროსებს, ეკუთვნის აგრეთვე მაღალ თანამდებობის უფროსებს.
 - იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულობისათვის, რომელიც მოხსენიებულია საერთო სამხედრო სისხლის სამართლის კანონებში და სასჯელთა შორის ნაჩვენებია დისციპლინარული სასჯელიც, მაშინ ერთეულის უფროსი სწყევტს, აკმაროს დამნაშავეს დისციპლინარული სასჯელი, თუ გადასცეს სამხედრო ბრალმდებელს (პროკურორს) დამნაშავის სასამართლოში მისაცემად. თუ სამხედრო სასამართლო დისციპლინარული წესით საქმეს მოსპობს, მაშინ დამნაშავის უფროსს ეკუთვნის განსაზღვრა დისციპლინარულ სასჯელის საზომისა.
 - კანონის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის სამართალში მიუცემლობა და ამის მაგიერ დისციპლინარული სასჯელის მინიჭება დამნაშავეს არ ანთავისუფლებს სასამართლოს წინაშე პასუხის მგებლობისაგან, მხოლოდ დისციპლინარული წესით მოხდილი სასჯელი ჩაეთვლება სასამართლოს განაჩენის გამოტანის დროს.
 - ჯარის კაცებს, ოფიცრებს და სამხედრო მოხელეთ მიესჯებათ შემდეგი დისციპლინარული სასჯელი:
 - გაკიცხვის გამოცხადება სიტყვიერად ან ბრძანებაში.
 - რიგს გარეშე დანიშვნა განწესებაში არა უმეტეს ექვსი წერით.
- გ) დაპატიმრება არა უმეტეს ორი კვირისა.

შენიშვნა: პატიმრობაში გავლილი დღეები არ ჩაეთვლება საერთო სამსახურის ვადაში.

- დაპატიმრება მდგომარეობს შემდეგში:
 - ჯარის კაცთათვის სამგვარია:
 - ა) საერთო ოთახში მოთავსება სამსახურის ასრულებით
 - ბ) ცალკე ნათელ ოთახში მოთავსება, სამსახურის ასრულებით
 - გ) ცალკე ნათელ ოთახში მოთავსება, სადაც ლოგინი ეძლევა მხოლოდ ღამით და ჩვეულებრივი საჭმელი სამ დღეში ორჯერ; დანარჩენ დღეებში კი მხოლოდ წყალი და პური, ასეთი დაპატიმრება უნდა გრძელდებოდეს არა უმეტეს შვიდი დღისა.
- II. ოფიცერთათვის, ზემდეგებისათვის და ზედმეტ მსახურ ნაცვალთათვის მთავარ სადარაჯოს ბინაზე ცალკე, ნათელ ოთახში მოთავსება მორიგ ოფიცრის ზედამხედველობით. ზემდეგი და ზედმეტმსახური ნაცვალები მოთავსდებიან რო-

გორც ოფიცრებისაგან, ისე ჯარის ჯკაცებისაგან ცალკე.

16. ყველა დაპატიმრებულთ ჩამოერთმევათ ყოველგვარი მჭრელი და სასროლი იარაღი, რომელიც ინახება ათასეულის სამმართველოში სასჯელის შესრულებამდე.

- ღაშქრობისას, ან ჯარების მოთავსების გამო, თუ დაპატიმრება შეუძლებელია, მაშინ დაპატიმრება სისრულეში მოდის პირველ შეძლებისთანავე.

თავი III.

უფროსთა დისციპლინარული უფლებანი

- მე უფროსე ჯარის კაცნი და გუნდის ოფიცრები ხელქვეით ჯარის კაცთა ყველა დანაშაულს მოახსენებენ უმცროს-უფროსობის წესით თავის გუნდის უფროსს დამნაშავისათვის დისციპლინარული სასჯელის დადებისათვის.
- გუნდის უფროსებს და მათ თანასწორ უფლებიან პირთ უფლება აქვთ ხელ-ქვეით ოფიცრებს და ჯარის კაცთ მიუსაჯონ:
- ოფიცრებს გამოუცხადონ სიტყვიერი გაკიცხვა.
- ჯარის კაცთ: ა) რიგს გარეშე დანიშნონ განწესებაში ოთხჯერ.

შენიშვნა: რიგს გარეშე დანიშნა უნდა ხდებოდეს დღე გამოშვებით.

ბ) დაპატიმრება ხუთი დღე-ღამის ვადით მე-16 მუხლში „ა“-ს განყოფილებაში აღნიშნული წესით.

- ათასეულის უფროსის თანაშემწეთ სათანადო დარგში უფლება აქვთ:

I. გუნდის უფროსებს და ოფიცრებს გამოუცხადონ სიტყვიერი გაკიცხვა და რიგს გარეშე დაინიშნონ განწესებში ორჯერ.

II. ჯარის კაცნი ა. რიგს გარეშე დაინიშნონ განწესებში ექვსჯერ, ბ. დააპატიმრონ მე-16 მუხლში „ბ“-ს განყოფილებაში აღნიშნულ წესით ათი დღე-ღამის ვადით.

- ათასეულის უფროსს და მის თანასწორ უფლებიან პირთ უფლება აქვთ: თანაშემწეთ გამოუცხადონ გაკიცხვა სიტყვიერად ან ბრძანებაში. დანარჩენ ოფიცერთ ამის გარდა:

- რიგს გარეშე დაინიშნოს განწესებაში ოთხჯერ.

- დააპატიმროს შვიდ დღე-ღამემდე.

ათასეულის უფროსი ჯარის კაცებისადმი სარგებლობს სრული დისციპლინარული უფლებით.

- ბრიგადის უფროსის თანაშემწეს უფლება აქვს: ათასეულის უფროსებს გამოუცხადოს სიტყვიერი გაკიცხვა; ბრიგადის დანარჩენ ოფიცერთა მიმართ:

- რიგს გარეშე დაინიშნოს განწესებში ექვსჯერ.

- დააპატიმროს ათი დღე-ღამის ვადით.

ბრიგადის უფროსის თანაშემწე ბრიგადის ყველა ჯარის-კაცთა მიმართ სარგებლობს სრული დისციპლინარული უფლებით.

- ბრიგადის უფროსს უფლება აქვს თავის თანაშემწეს, ათასეულის უფროსებს, შტაბის უფროსს და ბრიგადის მნეს გამოუცხადოს გაკიცხვა სიტყვიერად ან ბრძანებაში, ბრიგადის დანარჩენ ოფიცერთა მიმართ ბრიგადის უფროსი სარგე-

ბლობს სრული დისციპლინარული უფლებით.

- სამხედრო მინისტრს აქვს უფლება ბრიგადის უფროსთ და მათ თანასწორ-უფლებიან პირთ სიტყვიერად ან სამხედრო უწყების ბრძანებაში გამიუცხადოს გააკიცხვა. ყველა დანარჩენ სამხედრო პირთა მიმართ სამხედრო მინისტრი სარგებლობს სრული დისციპლინარული უფლებით.
- სამხედრო მინისტრის თანაშემწე, სარგებლობს იმავე დისციპლინარული უფლებით, როგორც თვით სამხედრო მინისტრი.
- სამხედრო მოხალისენი დისციპლინარული სასჯელის მინიჭების მხრით შეუფარდებიან მათთან ერთნაირ თანამდებობის ოფიცერთ. თავის მხრით, თანამდებობის მიხედვით მათაც აქვთ დისციპლინარული უფლება.
- ცალკეულ ერთეულად (ათასეულზე ნაკლებ) ან მცირე გუნდით ყოფნა სადმე მივლინებით აღიღებს ამ ნაწილების უფროსების დისციპლინარულ უფლებას. ერთეულის უფროსი შეეფარდება ამ შემთხვევაში ათასეულის უფროსის თანაშემწეს, მცირე გუნდის უფროსი კი გუნდის უფროსს, მიუხედავად იმისა უფროსად ოფიცერია თუ ჯარის-კაცი.

თავი IV.

დისციპლინარულ სასჯელთა მინიჭება განსაკუთრებულ შემთხვევებში

- გარნიზონის უფროსებს, კომენდანტებს, კარვობის უფროსთ ან მათ მოადგილეთ უფლება აქვთ დააპატიმრონ არა თვის გამგებლობაში მყოფი სამხედრო უწყების პირნი იმავე უფლებით, როგორც ხელქვეითნი, შემდეგ შემთხვევებში:
- როცა დანაშაული ეხება საზოგადოებრივ მყუდროების და წესრიგის დარღვევას.
- როცა დარღვეულია მათ მიერ გამოცხადებული სამხედრო ადმინისტრაციული რაიმე ზომები.
- როცა დანაშაული ჩადენილია სადარაჯოთ ყოფნის ან სამსახურის სხვა მოვალეობათა ასრულების დროს მინდობილ მიდამოში.
- როცა დანაშაული ჩადენილია იმისთანა სამხედრო პირთაგან, რომელსაც ამ ადგილას არა ჰყავს დისციპლინარული უფლებით მოსილი არც ერთი უშუამავლო უფროსთაგანი.
- როცა დანაშაული ჩადენილია დათხოვნის ან მივლინების განმავლობაში, გინდაც იმ ადგილას იმყოფებოდეს დამნაშავეს პირდაპირი უფროსი.
- მახლობელი უფროსი, როდესაც თავის უფლებას სასჯელის დადებაში საკმარისად არ სცნობს, მოახსენებს თავის უფროსს სასჯელის განსაზღვრის თაობაზე.
- იმისთანა პირთა ერთად სამსახურის დროს, რომელნიც ერთმანეთის ხელქვეითნი არ არიან, თანამდებობით უფროსი ითვლება უფროსად; თანამდებობათა ერთგვარობის შემთხვევაში ნამსახურებით უფროსი უკანასკნელ თანამდებობაში, მიიჩნევა უფროსად და უმცროსის მიმართ სარგებლობს მინიჭებულ დისციპლინარულ უფლებით.

- უმცროსის მიერ უფროსის წინაშე სამხედრო სამსახურის საერთო წესის და დისციპლინის ან საჯარო ადგილას საზაგადოებრივი მშვიდობიანობის დარღვევაზე და სამხედრო პატივცემულობის და ზრდილობის შეუსრულებლობაზე, მეუფროსე მოვალეა მოაგონოს უმცროსს; საჭირო შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს საკომენდანტოს ან ჯეროვან სამხედრო უფროსს შესაფერი განკარგულებისათვის.
- მე-31 მუხლში ნაჩვენებ შემთხვევების შესახებ მეუფროსე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ყოველ შემთხვევისთვის დამნაშავეს ან გარნიზონის უფროსს.
- როცა საჩივრის ან უმაღლეს უფროსობისათვის დასმენის წყალობით გამოამკარავდება, რომ ხელქვეითის დანაშაული უახლოვეს უფროსის მიერ დაუსჯელათ არის დატოვებული ან როცა უმაღლესი უფროსობა დაინახავს, რომ თვით სასჯელი არ შეეფერება დანაშაულის თვისებას ან დანაშაულის მნიშვნელობას, მაშინ უმაღლესი უფროსობა თვით განსაზღვრავს დისციპლინარულ სასჯელს თუ დამნაშავემ უკვე არ მოიხადა ან ამ უამად არ მოიხდის მახლობელი უფროსის მიერ მინიჭებულ სასჯელს.
- დისციპლინარული წესით არ შეიძლება ერთი და იგივე დანაშაულობისათვის ერთ გზის მეტჯერ დაისაჯოს. აკრძალულია აგრეთვე ერთი სასჯელის მოერესთან შეერთება და დისციპლინარული სასჯელის სახით დაპატიმრების მისჯა უვადოთ.
- ყოველი დისციპლინარული სასჯელი უნდა შეეფერებოდეს დანაშაულობის მნიშვნელობას. სასჯელის სახის და საზომის დანიშვნის დროს მიიღება მოსაზრებაში: თვისება დანაშაულისა, თანამყოლი გარემოებანი, დამნაშავეს წინანდელი ყოფა-ქცევა; სამსახურის მოვალეობათა აუსრულებლობის შესახებ საქმეებში – დამნაშავეს სამსახურში ყოფნის დრო და სამსახურის წესის ცოდნის რაოდენობა.
- სიმკაცრე დისციპლინარულ სასჯელთა გადიდება, როცა დამნაშავე რამდენჯერმე იყო შემწნეული ერთ და იმავე სახის დანაშაულობაში, ან, გინდაც თვისებით სხვა და სხვა ნაირებში, მაგრამ როცა სასჯელმა არავითარი გავლენა არ იქონია, ან როცა დანაშაულობა ჩადენილია სამსახურის მოვალეობათა აღსრულების დროს, ან თან სდევს უფროსთა მიმართ უპატივცემლობა ან და შედაგათ მოჰყვა მას რაიმე არეულობა.
- უფროსების მიერ დადებული დისციპლინარული სასჯელი, თუ განსაკუთრებული რამე არ უშლის ხელს, დაუყოვნებლივ უნდა იქმნას სისრულეში მოყვანილი; თუ დისციპლინარული სასჯელი მინიჭებული უმაღლეს უფროსისაგან, მაშინ მასზეა დამოკიდებული თვით მოახდინოს განკარგულება სისრულეში მოყვანის შესახებ ან მიანდობს ამას დამნაშავეს მახლობელ უფროსს.
- ხელქვეითზე მისჯილი დისციპლინარული სასჯელის სისრულეში მოყვანა არ ჩერდება უფროსის განკარგულებაზე საჩივრის შეტანის გამო, ვიდრე ამ განკარგულების შეცვლაზე ბრძანება არ მოვა უმაღლეს უფროსისაგან.

- დისციპლინარული სასჯელის სისრულეში მოყვანა გადაიდება, თუ დამნაშავე მთვრალია; აგრეთვე არ ხდება მისი დაკითხვა გარდა წინასწარ დაპატიმრების ერთი და მეორეც გადაიდება გამოფხიზლებამდე. შენიშვნა; ამ შემთხვევაში წინასწარ დაპატიმრება არ ჩაითვლება დისციპლინარულ სასჯელად.

თავი V.

დასჯის შურნალი

- ყველა დისციპლინარული სასჯელი შეიტანება შურნალში.
- თითოეულ ჯარის ერთეულში უნდა იყოს ორი შურნალი:
- დასჯის შურნალი ჯარის-კაცთათვის, რომელიც სწარმოებს ყოველ გუნდში და ცალკე მცირე გუნდებშიც.
- დასჯის შურნალი ოფიცრებისათვის და სამხედრო მოხელეთათვის, საერთოდ ყველა ცალკე ერთეულებში.
- დასჯის შურნალში შეიტანება აგრეთვე სასამართლოს მიერ დადებული სასჯელიც.
- დასჯის შურნალის ყოველივე მუხლი უნდა შემოწმებულ იქმნას გუნდის უფროსის ხელის მოწერით, ათასეულის უფროსის თანაშემწენი მოვალენი არიან გადაჭმინჯონ შურნალი ყოველ ორ კვირაში და თავისი ხელის მოწერით შურნალის ყოველ ფურცელზედ, რომელიც ეკუთვნის თითო ჯარის კაცს, შეამოწმონ დისციპლინარულ სასჯელის სისწორე ან აღმოჩენილი გადახვევანი.
- ოფიცერთა და სამხედრო მოხელეთა დასჯის შურნალში თვითეული მუხლი შემოწმებულია ათასეულის ადიუტანტის მიერ.
- ოფიცერთა, სამხედრო მოხელეთა და ჯარის კაცთა ერთი ერთეულიდგან მეორეში დაგაყვანისას ან მივლინებისას საჭირო წერილობითი ცნობებთან ერთად იგზავნება აგრეთვე ამოწერილობა დასჯის შურნალიდან.
- საინსპექციო გაშინჯვის და დაკითხვის დროს ინსპექციის მომხდენი უფროსი უეჭველად გასინჯავს დასჯის შურნალებს.
- ყველა ათასეულში და მის თანასწორ სამხედრო ნაწილში არსდება ათასეულის თანაშემწის, ან და მის თანასწორ პირის თავმჯდომარეობით და ორი გუნდის უფროსის, ან თანასწორ უფლებით აღჭურვილ პირთა შემადგენლობით, დისციპლინარული კომისია, რომელიც მოვალეა ყოველ თვის ბოლოში გადასინჯოს დისციპლინარული სასჯელთა ყველა შურნალი, შეამოწმოს მისი წესიერად წარმოება და განიხილოს სასჯელთა მინიჭების სამართლიანობა.
- ყველა დასჯილ ოფიცერს და ჯარის-კაცს შეუძლიან უახლოესი უფროსის საშუალებით შეიტანოს კომისიის უახლოეს კრებაში საჩივარი სასჯელის უსამართლობაზე.
- კომისია განიხილავს ყველა საჩივარს და თავის გადაწყვეტილებას მოახსენებს ათასეულის (ან მის თანასწორ უფლებიან) უფროსს.
- ათასეულის უფროსი, თუ დასთანხმდება კომისიას, შესაფერ განკარგულებას გასცემს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე მოხსენდება ბრიგადის უფროსს, რომე-

ლიც საბოლოოდ სწვევებს საკითხს.

- ვინც აღნიშნულ კომისიაში არ განასაჩივრა სასჯელის უსამართლოება, მას უფლება ეკარგება განასაჩივროს ეს საინსპექციო გასინჯვის და დაკითხვის დროს. განსაჩივრება კომისიაში კი არ ართმევს უკანასკნელ უფლებას.
- ათასეულის უფროსის (ან თანასწორ უფლებიან პირის) – მიერ მინიჭებული სასჯელი განისაჩივრება ბრიგადის უფროსის (ან თანასწორუფლებიან პირის) წინაშე.

თავი VI.

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

- სამხედრო პირთა განცხადება უფროსების მხრით მათ მიმართ:
- უკანონო და უმართებულო მოქმედების და განკარგულების შესახებ.
- სამსახურით მინიჭებულ უფლებათა და უპირატესობათა დარღვევაზე.
- დაწესებული უღუფით დაუკმაყოფილებლობის შესახებ იწოდება – საჩივრად.
- საჩივრის წარდგენა არ შეიძლება მწყობრში დგომის დროს, საყარაულო და საერთოდ სამსახურის განწესებათა შესრულებისას.
- სასჯელის სიმკაცრეზე საჩივარი არ შეიძლება, თუ კი უფროსმა არ გადაამეტა თავის დისციპლინარულ უფლებას.
- საჩივრები მიიტანება სიტყვით ან წერილობით საინსპექციო სინჯვის დროს და მის გარეშეც.
- აკრძალულია საჩივრის მიტანა ჯგუფობრივ, აგრეთვე რაიმე ყრილობის ან კრების გამართვა ამაზე მსჯელობისათვის.
- საინსპექციო სინჯვის დროს საჩივარი წარედგინება ინსპექციის მომხდენ პირს, რომელიც პირადათ აცხადებს მწყობრის წინ დროს და ადგილს საჩივართა მიღებისათვის, ამასთან თვითეული მომჩივარი მისგან ცალკე მოისმინება.
- საინსპექციო სინჯვის გარეშე საჩივარი ყოველთვის გუნდის (ბატარეის) უფროსს წარედგინება; თუ საჩივარი გუნდის უფროსზეა, მაშინ გუნდში (ბატარეებში) უფროსს ოფიცერს გადაეცემა.

შენიშვნა: გუნდის უფროსი ან გუნდის ოფიცერი, რომელთაც საჩივარი მიიღეს, ვალდებული არიან ხელქვეითის წესის მიხედვით დაუყოვნებლივ მსვლელობა მისცენ საჩივარს, თუმცა გვერდის ახვევით იმ უფროსისა, რომელზედაც საჩივარი შეიტანეს. ამასთან თუ საჩივარი სიტყვიერად არის განცხადებული, მაშინ შინაარსი საჩივრისა უნდა წერილობით გამოიხატოს.

- მხოლოდ საინსპექციო სინჯვაზე განუცხადებელი საჩივარი შეიძლება შეტანილ იქმნეს ორი კვირის განმავლობაში დღიდან საინსპექციო გაშინჯვისა, თუ მომჩივარმა გაიგო საჩივრის საფუძვლად გამოსადეგი მიზეზები; აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საჩივრის შეტანა შეუძლებელია, შეტანილი კიდევ არ გაირჩევა.
- ყველა გუნდში უნდა იყოს საჩივართა ჟურნალი, სადაც გუნდის უფროსის მიერ ან უმაღლეს მთავრობის განკარგულებით შეიტანება ჯარის კაცთა საერთოდ

- ყველა საჩივარი და მათზედ მოხდენილი განკარგულებები.
- საჩივართა ჟურნალი მიეცემა გუნდს ათასეულის უფროსისაგან, მისივე ხელის მოწერით, ზონარით და ბეჭდის დასმით.
 - საჩივართა ჟურნალი წარედგინება საინსპექციო სინჯვის დროს, მოხდენილ განკარგულებათა სისწორის შესამოწმებლათ.
 - საჩივრის მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში სამხედრო უფროსი ატყობინებს მომჩივარს გადაწყვეტილებას, ან და იმ მიმართულებას, რომელიც მიეცემა საჩივარს, თუ აღნიშნულ ვადის განმავლობაში განკარგულების მოხდენა შეუძლებელია.
 - სამხედრო პირთ, რომლებმაც ორი კვირის განმავლობაში ვერ მიიღეს შეტყობინება ან გადაწყვეტილება, უფლება აქვთ საჩივარი შეიტანონ სამართლიანობაზე ამა წესდების მიღებული წესით, ხელკვეითობის მიხედვით, უმაღლეს სამხედრო უფროსთან.
 - შეტანილ საჩივარზე უფროსის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო სამხედრო პირს უფლება აქვს ახალი საჩივარი შეიტანოს გადაწყვეტილების გამომტან პირის უშუამავლო უფროსთან.
 - სამხედრო უფროსის გადაწყვეტილება მეორე საჩივარზე მიიჩნება საბოლოოდ და მისი ხელახალი განსაჩივრება აღარ შეიძლება.
 - განძრახ ცრუ საჩივრის შემტანი სასამართლოში მიეცემა.
 - უსახელო საჩივრები არ განიხილება.

საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 455, ფურცლები 2-16. მანქანაზე ნაბეჭდი.

დოკუმენტი №17

განმარტებითი ბარათი სადისციპლინო წესდებისა.

შარშან პარლამენტის სამხედრო კომისიის და ს.-დ ფრაქციის მიერ მიღებულ იქმნა სადისციპლინო წესდება, მაგრამ თვით პარლამენტმა კი ვერ მოახწრო მისი მიღება. წესდების უქონლობა ამჟამად ჯარში, ახალ ორგანიზაციის დროს, დიდს უხერხულებას ჰბადებს და, თუ საზოგადოდ ჯარში დისციპლინის დაცვა აუცილებელია, ჩვენს დღევანდელ პირობებში ამის საჭიროება ყველასათვის აშკარა და ცხადია.

აწ წარმოდგენილი სადისციპლინო წესდება დამყარებულია შემდეგ მთავარ პრინციპებზე: 1. უფროსებს ენიჭებათ დისციპლინარული უფლება თანამდებობის მიხედვით, უფროსს ჯარის-კაცთა და გუნდის ოფიცრებს არა აქვთ ასეთი უფლება. მათ ევალებათ მხოლოდ მოახსენონ ჯარის-კაცის დისციპლინალური სასჯელის დადებისათვის გუნდის უფროსს უმცროს-უფროსობის მიხედვით. ეს ერთნაირი გარანტიაა მისი, რომ სასჯელის დადების საქმე მხოლოდ უფრო გამოცდილ და პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა ხელში იქნება. 2. განსაკუთრებული კომისიის დაარსებით, რომელსაც ევალება თვალყურის გდება სადისციპლინო სასჯელთა მინიჭების საქმეში და გარჩევა დასჯილთა საჩივრებისა – ერთის მხრივ უზრუნველყოფს სამართლიანობის დაცვას, და მეორეს მხრივ მოაწესრიგებს საზოგადოთ ამ საქმეს და მოსპობს თვითნებობას. ყველა უფროსი ვალდებული იქნება მეტის სიფრთხილით და მეტის სამართლიანობით ისარგებლოს მინიჭებულ დისციპლინარული უფლებით. ყველა ერთეულში დაცულ იქმნება ერთგვარობა ამ საქმეში, რასაც დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს.

სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი

საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 455, ფურცელი 1. მანქანაზე ნაბეჭდი

დოკუმენტი №18

საგუბერნიო ადმინისტრაციულ დაწესებულებათა გაუქმებისა და ადმინისტრაციის ინსპექტორის თანამდებობის დაარსებისა.

საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 30 იანვარის კანონი

1. გაუქმებულ იქნეს რესპუბლიკის გუბერნიებად დაყოფა და საგუბერნიო ადმინისტრაციული დაწესებულებანი. შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება სოხუმისა და სოჭის ოლქებზე. 2. შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალოს მოახდინოს აღნიშნულ დაწესებულებათა ლიკვიდაცია და საქმეების სათანადო დაწესებულებათა შორის გადანაწილება. 3. თბილისისა და ქუთაისის საგუბერნიო მფრინავი რაზმები გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს. 4. დაარსდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთი ადმინისტრაციული ინსპექტორის თანამდებობა და ორი მისი თანაშემწისა. 5. დამტკიცდეს ამასთანავე დართული შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული ნაწილის ინსპექციის შტატი. 6. შინაგან საქმეთა სამინისტროს გაეხსნას კრედიტი ადმინისტრაციული ნაწილის ინსპექციის შესანახად ას ორმოცდაათი ათასი მან. (150. 000 მან.). 7. ინსპექტორისა და მის თანაშემწეთა ხელისუფლების უფლება-მოვალეობას შეადგენს: თვალ-ყურის დევნება ყველა ადმინისტრაციულ დაწესებულებათა და ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა და მათი რევიზიის მოხდენა როგორც პირადად, ისე თავის აგენტების საშუალებით; თვალ-ყურის დევნება კანონით, ბრძანებათა და განკარგულებათა ადგილობრივ გამოცხადებისა და მათი ცხოვრებაში გატარების თუ შესრულებისა; ადმინისტრაციის ინსპექტორს ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული ნაწილის გამგებლობა (კრებული, 1990: 225-226).

საქართველოს სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი 1990 წელი. გვ. 225-226.

დოკუმენტი №19

სახელმწიფო ფინანსები

(საკონსტიტუციო კომისიის მიერ მიღებული ნოემბრის 27-ს და დეკემბრის 4-ის სხდომაზე).

1. არავითარი გადასახადი არ შეიძლება იქნეს დაწესებული, ან შეკრებილი, თუ წინასწარ პარლამენტის მიერ არ იქნა დადასტურებული.

შენიშვნა: ადგილობრივ თვითმმართველობათა უფლებას გადასახადების დაწესებისას განსაზღვრავს ცალკე კანონი.

2. არავინ განთავისუფლდება სახელმწიფო გადასახადებისაგან, გარდა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებისა.

3. თუ არა კანონის ძალით არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადოთ ხარჯი არ შეიძლება იქნეს გაღებული სახელმწიფოს ხაზინიდან.

4. პარლამენტის ნებადაუროველად არ შეიძლება იქნეს აღებული სახელმწიფოს სესხი და არც რაიმე ფინანსიური ვალდებულება.

5. როდესაც პარლამენტის სხდომები შეწყვეტილია, და სესხის აღებისა კი საჭიროებას მოითხოვს, საჩქაროდ უნდა იქნეს მოწვეული პარლამენტის სხდომა.

6. სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში უნდა იქნეს აღნიშნული. ბიუჯეტი ყოველწლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

7. თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა ვერ მოასწრო საადრიცხო წლის დამდეგამდე, მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაფაროს.

8. ხარჯის გადატანა ბიუჯეტის ერთი მუხლიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის ნებადაუროველად.

საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1823, აღწერა 2, საქმე 1, ფურცელი 114. მანქანაზე ნაბეჭდი